საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ისტორიის ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები

A. ისტორიკოსები

ქართლის ცხოვრება

ანა დედოფლისეული ნუსხა

დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ

სიმონ ყაუხჩიშვილის

რედაქციით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი 1942

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი სიმ. ყაუხჩიშვილი

ხელმოწ. დასაბეჭდად უკ. ფ. 28.XI.1942
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 25
ანაწყობის ზ. 6×10; ქაღ. ზომა 62×94 სმ.
შეკვეთის № 906; ტირაჟი 2000.
უე 13749.

საქართ. სსრ მეცნიერ. აკადემიის გამომცემლობის სტამბა; ა. წერეთლის ქ. № 7

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა VII

შესავალი

ანა-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა). . . . . XI—XVI
ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს ა). XVII—LXXXIII
შემოკლებათა სია LXXXIV

ანასეული ქართლის ცხოვრება

(ტექსტი)

ლეონტი მროველი—ცხორება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. 1— 88
თავი პირველი 1
თავი მეორე: ამბავი ქართლისა . . . 4
თავი მესამე: შემოსულა ალექსანდრესი 11
თავი მეოთხე: შემოსულა სპარსთა ქართლს. მეფობა მირიანისი ქასრეს ძისა 37
თავი მეხუთე: ცხორება მირიანისა . . 40
მოქცევა მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა. 45
თქმული აბიათარ მღდელისა 58
თქმული მისივე აბიათარ მღდელისა კუართისათუის უფლისა 59
თქმული სიდონია დედაკაცისა (...მოქცევა სასწაულითა მირიან მეფისა). 66
თქმული მისივე აღშენებისათუის ეკლესიისა. 69
ამაღლებისათუის პატიოსნისა ჯუარისა. 75
წიგნი, რომელი მიუწერა პატრიაქმან რომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა მირიანს და ყოველსა ერსა ქართლისა . . 79
ჯუანშერი—ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა . . . . . 89—156
წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი . . 157—159

მატიანჲ ქართლისაჲ . . . 160—199
ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი . 200—235
[გადამწერის ანდერძი] 236
ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე. . 237—245
ცხორება დემეტრე მეფისა 237
ცხორება გიორგი მეფისა 239
ცხორება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი . 240
ცხორება გიორგი მეფისა, თამარის ძისა . 243
საკუთარ სახელთა საძიებელი . 249—313

წინასიტყვაობა

1913 წელს ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ხელნაწერი, ანა დედოფლის დავალებით გადაწერილი. მანვე უძღვნა ამ ხელნაწერს გამოკვლევა[1], რომელშიაც აღნიშნა, რომ ანა დედოფლისეული ხელნაწერი შეიცავს: 1) „ქართლის ცხოვრების“ სხვა ხელნაწერებშიაც შეტანილი პირველი ხუთი საისტორიო ძეგლის[2] უძველეს, XV საუკუნის ბოლო წლებში (1479—1496 წლებში) გადაწერილ ნუსხას და 2) აქამდე უცნობ „ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეს“[3]. ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე მართებულად შეაფასა ანა დედოფლისეული ნუსხა და მას იგი ხშირად მიმართავდა თავის სხვადასხვა გამოკვლევაში როგორც „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენის საკითხის რკვევის, ისე საქართველოს ისტორიის ცალკეული ფაქტების დადგენის დროს. ანა დედოფლისეული ნუსხის უკვე ნაწილობრივმა გამოყენებამ ათქმევინა მას: „მკითხველი ადვილად მიხვდება რა განძიც უნდა იყოს მეცნიერებისათვის ახლად აღმოჩენილი ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“-ო[4].

ანა დედოფლისეული ხელნაწერის მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა 1927 წელს, სახელდობრ, ხელნაწერის 412—425 გვერდებზე მოთავსებული „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“[5], რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხაში არ მოიპოვება, ხოლო ხელნაწერის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (თბილისი 1916), გვ. 256—261. გადმობეჭდილია წინამდებარე გამოცემაში, გვ. XI—XVI.

[2] ეს ხუთი ძეგლია: ა) ლეონტი მროველის „ცხორება ქართველთა მეფეთა...“, ბ) ჯუანშერის „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“, გ) „წამება... არჩილისი“, დ) „მატიანე ქართლისაჲ“ და ე) „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“.

[3] ეს მატიანე მოგვითხრობს დემეტრე I, დავით III, გიორგი III, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის მეფობათა მოკლე ისტორიას.

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 261; იხ. ქვემოთ გვ. XVI.

[5] ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე. გამოსცა ივანე ჯავახიშვილმა. თბილისი 1927, გვ. 22.

ძირითადი ნაწილი (1—412 გვ.) დღემდე არ ყოფილა არც გამოქვეყნებული ცალკე პუბლიკაციის სახით და არც გამოყენებული „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილ ისტორიკოსთა თხზულებების ტექსტუალური შედგენილობის გამოსაკვლევად.

ვინაიდან ანა დედოფლისეულ ხელნაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის, ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ცალკე გამოცემის სახით გამოექვეყნებინა „ქართლის ცხოვრების“ ეს ახალი, აქამდე უცნობი, ნუსხა, რათა იგი მეორე ძველ, უკვე გამოქვეყნებულ[1], ნუსხასთან ერთად საფუძვლად დასდებოდა მომავალში როგორც „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შესწავლას, ისე ამ კრებულში შეტანილ ცალკე საისტორიო ძეგლთა ტექსტის დადგენას, და ამ გამოცემის დამზადება დაავალა ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებას.

წინამდებარე გამოცემაც ამ დავალების შესრულების შედეგია.

ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო წარმოგვედგინა „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხა ყველა მისი, როგორც ტექსტუალური ისე ენობრივი, თავისებურებით[2] და ჩვენ არ შევდგომივართ ტექსტის შესწორებასა და აღდგენას. მაგრამ ვინაიდან ანასეულ ხელნაწერში გვხვდება გადამწერის უნებლიე შეცდომები (გრაფიკული შეცდომები, კიდურმსგავსებით გამოწვეული შეცდომები და სხვ.)[3] და ზოგან ხელნაწერის დაზიანების გამო ტექსტიც ნაკლულევანია, ამიტომ ჩვენს გამოცემაში შევასწორეთ ის, რაც გადამწერის შეცდომად მიგვაჩნდა, ხოლო ნაკლულევანი ადგილები შევავსეთ მარიამისეული ნუსხის (ზოგჯერ ბროსეს გამოცემის) მიხედვით[4] (სქოლიოში სი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. თბილისი 1906 წ.

[2] ასე, მაგალითად, ჩვენ დავტოვეთ უცვლელად ანასეული ნუსხის წანაკითხები: ჯონბერ, არბაკ, იელუსალემი, სურტანი და სხვ.

[3] ამათ შესახებ იხ. ქვემოთ ჩვენს შესავალ ნარკვევში.

[4] ნაკლულევანი ადგილების შევსება მარიამისეული ნუსხის მიხედვით პირობითია. ქვემოთ მოთავსებულ ჩვენს შესავალ წერილში გამორკვეულია, რომ მარიამისეული ნუსხა (M) ყოველთვის არ იძლევა პირველ-დედნის სწორ ვარიანტს და ხშირად ბროსეს გამოცემაშია (B-ში) ის ვარიანტი, რომელიც უფრო ძველი და ნამდვილი ნუსხებიდან მომდინარეობს, მაგრამ რადგან ჯერჯერობით არ არის შესწავლილი ბროსეს მიერ გამოყენებულ (XVIII საუკუნის) ნუსხებში მოცემული ცალკეული ვარიანტების ღირებულება, ამიტომ ჩვენი გამოცემის ტექსტი პირობითად შევავსეთ იმ ნუსხის (M) მიხედვით, რომელიც ქრონოლოგიურად ბროსეს მიერ გამოყენებულ ნუსხაზე უძველესია. შევსება კი საპიროდ

სრულით გვაქვს აღნიშნული ჩვენი ხელნაწერის ყოველგვარი კითხვა-სხვაობა, რომელიც კი ტექსტში არაა შეტანილი).

ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდებოდა ანასეული ნუსხის შედარება „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის მდგომარეობის დღევანდელ ეტაპზე ეს არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო. როგორც ჩვენს შესავალ ნარკვევში აღნიშნული გვაქვს, ბროსეს გამოცემა არცერთ ნუსხას არ ემყარება (ის ემყარება, საერთოდ, XVIII საუკუნის ნუსხებს) და ამდენად ის თვითონაც უნდა განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“. ამიტომ მასთან შედარება ანასეული ნუსხისა, „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ტექსტის დადგენის მიზნით, უშედეგო იქნებოდა: საჭიროა შედარება არა ბროსეს გამოცემასთან, არამედ XVIII საუკუნის ცალკეულ (რუმიანცევის, თეიმურაზის, მაჩაბლის, ჯანაშვილის, ბარათაშვილის და სხვა) ნუსხებთან, ისევე როგორც მარიამისეულ და ჭალაშვილისეულ ხელნაწერებთან: ასეთი სამუშაო კი არ შეიძლებოდა შესულიყო „ანასეული ქართლის ცხოვრების“ გამომცემლის ამოცანაში; ის სრულიად ახალი თემაა, და ჩვენი საისტორიო-საფილოლოგიო მეცნიერების მორიგ გეგმაში უნდა იქნას შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ტექსტის დადგენა ყველა არსებული ნუსხის მიხედვით და მისი გამოცემა. წინამდებარე გამოცემაში კი ჩვენ შევადარეთ ანასეული ნუსხა MB-ს იმდენად, რამდენადაც ანასეული ხელნაწერის დასახასიათებლად და მის ზოგიერთ კითხვა-სხვაობათა ღირებულების გამოსარკვევად შეიძლება წინასწარ დასჭირდეს მკვლევარს: ასეთი ნაწილობრივი შედარების შედეგი მოცემულია, ერთი მხრით, ტექსტის გამოცემის სქოლიოებში და, მეორე მხრით, ჩვენს შესავალ ნარკვევში.

„ანასეული ქართლის ცხოვრება“ დამზადდა გამოსაცემად ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა ერთობლივი მონაწილეობით. პირველი ძირითადი სამუშაო შეასრულა განყოფილების თანამშრომელმა ნათელა ივანეს ასულმა ჯავახიშვილმა, რომელმაც გადმოსწერა A ხელნაწერის ტექსტი; მანვე შეადარა თავიდან ბოლომდე ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“ ხელნაწერს (საქ.

მივიჩნიეთ, რათა მკითხველს ხელთ ჰქონოდა გაბმული ტექსტი და არა ნაწყვეტები.

მუზ. ხელნ. S—№ 30); გარდა ამისა ნ. ჯავახიშვილმა განყოფილების თანამშრომელ ნ. საბაშვილთან ერთად A ხელნაწერთან შემოწმების საფუძველზე ჩაატარა ანაწყობის პირველი ორი კორექტურა და ამოსწერა საკუთარი სახელები საძიებლისათვის. თანამშრომელმა მ. კახაძემ იკისრა ანაწყობის უკანასკნელი კორექტურა (ხელნაწერთან შეწამებით), ისევე როგორც შესავალ ნარკვევსა და საძიებელში მოყვანილი ციტაციის შეჯერება. დანარჩენი სამუშაო (გადმოწერილი ტექსტის შედარება ხელნაწერთან, გამოსაცემი ტექსტის დადგენა და სქოლიოების შედგენა MB-სთან შედარების საფუძველზე, საძიებლის შედგენა[1] და შესავალი ნარკვევი) გვეკუთვნის ჩვენ.

გამოცემას წარვუმძღვარეთ ივ. ჯავახიშვილის ნარკვევი „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“, რომელიც წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ახლად აღმოჩენილი ნუსხის პირველსა და საფუძვლიან შეფასებას და რომელიც ამოვიღეთ მისი ცნობილი ნაშრომიდან „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (თბ. 1916). ჩვენს გამოცემაში გავიმეორეთ აგრეთვე—რათა „ანასეული ქართლის ცხოვრება“ წარმოდგენილი ყოფილიყო სრულად—ივ. ჯავახიშვილის მიერ უკვე გამოცემული „ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე“, რომელიც გადმოვბეჭდეთ იმავე სახით, როგორც ის ივ. ჯავახიშვილმა გამოსცა (შევასწორეთ მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული შეცდომა). დასასრულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი თავებად დავყავით იმ დებულებათა მიხედვით, რომლებიც მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილს თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“; ეს თავებია: 1. ლეონტი მროველი (გვ. 1—88), 2. ჯუანშერი (გვ. 89—156), 3. წამება... არჩილისი (გვ. 157—159), 4. მატიანე ქართლისაჲ (გვ. 160—199), 5. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი (გვ. 200—235) და 6. ლაშა-გიორგის-დროინდელი მემატიანე (გვ. 237—245).

სიმ. ყაუხჩიშვილი

თბილისი
1942 წლის 19 ნოემბერი

---

[1] საძიებლის შედგენის დროს გამოვიყენეთ პ. ინგოროყვას მიერ დამზადებული „ძველ-ქართულ საისტორიო თხზულებათა ინდექსი“, რომელსაც ბეჭდავს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.

ანა-დედოფლისეული ქართლის ცხოვრება [1]

აქამდის ჩვენ ქ'ცის მხოლოდ ერთად-ერთი ხელთნაწერი გვქონდა, რომელიც ვახტანგზე უწინარეს იყო დაწერილი, და ამის გამოცხადი იყო, რომ მას ვახტანგ VI გავლენა'ვერ დაეტყობოდა და შედარებით ძველი სახე უნდა ჰქონოდა. ეს ის შესანიშნავი ხელთნაწერია, რომელშიაც განთქმული „მ'მ დ'ფლსი ქ'ცა" არის შენახული, 1638-1646 წლებში გადაწერილი. პირველად ეს ხელთნაწერი განსვენებულმა დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ აღწერა და დააფასა (იხ. Статьи по истории и древностям Грузии. Приложение к V тому Зап. Акад. Наук, გვ. 11—12. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია გამოც. დ. ბაქრაძის მიერ, 1885 წ., გვ. XXI. და დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს, საქართველოს ისტორია, 1889 წელს, გვ. 43, 54-55). ეს ხელთნაწერი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს აც აქვს ვრცლად აღწერილი თავის შრომაში „Описание рукоп. Общ. распр. грам. (Т. II, вып. 1, 1906 წ., გვ. 27-38).

მარტო მ'მ დფ'ლსი ქ'ცა სრულებით საკმაო ცნობებს გვაძლევდა, რომ ქ'ცის შედგენისა და თანდათანი ზრდისა და ისტორიის უმთავრესი საკითხები გამოგვეკვია, მაგრამ წინანდელ მკვლევართ ამ ძვირფას მასალებით ჯეროვანად არ უსარგებლიათ.


როდესაც ქ'ცის შედგენისა და შევსების საკითხი მ'მ დფ'ლ ქც'სდა მიხედვით გამორკვეული მქონდა და „ქართველ ერის ისტორიის" I წიგნის გადაკეთებულს და შევსებულს ნაწილს ვწერდი, 1913 წ. ს. ლამისყანაში ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში, ძველ საგვარეულო წიგნსაცავის გადასინჯვის დროს, სრულებით მოულოდნელად ქ'ცის მეორე და ამასთანავე უძველესი შესანიშნავი ხელთნაწერი აღმოვაჩინე.

ეს ხელთნაწერი ყდიანია, დაზიანებული ტყავის ყდა აქვს. რაკი ყდა თავის ზომით ხელთნაწერის თავდაპირველ ზომაზე გაცილებით ნაკლებია და მხოლოდ ხელთნაწერის მერმინდელ დაზიანებულს ზომას უდგება, ამასთანავე ზევითი ყდა ქვეითაზე მომცრო და მრუ-

---

[1] ამოღებულია ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1916, გვ. 256—261.

დეა, ამიტომ ცხადია, რომ ყდა მერე უნდა იყოს გაკეთებული იმ დროს, როდესაც თვით ხელთნაწერი უკვე თვალსაჩინოდ დაზიანებული ყოფილა. ხელთნაწერი მოყვითანო ან იქნებ დროთა განმავლობაში გაყვითლებულ ქაღალდზეა ნაწერი. თვით ქაღალდი ოდნავ წვრილ ზოლებიანია და ზევითგან ქვემოთკენ ჩამოველებული (5—6) გამსჭვირვალი ხაზები აქვს, ხოლო შუაგულში შემდეგი გამსჭვირვალივე ნიშანი ზის:



ხელთნაწერს თავში და ბოლოში ფურცლები აკლია, მაგრამ ქ'ცა ხელთნაწერის ბოლო ნაწილზე უწინარეს თავდება და ამიტომ ქ'ცის დასასრული არ დაზიანებულა. მთელს ხელთნაწერს ქვეითი (იშვიათად ზევითიც) და მარჯვენა გვერდის არშიები შემოჰკრილი აქვს, ალბათ ბარათებისათვის იქნება შეკვეცილი. ეს ვგონებ უკვე იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც ხელთნაწერს ეხლანდელი ყდა ჯერ არა ჰქონდა, იმიტომ რომ ეხლანდელი ყდა თავის ზომით უკვე არშიებ-შეკვეცილ ხელთნაწერის ზომას უდრის, ამას გარდა თავში ფურცლები თაგვებისაგანაც შეჭმულია.

ხელთნაწერი რვეულებად არის აკინძული. თითო რვეულში 8 ფურცელია, ანუ 16 გვერდია. გვერდების სათვალავი აღნიშნული არ არის და მხოლოდ თვითოეულს (ზოგს აკლია) რვეულს პირველს გვერდზე რვეულის სათვალავი უზის, რვეულების სათვალავებისდა მიხედვით ხელთნაწერში სულ ცოტა 33 რვაფურცლიანი რვეული უნდა ყოფილიყო, ეხლა მე-33(ლგ)-ე რვეულს მერვე ფურცელი აკლია.

ხოლო რაკი ამ ადგილას იოანე ზედაზნელის საყურადღებო ცნა-ა, რომელიც უკვე მე-31-ე რვეულის მეორე გვერდითგანვე იწყება, და იქ, სადაც ეხლა ხელთნაწერი სწყდება არამც თუ „ცნა“ დამთავრებული არ არის, არამედ ბლომად აკლია, ამიტომ ცხადია, რომ თავდაპირველად ამ ხელთნაწერში 33 რვეულზე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც აღნიშნული იყო, თავში ხელთნაწერს ბევრი აკლია. ეხლა იწყება მეხუთე (ე) რვეულით, რომელსაც წინ უძღვის ვგონებ მე-4-ე რვეულის ძალზე დაზიანებული მხოლოდ ორი ფურცელი, მაშასადამე 60 გვერდი სრულებით აკლია და 4 გვერდიც ნახევარზე დაზიანებულია. დანარჩენ რვეულებშიც მე-5-ეს და მე-6-ის ოთხს პირველს ფურცელს ქვეითი მარჯვენა კუთხეები ვგონებ თაგვებისაგან მოჭმული აქვს.

თვითოეულს გვერდზე 17 სტრიქონია დატეული. წიგნი საკმაოდ მსხვილ მხედრულ ხელით არის ნაწერი. ასოები გადაბმულია, მაგრამ მკაფიოდ არის გამოყვანილი. მწერალი დიდი ხელოვანი არ ყოფილა, და არც ხელი ჰქონია ლამაზი. ზოგიერთს ასოს ძველი მოხაზულობის კვალი ამჩნევია. პალეოგრაფიულად საყურადღებოა ასოები ჱ, ჩ, ყ, პ, ჰ, ჯ, და სხვა. მთელ ხელთნაწერში თვითოეული სიტყვის შემდგომ სამ-სამი წერტილი ზის, ხოლო „განკვეთილობის“ (სასვენ) ნიშნად მძიმეა (,) ნახმარი, რომელიც სამ წერტილს შემდგომ ზის ხოლმე. სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით არის ნაწერი, დანარჩენი-კი მთლად შავი მელნით.

ეხლა თავი-და-თავი იმის გამორკვევაა, თუ როდის არის ანა დ‘ფლსი ქ‘ცა გადაწერილი. რაკი ამას თავი და ბოლო აკლია, ამიტომ იქ ამის შესახებ პირდაპირი ცნობები შენახული არ არის, მაგრამ დიდად დაახლოვებით თარიღის გამორკვევა მაინც ადვილია. მე-30-ე („ლ“) რვეულის მე-3-ე გვერდზე ქ‘ცის დასასრულის შემდგომ (ქ‘ცა მე-30-ე რვეულის მე-2-ე გვერდზე თავდება) ხელთნაწერის გადამწერი სხვათა შორის ამბობს: «ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარ-მოწამეო, მცველო და მფარველო, მჭარსი-მდგომელ და განმმარჯუებელ ექმნენით ორთა ცხორებათა შინა პატრონთა დ ე დ ო ფ ა ლ თ ა დ ე დ ო ფ ა ლ ს ა ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ს და ძ ე ს ა მ ა თ ს ა ღ თ ი ვ-გ უ ი რ გ უ ი ნ ო ს ა ნ ს ა მ ე ფ ე ს ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს და დ ე დ ო ფ ა ლ ს ა ა ნ ა ს, რ ო მ ლ ი ს ა მ ი ე რ გ უ ე ბ რ ძ ა ნ ა პ ა ტ ი ო ს ა ნ თ ა ა მ ა თ წ ი გ ნ თ ა ა ღ წ ე რ ა. დაღაცათუ ჩუენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებათა მისთა ვერღარა ურჩ ვექმნენით, ხოლო ჩუენ ძალისაებრ ვითარცა ძალ-გუედვა ვიღუაწეთ, დაღაცათუ ნაღუაწი ესე უნ-

დო და უშუერ არს, არამედ შენდობა იყავნ ყოველთაგანი»[1] (ანა დფ'ლსი ქ'ცა მე-30-ე რეეულის 3-4 გვერდი).

მაშასადამე ეს ხელთნაწერი ანა დედოფლის ბრძანებით ყოფილა გადაწერილი, რომელიც ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე ყოფილა. ამ მეფე-დედოფლის შესახებ ხელთნაწერის დამწერს კიდეე შემდეგი შინაარსიანი ცნობა მოეპოვება: «ადიდენ ღმერთმან. და დაამყარენ ორთავე ცხორებათა შინა პატრონნი დ ე დ ო ფ ა ლ თ ა დ ე დ ო ფ ა ლ ი ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ და ძ ე მ ა თ ი მ ე ფ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და დ ე დ ო ფ ა ლ ი ა ნ ა; ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი მაშენებელნი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჴელ ეყო განწმედად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოველისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს, ცაჲ[2] და გუმბათი და სამჯრონი რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავსებულად ვითარცა ჯერ იყო წინანდელთა ქმნულთა ნივთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა (sic) და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოელად დიდებულთა ყოელითა სიკეთითა შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთათუის შემდგომად ამათ თანა რაოდენნიმე ეკლესიანი აღაშენნეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებულნი ეკლესიანი განწმიდნეს სახლად ღ'თისა და წარსამართებელად მეფობისა თუისისა» (იქვე, მე-30-ე რეეულის გვ., 2—3).

ამ დედოფალთ-დედოფალის ნესტან-დარეჯანის, მისი ძის მეფის ალექსანდრეს და დედოფლის ანნას შესახებ ცნობები მოიპოვება: რამდენიმე გუჯარიც კია შენახული, რომელიც ამ ალექსანდრე მეფის მიერ არის ნაბოძები. ერთს მათგანში, რომელიც ეტრატზეა ნაწერი და დავით-გარესჯის მონასტერს ეკუთვნის, სწერია: «ჩუენ... ლიხთა იმერისა და ლიხთა ამერისა ორისავე ტახტის მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა სულ-კურთხეულისა გიორგის ძემან, მეფემან ალექსანდრე, ბატრონმა (sic) დ'ეულთა დ'ედულმან. დ ე დ ა მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ და თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე მ ა ნ

---

[1] სამ-სამი წერტილი ყოველ სიტყვის შემდგომ გამოვტოვეთ და მხოლოდ -მძიმეა დაცული ისევე, როგორც თვით დედანშია.

[2] დედანში სწერია „ცაა", მაგრამ უეჭველია აქ მეორე ა=ჲ და ასეც კითხულობდენ, მხოლოდ რაკი მაშინ მხედრულად ამ ასოსთვის ჯერ მოხაზულობა არ არსებობდა, ამიტომ წერის დროს ხუცურს ასოს ხმარობდნენ, რომელიც მხედრულს „ა"ნს ძალიან მიაგავს.

ჩ უ ე ნ მ ა ნ ა ნ ა რაოდენნი ქება-მადლობა შეესწიროთ თქუენდა (მეტეხთა და ხახულის ღვთის-მშობელის) მიმართ... აგარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღეინდელად დღედმდე»-ო (ქკ'ბი II, 300). საბედნიეროდ ეს საბუთი თარიღიანია: «დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ქკ'სა: რნიზ: (167) ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: გ: (3) თუესა იენვარსა (sic): კგ:» (23) ანუ 1479 წელს (იქვე). რაკი 1479-ში ალექსანდრეს მეფობის უკვე მესამე წელიწადი ყოფილა, ამიტომ ცხადია, რომ იგი 1476-1477 წ. უნდა გამეფებულიყო. ალექსანდრე გიორგი მეფეთ-მეფისა და დედოფალთ-დედოფლის ნესტან-დარეჯანის შვილი ყოფილა და მოხსენებულია მამის უკვე 1460 წლის სიგელში (ქ'კბი II, 277).

ამ ალექსანდრე მეფის მეორე საბუთიც არსებობს, სახელდობრ 1503 წელს[1] დაწერილი, რომელშიც ნათქვამია: «ჩუენ პატრონმა მ ე ფ ე თ-მ ე ფ ე მ ა ნ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და ძ ე თ ა ჩ უ ე ნ თ ა გიორგი და დიმიტრი და პატრონმან დ ე დ ა მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ დ ე დ ო ფ ა ლ თ ა-დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ ნ ე ს ტ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ და თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ ა ნ ა ესე გასათაებელი წიგნი მოგაჴსენეთ... მცხეთის საყდარსა»-ო (ქ'კბი II, 319). ამაყე მეფის 1505 წ. ნაბოძები სიგელიც არსებობს და იქაც დედოფალი ანა და პირმშო ძე გიორგი და დიმიტრი არიან მოხსენებულნი (ისტ. საბუთები, გამოც. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ, წ. III, გვ. 42).


ამგვარად ირკვევა, რომ 1503 წელს ალექსანდრე მეფეს და მის თანამეცხედრეს უკვე ორი ძე ჰყოლიათ, გიორგი და დიმიტრი. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ანა დფ'ლ ქც'ის გადამწერის ზემომოყვანილს „ანდერძ"-ში არც ერთი მათგანი მოხსენებული არ არის, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ის ხელთნაწერი იმ დროს უნდა იყოს გადაწერილი, როდესაც ალექსანდრე მეფეს ჯერ ან შვილები არა ჰყავდა, ან ჯერ იმდენად პატარები იყვნენ, რომ მათ საბუთებში არ იხსენიებდნენ. ხოლო რაკი 1479 წლის სიგელის ცნობები აგარის ნათესავთა და მტერთა სამარადისოდ უკუქცევის შესახებ ანა დ'ფლ ქ'ცის გადამწერის სიტყვებს მშვენივრად უდგება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ა ნ ა დ ფ ' ლ ი ქ ' ც ა უ ნ დ ა 1 4 7 9 წ. ახლო ხ ა ნ ე ბ შ ი, დ ა ა ხ ლ ო ე ე ბ ი თ 1479-1495 წ. ი ყ ო ს გ ა დ ა-

[1] თვით სიგელს 190 ჭრონიკონი (რჟ) უზის თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს გამოცემაში (ქ'კბი II, 319), მაგრამ თავში 1503 წ. აქვს აღნიშნული. რაკი ზემოთაც 1503 წ. (ქ'კს რჟა) ამბავია აღნიშნული, ალბათ ამ სიგელსაც ქ'კნი: რჟა: ექმნებოდა და ბეჭდვის დროს „ა" გამოვარდებოდა.

წ ე რ ი ლ ი. მაინც-და-მაინც შეუძლებელია იგი 1500 წ. გვიან იყოს დაწერილი იმიტომ, რომ მაშინ ალექსანდრე მეფის შვილები გადამწერს მოხსენებული ეყოლებოდა. მაშასადამე, ეხლა ჩვენ ქ'ცის მე-XV-ე საუკუნის ხელთნაწერი გვაქვს ხელთა.

მაგრამ ამაზე მეტის გამორკვევაც შეიძლება. ანა დფ'სლი ქ'ცა რასაკვირველია გადაწერილია და სწორედ იმ დედნის თარიღის განსაზღვრაც შეიძლება, რომლითგანაც ანა დფ'ლ ქ'ცის ხელთნაწერი უცნობს პირს გადმოუწერია. როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, წიგნი I, გვ. 191—193, ლაშა-გიორგის-დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე), დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებას ერთი მატიანე მისდევს, რომელიც დემეტრე I, დავით III, გიორგი III, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის მეფობათა მოკლე აღწერილობას შეიცავს. ანა დედოფლისეულ ქ'ცასა და ამ მატიანეს შუა მხოლოდ იმ გადამწერის „ანდერძი" სწერია, რომელმაც ეს ხელთნაწერი მე-XV-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ანა დედოფლის ბრძანებისაებრ გადასწერა. ქ'ცის იმ ხელთნაწერში, რომელიც ამ მე-XV-ე საუკ. გადამწერს დედნად უნდა ჰქონოდა, უეჭველია ზემოაღნიშნული ლაშა-გიორგის-დროინდელი მატიანე პირდაპირ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოებს მისდევდა, ან შესაძლებელია ჯერ ამ მემატიანეს „ანდერძი" ყოფილიყო, რომელიც იქნებ მე-XV-ე საუკ. გადმომწერმა გამოსტოვა, ხოლო შემდეგ თვით მატიანე ეწერა. ამ ლაშა-გიორგის-დროინდელ მატიანეს დამწერი ალბათ თვით იმ ქ'ცის დამწერიც იქნებოდა, რომელიც ანა დფ'ლ ქ'ცის დედანი იყო. ხოლო ზემოთ უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ეს მატიანე ლაშა-გიორგის გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების პირველს წელიწადს, ანუ 1222-1223 წ. არის დაწერილი (იხ. იქვე, 192). მაშასადამე, ცხადია, რომ ქ'ცის ის ხელთნაწერი, რომელიც ანა დფ'ლ ქ'ცის მე-XV-ე საუკ. გადამწერს დედნად ჰქონია, 1222-1223 წ. ყოფილა დამთავრებული. ამგვარად გამოირკვა, რომ ანა დფ'ლ ქ'ცა-ში ჩვენ 1222-1223 წელს დაწერილი ქ'ცის პირი გვაქვს შენახული. თუ აქამდის ჩვენ 1638-1646 წ. გადაწერილი მ'მ დფ'ლი ქ'ცა მრავალ შეცდომებით სავსე სამართლიანად მაინც დიდ ავლადიდებად მიგვაჩნდა, მკითხველი ადვილად მიხვდება რა განძიც უნდა იყოს მეცნიერებისათვის ახლად აღმოჩენილი ანა დფ'ლი ქ'ცა.

ივ. ჯავახიშვილი



სურ. 1. გადამწერის ანდერძი (ჩვ. გამოცემის გვ. 235₂₁—236₁₃).

БІБЛІОТЕКА
АН УРСР

სურ. 2. გადამწერი ანდერძი (ხელნაწერი A-1335, ფურცელი 236ა-ბ).

ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი

I

კრებული „ქართლის ცხოვრება“ [1]

§ 1. **„ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა.** „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება კრებულს, სადაც შეტანილია ქართველ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომლებიც თანამიმდევრობით გადმოგვცემენ ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. ამ კრებულის შედგენილობა ყოველთვის ერთი და იგივე არ იყო; პირველად ამ კრებულში შეტანილ იქმნა ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობდნენ ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე, მერე დაუმატეს VIII—XII საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები, და შემდეგ შეავსეს XII—XIV საუკუნეთა ისტორიით. ამით დამთავრდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებათა პირველი ციკლი, რომელიც ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ VI-ის დრომდე.

---

[1] წინამდებარე მიმოხილვაში გათვალისწინებულია „ქართლის ცხოვრების“ შესახებ არსებული შემდეგი გამოკვლევები:

დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი. თბილისი 1889, გვ. 38 შმდდ. კარი მესამე და კარი მეოთხე.

დ. ბაქრაძე (Д. Бакрадзе), Статьи по истории и древностям Грузии, СПБ, 1887.

მ. ბროსე (M. Brosset), Histoire de la Géorgie, Introduction. 1858.

ე. თაყაიშვილი (Е. Такайшвили), Описание рукописей библиотеки Общества распространения грамотности среди грузинского населения. Том II, 27—114 (მარიამ დედოფლისეული ხელნაწერი); Том I, 202—270 (ბარათაშვილისეული ხელნაწერი), 419—517 (დადიანისეული ხელნაწერი).

პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თავი მეექვსე და თავი მეშვიდე: „მნათობი“ 1939 წ. № 10—11, გვ. 197—272.

პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი: ენიმკი-ს მოამბე, ტ. X.

თ. ჟორდანია ქრონიკები I, წინასიტყვაობა.

ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები... წიგნი I). თბილისი 1916. განსაკუთრებით გვ. გვ. 251—283 (ქართლის ცხოვრება).

„ქართლის ცხოვრების“ ამ პირველ ნაწილს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსები უწოდებდნენ „ძველ ქართლის ცხოვრებას“ გასარჩევად „ახალი ქართლის ცხოვრებისაგან“, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა ისტორიკოსების თხზულებათაგან შედგებოდა და XIV—XVIII სს. ისტორიას გადმოგვცემდა.

§ 2. **„ძველი ქართლის ცხოვრება“.** ამრიგად, „ძველი ქართლის ცხოვრება“ შეიცავდა იმ ქართულ საისტორიო თხზულებებს, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ამბებს უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე. ეს თხზულებები თავის დროზე არსებობდა როგორც ცალკე მონოგრაფიები ქართველთა ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდის შესახებ, მაგრამ, მის შემდეგ რაც ისინი შეეიდნენ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილებად, მოხდა ზოგიერთი ცვლილება ამ თხზულებათა ტექსტში: როდესაც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორები აერთიანებდნენ ამ თხზულებებს ერთ კრებულად, მათ შენიშნეს, რომ ზოგჯერ ერთი თხზულების ბოლოში აღწერილი იყო ის ამბები, რომლებითაც იწყებოდა მომდევნო თხზულება; ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებმა კრებულისათვის ერთიანი სახის მისაცემად ზოგიერთ თხზულებას ბოლო მოჰკვეცეს, ზოგიერთს თავი მოაცილეს. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათა სათაურები ზოგჯერ არც კი ვიცით, არ ვიცით ზოგჯერ აგრეთვე ზოგიერთი ამ თხზულების ავტორის ვინაობაც (ავტორის ვინაობა ან თავში იქნებოდა მოხსენებული, ან თხზულების ბოლოში). თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას უხდება კვლევა-ძიების წარმოება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყვნენ ამ თხზულებათა ავტორები, ან რა ეწოდებოდა ამა თუ იმ, „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ, საისტორიო ძეგლს.

„ძველს ქართლის ცხოვრებაში“ შესულია შემდეგი თხზულებები:

1) „ცხორება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ძეგლი მოგვითხრობს ქართველთა თავგადასავალს უძველესი დროიდან V საუკუნემდე, მირდატ IV-ის მეფობამდე [1]. ავტორი — ლეონტი მროველი [2].

2) „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“. ძეგლი შეიცავს საქართველოს ისტორიას V საუკუნიდან (არჩილ I-ის მეფო-

[1] ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 1—88.

[2] ეს ძეგლი, პ. ინგოროყვას აზრით, ძირითადში ეკუთვნის ლეონტი მროველს, ხოლო ერთი ნაწილი ძეგლისა, რომელიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, შემდეგ არის ინტერპოლირებული სხვა ავტორის (იოანე დეკანოზის) მიერ.

ბიდან) VIII საუკუნემდე (არჩილ II-ის მეფობამდე)[1]. ავტორი — ჯუანშერი[2].

3) „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“ (ავტორი — ლეონტი მროველი)[3].

4) მატიანჱ ქართლისაჲ“. ეს თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI საუკუნემდე (გიორგი II-ის მეფობამდე)[4]. ავტორი ამ თხზულებისა ცნობილი არაა[5].

5) „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (უცნობი ავტორისა); შეიცავს დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიას[6].

6) „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (ავტორი — სუმბატ დავითის ძე); შეიცავს ბაგრატონიანთა გვარის ქართველი მეფეების თავგადასავლის აღწერილობას VI საუკუნის ბოლოდან XI საუკუნემდე, გუარამ კურაპალატიდან ბაგრატ I-ის მეფობამდე.

---

[1] ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 89—156.

[2] იხ. ჯავახიშვილის აზრით (l. c. 127—134) ეს თხზულება მთლიანად ჯუანშერს ეკუთვნის. სხვა მკვლევართა აზრით (თ. ჟორდანია l. c. გვ. XXXIV—XXXVIII, პ. ინგოროყვა op. c. 212), ეს ძეგლი ორი თხზულებისაგან შედგება. ამათგან ჯუანშერს ეკუთვნის მხოლოდ მეორე ნაწილი ძეგლისა („წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვახტანგ მეფისითგან ვიდრე არჩილ მეფისადმდე“). რაც შეეხება პირველ ნაწილს („ჰამბავი ვახტანგ გორგასალისა»), იგი, პ. ინგოროყვას აზრით (op. c. 207), იმ უცნობი ავტორისაა, რომელიც წარმოშობით უჯარმელი უნდა იყოს. ხოლო კ. კეკელიძის აზრით (ქართული ლიტერატურის ისტორია I², გვ. 214) პირველი ნაწილი, „ვახტანგ გორგასალის ცხოვრება“. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ გაგრძელებას წარმოადგენს.

[3] ჩვენი გამოცემის გვ. გვ 157—159.

[4] ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 160—199.

[5] იხ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ „მატიანჱ ქართლისაჲ“ თავდაპირველად, ალბათ, ბაგრატ IV-ის სიკვდილით თავდებოდა და გიორგი II-ის ისტორია იქ არ შედიოდა. მისივე აზრით გიორგი II-ის მეფობა შეიძლება მომდევნო თხზულებაში, დავით აღმაშენებლის ისტორიაში, იყო აღწერილი: დავითის ისტორიკოსს შესავლის სახით აღუწერია დავითის მამის (გიორგის II-ის) მეკობაო (l. c. 145).

პ. ინგოროყვას აზრით ეს ძეგლი სამ თხზულებას შეიცავს: 1) მატიანე ქართლისაჲ (არჩილ მეფიდან ბაგრატ III-მდე); 2) გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ისტორია; 3) გიორგი II-ის ისტორია.

თ. ჟორდანიას აზრით (l. c. XXXVIII—XLIII) ამ ძეგლში ოთხი თუ არა სამი თხზულება მაინც უნდა იყოს: 1) არჩილის მეფობიდან გიორგი აღწეფლამდე (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 160—168); 2) გიორგის მეფობიდან ბაგრატ III-მდე (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 168—176); 3) გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ისტორია (ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 178—197), რომელშიაც შეიძლება შედიოდეს გიორგი II-ის ისტორიის პირველი ნაწილიც (ჩვ. გამ. გვ. გვ. 197—199).

[6] ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 200—235.

7) თამარ მეფის ისტორია (უცნობი ავტორებისა)[1].

8) ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება (ავტორი უცნობია); შეიცავს XII—XIII საუკუნეების მოკლე ისტორიას, დემეტრე I-ის გამეფებიდან ლაშა-გიორგის გარდაცვალებამდე (1125—1222 წწ.)[2].

9) ჟამთააღმწერლის თხზულება (ავტორი უცნობია); შეიცავს საქართველოს ისტორიას ლაშა-გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალემდე.

ასეთია „ძველი ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა. მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში როდი მოიპოვება ყველა ეს თხზულება: „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენილობას ერთგვაროვნება მტკიცედ დაცული ჰქონია მხოლოდ პირველი ხუთი თხზულების ფარგლებში (ლეონტი მროველის „ცხორება ქართ. მეფეთა და...“, ჯუანშერის „ცხორება ვახტანგ გორგასლისა“, არჩილის წამება, მატიანე ქართლისა, დავით აღმაშენებლის ისტორია); დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ კი „ქართლის ცხოვრების“ შევსება სხვადასხვა გზით წასულა[3]. ასე, მაგალითად:

1) XV საუკუნის ანა დედოფლისეულ ხელნაწერში დავით აღმაშენებლის ისტორიას მოსდევს მოკლე ისტორია დემეტრე I-ისა, გიორგი III-ისა, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგისა;

2) XVII საუკუნის მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერში დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ მოთავსებულია სუმბატ დავითის ძის „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) და ჟამთააღმწერლის თხზულება;

3) „ქართლის ცხოვრების“ XVI—XVII საუკუნის ვარიანტში,

[1] თამარ მეფის ისტორიისათვის ცნობილია ორი ძეგლი: ერთია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ხოლო მეორე—„ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“. მეორე ძეგლის ავტორად ივ. ჯავახიშვილი თვლის ბასილი ეზოს-მოძღვარს, ხოლო პირველი ძეგლის ავტორებად მკვლევარნი ასახელებენ ანტონ ჴყონდიდელს (თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. L), სარგის პირველ თმოგველს (პ. ინგოროყვა. ჩახრუხაისძე: „კავკასიონი“ 1924 წ. № 1—2, გვ. 277), მანდატურთუხუცესს ჭიაბურს (ს. კაკაბაძე. საისტორიო მოამბე 1924 წ. I, გვ. 287) და ვინმე არსენ იშხნელს (ქ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ. 1941, გვ. 20—24). გარდა ამისა: მკვლევართა უმრავლესობა ამ ძეგლში განასხვავებს ორს, სხვადასხვა დროს (და, პ. ინგოროყვას აზრით, სხვადასხვა პირის მიერ) დაწერილ თხზულებას.

[2] ჩვენი გამოცემის გვ. გვ. 237—245.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება... თბ. უნივ. მოამბე, III (1923), გვ. 200.

რომელიც შემონახულია ე. წ. ჰალაშვილისეულ ხელნაწერში, დაყით აღმაშენებლის ისტორიას მოსდევს თამარ მეფის ისტორია, ხოლო არა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერშია, არამედ სხვა, ბასილი ეზოს-მოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.

§ 3. **„ახალი ქართლის ცხოვრება“**. ზემოთ მოყვანილი სია გვიჩვენებს, რომ „ქართლის ცხოვრება“ გიორგი ბრწყინვალის მეფობის დასაწყისით (XIV საუკუნის დასაწყისით) თავდებოდა და ამის შემდგომი ამბები იქ აღწერილი არ ყოფილა. ამ სახით იყო ცნობილი „ქართლის ცხოვრების“ კრებული XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოს განათლებულმა წრეებმა ყურადღება მიაქციეს იმ სავალალო მდგომარეობას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ XIV საუკუნის შემდგომი ისტორია არ მოიპოვებოდა. ამ ნაკლის შევსება უკისრია ვახტანგ VI-ს, რომელსაც შეუკრებია სწავლული კაცები და მათთვის დაუვალებია „ქართლის ცხოვრებაში“ აუწერელი ამბები „შეეთხზათ“ [1].

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელ ხელნაწერებში მოიპოვება ვახტანგ მეფის სახელით გადმოცემული შემდეგი წინასიტყვა:

რუმიანცევის მუზეუმის ხელნაწერში

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ყამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულ იყო. ხოლო მე მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევჰკრიბენ სწავლულნი კაცნი, და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხუათა ენათაგანცა გამოვიღეთ და ესრეთ შევთხზენით და აღვსწერეთ (Оп. II, 10).

სხვა ხელნაწერებში

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ყამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყვნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ყამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისაძან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაები [2] პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი. გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო, განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელ[3] მე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გაპოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს [3] (Оп. II, 38).

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა (თბ. 1916), გვ. 273, და მისივე რედაქციით გამოცემული „ახალი ქართლის ცხოვრება“ (თბ. 1940), გვ. V—VI.

[2] ვარიანტი: ქართლის ცხოვრება.—[3] ვარიანტი: აღწერნეს (თ ე ი მ.), აღწერეს.

ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ვახტანგის სწავლულ კაცებს შეუგროვებიათ „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხა, გამოუყენებიათ სხვადასხვა გუჯრები და თხზულებები, როგორც ქართული ისე უცხოური, და ისე „შეუთხზავთ და აღუწერიათ“. თუ რა აღუწერიათ მათ, ამის პასუხს იძლევიან „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში (სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა შედგენილობით) XIV—XVII საუკუნეთა ისტორიისათვის შეტანილია შემდეგი ძეგლები:

1) ისტორია 1393 წლიდან 1696 წლამდე;

2) უსათაურო ისტორია, 1453 წლამდე მიტანილი;

3) „ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა“ (შეიცავს 1452—1605 წლების ისტორიას);

4) „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“ (შეიცავს 1373—1 03 წლების ისტორიას).

როგორც გამოარკვია ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, ამ ოთხი ძეგლიდან ვახტანგის სწავლულ კაცთა ნამუშავარია მხოლოდ პირველი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს კოლექტიურ ნაშრომს, შედგენილს ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით[1]. რაც შეეხება დახარჩენ სამს, ისინი სხვა, ინდივიდუალურ ავტორთა თხზულებებს წარმოადგენენ და დაწერილი არიან ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ შესწორებისა და გადაკეთების მიზნით. მაშასადამე, „ქართლის ცხოვრების“ შევსებასა და გაგრძელებაზე (ე. ი. „ახალი ქართლის ცხოვრების“ შედგენაზე), უმუშავიათ სხვადასხვა მოღვაწეებს, როგორც კოლექტიურად ისე ინდივიდუალურად.

§ 4. „ქართლის ცხოვრების“ რედაქციები. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში მოთავსებული, ვახტანგ მეფის სახელით გადმოცემული, წინასიტყვიდან თავის დროზე (ამ ერთი საუკუნის წინათ) მეცნიერებმა (თეიმურაზ ბატონიშვილმა, მ. ბროსემ და სხვებმა) ის დასკვნა გამოიტანეს, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად ვახტანგის სწავლულ კაცებს შეედგინოთ,

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 271; მისივე, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორეადმდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება: თბ. უნივ. მოამბე, III (1923), გვ. 1'0; მისივე, ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1940, გვ. XII.

თითქოს, მაშასადამე, ვახტანგ VI-მდე „ქართლის ცხოვრება“ არ არსებულიყოს [1].

ამ მცდარი აზრის გამოთქმა, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად ვახტანგის სწავლულ კაცებს შეედგინოთ, შესაძლებელი იყო ორი მიზეზის გამო.

1. ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვის ორი ვარიანტი, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ (იხ. ზემოთ გვ. XXI), სხვადასხვანაირად გადმოგვცემს საქმის ვითარებას: პირველი მათგანით (რუმიანცევის ხელნაწერში რომ არის) ვახტანგის სწავლულ კაცებს, მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ შ ე თ ხ ზ ვ ა და ა ღ წ ე რ ა მიეკუთვნება, მაგრამ მკვლევარებმა ყალბად გაიგეს ეს ადგილი და იგულისხმეს, რომ სწავლულმა კაცებმა მ თ ე ლ ი „ქართლის ცხოვრება“ შეადგინეს, იმ დროს როდესაც ამ წინასიტყვის მიხედვით მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ სწავლულმა კაცებმა მხოლოდ XIV საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია აღწერეს. მეორე ვარიანტი კი, სხვა ხელნაწერებში შემონახული, ვახტანგის სწავლულ კაცებს მიაწერს ორგვარი მუშაობის შესრულებას: ერთი მხრით შემოწმებასა და შესწორებას, ხოლო მეორე მხრით აღწერას.

როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ვახტანგის სწავლულ კაცთა ამოცანა შემდეგი იყო: რადგან მათ განკარგულებაში არსებულ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში საქართველოს ისტორია ბოლომდე კი აღარ ყოფილა აღწერილი, არამედ მხოლოდ XIV საუკუნემდე (გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე), ამიტომ მათ შეუგროვებიათ სხვადასხვა თხზულებები და გუჯრები, როგორც ქართული ისე უცხოური, და ამათი საშუალებით „შეუთხზავთ“ და „აღუწერიათ“ XIV—XVII საუკუნების ისტორია (ე. ი. შეუდგენიათ „ა ხ ა ლ ი ქართლის ცხოვრება“). ამ მუშაობის შესახებ მოგვითხრობს ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვის პირველი (რუმიანცევისეული) ვარიანტი.

---

[1] შემდეგში ეს აზრი თვით მ. ბ რ ო ს ე მ უარყო: მის შემდეგ რაც მან დეტალურად შეისწავლა „ქართლის ცხოვრება“ და, განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც მან აღმოაჩინა XII საუკუნეში ქართულიდან სომხურად გადათარგმნილი „ქართლის ცხოვრება“, ის იმ დასკვნას დაადგა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის სწავლულ კაცებს კი არ შეუდგენიათ, არამედ ის დიდი ხნის წინათ არსებობდა; ხოლო ვახტანგის სწავლულ კაცებს ის შეუმოწმებიათ და შეუვსიათ. ამის შესახებ იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, გვ. III; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание II, 39 შმდ.; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. VI—VII.

მაგრამ XVIII ს. სწავლულ კაცებს სხვაგვარი მუშაობაც შეუსრულებიათ. მათ ხელთ არსებულ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში არა თუ აღარ მოიპოვებოდა XIV საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია, რომელიც დროთა ვითარებაში აღარ უწერიათ (‹ეამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო›), არამედ ძველი ისტორიაც (XIV საუკუნემდე) «განრყვნილად» ყოფილა გადმოცემული, ‹მწერალთა (ე. ი. გადამწერთა) მიერ» ყოფილა დამახინჯებული. ამიტომ სწავლულ კაცებს შეუგროვებიათ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები, რაც კი არსებობდა, მეორე მხრით— გუჯრები და სომეხთა და სპარსთა ისტორიული წიგნები, და რაც „ქართლის ცხოვრებაში“ დამახინჯებული ყოფილა, ის შეუსწორებიათ („გაუმართავთ“), ხოლო ის, რაც XIV საუკუნის შემდეგ აკლდა, აღუწერიათ (ე. ი. დაუწერიათ). სწავლულ კაცთა ამ ორგვარი მუშაობის შესახებ გადმოგვცემს ვახტანგის წინასიტყვის მეორე ვარიანტი.

2. მეორე მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნის მეცნიერებმა ვახტანგის სწავლულ კაცებს მიაწერეს მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ შედგენა, იყო ის გარემოება, რომ 1885 წლამდე ცნობილი იყო „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ვახტანგის შემდეგდროინდელი, XVIII საუკუნის, ხელნაწერები; არც ერთი ხელნაწერი, ვახტანგის წინადროინდელი, ცნობილი არ იყო.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაში არსებული ხელნაწერებით წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ ო რ ი ძირითადი რედაქცია.

პ ი რ ვ ე ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა „ქართლის ცხოვრებისა“ წარმოდგენილია იმ ხელნაწერებით, რომლებშიაც შემონახულია ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ ხელუხლებელი ტექსტი ძველი „ქართლის ცხოვრებისა“; ეს არის ვახტანგის წინადროინდელი რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“.

მ ე ო რ ე რ ე დ ა ქ ც ი ა „ქართლის ცხოვრებისა“ წარმოდგენილია იმ ხელნაწერებით, რომლებშიაც მოიპოვება ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შესწორებული და შევსებული ტექსტი „ქართლის ცხოვრებისა“. ეს არის ვახტანგისეული რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“. ამ რედაქციაში შედის როგორც „ძველი ქართლის ცხოვრება“, ისე „ახალი ქართლის ცხოვრება“.

§ ბ. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინადროინდელი რედაქცია. დღეს ჩვენს განკარგულებაშია ვახტანგის წინადროინდელი რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ ს ა მ ი ნ უ ს ხ ა: 1) ანასეული, 2) ჭალაშვილისეული და 3) მარიამისეული.

1. ანასეული ნუსხა „ძველი ქართლის ცხოვრებისა“ (ანუ „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“) ეწოდება იმ ნუსხას, რომელიც აღმოჩენილ იქმნა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1913 წელს და რომელიც წინამდებარე გამოცემის საგანს შეადგენს.

ანასეული „ქართლის ცხოვრება“ გადაწერილია კახთა მეფის ალექსანდრეს მეუღლის, ანა დედოფლის, ბრძანებით 1479—1495 წლებში. ანასეული ნუსხა შეიცავს ზემოთ § 2-ში დასახელებულ „ძველი ქართლის ცხოვრების“ თხზულებათაგან:

ა) პირველ ხუთ ძეგლს (საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე) და

ბ) ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებას (დემეტრე I-ის, დავით III-ის, გიორგი III-ის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის მოკლე ისტორიას).

2. ჭალაშვილისეული ნუსხა „ძველი ქართლის ცხოვრებისა“ აღმოჩენილ იქმნა აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს. ეს ნუსხა შემონახულია იმ ხელნაწერში (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № Q—207), რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ძველი ნაწილი, რომელიც XVI—XVII საუკუნეშია გადაწერილი; მეორე ნაწილი (ისევე როგორც პირველი ნაწილის დანაკლისი 5 რვეული) გადაწერილია 1731 წელს ერაჯ ჭალაშვილის მიერ [1].

ხელნაწერის პირველი ნაწილი შეიცავს „ძველი ქართლის ცხოვრების“ შემდეგს, ზემოთ § 2-ში დასახელებულ თხზულებებს:

ა) პირველ ხუთ ძეგლს,

ბ) დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის ისეთსავე ტექსტს, როგორიც ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაშია, და

გ) თამარ-მეფის ისტორიას (ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულებას „ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ხოლო არა მთლიანად, არამედ პირველ ნაწილს, რადგან ხელნაწერის ეს ძველი ნაწილი დეფექტურია და თამარის ისტორიკოსის თხზულების თითქმის შუაზე წყდება).

რადგან ხელნაწერის ძველი ნაწილი თამარის ისტორიკოსის თხზულებაზე წყდება, ძნელია იმის თქმა, თუ ზემოდასახელებული თხზულებების გარდა კიდევ რა ძეგლებს შეიცავდა „ქართლის ცხოვრების“ ეს ნუსხა: ხელნაწერის მეორე, 1731 წელს გადა-

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე III (1923), გვ. 186—216; მისივე, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი 1940, წინასიტყვაობა.

წერილ, ნაწილში „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი გაგრძელებულია ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებული რედაქციით.

3. მარიამისეული ნუსხა ეწოდება „ქართლის ცხოვრების“ იმ ხელნაწერს, რომელიც აღმოჩენილ იქმნა 1885 წელს დ. ბაქრაძის მიერ. იგი მოიპოვება 1638—1646 წლებში მარიამ დედოფლის ბრძანებით გადაწერილ ხელნაწერში (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № S—133) [1]. მარიამისეული ნუსხა შეიცავს ზემოთ § 2-ში დასახელებულ „ძველი ქართლის ცხოვრების“ შემდეგ თხზულებებს:

ა) პირველ ხუთ ძეგლს,

ბ) სუმბატ დავითის ძის თხზულებას „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“,

გ) თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (გიორგი III-ისა და თამარის ისტორიას) და

დ) ჟამთააღმწერლის თხზულებას [2].

§ 6. **„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია.** ვრცელი და საფუძვლიანი მიმოხილვა „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებისა, რომლებიც ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ ჩატარებული რედაქციული მუშაობის შედეგად არის მიღებული, მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს (Описание II, 34—114). ამ ნუსხებში მოიპოვება როგორც „ძველი ქართლის ცხოვრების“, ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ შემცველი თხზულებები.

ე. თაყაიშვილის გამოკვლევით ყველა ამ ნუსხას ახასიათებს:

1) ტექსტის დაყოფა თავებად მეფობათა მიხედვით,

2) „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება-შევსება,

3) დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის ჩართვა,

4) ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვა,

5) „ქართლის ცხოვრების“ შევსება XIV—XVII საუკუნეთა ისტორიით (ამა თუ იმ სახით).

ე. თაყაიშვილის გამოკვლევა 1906 წელსაა დაწერილი; მაშინ ვახტანგის წინადროინდელი რედაქციის მხოლოდ ერთი ვარიანტი (მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“) იყო ცნო-

[1] ხელნაწერის აღწერა იხ. Е. Такайшвили, Описание II, 27—114. მარიამისეული ნუსხა გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ (ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, თბილისი 1906. გვ. 993).

[2] „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტი წარმოდგენილია აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ვერსიაში, რომელიც თარგმნილია ქართულიდან სომხურად XII საუკუნეში (შეიცავს „ძველი ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ ტექსტს: მოყვანილია დავით აღმაშენებლის მეფობამდე). იხ. Brosset, Additions 1—61; ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე: „სომხეთის «მატენადარანისა» მასალათა კრებული“, გვ. 31—40, ერევანი 1942.

ბილი, და, ამრიგად, ე. ჴ. ვახტანგისეული კომისიის ნამუშავრის შეფასება მხოლოდ ამ ვარიანტთან შედარებით შეიძლებოდა: რაც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგ-დროინდელ ნუსხებში მოიპოვებოდა და მარიამისეულში არ იყო, ის მიჩნეული იყო ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შემოტანილ დამატებად და შესწორებად. 1906 წლის შემდეგ:

1) აღმოჩენილ იქმნა (1913 წელს) XV საუკუნეში გადაწერილი „ანასეული ქართლის ცხოვრება“, რომლის ზოგადი დახასიათება (და ნაწილობრივ შედარება ვახტანგისეული რედაქციის ვარიანტებთან) მოგვცა ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ [1];

2) აღმოჩენილ იქმნა (1923 წელს) ჰალაშვილისეული „ქართლის ცხოვრება“, რომლის ერთი ნაწილი აგრეთვე ვახტანგის წინადროინდელი „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტს შეიცავს; გარდა ამისა

3) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ჩვენ შეგვხვდა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნუსხა (№ H—2135), რომელიც დღემდე არავის გამოუყენებია „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტთა მიმოხილვაში და რომელიც ზოგიერთი საკითხისათვის ახალ მასალას იძლევა („ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხას ჩვენ ვუწოდებთ „მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ე უ ლ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს“).

§ 7. მაჩაბლისეული „ქართლის ცხოვრება“. 1942 წლის ზაფხულის თვეებში საქართველოს მუზეუმში „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებზე მუშაობის დროს, როდესაც ჩვენ ვეძებდით ვახტანგისეული რედაქციის ვარიანტთა შემცველ უძველეს ხელნაწერებს, ე. წ. თეიმურაზისეულსა და რუმიანცევისეულს, რომლებიც 1923 წლამდე ლენინგრადისა და მოსკოვის სიძველეთ-საცავებში იყო, ხოლო ჩვენ საქართველოში დაბრუნებულებად გვეგულებოდა 1923 წელს ჩამოტანილ ნივთებთან ერთად, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში ვნახეთ რუმიანცევისეული ხელნაწერი (№ H—2080), და, რადგან თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრება“ ვერ ვიპოვეთ (იგი, როგორც ჩანს, ლენინგრადში იქმნა დატოვებული და მეცნიერებათა აკადემიის საარხიო მუზეუმში ინახება დღესაც), ჩვენ თავიდან ბოლომდე გადავსინჯეთ სია რუსეთიდან 1923 წელს ჩამოტანილი ხელნაწერებისა: სიაში 2135 ნომრის ქვეშ აღნიშნული იყო „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი[2]. ამ ხელნაწერის გადასინჯვამ დაგვარწმუნა,

[1] იხილებება წინამდებარე გამოცემაში. იხ. ზემოთ გვ. IX—XIV.

[2] იგი 1923 წლამდე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფილა დაცული.

რომ იგი შეიცავდა ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ აქამდე უცნობ ვარიანტს და, რადგან მისი აღწერა ვერსად ვიპოვეთ და სპეციალურ ლიტერატურაში მისი გამოყენება არსად ჩანს, ამიტომ აქვე ვიძლევით მის შესახებ ცნობებს, რომლებიც ჩვენ ხელნაწერის გადასინჯვის პირველ ღღესვე ჩავინიშნეთ.

1. ხელნაწერი გადაწერილია 1736 წელს გიორგი მაჩაბლის მიერ. ამას ადასტურებენ გადამწერის ანდერძი და ტექსტში ჩართული შენიშვნები:

ა) ხელნაწერის 665 გვერდზე, ჟამთააღმწერლის თხზულების უკანასკნელი სიტყვების შემდეგ (‹ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკუირველისა და საშინელისა თქმად› იხ. მარიამ. ქ. ცხ. გვ. 932), იქვე სტრიქონში სწერია:

„ეე ფრიად ცოდვილი გიორგი მაჩაბელმან დავწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება. დიაღ ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი. ამის მეტი არ ეწერა. მოსკოვის ქალაქს დაიწერა ქრისტეს აქეთ ათ[ა]ს შვიდას ოცდა თექვსმეტს 1736, დასაბამითგან შვიდი ათას ორას ორმოცდა ოთხს 7244“[1].

ბ) ხელნაწერის 95 გვერდზე: ‹ღმერთო მშვიდობაში მოაკმარე გიორგის ამილღანბარის შვილს მაჩაბელს›.

გ) ხელნაწერის 100 გვერდზე: ‹გიორგი მაჩაბელს ღმერთო მიეც შეწეუნა შენი წერისათვის თუისისა›.

2. ხელნაწერი შეიცავს „ძველსა“ და „ახალს“ ქართლის ცხოვრებას. ამ ხელნაწერში შეტანილია:

ა) „ძველი ქართლის ცხოვრების“ თხზულებები, რომლებსაც უჭირავთ ხელნაწერის 36—665 გვერდები;

ბ) „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომლის ტექსტი უშუალოდ მოსდევს გადამწერის ანდერძს, 665 გვერდზე რომ არის ჩართული (იხ. ზემოთ მოყვანილი ანდერძი გიორგი მაჩაბლისა).

3. ხელნაწერი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ვარიანტის შემცველია. რომ მაჩაბლისეული ხელნაწერი სწავლულ კაცთა მუშაობის შედეგად მიღებულ „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს, ამას ადასტურებს ის, რომ მასში მოიპოვება ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასი-

---

[1] შემდეგ ეს ხელნაწერი წილკნელი მიტროპოლიტის ქრისტეფორეს ხელში ყოფილა. პირველი დაუწერელი ფურცლის (ფორზაცის) უკანა გვერდზე მინაწერია: ‹წელსა ჩღჲა (1761) სექდენბრის კდ მოველ საქართველოდამ სამეუფოს ქალაქს მოსკოვს ჩვენ წილკნელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე, ძე მუხრანის ბატონის ლეონის. მაშინ ვიყავ წლისა მხ›.

ტყვა (მისი მეორე, ვრცელი სახით; იხ. ზემოთ გვ. XXI). გარდა ამისა 109 გვერდზე არის ჩანაწერი: «ღმერთო აკურთხე მეფე ვახტანგ ღეგრძელობითა».

ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ეს ვარიანტი საგრძნობლად განსხვავდება იმავე რედაქციის სხვა ვარიანტებისაგან. სახელდობრ:

ა) „ძველი ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ტექსტი წარმოდგენილია იმ სახით, როგორც ის ვახტანგის წინადროინდელი რედაქციის ვარიანტებშია, ე. ი. ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შეტანილი დამატებები, ჩანართები და შესწორებები მაჩაბლისეულ ხელნაწერში არ მოიპოვება[1].

ბ) სუმბატ დავითის ძის „ცხორება და უწყება“ შეტანილია აქ თავიდან ბოლომდე, დაწყებული სათაურით და გათავებული სიტყვებით «წესისაებრ სახელისა» (იხ. მარიამ. ქ. ცხ. ე. თაყაიშვილის გამოც. გვ. 336—361)[2].

გ) თამარ მეფის ისტორია მოცემულია შერეული სახით: გადამწერს დაუწყია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებით («ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი»), განუგრძვია მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოს-მოძღვრის, თხზულებით («ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი»), მაგრამ რამდენიმე ფურცლის შემდეგ კვლავ პირველი ისტორიკოსის თხზულებას დაბრუნებია[3].

---

[1] შედარება თავიდან ბოლომდე არ ჩაგვიტარებია, რადგან ეს ხელნაწერი ჩვენ ხელთ ერთ ხანოლოდ ერთი დღის განმავლობაში, მაგრამ რამდენიმე ათეული ადგილი, ჩვენ მიერ შედარებული, ამ დებულებას ადასტურებს.

[2] როგორც ცნობილია, ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ არც ერთ ნუსხაში სუმბატის თხზულების ტექსტი მთლიანად არ მოიპოვება.

[3] მაჩაბლისეულ „ქართლის ცხოვრებაზე“ უმუშავია დოც. ილია აბულაძეს, რომელსაც ამ ხელნაწერში მოთავსებული „თამარის ისტორიის“ შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები აღმოუჩენდა. ი. აბულაძეს წერილობით მოგვაწოდა შემდეგი თავისი შენიშვნები:

„გიორგი მაჩაბლის ხელნაწერში თამარის ისტორიის მომთხრობ თავს მიუძღვის წინ შესავალი, რომელიც აღებულია «ისტორიათა და აზმათაგან» იმავე სათაურით, როგორც მარიამ დედოფლისეულ «ქართლის ცხოვრებასაც» აქვს (ე. თაყაიშვილის გამოც. გვ. 362). ეს შესავალი მოყვანილია სიტყვებამდის: «აღჭურნა მკლავნიცა მუსრვად ნოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მომადიანთა» (ე. თაყაიშვილის გამოც. გვ. 366,9). ამის შემდეგ ცალკე თავი იწყება (თამარის ამბების ღომთხრობი), რომლის სათაური ივარეა რაც თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებისა: «დაჯდა ნებითა ღ[მრთისაჲთ]ა თამარ მეფედ...» (საქ. მუზ. ხელნაწერი Q—207, გვ. 253 r). სათაურთან ერთად

4. მაჩაბლისეული ნუსხა ახლოსა დგას მარიამისეულ ნუსხასთან. ეს ხელნაწერი „ძველი ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ფარგლებში ახლო ნათესაობას იჩენს მარიამისეულ ხელნაწერთან.

ა. მაჩაბლისეულ ხელნაწერში მეორდება მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული კითხვა-სხვაობანი; მეორდება იგივე შეცდომები, რომლებიც მარიამისეულ ხელნაწერშია. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

1) მაჩაბ. გვ. 178; M 294

ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა მეფისა, მშობელთა და შემდგომად თვით მის დიდისა და ღმრთის მსახურისა მეფისა, რომელი უმეტეს სხვათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა.

B

ამბავი ვახტანგ გურგასლის მშობელთა, და შემდგომად თჳთ მისი, დიდისა მის და ღჳთის-მსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად კაცთაგან განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქარ[illegible]ველთასა.

2) მაჩაბ. გვ. 271

არჩილის წამება და მეფეთ ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან დედას ასეთნი ეწერა[1].

M 432

არჩილის წამება და მეფეთა ცხო[illegible]რება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველამან დედასა ასეთნი ეწერა.

3) მაჩაბ. გვ. 276

წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელი ჯამთა შლილობით ჯერისაებრ ვერავის აღეწერა. ხოლო წიგნი ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჯამითი ჯამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღიწერა ჯუნბერ ჯუნბერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა

M 437-438

წიგნი ეს წამებისა მისია იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელი ჯამთა შლილობით ჯერისაებრ ვერავის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჯამითი ჯამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღიწერა ჯუანბარ ჯუანბერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილის-

---

მისი მომდევნო თხრობაც აღებულია თამარის მეორე ისტორიიდან. იგი წყდება სიტყვებზე: «ხოლო იგინი წინააღუდგებოდეს, უშვილოებასა მოაკსენებდეს (Q—207, გვ. 258 რ). ამის შემდეგ კვლავ პირველი ისტორიიდან, ე. ი. «ისტორიათა და ახმათაგან», ზემოთ გაწყვეტილი ტექსტი მიდის ბოლომდის და აღარსად ადგილი არ უჩანს მეორე ისტორიის გაგრძელებას. ამ ადგილს სწორედ ხელნაწერში, აშიაზე, მოიპოვება საგულისხმო მინაწერი: «ორი ქართლის ცხოვრება მქონდა, ამ ერთში თამარ მეფის ანბავი სხვა რიგად ეწერა, ამ მეორის სხვა რიგად. ორივე დავწერე. ამ რვეულმა ამიტომ გამოცვალა სიტყვა, ორ [...]». გამოცვლილია მეორე ისტორიკოსის სიტყვა, რადგან სწორედ ახალი რვეულით პირველი ისტორიკოსის ერთგან გაწყვეტილი ტექსტი გრძელდება უწყვეტლად და სიტყვა-უცვლელად ბოლომდის“.

[1] A: «... ლეონტი მრუველმან აღწერა»; თ ე ი მ ურ. ვარ.: «... ლეონტი ნროველმან აღწერა, და ახლა იოანე დეკანოზმან აღწერა». სხვა ვარიანტებში ეს შენიშვნა არ მოიპოვება.

არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძმისამან. ამიერითგან შემდგომთა ნათესავისათა აღიარონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღთივ განბრძნობილსა[1].

4) მაჩაბ. 281; M 448

და მოიღეს ოლან კურდანი.

5) მაჩაბ. 285; M 450

იყო მუნ შიგან ჰაბუკი ერთი ხალით გობრონ. ებრძოდა შიგნით გამოღმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თჳსთა თანა. და ვითარ წარიღეს ცხი, შეიბყრეს წმინდა გობრონ და აწამეს. რომლისა წამება ვრცელად აღიწერა წ[მიდ]ამან მამამა ჩუენმან სტეფანე, ტბეველმან ეპისკოპოსმან. აღიყარა მუნით და წარვიდა დუინად ქალაქად. მოვიდეს და უთხრეს, ვითარმედ სუმბატ მეფე შევიდა ციხესა კაპოლიტისასა. მსწრაფლ აღიყარა და მიუმცნო ლაშქარსა თუისსა, რათა ყოველი კაცი, რომელი პოონ ცოცხალი, გამოიყუანონ მის წინაშე. მოვიდა და მოადგა ციხესა კაპიტისასა.

6) მაჩაბ. გვ. 289; M 455

მოერთო ბურტა, ძმა კეისარ ქათალიკოზისა, გიორგი მეფესა.

7) მაჩაბ. გვ. 292; M 459

მაშინ მოუგზავნა მოციქული [დემეტრე M] მეფემან თეოდოსის და კაე ქათალიკოზი.

მან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძმისამან. ამიერითგან შემდგომთა ნათესავისათა აღიარონ ვითაცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღთივ განბრძნობილსა.

B

და მოიღეს პალან-კურტანი.

B

ხოლო იყო მუნ შიგა ჰაბუკი ერთი სახელით გობრონ. ებრძოდა შიგნით გამოღმართ დღეთა ყოველთა მოყუასთა მისთა თანა. და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდაჲ გობრონ და აწამეს. რომლისა წამება მისი აღწერა ვრცელად წმიდამან მამამან ჩუენმან სტეფანე, მტბევარმან ეპისკოპოსმან. აღიყარა მუნით და წარვიდა დვინად ქალაქად. ხოლო მუნ მოვიდეს და უთხრეს, ვითარმედ სუმბატ მეფე შევიდა ციხესა კაპოეტისასა და მსწრაფლ აღიყარა და მიმართა ციხესა მას, რომელსა შინა იყო სუმბატ, მეფე სომეხთა. და ამცნო ლაშქარსა თჳსსა, რათა ყოველი კაცი რომელი პოვონ ცოცხალი, მოიყვანონ წინაშე მისსა. და მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოეტისასა.

B

მოერთო შურტა, ძმა კჳრიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა.

B

მაშინ მოუგზავნა მოციქული დემეტრე მეფემან კჳრიკე ქორებისკოპოსსა.

ბ. ამ ორ ნუსხას შორის ნათესაობა იმ მხრივაც არსებობს, რომ მაჩაბლისეული ნუსხაც, მსგავსად მარიამისეულისა, პირდაპირ ლეონტი მროველის თხზულებით კი ირი იწყება, არამედ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებს წინ უძღვის აპოკრიფული თქმულებები ქვეყნის გაჩენის შესახებ[2]. ეს თქმულებები იწყება ხელნაწერის პირ-

[1] სხვა ნუსხები ასწორებენ ამ მცდარ წანაკითხებს: რომელ, აღწერა, ძისამან, ნათესავთა აღწერონ.

[2] შად. ე. თაყაიშვილი, Описание II, 62—63; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო ბერლობა, გვ. 120.

ველი გვერდიდანვე, ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვის შემდეგ, და უკირავს 36 გვერდი ხელნაწერისა[1].

8. მაჩაბლისეულ ხელნაწერში გადამწერის შენიშვნები ვახტანგ მეფის შესახებ და თვით გადამწერის, გიორგი მაჩაბლის, შესახებ ჩართულია იმ ადგილებში, სადაც მარიამისეულ ხელნაწერში მოიპოვება შენიშვნები მარიამ დედოფლის შესახებ:

1) მაჩაბ. გვ. 95

თავი მეოთხე. ქართლისა შესვლა სპარსთა და მეფობა მირიანისი. ღმერთო მშვიდობაში მოაკმარე გიორგის ამილღანბარის შვილს მაჩაბელს.—ხოლო ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა... (შეად. ჩვენი გამოცემის გვ. 378-10).

M 171

თავი მეოთხე. ქართლისა შესულა სპარსთა და მეფობა მირიანისი. ღმერთო აკურთხე დედოფალი მარიამ დღეთა შინა სიგრძისა მისისათა ამინ.—ხოლო ვითარ იოტეს სომეხთა და ქართუელთა...

2) მაჩაბ. გვ. 100

ხოლო აწ ვახსენოთ ცხოვრება მირიანის ძისა ქასრე არდაბირისაი. გიორგი მაჩაბელს ღმერთო მიეც შეწევნა შენი წერისათვის თუისა.—და ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა.. (შეად. ჩვ. გამოცემის გვ. 4018-10).

M 179

ხოლო აწ ვახსენოთ ცხოვრება მირიანის ძისა ქასრე არდაბირისი. დედოფალს მარიამს შეუნდოს ღმერთმან დღეგრძელობითა ამინ.—და ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართუელთა...

3) მაჩაბ. გვ. 109

მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოველისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულისა. ღმერთო აკურთხე მეფე ვახტანგ დღეგრძელობითა—პირველად უკუე ვახსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა.. (შეად. ჩვ. გამოცემის გვ. 4516-10).

M 191

მოქცევა მირიან მეფისა და მის თანაყოველისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა. ღმერთო აკურთხე დედოფალი მარიამ დღეგრძელობ[ი]თა.—პირველად უკუე ვახსენოთ ცხორება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა...

ზემოხსენებულის მიხედვით ადამიანს შეიძლებოდა ეფიქრა—ხომ არ არის მაჩაბლისეული ნუსხა მარიამისეული ნუსხიდან გადმოწერილიო. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დასკვნის გამოტანა ჯერჯერობით ნაადრევია; ამისათვის საჭიროა ეს ნუსხები თავიდან ბოლომდე იქნეს შედარებული. ხოლო ის, რაც ჩვენ დღესვე ვიცით ამ ორი ნუსხის ცალკეული ადგილების შედარებიდან, ასეთ დასკვნას

[1] ამ აპოკრიფების ტექსტი მაჩაბლისეულ ხელნაწერში იწყება სიტყვებით: «სათნო უჩნდა სიბრძნით შემოქმედსა მას ღთისა და უფლისა ჩვენისა რათა შექმნას სოფელი ეს მრავლისა სიბრძნისა...» და განსხვავდება მარიამისეულის ტექსტისგან (იხ. მარიამ დედოფლისეული ქ. ცხ. გამოცემა გვ. 786 შმდდ.).

ეწინააღმდეგება. სახელდობრ, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ორი გარემოება:

ა) ორიენ ნუსხა, მართალია, ისტორიკოსთა თხზულებების წინ შეიცავს აპოკრიფულ თქმულებებს ქვეყნის გაჩენის შესახებ, მაგრამ ამ თქმულებათა ტექსტი სხვადასხვანაირია:

მაჩაბლისეული	მარიამისეული
სათნო უჩნდა სიბრძნით შემოქმედსა მას ღთისა და უფლისა ჩვენისა რათა შეჰმნას სოფელი ეს მრავლისა სიბრძნისა...	იყო დღესა პირველსა რომელ არს თავი ყოველთა დღეთა კჳრიაკე რაჟამს დაბადა ღ[თ]ნ ცა და ქუეყანა და ყოველი რა არს მას შინა... [1]

ბ) მაჩაბლისეული ნუსხის გადამწერის ანდერძიდან ჩანს, რომ ძას დედნად ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხა არჩილ მეფის ნაქონი (იხ. ზემოთ გვ. XXVIII). საფიქრებელია, რომ ამ დედნის მინაწერებში სადმე მოხსენებული იქნებოდა „არჩილი“ (ალბათ, ამ უკანასკნელის ხელრთვა იქნებოდა, როგორც ეს, ჩვეულებრივ, მოიპოვება არჩილის ნაქონ ხელნაწერებში). მარიამისეულ ხელნაწერში კი ბევრგან მოიპოვება იმის კვალი, რომ ის ვახტანგს ჰქონია ხელში (იხ. Описание II, 34—38): რომ ის არჩილის ნაქონიც ყოფილიყო, ამის კვალიც იქნებოდა; მეორე მხრით, რომ მაჩაბელს (1736 წელს) მარიამისეული ნუსხა ჰქონოდა დედნად, შეუძლებელია მას ანდერძში არ მოეხსენებია, რომ ეს დედანი ხელთ ჰქონდა ვახტანგს ჯერ კიდევ მისი ბატონიშვილობის დროს (ე. ი. 1709 წლამდე).

ზემოთქმულის მიხედვით ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ორიენ ნუსხა, მაჩაბლისეული და მარიამისეული, ერთისა და იმავე დედნიდან უნდა მომდინარეობდეს.

§ 8. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები. ამრიგად, დღეს ჩვენ გაცილებით მეტი მასალა გვაქვს იმისის თვის, რომ ვიმსჯელოთ ე. წ. ვახტანგის სწავლულ კაცთა ნამუშავრის შესახებ და შევავსოთ და შევასწოროთ ზოგი რამ ე. თაყაიშვილისა და სხვათა მიერ წამოყენებულ დებულებებში „ქართლის ცხოვრების“ შესახებ.

[1] გარდა ამისა მარიამისეულ ნუსხაში აპოკრიფებს წინ უძღვის სათაური «თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისათუის ცისა და ქუეყანისა და ადამისთუის, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუალება ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი კორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა...» (ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 786).

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები წარმოდგენილია შემდეგი, ამჟამად ცნობილი, მთავარი ხელნაწერებით:

ხელნაწერი	გადაწერის თარიღი	ფონდი და №	სად მოიპოვება მისი აღწერა
თეიმურაზისეული	1700—1705	აკად. (ლენ.)	Описание II, 47 შმდდ.
რუმიანცევისეული [1]	1709 წლამდე	H—№ 2080	Хаханов, Опис. груз. р. Румянц. музея
ჰალაშვილისეული	1731 [2]	Q—№ 207	ჯავახიშვილი, ახ. ქ. ცხ. გვ. XVII შმდდ.
მაჩაბლისეული	1736	H—№ 2135	იხ. ზემოთ გვ. XXIX შმდდ.
საეკლესიო მუზეუმისა	1748	A—№ 131	ჟორდანია, ქრ. I, გვ. VI Описание II, 21 შმდდ.
ჯანაშვილისეული	XVIII ს შუა წლები	S—№ 4730	ჯანაშვილი, ნაშრომი I. Описание II, 114 შმდდ. ჯავახიშვილი, ახ. ქ. ცხ. გვ. XIX შმდდ.
ბარათაშვილისეული	1761	S—№ 25	Описание I, 202 შმდდ.
დადიანისეული [3]	XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედი	S—№ 354	Описание I, 4 9 შმდდ.

ეს ნუსხები ერთმანეთ შორის იმით განსხვავდებიან, რომ ზოგ მათგანში წარმოდგენილია მხოლოდ „ძველი ქართლის ცხოვრება“ (დასაბამიდან XIV საუკუნემდე, გიორგი ბრწყინვალემდე), ზოგი კიდევ შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებსაც, XIV—XVII საუკუნეთა ისტორიასაც (ამა თუ იმ შედგენილობით):

1. მხოლოდ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტით არიან წარმოდგენილი: თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული და საეკლესიო მუზეუმის ნუსხები; სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვა ადგილას წყდება თხრობა:

ა) თეიმურაზისეული ნუსხა თავდება სიტყვებით: «ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკურველისა და საშინელისა თქმად.—არსებითად და დაუსაბამოსა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა. შ.». ე. ი. წყდება სწორედ იქ, სადაც წყდება მარიამისეული ხელნაწერი.

[1] აქედან არის გადაწერილი ჩუბინაშვილისეული ნუსხა (S—№ 3666). იხ. Описание II, 8 შმდდ.

[2] ამ წელს არის გადაწერილი ხელნაწერის მეორე ნაწილი. პირველი ნაწილი XVI—XVII საუკუნისაა.

[3] ეგრეთ წოდებული рукопись Мингрельской библиотеки.

(უდრის მარიამისეულს 932 გვ. [გამოცემის გვ. 785]; ჰიჰინაძის გამოც. გვ. 655).

ბ) რუმიანცევისეული ნუსხის უკანასკნელი სიტყვებია: «ისმინა ბექამან და აღიღო განძი ურიცხვი, სპერით და გაბრუნდა და ბაბერდით და ძლევა შემოსილი მობრუნდა. და მოეგებნეს კარნუ-ქალაქს მთავარნი და მოართვეს მათცა ძღვენი, ალაფი, და არცარა მათ ავნო, და ესრეთ ბრწყინვალე ძლევა მიანიჭა ღმერთმან ბექასა. და მოვიდეს შინა საქონლითა ულევეელითა» (უდრის მარიამისეულს 927 გვ. [გამოცემის გვ. 773]; ჰიჰინაძის გამოც. გვ. 643,10).

გ) საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი, რომელშიაც ბოლოში „ერთი ფურცელი ამოხეული იყო, და ორი ფურცელი წაშლილი იყო“, წყდება სიტყვებზე: «იხილეს რა სიმცრო ლაშქრისა, რ' იყუნეს შესხნი ხუთასი, ხოლო თურქნი ოცდაათი ათასნი განიხარეს და ჰგონეს ყოველთა მოწყვედა მაშინ მკედარნი სარგისისნი ზედა მიეტევნეს უშიშად თჳთ სარგის» (უდრის მარიამისეულს 925 [გამოცემის გვ. 771]; ჰიჰინაძის გამოც. გვ. 641,23).

2. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებსაც შეიცავენ: ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული, ჯანაშვილისეული, ბარათაშვილისეული და დადიანისეული ნუსხები [1].

მეორე მხრივ, ყველა ამ ნუსხას **საერთო** მხოლოდ ის აქვს, რომ:

1) ისინი გადაწერილი არიან ან ვახტანგის დროს, ან მის შემდეგ, და

2) ისინი იწყებიან ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვით («პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო.....») [2].

გარდა ამისა, ამ ნუსხების საერთო თვისებებად მიჩნეული იყო მკვლევართა მიერ: 1) ტექსტის დაყოფა თავებად მეფობათა მიხედვით, 2) „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება-შევსება და 3) დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის ჩართვა (იხ. ზემოთ § 6). მაგრამ ნუსხების შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების ეს თვისებები ნაწილობრივ უკვე ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებს ჰქონდათ.

---

[1] ამავე ტიპისა არიან ფალავანდიშვილისეული და ბროსეულები ნუსხებიც, ხოლო ამათ შესახებ ჩვენ ამჟამად ხელთ არა გვაქვს საკმარო ცნობები.

[2] ეს წინასიტყვა აკლია ორ ნუსხას (საეკლესიო მუზეუმისას და ჯანაშვილისეულს), ვინაიდან ამ ნუსხების დასაწყისი რვეულები დაკარგულია.

§ 9. ტექსტის დაყოფა თავებად მეფობათა მიხედვით. ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში ისტორიკოსთა თხზულებების ტექსტი დაყოფილია თავებად: ამ დაყოფას საფუძვლად უდევს ახალი მეფის მართველობის დაწყება. მაგალითად:

ი. მეათე მეფე, ადერკი, ძე ბარტომისი, არშაკუნიანი.
ია. მეათერთმეტე მეფენი, მეორე ბარტამ და ქართამ....
იბ. მეათორმეტე მეფენი, ფარსმან და კაოს....
ლ. მეოცდაათურამეტე მეფე, ბაკური, ძე ფარსმან მეფისა, ხოსროიანი, და სხვ.

ანასეული ხელნაწერი გვიჩვენებს, რომ თავებად დაყოფა და მეფეთა სათვალავით დასათაურება უკვე ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში დაწყებულა. ასე, ანასეულ ნუსხაში უკვე მოიპოვება იმავე ადგილებში, სადაც ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებშია, წითლად დაწერილი შემდეგი სათვალავი:

271 თერთმეტი
2710 ცამეტი
3334 თექუსმეტი
345 ჩუიდმეტი
348 თურამეტი
366 ცხრამეტსა
3610 ოცსა
3621 ოცდაერთსა
3623 ოცდაორსა
3625 ოცდასამსა.

საფიქრებელია, რომ პირველიდან ათამდეც იქნებოდა სათვალავი, მაგრამ პირველი ათი მეფის ისტორიის შემცველი ტექსტი ანასეულ ხელნაწერს აკლია.

ოცდამესამე მეფეზე სათვალავი წყდება.

ტექსტის დაყოფას თავებად და დასათაურებას, როგორც ჩანს, რა-დენიმე საფეხური გამოუვლია. ანასეულ ნუსხაში მხოლოდ მეფეთა სათვალავია მოცემული სიტყვებით: თერთმეტი, ცამეტი და სხვ.; ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში კი ჯერ ასოებითაა აღნიშნული სათვალავი და აქვე რიგობითი რიცხვიცაა (ი. მეათე მეფე, ია. მეათერთმეტე მეფე და სხვ.), შემდეგ კი მეფის სახელი და სხვა. მაგრამ არის ისეთი ნუსხაც, რომელშიაც საშუალო ტიპის დასათაურებაა მოცემული. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ერთ ხელნაწერში, რომელიც ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია დაცული, სათვალავი ხშირად მხოლოდ ასოებითაა აღნიშნული, რიგითი რიცხვითი სახელი კი არ მოიპოვება.

K 179 მე მთავარი ქართლისა იოანე... [1]
K 182 მვ კურატპალატი ქართლისა აშოტ... [2]
K 185 მზ კურატპალატი ბაგრატ... [3]

ამრიგად, საფიქრებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველს რედაქტორებსვე დაბადებიათ აზრი ტექსტი დაეყოთ თავებად: ერთ-ერთ რედაქტორს მოუწერია მხოლოდ სათვალავი, უბრალო რიცხვით გამოხატული (ერთი, ორი...); შემდეგს რედაქტორებს კი მიუმატებიათ რიგითი რიცხვი, მეფის სახელი და ა. შ.

[1] B: მე. მ ე ო რ მ ო ც დ ა მ ე ხ უ თ ე მთავარი ქართლისა იოანე...

[2] B: მვ. ო რ მ ე ო ც დ ა მ ე ე ქ უ ს ე კურატპალატი ქართლისა აშოტ...

[3] ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი (K) № 441, ზომით 20½×17 სმ, მხედრული XIX საუკ. ხელით გადაწერილი, თავსა და ბოლოში ნაკლულევანია. ახალი პაგინაციით ის შეიცავს 346 ფურცელს; ძველი პაგინაციის ნაშთი ახლაც არის დარჩენილი და ახალ პირველ გვერდზე ზის „26“; მაშასადამე, თავში 25 ფურცელი ჰკლებია. ტექსტი იწყება ბარტომის მეფობით, სახელდობრ, სიტყვებით: «წინაშე ბარტომ მეფისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი...» (ჩვენი გამოცემის გვ. 236): ხოლო წყდება თამარის ისტორიკოსის სიტყვებზე: «ამა სიხარულსა შინა და შვებასა აღაზმოდეს და ემხადებოდეს დამსკვნელნი შეელისანი, და მოვიდეს და აცნობეს ათაბაგსა ნახბ ჯვნილაღმან (B: ნახჭევნიდაღმან) შეყრა და არანს მოსვლა. რამეთუ ყოვლით კერძო შეიწრდეს სპარსნი, და ღონოებამან» (უდრის ჰიპინაძის გამოც. გვ. 141ი-12).

ქუთაისის ნუსხის ტექსტი მისდევს B-ს. აღვნიშნავთ ზოგიერთ კითხვა-სხვაობას

B (მითითება ჰიპინაძის გამოცემით)	K (მითითება ქუთ. ნუსხის ფურცლებით)
ჰ 4621 ორთაგანვე (ბროსე შენიშნავს, რომ ხელნაწერებშია «ორგნითვე»)	K 1 ორგნითვე
ჰ 498 მსწრაფულ, მივიდა	K 3 მივიდა მსწრაფულ
ჰ 2276 იუსტინიანოს მეფე ბერძენთა	K 146 იუსტინიანოს კეისარი
ჰ 2278 ხასკუნთასა	K 146 სასკუნთასა
ჰ 22710 ძალითა თჳსითა	K 146 ძალითა მისითა
ჰ 22711,14 ხასკუნთა	K 146 სასკუნთა
ჰ 22712 ვედრება ბერძენთა მეფისა	K 146 ვედრება კეისრისა
ჰ 34927 მართლად ვალს	K 240 მართლიად ვალს
ჰ 36316 ფირესტე	K 262 ფარუსტე
ჰ 36317 ვესპასიანე ტიტოას-მიერნი (ბროსე შენიშნავს: ყველა ხელნაწერი იძლევა «ნეტიტოას-მიერნი»)	K 262 ვესპასიანე ტიტოას მიერნი
ჰ 40218 ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდა ექვსსა, ქრისტეს აქათ ათას ას ოთხმოც და ათექვსმეტსა	K ექვსი ათას ექვსას ვორმოც და ექვსსა, ქრისტეს აქეთ ათას ვორმოც და ექვსსა
ჰ 4238 მეორე ქმრის ამბავი	K 328 მეორე ქმარი თამარისი და ამბავი მისი
ჰ 42611 შემდგომად ამისსა მოისმა ვითარმედ	K 331 შ'დ ამისა მოისმა ხმა ვ'დ.

§ 10. „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება-შევსება. ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების რედაქტორებსვე მიაწერენ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შერყვნილი ადგილების შესწორებისა და ცალკეული ახალი ეპიზოდების შეტანის ინიციატივას. მართლაც, საკმარისია ადამიანმა შეადაროს ვახტანგის წინადროინდელი მარიამისეული ნუსხა ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებს, რომ შეამჩნიოს დიდი ტექსტუალური განსხვავება, როგორც ცალკე სიტყვების შესწორების ისე მთელი ახალი ნაკვეთების დამატების მხრით. ტექსტის შესწორების ნიმუშად საკმარისი იქნება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

M 289

მოკუდა მირდატ მეფე. და დაჯდა ძე მისი ვარაზ ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი ასული თარდატისი რევის ძმისა მირიანის ძმისწულისა, და ერთი რევისი წული ფეროზისი მირიანისვე ასულის წულისა... (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 5ნ27-ჰ0).

B (ჯიპ. გამ. 140-145)

მოკუდა მირდატ მეფე. და დაჯდა ძე მისი ვარაზ-ბაკარ. და შეირთო ცოლი, ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა, მორწმუნე და კეთილ-მოქმედი... [1] ვინათგან ესე ვარაზ-ბაქარ დაშთა უძეოდ, შეიყუარა სოფელი ესე, და მიდრკა კეთილისაგან. და შეირთო სხუაცა ცოლი, ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულისა.

ასეთი შესწორებებით სავსეა „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხები.

გარდა ასეთი შესწორებული ადგილებისა, „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხებში მოიპოვება მრავალი ვრცელი ჩანართი [2].

იმ ტექსტუალურ განსხვავებას, რომელიც არსებობს მარიამისეულსა და ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებს შორის მკვლევარნი ვახტანგის სწავლულ კაცთა მუშაობის შედეგად თვლიდნენ; დღეს კი ირკვევა, რომ ზოგიერთი კითხვა-სხვაობა, რომლებიც ახასიათებს ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებს და რომლებიც ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შემოტანილ შესწორებებად იყო მიჩნეული, ახასიათებდა ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებსაც. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება რამდენიმე მაგალითის მოყვანა.

1) „მატიანე ქართლისა“-ში ბაგრატ IV-ისა და ელენეს ქორწინების შესახებ სწერია:

---

[1] აქ ჩართულია მოთხრობა ვარაზ-ბაქარის ძის, მურვანოზის (ანუ პეტრე მაიღმელის) შესახებ.

[2] ყველა ეს ჩანართი ჩამოთვლილი აქვს ე. თაყაიშვილს (Описание II, 72 შდდ.).

M 482

(ბერძენთა მეფემ) მოსცა პატივი კურატპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატისთუი[ს] ელენე დედოფალი. მორაიწია მარიამ დედოფალ[ა] მამულსა ძისა თჳისსა, ქუეყანასა ტაოსა, მოართუა პატივი, აღუსრულა ქორწილი: უკურთხეს გჳირგჳინი ბაგრატს.

B

მოსცა პატივი კურატპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისათჳს ელენე დედოფალი; ხოლო მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თჳსისასა, ქუეყანასა ტაოსა, მოართუა პატივი, აღუსრულა ქორწილი, უკურთხეს გჳრგჳნი ბაგრატს (ჯიკინაძის გამოც. 321).

იმ დროს როდესაც მარიამისეული ნუსხა იძლევა ცნობას, რომ „გვირგვინის კურთხევა“ მოხდა ბაგრატ, B-ში ეს ცნობა არ არის: «ბაგრატ» ნაცვლად სწერია «ბაგრატს». ე. თაყაიშვილის აზრით (Описание II, 108), „ვახტანგის კომისიამ შესცვალა სიტყვა «ბაგრატ» სიტყვით «ბაგრატს» და ამით მოგვისპო ცნობა იმის შესახებ, თუ სად მოხდა ბაგრატ IV-ისა და ელენე დედოფლის ქორწინება“.

რომ „ვახტანგის კომისია“ აქ არაფერ შუაშია, ამას ამტკიცებს ანასეული ნუსხა, სადაც აგრეთვე სწერია «ბაგრატს»:

183ვ3-ვ7: მოსცა პატივი კულაპარატობისა, მოსცა ბაგრატისთუის ცოლად ელენე დედოფალი. მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თუისისა, ქუეყანასა ტაოს, მოართუა პატივი, აღასრულა ქორწილი. უკურთხნეს გუირგუინნი ბაგრატს.

2) ჯუანშერის თხზულების ბოლოში გამოთქმა «და მოუბოძა წუქეთი ციხით და კარითურთ», რომელიც M-ში არაა, ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ ჩამატებულად ითვლებოდა (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. XIV), მაგრამ ეს, M-ში გამოტოვებული, ადგილი ანასეულ ნუსხაში მოიპოვება (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 155, 31).

3) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: «და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე. და მცირედთა დღეთა განისუენა ამ თენს» (ჩვ. გამოც. გვ. 219, 29). «ამთენს» საეჭვო კითხვად იყო მიჩნეული. თუ რომელი ხელნაწერი იძლევა ამ კითხვას, არა ჩანს არც გამოცემებში და არც ხელნაწერთა აღწერილობებში: იგი მოიპოვება მხოლოდ ბროსეს გამოცემაში (მარიამისეულ ნუსხაში «ამათ ენასა», ბარათაშვილისეულში «ამ თვეს», დადიანისეულში გამოტოვებულია). რომ ეს სიტყვა, რომელიც გეოგრაფიული სახელის აღმნიშვნელად ჩანს, ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების შენაძენი არაა, ამას ადასტურებს ანასეული ნუსხა, სადაც სწერია «ამთენს» [1].

[1] შესაძლებელია იგივე გეოგრაფიული სახელი იგულისხმებოდეს შავთელთან (23,1): «აფთონს ჰბრძავს ა[მ]თენს» (შდ. H. Marr, TP IV, 101).

4) თუ რამდენად მცდარია ის აზრი, თითქოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის დამახინჯებული ადგილები პირველად ვახტანგის სწავლულმა კაცებმა შეასწორეს, ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება, დასასრულ, შემდეგი ნაწყვეტის მოყვანა:

M 522-523	B (ჰიპ. 350)	A (გამ. გვ. 206-207)
და ესრე დასრულდა ს.ხ-ლი განმამწარებთა, რამეთუ სულა უკანასკნელი რისხვისა სასჴელი ცოდვილთა ქუეყანისათა... და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კაესი აღსართან, და არა რათა მჴონებელი ნიშთა მეფობისათა. არამედ ცუნდრუკი რამე.	და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვიაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სულა უკანასკნელი რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა... და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კჳრიკესი აღსართან, და რომელსა არა-რა ჰჴონდეს ნიშანი მეფობისა, არამედ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო, უმეცრად უსამართლო.	ესრეთ დასრულდა სახლი ბაღუიანთა, სახლი განმამწარებელთა: რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა... და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კუირიკესი აღსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშანნი მეფობისანი; რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და ყოვლად უმეცრად უსამართლო.

ხაზგასმული ადგილები გვიჩვენებს, რომ B-ს ის სიტყვები, რომლებიც ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ ჩამატებულად შეიძლებოდა მიგვეჩნია, უკვე A-ში ყოფილა[1].

ამრიგად ირკვევა, რომ ის „შესწორებები“, რომლებიც ემჩნევა ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებს, შედარებით მარიამისეულ ნუსხასთან, უკვე ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებს ახასიათებდა.

იგივე უნდა ითქვას ვრცელი ჩანართების შესახებაც.

ვრცელ ჩანართთაგან XVIII საუკუნის ნუსხებში (შედარებით მარიამისეულ ნუსხასთან) მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა: 1) ქრონოლოგიური ცნობების დამატება (განსაკუთრებით დაეით აღმაშენებლის ისტორიაში), 2) პეტრე მაიუმელის ცხოვრება ლეონტი მროველის ტექსტში, 3) ათასამეტ ასურელ მამათა ცხოვრებები ჯუანშერის თხზულებაში, 4) სუმბატის „ქრონიკის“ დაშლა და მისი ნაწილების გაბნევა VI—XI საუკუნეთა ისტორიაში თავ-თავის ადგილას, 5) სკლიაროსთან თორნიკე ერისთავის ბრძოლის შესახებ ცნობები „მატიანე ქართლისა“-ში, 6) გიორგი III-ისა და თამარის ისტორიაში („ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში) ვრცელი დამატებები და ცვლილებები, და სხვა. ყველა ეს ჩანართი ვახტანგის სწავლულ

[1] ამასვე ადასტურებს ქვემოთ § 23-ში მოყვანილი შედარებითი ტაბულა, საიდანაც ჩანს, რომ B-ს მრავალი წვრილი ვარიანტი, M-ისაგან განსხვავებული, უკვე A-ში მოიპოვებოდა (იხ. ქვემოთ გვ. LXXIII შმდ.).

კაცთა ნახელარად იყო მიჩნეული. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

1. თამარ მეფის ისტორიის შევსების საკითხი. ჯერ კიდევ 1916 წელს ივ. ჯავახიშვილი წერდა თაეის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ (გვ. 165 და 171-172), რომ თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში) შეტანილი ჩანართები და ცვლილებები ჩვენთვის უცნობ ძველ წყაროს უნდა ეკუთვნოდესო, და როგორც ჩანს, თამარ მეფეს რამდენიმე ისტორიკოსი ჰყავდაო. ამაზე უფრო ადრეც, 1914 წელს დაბეჭდილს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში (გვ. 632) ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ თამარ მეფის ისტორიის ბოლოც შევსებულს „ქართლის ცხოვრებაში“ რომელისამე ძველი ქართველი მემატიანის თხზულებითგან უნდა იყოს ამოღებულიო“. მართლაც, 1923 წელს ნაპოვნ „ქართლის ცხოვრების“ ჭალაშვილისეულს ნუსხაში აღმოჩნდა თამარის მეორე ისტორიკოსის (ბასილი ეზოსმოძღვრის) ის თხზულება, რომლითაც XVIII საუკუნის ნუსხებში შევსებულია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი. მაშასადამე, ამით უკვე დამტკიცდა, რომ მცდარი იყო წინანდელ მკვლევართა აზრი იმის შესახებ, რომ „ვახტანგის კომისიამ დიდი ცვლილებები შეიტანა გიორგი III-ისა და თამარ მეფის ისტორიის ტექსტში“ (Описание II, 85). XVIII საუკუნის ცნობილ ნუსხებში (თეიმურაზისეულში, რუმიანცევისეულში, ბარათაშვილისეულსა და სხვებში) შეტანილი თამარ მეფის ისტორია წარმოადგენს თამარის ეპოქის შესახებ არსებული ორი თხზულების („ისტორიათა და აზმათა“ და ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების) შერწყმას.

დღეს, როდესაც ჩვენ შევისწავლეთ დამატებითი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების გარშემო, თამარ მეფის ისტორიის, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში შესული, ტექსტის შესახებ მეტის თქმა შეგვიძლია. თამარის ეპოქაზე არსებული საისტორიო თხზულებების შერწყმის ის სახე, რომელიც მოცემულია „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ცნობილ ნუსხებში, არ არის ერთადერთი და საბოლოო. თამარის ისტორიის შეტანას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში გამოუვლია რამდენიმე საფეხური:

ა) „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (გაერთიანებული ჟამთააღმწერლის თხზულებასთან ერთად); ასეთი სახით შეუტანიათ თამარის ისტორიჲ მარიამისეულს ნუსხაში;

ბ) ბასილი ეზოს-მოძღვრის „ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი“; მხოლოდ ასეთი ისტორია თამარის ეპოქისა შეუტანიათ ჭალაშვილისეულს ნუსხაში;

გ) „ისტორიათა და აზმათა“ შესავალი, ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების სამი დასაწყისი ფურცელი და „ისტორიანი და აზმანი“ სრულად; ასეთი სახით შეურწყამს თამარის ორი ისტორია მაჩაბლისეულ ნუსხას (ამაზე იხ. ზემოთ გვ. XXIX—XXX);

დ) ძირითადად „ისტორიანი და აზმანი“, ხოლო შიგა და შიგ ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების შერწყმა თამარის მეფობის შუა წლებამდე; მეორე ნახევარში კი „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის უცვლელად შეტანა; ამ სახით არის წარმოდგენილი თამარის ისტორია თეიმურაზისეულ ნუსხაში; დასასრულ,

ე) ძირითადად „ისტორიანი და აზმანი“, ხოლო შიგა და შიგ ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების შერწყმა თამარის მთელი ისტორიის ფარგლებში; ასეთი სახე აქვს თამარის ისტორიას რუმიანცევისეულში, ბარათიშვილისეულსა და სხვა ნუსხებში.

ამრიგად, იმ საკითხზე, თუ რა სახით შეეტანათ თამარის ისტორია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, ქართველ მეცნიერთ უფიქრიათ ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე, და თვით XVIII საუკუნეშიაც სხვადასხვა აზრი არსებულა ამის შესახებ: ა) XVIII საუკუნემდე თამარის ეპოქის აღწერის ორი სახეა მოცემული (მარიამისეულსა და ჭალაშვილისეულში); ბ) ხოლო XVIII საუკუნეში—სამი სახე (მაჩაბლისეულში, თეიმურაზისეულსა და დანარჩენებში).

2. სუმბატის „ქრონიკის“ დაშლა და შერწყმა სხვა თხზულებებთან. სუმბატ დავითის ძის ნაშრომი „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“ მარიამისეულს ნუსხაში შეტანილია ცალკე შემადგენელ ნაწილად და მოთავსებულია დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ, ხოლო ე.წ. ვახტანგისეულ ნუსხებში დაშლილია და შერეულია VI—XI საუკუნეთა ისტორიის შემცველ თხზულებებში (ჯუანშერის შრომაში და „მატიანე ქართლისა“-ში). მაგრამ, რადგან სუმბატის ცნობები ყოველთვის არ ეხებოდა „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბებს, ამიტომ მისი ნაშრომის ერთი ნაწილი შეურეველი დარჩა.

ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით სუმბატის „ქრონიკის“ შეტანა XVIII საუკუნის ნუსხებში წარმოდგენილია სამი სახით:

ა) მაჩაბლისეულ ნუსხაში სუმბატის „ქრონიკა“ შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ ცალკე შემადგენელ ნაწილად იმგვარადვე, როგორც ეს მარიამისეულ ნუსხაშია;

ბ) თეიმურაზისეულ ნუსხაში ის შერეულია „ქართლის ცხოვრების“ სხვა თხზულებებთან, ხოლო მასალის განაწილებას ერთგვარი რყევა და არევა ეტყობა; გარდა ამისა, „ქრონიკის“ ერთი ნაწილი, რომლის შერევა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში ვერ მოხერხდა, ცალკეა გამოტანილი;

გ) რუმიანცევისეულსა და სხვა ნუსხებში ისევეა შერეული „ქრონიკის“ ტექსტი სხვა თხზულებებში, როგორც თეიმურაზისეულში, ხოლო მასალის განაწილებას მეტი წესრიგი ემჩნევა. „ქრონიკის“ შეურეველი, გადარჩენილი, ნაწილი ცალკე არ არის გამოტანილი.

როგორც ვხედავთ, სუმბატის „ქრონიკის“ შეტანას „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხებში ერთიანი გეგმა არ ეტყობა: ნუსხის რედაქტორები სხვადასხვანაირად მისდგომიან საკითხს და სხვადასხვანაირად გადაუპრიათ იგი.

3. ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ც ნ ო ბ ე ბ ი ს შ ე ტ ა ნ ა. დავით აღმაშენებლის ისტორიაში ჩართული ქრონოლოგიური ცნობები ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შეტანილად ითვლებოდა (თ. ჟ ი ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, გვ. XIII; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание II, 88). ანასეული ნუსხა კი გვიჩვენებს, რომ ეს ქრონოლოგიური ცნობები უკვე ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში იყო. სახელდობრ, ანასეულ ნუსხაში მოიპოვება ის თარიღები, რომლებიც M-ში არ არის, ხოლო B-ში სწავლულ კაცთა მიერ დამატებულად იყო მიჩნეული[1]:

20623 ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი (B: ტკა)
21118 ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი
21124 იყო ქრონიკონი სამას ოცდათხუთმეტი
21256 რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათექ[უსმეტი] (ბ ა რ ა თ.: ტლე)
21283 ქრონიკონი იყო სამ.ს ოცდათურამეტი
21528 ქრონი[კო ნი] იყო სამას ორმოცი
21623 ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი
21710 ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი
21831 ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი

4. ა ს უ რ ე ლ მ ა მ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ბ ი ს ჩ ა რ თ ვ ა. „ვახტანგამდე ქართლის ცხოვრებაშია ასურელ მამათა ცხოვრებები არ

[1] ეს გარემოება აღნიშნულია უკვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 272—273).

მოიპოვებოდა—წერს ე. თაყაიშვილი (Описание II, 73),—იყო მხოლოდ მოხსენიებული იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების მოსვლა შუამდინარიდან ქართლში ფარსმანის მეფობის დროს და მათი მოღვაწეობა. იოანეს მოწაფეთა სახელები არ იყო მოყვანილი. თეიმურაზის ნუსხაში ვახტანგის კომისიამ ჯერ დაურთო მხოლოდ სია იოანე ზედაზნელის მოწაფეებისა; მაგრამ რუმიანცევისეულსა და ყველა დანარჩენ ნუსხაშიაც უკვე ჩნდებიან მათი მოკლე ცხოვრებანი. შემდეგ, უფრო გვიან, იგივე ცხოვრებები, სხვა ხელით დაწერილი, შეუტანიათ თეიმურაზის ნუსხაშიც". ამგვარად, ასურელ მამათა ცხოვრებების შეტანა „ქართლის ცხოვრების" კრებულში XVIII საუკუნის სწავლულ კაცთა ინიციატივას მიეწერება.

მართლაც, ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში (ანასეულსა და მარიამისეულში) ასურელ მამათა შესახებ მხოლოდ შემდეგი სწერია: «მისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა ნიშები და სასწაულები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელმან განაკურვნის ყოველნი ქართველნი; დაიწერა ცხორება და სასწაულნი მათნი, დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა» (ჩვენი გამოც. 141,15-20). ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში კი ამ სიტყვებს მოსდევს: «რომელთა სახელები ესე არს: იოანე ზედაზადენელი, დავით გარესჯელი» და სხვ., ჯერ ასურელ მამათა სახელები, შემდეგ კი ყველა მამის მოკლე ცხოვრება. მაგრამ ჩვენ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: ანასეულ ხელნაწერში „ქართლის ცხოვრების" უკანასკნელ თხზულებას, ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეს, უშუალოდ მოსდევს ჯერ სია ასურელ მამათა[1], ხოლო შემდეგ იოანე ზედაზნელის ცხოვრება[2]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემთხვევითი

[1] შესადარებლად მოგვყავს აქვე:

A

სახელები წმიდათა მოწაფეთა: იოვანე ზედაძნელი. დავით გარეჯელი, სტეფანე ქისიკელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონე მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თ'თა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბელი, პიროს ბართელი.

B

რომელთა სახელები ესე არს: იოანე ზედაზადენელი, დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფ.ნწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და ელია დიაკონი (პიჭ. გვ.. 216).

[2] ტექსტი უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ გვ. L შმდ.

არ არის ეს მოვლენა; ეს მოწმობს იმას, რომ ანასეული ნუსხის რედაქტორს დაჰბადებია ის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი ყოფილიყო ასურელ მამათა ცხოვრებები, და მას კიდევაც დაურთავს ასეთები, ხოლო არა შემოკლებით, როგორც XVIII საუკუნის ნუსხებშია, არამედ ვრცლად.

ცხადია, ასურელ მამათა ცხოვრებათა შეტანას „ქართლის ცხოვრებაში“ გამოუვლია შემდეგი საფეხურები:

ა) ისინი დაურთავთ „ქართლის ცხოვრების“ ბოლოში (ანასეული ნუსხა);

ბ) შიგ ტექსტში, ჯუანშერის თხზულებაში, იოანე ზედაზნელის მოხსენიების შემდეგ ჩაურთავთ იოანეს მოწაფეთა სია (თეიმურაზისეული ნუსხა);

გ) სიის შემდეგ მოკლე ცხოვრებანიც დაუმატებიათ (რუმიანცევისეული და სხვა ნუსხები).

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის ნუსხებში არსებული შესწორებული და შევსებული ადგილები, რომლებიც ვახტანგის წინადროინდელ მარიამისეულ ნუსხაში არ მოიპოვება, მხოლოდ ვახტანგის სწავლულ კაცთა მუშაობის შედეგად კი არ არის მიღებული, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ძირეული ტექსტის შესწორება-შევსება უკვე ვახტანგის წინადროინდელ ხანებში წარმოებდა; მას აწარმოებდნენ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორები როგორც XVII საუკუნემდე, ისე XVII საუკუნის შემდეგაც.

§ 11. დემეტრე პირველისა და დავით მეხამის ისტორიის ჩართვა. ანასეული ხელნაწერის აღმოჩენამდე არსებობდა აზრი, რომ ვახტანგის წინადროინდელ „ქართლის ცხოვრებაში“ არ მოიპოვებოდა დემეტრე I-ისა და დავით III-ის მეფობათა ისტორია და რომ ვახტანგის კომისიამ «составила краткие тексты из общих фраз и кратких упоминаний об них в конце царствования Давида Возобновителя и в начале царствования Георгия III» (Е. Такайшвили, Описание II, 67; აგრეთვე გვ. 87 და 113). ახლა კი ცხადია, რომ ვახტანგის წინადროინდელ „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვებოდა დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორია და ის ეკუთვნოდა ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს. ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორია იმგვარადვეა აღწერილი, როგორც ანასეულ ნუსხაში (შეად. ჩვენი გამოცემის გვ. 237,2—238,22 და ჯიჯინაძის გამოც. გვ. 382—383), ე. ი. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანიდან ამოღებულია

პირველი, დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის შემცველი, ნაწილი, ხოლო მომდევნო ხანის (გიორგი III-ის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის) ისტორიისათვის გამოყენებულია თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები და ჟამთააღმწერლის ნაწარმოები.

როგორც ჭალაშვილისეული ნუსხის აღმოჩენამ ცხადყო, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანიდან დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის ამოღება და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანა XVIII საუკუნის სწავლულ კაცთა ღვაწლს კი არ მიეწერება, არამედ ვახტანგის წინადროინდელი რომელიღაც რედაქტორისას: დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორიის ის ტექსტი, რომელიც ანასეულ ხელნაწერშია (ე. ი. ლაშა-გიორგის დროინდელ მატიანეშია), მოიპოვება უკვე ჭალაშვილისეული ნუსხის ძველს, XVI—XVII საუკუნის, ნაწილში. ჭალაშვილისეული ნუსხის რედაქტორსაც ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანიდან დაუტოვებია მხოლოდ დემეტრე I-ისა და დავით III-ის ისტორია (მაგრამ ცოტა მეტი მოცულობით, ჩვენი გამოცემის 239,2 გვერდამდე), ხოლო გიორგი III-ისა და თამარის ხანისათვის გამოუყენებია ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულება.

მაშასადამე, ცხადია, რომ დემეტრე I-ისა და დავით III-ის მეფობათა ისტორია ვახტანგის კომისიას კი არ შეუდგენია, არამედ ის უკვე არსებულა XV საუკუნის ნუსხაში.

§ 12. **დასკვნა.** „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინადროინდელი და ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხების შესწავლას მივყავართ იმ მთავარ დასკვნამდე, რომ ვახტანგის სწავლულ კაცებს უნდა მიეწეროს მხოლოდ „ძველი ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების, „ახალი ქართლის ცხოვრების“ შედგენა[1].

რაც შეეხება „ძველი ქართლის ცხოვრების“ შესწორება-შევსებას, მას ჩვენ ვერ მივაწერთ ვახტანგის სწავლულ კაცებს. გამოირკვა, რომ უკვე XV—XVII საუკუნეთა ნუსხებში მოიპოვება ზოგიერთი ის შესწორება და შევსება, რომელიც XVIII საუკუნის ნუსხებს ახასიათებს (იხ. ზემოთ §§ 9—11).

„ძველი ქართლის ცხოვრების“ შესწორება-შევსება წარმოებდა, ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნიდან და გრძელდებოდა თვით

---

[1] იხ. მ. ჯანაშვილი, ნაშრომი I, თბ. 1907, გვ. 6; ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 272, 274.

XIX საუკუნემდე, თეიმურაზ ბატონიშვილამდე. საუკუნეთა მანძილზე „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებს შეჰქონდათ ესა თუ ის ტექსტუალური შესწორება, ან ჩაურთავდნენ ხოლმე ამა თუ იმ ახალ ტექსტს; ყოველ რედაქტორს ხელთ ჰქონდა თავის წინამორბედთა ნუსხები, რომელთა ტექსტებს ის, თავისი შეხედულებისდა მიხედვით, შერწყამდა ხოლმე; ხშირად მას ჰქონდა წინანდელ რედაქტორთა მიერ დართული კომენტარებიც, ზოგჯერ საკუთარ კომენტარებსაც დაურთავდა.

ასეთი რედაქტორის ხელი მოჩანს როგორც ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში (ანასეულში, მარიამისეულსა და ჰალაშვილისეულში), ისე ვახტანგის შემდეგდროინდელშიაც, და ვინაიდან ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში წარმოდგენილი შესწორება-შევსებანი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ნუსხაში, ამიტომ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვივარაუდოთ რაღაც კომისიის არსებობა, რომელიც „ძველი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის შესწორება-შევსებას აწარმოებდა. XVIII საუკუნისათვის ჩვენ უნდა ვივარაუდოთ ისეთივე ცალკეული რედაქტორების არსებობა, როგორიც იყვნენ XV—XVII საუკუნეთა რედაქტორები: ასე, მაგალითად, უთუოდ ცალკე რედაქტორები უჩანს მაჩაბლისეულ, თეიმურაზისეულსა და რუმიანცევისეულ ნუსხებს, რომელთაგან პირველში 1) სუმბატის „ქრონიკა“ მთლიანი სახით მოიპოვება, მეორეში ნაწილობრივ დაშლილია და შერეული დანარჩენ თხზულებებში, ხოლო მესამეში მთლად დაშლილი და შერეულია; 2) მეორესა და მესამეში თამარის ისტორია წარმოდგენილია „ისტორიათა და აზმათა“ და ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების კონტამინაციის სახით, ხოლო პირველში მხოლოდ „ისტორიათა და აზმათა“ სახით (და ბასილის თხზულების რამდენიმე დასაწყისი ფურცლით). ასევე ცალკე რედაქტორი უნდა ჰყოლოდა დადიანისეულ ნუსხას (ან მის დედანს), რომელსაც არ მოეპოვება სხვა ნუსხებში მოთხრობილი ეპიზოდი იუსტინიანეს ბრძოლისა ხასკუნთა (ტასკუნთა) ტომთან და არც მომდევნო ცნობები იუსტინიანეს შესახებ.

ამიტომ სრულიად მართებულია ის დასკვნა, რომელსაც დაადგნენ ისტორიკოსები დ. ბაქრაძე და ივ. ჯავახიშვილი[1], რომ ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში არსებული წინასიტყვა

---

[1] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ. 1891, გვ. 40; ივ ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1916 გვ. 271; მისივე, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1940, გვ. VI—IX.

ჰგულისხმობს მხოლოდ „ახალი ქართლის ცხოვრების“ შედგენაზე ჴუშაობას და არა „ძველი ქართლის ცხოვრების“ შესწორება-შევსებას [1].

II

ანასეული ქართლის ცხოვრება და მისი კითხვა-სხვაობანი

§ 13. ხელნაწერის აღწერილობა. ხელნაწერი გადაწერილია სქელ მოყვითალო ქაღალდზე მ ხ ე დ რ უ ლ ი ხელით და, დღევანდელი სახით, შეიცავს სულ 470 გვერდს; ყდა აქვს რბილი (ცალ-პირ ქაღალდზე გადაკრულია ტყავი); ზომა ხელნაწერისა უნდა ყოფილოყო 34 სმ×23 სმ; ფურცლების ქვედა და მარჯვენა არშიები შემდეგ ხანებში წაუჭრიათ 4 სანტიმეტრით ისე, რომ ქვედა არშიის კუთხეში ყუისკენ დაუტოვებიათ 3-4 სანტიმეტრის სიბრტყის ქაღალდი (იხ. სურათი № 3). ამრიგად, დღეს ხელნაწერის ზომაა 30 სმ×19 სმ, ნაწერის ზომაა 22,5 სმ×16 სმ; თითოეულ გვერდში მოთავსებულია 18 (ზოგგან 17) სტრიქონი. ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი ზის; სასვენ ნიშნად გამოყენებულია მძიმე (,). სათაურები სინგურით არის ნაწერი. სინგურითაა აგრეთვე დაწერილი, დღევანდელი გაგებით, სააბზაცო ნაკვეთების დასაწყისი სიტყვები (რომლებიც ჩვენს გამოცემაში დ ა მ ა რ ც ვ ლ ი თ არის დაბეჭდილი) [2].

არშიების წაჭრის გამო ზოგიერთი სტრიქონი ან ცალკეული სიტყვა დაზიანებულია. ზედა არშიები წაჭრილი არაა; იქ მოიპოვება რამდენიმე მინაწერი, უმნიშვნელო შინაარსისა, ხელნაწერის შემდეგ გვერდებზე: 73, 80, 81, 92, 134, 146, 157, 160, 204, 245, 258 და 307. ამათგან:

გვ. 81: ანა ხანუმ შვენიარო [.....] მურასა[ო]
პირი გიგავს მარგალიტსა, ყელი ოქრო [.....]


გვ. 134: ბატონი როსტომნ

გვ. 245: თორნიკე

ხელნაწერი დაზიანებულია თავსა და ბოლოში. როგორც რვეულების სათვალავიდან ჩანს, თავში მას 60 გვერდი აკლია. გარდა ამისა პირველ ორ ფურცელს მარჯვენა ნახევარი სრულიად მოჰმუ-

[1] ჩვენ აღარ ვეხებით იმ საკითხს, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ვახტანგსა და მის სწავლულ კაცებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ შედგენის საქმეში. ამის შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობა მის გამოცემაში „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ 1940.

[2] უფრო დაწვრილებით ხელნაწერი აღწერილია ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (იხ. ზემოთ გვ. XI შემდ.).



სურ. 3. ხელნაწერის #3. 52 (ჩვ. გამოც. 522ა—530).

ლი აქვს (იხ. სურ. 4) რამდენსამე მომდევნო ფურცელსაც კიდეები დაზიანებული აქვს [1].

§ 14. ხელნაწერის ტექსტის შედგენილობა. ჩვენს ხელნაწერში მოთავსებულია შემდეგი ტექსტები:

1) 1—425 გვერდებზე „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები:

ა) ლეონტი მროველის თხზულება „ცხორება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (გვ. გვ. 1—125; ჩვენი გამოცემის 1—58 გვ.);

ბ) ჯუანშერის თხზულება „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა (გვ. გვ. 125—263; ჩვენი გამოცემის 89—156 გვ.);

გ) წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა (გვ. გვ. 263—268; ჩვენი გამოცემის 157—159 გვ.);

დ) „მატიანე ქართლისაჲ“ (გვ. გვ. 268—338; ჩვენი გამოცემის 160—199 გვ.);

ე) „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (გვ. გვ. 338—410; ჩვენი გამოცემის 200—235 გვ.);

ვ) ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება (გვ. გვ. 412—425; ჩვენი გამოცემის 237—245 გვ.).


2) 425—426 გვ. მოცემულია ათსამეტ ასურელ მამათა სია:

«სახელები წმიდათა მოწაფეთა: იოვანე ზედაძნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ქისიკელი, ი[ო]სებ ალავერდელი, [ზ]ენონ იყალთ[ო]ელი, ანტონე მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თ'თა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღუიმელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბელი, პიროს ბართელი. მრავალნი სხუანიც დაემოწაფნეს წმიდასა მას მამასა, კაცნი წმიდანი და სულიერნი მამანი დაჰყუნეთ ჟამისათა. და შემდგომად ოთხას ოცისა წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოზმან; რომელიმე წიგნთაგან აღმოეიკითხეთ და რომელიმე მათგან სმენილ იყო საქმეთაგან მათთა. და აღვწერეთ ცხორება და მოქალაქობა წმიდათა მათ მამათა, საცნობელად ჩუენ მორწმუნეთა და სადიდებლად სამებისა წმიდისა აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ».

3) 426 გვერდის ბოლოდან იწყება «ცხორება წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა, რომელი ბრძანებითა ღ'ოისათა და წინამძღურობითა სულისა წმიდისათა მოიელინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად, ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა, განაახლა (სელნაწერში: «განახლდა») და განავრცო წმიდამან ჩუენმან, ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან».

---

[1] ჩვენს გამოცემაში ეს დაზიანებული ადგილები აღდგენილია მა'იამისეული ხელნაწერის მიხედვით და ჩასმულია [კუთხოვან ფრჩხილებში].



სურ. 4. ხელნაწერის პირველი გვერდი (ჩვ. გამოც. გვ. 2514 შმდდ.)

ხელნაწერი წყდება სიტყვებით «შემდგომად ამისსა მოართუეს მაღდა ღრეკილი შეკრული ვითარცა რკინითა და ძნიად განრღუეული, რამეთუ წყლულ იყუნეს ყოველნი კორცნი მისნი, რამეთუ გუემულ იყო იგი ჟამთა მრავალთა ფიცხელ». მაშასადამე, იოანე ზედაზნელის „ცხორება“ დამთავრებული არაა. თუ რით თავდებოდა ხელნაწერი, ამის თქმა ძნელია, მაგრამ რამდენადაც იოანე ზედაზნელის ცხოვრებას წინ უძღვის განცხადება «აღვწერეთ ცხორება და მოქალაქობა წმიდათა მათ მამათა»-ო, ამდენად საფიქრებელია, რომ იოანე ზედაზნელის „ცხორებას“ დანარჩენ ასურელ მამათა „ცხორებანიც“ მისდევდნენ.

ხელნაწერს თავში 60 გვერდი აკლია. ანასეული ხელნაწერის 60 გვერდი უდრის მარიამისეული ხელნაწერის დაახლოებით 60 65 გვერდს. ლეონტი მროველის თხზულების იმ დასაწყის ნაწილს, რომელიც ანასეულ ხელნაწერს აკლია, მარიამისეულ ნუსხაში 50 გვერდი უჭირავს. მაშასადამე, ანასეულს ნუსხაში ლეონტი მროველის თხზულებას წინ უძღოდა რაღაც ტექსტი, 10-15 გვერდის შემცველი. შესაძლებელია ანასეულს ნუსხაშიაც, მსგავსად მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხებისა, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს წინ უძღოდა აპოკრიფული თქმულებები ქვეყნის გაჩენის შესახებ.

§ 15. ნაკლულევანი ადგილები. გარდა კიდეების დაზიანების გამო გაფუჭებული ადგილებისა, ჩვენს ხელნაწერს აკლია:

1) მთელი დასაწყისი ნაწილი ლეონტი მროველის თხზულებისა: გვ. 1—25,14 (ჩვენი ხელნაწერი იწყება სიტყვებით; «გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა...».).

2) გვ. 28,16—30,15 (აკლია ხელნაწერის ორი ფურცელი) სიტყვებიდან «სუმბატ ბივრიტიანმან განვლო მტკვარი» და გათავებული სიტყვებით «იყუნეს ბრძოლად სპარსთა».

3) გვ. 83,13—84,13 სიტყვებიდან «და უთხრა» და გათავებული სიტყვით «კერძო».

4) გვ. 164,7—165,9 «კუალ[ად მოვიდა...მათ თანა სა]რკინოზნი».

5) გვ. 198,6—199,17 სიტყვებიდან «ხოლო გიორგი» ბოლომდე.

§ 16. ანასეული ქართლის ცხოვრების კითხვა-სხვაობანი. ჩვენი ხელნაწერის კითხვა-სხვაობანი ზოგჯერ გადამწერის (თუ წინანდელ გადამწერთა) მცდარი წაკითხვით ან გრაფიკული შეცდომებით გამოწვეულ შერყვნილ ტექსტს წარმოგვიდგენს, ზოგჯერ კი ისინი იძლევიან სწორს, პირველ-დედნიდან მომდინარე ვარიანტებს.

§ 17. გადამწერის გრაფიკული შეცდომები. ხელნაწერში მთელი რიგი შეცდომებია, რომლებიც აიხსნება გადამწერის უყურადღებობით. ასეთ შეცდომებს ეკუთვნის, მაგ., ა) სიტყვების ან ასოების განმეორება, ბ) ასოების გამოტოვება, გ) ერთი ასოს მაგიერ მეორის დაწერა. რომ ეს შეცდომები ჩვენი ხელნაწერის გადამწერისაა და არა მისი დედნისა, ცხადია იქიდან, რომ ისინი უმეტესწილ გვხვდებიან სტრიქონიდან სტრიქონში ან გვერდიდან გვერდში გადატანის დროს, ან სინგურით ნაწერ ადგილებში (ჩვეულებრივ, სინგურით დასაწერი ტექსტისათვის გადამწერი თავისუფალ ადგილს სტოვებდა და, როდესაც შავი მელნით წერას მოათავებდა, ერთბაშად ჩასწერდა ხოლმე სასინგურო ადგილებს; ზოგჯერ აღმოჩნდებოდა, რომ სინგურით ჩასაწერი ტექსტისათვის საკმარისი ადგილი არ დაუტოვებია და გადამწერს უხდებოდა ტექსტის გაგრძელება არშიაზე [1], ან სიჩქარეში უნებლიეთ შეცდომით და ბოლოკვეცილად სწერდა სიტყვებს). ზოგჯერ ჩვენს გადამწერს „ანმეტობაც“ ახასიათებს. არის რამდენიმე ისეთი შეცდომაც, რომელიც გადამწერის მიერ ქარაგმის უყურადღებოდ გახსნის ნიადაგზეა წარმოშობილი.

გადამწერის ყველა ეს ლაფსუსი ჩვენს გამოცემაში თავ-თავის ალაგას არის სქოლიოებში აღნიშნული, ხოლო აქვე ვათავსებთ მათ სრულ სიას.

2712 კეთილი კე (კეთილი)
2731 ნაჰევანამდე (ნახჰევანამდე)
3021 რომე (რომელ) (წაჴრილია)
3112 ამზაპ (ამზასპ)
3133 სპარსეთი (სპასპეტი) (ხანჯუძთ)
3215 აღისახნეს (აღიზახნეს)
3220 გართველნი (ქართველნი)
3327 ⟨და სპარძად⟩ მიდრატ (მირდატ)
3332 ირიცხუინი (ურიცხუ⟨ნ⟩ი)
3334 თქუსმეტი (თექუსმეტი)
3421 ამსა ამზასპ (ამზასპ)
3510 აღმოიკდა (აღმოიკადა)
3523 ორძკისა (ოძრკისა)
3618 სმენი (სმენილ)
3621 ოცდაერსა (ოცდაერთსა) (სინგურით)
3629 ესე ასფაგურ იყო ⟨აფსაგურ⟩
3629 უნკანასკნელ (უკანასკნელ)
372 ამან ამან (ამან)
3721 განძლიერებლ (განძლიერებულ) (გაჴატრნილია)
386 ხედვითა (ხედვიდა)
3824 ნთესავი (ნათესავი)
3830 ესუ (ესუა)
3844 ჩუნთა (ჩუენთა)
3917 ნებროთანთა (ნებროთიანთა)
3934 ვედრედრება (ვედრება)
4010 ნშობი (ნაშობი)
4028 ქართველად (ქართველთად)
4029 ჰქარეთს (ჰერეთს)
4032 დაეხავ (დაეხავა)
4082 ქართვეთა (ქართველთა)
430.10 მას ყამსა იყო იგი სპათა თანა ბერძენთასა და იგი გამოარჩიეს ყოველთა სპათა თანა ბერძენთასა (... ყოველთა სპათა ⟨ბერძენთა⟩)

[1] ქვედა და მარჯვენა არშიები, სადაც სხვადასხვა მინაწერი ყოფილა, შემდეგ ხანებში წაუჭრიათ.

43ıı ურიერთსა (ურთიერთსა)
43ვი არდავამდინ (ბარდავამდინ)
43ვვ ცხეკალაკნი (ციხე-ქალაქნი)
43ვ4 განჯლიერდის (განძლიერდის)
43ვი ძმისძული (ძმისწული) (ხანგური)
453 კრისტესი სჯულისა (ქრისტეს სჯულისა)
45ვ5 საბილონ (ბაბილონ)
45ვი წინაშეაღდგომა (წინააღდგომა)
45ვი ურიცხუნი (ურიცხუი)
468 ღემერთმან (ღმერთმან)
46ვ2 შიეახლნეს (მიეახლნეს)
471 პირველ კსენებული იგი დეტალარი იგი
474 ებაზი (ემბაზი)
486 უკუდვი (უკუდავი) (წაშლილია და გადატანილია)
488 წარმართა (წარმართთა)
4814 ქუეყანი (ქუეყანით) (ხანგური)
5125 სოფლსა (სოუელსა)
5120 სისარულითა (სიხარულითა)
520 წმიდა (წმიდამან) (ხანგური)
52ვ1 ჩული (სული)
5412 ერთ (ერთა)
5412 მოგებასა (მოგუებასა)
5418 იგლვდა (იგლოვდა)
5421 ერ (ერმან) (წაშლილია)
5424 არს (არა არს)
5510 ნეცთომათა (შეცთომათა) (ხანგური)
5517 მამან (მამამან)
5521 თქუ (თქუა) (ხანგური)
576 დედაკაცა [1] (დედაკაცი)
57ი თუინიერიერ (თუინიერ)
578 უცხოებ:სა (უცხოებისა)
5814 და დაღიღეს (და აღიღეს)
5834 დამიწერია (დამიწერა)
593 კელმწიფესა (კელმწიფებასა)
6111 მახლარობელად (მახლობელად)
6221 დაეშტკიცებდა (დაამტკიცებდა)
63ი კლიკსა (კილიკსა)
63ვი რომლისა (რომისა)
63ვ1 წამალთასა (ბწამლთასა)
6335 თავსა, თ ა ვ ს ა
640 ვითარი (ვითარ) (ი—ჰერეა ჩაწერილი)
6415 ძეუელთა (ძუელთა)
653 ნაათესავით (ნათესავით) (გადატანილია)
650 უუნისამდე (უკუნისამდე) (გადატანილია)
6512 იტგნებავს [2] (გნებავს)
6521 ქართველ (ქართველთა) (ხანგურითა და წაშლილი)
6533 უწყებელ (უწყებულ)
6612 გამოჩინნეს (გამოაჩინნეს) (ხანგურითა და გადატანილი)
6716 დაბნნელდა (დაბნელდა) (გადატანილია)
6732 გამობრწყინთა (გამობრწყინდა)
6813 მიეგებოეს (მიეგებოდეს) (გადატანილია)
6810 დღე (და)
69ი ყუავლთა (ყუავილთა)
6922 ძრვა (ვერ ძრვა)
707 ეგლოვენ (იგლოვენ)
7025 ყკის (ყივის)
7033 ძლიერად (ძლიერი. რად)
727 ცხორებისათუის ყოვლისა სოფლისათუ:ს (...სოფლისა)
738 ერთ (ერთი)
7324 მისმნა (მისმან)
7328 ღართის მოყუარესა (ღმრთის-მოყუარისა)
7333 მიწივნეს (მიიწივნეს) (ხანგური)
743 მდელნი (მღდელნი)
7413 მანგლის (მანკლისს)
7430 მკიცედ (მტკიცედ) (ხანგური)
7433 ეკლესი (ეკლესია)
7511 სულით წმიდი (...წმიდით)
7522 ქუეყანად (ქუეყანა)
7531 ფურცლიანობისა (ფურცლიანობასა)
7533 სულ ამაო (სულ-ამო)
761 ვითარცა ხილვით ვ ი თ ა რ ც ა (ვითარცა ხილვით ვიცით)

---

[1] ხომ არ არის ეს ისევე დაკავშირებული მდედრობით სქესთან, როგორც სიტყვებში მონახონი || მონახონა, მწდენი || მწდეანი.

[2] ამ სიტყვის პირდაპირ არშიაზე სწერია «იტყუი».

7611 ერმან ერმან (ერმან)
7628 ყოო (ყო)
7710 იპყრეს ს ა ხელითა (იპყრეს კელითა)
7720 სიმრავლელე (სიმრავლე) (გადატანილია)
7723 წმიდისა (წმიდასა)
7728 სუეტისა (სუეტსა) (გადატანილია)
7725 მიუთრობელთა (მიუთხრობელთა) (გადატანილია)
784 მის (მისსა)
7912 მრავალნი (რომელნი →რ⁻ლნი → მრ⁻ლნი)
7912 მიიღიან (მიიღიან)
7935 ამისთუის ამისთუის (ამისთუის)
7936 ეწყუნეს (ეუწყნეს)
8023 სხუანიცი (სხუანიცა)
8119 იწწყო (იწყო) (სინგურათი)
8125 საწერელი (საწერელნი) (გადატანილია)
8131 წმიდასა (წმიდისა)
825 რვას (რვაას)
8219 მირიანისი რომელსა მ ი რ ი ა ნ ი ს ი რ ო მ ე ლ ს ა (სინგურათა და გადატანილი)
837 მრვალითა (მრავლითა)
8427 ჯავხეთს (ჯავახეთს)
8431 მებობისა (მეფობისა)
8432 მებობა (მეფობა)
8510 ეშურეთისა (ერუშეთისა)
8513 რამეთი (რამეთუ)
864 ყოელთაეე იქცეოდ (ყოველითაეე იქცეოდა)
8628 თუხარასი (თუხარისი)
8715 ძმათა (ძმათა) (გადატანილია)
8723 მრდატ (მირდატ) (სინგურათი)
896 ვიითარ (ვითარ) (სინგურით)
8925 მიგება (მიეგება) (გადატანილია და წაშლილი)
902 სპალთათა (სპათათა)
9012 ესუ (ესუა)
9015 შმმართებელი (შემმართებელი) (გადატანილია)
9027 სადგუხტ (საგდუხტ)
9112 მშუიდობასათუის (მშუიდობისათუის)
9112 თუის (თუისი)
9115 დასახდეს (დასხდეს)
9115 სადგუხტ (საგდუხტ)
9116 სადგუხტ (საგდუხტ)
9131 დასუა (დაწუა)
9132 როელი (რომელი) (სინგურათი)
9211 სრსულად (სპარსულად)
9519 საყდრთა (საყდართა)
9526 ესე ვითარცა (ესევითართა)
9529 წავლითა (სწავლითა)
9621 სპასპეტე (სპასპეტი) (სინგურათი)
9726 ერთგულობა (ერთგულობასა) (სინგურათი)
992 დარიალნსა (დარიალანსა)
9932 ვახტან (ვახტანგ) (სინგურათი)
10027 ცეხენისაგან (ცხენისაგან)
1012 დაიედგნეს (დაედგნეს)
10121 წარწყმედების (წარწყმდების)
1024 მკლგელმან (მკლველმან)
10212 ქუეითით (ქუეითით)
10314 ეჭუსა (ეჭუსსა)
10423 სპათა (სპითა)
1057 მირია (მირიან) (სინგურათა და წაჭრილი)
10510 მეფისათგან (მეფისითგან)
10513 შმშლელნი (შემშლელნი) (გადატანილია და წაჭრილი)
10516 კსენებულისა ფიაროზ (კსენებულსა ფიაროზს)
10623 პატიახთა (პატიახშთა)
1076 და გონებად (გაგონებად)
10721 მგით (მაგით) (გადატანილია)
10726 მუშაკსა (მუშკსა)
10912 შემძლებელ შემძლებელ ⁻(შემძლებელ) (სინგურათი)]
10915 რლუნითგან (რლუნითგან)
1103 ამიერთგან (ამიერითგან)
1104 მიგაგაოს (მიგაგოს)
11032 ეცუი (ვეცუი)
11034 ითხოვე ი თ ხ ო ვ ე (სინგურათა და გადატანილი)
1112 მოგცეს (მოგეცეს)
11111 ცეცისა (ზეცისა)
11116 ზეწრიითა (ხეწრითა) (გადატანილია)

1121 აღუთქუა (აღუთქუ)
11213 აშენგან (შენგან)
11328 კეისრისასა (კეისრისა) (სინგურათ)
1144 ღჳინსა (ღჳინსა)
1146 დაგეს (დადგეს) (გადატანილიბ)
11410 კისრისა (კეისრისა)
11419 ვახტანს (ვახტანგს) (გადაკანილიბ)
11482 თუხარასა (თუხარისი)
1163 სომხეთი (სომხითი)
11621 ბაძავთ (ბრძავთ)
1178 მოიყვანნეს (მოიყვანნე)
11710 არა (არიან)
11718 მშინ (მაშინ)
1198 მწუხარება (მწუხარე)
1198 ტყუეე (ტყუე)
11920 უკუე (უკე)
11926 თუხარასად (თუხარისად)
12010 ბალენდუტ (ბალენდუხტ)
1219 მოიცალებოდა (მი.იცალებდა)
12119 არა (რა)
121120 არა (რა)
12130 მრიდეთ (მირიდეთ)
1224 მომღმართ (მოღმართ)
12217 და ყოველნი დ ა ყ ო ვ ე ლ ნ ი
1231 მოეახლა (მოიახლა)
1231 გორგოსალმან (გორგასალმან)
1232 გორგოსალმან (გორგასალმან)
12312 ორგასალსა (გორგასალსა) (წაჭრილიბ)
12322 უვნებელი (უნებელი)
12323 არა (არს)
12418 საზურითა (საზღურითა)
12420 რამეთუ რ ა მ ე თ უ
12435 აბაშთა და დაცლამთა (აბაშთა და ელამთა)
12526 პატრიაზშისა (პატიაზშისა)
12588 და ნერსარან (განშორებიბ)
1268 ორძკისა (ოძრკისა)
12629 ლეონისად (ლეონისდა)
12728 საფირონი (საფირონი)
12732 მტყუენაენ (მტყუენავნი)
1284 სინდეათს (სინდეთს)
1285 თუითო (თუით)
12822 დამალულთა მათ მკედართა მ ა თ
12824 შემოეკცა (შემოიკცა)
12820 შეევლტოდეს (შეივლტოდეს)
12918 იწყო (ვიწყო)
12921 მრინველთა (მფრინველთა)
12927 არა მოკუდა (მოკუდა)
12930 ყეუავნი (ყეიან)
12983 იუე (ჰყავ)
1304 წამძღუარ (წინამძღუარ) (სინგურათ)
13015 უგუნური (უგუნურო)
13033 იესოს (იესო)
13034 ყოველივე ყ ო ვ ე ლ ი ვ ე
1312 მოტყუენვად (მოტყუენვად)
13118 წყობა (წყალობა)
13117 პეშმარიტისა (პეშჰარიტსა)
13135 უწყი (განშორებიბ)
13224 მიმისი (მისი) (გადატანილიბ)
13323 არა არ (არა)
13332 ვითარმე (ვითარმედ)
1344 სშეევედ (შეევედ)
13425 კრებული (კბილი)
13532 რომელელ (რომელ)
13623 მომოხუცებულთა (მოხუცებულთა) (გადატანილიბ)
13634 ჩუენდ (ჩუენდა)
1383 ვევეპუ (ვეპუ)
1386 ყოვლნი (ყოველნი)
13810 პატიოსანი (პატიაზშნი)
13819 ვახტანგისსა, სადა (ვახტანგისსა, და)
1392 დაიყოცა (დაიკოცა)
13926 ორძკისასა (ოძრკისასა)
13933 მორმუნე (მორწმუნე) (გადატანილიბ)
1407 ორძკეს (ოძრკე·)
1400 შენებად შ ე ნ ე ბ ა დ (სინგურათ)
14020 მირდატ (მირდატს)
14021 ქუენა (ქუეყანა)
1415 მფე (მეფე) (გადატანილიბ)
14123 ვახტანგისთგან (ვახტანგისითგან)
14180 უმიზდ (ურმიზდ) (გადატანილიბ)
14214 ხოულო (ხოლო)
14225 მოაკუდა (მოკუდა)
1435 სარსეთს (სპარსეთს) (გადატანილიბ)
14326 იყო (ყო)
1444 სპარსთგან (სპარსთაგან)
1444 კულაპრტმან (კულაპარატმან)

1447 ურმიზ (ურმიზდ)
14413 იუვრვა (იურვა) (ს.)
14415 ბერძენნი (ბერძენთანი)
14425 აქამომდა (აქამომდე)
1462 გამოვიდის გ ა მ ო ვ ი დ ი ს (გადატანილია)
14619 პირვალად (პირველად)
14630 ქარდთლინარსე (ადარნასე)
1471 შევიდა შ ე ვ ი დ
ჭ 16 ბაბილონს გოდოლი და განეყუნეს მუნ | ენანი და განიშენნეს[5] მუნ ყოველსა ქუეყანასა, წ ა რ მ ო ვ ი დ ა ესე თარგამოს[6] ნათესავითურთ მისით, დაემკუიდრა ორთა მათ მთათა შუა კაც-შეუვალთა არარატსა და მასისსა[7]. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხუი, რამეთუ ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი, და
M 96 შ|ვილის-შვილნი ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ და ვერღარა იტეოდა ქუეყანა არარატისა და მასისა. ხოლო ქუეყანა იგი წილით ხდომოდა—ესე არს საზღუარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისი, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა თერისა[8], და ჩრდილოთ მთა კავკასია. ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს[9], მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყუნეს გმირნი. ხ ო ლ ო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო, არც წყლის-რღუნას წინათ და არცა შემდგომად, ტანითა და არითა და სიმჴნითა. ხოლო ვერღარა იტეოდა ქუეყანა არარატისა და მასისა. განუყო[10] ნათესავი თუისი თარგამოს რვათა ამათ გმირ-

[1] თუისთა *M*, ყოველთა *B*. [2] თარგმაოს *M*. [3] თარშისა *B*. [4] თარგმაოს *M*. [5] განიბნიეს *B*. [6] თარგმაოს *M*. [7] მასისას *M*. [8] მთა ორეთის *B*. [9] ჰმოს *M*. [10] განყო *M*.

1. ანასეული ქართლის ცხოვრება.

თა: ნახევარი ნათესაისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყა-
M 97 ნისა მისისა[1] ჰაეოსსა; ხოლო შვიდთა ა|მათ მისცა ხუედრი მათი[2]
არძანგებისაებრ მათისა, წარმოიყუანნა შვიდნი იგი ჩრდილოთ
ჯ 17 |კერძო და განუყუნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა.

მ ი ს ც ა ქართლოსს და უჩინა საზღუარი აღმოსაელით ჰერეთი[3] 5
და მდინარე ბერდუჯისი[4], დასავლით ზღუა პონტოსა, სამხრისა მთა
რომელი მიჰყუების ბერდუჯის[5] მდინარის თავსა, და მთა რომელი
მიჰყუების დასავლით კერძო[6], რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდი-
ლოთ კერძო და მიერთუის მტკუარსა, რომელ მიჰყუების მთა შო-
რის კლარჯეთს და ტაოსა ვიდრე ზღუამდის, და ჩრდილოთ სა- 10
ზღუარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის ჰმტოდ კავკასიის-
გან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა ჰქუიან
ლიხი. და ამათ საზღუართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს.
ბარდოს მისცა მტკუარს სამხრით ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე
ზღუამდე, სადა შეკრბებიან [მტკუარი][7] და არახსი. ამან ბარ- 15
დაოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ. ხოლო მოვაკანს[8]
მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავიდგან ვიდრე
M 98 ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნ|თი და დაემკუიდრა
მუნ. ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა
ალაზნისა თავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდენ, რომელსა აწ ჰქუიან გოლ- 20
გოლა[9], და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა
შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი,
და მის გამო ჰქუიან ჰერეთისა ჰერეთი, და აწ მას ადგილსა ჰქუიან
ჯ 18 ხორანთა. | ხოლო ეგრისსა მისცა ქუეყანა ბღვის ყურისა და უჩინა
საზღუარი აღმოსაელით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქუიან ლიხი. 25
დასავლით ზღუა, მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწუდების[10]
წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა
სახელი თჳისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქუიან ბედიად[11]. ხოლო
კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამოსისა[12], არამედ
იყო არა კაცი კავკასიასა ჩრდილოთ და უმკუიდრო იყო. ქუეყანა 30
იგი კავკასიიდგან მდინარედმდე დიდად, რომელი შესდის ზღუა[სა]
დარუბანდისასა. ამისთუის გამოიყუანნა მრავალთა გმირთაგან ორნი
გმირნი ლეკ კავკასი[13] და მისცა ლეკანს ზღუათაგან დარუბანდი-
M 99 სათა ვიდრე მდინარემდე ლომეკისა[14], |ჩრდილოთ ვიდრე მდინა-

---

[1] მიისისა *M*. [2] მათ *M*. [3] ჰაერთა *M*. [4] შერდაოჯისი *M*. [5] შერდაოჯის *M*. [6] კერძი *M*. [7] მტკუარი<*M*. [8] მოვანს *M*. [9] გოლგოთა *M*, გულგულა *B*. [10] წასწულების *M*. [11] შედიაა *M*. [12] თარგმოოსისა *M*. [13] ლეკკაა ავკასი *M*. [14] ლომეკს *M*.

რედმდე დიდად ხაზარეთისათა; და მისცა კავკასის მდინარეთაგან
ლომეკის[1] ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა დასავლით, ხოლო ჰაოს
დაამკუიდრა საყოფელთა თარგამოსისათა[2], და იპყრა ქუეყანა ჩრდი-
ლოთ, ვითა დამიწერია, მუნითგან ვიდრე ზღუა ორეთისი, აღმო-
სავლით ვიდრე ზღუამდე გურგენისა, დასავალი ზღუამდინ პონ- 5
ტოსა. და ამათ შვიდთაევე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ
ჰაოს, და ესე ყოველნი იყუნეს მორჩილ ჰაოსსა და ამათ ყოველთა
იყო ერთი ენაჲ[3] სომხური. და ესე რვანიე ერთობით მონებდეს
ჰ 19 ნებროთს გმირსა, რომელი იყო მეფე ყოვლისა ქუეყანისა. | შემდგო-
მად ამისსა მცირედ წელიწადთა მოუწოდა ჰაოს შვიდთა მათ 10
გმირთა, შემოკრიბნა და ჰქუა მათ: „მოგუცა ღმერთმან მაღალმან
ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა, აწ შეწევნით ღმრთისა დამ-
ბადებელისათა ვიყუნეთ არავისა და არავის ვმსახუროთ თუინიერ
ღმრთისა დამბადებელისათა“. ეწყინეს[4] დიდნი იგი გმირნი და დაუმ-
ტკიცეს განზრახვა იგი და გან[უ]დგეს ნებროთს და არღარა მისცეს 15
M 100 ხარკი. და ეზრახნეს სხუათა ვიქეთმე ნათესავთა, დაუორგულდეს
სხუანიცა ნათესავნი.

მ ა შ ი ნ განუწყრა ნებროთ და შემოკრიბნა გმირნი მისნი და
ყოველნი, რომელნი ერჩდეს სპანი მისნი, და მომართა თარგამო-
სანთა. ხოლო ჰაოს[5] მოუწოდა შვიდთაევე გმირთა და ყოველსა 20
ნათესავსა თარგამოსსა, და შეეწიენეს სხუანიცა ვინმე ნათესავნი
დასავლეთისანი. შეკრიბნა ჰაოს ესე ყოველნი და დადგა[6] ძირსა მის-
სა[7]. ხოლო ვითარ მოადგა ნებროთ ქუყანასა ადარბადგისასა და
დადგა მუნ, წ ა რ ა ვ ლ ი ნ ნ ა გმირნი სამეოცნი და მათ თანა სპანი
ძლიერნი წყობად თარგამოსანთა. ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპა- 25
ნი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შვიდნი იგი გმირნი ძმანი
ჰაოსისანი სპითა ძლიერითა. ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა და-
უდგა უკანით ზურგით. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომე-
ლი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტუერი ფერჴისა მა-
თისა—ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯრისა მათისა—ვითარცა 30
ელვა ცისა, ჴმა პირისა მათისა—ვითარცა ჴმა ქუხილისა, სიმრავლე
M 101 ერისა, ტყორცა ქუისა მათისა — ვითარცა სეტყუა ჴშირი და და-
თხევა სისხლისა მათისა—ვითარცა სეტყუა. გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ა ბრძო-
ლა მათ შორის და მოსწყდა ორგნითვე ურიცხუი. ხოლო ჰაოს უდგა
ზურგად გმირთა მისთა, რომელ[8] სცემდა ნუგეშინის ცემად ჴმითა 35

---

[1] ჰომეკის *M*. [2] თარგმაოსისათა *M*. [3] ენაა *M*. [4] ეწამნეს *B*. [5] ჰაროს *M*.
[6] დაგა *M*. [7] მასისისა *B*. [8] ძალ.

საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა. მაშინ სძლეს თარ-
გამოსანთა და მოსრნეს სამეოცნი იგი გმირნი ნებროთისნი და
ბ 20 სპანი მათნი. ხოლო შვიდნი ესე გმირნი თარ|გამოსანნი: ქართლოს,
ბარდოს, მოვაკან, ჰეროს, ლეკან, კავკასან, ეგროს—ესენი დარჩეს
ცოცხლებით თუინიერ წყ[ლ]ულებასა, და ძლევა-შემოსილნი მადლო- 5
ბდეს ღმერთსა. ხოლო, ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარ-
მოემართა მით[1] კერძო ძალითა მისითა ყოველითა. ხოლო ჰაოს არა
ჰყუეს სპანი ნებროთისნი სპათა ოდენნი, გამაგრდა იგი ღარღათ
შინა მასისისთა, მიუდგა ქუეშე[2] კერძო ნებროთ, და იყო იგი ჭურ-
ვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე. და 10
აღჴდა გორასა ერთსა ზრახვად ჰაოსსა დამორჩილებასავე მისსა,
რათა სთნდეს მიქცევა მისი. ხოლო ჰაოს[3] ჰქუა გმირთა: „განმი-
M 102 მაგრეთ ზურ|გით კერძო და მივეახლო ნებროთს და წავიდე და
მივიდე პირისპირ მახლობელად ნებროთისა“. და სტყორცა ისარი
და ჰკრა მკერდსა ნებროთისსა ფიცარსა ზედა რვალისასა, და გა- 15
ნავლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი, და
განთავისუფლდეს ნათესავი თარგ[ა]მოსისი. და მან ჰაოს ჰყო თავი
თუისი მეფედ ძმათა თუისთა-ზე და სხუათაცა ნათესავთა-ზე მახ-
ლობელთა საზღუართა მისთასა, ხოლო შვიდნივე ძმანი წარვიდეს
თუისსა-თუისად ქუეყანად და იყუნეს მოსარჩლე ჰაოსისა. აქამო- 20
მდის დავსწერეთ ამბავი ესე რვათავე ძმათა.

[თავი მეორე]

ხოლო აქადგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა ვიდრე დღეთა ჩუენთამდე და ვითარ იგი განუ-
ყო[4] ქუეყანა თარგამოს[5] ნათესავისა მის რვათავე შვილთა მისთა. 25

და მ ი ს ც ა ქართლოს ქუეყანა, რომელი ზემო აღვსწერეთ. და
ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთუის
არაგვი მტკუარსა, და განვიდა მთასა მასზე, რომელსა ეწოდების
M 103 არმაზი, და პირველ|ად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე, და იშენა მუნ
ბ 21 ზედა სახლი. | ვიდრე აღმართებადმდე მუნ ზედა კერპი[6] (იყო) არმა- 30
ზისი, ერქუა მთასა მას ქართლი; და მის გამო ეწოდა ყოველსა
ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. შემ-

---

[1] მათ *B.* [2] ქუეშო *M.* [3] ჰააოს *M.* [4] განაუყო *M.* [5] თარგმაოს *M.* [6] ჩვენის აზრით უნდა ყოფილიყო „ქერპი იგი“.

დგომად მისსავე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჰქუიან სამშვილდე. და კუალად აღაშენა მტუერის ციხე, რომელსა აწ ჰქუიან ხუნანი. ცხოვნდა იგი მრავალთა წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი, რომელთა სახელები [ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორე]სა გარდაბოს[1] მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გაჩიოს. ესე ხუთნივე იყუნეს გმირნი, არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხუათა მათ. მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა ეწოდების არმაზი. და შემდგომად ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე, და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი. და განყუნა ცოლმან მისმან ქართლოსმან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი: გარდაბოსს მისცა ხუნანი[2], და უჩინა საზღუარი
M 104 აღმოსავლით მდინარე | ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და
კ 22 სამხრით მთა პირველ-ხსენებული, და ჩრდილოთ მტკუარი; | ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკორეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა; და ამან გაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელსა მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი; ხოლო კახოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ეგრითგან[3] ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა; ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთისა მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბადმდე, რომელი არს საზღუარი ჰერეთისა; და მან კახოს(ი) აღაშენა ჩელეთი; კახოსს შეეწყო შენებასა მისსა, რამეთუ დედაციხე კახოს ხუედრი იყო, და მისცა კახოს შეწევნისათუის და შესწყო შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა; ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისათა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქუიან არმაზი; და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის
M 105 მტკურისა და არაგუისათა, და უწოდა სახელი თუისი მცხეთა, და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა. და ეს იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა, ესე ოთხნივე იყუნეს მორჩილ მისა. ესე ათ[4] განყოფილნი[5] ქართლოს ძეთანი და რომელნი განყუნა დედამან მათმან შემდგომად სიკუდილისა ქართლოსსა. მრავალთა წელთა და მრავალთა ჟამთა ცხოვნდა ძე ქართლოსისი და განმრავლდა ნათესავი მისი.

[1] სახელები საგარდაბოს *M*. [2] ხუნნი *M*. [3] არაგვითგან *B*. [4] არიან *B*. [5] განყოფანი *B*.

ჰ 23 |ხოლო შვილთა შორის [მ]ცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძროხოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრჯოს მისცა ტასის-კარითგან[1] ვიდრე ზღუამდე სპერის, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოზრ˙ჯოს აღაშენა ორნი ციხენი-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი. ჯაოხოს მისცა ფანვარიდგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. ამან ჯოვახეს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ
მ 106 ერქუა ქაჯთა-ქალაქი, ხოლო აწ ჰქუიან ჰუ|რი. ხოლო უფლოს დარჩა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოსსა, მცხეთას, და ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან[2] ვიდრე ტასის-კარამდე და ფანვარადმდენ; და ამან აღაშენა უფლის-ციხე, კასპი, არაგვითგან[3] და არმაზისგან ვიდრე ტასის-კართამდე; უწოდა ამას ქუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქუიან შინა ქართლი. ხოლო ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა ესე ყოველნი ნათესავნი თარგამოსისნი[4] იყუნეს სიყუარულსა ზედა ერთმანერთისასა, და შიში აქუნდა ნებროთიანთა, და ჰგონებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისსა, და იხარებდეს იგინი მაგრებ[ა]სა ციხე-ქალაქთასა შიშისათუის ნებროთიანთა.

ხ ო ლ ო, ვითარცა მოკუდა მცხეთოს ძე ქართლოსი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსთა; იწყეს ბრძოლად და ჭდომად ურთიერთარს, რამეთუ უფლოს[5], ძესა მცხეთოსსა, არა ერჩდეს, არცა
ჰ 24 ხადოდეს | უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისთა, მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლება ქართლოსიანთა.
მ 107 იწყეს ბრძოლად და ჭდომად ურთიერთას, და განაგრძელეს | მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან, რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის და შეიშალნიან[6] და ებრძოდიან.

დ ა გ ა გ რ ძ ე ლ დ ა მათ შორის ესევითარი საქმე, და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს[7] და უსახელოვანეს, და ადგილთა თავადი იჩინიან[8]. ხოლო, ვინაცა იყუის მცხეთასა, რეცა თავადი იგი იყუის სხუათა ზედა, და არცა |სახელ ედებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა, და][9] იგი იყუის მაზავებელი და ბრჭე სხუათა ქართლოსანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა გადიდებულ

[1] ტასის კარითგა *M.* [2] ტფილითგან *M.* [3] აგვითგან *M.* [4] თარგმოსისნი *M.* [5] უფოს *M.* [6] შეეიშალნიან *M.* [7] უწარჩინებულეს *M.* [8] იჩინიიან *M.* [9] სახელედებოდა—და<*M.* აღუადგინეთ *B*-დან.

იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდეს დედა-ქალაქად. და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი მათი საფიცარი იყო [საფლავი] ქართლოსისი.

ჰ 25 |მ ა ს ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და უწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიოსთა. და ესე თარგამოსიანთა[1] ყო- M 108 ველნი მას ჟამსა იყუნეს სიყუარულსა ერთმ|ანერთისასა მშვიდობით; ხოლო შვილთა ზედა კავკასისათა [იყო] დურძუკ[2], ძე ტირეთისი. ეზრახნეს ესე ექუსთავე ნათესავთა თარგამოსანთა და ითხოვეს შუელა ხაზართა[3] ზედა; ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსანი და გარდავლეს[4] მთა კავკას[ი]ა და მოტყუენნეს ყოველნი საზღუარნი ხაზარეთისანი, და აღეშენნეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს.

ა მ ი ს ს ა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე და დაემორჩილნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა. და წარმოიძღუანეს და გამოვლეს ზღუის-კარი, რომელსა აწ ჰქუიან დარუბანდი. ვერ წინა აღუდგეს თარგამოსანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხუი ხაზართა[5]; წარტყუენეს ქუეყანანი თარგამოსანთა, და შემუსრეს ყოველნი ქალაქნი არარატისა და მასისანი და ჩრდილოსანი, და დაურჩეს ციხე-ქალაქნი: თუხარისისი, სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი[6], შიდა [ქართლი] და ეგრისი[7]. და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის-კარი და- M 109 რუბანდი და არაგუის-კარი, რომელ | არს დარიალა[8]: და განამრავლეს ჰ 26 ხაზართა გამოსულა და ტყუენვა მათი, და | ვერღარა წინააღუდგეს. მიერითგან იქმნეს[9] ესე ყოველნი თარგამოსანნი მოხარკე ხაზართა, ხოლო (ხაზართა) ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდაველო მთა კავკასია, და იყო ძე მისი სახელით უობოს, ძესა მისსა მისცა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავკასის ნაწილი, ლომეკისა[10] მდინარის დასაველით დასავლეთამდე მთისა.

დ ა დ ა ე შ ე ნ ა უობოს; და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დურძოკ, რომელი[11] უწარჩინებლეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა[12] და უწოდა სახელი თუისი ურძუკეთი, მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა. ხოლო მასვე გზობას

[1] თარგმაოსიასთა *M*. [2] და ურძუკ *M*. [3] ხაზარათა *M*. [4] გარდა ავლეს *M*. [5] ხაზარეთ *M*. [6] ხუნნი *M*. [7] შიდა და ეგრისი *M*. [8] დარღალა *M*. [9] იქმნას *M*. [10] ღომიკისა *M*. [11] რომელნი *M*. [12] მათისასა *M*.

მისცა მამის ძმის წულსა მისსა[1] ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა[2] აღმოსავლით ზღუითგან დარუბანდისით მდინარემდე ლომეკისა[3], მისცა ტყუე რანისა და[4] მოვაკნისა, და დაეშენა იგი მუნ რომელ
M 110 ნაწილი იყო | ლეკანისი.

ხოლო ხოზონიხ, რომელ უწარჩინებლეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა[5], აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუისი ხოზანახეთი. და გარდაჴდეს
ჰ 27 მას | შინა ჟამი მრავალი, და ესე ყოველნი ნათესავნი იყუნეს მოხარკე ხაზართა. მიერითგან განძლიერდეს სპარსნი, მზისა აღმოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი, და გამოუჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა[6] კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი არფიმო[7].

რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი[8] გუელთა უფალი
და დაება[9] მთასა [მას] ზედა, რომელ არს კაცთ(ა)-შეუვალი.

ეს ევითარი წერილ არს ცხორებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა, რომელთამე ქუეყანათა შეგზავნნა[10] ერისთავნი. ჴელადნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარკე ეყო; ამან წარმოუგზავნა ერისთავი მისი სპითა[11] დიდითა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთისი ნათესავთა, მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, და მოსრნა[12] ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა.

M 111 ამან აღაშენა ქალ|აქი ზღვის კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების «დაჴშა კარი». და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქუიტკირითა. და აქამამდის არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუიტკირისა; ამის გამო დაისწავლეს ქუიტკირი. ამანვე ადარ მოჰკიდა კირი ზღუდე ციხესა არ(და)მაზისსა, და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა. ცხუირი არმაზისი ვიდრე მტკურამდე; და ერისთავობდა აგადონ მრავალთა წელთა. ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელს ძეს[13] მისცა სახლად[14] სპარსეთი, მასვე(დ) ხუდა წილად ქართლი, რომელსა სახელი ერქუა იარედ. ხოლო შემდგომად ადარიმა ერისთუისა გარდიცვალნეს
ჰ 28 და ერისთავნი. მიერითგან[15] უცალო იქმნეს ძენი აფრი|დონისნი[16], რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთარს[17], და მოკლეს ორთა ძმათა

---

[1] მამამის ძმის წულისა მისისა *M*. [2] ლეეკნისა *M*. [3] ღუმეკის *M*. [4] რა *M*. [5] მათისასა *M*. [6] მებროთისთა *M*. [7] აშიაზე სწერია: „არფიმოს ჩაუგდია ქართლში ჭიტკირის შენაობა, ნებროთის ნათესავს". [8] შევრასფ *M*. [9] დააბა]დიდება *M*. [10] შეგაზავნნა *M*. [11] სულითა *M*. [12] მორა *M*. [13] რომელ სძლეს *M*. [14] სახელად *M*. [15] მიერთგან *M*. [16] არიდონისნი. [17] ურთიერთა არს *M*.

M 122 იარედ, ძმა მათი. მაშინ პოვის ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა... ბ[ე]რძენთასა[1]. ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკუიდრთა მის ადგილისათა [ე]ზრახნეს ოვსთა, გარდამოიყუანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე, და კნისობდა[2] და
M 123 მ[ო]კლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყუიდეს ოვსთა და ქართუელთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო რანი ერთი[3] დარჩა სპარსთა. და შემდგომათ ამისსა მრავალთა წელიწადთა
ჭ 29 და კუა[ლად განძლიერდეს სპარსნი, და განდიდნა მეფობასა სპარსთა რომელსა ერქუა კექაპოს: იყო მგრძნებელი ნათესავი ხო(ლო)ზანიხიზ[ი]სი, და მან გრძნებითა თუისითა აბრმო ქელკაპოს მეფე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლეკეთს, უკმოიქცა, და მაშინღა განუნათლდა თუალები. ამან კუალად მოხარკე ყუნა ქართუელნი და წარვიდა.

კ უ ა ლ ა დ ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღუა ისრაელთა, და იზრდებიან იგინი[4] უდაბნოსა მანანათა. განკუირდეს ყოველნი და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა.

და შ ე მ დ გ ო მ ა დ ამისსა რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნეს კე[ქა]პოს, მეფე სპარსთა, რამეთუ იყო ბრძოლა თურქუთა, პოვეს ჟამი მარჯუე სომეხთა და ქართუელთა და განუდგეს სპარსთა, და განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი მათნი, და შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსანნი. შემდგომად ამისსა რაო-
M 124 დენთ[ამე] წელიწადთა გამოგზავნა ქესაპოს, სპარსთა მეფემან, ძე მისი[5], რომელსა ერქუა ფარაბოროტ[6], სპათა დიდთა[7], სომეხთა და ქართუელთა და ყოველთა თარგამოსანთა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი თარგამოსანნი, მიეგებნეს და დაეწყუნეს ადარგადგას[8]. სძლეს და იოტეს ფარბორიტ[9] და მოსრნეს სპაჲ[10] მისი. შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა კუალად მოგზავნა ამანვე ქეკაპოს დისწული მისი, ძე ბიობ[11] ბედნიერისა, რომელი მოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნთა სპარსთა ცხორებისასა. წარმოემართა ესე ძე ბიობისი[12], სახელით ქეიხოსრო; ვერ წინააღუდგეს მას სო-

[1] ამის შემდეგ ხელნაწერში შეცდომით მოყვანილია ტექსტი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ისტორიისა («ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი...» იხ. ქვემოთ გვ. 11, 28). ამ გამოცემაში ჩვენ ეს ტექსტი გადავიტანეთ თავის ადგილას, თანახმად ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემისა (იხ. მისი შენიშვნა „მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრება“, გვ. 10, შენ. 6). [2] კნისობად *B*. [3] ერთი *M*, ჰერეთი *B*. [4] იგი *M*. [5] ძე მისი<*M*. [6] ფარშოროტ *B*. [7] სპითა დიდითა *B*. [8] არდაბადაგანს *B*. [9] ფარშოროტ *B*. [10] სპაა *M*. [11] შიოშ *B*. [12] შიოშისი *B*.

მეხნი [და] ქართუელნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენეა ყოველივე, იავარ ყუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტევნა ერისთავნი, და აღაშენნა ადარბაგანს[1] სახლი სალოცველი სჯულისა მათისა, და წარვიდა.

ჰ 30 |და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა უცალო 5
იქმნა ქეიხოსრო მეფე და იწყო ბრძოლად თურქთა, ეძიებდა სისხლსა მამისა მათისასა. და პოეს ჟამი სომეხთა და ქართუელთა, გა-
M 125 ნუდგეს სპარსთა და მოსრნეს ერის|თავნი[2] სპარსთანი და განთავისუფლდეს. მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგენისი, აღმოჰყვეს[3] მტკუარსა და მოვი- 10
დეს მცხეთას, სახლი ოცდა რვა; და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართუელთა, ინებეს დამეგობრობა[4] მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათუის დაემეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნ[ი] და განიყუანეს ყოველ- 15
თა ქალაქთა შიგან.

ხ ო ლ ო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუეთილი, ღრმა. და მოითხოვეს ადგილი ერთი იგი მცხეთელთა მამასახლისითგან. მისცა და აღაშენა[5] იგი, მოზღუდეს მტკიცედ; და ეწოდა მას ად- 20
გილსა სარკინე. და იყუნეს ესე თურქუნი და ქართუელნი ნების მყოფელ ერთმანერთის, მოილოდინეს მოსლვასა[6] სპარსთას[ა], ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას ჟამსა შინა სადაცა ვინ მოვიდის ძვი-
M 126 რის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით | ოტებული გინა ხაზარეთით, ყოველივე მეგობარ არიან[7] ქართუელთა, შემწეობისათუის 25
სპარსთა ზედა.

დ ა გ ა მ ო ჰ ქ ე ს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდო-[ნო]სორ მეფემან წარმოსტყუენა იელუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკით. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, 30
რომელსა ჰქუიან ზანავი; და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქუიან ხერკ, ხარკისა მისთუის.

ა ქ ა მ ო მ დ ი ს ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი

---

[1] ადრაბადაგანს *B*. [2] ერისთავნი სთავნი *M*. [3] აღმოჰყავს *M*, აღმოპყვეს *B*. [4] და მეგობრობა *M*, დამეგობრება *B*. [5] აღშენეს *B*. [6] მოსავალსა *M*. [7] დაიმეგობრიან *B*.

ჰ 31 ქართლ|სა შინა, მაშინ ქართუელთაც დაუტევეს ენა სომხური, და
ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული. იპყრეს სჯული
უბოროტ(ე)ესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლ-ქრმობისათუის არა
უნდა ნათესავობა და ყოველსა ნათესავსა სულიერსა ჰამდეს; საფ-
ლავი არა იყო, მკუდარსა შესჰამდეს. შემდგომად ამისსა რაოდენ-
M 127 თამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა[1] ვაშთა|შიშისი[2],
სახელით სპანდატა რვალი[3], გოლიათი იგი და სახელოვანი. ხოლო
ვერ წინააღუდგეს სომეხნი და ქართველნი, არამედ განამაგრნეს
ციხენი და ქალაქნი და მოელოდეს მოსულასა მისსა. ხოლო მოვი-
და იგი არდარაბადგანს[4], ეწია ამბავი სპარსთა, რამეთუ მოკლეს
მამის მამა მისი თურქუთა, შემოვიდეს თურქუნი სპარს[ე]თად. მა-
შინ დაუტევა სპანდატ ბრძოლა სომეხთა და ქართუელთა, შეიქცა
თურქთა ზედა ძებნად სისხლსა მამისა მათისასა, და განთავისუფლ-
დეს სომეხნი და ქართველნი. შემდგომად ამისსა რაოდენთამე
წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიტისი, რომელი არს
სახელით ბარამ[5], რომელი იცნობების არდაშიოშობით[6]. ესე გან-
დიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრა ბაბი-
ლოვანი და ასურეთი, მოხარკე ყუნა ბერძენნი და ჰრომნი. და მა-
შინ ქართუელნი მოხარკე იყუნეს მისდავე. და იყუნეს ქართლსა
ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა
M 128 შინა ექუს ენა: სომხური, ქართული, ხ|აზარული, ასურული, ებრა-
ული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლი-
სათა, მამათა და დედათა.

თავი [მესამე]

შემოსულა ალექსანდრესი.

ჰ 32 |ე ს ე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყა-
ნასა, რომელსა ჰქუიან მაკედონი, ძე ნიკტანებისი[7] მეგვიბტელისა, ვი-
M 111 თარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა[8]. ამან ალექსანდრე და|იპყრნა
ყოველნი კიდენი ქუეყნისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შეევიდა სამ-
M 112 ხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდავლნა კაკასნი და მოვიდა|ქართლად.
და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯუ-
ლითა. რამეთუ ცოლ-ქრმობისა და სიძვისა თუისობა უჩნდა, ყოველსა

---

[1] მეფისა < *M*. [2] ვაშტაშბისა *B*. [3] სპან და ტარვალი *M*. [4] ადარბადა-
განს *B*. [5] ბაამან *B*. [6] არდაშირობით *B*. [7] ძენი კაცნობისი *M*, ძე ნიკტანებისი
კ. დ ო ნ დ უ ა (ИАН 1930, 202). [8] წიგნსა ბერძენთასა *B*.

სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჰამდეს. დაუკუირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთუისი მტკურისა, ოძრჳე, მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი[1] მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქუიან ჭოროხი, ორბნისი[2], კასპი და უფლის-ციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი: სარკინე და ციხე დიდი ზანი[3], უბანი ჰურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე[4] სამშჳილდე, და მტურის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი[5]. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი, და განუყო ლაშქარი მისი და ყოველთა ამა ციხე-ქალაქთა გარე მოადგინნა, და თუით დგაა მცხეთას, და დაუდგინა ლაშქარი იმიერ[6] ზემოთ და ქუემოთ, და თუით დადგა ქსანს[7] ზედა ადგილსა, რომელსა ჰქუიან ნასტარ იგი[8].

ჰ 33 ვ 113 მტუერის ციხეს და | თუხრისასა არა | ჰბრძოლდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თუე. ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა[9]. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება[10] ზავი[11], ვედრება მათი, და ჰქუა მათ: „ვინადგან მაგინეთ მე, ესე არს ნაწილი თქუენი, რათა დაგჴოცნე ყოველნი“. და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერა-სადეთ განეპარა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჰირდა, რამეთუ ჰბრძოლდა ათერთმეტ თუე: იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განჴურიტეს[12] კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჴურეტელი. და განკრბეს ჴურელსა მას სარკინელნი ღამე და შეივლტოდეს კავკასად, და დაუტევეს ცალიერად ქალაქი.

დაიპყრა ალექსანდრე, მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა, და დატყუენვა, და დედანი და ყრმანი უცებნი, ათხუთმეტისა[13] წლისა უმცროსნი, და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსანნი. და დაუტევა მათ ზედა პატრიაქად[14] სახელით აზონ, ძე იარდოსისი, ნა- .M 114 თესავი მისი[15], ქუეყნით ჰრომი, რომელსა ჰქუიან ფრო|ტათოს. ესე ფროტათოსელნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა, და მოიყუანნა ქართლად, მისცნა აზნოს[16] პატრიარქ-

---

[1] თუხარის *M*. [2] ორბნის *M*, ურბნის *B*. [3] ზანავი *B*. [4] ციხეს *M*. [5] კახეთი საკალაქნე *M*. [6] იმიერ და ამიერ *B*. [7] ქასანს *M*. [8] ნასტაკისი *B*. [9] შუაა ნათჳურთაგანთა მეფესა *M*. [10] ინება < *M*. [11] ზაავი *M*. [12] განჴურიდეს *M*. [13] ათხუთუთმეტისა *M*. [14] პატრიკად *B*. [15] მისი მისი. [16] აზნოს *M*.

სა[1], და დაუტევა აზონ[2] ქართლის[3] ერისთავად[4], მის თანა სპანი იგი მპყრობელად ქართლისა.

უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივ-სცემდენ მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და მსახურებდენ ღმერთსა უსილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღუარი სჯულისა ჰეშმარიტისა, რომელმანცა(ა) ამხილა, არამედ თუით მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისისასა, ყოველსა ქუეყანასა სჯული ესე დაუდვა; და წარვიდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზოვამან მოარღუივნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძუელითურთ და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი, და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისასა (ციხე), და ერთი თავსა ზე-
ბ 34 და|მცხეთისასა; მეოთხე ციხე დასავლით მცხეთა მტკუარსა ზედა; და
M 115 ესენი მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთა ქართლის ქალაქთა (და) მოარღუნა[5] ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი ზღუდენი ქართლისანი ჰერეთითგან[6] და ბერდუჯითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოხარკ[ე] უუნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი. და ვითარცა წარვიდა ალექსანდრე ეგვიპტედ და ვითარ აღაშენა ქალაქი ალექსანდრია[7] და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა, თორმეტსა წელსა შინა დაეპყრნეს ყოველნი კიდენი ქუეყანისანი, და მეთოთხმეტესა წელსა შინა ალექსანდრიასა შინა მოკუდა. და ვითარ მოკუდებოდა იგი, სიცოცხლესავე[8] შინა მისსა განუტევნა ყოველნი მთავარნი, რომელნი დამონებულ იყუნეს მისდა, თუისად ქუეყნად. და მოიყუანნა ოთხნი ტომნი მისნი და[9] ანტიოქოზ[ს] ასუროსტანი და სომხითი და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას, და მან აღაშენა სახელითა მისითა ანტიოქია[10].

ხოლო რომს მისცა თრინიკოსი და უჩინა კერძო დასავლისა და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი. და ბიზინტიოს მისცა საბერძნეთი და ქართლი და უჩინა კერძო ჩრდილოსა ქართლისასა, რათა მსა-
M 116 ხურებდეს იგი ბი|ზინტიას; და მან აღაშენა[11] ქალაქი ბიზინტია,

---

[1] პატრიკსა *B*. [2] აზნო *M*. [3] ქართლოს. [4] ერისთავად] ვითარმედ *M*, (შეცდომა წარმოსდგა, ალბათ, დედნის ქარაგმის უმართებულო გახსნისაგან: ე᷑დ ან ევ᷑დ გაგებულ იქმნა როგორც ვ᷑დ). [5] მო᷑რღუნა *M*. [6] ჰაერითითგან *M*. [7] ალექსანდრე *M*. [8] სიცოცხლისავე *M*. [9] ტომნი მისნი, რომელნი იყუნეს სახელით ანტიოქოზ, რომოს, ბიზინტოს და პლატონ, და მისცა *B*. [10] ანტიოქი *M*. [11] აღაშენეს *M*.

რომელსა აწ ჰქუიან კოსტანტინეპოლე. ხოლო პლატონ დაუტევა
Ჰ 35 ალექსანდრიას. და ვითარცა სჯული[1] ალექსანდრესი მოცემული,
იწყო კერპთმსახურებად და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი
განწმედად[2]. და მონებდა[3] იგი ბიზინიტიოსსა, მეფესა ბერძენთასა.

იყო კაცი ძნელი და მესისხლე. და ესე დააწესა და ამცნო 5
სპათა მისთა: „ყოველმან ქართუელმან ერმან, რომელმან პოვოს სა-
ჰურველი, მოჰკალით იგი“. და ჰყოფდეს ესრეთ რომნი ქართუელ-
თა ზედა: ვინცავინ გამოჩნდის ქართუელთაგანი ქმნა-კეთილი და
ასაკი, მოკლიან, და იყო ჰირი დიდი ნათესავსა ზედა ქართუელთა-
სა. და ესე აზონ მათ ჰრომთა ზედა იყო მოსისხლე, და მოსრნეს 10
მათგანნი მრავალნი.

მ ა ს ა ჟამსა შინა იყო ჰაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რო-
მელსა ერქუა სახელი ფანვარაზ; ესე ფანვარაზ იყო მამულად ქართლე-
ლი, ნათესავი უფლოს[4], მცხეთესი ძისა, და დედულად; სპარსი ასპა-
ნელი.. და იყო იგი დისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექ- 15
სანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო. ესე სამამრ[5] და ძმა
M 117 მისი, მამა ფარ|ნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრისაგან; ხოლო
დედასა ფარნაოზისსა წარეყუანნა ფარნაოზ სამისა წლისა ყრმა და
შელტოლვიღ იყო კავკასიად, და მუნ აღზრდილ იყო. და მოსრულ
იყო მცხეთას მამულსა თუისსა. და ესე ფარნავოზ იყო კაცი გონი- 20
ერი, მჭედარი შემმართებელი და მონადირე ჯელოვანი. და იმალვი-
და იგი სიკეთესა თუისსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირებით
იქმნა მეცნიერ აზონისსა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირობი-
სათუის. ევედრებოდა ფარნავაზ[ს] დედა მისი: „შვილო ჩემო, ეკრძა-
ლე აზონს და ნურას იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა, ნუ უკუე“ 25
მოგკლან შენ“. და იყო შიში და ზრწოლა მას ზედა. და ვითარ
განმრავლდა შიში აზონისი მათ ზედა, ჰქუა ფარნავაზ[ს]: „შვილო
ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა, და წარ[მ]იყვანე ზამულსა
ჰ 36 ჩემსა ასპანს ძმათა თანა, და განერე შენ ცოცხალი | ჯელისაგან აზო-
ნისა“. 30

და დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს განზრახვა ესე, წასულა ასპანისა; ჰირი
უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ
M 118 შიშისაგან დედისა[7] დაამტკიცა წარსლვა. | მაშინ იხილა ფარნა-
ვოზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა და ეგულებო-

---

[1] ამან აზონ დაუტევა სჯული *B*. [2] განწმედად *M*, გაცი და გაიმ *B*. [3] მო-
ნებად *M*. [4] უფოს *M*. [5] სარამ *M*. [6] უკე *M*. [7] დიდისა *M*, დედისა *B*.

და განსულა, და ვერ განვიდა. [მაშინ შემოვიდა] სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა გაზიდინი[1] და გამოიყუანა სარკუმელსა მას. ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად[2], მიყო ჴელი მისი, და მოჰჴოცა ცუარი პირსა მისსა, და იცხო პირსა მისსა.

გ ა ნ ი ღ ვ ი ძ ა ფარნავაზ და განუკუირდა სიზმარი იგი: „ესე არს მე წარვალ ასპანს და მუნ კეთილსა მივეცემი“. ხოლო მას დღესა შინა განვიდა და ნადირობდა მარტო და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა; და ივლტოდეს ირემნი ღრღალთა[3] შინა ტფილისისათა; მისდევდა ფარნავაზ, ჰსტყორცა ისარი, ჰკრა ირემსა და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მოვიდა ფარნავაზ ირემსა ზედა, და ღღე იგი მწუხრი, გარდაჰჴდა, და დაჴდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე, და დილეულმცა[4] წარვიდა. ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი ამქმ-
M 119 ნილ იყო ქუითა ძუელად, შეჰქონდა[5] დარღუევა შენებულსა[6] მას; მუნ დაასხა წუიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლოგი და გამოარღუია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა[7] წუიმისა მისგან. და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი მიუწდომელი. მაშინ ფარნაოზ განჰკუირდა და აღივსნეს სიხარულითა, და მოეგონა სიზმარი და დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე; მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თუისსა და ორთა დათა[8] მისთა. მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საჴედრებითა, და იწყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლეს სიმარჯუესა თუისსა. ვითარ განთენდებოდის, კუალად ეგრეთვე ამოჰქონან კარი ქუაბისა მის, და ესრეთ გამოკრიბეს იგი ხუთ ღამე, და დაიგულეს სიმარჯუესა მათსა მრავალგან.

ჰ 37 |მ ა შ ი ნ ფარნავაზ წარგზავნა მონა თუისი ქუჯის თანა და ჰქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოსი, მცხეთოსი[ს] ძისა, დისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხოსტაკი დიდძალი; აწ ინებო, რათა მოვიდე შენ თანა და ვიყუნეთ ჩუენ ძმა, და ვიჴმაროთ ჩუენ ხოსტაკი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩუენ მტერ აზოვენ ერისთავ-
M 120 სა[9], და |სუემან ჩუენმან გუცეს ძლევა და კეთილი“. მაშინ განეხარა ქუჯის სიხარულითა დიდითა, ჰქუა: „აღდეგ და მოვედ ჩუენ თანა, და ნუ შურობ ხუასტაკსა შენსა, და ხოსტაკითა შენითა განგიმრავლნე

---

[1] განიზიდნა *B*. [2] ქუ˝ე მდაბლად *M*. [3] ღრიღალთა *B*, აღირღალთა ჯ ა ვ. [4] დილეულმცა *M*. [5] შეჰქმნოდა *B*. [6] შინებელსა *M*. [7] დამაშურალი *M*, დაიმშრალა *B*. [8] დაათა *M*. [9] ევასა *M*.

სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეო მტერად აზონისა. მაშ[ი]ნ განიხარონ ყოველთა ქართუელთა, აწყუედილთა მისგან და მიწყუდეულთა, და ვაგონე, რომელ რომთა მათგანნიცა გამოგუირთნენ, რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისგან". მაშინ ფარნავაზ წარვიდა სიხარულითა და რომელი შესაძლებელ იყო წარიტანა თანა და დედაცა[1] და დანი[2] მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და ჰქუა მას: „ქუჯი! შენ ხარ შეილი თავთა მათთა ქართლისათა და შენ გმართებს უფლება ჩემი. აწ ნუ შურობ ხოსტაკსა შენსა, რათა განვამრავლნე სპანი შენნი. და უკუეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი". მაშინ შეიერთნეს, ეზრახეს ოსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა მიცემა[3] აზონისა, და გამოჰყუეს ოსნი და ლეკნი, და განიმრავლნეს სპანი. ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი და
M 121 მომართეს აჳნის, ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თუისთა და შემოკრიბნა.

მ ა შ ი ნ ათასი მჴედარი ჰრომთა[4] მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართუელნი განუდგეს აზონს, სპანი რომელ დარჩეს ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ბოროტის-მოქმედი იყო. წარვიდა აზონ და მოვიდა კლარჯეთს, და გამოვრდა
ჯ 38 იგი სიმაგრეთა შინა | კლარჯეთისათა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი ციხენ[ი] მცხეთისანი, და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თუინიერ კლარჯეთისა. ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარცა ძღუენი დიდძალი, და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა[5] ზედა, ხოლო ანტიოქოს შეიწყნაროს ძღუენი მისი, და უწოდა შეილად თუისად, და წარმოსცა გეირგეინი, და უბრძანა ერთა სომხითისათა, რათა შეეწევოდიან ფარნავოზს. ხოლო წელსა მეორესა აზონამ მოირთნა სპანი
M 122 საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს. განემრავლნეს[6] ქართუელნი მჴედარნი; მოუწოდა მათ და უჴმო ქუჯის და ოვსთა, და შეკრბეს ესე ყოველნი და მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზის[ნ]ი სომხითით. და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა[7] ერქუა მაშინ

---

[1] დაედაცა *M*. [2] დანი *M*. [3] ხ ა რ კ ი ს ა მიცემა *B*. [4] ჰრმით *M*. [5] ბრძენთა *M*. [6] ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს *B*. [7] რომელთ *M*, რომელსა *B*.

ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური, და ეწყუნეს[1] მუნ. და იქმნა
ბრძოლა დიდძალი, და მოსწყდეს ორთავეგანნი ურიცხუნი. ხოლო
იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისგან; იელტოდა ბანაკი მათი, და
მოჰკლეს აზონა, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე
ქმნეს. და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღუარი საბერძნეთი- 5
სა, ანძანძორა, და ეკლეციით შემოიქცა, მოვიდა კლარჯეთს, და-
იპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა.
ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუ[ა]სტაკი აზონისცა, დი
M 128 იქმნა სიმდიდრე გარდარეული. [არა ინებეს განდგომა ბერძენთა[2].
მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ[3] მისი ოსთა მეფესა ცოლად, და ერთი 10
დაჲ[3] მისი [მისცა ქუჯის ცოლად][4]. მიეცა [ქუჯის] ქუეყანა ეგრი-
სი[ს] წყალსა და რიონს შუა, ზღვიდგან მთამდე, რომელსა შინა
არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა ერისთავად მუნ, და მან
ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი. მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა
მტერთა მისთაგან, და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურს 15
ჰ 39 ზედათ. და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსანნი, განაწე-
M 129 სნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერ|თი გაგზავნა მარგუს ერის-
თავად, და მისცა მცირით მთითგან[5], რომელ არს ლიხი, ვიდრე
ზღუამდე რიონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი,
შორაპანი და დიმნა. და გაგზავნა ერთი კახეთისა ერისთავად, მის- 20
ცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი. ერთი გა-
გზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითგან
ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი[6].
ერთი გაგზავნა სამშვილდეს ერისთავად, და მისცა სკორეთისა[7] მდი-
ნარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი[8]. ერთი 25
გაგზავნა წუნდას ერისთავად, და მისცა ფანავარითგან ვიდრე თა-
ვადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა-არტან[ი][9]. ერთი
გაგზავნა ოძრჴის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდგან ვიდრე
არსიანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე
და აჭარა. ერთი გაგზავნა კლარჯეთს, მისცა არსიანითგან ზღუამ- 30
დე, და მერეე ქუჯოს ერისთავები და ეგრისი[10]. ხოლო ერთი და-
ადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგვიდგან ვიდრე

---

[1] უწყნეს *M*. [2] უკანასკნელი წინადადების მაგიერ *B*-ში სწერია: „ხოლო ეგრისის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა. რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“. [3] დაა *M*. [4] დავუმატეთ *B*-დან. [5] მათგან *M*, მთითგან *B*. [6] გარბნი *M*, გარდაბანი *B*. [7] სკჳრეთისა *B*. [8] ხაშირი და გოცი *M*. [9] ჯავახეთი, კოლა და არტანი *B*. [10] ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა *B*.

ტასისკარამდე[1] და ფანვარადმდე, რომელ არს შიგა ქართლი. და
M 130 ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე[2] წინაშე მეფისა, მთაეროზით განაგებდის ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა. ვერღარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყუნეს ბერძენნი ბრძოლისაგან[3] ჰრომთასა. ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოჯრებულნი ალექსანდრესგან, ამან აღაშენა. და მანვე შექმნა კერპი დიდი სახელსა[4] ზედა თუისსა. ესე არს არმაზი. და
ჰ 40 ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერიდგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთუის, და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთუის აღმართებულისა.

ოცდა შვიდისა წლისა მეფე იქმნა, სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ, და მსახურებდა იგი ანტიოქოს, მეფესა ასურასტანისასა. და ყოველნი დღენი მისნი, რაჲ[5] დაჯდა, მშვიდობით აღაშენა და განავსო ქართლი. ხოლო თუენი გაზაფხულის და სთულისა არი-
M 131 სანი[6] ჰდაყუნეს მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა, და თუენი ზამთრისანი დაყუნეს გაჩიანთა, ხოლო თუენი ზაფხულისნი წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრის[ს] და კლარჯეთს, და მოიკითხნეს მეგრელნი და კლარჯნი. და განაგის ყოველი საქმე დაშლილი. ხოლო იგი რომნი ათასნი მჭედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვახსენეთ, იგინი განყუნა ჴევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მჭნედ იყუნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი. და რადგან[7] წარვიდა ალექსანდრე, არღარა ჰამდეს კაცსა, თუინიერ რომელ შესწირიან კერპსა მსხუერპლად. იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათუის ფარნავაზისსა, და იტყოდეს ამას ყოველნი: „ჳჰმადლობთ სუესა[8] ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუენთასა, და აღგვიკდა ხარკი და[9] ჴირი უცხოთა ნათესავთაგან. და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა, და სიქადულითა, და სიმჭნითა, და სიმ-

---

[1] თასის კარამდე *M*. [2] ყოლადვე *B*. [3] ჴელისაგან *B*. [4] სახლსა *M*, სახელსა *B*. [5] რაა *M*. [6] არსნი *M*, არისანი *B*. [7] არადგან *M*. [8] სპასა *M*. [9] და <*M*.

დიდრითა". ესუა ძე და უწოდა საურმაგ. და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის(ს)ა ნათესავთაგანი. ამან
M 132 განა|ვრცო ენა ქართლისა, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა[1]. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული. და მოკუდა ფარნავაზ და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა.

და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ[2]. მას ჟამსა შინა
ბ 41 ზრახვა ყუეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: „არა კეთილ|არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ[3] და ვიყუნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყუენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცავინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ". განამტკიცეს განზრახვა და მოკულა საურმაგისი[4]. ხოლო, იგრძნა საურმაგ, და წარვიდა ფარულად, და ივლტოდა. წარიტანა თანა დედა მისი, მივიდა ურძუკეთს[5] დედის ძმათა მისთა თანა. მაშინ რომთა იგი აზნაურნი წარვიდეს და მივიდეს ურძუკეთსვე და ჰქუეს საურმაგს[6]: „დიდი კეთილი დგას მამისა შენისა; ამისთუის ვართ ჩუენ ერთგულებას შენსა".

მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და შეეწია. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისსა. და საურმაგ[7] შეიკრიბა ურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართუელთა
M 133 ზე|და, და ვერვინ წინა აღუდგა მას; და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი, და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსანნი და წარჩინებულ ყუნა აზნაურნი. ხოლო განმრავლებულ ყუნა ურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი, ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყუნეს სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერღარა იტევდა ურძუკეთი.

მაშინ ამან საურმაგ წარმოიყუანნა იგინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე[8] მათგანნი წარჩინებულ ყუნა, და სხუანი მიითვალეს[9] დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი. და ესენი დაიპყრნა მისანდობლად თუისად დიდებულნი[10]. და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ; და დაუმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისა და მცხეთისათა; და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანა[11], და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა. და მსა-

---

[1] ქართლისა *M*, ქართულისა *B*. [2] სარმაგ *M*. [3] სურმაგ *M*. [4] საურმგისი *M*, საურმაგისი *B*. [5] ურძუკთას *M*, ჴუტყანასა დურძუკთასა *B*. [6] სარმაგს *M*, საურმაგს *B*. [7] საურაგ *M*, საურმაგ *B*. [8] რომელნი *M*. [9] მიითვალეს *M*, დასთნა მთიულეთს *B*. [10] დედულნი *B*. [11] დანანა *B*.

ხურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა, და მოიყუანა ცოლი სპარსი,
ასული ბარდაელისი ერისთავისა; და ესხნეს მის თანა ორნი ასულ-
ნი და არა ესუა ძე. მაშინ მოიყუანნა სპარსეთით შვილი ნებრო-
ჰ 42 თისა, ნათესავითგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და | დაიჰირა
M 134 იგი შვი|ლად, რომელსა ერქუა სახელი მირვან. და მისცა ასული
მისი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთაო[1] სამშვილდისა.

დ ა ე რ თ ი ასული მისცა ძესა ქოჯისა, მამისა დისწულსა მისსა[2]. მეფობდა საურმაგ ბედნიერად მრავალთა წელთა; და მოკუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილი მისი მირვან.

ესე იყო მირვან ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი და ქველი. ამისსა მეფობასა დურძუკუთა[3] დაივიწყეს სიყუარული[4] ფარნავაზისი და საურმაგისი, და გარდამოვიდეს ურძუკეთს მყოფნი. და გააერთნეს თანა ჰართათუის[5] მსხდომნი კავკასიანნი, მოტყუენნეს კახეთი და ბაზალეთი.

მ ა შ ი ნ მირიან მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისა, და შემოკრიბნა ყოველნი სპანი მჭედარი და ქუეითი[6], და ყოველნი კავკასიანნი იყუნეს სარწმუნოდ მორჩილებასა მირიანისსა, რომელნი გარდამოვლინებულ იყუნეს საურმაგ მეფისა თუინიერ ჰართალთასა[7]. შემოკრიბნა ესე ყოველნი, წარემართა დურძუკეთს[8]. შეკრბეს ურძუკნი, დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასლვათა გზასა მას. მაშინ მირიან გარდავლდა ცხენისაგან, მივიდა ქუეითთა თანა
M 135 თუისთა, და წარუძღუა წინა ქუეითთა. ზურგით შემოადგინნა მჭედარნი და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქუი სიფიცხლითა, ვითარცა ვეფხი სიმკვნითა, ვითარცა ლომი ზახილითა. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, ხოლო მირიანს ვერ ჰკუეთდა მახვილი დურძუკთა[9], ვითარცა კლდესა სპასა[10]. და დადგა[11] უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცედ; და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხუ. ხოლო იძლივნეს დურძუკნი[12] და ივლტოდეს. მიუდგეს უკანა ქართველნი, მოსრნეს და ტყუე ქმნეს. და შევიდა[13] მირიან დურძუკეთს, და მოაოჯრა დურძუკეთი და ჰართ-
ჰ 43 ლი[14]. და შეაბნა კარნი | ქუიტკირითა, სახელად დარუბალ. და[15] დაჯდა მირიან მცხეთას, ნებიერად, უშიშად. იყო კაცი მიმნიჭებელი

---

[1] საერისთო *M*, საერისთვო *B*. [2] მამისა დის წულისა მისისა *M*. [3] დურძუკუთა *M*, დურძეკთა *B*. [4] და დაიწყეს სიყუარულითა *M*, დაივიწყეს სიყუარულით *B*. [5] ჰართალეთსა *B*. [6] ყოველი მჭედარი და სპანი და ქუეითი *M*. [7] ჰურჰელთასა *M*, ჰართალთასა *B*. [8] და ურძუკეთს *M*, დურძუკეთს *B*. [9] და ურძუკთა *M*, დურძეკთა *B*. [10] სიპსა *B*. [11] დადგაა *M*. [12] დრკუნი *M*, დურძუკნი *B*. [13] შევიდეს *M*. [14] ჰართალი *B*. [15] დარუბანდა ჯავ.

კეთილისა უხუად. შეიყუარეს იგი ყოველთა მკუიდრთა ქართლისათა, და ჰმსახურებდა იგი მეფესა ასურასტანელთასა.

ამის-ზე მიიცუალა ანტიოქის მეფობა ბაბილონს. და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქუა არბაკ[1]. ეზრახა მირიან არბაკს[2]. და მოკუდა მირიან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ. ამან უმეტა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება. და
M 136 ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი, სახელით ზადენ, და ამართა ზადენს. და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი. ამისა შემდგომად შეიყუარა სჯული სპარსთა ცეცხლის-მსახურება; მოიყუანეს სპარსეთით ცეცხლის-მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქუიან მოგუთა. ამისთუის მოიძულვეს იგი მკუიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა, და ჰქუეს: „მეფე ჩუენი გარდაჴდა სჯულსა მამათა ჩუენთასა: არღარა მსახურებდეს ღმერთთა მჴყრობელთა ქართლისათა, და შემოიღეს სჯული დედული; აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა; მოგუეც ძე შენი არბაკ[3], რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩუენთა; გუაშუელე ძალი შენი, ვაეოტოთ ფარ[ნ]აჯომ, შემომღებელი[4] ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არბაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“.

მაშინ სთნდა სომეხთა მეფესა განზრახვა ესე, გაგზავნა მო-
M 137 ციქული მათი პ[ა]სუხითა კეთილითა და რჩუა | მათ: „უკეთუ ჭეშ-
ჰ 44 |მარიტად უბიწოთა გულითა გნებავს მეფობად თქუენდა ძე ჩემი მეფედ თქუენდა, ყოველთა მომეცით[5] მე მძევალი[6], და მიგცე[7]. და ყოველითავე ნიჭითა აღგავსნე“. მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა[8] მისცეს მძევლები, განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოველითა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლსა; ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა, და მოიყუანნა სპარსნი ძლიერნი, და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბნა ქართუელნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისნი მიეგებნეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართუელთა.

---

[1] არშაკ *B*. [2] არშაკს *B*. [3] არშაკ *B*. [4] შემამღებელი *M*. [5] მოცემით *M*, მოგეცით *B*. [6] მრავალი *M*, მძევალი *B*. [7] მიგეც *M*, მოგცე ძე ჩემი მეფედ თქუნდა *B*. [8] უმრავლებთა *M*.

ხოლო ფარნაჯომ მიეგება მუნვე ტაშირს. იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი; მოსწყდა ორთაგანვე ურიცხვი, რამეთუ იძლია ფარნაჯომ სომეხთა და ქართუელთაგან, და მოიკლა ფარნაჯო[მ], და მოსრეს სპაჲ[1] მისი. ხოლო ძე ფარნაჯომისი მირიან[2] ერთისა წლისა წარიყუანა ყრმა მამამძუძემან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს. ხოლო სომეხთა მეფემან მოსცა ძე მისი არბაკ[3]. დაიპყრა ყოველი ქართლი და მეM 138 ფობდა იგი ნებიერად. და უმატა ყოველთა სიმა|გრეთა ქართლისათა და უმეტეს მომტკიცნა ზღუდენი ზავახეთს[4], ქალაქსა წუნდას.

ბ 45 მ ო კ უ დ ა არბაკ[3], და მეფე იქმნა არტაგ. | და ორ წელ ოდენ მეფობდა, და მეორესა წელსა მეფობისა მისისასა მოვიდეს ერისთავნი სპარსთანი სპითა დიდითა ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა და სპათა მათ სპარსთასა, რომელნი აწყუედილ იყუნეს ფარნაჯომის თანა. ვერ წინააღუდგა მათ არტაგ, მეფე[5] ქართველთა, რამეთუ დიდ-ძალი იყო სპარსთა, არამედ განამაგრნა ციხენი და ქალაქნი. და მოვლეს სპარსთა ყოველი ქართლი, და მოვლეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი ვერა-რომელი წარიღეს, და წარვიდეს. მოკუდა არტაგ, და დაჯდა მის წილ ძე მისი ბარტონ. ამან უმეტა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირიან, რომელი სიკუდილსა ფარნაჯომისსა წარეყუანა მამამძუძესა მისსა, რომელი ეახსენეთ პირველ. ესე მირიან იყო კაცი ქუელი, მჴნე, მჴედარი; და მრავალგზის გამოიცადა იგი [ბრძოლასა][6] თურქუთა და არაბთასა.

ა მ ა ნ შეკრიბნა სპანი ძლიერნი სპარსეთს, წარემართა ქართლს. მიუგზავნა მოციქული ერისთავთა ქართლისათა, და ჰქუა მათ:
M 139 „მოიხსენა[7] სიყუარული (მამის) მამისა | მირიანისი და კეთილი მისი თქუენდა მომართ. დაღაცათუ მამამან ჩემმან შემოიღო სჯული[8] თქუენ შორის და მისგანცა გაქუნდა კეთილი, სამართლად და მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა. აწ ნუ არს საურავი და შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათუის მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევებისათუის მოჰკულენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა. და არა იძებნების სისხლი სჯულის დატევებისათუის მწიკულთა[9]. მე ვარ შვილი მამათა[10] თქუენთა ფარ-
ბ 46 ნავაზიანთა. დაღაცა|თუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ

---

[1] სპაა *M*. [2] მრიან *M*. [3] არშაკ *B*. [4] ჯავახეთს *B*. [5] არცა: გაამეფეს *M*, არტაგ მეფე *B*. [6] ბრძოლასა<*M*. [7] მოიხსენეთ *B*. [8] სჯული უცხო *B*. [9] მოკლულთა *B*. [10] მეფეთა *B*.

მე სჯულსა ზედა მამათა თქუენთასა, და ვესავ მე ღმერთთა[1] მპყრობელთა ქართლისათა და სასოებათა მათთა წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა თქუენისა, და აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი".

ხოლო ერისთავთა ქართლისათა არა შეიწყნარეს ბრძანება მირიანისი, არამედ ყოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ მეფისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი არა წარჩინებულნი წარმოვიდეს და მიერთნეს მირიანს. ხოლო მეფემან ბარტომ შემოიკრიბნა ყო-
M 140 ველნი მყოფნი[2] ქართველნი, და მოირთო ძალი სომხითით დაა მოეგება იგი ხუნანს. და იპყრა იგი ზურგად ქართლი[3] ხუნანი. და მივიდა მირიან და დადგა მდინარესა ბერდუჯისასა. იწყეს ბრძოლად და გამოჩნდეს ორთაევე შორის მუნ ბუმბერეზნი; იყუნეს ყოველთა დღეთა ბუმბერეზთა ბრძოლასა თუესა ერთსა: ოდესმე მათ სძლიან[4]. ხოლო ამას თუესა შინა ერთსა ამან მირიან თავით მოკლა ცამეტი ბუმბერეზი ქართუელთა და სომეხთაგანი, და არავინ გამოჩნდა ქართუელთაგანი და სომეხთაგანი მძლე მირიანისი; და ვერცაღად თუით ბარტომ მეფე ებრძოდა მას, რამეთუ არა იყო ბარტომის თანა გოლიათობა[5]. მაშინ ბარტომ მეფემან განიყუანნა სპანი მისნი და მიმართა ყოველითა სპითა, და ქმნა ბრძოლა ძლიერი; მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი, და იძლივნეს სომეხნი და ქართველნი და მოკლეს ბარტომ, მეფე ქართველთა. ხოლო ამას ბარტომს არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი. და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით
ჰ 47 ძისწული ქუჯისი, საზელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზი-
M 141 ანობა ფარნავაზისი და[6] ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგისაგან, ასულისაგან ქუჯის ცოლისა. და ასული მისი ცოლად ბარტომ მეფისა და აღო შვილად. და ესე ქართველთა სათნოებისათუის ექმნა ბარტამს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოობა აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ[7]. და არა ნებებიდა სხვისა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა. ესე, ქართუელთა მძედ შვილებელი[8] ბარტომ მეფისა, მასვე წყობასა მოიკლა ბარტომის თანა[9]. ხოლო ცოლი მისი, ასული ბარტემისი, უძლები დარჩა. იელტოდა და წარვიდა სომხითს, და მუნ შუა ყრმა და უწოდა სახელად ადრეკი, და იზრდებოდა მუნ. ხოლო ვითარ მოკ-

---

[1] ათთა *M*, ღმერთთა *B*. [2] მყოფნი მყოფნი *M*, სპანი *B*. [3] ჭალაკი *B*. [4] +და ოდესმე ამათ სძლიან *B*. [5] გოლიათ'ობა *M*. [6] ფარნავაზის დის *B*. [7] მართ *M*. [8] ესე ქართამ, ძე შვილობილი *B*. [9] ბარტომისთა *M*.

ლა მირიანმან ბარტამი, და შემოვიდა ქართლად, და რომელნიმე დაშთომილ იყუნეს ერისთავნი ქართლისანი ციხეთა და სიმაგრეთა შინა, მისცა მათ ფიცი და აღთქმა და მოიყუანნა ყოველნი.

და მძლავრებითა გამოიყუანა ცოლი ბარტამისი სამშვილდითა[1] და შეირთო ცოლად, რომელი შვილი იყო არბაკუნიან- 5
M 142 თაე[2], ჯდა მცხეთას, და ნებიერად მეფობდა მცირედ[3] ჟამ, და
ჰ 48 მოკუდა, და დაჯდა მის წილ ძე მისი | არბაკ[4], დედით არბაკუნიანი[5] და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამან განაშორა[6] ნენქარ ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრისი, და მატა სიმაგრესა უფლისციხისასა. და იყო ესე ძლიერი ძალითა, დიდი და გოლიათი. 10
ხოლო ესე ადერკი[7], ძე ქართამისი, ასულის წული ბარტამ მეფისა, ეაჴსენე ზემოთ[8], აღიზარდა[9] სომხითს. და იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის გამოცდილ იყო ბრძოლასა სომეხთა და ასურთასა, და მას მოეკლა მრავალი ბუმბერეზი და სახელოვან ქმნილ იყო იგი. 15

ამან მოითხოვნა სპანი სომეხთა მეფისაგან. და მოსცნა მას და წარუმართა არბაკს[10], ქართველთა მეფესა ზედა, დედის ძმასა მისსა. ხოლო არბაკ[11] შემოკრიბნა ყოველნი ერისთავნი ქართლისანი და რანითცა მოირთო ძალი სპათა და მიეგება წინა. და შეკრბეს ორნივე სპანი თრიალეთს, დაიბანაკეს მახლობელად ერთმანერთისა. 20
M 143 ითხოვა ბრძოლა არბაკ[12] აღორკისა. ხოლო აღორკი სიხარულითა აღიჭურა საჭურველითა შუენიერითა და აღჯდა[13] ტაიჭსა და ჰქუა სპათა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგით კერძო ჩემი, და ნუ შესძრწუნდებით“.

განვიდა ეგრეთვე არბაკ[12], შეიჭურა და განვიდა განწყობ[ი]ლთა 25
შორის. აღიზახნეს ორთავე ჯმითა სასტიკითა და მიეტევნეს ურთიერთას, და იწყეს ორთავე გურემა ორორი, და ვერა ჰკუეთეს საჭურველსა ერთმანერთისასა; ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ორორები, და აღმოიღეს ჩუგლუგები, და იწყეს ბრძოლად ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგუანდის 30
ჯმა იგი ჯმასა მას უროს მჴედლისასა, რომელი ეცემის გურდემლსა,
ჰ 49 და ჯმა ზახილისა მათისა მსგავსი იყო ქუხილისა. |მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშურეს და უკუდგეს იმიერ და ამიერ. შეღამდა დღე

---

[1] სიმშვიდითა *M*, სამშჳლდით *B*. [2] არბკუნიანვაე *M*, არშაკუნიანთავე *B*. [3] მცირედა *M*. [4] არშაკ *B*. [5] არბაკუნიანი *M*, არშაკუნიანი *B*. [6] განაშუტნა *B*. [7] ხუსადერკი *M*, ხოლო ესე ადერკი *B*. [8] ზომოთ *M*. [9] ალზარდ *M*. [10] არშაკს *B*. [11] არშაკ *B*. [12] არშაკ *B*. [13] და დაღჯდა *M*.

იგი, განისუენეს ორთავე, და დილას კუალად გამოვიდეს, და აღი-
M 144 ღეს მშვილდები, და იწყეს რბევად და სრვად[1] ერთმანერთისა. ჰკრა ადრეკი ისარი მკერდსა არბაკისსა[2], და ვერღარა უფარა სი-მაგრემან საჭურველისამან, და განვარდა ზურგით და ჩამოვარდა არბაკ[3] ცხენისაგან. შემოიქცა ადრეკი მსწრაფლ, და მოვიდა სპათა თანა სომხითისათა, და ჰქუა მათ: „გაფუცებ ღმერთთა თქუენთა, ნუ განამარტებთ მახვილთა თქუენთა ქართველთა ზედა, მამულნი [არიან][4] ჩემნი; და აწ მე ვარ მეფე მათი ძალითა და შეწევნითა თქუენითა“. ისმინეს სომეხთა ვედრება მათი, დაადგრეს ადგილსა ზედა. მივიდა მახლობელად ადრეკ ქართველთა სპათასა და ჴმა უყო ჴმითა მაღლითა: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა და სუესა ჩემსა მოუცემია მეფობად ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარულო; აჰა ესერა აღარა მიუშნე სპანი სომეხნი თქუენ ზედა.

A 1 მ ა შ ი ნ ჰქუეს ქართუელ[თ]ა: „შენ |გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა ნათესავთა [ფარნავაზიანთა]. რადგან მოკუდა მეფე ჩუენი, და ვმადლობთ [სუესა ჩუენსა], შენ ხარ მეფე ჩუენი, რამეთუ მოგუეცი [ს ა-
M 145 ზღურად მე]ფისა ჩუენისა შვი|ლიე მეფეთა ჩუენთა, გოლ[ი ა თ ი დ ა სახელოვანი“. და] გარდაჴდეს ყოველნი ქართველნი, დაცუივეს |პირსა ზედა თუი]სსა და თაყუანის სცეს ადერკის. და მშუიდობ[ით შეკრბეს ერ]თად სომეხნი და ქართველნი, სპარსნი რ[ანისნი, და მოიღ]ეს ქართველთა გუირგუინი[5] არბაკისი[6], და დაადგეს ადერკი[ს და წარიყუან]ეს. და ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყა[ნა ქართ-ლი და ეგ]რისი. და მოსცა სომეხთა [მეფემან ასული თუისი ცო-
ჰ 50 ლ]ად. და დაჯ|და მცხეთას და მეფობდა [კეთილად. ოცდა ათის წე-ლი]სა იქმნა მეფე და ორმოცდა ჩუი[დმეტ წელ მეფობდა. ხოლო] პირველსა წელსა მეუობისა მის[ისასა იშვა უფალი ჩუენი] იესო ქრისტე ბეთლემს ურია[სტანისასა. და მოვიდეს მო]გუნი ძღუნისა შეწირვად, და [მათ მოგუთა შესლვასა იელუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას, ვი[თარმედ იელუსალემი] წარმოტყუენესო. [და ურიანი
A 2 რომელნი მცხეთას იყუნეს, იქმნა მათ შორ||ის გლოვა და ტირილი. და შემდგომად მეორისა [წლისა[7] სხუა] მოვიდა ამბავი, ვითარმედ სპარსნი არა წარტყ[უენვად მოვიდე]ს იელუსალიმს, არამედ აქუნდა
M 146 ძღუ|ენი ყრმი[სა ვისმე შობილ]ისათუის. განიხარეს ურიათა მცხეთელთა. [და შემდგომად ამისსა], ვითარ გარდაჴდეს წელნი ოცდა

---

[1] სისრად *B*. [2] არშაკისასა *B*. [3] არშაკ *B*. [4] არიან<*M*, მამულნია *B*. [5] გუირგუინი <*A*. [6] არშაკისი *B*. [7] მეორეს წელსა *M*.

ათნი, მოვიდა[1] მოც[იქული ურიათა] იელუსალემით ურიათა მცხეთელთა თანა, [ვითარმედ რომლისა]თუის იგი მოვიდეს მოგუნი და შეწირეს ძღ[უენი, აღზრდილ ა]რს იგი და იტყუის თავსა თუისსა ძედ ღმრთ[ისა. აწ წარგვი]ვლენიეს ჩუენ მოციქული ყოველთა თანა უ[რიათა, რათა მოვიდენ მეცნი]ერნი სჯულისანი. განვიკითხოთ და გავ[ბრჭოთ მის ზედა და აწ თქუე]ნგანცა წარმოვიდენ მეცნიერნი ს[ჯულისანი და წარვიდეს მანდ]ით ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კანა[ნელი[2] და მუნ დახუდეს ჯუარ]ცმასა უფლისასა და მათ მოიღეს... [ელიოზ მცხეთელმ]ან, ვითარცა წერილ არს ესე მო[ქცევასა შინა ქართლისასა. და მან მეფემანვე]

ჰ 53 ადერკი უმატა სიმაგრეთა ქართლისათა... [და უმეტეს მო]ამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხე[თისანი, წყლისა იმიერ და
A 3 ამიერ. და მისვე] ადერკის მეფობასა მოვიდეს | ათორმეტთა წმიდათა
M 147 მოციქულთაგანნი ანდრია და | სიმონ კანანელ[ი] აფხაზეთს და ეგრის[ს]. და მუნ აღესრულა წმიდა სიმონ ქალაქ[სა ნი]კფისისასა[3], სა-
ზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მ[ოაქცია მეგრელ]ნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა, ხოლო ვითარც[ა ესმა მეფესა] ადერკის მეგრთაგან სჯულისა დატეობა, განუწყ[რა და წარავლინნა] ერისთავნი მისნი, იძულებით კუალად მიაქცი[ვნა მეგრელნი; და და]მალნეს ხატნი და ჯუარნი. და შერისხდა მეფე ადერ[კი ერისთავსა]
კლარჯეთისასა[4], რომელ მშვიდობით განუტევა [ანდრია მოციქული. და ამისვე] ადერკისა მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარ[სეთისა. რამეთ]უ, რათგან შესრულ იყო აღექ[სანდრე და განირყუნა სპარსეთი], აქა ჟამადმდე არღარა დაჯდომილ იყო [მეფე სპარსეთს,
ჰ 61 რამეთუ |ადგ]ილთა იყუნეს ერისთავნი.

მ ა შ ი [ნ შეკრბეს ერისთავნი] სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აჟღ[ალან ბრძენი. მაშინ სომე]ხნი და ქართველნი იყუნეს მორჩილ აჟღალ[ანისი...ადერკის] მეფობადმდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ, [რაზომცა მრავა]ლნი იყუნიან შვილნი მეფეთანი. ხოლო ამას
M 148 [ადერკის ესხნ!ეს] ორნი ძენი, [რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა]
A 4 |და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი; ერეთითგან [ვიდრ]ე თავადმდე მტკურისა და ეგრისა, ესე მისცა ბარტამს [ძესა თუისსა]. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა ს[ამხრით ქართლ]ი ყოველი, ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი, მ[ისცა ქართამს ძეს]ა თუისსა, და მოკუდა ადერკი.

---

[1] მოვიდეს მოციქულნი *M*. [2] კარსნელი *M*. [3] ნაკოფისსა *M*, ნიკოფსისასა *B*.
[4] ერის თავთა კლარჯეთისათა *M*.

თ ე რ თ მ ე ტ ი.

და მეფ[ობდა შემდგომად მისსა შვილნი] მისნი. მათსა მეფობასა სპასიანოს [რომთა კაისარმან] წარმოტყუენა იელუსალიმი, და მუნ ოტებულნი ურ[იანი მოვიდეს მ]ცხეთას და დასხდეს ძუელთავე[1] ურიათა თანა, და ერ[თნეს შვილ- 5
ნი ბარაბასნი], რომელნი ჯუარცმასა უფლისასა განუ[ტევეს ურია-
ჰ 62 თა უფლისა ჩუ]ენისა იესოს | წილ. და მოკუდეს ბარტამ [და ქართამ.

შ ე მ დ გ ო მ ა დ მ ა თ ს ა მ] ე ფ ე ი ქ მ ნ ე ს შ ვ ი ლ ნ ი: [არ-
მაზს[2] ფარსმან და ში]და ქალაქსა კაოს. ადერკითგან ესე მეფენი
M 149 [იყუნეს მორჩილებასა შ]ინა სომეხთა მეფისასა, უმეტეს არმაზელნი 10
[მეფენი შეეწეოდიან სო]მეხთა ყოველთა მტერთა ზედა. მაშინ მეფე [იქმნა სომხითს დიდ]ი იგი მეფე იარავანდ, და დაივიწყა მუნ კე-თილი[3] [ქართველთა, ე]მძლავრა ფარსმან არმაზელსა, და მოულო საზღვა[რსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდენ], და
A 5 დაასხნა წუნდ[ას შინა კაცნი მჴეცნი, ნათესავნი დევთანი, და 15
უწო[და...] სა სახელად საჯატუნი[4], რომელი ითარგმნების დ[ევეთა სახლად]. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი, [და მოკუ-დეს მწუხ]არებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს[5].

ც ა მ [ე ტ ი.

და დასხდეს შემდგომად მათსა] შვილნი მათნი არ- 20
მაზს აზორკ, და შიდა ქართ[ლსა არმაზელ[6]... იყუნ]ეს კაცნი მჴეცნი და შემამართებელნი. შეითქ[უნეს ესენი და განიძრ]ახეს ძიება საზღვარ-თა ქართლისათა. მაშინ [მოკლა სამბატ ბა]ვრიტიანმან იარავანდ, მეფე სომეხთა და [დასუა მეფედ ძმა იარ]ავანდისი[7] არტაშან. მაშინ ამათ მეფე[თა ქართლისათა, ა]რზოლ და არმაზაელ, მოუწოდეს ოვსთა [და 25
ჰ 63 ლეკთა, და გარდამოიყუან]ნეს | ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გო[ლიათ-ნი[8], ბაზუკი] და აბაზოკ, სპითა ოვსეთისათა, და ამათ [გარდამოა-
M 150 ტანეს თა]ნა პაჭან[აკნი და ჯიქნი. და გარდამოვიდა მეფე ლე[კთა და გარდ]ამოიტანნა დურძუკნი და დიდონი. და ამათ მ[ეფეთა ქართლისათა] შეკრიბნეს სპანი თუისნი. შეკრბა ესე ყოვე[ლი სი- 30
მრავლე ურ]იცხუი. და სიმარჯუით [ფარ]ულად შეკრბეს. ვიდ[რე სპანი შეკრბებოდ]ეს სომეხთანი, [და შევიდეს ესენი სომხითს და
A 6 უგრძნებლად წარმოსტყუენეს] | ბირაეთი[9] და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე. შ[ეიქცეს და ჩატ]ყუენეს დაშტი, ვიდრე ნახჭევანამ-

---

[1] რომელთავე *A*, ძუელადვე მოსრულთა *MB*. [2] არმაზის *M*. [3] კეთილი კე *A*. [4] ქაჯატონი *M*, ქაჯატუნი *B*. [5] კასპო *M*. [6] არმაზელ < *M*, შევსებულია *B*-დან. არვანდისაე *M*. [8] გოლიათნი < *M*. [9] შირეთი *M*, შირაკუანი *B*.

დე[1] და აღიღეს ტყუე[... ური]ცხუი, და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტაგითა, და[გამოვლეს გზა ფი]სოსისა[2].

მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან [მოუწოდა სპათა ს]ომხითისათა, და შეკრბეს მსწრაფლ სომეხნი [და დევნა უყუეს. ხოლო] ესე ყოველნი ჩრდილონი გაუყრელ[3] იყ[უნეს...] და მისრულ იყუნეს კამბეჩოანსა, დაებანაკა იო[რსა ზედა, და განუყოფ]დეს ტყუესა და ნატყუენავსა. მაშინ სუმბ[ატ წარავლინა მოციქ]ული და რქუა; „რომელი აღგიღია ნატყუენა[ვი სომხითით, პირ|ტტყუი, ოქრო, ვეცხლი და ნაქსოვი, ყოველი მ[იმინიჭებია თქუენდა]. და რომელი დათხეულ არს სისხლი სომეხთა [თქუენ მიერ, იგიცა] უძებნელ არს თქუენ ზედა; არამედ რომელი [აწუ გაყავს კაცი ტყუ]ედ, განუტ|ევეთ და წარვედით განმდიდრებულ[ნი“. ხოლო მათ პასუხი] მიუგეს: „არა სხუად შემოვედით სომხითს, [არამედ ძიებად შე]ნდა, და ვერა გპოეთ შენ. და აწ მოვედ ჩუენ[და და მიიღე ნაწი]ლი შენი, თუარა მოვიდეთ შენდა, სადაცა [იყო და ვერ] განერე [ჴელისაგან ჩუენისა] ცოცხალი“. მაშინ * [სუმბატ ბივრიტიანმან განვლო მტკუარი; ჰ 64 და | ბაზოკ ოვსთა[5] მეფემან სთხოვა მუქარა, მიუგზავნა მოციქული და სთხოვა თავის-თავ ბრძოლა.

ხოლო სუმბატ აღიჭურა და აღჯდა ვარზანტსა[6] მისსა და განვიდა განწყობილთა შორის, და მუნით გამოჴდა ბაზუკ; და აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს. დასცნა სუმბატ ჰოროლნი[7] სარტყელსა ზედა და განავლო ზურგით წყრთა ერთი, აღიღო ცხენისაგან და დასცა ქუეყანასა ზედა. მაშინ მიეტევა ანბაზუკ შველად[8] ძმასა თუისსა, და მოსწუადნა სუმბატ ჰ[ო]როლნი იგი, მიეგება და ეგრეთვე მას სცნა და განავლო და დასცნა ქუეყანასა ზედა და თქუა: „სომეხთა დედათა და მამათა ყრმათა ჩუილთათუის, რომელნი თქუენ მოსრენით“[9]. მაშინ სპათა მ|ათ ყოველთა ოვსთა, ლეკთა და ქართველთა და ყოველთა მათ ჩრდილოთა ერთპირად აღიზახნეს და თქუეს: „ვინათგან მოკლნეს ძმანი ისი ორნი თავნი გოლიათობისანი ყოვლისნი, სიკუდილი ჩუენი არად შერაცხილ არს“. და განბოროტნეს და შეკრბეს ყოველნი სპასალარობასა[10] ქუეშე არძუკ და ამაზერისსა, ქართველთა მეფეთასა, და ყოველნი მიეტევნეს სუმბატს და სპათა სომხითისათა. მაშინ იქმნა ბრძოლა დიდ-ძალი. მათ შო-

---

[1] ნაჰევანამდე *A*,<*M*. [2] ფარისოსისა *B*. [3] გაყრილ *M*, განსრულ *B*. [4] შევავსეთ *B*-დან. [5] ჰვსთა *M*, ოვსთა *B*. [6] ვარსამატსა *B*. [7] ჰროლნი *M*, ოროლნი *B*. [8] შვილად *M*, შველად *B*. [9] მოსენით *M*. აღსწჳდენით *B*. [10] სპასილარობასა *M*.

* აქ ხელნაწერს აკლია ორი ფურცელი.

რის, და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა სამ ჴ[ა]მითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მოსწყდა ორგნითვე ურიცხუი, და აღჳდა მტუერი, და დღე ბნელ იქმნა, ვითარცა ღამე; და აღრეულ იქმნეს ერთგან და ვერღარა იცნობდეს ერთმანერთსა მტურისა მისგან. მაშინ იძლია ბანაკი სომეხთაგან, მეოტ იქნეს და დაფარნეს[1] ყოველნივე. მიუდგა სუმბატ, მრავალთაგან მრავალთა მოწყლული, და სდევნა ღამემდის და მოსრნა ყოველნი ოვსნი და ლეკნი, რომელთაგან მცირედნი დაურჩეს. ხოლო ქართუელნი უფრო დარჩეს სო-
M 153 მეხთა[2] გზათა მეცნიერებისაგან. შემოიხუეწნეს (რამეთუ) ორნივე მეფენი ქართლისანი მცხეთას მოწყლულნი.

მაშინ სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად და მოარჯრა ქართლი, რომელი (არღარა) პოვა ციხეთა და ქალაქთა გარეგნით. არამედ ციხე-ქალაქთა არა ებრძოდა, რომელ[3] არა მზად
ჰ 65 იყო მსწრაფლ გამოსულისა[გ]ან. აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჴეულისასა, რომელს[ა] ეწოდებოდა სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქუიან დომთა[4], მოკიდებულად მთასა ღადოსსა, და დაუტეენა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდათ და მაბრძოლად ოძრჴეულთა და წარვიდა.

მ ე ფ ე ნ ი ესე ქართლისანი, არზუკ და ამზაერ, სიფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი მათნი, განიწირნეს ყოველნი ველნი ქართლისნი, და არა დასცხრეს კრებულისაგან[5] სომეხთა ზედა. და იწყეს ოვსთა ძებნა სისხლისა მათისა სომეხთა ზედა, გარდამოვიდოდეს ქართლად, დაემეგობრნეს ქართუელთა, და მარადის ჰკრთებდა.

M 154 დ ა ი ყ ო ოძრჴეს ქალაქსა შინა ერისთავი[6] მეფისა ამზაჰერი-სი, აზნაურთაგანი. და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა ამზაერისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელნი. ხოლო წუნდელნი და [და]მოთელნი[7] შეეწეოდეს ერთმანერთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს, და უფროსი ბრძოლა მათი იყუის მდინარესა ზედა; რომელსა ჰქუიან ნოსტე.

დ ა ი ყ ო კლარჯეთს ერისთავი არძუკ მეფისა, აზნაურთაეგანი; და იგი ავნებდის აზნაურთა სომხითისათა ქუეყანასა პარხლისა[8], რომელ არს ტაო[9]. და ვერავინ შეუვიდა მაენე კლარჯეთს, რამეთე შეუვალი და მაგარი იყო ტყუითა და კლდითა, და მკუიდრნი კლარჯეთისანი იყუნეს მკუირცხნი, მჭნენიცა.

ხ ო ლ ო თუით მეფენი ქართლისანი მცხეთით გაღმართ ევნებოდიან სომხითს, გზასა აბოცისსა, და მარადის ესრეთ ჰკრთებო-

[1] დაიფანტნეს *B*. [2] სამეოტოთა *B*. [3] რამეთუ *B*. [4] დემოთი *B*. [5] კირთებისაგან *B*. [6] ევა *M*. [7] დემოთელნი *B*. [8] პარხისასა *B*, პაოტლისსა *M*. [9] ტაო *M*.

დეს[1] ქართუელნი და ოვსნი. მაშინ წამოემართა ძალითა მისითა
ყოვლითა[2] არტაბან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი სუმბატ ბავრი-
ტიანი. ხოლო ქართველთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი, და
M 155 მოვიდეს სომეხნი და დადგეს მცხეთას და ჰბრძოდეს ხუთ თუე; და
დღეთა ყოველთა იყუის ბრძოლა ბუმბეზთბა. მაშინ შესჭირდა ქარ- 5
თუელთა და ოვსთა, და ითხოვეს მშვიდობა, და აღუთქუეს მორჩილე-
ბა და არღარა ძიება სისხლისა და ზღუარისა. მაშინ ისმინა სომეხთა
ჳ 66 მეფემან ვედრება მათი: ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონნა იგი-
ნი ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან და წარვიდა,

ხოლო გარდაჴდეს ამას შინა წელნი რაოდენნიმე, და აღშენ- 10
და ქართლი მოოჯრებული სომეხთაგან. მაშინ უცალო იქმნეს სო-
მეხნი, და იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა, და პოვეს მას
შინა ჟამი მარჯუე ქართუელთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხ-
თა, რამეთუ სპანი სომეხთანი ყოველნი და ორნი ძენი მეფისანი
A 7 სუმბატ იყუნეს ბრძოლად სპარსთა,] | და ვითარცა განამრავლეს 15
ქართველთა და ოვსთა ვნება სომეხთა, მაშინ არტაშან მეფემან შე-
კრიბნა სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, და მისცნა ძესა მისსა
M 156 ზარენს[3], და წარმოგზავნა ქართველთა ზედა.| ხოლო შეკრბეს ქართ-
ველნი და ოვსნი და მიეგებნეს ჭუეყანასა ჯავახეთისასა, ეწყვნეს
და სძლეს ზარენს. და აოტეს ზარენ, და მოსრეს სპა მისი ყოველი, 20
და სდევ[ნ]ეს საზღურამდე სომხითისა, ჭუეყანასა პარხრისასა, რო-
მე[ლ] არს ტაო[4]. მიეწივნეს ზარენს, ძესა მეფისასა, და შ[ეიპყრ]ეს
ტბისა მის პირსა, რომელსა რქუიან ცელი. და [უკმოიყუა]ნეს[5]. ხო-
ლო ოვსთა ნებევდა მოკლვა მის [ზარენისი] სისხლისათუის მეფეთა
მათთასა; არამედ [ქართუელთა დაიც]ვეს ცოცხლებით ძიებისათუის 25
საზღვართა [მათთასა, და დასუე]ს პყრობილად ციხესა დარალანი-
სასა. ვერ [ძებნეს სომე]ხთა, რამეთუ უცალო იყუნეს სპარსთაგ[ან.

მ ა შ ი ნ წ ე ლ ს ა] მ ე ს ა მ ე ს ა მ ო ვ ი დ ა ს უ მ ბ ა ტ ბ ი ვ რ ი-
ტ ი ა ნ ი და ძ ე ნ ი მ ე ფ ი ს ნ ი: ა რ ტ ა ვ ა ზ და ტ ი გ რ ა ნ ი,] ყოვლი-
თა სპითა სომხითისათა. მაშინ მეფეთ[ა ქართლისა]თა უბრძანეს ქვე- 30
A 8 ყა[ნათა მათთა შელტ]ოლა ციხე[თა, ქალაქთა]. [და მთეულეთთა[6] გა-
ა]მაგრნეს ციხენი და ქალაქნი. მოვიდეს სომეხნი და დადგეს თრია-
M 157 ლ[ეთს, აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დააზავეს[7]. მისცეს ქართ-
ველთა ძე მეფისა შეპყრობით და აღუთქუეს შეწევნა ესრეთ: „უკე-
თუ ვინ აღდგეს მტერი და მოღმართ [გ]ებრძოდეს[8], ჩუენ ორნივე 35

[1] ჰკირთებოდეს *B*. [2] ყოველთა *M*, ყოვლითა *B*. [3] ზარენას *M*, ზარენს *A*, ზარენს *B*. [4] ქუეყანასა პარხრისასა, რომელ არს ტაო<*MB*. [5] [უკმოიყ]უნეს *A*. [6] მთიულელთა *B*, მთიულეთა *M*. [7] და დაიზავნეს *B*, და იზავნეს *M*. [8] გბრძოდეს *B*, ებრძოდეს *M*.

მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანადაგიდგეთ და გი-
შუელოთა; და თუ ვისმ[ე] მიღმა ბრძოდეთ, ათას-ათასითა მჳედრითა
B 67 ჰურვი|ლითა [შეგე|წეოდეთ“. და ესეცა უქმნეს ქალაქსა ჩუენსა,
დრამა არტაშ[ან მეფისა] ხატითა დავსცეთო. ხოლო ამისთუის სო-
მეხთა |უკმოსცეს სა]ხლეარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე
დამოთ[ისა[1], ჯავახეთი] და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე
|სომეხნი და ქართ]ველნი და ოვსნი, სამნივე ერთად ბრძოდეს
|მტერთა. და] აღესრულნეს არზოკ და არმაზაელი, ნუ[გეშინის ცე-
მუ]ლნი დიდად, რამეთუ სიმჴნითა მათითა [უკუმოიხუნეს] საზღვარ-
ნი ქართლისანი.
M 158 და შემდგომად მათ[ა მეფ|ობდეს] შვილნი მათნი:
არმაზს—ამზაპ[2] და შინა-ქართლ[ს]—დეროკ. [და შემდ]გომად მათს[ა
A 9 მეფ|ობდეს შვილნი] მათნი; არმაზს—ფარ|სმან ქუეყნი და შიდა-
ქართლს—მირდაატ. აქამომდე ესე მეფენი ყოველნი ორნი[3] იყუნეს
მოყურობასა ზედა: ერთგან მოყუარენი ვისმე და ერთგან მტერნი
ვისმე. მაშინ ამან მირდატ ქართველმან მოიყვანა ცოლი სპარსი.
B 68 ნათესავი მეფე|თა, და წუევითა სპარსთათა მტერ ექმნეს ფარსმან
ქუეყნელსა [არმაზელსა, და განიზრახეს მუხთლად სიკუდილი ფარსმან
ქუეყნელისა, და მოხადა მირდატ ფარსმან ქუეყნელსა][4] სახლსა თუისსა,
რეცა მიჯლიშად და განცხრომად; უთხრა ვინმე ფარსმანს, და
არა მივიდა. მიერითგან იქმნეს მტ[ერ]; მირდატს
შეეწეოდეს სპარსნი, ხოლო ფარსმან[ს]-სომეხნი.
ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე, ხოლო ფარსმან
ქუეყნელი—კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და [შ]ემნდობელი,
ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლ[იერ]ი, მჴნე, მჴედარი,
M 159 შემმართებელი ბრძოლასა, უშიში ვითარცა უჴორცო, და | ყოველ-
თა უმჯობესი, ყოველთა მეფეთა ქართ[ლ]ისათა, რომელნი გარდა-
ცვალებულ იყუნეს უწინარეს მ[ისსა. ე]სე უყუარდა მირდატის
კერძთაცა ქართველთა, [სძულდა მ]ირდატ მესისხლეობისა და მე-
დგრობისა მ[ისისათუის, და გამოერთ]ვნეს უმრავლესნი მირდატი-
A 10 საცა [კერძნი... ფარსმან] | ქველი აოტა, და წარვიდა მირდატ
სპარსეთად[5].

იყო სპასპეტი[6] ფარსმან ქუეყნელისა, ეგრეთვე ქუე-
ყნელი და გოლიათი, სახელით ფარნაზ, ძუძუსმტე ფარსმანისი,
ერთგული, სარწმუნო და მისანდომელი. იგი დაადგინა ქართლსა[7],

[1] დმოთისა *MB*. [2] ამზასპ *B*, ამაზსა *M*. [3] ორ-ორნი *B*, ოროლნი *M*. [4] არმა-
ზელსა—ქუეყნელსა] გამოტოვებულია *A*-ში კიდურმსგავსებით გამოწვეული შეცდო-
მის გამო; შეივსეთ *B*-დან. [5] სპარსეთად *A*. [6] სპასპეტი *MB*, სპარსეთი *A*. [7] შიგა
ქართლსა *M*, შიდა ქალაქსა *B*.

ადგილსა მირდატისსა. ყოვლადვე იყვის ფარნავაზ სპასპეტი ქალაქსა შინა. ხოლო მეფე ფარსმან იარებოდის და განაგებდის სამეფოსა მისსა. მაშინ მირდატ გამოიყვანნა სპარსნი, სპანი ძლიერნი, და მომართა ფარს[მა]ნს. ხოლო ფარსმან შემოკრიბნა სპანი ქართლისანი და მოირთო ძალი სომხითით, და მიეგება იწროთა რკი- 5
M 160 ნის-ჴევისათა. იწყე[ს] ბრძოლად მუმბარეზთა დღეთა მრავალთა; | და რომელი გამოჩნდ[ის მ]უმბარეზი სპარსთა შორის, რომელსა ვერ ებრძოდიან [მ]უმბარეზნი ქართლისანი, მას ზედა განვიდის თუით
ჰ 69 მეფე ფარსმან [ა]ნუ სპასპეტი | მისი ფარნავაზ, აჯობიან და სძლიან. და მას ბ[რძოლ]ასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩუიდმეტი 10
მუმბა[რეზი სპარსი]. ხოლო სპასპეტმან მისმან [მოკლა ოცდა სამი]. მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი [ერთი გოლიათი],
A 11 სახელი ჯონბერ, რომელი ლომსა | ჴელითა შეიპყრობდა. ამან სთხოვა ბრძოლა თავის-თავ მეფესა ფარსმანს. ხოლო ფარსმან ქუეული სიხარულითა აღიჭრა და განვიდა. აღიზახნეს[1] ორთავე ჴმითა სას- 15
ტიკითა, მიეტევნეს ერთმანერთსა და იწყეს ჴრმლითა ბრძოლა, ჴმა[2] ბრძოლისა მათისა ემსგავსა ჴმასა[3] ქუხილისასა. აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოაქცია სპისა მისისა კერძო, ჴმა ყო ჴმითა მაღლითა: „აჰა ლომნო ბრძუინვალენო, ცხოვარნი დასეტყუილნი“. მაშინ მიეტევნეს სომეხნი და ქართველნი[4] სპარსთა ზედა, აოტნეს და მოს- 20
წყუიდნეს და ტყუე ყუნეს ურიცხუნი, და წარვიდა მირდატ მეფე სპარსეთადვე. და წელსა მეორესა კუალად მოვიდა მირდატ სპითა უძლიერესითა. ხოლო ფარსმან შემოკრიბნა ქართველნი მჴედარნი და[5] ქუეითნი, და[დ]გა მცხეთა-ქალაქსა შინა, რამეთუ არა ჰყვეს სპანი მირდატისა სპათა ოდენნი. მოვიდა მირდატ და დადგა ჯა- 25
ჰუს. და ეგრეთ დღეთა ყოველთა იბრძოდა. და მას ბრძოლასა შინა ფარსმან მოკლა თავის-თავითა მუმბარეზი თორმეტი[6].

მაშინ ფარსმან [მეფემან] სიფიცხითა გულისათა არღარა განასხ[ნა სიმრავლე სპათა], არამედ განვიდა ჟამსა განთიადისასა[ა
A 12 სპითა თუისითა, დაესხა, და მო||სცა სუემან მისმან ძლევა, აოტა 30
ბანაკი მათი და მოსწყუიდნა ურიცხუნი. და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადვე. ამიერითგან განითქუა სახელი ფარსმან ქველისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისი. წინამძღუარ ექმნა იგი სპათა
M 162 სომხითისათა[7]. და იწყო ბრძოლად სპარსთა და შესლვად სპარ-

[1] აღისახნეს *A*, აღიზახნეს *MB*. [2] ჴმა *A*, ჴამი *M*, ზაჰმი *B*. [3] ჴმასა *A*, ჴამსა *M*, ზაჰმსა *B*. [4] გართველნი *A*. [5] და <*A*. [6] აქ კიდურმსგავსების შეცდომის გამო გადამწერს გამორჩენია: „ხოლო სპასპეტმან ფარნავაზ ათექუსმეტი“ (*M*). [7] ქართლისა და სომხითისათა *MB*.

სეთს. და ვერა ოდეს წინააღუდგეს სპარსნი. მაშინ სპარსთა გე-
ჰ 70 ბა-ყვეს მარჯუე. და მოიყვანეს მზუარეული ერთი, და | აღუთქუეს მას კეთილი დიდი და რქუეს: „წარვედ და შეეწყნარე ფარსმანს ქუეყნისა და წარიტანე თანა წამალი საკლავი, და ჩაურთე საჭმელსა მისსა და შეაჭამე“. წარმოვიდა მზუარეული იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა უთხრეს სპარსთა. და მოკლა ფარსმან მეფე. მაშინ იქმნა გლოვა, ტირილი და ტყება ყოველთა ქართველთა ზედა, წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკთამდე. იტყებდეს თავთა მა[თთ]ა, და ყოველთა ქალაქთა, უბანთა და დაბათა დასხდიან მგოს[ანნი გლოე]სანი, და შეკრბიან ყოველნი და აჴსენებდიან სიმჴნესა და [სიქუეA 13 ლესა და სიშუენიერე]სა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა, და იტ[ყოდეს ესრეთ[1]: „ვაჲ[2] ჩუენდა, მოგ]უიძულ[ნა[3]] ჩუენ სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისა მიერ ჴსნილ ვიყუენით
M 163 მონებისაგან მ[ტერთასა, მოიკლა კაცთა გრძნეულთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა“.

მაშინ გამოვიდეს სპარსნი, და გამოიტანეს თანა მირდატ, და იპყრეს ქართლი, და მისცეს მირდატს ნაწილი მისი, ხოლო ნაწილი ფარსმანისი თუით დაიპირეს, და დაუტევეს ერისთავი არმაზს, ხოლო [ფ]არნავაზ სპასპეტთან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, იღლტოდა და მივიდა სომხითს, რამეთუ სოშეხთა მეფისა ასული ცოლი იყო ფარსმანისი; და დაიპყრა ქართლი მირდატ და ერისთავმან[4] სპარსთამან. ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა.

მას ჟამსა [მო]ყუარედ იყუნეს სომეხნი და ბერძენნი. მაშინ სომეხთა მეფემა[ნ] მოირთო ძალი ბერძენთაგან და წარმოემართა ბრძოლად სპარსთა და ქართველთა. ეშუელნეს მეგრნი, და შეკრბა სიმრაველე ურიცხუი. მაშინ მირდატ[5] და ერისთავმან სპარსთამან [მოირთე]ს ძალი სპარსეთით. ხოლო სომეხნი [და ბერძენნი და მეგM 164 რელნი შთავიდეს ში]გა-ქართლს, და მუნ მიეგებნეს სპარს[ნი და
A 14 ქართუელნი მდინარე]სა ზედა, რომელსა რქუიან ლიახუი, და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა, რომელსა რქუიან რევჯად[6]. მოსწყდა ორთაგანვე ურიცხუი[7], იძლინეს სპარსნი და ქართველნი, და მოკლეს მირდატ და ერისთავი სპარსთა, და მოსრნეს სპანი მათჰ 71 ნი. | თ[ე]ქუსმეტი.

---

[1] ესრედ *M*. [2] ვაა *M*. [3] მოგიძივნა *M*, მოგუძინა *B*. [4] ერმან *A*, ერისთავმან *BM*. [5] მიდრატ *A*. [6] რევაა *A*, რეკი *M*, რეხი *B*. [7] ირიცხუინი *A*, რიცხვი *M*.

დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქველისა, რომელსა ერქუა ადამი, და სამ წელ ოდენ მეფობდა. მოკუდა და დარჩა ძე მისი წელიწდისა ერთისა ყრმა; და ვიდრე აღიზარდებოდა ყრმა იგი, მეფობდა დედა ადამისი, რომელსა სახელი ერქუა ღადან[1].

ჩუიდმეტი.

და ვითარ აღიზარდა ძის წული ფარსმან ქველისაჲ, სახელით ფარსმანეე, [მეფე იქმნა].

თურამეტი.

და შემდგომად მისსა მეფობდა ძე მისი ამზასპ. იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსებით ფარსმან ქველისა; ამისსა მეფობასა გამოვიდეს ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალე-
M 165 თისასა. ვერ იგრძნა ამზასპ ვიდრე გამოსლვადმდე მათისა. მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა [ზედა რვა დღე] განსუენებად. არა სადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქსა მცხეთისასა] შემუსრვად გამოსრულ იყუნეს. მაშინ ამ[აზასპ მოუწოდა ყოველთა] ერისთავთა
A 15 ქართლისათა. მოვიდეს | ერისთავნი: აღმოსავლეთისა ერისთავი, კახეთისა ერისთავი, ხუნანისა ერისთავი, სამშუილდისა ერისთავი. და შემოკრბეს მჴედარნი სპარსეთისანი, და ვიდრე მოვიდოდეს ერისთავნი, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კართა ქალაქისათა, რომელ არს მუხრანი. მაშინ ამზასპ მეფემან განავსნა ციხენი და კარნი მცხეთი-
ჳ 72 სანი ლაშქრითა, და იყო სიმრავლე ქუეითთა | მცხეთელთა, რომელნი კართა და ზღუდეთა სცვიდეს; მათგან კიდე გარე მეომრად გამავალი ლაშქარი ქუეითი იყო ოცდა ათი ათასი ყოვლადვე, მაშინ რომელ ჰყვა მჴედარი ათი ათასი. განვიდა (ამსა) ამზასპ და განაწესნა ქუეითნი არაგუსა იმიერ და ამიერ სიმაგრეთა შინა კართა; ხოლო მჴედრითა ლაშქრითა განვიდა ამზასპ ადგილსა, რომელსა
M 166 რქუიან საფუ|რცლე. იპყრა ზურგად ქალაქი და ქუეითნი იგი, რომელ დაეყენნეს კართა შინა. იწყეს ბრძოლად მუმბარეზთა. განვიდა ამზასპ მშუილდითა, იწყო სროლად გულითა ფიცხლითა და მკლავითა ძლიერითა; ეზომ შორს ისროდა, რომელ დამართებით[ა
A 16 მდგომთა ოვსთაგან არა]|შეეტყობოდა[2] და არცა ინახვებოდა სიშორითა, ანუ აქუს მშუილდი. და მუნ ჰკრის ისარი, რომელსა ვერ დაუდგნის სიმაგრემან საჭურველისამან. და მას [დ]ღესა შინა ამზასპ მოკლა მუმბარეზი თხუთმეტი რჩეული და ცხენი მრავალი. და სხუათაცა მუმბარეზთა ამზასპისათა მოკლნეს მუმბარეზნი ოვსთანე; და დადგა დიდი ვნება ოვსთა ზედა. მას ღღესა შინა მოვიდა ამზასპ ქალაქად

[1] ღადანა *M*, დადანა *B*. [2] შეეტყუბოდა *B*, შეიტყუებოდა *M*.

მჴედრითა სპითა, ხოლო ქუეითნი იგი დადგეს მუნვე ადგილსა ზედა კართა შინა. და მას ღამესა მოემატნეს მჴედარნი, რომელნი ვერ მოეტანნეს თანა ერისთავთა მათ სისწრაფითა.

და ვითარ განთენდა, კუალად განვიდა მუნვე ამზასპ და
M 167 აღიხუნა ოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი, რო- 5
მელსა ერქუა სახელი ხანხუა[1]; იგი გამორჩეული იყო სპათა შორის ოვსთასა[2]. აღიხახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთსა, და პირველსა მისულასა ჰკრა ოროლნი ამზასპ, და გან[ავლო ზუ]რგით, და მოკლა იგი. და აღმოიჴადა[3] ჴრმალი, და მიეტეცა [სხუათაცა ბუმ-
A 17 ბერეზთა] ჴრმლითა, და მოკლნა ორნი სხუანი[4]. | შემოვიდა ქალა- 10
ქად მჴედრებითურთ, ხოლო ქუეითნი განვიდეს მუნვე კართა ზედა. და მას ღამესა კუალად მოემატნეს მჴედარნი, და განიზრახეს დასხმა
პ 73 ოვსთა. განვიდა და დაესხა, გან[თენების ჟამსა, მჴედრითა და ქუეითითა და ყოვლითა ძალითა, და აოტა ბანაკი მათი, და მოკლა მეფე ოვსთა, და მოსრა ყოველი სიმრავლე მათი. წელსა მეორესა 15
მოირთო ძალი სომხითით და შეკრიბნა სპანი მისნი ყოველნი და განვიდა ოვსეთს, ვერვინ წინა აღუდგა და მოტყუენა ოვსეთი. და მოვიდა შინა განმარჯუებული.

შემდგომად ამისსა შეეჭნა სილაღე და იწყო მესი-
M 168 სხლეობად, და მოს[წყუიდნა მრავალნი წარჩინებულნი. ამისთუის 20
მოიძულა იგი ერმან ქართლისამან, და მტერ იქმნა[5] იგი სომეხთა, და შეიყუარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრჴისა[6], ერთი კლარჯეთისა, ერთი წონდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა და ითხოვეს სომეხთა მეფისა ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამზას- 25
პისი. მაშინ სომეხთა მეფე, ძალითა მისითა, წარმოემართ[ა ქართლად], და მოირთო ძალი საბერძნეთით. და ეზრახნეს [ოვსთაცა.
A 18 ხოლო ო]ვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო მათი ამზასპ. და გამოვლეს გზა თაკუერისა და მოვიდეს ერისთაჲთა თანა ეგრისათა. მაშინ ამზასპ მოუწოდა სპარსთა, და მო- 30
ვიდეს სპანი[7] ძლიერნი; და შემოკრიბნა ქართველნიცა, რომელნი დარჩომოდეს. მაშინ ოვსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე, და შეკრბეს იგინი ერთად და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი.

და ესე ყოველნი მივიდეს წინაშე სომეხთა მე- 35

[1] ხუანხუა *MB*. [2] ამის შემდეგ *A*-ში სწერია (სხვა ხელით) და წაშლილია: «ძე მისი ყადანდი». [3] აღმოიჴდა *A*. [4] სახუანი *A*. [5] ექმნა *MB*. [6] ორძჴისა *A*. [7] სპარსნი *MB*.

M 169 ფისა. ხოლო წარმოემართა ამზასპ, და მიეგება | გუთისკევსა, და არავინ იპოვა ეგეოდენთა მათ სპათა შინა ბერძენთა, სომეხთა, ოვსთა, მეგრთა და ქართველთა, მარტოდ მბრძოლი ამზასპისი, არამედ ეწყვნეს ურთიერთას სპანი, და იქმნა ბრძოლა მათ შორის. იძლია ამზასპ, და იძლია სპა მისი, და დაიპყრეს ქართლი.

ცხრამეტსა.

დაუტევა სომეხთა მეფემან ძე მისი ქართლისა მეპ 74 ფედ, რომელსა სახელი ერქუა რევ, დისწული ამზასპისი. | ამან მოიყვანა ცოლი ბერძენთა[1] ასული ლოღოთეთისა, სახელით სეფელია. და მან მოიტა[ნა თანა] კერპი, სახელით აფროდისტოს[2], და აღმართა თავსა მცხ[ეთისასა. ესე რევ მეფე] დაღაცათუ იყო წარმართი,
A 19 არამედ იყო | მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა; რამეთუ სმენილ[3] იყო მცირედ რამე სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი. ამან მეფობასა შინა მისსა აკრიბა[4] ქართლს შინა კლვა ყრმათა, რომელსა შესწირევდი-
M 170 ან კერპთა მსხუერპლა|დ. ვიდრე იყო იგი მეფედ, არღარავინ კლვიდა ყრმათა კერპთათუის, არამედ ცხოვარსა და ზროხასა. ამისთუისცა ეწოდა რევ მართალი. იყო და მოკუდა.

ოცსა.

და შემდგომად ამისსა მეფობდა ძე მისი ვაჩე.

ოცდაერთსა[5].

და შემდგომად ვაჩესსა მეფობდა ძე ვაჩესი ბაკურ.

ოცდაორსა.

და შემდგომად ბაკურისსა მეფობდა ძე ბაკურისი მირდატ[6].

პ 75 ოცდა სამსა.

და შემდგომად მირდატისა[7] მეფობდა ძე მისი ასფაგურ. და ამან აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. ალექსანდრეს მეფობითგან ესე ყოველნი მეფენი მეფობდეს და იყვნეს კერპთმსახურნი; და ესე ასფაგურ[8] იყო (აფსაგურ) უკანასკნელ[9] მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა. ამის-ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან[10] სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალან[იანნი, რომე]ლი იცნობების არA 20 დაბირობით[11], ვითარ[ცა წერილ არს] | ცხორებასა სპარსთასა. მაშინ სომხითს მეფე იქმნა, რომელსა სახელი ერქუა კოსარო[12]. ამან კოსარო,

---

[1] საბერძნეთით *MB*. [2] აფროდიდოს *M*, აფროდიტოს (აფროდიტა) *B*. [3] სმენი *A*. [4] აკრიბა *A*, არღარავის უტევა *MB*. [5] ოცდაერსა *A*. [6] მიდრატ *A*. [7] მიდრატისა *A*. [8] აფსაგურ. [9] უნკანასკნელ *A*. [10] ანუ შირვან *B*, ანუ: შარვან *AM*. [11] არდაშირობით *B*, არა დაბირობით *A*, არდაბირობით *M*. [12] კოსაროს *B*, კასრო *M*.

სომეხთა მეფემან, უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა. და შეეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა. ამან[1] ასფაგურ განა-
M 171 ხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნი|ს ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა ბრძოლად სპარსთა. და პირველსა შესულასა სპარსეთად ეწყო მეფესა სპარსთასა. და აოტეს ამათ. მიერითგან ვერაოდეს წინააღუდგა. და განამრავლეს შესულა სპარსეთად წარტყუენვად.

თავი მეოთხე

შემოსულა სპარსთა ქართლს. მეფობა მირიანისი ქასრეს ძისა.

ვითარ იოტეს სომეხთა, ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესულა სპარსეთს და ოჯრება
ჯ 76 სპარ|სეთისა, და ვერღარა ოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა, მაშინ მეფემან სპარსთამან, სავსემან მწუხ[არები]თა, მოუწოდა მთა-
M 172 ვართა სო|ფლისათა და ერისთავთა, [და ყო განზრახე]ა და ეძიებ-
A 21 და ღონესა ბოროტსა მოწევნულსა, | და აღუთქუმიდა ნიჭსა დიდსა და პატივსა, რომელ უძლოს ღონე შურის-გებისა. ხოლო კრებულსა მას შორის იყო წარჩინებული ერთი მთავარი, სახელით ანაკ, ნათესავისაგან კოსორისა[2], სომეხთა მეფისა. აღდგა იგი, წარმოდგა და თქუა: „ოტებულ არს სპა ჩუენი კოსორ სომეხთა მეფისაგან, აწყუედილ არიან მჭედარნი ჩუენნი, და დასდებია შიში და ძრწოლა[3] მათი სპარსთა ზედა, და განძლიერებულ[4] არიან იგინი, და ვერ ძალ გუიც წინააღდგომად მათდა. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მშუიდობითა და ვედრებითა[5] და ხარკისა მიცემითა დავამშუიდოთ კოსორ[6] მეფე". ესე რომელ თქუა ანაკ[7], არა გულითა თქუა, არამედ სიმრავლესა მას უფარვიდა გულისა მისისა განზრახვასა. მიეახლა მეფესა და თქუა: „არა ესე უწყოდე, რამეთუ ესე არს განზრახვა ჩემი, რომელ ვთქუ, ვითარმედ ღირს მყავ მარტოდ ზრახვად შენ წინაშე, და ვაუწყო მეფობასა შენსა გულის ზრახვა ჩემი".
M 173 მაშინ წარჩინებულთა მათ იზრახეს [თუის]-თ|უისად წინაშე მეფისა
A 22 და წარვიდეს. მაშინ [მოუწოდა ფარულად][8] | მეფემან ანაკს და რქუა ანაკ: „მეფე, ცხოვნდი უკუნისამდე, მე გიძიო ღონე შურისგებისა კოსორს ზედა, წარვიდე დედა-წულით ჩემითურთ, და მომენდობის იგი ნათესაობისათუის, და სუემან შენმან მოაელინოს კეთილად, და მოვკლა მეფე იგი და დაედვა თავი ჩემი შენთუის".

[1] ამან ამან *A*. [2] კასრო *M*, კოსაროს *B*. [3] ზრწოლა *M*. [4] განძლიერებულ *A*. [5] ვედრებისა *A*. [6] კასრო *M*, კოსარო *B*. [7] ანკა *M*, ანაკ *AB*. [8] ასეა *M*-ში, *A*-ში დარჩენილი ნაშთების მიხედვით უნდა ყოფილიყო „ფარულად მოუწოდა".

სთნდა განზრახჳა ესე მეფესა, და მოკლეთა დღეთა წარმოვიდა ანაკ
და ძმა მისი დედა-წულითა მათითა რეცა განდგომად სპარსთა მე-
ფისაგან; და მოვიდა საზღვართა სომხითისათა[1], ქალაქსა, რომელსა
რქუიან ხილახილა[2], საზამთროთა ადგილთა სომეხთა მეფეთასა. იხი-
ჳ 77 ლა რა მეფემან კოსორო[3], დიდითა პატივითა შეიწყნარა, | რამეთუ
ყოვლითა სიმარჯუითა მისლვასა მისსა სარწმუნოდ აჩუენებდა, და ხედ-
ვიდა[4] მეფე, რამეთუ ყოველთა სახლეულთა მისთა მი-
M 174 ემართა. მაშინ მეფემან მისცა პატივი, მეორე დიდი[5] მისსა საყდა|რთა
აღიყვანა სიხარულით და განსუენებით. დაყუნ[ეს რა დღ]ენი ზამთრი-
სანი, და მოიწივნეს დღენი ზაფხულისანი, [და განდიდნეს მდი]ნარენი,
A 23 წარმოვიდა მეფე და მოვიდა არატსა[6] | ქალაქსა, და განმზადებულ
იყო კოსორ[7] მეფე კუალად შესლვად სპარსეთს. მაშინ დღესა ერთ-
სა განვიდა მეფე ნადირობად, და გაჰყვეს თანა ანაკ და ძმა მი-
სი, და იპყრნეს მახუილნი ლესულნი ფარულად საწუიმარსა შინა[8] და
პოვეს დრო[9] და მოკლეს მეფე და ივლტოდეს. ხოლო დევნა უყუეს
მთავართა სომხითისათა, მიუსწრეს ვიეთმე ჯიდსა, და რომელთამე
მოუსწრეს ფონსა და იწყუდინეს იწროსა შინა; და ვერვინ წაუვიდა
და მოკლნეს იგინიცა.

და მოსრნეს ყოველნი ნათესავნი მისნი, თუინი-
ერ დაშთეს ორნი შვილნი მათნი. აღიხუნეს მამამძუძეთა
მათთა: ერთი შეივლტოდა საზღვართა საბერძნეთისათა, მეორე
საზღვართა სპარსეთისათა. ვითარცა ესმა სპარსთა მეფესა ქასრეს სა-
M 175 სა[ნ]იანსა, და წარმოემართა ყოვლ|ითა ძალითა მისითა: მოვიდა პირველ-
ლად სომხითს, დაიპყრა სომხითი, მოსრა და ტყუე ყო ყოველი ნათესავი[10]
სომეხთა მეფისა. ხოლო ერთი ძე კოსორ[11] მეფისა, მცირე ყრმა, შეივლ-
ტოდა საზღვართა საბერძნეთისათა, და [მუნ] იზარდებოდა, რომელ-
სა ერქუა თრდატ. მაში[ნ ვითარცა დაი]პყრა სპარსეთი სომეხთ[ა მე-
A 24 ფემან, წარვიდა ასფაგორ ქა||რთველთა მეფე ოვსეთს, რათამცა მოი-
მატნა სპანი ოვსეთით და გაამაგრნა ციხე-ქალაქნი. რაჟამს შევიდა ოვ-
სეთად, ეწია სიკუდილი და მოკუდა მუნ. ამას ასფაგურს არა ესუა[12]
ძე, არამედ ასული ერთი. მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართ-
ჳ 78 ლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპე|ტისა თანა, რომელსა ერქუა მაეჭან.
ზრახვა ყვეს ერთბამად საჳსეთა მწუხარებითა და თქუეს: „არა ვავუფ-
ლოთ გულთა ჩუენთა[13] მწუხარება, რათა არა მიგუეღოს[14] გონიე-

[1] სომეხთასათა *A*. [2] ხალხაითა *M*, ხილხალა *B*. [3] კასორო *M*, კოსაროს *B*. [4] ხედ-
ვითა *A*. [5] მეორე დიდი *A*, მეორედად *B*, მეორედ *M*. [6] არარატსა *MB*. [7] კასროს *M*.
კოსარო *B*. [8] საწუიმარსა ქუეშე სტეოდეს (სტეოედსა *B*) *MB*. [9] დრო *A*, დარი *B*,
ჟამი *M*. [10] ნთესავი *A*. [11] კასრო *M*, კოსაროს *B*. [12] ესუ *A*. [13] ჩუნთა *A*. [14] მი-
გუიღოს *A*.

M 176 რობა, გარნა ეიძიოთ ღონე ჰირთა და განსაცდელთა ჩუენ|თათუის.
მაშინ თქუა მაეჟან სპასპეტმან: „უკეთუმცა იყო
ძალი ესეოდენი, ჩუენცა სპარსთა მესამედთა[1] შევესწორებოდით, და-
ვმცავსხენით[2] თავნი ჩუენნი სიკუდილად და წინააღუდეგით მათ. და
თუმცა იყო მკუიდრი მეფისა ჩუენისა, ანუ ნათესავი მეფეთა ჩუენ- 5
თა, რომელ ღირს იყო მეფობასა, დავდეგითცა ციხე-ქალაქთა შინა,
დავსხენითმცა[3] თავნ[ი] სიკუდილად, ეჴამეთმცა ჴორცი კაცისა,
ვითარცა პირველად [მამათა ჩუენთა. ა]რამედ მოწევნადსა[4] ესრეთ
მოუვლენია: მო[იკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე] სომხითისა, წა-
A 25 ღებულ | არს სომხითი, რომელსა ეკიდა სამეუფო ჩუენი, და აღუღია 10
პირი მისი სპარსთა მეფეთა შთანთქმად ყოვლისა ქუეყანისა. არა-
ვინ არს წინააღმდგომი მისი, და დარჩომილ ვართ ჩუენ ობლად,
ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი. აწ ესე არს განზრახვა ჩე-
M 177 მი, რათა მ[ოვ]აგ[ოთ] წინა | მეფეთა სპარსთასა მორჩილება და
ვითხოვოთ მისგან წყალობა და ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ეეველდრ- 15
ნეთ, რათა შერთოს ძესა მისსა ცოლად ასული მეფისა ჩუენისა
ასფაგურისი; ვაუწყოთ ქალისა მის ნათესაობა ნებროთიანთა[5] და
დიდებულთა არშაკონიანთა, და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულ-
სა[6] ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღ-
რევა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩუენი. ნუ უკუე შეიწყნა- 20
როს ვედრება ჩუენი და ყოს ესე ყოველი ჩუენ ზედა; და უკეთუ[7]
სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგუიღებდეს, და ჩუენ ზედა სპარსთა
ჭ 79 წარჩინებულ ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა | ჩუენთასა მოსწყუედ-
დეს, მაშინ [სი]კუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთა[თუის]... მონა-
A 26 ხვასა ესეეითარისასა[8]. დავსხნ[ეთ თავნი ჩუენნი ცი]|ხეთა და ქა- 25
ლაქთა შინა და მოვსწყდეთა, ყოველნი“. მაშინ ეწამნეს ყოველნი ერის-
თავნი ზრახვასა მაეჟანისსა და წარგზავნეს მოციქული წინაშე
M 178 სპარსთა მეფისა. და მოაჴსენეს | ესე ყოველი, რომელ განეზრახა.
ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად
ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე[9] მისი, 30
და მახლობელობა ხაზართა და ოვსთა. და კუალად გამოიკითხა
გუარი ასფაგურისა ასულისა, და უთხრეს ნათესაობა ნებრო-
თიანთა და არშაკონიანთა, ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარს-
თა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება[10] ქართველთა, რამეთუ თუითცა

[1] მეასედთა *MB*. [2] დამცავისხენით *M*, დავმცავსხენით *A*, დამცავსცენით *B*. [3] დამ-
ცავისხენით *M*, დამცავსცენით *B*. [4] ჟამთა მოწევნადსა *B*, ჟამთა მოწევნისა *M*. [5] ნებ-
როთანთა *A*. [6] სჯულისა *A*. [7] უკეთუ <*A*. [8] ვიდრე მონახუა ესეევითარისაჲ *B*, ვიდ-
რე მოწევნა ამისი ჩუენ ზედა *M*. [9] სიმაგრე *A*, სიგრძე *MB*. [10] ვედრედრება *A*.

უკეთესად გამოარჩია და მას ჟამსა[1] დასმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სპარსეთისა[2], ქართლისა და რანისა, მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ბრძოლეს მათ მუნით, და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღასრულა ყოველი სათხოველი ქართ[ვე]ლთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა, და მოვიდა მ[ცხეთას, და
M 179 მიეგე]ბა მაეჟან სპასპეტი დ|ა ყოველნი ერისთავნი [ქართლისანი. მაშინ მოიყუანეს ა]სული ასფაგურ მეფისა ს ა მ შ უ ი ლ[3] [და
A 27 შ ე რ თ ო] | იგი სპარსთა მეფემან ძესა თუისსა, რომელ ჰყვა მუნით შუიდისა წლისა, ნაშობი[4] მჴევალისა, რომელსა ერქუა სპარსულად მირან და ქართულად მირიან. ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღმერთი დამბადებელი და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ, იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა.

[თავი მეხუთე]

პ 80 | **აწ ვაკსენოთ ცხორება მირიანის ძისა ქასრე არდაშირისა სასანიანისა**

ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, და შეჰრთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა, და მისცა და დასუა მეფედ მცხეთას, და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ერეთი[5]. და იყო მირიან წლისა შუიდისა, და თანა
M 180 ჰყვა მეფესა დედა მირიანისი, და არა დაუტევა იგი მი|რიანს თანა, რამეთუ უყუარდა დედა მირიანისი, ვითარცა თავი თუისი, არამედ დაუტევა მამამძუძედ და განმგებელად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა მარვანოზ[6], და დაუტევა ორმოცი ათასი მჴედარი სპარსი [რჩ]ეული, და არა დასხნა ქართლისა საზღვარ[სა
A 28 სპარსნი იგი], | ფიცისა მისთუის, რომელ ფიცებულ იყო ქართველთად[7], არამედ დასხნა ჰერეთს[8] და მოვკანს და სომხითს. და უბრძანა მირვანოზს. რათა სპარსთა მათგანი რჩეული შუიდი ათასი მჴედარი ქალაქსა შინა იპყრას მცველად ძისა მისისა. და ესრეთ დაეზავა[9] ქართველთა[10], და კარნი და ციხენი [და] ქალაქნი ყოველნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა. ხოლო სხუა სიმრავლე სპარსთა არა

---

[1] და მას ჟამსა *A*, მცხეთას *MB*. [2] სომხითისა *B*, სომხითისათა *M*. [3] სამშუილ ... *A*, სახელით აბებორა *M*, რომელსა ერქუა აბეშურა *B*. [4] ნშობი *A*. [5] ერეთი *A*, რეთი *M*, ჰერეთი *B*. [6] მირვანოზ *B*, მირავანოზ *M*. [7] ქართველად *A*, ქართუელთა *M*. [8] ჰქარეთს *A*. [9] დაეზავ *A*. [10] ქართვეთა *A*.

იყო ქუეყანასა შინა თანააღრეულად. „და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათასა და ცეცხლის-მსახურებასა, და თქუენთა კერპთასა“, რამეთუ პირველ ამაზედა მოეცა ფიცი.

და წარვიდა მეფე და ყოველნი წარიხუნა ჴევნი კავკასიანთანი, და დასხნა[1] ყოველგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა M 181 იყუნენ მორჩილ ძისა მისისა მირიანისსა. და უბ|რძანა მამამძუძესა მისსა მირვანოზს, რათა ბრძოდიან ხაზართა, და წარვიდა მეფე. ჯ 81 ხოლო ამან | მირვანოზ მატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნ[ეკ]რეს ქალაქსა. აღიზარდა მირვან მსახურებასა შინა შუიდთა მა[თ კერპთასა და] ცეცხლისასა. და შეიყუარნა ქართველნი და დაივიწყ[ა ენა სპარსული], A 29 და ისწავა ენა ქართული. და მატა შემკობა | კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათუის ქმნა. კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ერეთს, მოკანს და ეგრს.

M 182 და ვითარ იქმნა მირვან თხუთმეტისა წლისა, მოუკუდა | ცოლი, ასული ქართველთა მეფისა, და ამას ზედა ამოსწყდა მეფობა და დედოფლობა ქართლსა შინა ფარნავაზიანთა მეფეთა. შეწუხდეს ყოველნი [1]ქართველნი სიკუდილსა ზედა დედოფლისა მათისასა, არამედ დაადგრეს ერთობასა[2] ზედა მირიანისსა, არცა ძალ ედვა, არცა ვინ იყო ფარნავაზიანთა ნათესავი, რომელ ღირს იყო მეფედ, და მეფობდაცა[3] მეფობა მირიანისი.

ხოლო ამან მირიან მეფემან მატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოთ, ასული ოლიღოტოსისი[4], სახელით ნანა. და იწყო ბრძოლად [ხაზართა, A 30 და მარადი]ს ბრძოდის; ოდესმე გაადგიან მირიანს ლეკნი, და მათ გამოიყვანიან ხაზარნი; მიეგების ერეთი ანუ მოკან და მუნ ეწყვის; ოდესმე გააგდიან მირიანს, გამოიყვანიან დურწუკთა და დიდოთა, M 183 და მაშინ ეწყვის, ვერაოდეს სძლეს ხაზართა, | ყოვლად მირიან ჯ 82 სძლის; და ესრეთ მრავალგზის გარდაიჯადა წყობა ხაზართა. | და

[1] დასცნა *A*, < *M*. [2] ერთობასა *A*, ერთგულებასა *B*, ერდგულებასა *M*. [3] მეფობდაცა *A*, შეიტკბეს ამის მიზეზისათჳს *B*, შეიკრიბა სამის მიზეზისათუის *M*. [4] ოლიღოტოსისი *AM*, ულიოტორისი *B*.

უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს, რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს[1], რათამცა წარიღეს და მუნ განაღეს კარი ფართო, და მუნით იწყეს გასულად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: და ოდესმე უომრად მირიდიან ხაზართა, და ოდესმე ბრძოლითა ძოტნის.

ხოლო ვითარ იქმნა მირიან ორმეოცისა წლისა, მოკუდა მამა მისი, სპარსთა მეფე, და დაჯდა მეფედ ძმა მირიანისი უმრწამესი[2], რომელსა ერქუა ბარტამ. ვითარცა ესმა მირიანს, მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, შეკრიბნა და წარემართა ბ[აღდადს], რათამცა დაჯდა საყდართა მამისა. ხოლო ძმამა[ნცა მისმან შეიკ]რიბნა
A 31 სპანი ურიცხუნი და მოეგება ბ[რძოლად. და შეკრბეს ჴევსა ზედა
M 184 ნისბანისსა[3]. და ვით|არცა იხილეს მოხუცებულთა და მარზაპანთა სპარსეთისათა, ვითარმედ მახუილი დაეცემის ურთიერთს, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბჭედ, დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა მათსა, დასხდეს ბჭედ. მირიან სარჩლა: „მე პირმშო შვილი ვარ მამისა ჩემისა, და საუფლისწულოდ ებოძნეს უცხონი ქუეყანანი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი დღენი ჩუენნი[4] დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთუის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა“. ხოლო ბარტამ იტყოდა ამას: „თუცა პირმშო არს, ნაშობი არს მჴეველისა, და ნაშობსა მჴეველისასა ეყოფის სუედ, რომელ მას მიხდომიან სამეფონი; მე ნაშობი ვარ ინდოთა მეფისა ასულისა, სპარსთა მეფისა[5], და მოგსმენია[6] ანდერძი მამისა ჩემისა, და მოგინახავს, რამეთუ ჴელითა მისითა დამადგა გუირგუინი თავსა“. ხოლო
M 185 გაბჴეს და მისცეს მ[ეფობა სპარსთა ბარტამს, ხოლო მირიანს გუ-
A 32 ლის სადებელად [მისც]ეს ბარტამისგან ჯაზირეთი და შამის ნა-
ჯ 83 ხევარი და ადარბადაგანი. ესე ქართლსა, სომ[ხითსა, რანსა, ერეთსა და მოვკანსა ზედა მოურთეს. და წარმოვიდა მირიან. ვიდრეღა იყო მუნ, გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავატია[7] და განრყუნეს ქართლი. მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთით, და მოტყუენა ოვსეთი, და მოუწია ხაზართა, გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა. და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელთა ჩუეულე-

---

[1] რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს *MB* (*A*-ს გადამწერს გამოუტოვებია კიდურმსგავსების შეცდომით). [2] უმრწამესი *AM*, უმრწემესი *B*. [3] ნასიბისასა *MB*. [4] ჩემნი *MB*. [5] მეფისა *A*, დედოფლისა *MB*. [6] მოგისმენია *MB*. [7] კავცია *MB*.

ბისაებრ მოვიდეს ხაზარნი ბრძოლად დარუბანდისა. ხოლო მირიან წარვიდა შუელად დარუბანდისა, და ვიდრე იგი სრულ იყო წყობად ხაზართა, მაშინ მეფე გუთთა სპითა სპარსეთისათა ურიცხუითა შევიდა საბერძნეთად. ხოლო მეფე ბერძენთა შეკრბა სპითა მისითა და წინააღუდგა. მაშინ მეფემან გუთთამან სთხოვა ბრძოლა თავის-თავ კეისარსა. ხოლო კეისარსა ვერ ძალ ედM 186 ვა ბრძოლა მისი. და იყო ძე კოსორო[1] სომეხთა მეფისა, სახელით თრდატ, რომელი ვაჴსენეთ, აღზრდილ იყო საბერძნეთს და იყო იგი გოლიათი. მას ჟამსა იყო [იგი] სპათა თანა ბერძენთასა და იგი A 33 გამოარჩიეს ყოველთა სპათა (თანა) ბერძენთა(სა), და შემოსეს იგი სამოსლითა და[2] საჭურველითა კეისრისათა, და კეისრისა სახითა გაგზავნეს ბრძოლად გუთთა მეფისა. გამოვიდა მუნით გუთთა მეფე. და მიეტევნეს ურთიერთსა[3] ბრძოლად. სძლო თრდატ და ჴელად შეიპყრა, და აოტეს ბანაკი გუთთა. ხოლო კეისარმან მისცნა სპანი და გამოგზავნა სომხითს მამულსა თუისსა. შემოვიდეს და გამოასხნეს ერისთავნი მირიანისნი.

მაშინ მირიან შემოიქცა წყობისაგან ხაზართაჰ 84 სა, და მოიყვანა თუისი მისი სპარსეთით ნათესავი | მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა სპა დიდი. ამას ფეროზს მისცა ქუეM 187 ყანა ხუანანითგან ბარდავამდინ[4], ორივე კერძი მტკურისა, სხუაცა ძალი მისცა სპარსეთით, და უწყო ბრძოლა თრდატს. ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, ვერ ძალ ედვის მირიანს წინააღდგომად და გაამაგრნის ციხე-ქალაქნი[5]; და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი, და ოდეს განძლიერდის[6] მირიან სპარსეთით, ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის სომხით[ი. და] ესრეთ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის, და არ[ავინA 34]ი პოვა მარტოდ მბრძოლი თრდატისა, და სახელოვან იქმნის იგი ყოველსა ქუეყანასა, და სძლო ყოველადვე მბრძოლთა მისთა, ვითარცა წერილ არს სომხითისა შინა[7].

შემდგომად ამისსა მეფე იქმნა ძმისწული[8] მირიანისი, ძე ბარტამისი[9]. მოუვლინა მირიანს მოციქული და რქუა:M 188 „რათა შევკრბეთ, გარდაველოთ სომხითი და შევიდეთ სპაბერძნეთად“. მაშინ გამოვიდა სპარსთა მეფე, და მიეგება მირიან, და შეკრბა ურიცხუი, ვითარცა თივანი ეელთანი და ფურცელნი ხეთანი

[1] კასრო *M*, კოსაროს *B*. [2] და<*A*. [3] ურიერთსა *A*. [4] არდავამდინ *A*. [5] ცხე ქალაქნი *A*. [6] განჯლიერდის *A*. [7] სომხითისა შინა *A*, ცხორებასა შინა სომხითისასა *M*, ცხოვრებასა სომეხთასა *B*. [8] ძმისძული *A*. [9] მესამე ძმა მირიანისი და ბარდამისი *M*.

სიმრავლითა. და გარდავლეს სომხითი, და ვერ წინააღუდგა თრდატ, არამედ გაამაგრნა ციხე-ქალაქნი. წარტყუენეს სომხითი და შევიდეს საბერძნეთად, და ვერ წინააღუდგა მათ ბერძენთ მეფე კოსტანტინე, და შთავარდა მწუხარებასა შინა. და იწყეს მოტყუენვად საბერძნეთისა.

მაშინ არწმუნეს კაცთა ღმრთის-მსახურთა მეფესა კოსტანტინეს და თქუეს, ვითარმედ: „ვიხილეთ საკუირველება ქრისტესი და ძლევა მტერთა მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარძლუანებითა ჯუარისათა სძლევენ მტერთა მათთა“. კოსტანტინე მეფემან ირწ[მუნა] მათი, ვითარცა წერილ
A 35 არს ესე მოქცევასა[1] ბერძენთასა | განცხადებულად, ნათელ იღო კოსტანტინე და წარმოიძღუანა სახე ჯუარისა, ეწყო სპათა მათ ური-
J 85 M 189 ცხუთა სპითა [მცირითა, და ძალითა | ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმრავლე მათი. იელტოდეს ორნივე მეფენი მცირედითა მჴედრითა, და მოუდგა უკანა კოსტანტინე და შევიდა საზღვართა მათთა, სპარსთა მეფე შევიდა მეოტი სპარსეთად. ხოლო მირიან დადგა ქართლად და გაამაგრნა ციხე-ქალაქნი. უღონო იქმნა მირიან და შეეშინა ოტებასა სრულიად ქართლი, რამეთუ აწყუედილ იყუნეს წყობასა მას შინა ყოველნი წარჩინებულნი მათნი, სპარსნი და ქართველნი. წარგზავნა მოციქული წინაშე კოსტანტინესა მეფესა, ითხოვა მისგან მშუიდობა, და აღუთქუა მას მსახურება და მოწყუედა[2] სპარსთა. სთნდა კოსტანტინეს, რამეთუ შიში აქუნდა კუალად სპარსთა მეფისაგან, და შემწეობისათუის ეზრახა მირიანს. აღიღო შვილი მირიანისი მზევლად, რომელსა ერქუა ბაქარ, და დაამოყურნა თრდატ და მირიან, და ამზახნა[3]. და მისცა თრდატ[4] ასული მისი, რომელსა ერქუა სელომე[5],
M 190 ძესა მირიანისსა ცოლად, რომელ|სა ერქუა რევ. უჩინა საზღ[უარი]
A 36 |ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრით და მიერთვიან რახსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძოდ დაყარნა; ხოლო, რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან ჩრდილოთ და მიერთვიან მტკუარსა, მირიანის კერძად დაყარნა. ესრეთ გაუგო კოსტანტინე მეფემან, შუამდგომელ ექმნა და წარვიდა. მეფობდა მირიან ქართლს, რანს, ერეთს და მოვკანს, და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე, და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას; და ცხონდებოდეს იგინი უჯარმას. ხოლო სიძესა მირიანისსა ფეროზს აქუნდა ქუეყანა, რომელი

[1] მოქცევასა *A*, ცხორებასა *M*, ცხოვრებასა *B*. [2] მოსწყდა *A*, მოწუდაჲ *B*, განდგომა (სპარსთაგან) *M*. [3] და ამზახა *M*, ამზახლნა *B*. [4] თედრატ *A*. [5] სალომე *MB*.

ზემო ვაჴსენეთ მიცემული მირიანისგან, და იყო მუნ ერისთავად. მას ჟამსა მოსულ იყო წმიდა და ნეტარი დედა ჩუენი და ემბაზი ნინო
M 191 მცხეთას შინა, და დაეყო სამი წელი, და განეცხადა ქება[1] | ქრისტეს(ი) სჯულისა, და იქმოდა კურნებათა თუინიერ წამლისა; ჴმა-
მაღლად იწყო ქებად[2] სჯულსა ჰეშმარიტსა ქრისტეს ღმრთისასა.

ჰ 86 **| მოქცევა მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა[3] წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულ[ისა] მიერ.**

A 37 პირველად ვაჴსენოთ ცხორება და ნეტარება | წმიდისა დედისა ჩუენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისა, რომელი თუით მანვე ნეტარმან მოგუითხრა ჟამსა აღსარებისა მისისასა, რომელი აღწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმელმან, ძის ცოლმან მირიან მეფისამან, ასულმან თრდატისმან.

მათ ჟამთა, ოდეს წმიდა იგი კაბადუკელი იწამა ქრისტესთუის, იყო კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე, მთავართა შესაბამი მონა ღმრთისა, სახელით ზაბილონ. წარვიდა რომედ წინაშე მეფისა მსახურებად
M 192 |და ნიჭის მოღებად. მათვე ჟამთა კაცი ვინმე იყო კოლასტასა[4] შინა. და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასულ: სახელი ძისა მისისა იობანელი[5], ხოლო ასულსა სოსანნა[6]. აღესრულნეს მეუღლენი იგი, დარჩეს დაძმანი ობლად. აღდგეს და წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალიმად და მიევედრნეს. ესე ძმა იობანელი მიემთხუია დევტალ[არ]ობასა[7], ხოლო სოსანა მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჰაბუკი კაბადუკელი ზაბილონ მიიწია წინაშე
ჰ 87 მეფისა; და აღდგომილ იყუნეს | მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად რომ-
A 38 თა, ველსა ზედა პატალანისასა. მის[ცა] | უფალმან ძალი ზაბილონ[8] ჰაბუკსა და ქმნა წინა(შე)აღდგომა მტერთა ურიცხუ(ნი), და აოტნა ბრანჯნი, და შეიპყრა მეფე ბრანჯთა და მისნი მთავარნი მრავალ-
M 193 ნი, და | მოიყვანა წინაშე მეფისა მეფე ბრანჯთა და ყოველნი იგი მთავარნი; ხოლო მეფემან განაწესა სიკუდილი მათი. მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა და ევედრებოდეს ზაბილონს: „მოგუეც პირველად სჯული შენი და შეგუიყვანენ ტაძარსა შენსა, და მაშინ იყავნ სიკუდილი ჩუენი, რამეთუ შენვე გიპყრიედ და შენვე ყავ ჩუენ ზედა, და უბრალო იქმენ[9] სიკუდილისა ჩუენისაგან, ახოვანო[10]. ხოლო ზაბილონს ვითარცა ესმა, მსწრაფლ აუწყა მეფესა და პატრიაქსა სიტყუა მათი. და მისცეს ნათელი ჴელთა შინა ზაბილონისსა და

[1] ქადაგება *MB*. [2] ქადაგებად *MB*. [3] + და *A*. [4] კოლასტარს *M*, კოლასტრას *B*. [5] იობე ნელი *M*, იობენალი *B*. [6] სოსან *M*, სოსანა *B*. [7] დევლტრობასა *M*, დევტალარობასა *B*. [8] საბილონ *A*. [9] იქმნა *A*, იქმენ *MB*.

შეიყვანეს ტაძარსა შინა ღმრთისასა და აზიარნეს[1] წმიდათა საიდუმლოთა ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და უჩუენეს დიდებანი იგი მოციქულთანი.

დადილეულ ადრე აღდგეს ბრანჯნი იგი და შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, განვიდეს ადგილსა მას კაცის საკლავსა, 5
M 194 ილოცვიდეს და მადლობდეს ღმერთსა [ნ]ათლის-ღებისათუის, | და
A 39 იტყოდეს: „ჩუენ სიკუდილსა შინა უკ|უდავ ვართ, რამეთუ ღირს გუყუნა ღ(ე)მერთმან ესევითარსა დიდებასა, მოღებად საგზალსა მას დაულევნელსა, ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, ძისა ღმრთისა უკუდავისა, რომელი უმაღლეს არს ყოველთა მაღალთა[2] და უქუესკნელეს[3] ყოველთა უფსკრულთა, რომელ იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ხოლო ვაი ნაშობთა[4] ჩუენთა, ნაყოფთა[5] სიმწარისათა და მკუიდრთა ბნელისათა“. და ჴმობდეს: „მოვედინ მეკრმე[6] და აღიხუენ თავნი ჩუენნი ჩუენგან“.

ამას რა ხედვიდა ზაბილონ, აღიძრა გონებითა ტირილად, რამეთუ ვითარცა ცხოვართა[7] თავნი მათნი კლვად წარიპყრნეს და ვითარცა კრავთა შვილთა მათთა სწყალობდეს. გამოითხოვნა მეჳ 88 ფისაგან და შეკაზმულნი | განუტევნა იგინი. ხოლო იგინი ევედრებოდეს ზაბილონს, რათა წარყვეს ქვეყანასა მათსა და მისცეს სჯული
M 195 |ქრისტესი, ნათლის-ღება წყლითა ყოველს[ა] ერსა მათსა[8]. ხოლო (იგი) მან ისმინა ვედრება მათი, და მოითხოვა ხუცესი პატრიაქისაგან, და ბრძანება მოიღო მეფისაგან; და წარვიდეს. და ვითარ მიეახლა
A 40 ნეს[9] ერთისა ღლისა სავალსა, მივიდა წინა | ამბავი, ვითარმედ მეფე ცოცხალი არის, მოვალსა, და ყოველნი მთავარნი მის თანა. შეიძრნეს ათნი საერისთაონი: ხოზამა, ხოზა, გაახილაჯა, ტენებაგა, ხინგარაგი, ზიჯა, ზაგა, ზადა, ზარმა, თმონიდი და[10] სამეფო. მიეგებოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა.

და დააყენნა მეფემან იმიერ და ამიერ, და აკურთხა წყალი იგი, და შთაჴდა ყოველი იგი ერი, და გამოვიდეს აღმოსავალსა ერთსა, და დასდებდა ჴელსა ყოველსა მას ერსა. იყო მუნ ათ დღე, და
M 196 აზიარნა საიდუმლოსა ქრისტესსა, დაუტ|ევნა მღდელნი და განუწესა წესი ყოველი. ამისა შემდგომად მისცა მშუიდობა ყოველთა და წარვიდა ნიჭითა დიდითა რომედ, და განიზრახა გონებასა თუისსა: „წარვიდე იელუსალიმად, დავმარხო[11] ნიჭი ესე ჩემი ადგილსა ღმრთისასა“.

---

[1] აღიზარდნეს *A*. [2] მაღალთა *AM*, მთათა *B*. [3] უქვესკნელეს *B*, ჭუესკნელსა *M*, უკანასკნელსთა ჭუესკნელსა *A*. [4] მშობელთა *B*. [5] ნაშობთა *A*, ნაყოფთა *MB*. [6] მეკრმელ *M*, მეხრმელ *B*. [7] ცხოვართა ვითარცა *A*. [8] *A*—ში ყოფილა „მათისა“. [9] მიიეახლნეს *A*. [10] და<*AM*. [11] და ემსახურო *B*,<*M*.

წარვიდა და განუყო ყოველი იგი მონაგები მისი გლახაკთა. და პირ-
ველ ჴსენებული იგი დევტალარი[1] (იგი) პატრიაქ[2] ქმნილი იყო.
ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრიაქი[3]. და
ჳ 89 რქუა სარა ნიაფორმან პატრიაქსა: „ესე ზაბილონ მა|მა და ემბაზი[4]
ბრანჯთა, კაცი სრული ღმრთის-მოშიშებითა და სიბრძნითა. მიეც
A 41 უკუე`დაჲ[5] შენი სოსანა ცოლად მისა“. და სთნდა წმიდასა პატრი-
აქსა და მისცა სოსანა ცოლად. წარვიდა ზაბილონ თუისად ქალა-
ქად კოლასტრად.

ესე წმიდა ნინო, მოძღუარი ქართლისა, ამათ-
გ[ან იშვა ოდენ მხოლოდ, თუინიერ სხვისა შვილისა], და აღზარდა
M 197 დედამან მისმან სოსანა მსახურებასა შინა გლახაკთ|ასა. და ვითარ
იქმნა ნინო ათორმეტისა წლისა, მშობელთა მისთა განყიდეს ყო-
ველივე რაცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალიმად. მაშინ ზაბი-
ლონ დაიწერა ჯუარი პატრიაქისაგან და იჯმნა ცოლისაგან, და
შეიტკბო[6] ასული წმიდა ნინო, და დაყარნა[7], ვითარცა წყარონი,
ცრემლნი თუალთაგან პირსა მისსა, და თქუა: „შენ მხოლო ასულო
ჩემო, ესერა დაგიტეობ ობლად ჩემგან, და მიგათუალავ შენსა[8] მა-
მასა ზეცათასა, ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რომელსა ეგულების
ზრდა[9] ყოველთა ობოლთა და მსაჯული ქურივთა; ნუ გეშინინ შვი-
ლო ჩემო; ხოლო შენ მარიამ მაგდანელისა შური აღიღე ქრის-
ტეს სიყუარულისათუის და და[თა მათ ლაზარე]სთა. და თუ ეგრეთ შეიყუარო იგი, ვითარცა მათ, მან მოგცეს
ეგრეთვე ყოველივე რაცა ითხოვო“. დაუტევა ამბორის ყოფა საუკუნო
M 198 და წარვი|და წიაღ იორდანეს, კაცთა მათ თ[ანა]|ველურთა, სადა ყოფა
A 42 მისი უწყის ღმერთმან დამბადებელმან. ხოლო დედა წმიდისა ნი-
ნოსი მისცა პატრიაქმან მსახურად გლახაკთა დედათა. და წმიდა
ნინო მსახურებდა ნიამფორს სომეხსა დვინელსა[10] ორ წელ, და კი-
თხვიდა ყოველადვე ვნებათა მათ ქრისტესთა, ჯუარცმისა, დაფლვი-
სა, და აღდგომისა, და სამოსლისა მისისა, ტილოთა და სუდრისასა,
მიწყებით ყოველსა. რამეთუ არავინ ყოფილ იყო და არცა იყო იე-
რუსალიმს სწორი მისა მეცნიერებით სჯულისა გზასა ძუელსა და
ჳ 90 ახალსა ყოველსავე. იწყო უწყებად მისა და რქუა: „ვხე|დავ, შვილო
ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუისასა, რომელი იზა-
ხებენ ყოველსა ზედა ოთხფერჴსა, გინა ორბი დედალი, რომელი აღ-

---

[1] დევხალარი *M*. [2] პატრიაკ *M*. [3] პატრიაკი *M*. [4] ებაზი *A*. [5] დაა *A*. [6] +მკერდსა თუისსა *MB*. [7] დაღუარნა *B*. [8] შენ *B*, <*M*. [9] რომელსა ეგულების ზრდა *A*, რამეთუ იგი არს მამა *MB*. [10] ნაფორსა დანიელსა *M*.

199 ვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მაჰმლისა, და ყოველი ჴმელი
გუგასა თუალისა მისისასა მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყუ-
ნის, განიხილის და განიცადის საჰმელი მისი ცოცხლებრ[1]; დაინა-
ხის, მოუტევნის ფრთენი და მიეტევის მას ზედა. ეგრეთ
იყოს ცხორება მისი. 5

აწ ვიწყო და გითხრა ყოველი. ოდეს იხილეს ღმერთი უკუდა-
ვი[2] კაცთა მოკუდავთა ქუეყანასა ზედა, რომელი მოსრულ იყო
A 43 |მოწოდებად წარმართთა[3], ვითარცა თუით უნდა ჴსნა სულისა[4],
იწყო კეთილის ყოფად ურიათა, მკუდართა[5] აღდგინებად, ბრმათა
ახილვად, სნეულთა აღდგინებად. ესე შეიშურვეს, შეიზრახნეს, და 10
წარავლინეს სტრატიოტნი ყოველსა ქუეყანასა, სწრაფით მოსლვად
ურიათა, და თქუეს, რამეთუ: „ესერა წარვსწყმდებით, მოვედით და
შემოკერბით[6] ყოველნი“.

მაშინ მოიწივნეს ყოველნი ქუეყანით[7] რიც-
M 200 ხუით[8], სწავლულნი სჯულსა მოსესსა, რომელნი იგი[9] | წინააღუ- 15
დგეს სულსა წმიდასა, რა იგი ჯერ იყო ყოფად ქრისტესა, მათ
აღასრულეს: ჯუარს აცუეს და სამოსელსა მისსა წილი განაგდეს.
და ხუდა ჩრდილოველთა მცხეთელთა მოჰალაქეთა. ხოლო დაფლეს
იესო და დაკრძალეს საფლავი. არამედ იგი აღდგა, ვითარცა თქუა
პირველად, და ტილონი იგი იპოვნეს საფლავსა შინა. ვითარ გან- 20
თენა, ესე ყოველი წარმოიცა, და პილატეცა მივიდა საფლავად და
ცოლი პილატესი; და ტილონი იგი ვითარ პოვნეს, მოიხუნა ცოლ-
მან პილატესმან და წარვიდა მსწრაფლ პონტოდ, სახლად თუისად.
და იქმნა მორწმუნე ქრისტესა. და შემდგომად მოვიდეს [ჴელთა] ლუკა
A 44 მახარებელისათა, და დასხნა იგინი, სადაცა მან თუით უწყის. ხოლო 25
სუდარი არა იპოვა, არამედ თქუეს ვიეთმე, ვითარმედ: „პეტრეს
ჴელეწიფა ახმად და აქუნდეს მასო“. არამედ განცხადებულად არა
M 201 გუითხრეს.

ხოლო ჯუარნი ამასვე ქალაქსა შინა დამარხულ
ჭ 91 არიან, | არამედ ადგილი მათი არავინ უწყის; ოდეს ინებოს 30
ღმერთმან, გამოჩნდეს იგინიცა“. ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდა-
სა ნინოს ნიაფორასაგან, მისცა კურთხევა და მადლი ღმერთსა, და
კუალად ჰკითხა; „სადათ არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადათ არს

---

[1] ცუცხლებრ *B*, ცეცხლისაებრ *M*. [2] უკუდავი *A*. [3] წარმართა *A*. [4] სოფლისა *M*, სოფლისაჲ *B*. [5] მკუიდრთა *A*. [6] შემოკრბით *M*, შემოვკრბეთ *B*. [7] ქუეყანი *A*. [8] ყოვლით ქუეყანით კაცნი მრავალრიცხუნი *B*, ყოვლით ქუეყანით და სოფლით კაცნი რიცხვნით *M*. [9] + ანტაკრად *B*, ანტარაკად *M*.

სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა“. რქუა ნიაფორამან: „ქალაქი მცხეთა, ქუეყანა ქართლისა, სომხითისა, მთეულეთისა—საწარმართო, არამედ ჟამსა ამას უჟიკთა[1] საველმწიფოდ შექმნილ არს.

მათ დღეთა შინა მოვიდა დედაკაცი ეფესოთ, თაყუანის-ცემად წმიდისა აღდგომისა, და ჰკითხვიდა დედაკაცსა მას ნიაფორა: „ელენე დედოფალი ეგეთსავე ცთომილობასა და M 202 ბნელსა შინა არს“? ხოლო მან რქუა: „მჴევალი ვარ, მეცნიერი[2] მათი განზრახვასა მათსა დაფარულსა; უწყი, რამეთუ დიდი წადიერება აქუს [ქ]რისტეს სჯულისა და ნათლის-ღებისათუის“. ესე ყო- A 45 ველი მო[ისმინა წმიდამან ნინო და რქუა ნიაფორას: „წარმგზავნე და მივიდე წინაშე დედოფლისა ელენესსა, ნუ უკუე მივიახლო მის წინაშე სიტყუის-გებად ქრისტესთუის“. ხოლო ნიაფორამან აუწყა პატრიაქსა. ხოლო პატრიაქმან მოუწოდა წმიდასა ნინოს და დაადგინა აღსავალსა საკურთხეველისასა, და დაასხნა ჴელნი მისნი მჴართა მისთა ზედა, სულთ-ითქუნა ცად მიმართ და თქუა: „უფალო ღმერთო საუკუნეთაო, ჴელთა შენთა შეუეველრებ ობოლსა ამას შვილსა ჩემსა[3], და წარვავლინებ ქადაგებად ღ˘თაებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი; სადაცა (შენ[4]) სათნო იყო სრბა მი- M 203 სი, ექმენ, ქრისტე, ამას თანა-მოგ[ზაურ, თუითსადგურ[5], მოძღუარ და ენა[6], ვითარცა იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა. ჰ 92 [და უჯმნა დედისაგან და მისცა ჯუარი და კურთხევა.

წარემართა წმიდა ნინო დედაკაცისა მის თანა. და ჰპოვეს დედოფალი ვინმე, მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძუძე მისი გაიანე, მონასტერსა ქალწულთასა, რომელთა ქრისტეს აღსარებისათუის სუროდა და ელოდეს იელუსალე- A 46 მელთა ნათლის-ღებასა[7]. მაშინ დედაკაცმან მან მოი[ყვა][ნა[8] წმიდა ნინო და მისცა წმიდასა რიფსიმეს, და აუწყა გზა[9] მისი. და შეიყუარა წმიდა ნინო ქრისტეს მოყუარემან წმიდამან დედოფალმან რიფსიმე. და მასვე წელიწადსა მოიღო რიფსიმე ნათლის-ღება, M 204 რომლისათუის სუროდა; და მის თანა გაიანე დედამძუძემან მისმან და ორმოცდა-ათ[ან სულმა სხუამან; და უმრაელესთა მათგანთა ჴელსა ქუეშე წმიდისა ნინოსა ნათელ იღეს. და წარვიდეს ესე ყოველნი მონასტერსა თუისსა. და იყო მათ თანა წმიდა ნინო ორ წელ.

---

[1] ბერძენთა და უჟიკთა *M*. [2] მეცნიერი *A*, მახლობელი *MB*. [3] ჩემსა *A*, დისა ჩემისასა *MB*. [4] შენ *A*,<*MB*. [5] ნავთსადგურ *MB*. [6] ენა მეცნიერ, *B*. ენაა მეცნიერ *M*. [7] ნათლისღებისა *A*. [8] მოი...ნა *A*, წარუდგინა *MB*. [9] გზა *A*, საქმე *MB*.

მათ დღეთა შინა გამოგზავნა კეისარმან ძებნად
ქალისა შუენიერისა, ღირსი ცოლად მისა. მიეწივნეს მონა-
სტერსა მას ქალწულთასა მეძიებელნი იგი, და იხილეს რიფსიმე.
და განიცადეს ხატი მისი, და გამოიკითხეს გუარი მისი, რამეთუ არა-
ვინ იყო მსგავსი რიფსიმესი ხატითა. გამოხატეს ხატი მისი ფიცარსა
ზედა, და წარსცეს წინაშე კეისრისა. სთნდა კეისარსა და აღივსო სი-
M 205 ხარულითა. და განაწესა | ქორწილი სიხარულით აღსრულებად. და
ბ 93 |მსწრაფლ წარავლინა მოციქული და განმგებელნი ყოველთა საბრძა-
ნებელთა მის[თ]ა, რათა ყოველნი ძღუნითა შემოკრბენ, და დიდით სი-
A 47 ხარულითა მოვიდენ ბრძანებასა მეფისასა და ქორწილსა სამეფოსა.
იხილეს რა ყოველთა წმიდათა დაფარული მანქანება მტერისა, ისარნი
მისნი განჯურეებულნი, რომელთა ისწრაფდა სისრად წმიდათა
ქალწულთა[1], იურვოდეს, რამეთუ ჰური რისხვისა იპოვა მეფე, ვი-
თარცა იგი გუელმან, რომელ სამოთხეს შინა მსახველ[2] ექმნნეს,
ეგრეთვე მსგავსად აქა უსჯულო ესე, რომელსა აქუნდა მსაჯული
შეგინებული ბილწთა[3] და საძაგელთა კერპთა. იხილა რა ნეტარ-
მან რიფსიმე, გაიანე და სხუათა მათ წმიდათა და ყოვლად ქებულ-
თა წმიდათა, მოიკსენეს ყოვლად უბიწო იგი აღთქმა და ქებული
ცხორება მარტოდ ცხორებისა, რომელსა იგი იყუნეს განსწავლულ;
მაშინ გოდებდეს და ტიროდეს გამოხატვისა თუისისა-
M 206 თ.უის უ|სჯულოსა მეფისა, ცვიდეს და უფიცხელესთა კანონ-
თა შეყარნეს თავნი მათნი, ევედრებოდეს ღმერთსა ყოვლად მოწ-
ყალესა მრავლითა ვედრებითა, და განიზრახვიდეს ერთობით ყო-
ველთა მათ დატევებასა ქუეყანისა მის და წარვლტოლა ფარულად,
A 48 ყოვლად უბიწოდ დაიცვენ ჯორცნი მათნი. და წარვიდა ო[რ]მ|ოც-
დაცამეტი სული, და მოვიდეს არეთა სომხითისათა, რომელსა რქუიან
ახალქალაქი, უაღრეს შენებულსა, რომელ არს დვინი[4], საყოფელი
სომეხთ მეფეთა. და შევიდეს საწნეხელთა ვენაკისათა[5], რომელი
შენებულ არს ჩრდილოთ და აღმოსავალით, და იზარდებოდეს ჴელთ-
M 207 საქმრისაგან ვაჭრობით[6]. კეისარი აღივსო | მწუხარებითა და წარა-
ვლინა ყოველთა ადგილთა ძებნად. მაშინ მოიწივნეს მოციქულნი
ბ 94 კეისრისანი წინაშე თრდატ | სომეხთა მეფისა და მოართუეს წიგნი
კეისარისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ:

---

[1] ქალწულთა *A*, ქრისტესთა *MB*. [2] მზრახელ *M*, მზრახველ *B*. [3] აქუნდა შეგინებული თაყუანისცემა (თაყუანისცემად *B*) ბილწთა *MB*. [4] დივინი *A*. [5] შევიდეს მუნ ტალავართა მათ შინა საწნახელთასა *MB*. [6] ჴელთ საქმრისაგან ვაჭრობით *A*, ჴელით საქორწისა (ჴელთ საქმისა *B*) თჳსისა განვაჭრებითა *MB*.

„თუითმპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა თანა-მოსაყდრესა ჩემსა თრდატსა გკითხავნ[1]. უწყებულ იყავნ შენი ძმობა და ჩემ თანა შემწეობა, რომლისათუის იგი ყოველადვე შეურაცხ იქმნების შეცთომილისა მისგან ქრისტიანეთა ნათესავისა, რამეთუ ყოველადვე შეურაცხ [იქმნების] ჩუენი უფლება მათისაგან კრებულისა, და საწუნელ არს ჩუენდა ჴელმწიფება მათი. რამეთუ იგინი ჯუარცმულსა ვისმე მომკუდარსა მსახურებენ და ძელსა თაყუანის-სცემენ, და ძუალებსა კაცთასა პატივ-სცემენ[2], და თა- .Ⴑ 49 ვისა მათისა სიკუდილი უფლისა მათისათუის დიდებად შეურაცხიეს, და არა ეშინის, ურიათაგან მოკლულისა და ჯუარცმულისა M 208 ეშინიან და შეცთომილ არიან, მეფეთა აგინებენ, | ღმერთთა შეურაცხ ჰყოფენ და ძალსაცა ნათლისასა[3], მთოვარისასა და ვარსკულავთასა არად შერაცხენ, და შექმნულად ჯუარცმულისა იტყუიან. და ესრეთ მიაქციეს ქუეყანა, ვითარმედ დედანი მამათაგან და მამანი დედათაგან ცოცხლივ განეშორნეს. დაღათუ დიდითა ქადებითა[4] და ფერად-ფერადითა სატანჯველითა მოესწყუიდენით, უფროსად განმრავლდენ. შემემთხუია მე ხილვა ნათესავისა მათისაგან ჰაბუკი ერთი ქალი, და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად; და არა თუ ვითარცა მეფისა გული უთქმიდა სურვილად ჩემდა, არამედ სძულდაცა და არაწმიდად შემრაცხეს; რომლითაცა მეოტ იქმნნეს და კერძოთა ქუეყანისა შენისათა წარმოსრულ არიან. უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, მოიძიენ იგინი და მისთანანი იგი, სიკუდილით მოაკუდინენ. და რომელნი შეაცთუნნეს შუენიერი M 209 ხატითა, | ჩემდა წარმოაელინე; უკეთუ სათნო იყოს, თავისა შენი- .Ⴑ 50 სათუის იგულე, რამეთუ არავინ იპოვო | მსგავსი მისი იონთა სო- ჰ 95 ფელსა[5] შინა, და ცოცხლებით იყავნ ღმერთთა მსახურებით“. | და ვითარცა წარიკითხა ბრძანება[6] იგი კეისრისა, მსწრაფლ იწყო ძიებად მათდა, და პოვნა იგინი საწნეხელთა მათ პირველ ჴსენებულთა. იხილა რა რიფსიმე, აღივსო სიხარულითა[7] და გულის-თქუმითა და განაზრახა ცოლებად მისი. ხოლო არა ერჩდა წმიდა რიფსიმე; მაშინ იწამა იგი[8], დედამძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს წამება მათი და სასწაული მოქცევასა სოშეხთასა; რამეთუ მადლითა ღმრთისათა იქმნა მეფე თრდატ ეშუად. M 210 და რომელნიმე | მათ წმიდათაგანი დაიმალნეს და ივლტოდეს.

[1] გკითხავ *M*, გიკითხავ *B*. [2] და ძუალებსა კაცთასა პატივ-სცემენ < *MB*. [3] ნათლისასა *A*, მზისასა *MB*. [4] ქადაგებითა *MB*; ამ სიტყვის წინ .Ⴑ-ს გადამწერს დაუწყია ასო „დ“ (დაქადებითა?!). [5] სოფლსა .Ⴑ. [6] ბრძანება *MB*, შობა (—ბ-ბა) .Ⴑ. [7] სისარულითა *A*. [8] მაშინ იწამა იგი *MB*, მრავალთა სასწაულთა იგი .Ⴑ.

მაშინ ესე წმიდა ნინო დაიმალა ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ არა ყუაოდა მას ჟამსა. და ოდეს იგი აღმოვიდოდეს სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, იხილა წმიდამან ნინო სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ჩამომავალი ოლარითა ნათლისათა, და ჴელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლე, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სურნელებისა, რომელი ცათა დაფარვიდა, და მის
A 51 თანა სიმრავლე ჰაერთა ზეცისათა. და მათ შეერთნეს[1] სულნი წმიდათა მოწამეთანი.

ხოლო წმიდა[მან] ნინო ღაღად ყო: „უფალო, უფალო, რად დამიტეობ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა“. ჴმა ესმა მუნით, რომელი ეტყოდა: „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს
M 211 ეგე | ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნას ვარდის ფურცელ სურნელ. აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ, სადა იგი არს
ჰ 96 სამკალი ფრიად, და მუშაკი არა“. | და წარმოვიდა წმიდა ნინო და მოვიდა ორბანთა, საზღვართა სომხითისათა. მუნ დაიზამთრა ჰირთა შინა მრავალთა, და თუესა მეოთხესა[2], რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, და მიემთხუივა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა რქუიან ფარავნ. და მიხედნა მთათა ჩრდილოსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა იყუნეს საკვსენი თოვლითა და აერითა სასტიკითა, და შეძრწუნდა ნინო და რქუა: „უფალო, უფალო, მიიღე სული[3] ჩემგან“. და დაყო ორი დღე მუნ; და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან. და მწყემსნი იყუნეს მასვე ადგილსა და ჴუმილვიდეს ჴუმილვასა ღამისასა სამწყსოთა მათთა ზედა, და ხადოდეს | ღმერთთა მათთა, არმაზს და ზადენს, და
M 212 A 52 აღუთქმიდეს შესაწირავთა: „ოდეს მოვიდეთ მშუიდობითო“.

ხოლო წმიდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა[4], რამეთუ პირველეე ესწავა ნიაფორისგან, და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას: „რომლისა სოფლისანი ხართ?“ და მან რქუა: „დაბით ელარშნით[5], საფურცლით, ქინჯარელნი[6], რაპატელნი[7] და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი[8], სადა ღმერთნი ხედვენ[9], და მეფენი მეფობენ“[10]. ჰკითხა: „სადათ არს მცხეთა?“ ხოლო მწყემსმან მან ესრეთ ოდენ აუწყა, რომელ მდინარე გას-

---

[1] შეიერთნეს *MB*. [2] + მარტითგან *MB*. [3] ჩული *A*. [4] ამ სტრიქონის გასწვრივ არშიაზე არის ნაშთი რაღაც სიტყვისა „....რსა“, ალბათ, იყო „სომხურსა“, ე. ი. წინადადება წაიკითხება: „მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა“. [5] ელარბინით *MB*. [6] ქინძარელნი *MB*. [7] რაბატელნი *MB*. [8] სომხითისანი *M*, მცხეთისანი *AB*. [9] ხედვენ *A*, ღმერთობენ *B*. [10] სადა—მეფობენ <*M*.

დის ტბასა ამას მცხეთას მისლვად (არს). ხოლო წმიდამან ნინო დაიდვა ლოდი სასთულად, დაწვა და დაიძინა გარდასადინელსა მის
B 97 ტბისასა. და მოვი|და კაცი ერთი ასაკითა ზომი[1] და თმითა ნახე-
M 213 ვარ-თმოსანი, და მოსცა წიგნი დაბეჭდული | და რქუა: „მიართუი ესე მცხეთას, მეფესა წარმართთასა“. ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: „უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და არა ვიცი ენა, ვითარ მივიდე უცხოსა ქუეყანასა და უცხოთა ნათესავთა თანა“. მაშინ განჭსნა წიგნი იგი და მისცა კითხვად. და
A 53 წერილ იყო რომელებრ[2] და ბეჭდეულ | იყო იესოსი წიგნსა მას დაწერილსა, იყუნეს ათნი სიტყუანი:
M 214 სადაცა იქადაგოს სახ|არება, მუნცა ითქუას დედაკაცი ესე;

არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ;

წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით თქუენ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა;

ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა;

სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქ-
მოდის ყოველსა სოფელსა;

რომელმან თქუენი ისმინოს და შეგიწყნარნეს, მან მე შეიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი;
B 98 |რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა მის[ს]ა სიტყუასა. ჰეშმარიტსა;

ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუიდნენ ჴორცნი თქუენნი, ხოლო სულთა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად;

რქუა მარიამ მაგდანელსა იესო: „წარვედ დედაკაცო, ახარე ძმათა ჩემთა“;

სადაცა ქადაგებდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ესე სიტყუანი წარიკითხნა წმიდამან ნინო, იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ და გულისჴმა ყო, რამეთუ ზეცით იყო ჩუენება,
A 54 |და აღიხილნა თუალნი ზეცად და ხვალისაგან ითხოვა შეწევნა მისი; და შემდგომად ამისა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო

---

[1] ზომიერ *MB*. [2] რომაელებრ *B*, < *M*.

M 215 დინება მისი აღმოსავლით კერძო. და მიუდგა გზათა ძ|ნელთა და
ფიცხელთა, ნახნა ჰირნი დიდნი გზათაგან და შიში დიდი მჴეცთა-
გან, ვიდრეღა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით
იწყო დინება, ლხინება[1] მისი. პოვნა მოგზაურნი და მიიწია ქალაქსა
ურბნისასა. იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური, ცეცხლ- 5
სა[2], ქვათა და ძელთა თაყუანის-ცემდეს. და შევიდა უბანსა ურიათა-
სა[3] ენისათუის ებრაულისა. და დაყო მუნ თუე ერთი, განიცდიდა
ძალსა ამის ქუეყანისასა. მაშინ ღეღსა ერთსა შეიძრნეს ერნი დიდნი
მით ქალაქით, წარმავალ[ნ]ი დედა-ქალაქად სამეფოდ, მცხეთად,
ვაჭრობად წინაშე[4] არმაზ ღმრთისა მათისა; და წარჰყეა წმიდა იგი 10
ჰ 99
M 216 თანა. და მიიწიენეს ქალაქად | მცხეთად წიაღ ჴიდსა ზედა, და და-
A 55 დგეს მუნ, და ხელ|ვიდეს ცეცხლის-მსახურთა მათ ერთა[5] მოგუება-
სა[6] და ცთომასა; და იგლოვდა[7] უცხოებასა თუისსა. აჰა ესერა,
ხვალისა ღღე იყო ჴმა ოხრისა და საყუირისა; გამოვიდა ერი ური-
ცხუი, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდო- 15
და, და ჯერეთ მეფე არღა გამოსრულ იყო. და ვითარ მოიწია ჟამი,
იწყო სივლტოლა და მიდა-მიმოვლა ყოვლისა კაცისა, შიშითა საფარ-
ველსა თუისსა შეივლტოდა; მყის გამოჯდოდა[8] დედოფალი ნანა[9]
და ნელიად გამოვიდოდა ერი, და შეამკუნეს ყოველნი
ფოლოცნი თუითო-ფერითა სამოსლებითა და ფურცლითა. და 20
იწყო ყოველმან ერ[მან] ქებად მეფისა[10]; მაშინ გამოვიდა მირიან მეფე
საზარელითა ხილვითა. და ჰკითხა წმიდამან ნინო დედაკაცსა ვისმე
ურიასა, ვითარმედ: „რა არს ესე?“ და მან რქუა მას: „ღმერთი ღმერთ-
თა მიუწესს არმაზ, რომელ არა არს[11] მისსა გარეშე სხუა კერპი“.
M 217 მყის უკუე წარვიდა წმიდა ნინო ხილვად აჩრმაზისსა, და აღივსნეს[12] 25
A 56 ჴევნი იგი დროშებითა და | ერითა, ვითარცა ველნი ყუავილითა. ხო-
ლო წმიდამან ნინო შეუსწრო ციხედ არმაზისა, დადგა ახლოს კერპისა
მის ნაპრალსა ზღუდისა მის, და ხედვიდა საკუირველებასა მიუწ-
დომელსა და გამოუთქმელსა, ვითარღა იყო ზარის-აღსაჭდელი იგი
შიში მეფეთა, მთავართა და ყოვლისა ერისა შიშით და ძრწოლით. 30
და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა: და
ტანსა მისსა ეცუა ჯაჭუი ოქროსი, და ჩაბალახი[13] მყარი, და თუალ-
ნი ესხნეს ზურგით[14], და ჴელთა მისთა აქუნდა ჴრმალი ბრწყინვა-

---

[1] მიერითგან იქმნა ლხინება *MB*. [2] ცეცხლისა *AM*, ცეცხლსა *B*. [3] უბანსა ურიათასა *AB*, ბაგინსა ჰრომელთასა *M*. [4] მოვაჰრებად საჰმართა რათამე (+ და ხორვად *B*) წინაშე *MB*. [5] ერთ *A*. [6] მოგებასა *A*. [7] იგლვდა *A*. [8] გამოვიდა *MB*. [9] ნანაჲ დედოფალი *B*, ნათელი *M*. [10] და იწყო—მეფისა<*M*. [11] არს *AM*, არა არს *B*. [12] აღავსნეს *A*. [13] ჩაფხუტი *MB*. [14] ზურგით *A*, ზურმუხტისა და ბივრიტისანი *MB*.

ჰ 100 ლე, ვითარცა ელვა. უკეთუ ვინმე შეეხებინ, თავი თუისი სიკუდი-
M 218 ლად განწირის და იტყუინ: „ნუ უკუე სამე ვაკლე დიდებასა დი|დისა
ღმრთისა არმაზისსა, ანუ შე-ვე-რამე-ვსცეთ[1] სიტყუად ებრაელთაგან,
გინა მოგუთა თანა სმენისა; და რომელ იტყუიან უცებნი უცხოსა ვის-
თუისმე ღმრთისა, ნუ უკუე პოოს რამე ბიწი, მცეს მე მახუილი 5
იგი მისი, რომლისა[2] ეშინის ყოველსა ქუეყანასა“. და შიშით თა-
ყუანის-ცემენ მას. იყო მარჯუენით მისა კაცი ოქროსა, და სახელი
A 57 მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა და სახელი
მისი გიმ, რომელნი იგი ღმრთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა.

მ ა შ ი ნ ტ ი რ ო დ ა და ს ულ ო-ი თ ქ უ მ ი დ ა შეცდომათა[3] 10
მათთათუის ქუეყანისა ჩრდილოსა, მიფარვასა ნათლისასა და უფ-
ლებასა ბნელისასა. მიხედნა მეფეთა მათ და დედოფალთა ყოველთა
M 219 მთავართა, რამეთუ | ცოცხლებით შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა, დაე-
ტევა დამბადებელი, და ქვათა, ძელთა და სპილენძსა რვალსა გაჰე-
დილსა ღმრთად თაყუანის-სცემენ, და ესენი იცნობებოდეს[4] ყოვ- 15
ლისა შემოქმედად. მაშინ მოევსენა სიტყუა იგი, რომელ ამცნო[5]
იობანელმან პატრიაქმან, წმიდამან მამამან[6], ვითარმედ „მამაკაცსა
სრულსა წარგავლინებ, და მიწევნად ხარ ქუეყანასა უცხოსა ნათე-
სავთა —დარეგეელ ზეფელ კაბადულ[7], რომელ არს ბრანჯულად „კაც-
თა ღმრთისა მჴდომთა“[8]. 20

მ ა შ ი ნ აღ ი ხ ი ლ ნ ა ზ ე ც ა დ და თ ქ უ ა[9]: „უ ფ ა ლ ო, მ რ ა ვ-
ლ ი თ ა ძ ა ლ ი თ ა შენითა გეცრუენეს მტერნი შენნი, და მრაე-
ჰ 101 A 58 ლითა სულგრძელებითა იქმან, რასაცა იგონებენ. არამედ ნუ | უგუ-
ლებელს ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათუისცა
M 220 ერთი წმიდისა სამებისაგანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფე- 25
ლი; ამათცა ნათესავთა მოხედენ და შერისხენ სულთა ამათ ურჩ-
თა[10] სოფლის მპყრობელთა, მთავართა ბნელისათა, და შთაჴდენ
ადგილთა ძნელთა; და მიჩუენე მე, უფალო ღმერთო მამისა და დე-
დისაო, მჴეველსა ამას შენსა და ნაშობსა მათსა, რათა იხილონ ყო-
ველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარება შენი, რათა ჩრდილო 30
ბღუარსა თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან[11] მხოლოსა
ღმერთსა თაყუანის-გცეს ქრისტეს იესოს თანა, ძისა შენისა, რო-
მელსა შუენის მადლობა და დიდების-მეტყუელება.

---

[1] შესამევსცეთ *MB*. [2] რომლისაგან *MB*, რომელსა *A*. [3] ნეცთომათა *A*. [4] იც-
ნობდეს *A*, იცნობებოდეს *B*, <*M*. [5] იმცნო *A*, ამცნო *MB*. [6] მამან *A*. [7] დარგ-
ველ ზეველი ბარკადულ *MB*. [8] კაცთა ღ̄თის მბრძოლთა და მჴდომელთაო *MB*.
[9] თქუ *A*. [10] უჩინოთა *MB*. [11] ერმან *MB*.

და ვითარცა წამისყოფა იყო ოდენ თუალისა,
დასავალით ჰაერნი და ქარნი აღდგეს, და ჴმა სცეს ქუხილითა, ჴმი-
თა საზარელითა, და გამოჩნდეს ღრუბელნი მოსწრაფედ ნიშნითა
საშინელითა, და მოიღო ნიავმან დასავალისა მზისამან სული ჯერ-
M 221 კულისა მწარისა და ნაღვლისა მყრალისა. | მაშინ ივლტოდა ყოველი
A 59 კაცი ქალაქად და სოფლად; მიეცა | დრო, რომელ შეესწრნეს კაცნი
საყოფელთა მათთა შინა. მეყსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუ-
ბელი მცირე და მოიღო სეტყუა ლიტრისა სწორი მას ადგილსა
ოდენ, და დააწყლილნა კერპნი იგი და დამუსრნა, დაარღუივნა
ზღუდენი ქარმან სასტიკმან და შთააბნივნა კლდესა; ხოლო წმიდა
ნინო დარჩა მშუიდობით ადგილსა მას, სადა შესრულ იყო.

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი
ჳ 102 ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოვებდეს; | დაეცა შიში
M 222 და ძრწოლა, | და იგლოვდეს გულფიცხელი ერი იგი, იტყოდეს, ვი-
თარმედ: „ქალდეველთა ღმერთი ითირუჯ[1] და ჩუენი ესე ღმერთი არ-
მაზ მტერ არიან. ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან
შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“. ხოლო რომელნიმე იტყო-
დეს: „რომლისა ძალითა თრდატ მეფე იქმნა[2] და მისვე ძალითა
ღმრთისა იქმნა კაცად, უკუე ღმერთმან მოაწია ესე, რამეთუ სხუა
ღმერთი ვერ შემძლებელ არს“. ესევითარსა ამას იტყოდეს, რამე-
A 60 თუ ვინცა თრდატ მეფე ქრ|ისტეს ძალითა ეშუად ქმნილ იყო, ქრი-
სტეს ძალითაცე კაცად მოქცეულ იყო. მიერითგან ქება-დიდება[3]
ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა მათ შინა, რამეთუ მ ა დ ლ ს ა
ღ მ რ თ ი ს ა ს ა ე წ ყ ო მ ო ფ ე ნ ა დ.

M 223 ხოლო მასვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყუა იგი
და ქარი სასტიკი, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალი-
სა და პოვა თუალი იგი ბივრიტი, აღიღო და წარმოვიდა წინა-კერ-
ძო დასასრულსა მის კლდისა ცხუირისასა, სადა ყოფილ იყო ძუელი
ციხე, და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისა, შუენიერი, მაღალი და
რტოიანი, სადა იგი ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და გან-
სასუენებელი. მივიდა ხესა მას ქუეშე და გამონიშნა ნიში[4] ქრისტეს
ჯუარისა, და ილოცვიდა მუნ ექუს დღე, და მადლობდა ღმერთსა
და ევედრებოდა, რაოა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა
და იჴსნეს ეშმაკისაგან. და ოდეს იქმნა ესე, ჟამი იყო მეექუსე და

---

[1] ითრუჯან *MB*. [2] მეფე ეშუად [იშუა და *M*] შეიცუალა *MB*. [3] მიერითგან ქება-დიდება < *A*, შევსებულია *MB*-დან. [4] გამონიშნა ნიში *A*, გამოსახა სასწაული *MB*.

დღე მეექუსე და თუისა მის, ოდეს იგი ევმანოელ თაბორს ხატი
უჩუენა თავთა მათ მოწაფეთა და თავთა მათ წინასწარმეტყუელთა[1].
ჰ 103
M 224 ¦მაშინ მოვიდა სეფექალი ვინმე, რომელსა ერქუა
A 61 [შროშან] და¦ იხილა იგი ხესა მას ქუეშე; განკურდა და მოიყვანა
ბერძულად მეტყუელი დედაკაცი[2] და ჰკითხა გზა მისი[3]. ხოლო წმიდა- 5
მან ნინო აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თუინიერ[4]
დედა-ძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თუისი.
მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა[5] მისთუის, აღევსნეს თუალნი
ცრემლითა და აიძულებდა მას, რათამცა წარჰყვა სეფედ[6]. ხოლო
ნინო არა ინება წარყოლა და წარვიდა შროშანია. შემდგომად ამის- 10
სა მესამესა დღესა ჩამოვიდა ქართლად, გამოელო მტკუარი და მი-
მართა სამოთხესა მას მეფისასა, სადა იგი აწ არს სუეტი ღმრთივ
აღმართებული და ეკლესია საკათალიკოზო. და მი-რა-ვიდა კარსა მას
M 225 სამოთხისასა მცველისა, ¦შევიდა შინა, დაჯდა დედაკაცი, რომელსა
ერქუა ანასტო[7]. ვითარცა იხილა დედაკაცმან მან, აღდგა, მოეხუია 15
და შეიტკბო, ვითარცა მეცნიერმან, და დაჰბანნა ჴელნი და სცხო
ზეთი, მოართო პური და ღუინო. და დაყო მის თანა ცხორება
ი თუე[8].

ესე ანასტო და ქმარი მისი იყუნეს უშვილო და
A 62 ზრუ[ნვიდ]ეს ფრიად. იხილა ¦ წმიდამან ნინო ჩუენებასა შინა: 20
მოვიდა კაცი ნათლის ფერი და რქუა: „შეკვედ სამოთხესა მას, ბა-
ბილო არს მცირე ნაძუთა ქუეშე, საუფლო შეზავებული მიწა, აღიღე
მის ადგილისაგან, შეაჭამე კაცსა მაგას და ესუას შვილი“. ყო ეგ-
M 226 რეთ წმიდამან ნინო და რქუა მათ: „ძალითა ქრისტეს ძისა ღმრთი-
ჰ 104 სათა დაუსაბამოსა, რომელი თანამოსაყდრე არს მამისა და სულისა 25
წმიდისა და ჴსნისათუის ჩუენისა განკაცნა, ჯუარს ეცუა, დაეფლა
და აღდგა მესამესა დღესა, და ამაღლდა დიდებით, და დაჯდა მარ-
ჯუენით მამისა, და მერმე მოსლვად არს განსჯად ცხოველთა და
მკუდართა, მან მოგცეს გულისჴმის ყოფა. და აუწყა
ყოველი გზა ჭეშმარიტი. 30

მაშინ ცოლ-ქმართა აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს ფარუ-
ლად. ხოლო წმიდამან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით პოვა

---

[1] ოდეს იგი ევმანოელ თაბორს ხატი უჩუენა თავთა მათ...: *A*, რომელსა შინა ფერი იცუალა ქრისტემან წინაშე თავთა... *MB*. [2] დედაკაცა *A*. [3] გზა მისი *A*, ვინაობა მისი *MB*. [4] თუინიერიერ *A*. [5] უცხოებასა *A*. [6] სახიდ (სახით *M*) სამეუფოდ *MB*. [7] ანასტოს *M*, ანასტასია || ანასტასოს *B*. [8] დაყუნა მის თანა წმიდამან ნინო დღენი და ჟამნი ცხრათა თუეთანი *MB*, (*A*: ცხორება ი [=10] თუე).

ქოჩი ერთი, ბწამი[1] მაყულისა, სადა აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა საებისკოპოსო, და იგი შექმნა საყოფლად თუისა. და შექმნა ჯუარი[2] ნასხლევისა და აღმართა ქალაქსა მას ქუეშე,
A 63 |და მარადის იღოცავნ დღე და ღამე დაუცხრომელად. და მსახურებდეს ცოლქმარნი იგი, და იყუნეს დაკუირვებულ ღუაწლთა მისთა, მარხვასა და ლოცვასა მღუიძარებასა. და მრავალგზის მოვიდის
M-227 უბანსა ურიათასა ენისათუის ებრაულისა და გამოძიებისათუის კუართისა უფლისა, რომელ ასმიოდა ნიაფორასგან ისრაელისაგან, ვითარმედ „კუართი უფლისა მცხეთელთ ურიათა წარუღიაო“, რათამცა ცნა რამე საქმე კუართისა.

და პოვა ურია ერთი მღდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახელი[3] უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ რწმენა და დაემოწაფნეს იგინი და ექუსნი დედანი სხუანი ურიანი, და (დ)აღიღეს სწავლა წმიდისა ნინოსი თუინიერ ნათლის-ღებისა, რამეთუ არა იპოვებოდა მღდელი, რომელმან ნათელ სცა, და ფარულად იყუ-
ჯ 105 ნეს მოწაფე მისი. და ჰყოფდა | კურნებათა საკუირველითა ძალითა
A 64 ქრისტესითა; მრავალნი განრღუეულნი განკურნნა, რეცა მიზეზითა|
M 228 წამლისათა. და ესრეთ იქცეოდა მცხეთას ქალაქსა შინა | სამ წელ ოდენ, და მათ ჟამთა შინა ოდენ იყო შესულა მირიან მეფისა და ძმისწულისა მისისა დიდისა სპარსთა მეფისა საბერძნეთს, ოდეს კოსტანტინე მეფემან ძალითა ქრისტესითა და წინამძღურებითა ჯუარისათა იოტნა მეფენი და სპანი მათნი ურიცხუნი მოსრნა.

თქმული აბიათარ მღდელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და სანატრელსა ნინოს.

«მე, აბიათარ მღდელი, ვიყავ წლით[4] ხუედრებული მის წელიწადისა, ოდეს წმიდა ესე დედაკაცი ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთას. მასვე ჟამსა მოვიდა ანტიოქიით ურიათა მღდელთაგან ესრეთ წერილი, ვითარმედ „სამად განხეთქა ღმერთმან მეფობა ისრაელისა; აჰა ესერა, წინასწარმეტყუელნი ჩუენნი დასცხრეს, და რომელსა სული აწუევდა, აღესრულა ყოველი და განვიბნიენით ყოველსა ქუეყანასა, და რომთა დაიპყრეს ქუეყანა. და ურიანი ეტიროდით ჩუენ
M 229 ყოვ|ლითურთ[5], რამეთუ განვარისხეთ[6] შემოქმედი ღმერთი. აწ გაიხილენ წიგნი მოსესი, რომელი დამიწერ(ი)ა ჩუენ ესე: ყოველი, რო-
A 65 მელი იტყოდა ქუეყანასა ზედა | თავსა თუისსა ძედ ღმრთისა, მოკუე-

[1] ბრწამლი *B*, < *M*. [2] ჯუარისა *A*. [3] სახელ *A* („ი“-ს ადგილი წაკრილია), სახარება *MB*. [4] წილით *MB*. [5] ერითურთ *MB*. [6] განარისხეთ *A*.

ჰ 106 დინო, ანუ-მე უკუე შევსცეთით ნაზარეველისა იესოს სი|კუდილისა; რამეთუ ვხედავთ ოდეს პირველთა მამათა ჩუენთა შესცოდიან ღმერთსა და ყოვლად დაივიწყიან ღმერთი, და მისცის ჴელმწიფე[ბა]სა ძნელსა, ტყუეობასა ძნელსა, და ღაღადყვიან. მსწრაფლ განარინნის იგინი ჭირისაგან.

«ესე შუიდგზის ვიცით წერილისაგან. ვინათგან ჴელი შეახეს ძესა მას დედაკაცისა მცირისასა და მოკლეს, აღიღო ჴელი მისი ჩუენ ზედა, განხეთქა მეფობა ჩუენი, და განმაშორნა ტაძარსა მისსა წმიდასა, და უგულებელს ყო ნათესავი ჩუენი სრულიედ და არს სამი[1] წელი, და არა ისმინა ვედრება ჩუენი და არცა იყო M 230 ლხინება ჩ|უენი.

«საგონებელ გუიჩნს, ვითარმედ ზეცით იყო განგება ესევითარი; განმრავლდა მოწერილი. ხოლო მე, ვითარცა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედაკაცისა მის ქრისტესთუის, თუ ვინა იყო იგი, ანუ რომლისა მიზეზისათუის იქმნა კაც ძე ღმრთისა. მაშინ აღაღო პირი თუისი, ვითარცა ჯურღმულმან აღმომცერანემან, იწყო საუ- A 66 კუნითგანთა, ზეპირით აღმოიტყოდა | და განაგებდა, ვითარცა მძიმარესა განმაღუიძებდა და დაბნელებულსა განმანათლებდა, მამათა ჩუენთა შემაწყალებდა და სჯულისა ცვალებათა დამაჯერებდა, ვიდრემდის მრწმენა სიტყუათა მისთა: იესო ქრისტე ძე ღმრთისა, ვნება მისი და აღდგომა, მეორედ მოსულა მისი საშინელი და სადა იგი არს მოლოდება წარმართთა. მე და შვილი ჩემი ღირს ვიქმნე- M 231 ნით საპკურებელსა მას განწმედელსა[2] ცოდვათაგან, ემბაზისა ჰ 107 შვილსა, რომელსა ინატრიდა დავით და ვერ|იხილა[3]. და მესმა ჴმა ახლისა სჯულისა, ეჰა საგალობელთა, რომელსა ინატრიდა დავით, და ღირს ვიქმენა მე ზიარებად ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღმრთისასა, კრავსა სოფლისა ცოდვათა შეწირულისათუის, რომლისა ტკბილ არს გემოს-ხილვა მისი; ამას ზედა, უფალო, ჰყავ[4] განსლვა ჯორცთაგან ჩემთა. და კუალად მრავალნი სასწაულნი იხილნა თუალმან ჩემმან მცხეთას, წმიდისა ნინოს მიერ».

დღეთა ჩუენთა თქმული მისივე აბიათარ მღდელისა კუართისათუის უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა

A 67 «მე, აბიათარ, თხრობასა მიგ|ითხრობ დედისა მამისა ჩემისასა, M 232 რომელიცა ვიცი წიგნთაგან მამისა და დედისა ჩემისათა; სმენით ყურთა ჩემთა ესმოდის მამისა თუისისაგან, ოდეს იგი გუესმა, ვი-

[1] სამასი *MB*. [2] განსაწმედელსა *MB*. [3] იხილა *A*, ეწიფა *MB*. [4] იყავნ *A*, ვყავ *M*.

თარმედ „იელუსალიმი სპარსთა დაიპყრესო“; იქმნა გლოვა და მწუხარება ურიათა ზედა ქართველთა, მცხეთას მკუიდრთა, ბოდელთა მღდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა და სობის სინელთა[1] თარგმანთა—ესე ყოველნი აღიძრნეს[2] სივლტოლად. ხოლო მცირედთა დღეთა მოვიდა ღაღადისი ნუგეშინის ცემისა, ვითარმედ „სპარსნი არა დაპყრობად მოვიდეს იელუსალიმისა, არამედ მურისა წილ[3] აქუნდა ოქრო სამეუფო, მური მსწრაფლ მკურნალი წყლულებათა, გუნდრუკი სულამო[4], ეძიებდეს[5] ყრმასა ვისმე შობილსა, ძესა დავ 108 ვითისსა. პოვეს[6] მწირი | ერთი მწირისა დედაკაცისაგან შობილი M 233 უკამოდ და უადგილოსა ადგილსა. | ესე მის ყრმისა მოვიდეს თაყუანისცემად, და შეწირეს მისა ძღუენი იგი“. იქმნა სიხარული ყოველთა ზედა ჰურიათა ქართველთა.

«ხოლო შემდგომად ამისსა, ვითარ გარდავლდა ოცდაA 68 ათი წელი, მოუწერა ანა მღდელმან ი[ე]ლუსარემით მამისა ჩემისა ელიოზისა, რამეთუ იგი, რომლისათუის მოვიდეს სპარსნი მეფენი ძღუნით, აღზრდილ არს იგი, ჰასაკსა საზომსა მიწევნულ არს და თავსა თუისსა ხადის ძედ ღმრთისა. მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა აღესრულოს მცნება მოსესი“. წარვიდა აქათ მამის მამა ჩემი ელიოზ, კაცი მოხუცებული, და ესუა მას დედა ტომისაგან ელია მღდელისა, და ესუა დაჲ[10] ერთი. ევედრებოდა დედა ძესა თუისსა: „წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა სჯულისასა. ხოლო რომელსა განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ შვილო, რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყუელთა და იგავი M 234 ბრძენთა | და წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი; მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისასა. ხოლო ოდეს დამსჭუალეს უფალი, პასენაკმან[7] კუერითა დაჰკრა სამსჭუალთა. აქა დედასა ელიოზისსა ესმა, და იკრჩხიელნა[8] და თქუა: „ჲ მშუიდობაო და მეფობაო A 69 ურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისი მაცხოვარი, და იქმენ მკლ[ველ შემოქმედისა თუისისა. ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინათვე მოვკუედ, ვ 109 რომე არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა“. | და ამას ზედა შეისუენა.

«ხოლო კუართი უფლისა წლით[9] ხუდა მცხეთელთა. წარმოიღო ელიოზ, და მოიღო მცხეთას, და მიეგება დაჲ[10] შეA 235 სუარული ცრემლითა, მ[ოეხუია ყელსა ძმასა თუისსა, და აღიღო სამოსელი იესოსი, შეიტკბო მკერდსა და ფიცხლა სულნი წარჰჴდეს,

[1] სობის კანანელთა *M*, ხობის კანანელთა *B*. [2] აღძრნეს *A*, აღიძრეს *B*, აღიზრასნეს *M*. [3] საჭურველთა წილ *MB*. [4] სულ ამაო *A*, სურნელი *MB*. [5] ეძიებდეს< *A*. [6] პოვეს<*A*. [7] პასანგმან *M*, ჰასანიგმან *B*. [8] იკრჩხლნა *M*, იკრჩხიალნა *B*. [9] წლით *A*, წილითა *MB*. [10] დაა *A*.

სამითა ამით ტკივილითა: სიკუდილისათუის და დედისათუის, რომელ ეზიარა სისხლსა უფლისასა. მაშინ იყო საკუირველი დიდი მცხეთა-ქალაქსა შინა; განკუირდა ადერკ და ყოველი ერი, და სთნდა მეფესა ადერკს სამოსელი იგი; არამედ საკუირველებისა მისგან არა ინება გამოღება მკუდრისა მისგან; და ელიოზ დამარხა დაჲ[1] თუისი და ჴელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისა. და ადგილი იგი, რომელ უფალმან უწყის.

Ǯ 110 «შემდგომად მრავალთა წელიწად|თა, ძისწულმან[2] ადერკ მეფისამან ძიება ყო სამოსლისა მის ურიათასა და არა პოვა. რამეთუ
A 70 აუწყეს ესე ყოველი, რომელი | იყო და არავინ უწყის ადგილი იგი,
M 236 რომელ არს მახლობელად[3] ნაძუისა ლიბანით მოღებულისა. | რამეთუ მრავალგზის ბრძანა დედამან ჩემმან წმიდამან ნინო, რათამცა მოვიძიეთ სამოსელი იგი, გარნა მეფემან ოდენ უწოდენ: „და არს ადგილი იგი, რომელსა ძენი კაცთანი ვერ შემძლებელ არიან გა-
M 237 მოთქუმად“. სახლი[4] ელიოზისი | იყო ქალაქსა შინა დასავალით წიაღ მოგუთასა, ჴიდსა ზედა.

«მათ დღეთა შინა მრავალგზის იხილა ჩუენება წმიდამან ნინო მცირესა მას მირულებასა მისსა მუჴლთა მისთა ზედა, რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი და შთავიდიან შაენი მდინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეტაკნიან და აღვიდიან სამოთხესა მას ბაბილოვანისასა, მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, რეცა მისი არს სამოთხე იგი, გარე მოადგიან ჟივილით შუენიერად. ესე უთხრა წმიდამან ნინო მოწაფესა თუისსა სიდონიას, ასულსა აბიათარისსა, და მან რქუა: „უცხოვო და აქა შობილო[5] ტყუეო
A 71 და | ტყუეთა მჴსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზედა მოიწია ახალი იგი
M 238 ჟამი, და შენ ძლით[6] ისმის ამბავი იგი, მამათა ჩუენთა ნაქმარი ზეცისა მის კაცისა ზედა, უბრალოსა მის სისხლისა უსამართლოდ დათხევა, რომლითაცა იქმნა ურიათა სირცხუილი, ცის-კიდეთა განბნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრისა მის წმიდისა მიღება, ერისა
Ǯ 111 | უცხოსა წოდება, და დიდება მათი მათდა მიცემად: იელუსალიმ, იელუსალიმ, ვიდრემდის განგიმარტვან ფრთენი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცის-კიდეთა ფრთეთა შენთა ქუეშე. აჰა, აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს წესი ქუეყანისა ამის“. მიექცა წმიდასა ნინოს და რქუა: „ჩუენება ესე შენი არს, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ იქმნეს სამოთხე“.

---

[1] დაა *A*. [2] ამ სიტყვის ბოლო („ან“) წაჰკრილია. [3] მახლარობელად *A*. [4] სახელი *AM*. [5] აქა არა შობილო *B*. [6] შენ ძლით *A*, შენ ჴმით *M*, შენ ჯამით *B*.

«ხოლო ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით, ოტებული კოსტანტინე მეფისაგან, ვიდრე მოსლვადმდე მისა
M 239 განეცხადა წმიდასა ნინოს ქება[1] ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იტ-
A 72 ყოდა ჭმამაღლად, ვითარმედ: „გპოვენ მკუიდრნი ჩრდიღოსანი ცთომასა შინა“. და გამოაჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა, და მით
იქმოდა საკუირველებათა დიდთა; განრღუეულნი განკურნნის თუინიერ წამლისა, შეხებითა ჯუარისათა, და მის თანა ქადაგებდეს მოწაფენი მისნი, რომელნი პირველ დაემოწაფნეს: შუიდნი დედანი ნათესავნი ურიათანი, სიდონია, ასული აბიათარისი, და ექუსნი სხუანი, და სამოთხისა მცველნი იგი დედანი და ცოლ-ქმარნი, აბიათარ მღდელი, ახალი პავლე, რომელი უშიშად და დაუცხრომელად ქადაგებდა სჯულსა ქრისტესსა, რომელ ფრიად მეცნიერ იყო ძუელისა სჯულისა, და ახალი სჯული ესწავა წმიდისა ნინოსაგან და უმეტეს ნინოსა ამხილებდა ყოველსა კაცსა სჯულსა ჰეშმარიტსა.

«მაშინ აღიძრნეს ურიანი აბიათარს ზედა, რა-
M 240 თამცა ქვა დაჰკ|რიბეს. ხოლო მეფემან მიავლინნა მსახურნი და განარინნა აბიათარ სიკუდილისაგან, რამეთუ მირიან მეფესა აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა, რამეთუ ასმიოდა სა-
A 73 სწაული ქრისტეს სჯულისა საბერძნეთით და | სომხითით. არა დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა, არამედ
112 ჰბრძოდა ეშმაკი, მტერი იგი უჩინო, | და ვერ დაამტკიცებდა[2] აღსაარებასა ქრისტესსა. ხოლო ნანა[3] დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შეურაცხ ჰყოფდა ქადაგებასა მას.

«ხოლო წმიდა ნინო ილოცვიდა დაუცხრომელად საყუდელსა მას თუისსა მაყუალთა მათ ქუეშე, და დაკუირვებულ იყუნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღუიძარებასა, და უცხო უჩნდა საქმე იგი; იწყეს გამოკითხვად მისა; იგი აუწყებდა ძუელთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძნობდა უგუნურთ და
M 241 უგულისჴმოთა მათ, და შთაუგდებდა გულსა სიყუარულსა ქრისტესსა.

«და იყო ესრეთ სამ წელ, ვინათგან[4] განცხადებულად ქადაგა ქრისტესი და დაიმოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე ყრმა-წული, უფალი მძიმისა სენისა, და მიმოაქუნდა იგი დედასა მისსა კარითიკარად, რათამცა პოვა მეცნიერი ვინმე კურნებისა და ყომცა სარგებელი მისი, და შეისწავა იგი და არაოდეს პოვა სარგებელი კურ-
A 74 ნებისა ყრმისა მისთუის. და მკურნალთაცა რქუეს დედაკაცსა მას,

[1] ქადაგება *MB*. [2] დაემტკიცებდა *A*. [3] ნინო *AM*, ნანა *B*. [4] ვინაცა *M*, ვიხაცა *B*.

ვითარმედ: „არა სარგებელ ეყოფვის ყრმასა მაგას“. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, გულფიცხელი, და მარადის სძაგებნ სჯულსა ქრისტიანეთასა, და აყენებდეს სხუათაცა მისლვად და კითხვად წმიდისა ნინოსა. ხოლო ვითარცა სასოწარკუეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე წმიდისა ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა. მაშინ რქუა წმიდამან ნინო: „კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არა რა ვყო. ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა მაგას კურნება, რომელი ყოველთაგან განწირულ არს“. რომელსა[1] კილიკსა[2] ზედა მარადის
M 242 ილო|ცავენ წმიდა ნინო, მას ზედა დადება უბრძანა ყრმისა მის,
ჰ 113 |და იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ, და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა. ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თუინიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო“. და დაემოწაფა წმიდასა ნინოს, შეუდგა კუალსა მისსა და ადიდებდა ღმერთსა.
A 75 «მაშინ დე|დოფალი ნანა შევარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომელსა კურნება ვერავინ შეუძლო. რამეთუ ყოველთა ჭელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება, უღონო იქმნნეს და სასოწარკუეთილ. ხოლო აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვითარმედ „დედაკაცისა მის რომისა[3] ტყუისა მიერ, რომელსა რქუიან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სნეულნი განიკურნებიან“. მაშინ უბრძანა მსახურთა მათ, რათა მოიყვანონ ნინო.
M 243 მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და პოვეს წმიდა ნინო | ქუისა მის ქუეშე [ბ]წამ(ა)ლთასა[4], იღოცვიდა ჟამსა მეექუსესა, და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო რქუა: „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შუება ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა, და ჰეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა“. ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი, მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: „შემომზადეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ
A 76 მე“. მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსა|ხურთა მათ და ძე მისი რევ. და სიმრავლე ერისა მის თანა. ვითარ მივიდეს საყოფელსა მას ნინოსსა, დადვეს დედოფალი კილიკსა ზედა. იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ მყოვარჟამ, და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა[5], მჭართა და ფერჴთა

---

[1] რომელი *A*. [2] კილისა *M*, კლიკსა *A*, კილიკსა *B*. [3] რომლისა *A*, ჰრომისა *MB*. [4] ქოჩსა მას ქუეშე მაყულისასა (მაყვალთასა *B*) *MB*. [5] თავსა, თავსა *A*.

ჯუარის სახედ, და მეყსეულად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული. და რწმენა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თუი-
ჳ 114 ნიერ ქრისტესსა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე | დედაკაცი“. მიერით-
M 244 გან შექმნა იგი მეგობრად თუისად | შინაურად, მარადის ჰკითხავნ და გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესსა, და ასწავებდის წმიდა ნინო და აბიათარ, ახალი პავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი. და ჰკითხვიდა დედოფალსა მეფე, ვითარ იგი მეყსეულად განიკურნა. და უთხრობდა დედოფალი ყოველსა, რომელი იქმნა მას ზედა, ვითარ[1] იგი თუინიერ წამლისა, ლოცვითა და შეხებითა ჯუარისათა, განიკურნა. და სიმრავლე იგი, რომელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტყუასა მას დედოფლისასა.

A 77 «მაშინ მირიან მეფე განკუირდა და | იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მრავალგზის ჰკი[თხუენ] ურია-ყოფილსა[2] მას აბიათარს ძუელთა[3] და ახალთა წიგნთა, სადა იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: აღშენებასა გოდლისასა ვმა იყო ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა: „მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა; განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი ჰფარავს ქალაქსა მა-
M 245 გას“. ხოლო უკუანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, რო|მლისა იგი შენ გნებავს ხილვა ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარვნის გემონი სოფლისანი; მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხილოს ჰირსა შინა, და გიჴსნეს შენ. მაშინ გულისჴმა ჰყოფდა მეფე მირიან, რამეთუ ძუელნი წერილნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა. და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. და ბრძოდა უჩინო იგი მტერი,
A 78 აყენებდა | [აღსარე]ბად ქრისტესა, გულსა შთაუგდებდა სასოება-
ჳ 115 სა კერპთასა და ცეცხლისასა, არამედ მარადის ევე|დრებინ[4] დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა. და იყო მეფე-დედოფლისა მოქცევითგან წელიწადსა ერთსა ორგულობასა შინა.. ხოლო ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმიდა ნინო, და არავის აუწყებდა, თუ ვინა ვარ ანუ სით მოველ, არამედ ტყუედ იტყოდა თავსა თუისსა.

«შემდგომად ამისსა მოგუი იგი მთავარი სპარსი,

---

[1] ვითარი *A*. [2] ურიათა ყოფილსა *A*. [3] ძეუელთა *A*. [4] ევედრებინ *A*, ევედრებოდა *MB*.

სახელით ხუარასნელი[1] იყო, სულითა უკეთურითა ფიცხე-
M 246 ლითა იგუემებო|და, და სიკუდილსა მიახლებულ იყო. და იყო
მთავარი იგი ნათესავით[2] მირიანისი. მაშინ ეველდრნეს წმიდასა ნი-
ნოს დედოფალი და მეფე, ხოლო მეფე იხილვიდა საქმესა მისსა
მცირედ ორგულებით. ეტყუინ ნინოსა: „რომლისა ღმრთისა ძალითა
იქმ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადე-
ნისი, უცხოებით მოხუედ, შეურდი, ზედა-აც მოწყალება და მიგა-
ნიჭენ ძალი კურნებათა, რათა მით სცხოვნდებოდე უცხოსა ქუეყა-
ნასა, და დიდებულმცა არს უ[კ]უნისამდე; ხოლო შენ წინაშე ჩუენ-
A 79 სა იყავ, ვითარცა მაწ|ოებელი[3] ერთი შვილთა ჩუენთა, და პატივ-
ცემულ [ქალაქსა] ამას შინა. არამედ უცხოსა ამას სიტყუასაი ნუ
იტყუი, რომთა მათ შეცთომილთა სჯულსა, და ნუცა გნე-
ბავს[4] ყოველად თქმად; რამეთუ აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი სოფ-
ლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წუიმისა მომცემელნი და ქუეყა-
ნისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი არმაზ და ზადენ,
M 247 ყოველისა წარუვალისა გამომეძიებელნი, ძუელნი| ღმერთნი მამათა
ჩუენთანი გაცი და გაიმ, იგინი იყუნეს სარწმუნობად კაცთა მიმართ.
აწ უკეთუ განკურნო მთავარი ესე, გაგამდიდრო და გყო შენ
მკუიდრ მცხეთას შინა, მსახურად არმაზისსა. დაღაცათუ აერითა
მით და სეტყუითა მოიწია მის ზედა შემუსრვილება, არამედ
იგი ადგილი უძლეველ არს, ესე არმაზ ქართველ[თა]
და ქალდეველთა ღმერთი ითარჟან[5] ყოვლადვე მტერ არიან: ამან მას
ზედა ზღუა შემოადგინა, და ამან მას ზედა ესეეითარი ურვა მოა-
წია, ვითარ აქუს ჩუეულება სოფლის მპყრობელთა, და კმა გეყავნ
ჩემ[გან ბრძანე]ბა ესე“.
A 80 |«[მიუგო] ნეტარმან ნინო: „შენ მეფე, სახელითა
ჯ 110 ქრისტესითა | და ვედრებითა დედისა მისისათა და მის თანა
ყოველთა წმიდათათა მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და
ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან დაბადებულისამან, დიდისა
დიდებულისა მრავალმოწყალებისა მისისაგან მოავლინენ შენ ზედა,
ვითარცა სამებილისაგან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა, რათა
M 248 სცნა და გულისჴმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნ|ათელი მზისა, სიღრმე
ზღუისა და სივრცე ქუეყანისა და საფუძველი მისი. და უწყებულ[6]
იყო შენ[7], მეფე, ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხნ ჴმითა ჰა-
ერისათა, და იძრვინ ქუეყანა სიმძლაფრითა[8] მისითა, და რბინ მეხის
ტეხანი, და კუალსა მისსა[9] ეგზების ცეცხლი გულისწყრომითა მათი-

[1] ხუარა სნეულ *A*, ხურსნელი *M*, ხვარასნელი *B*. [2] ნაათესავით *A*. [3] მაწოვნებელი *MB*. [4] იტგნებავს *A*. [5] ითრუჯან *MB*. [6] უწყებელ *A*. [7] იყავნ *MB*, იყო შენ *A*. [8] სიმძაფრითა *MB*. [9] კუალსა მისსა *A*, ყოველსა მთასა *MB*.

თა. ანუ ოდეს შეიძრა ქუეყანა ვიდრემდის შეიძრა და დაირღუეს მთანი მყარნი, კლდენი, და ქვანი. მეცნიერ გყვენ შენ ამას ყოველსა მიწევნად, რამეთუ ღმერთ არს ცათა შინა, უხილავ არს თავადი
A 81 იგი ყოველთა დაბად[ებულთაგან], თუინიერ ძისა მისისა, რომელ|ი მისგან გამოვიდა ქუეყანასა ზედა, გამოჩნდა, ვითარცა [კაც]ი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათუის მოსრულ იყო, და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა, და იხილა მხოლო დაუსაბამო, რომელი მაღალ არს და მდაბალთა ხედავს, და მაღალნი იგი შორით იცნის. მეფე, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად, რამეთუ არს ამას შინა სასწაული ერთი; სამოსელი ძისა ღმრთისა აქა
M 249 არს, და ხალენისა მის ელიასი თქუეს ვიეთმე აქავ ყ|ოფა; მრავალნი სასწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამო[ა]ჩინნეს. და აწ მთავარი მე ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისა ჩემისათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა იგი დედოფალი განვკურნე სენისაგან დიდისა. და რა იგი ვაუწყე, ჰყოფს იგი, რათა სულიცა თუისი მიიახლოს ღმერთსა“. და მოჰგუარეს
ჰ 117 მთავარი იგი. და მოვიდა | დედოფალიცა იგი სამოთხესა მას შინა ნაძუთა მათ ქუეშე, და დაადგინა აღმოსავალით, სცნა კელნი აპყრობად და თქუა: „სამგზის ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგები ქრის-
A 82 ტეს[ა, ძესა] ღმრთისასა“. და ტიროდა ნინო სულთქმითა სულისა თუისისათა, და ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა კაცსა მას ზედა. და იყუნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ დღე და ორ ღამე, და მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი, და დაემოწაფნეს ნინოს სახლით და ერითურთ მისით, და ადიდებდეს მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნისამდე».

თქმული სიდონია დედაკაცისა, რომელი იყო მოწაფე ნინოსი, რომელი ესე იხილა
M 250 და დაწერა მოქცევა სასწაულითა მირია|ნ მეფისა და შევრდომა ნინოსი აღსარებისათუის ქრისტესისა, ჯუარისა აღმართებისათუის, ეკლესიათა აღშენებისათუის და მას შინა სასწაულთა მისთა. თავი მე შუიდე. გუა კხენ.

«მაშინ იქმნა დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივნისსა[1] ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე მუხრანით[2] კერძო და მოუჴდა უჩინო იგი მტერი ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყუარული
ჰ 118 კერპთა და ცეცხლისა, და იგონებდა ყოველსა | მსახურებასა მისსა და მახუილითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა. და რქუა

[1] ივლისსა *MB*. [2] მუხნარით *MB*.

A 83 მეფემან ოთხთა თანა|მზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩუენ
ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით
მსახურებასა მათსა, და მიუშუით ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა
ქადაგება სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ გრძნებითა
M 251 ჰყოფენ საკუირველებათა მათთა. აწ ესე არს გა|ნზრახვა ჩემი, 5
რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსავნი ჯუარცმულისანი
და უმეტეს შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა
ქართლისათა, ვამხილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანება, და დატე-
ვება სჯულსა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სი-
ყუარული მისი და სხუათავე თანა წარვწყმიდო იგი“. დაუმტკიცეს[1] 10
განზრახვა თანამზრახველთა მათ, რამეთუ მჴურვალედ იყუნეს იგინი
საქმესა მას, და ნებევდა პირველითგან, და ვერ იკადრებდეს განცხა-
დებად. ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხრანისა[2], და
აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა კას-
პად, უფლის-ციხედ. და განვიდა თხემსა მთისასა. შუა სამხრისა 15
A 84 ოდენ დაბ|ნელდა მზე მათ ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი,
უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი; და განიბნინეს
ურთიერთასა ჰირისაგან და ურვისა. და დაშთა მეფე მარტო, და
იარებოდა მთათა და მარნართა შეშინებული და შეძრწუნვებული,
დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწირა სასოება¦ ცხორებისა მისისა. 20
და მოეგო თავსა თუისსა ცნობასა, და განიზრახვიდა გულსა თუისსა:
M 252 „აჰა ესერა, ვხედავ ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვებ |ლხინებასა. აწ,
რომელსა იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარ-
ცმულსა, და ყოფს კურნებასა მისითა სასოებითა, არამცა ძალ ედვაა
ჴსნა ჩემი ამის ჰირისაგან? რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა 25
ჭ 119 და არა უწყი, თუ ყოველსა იქმნა დაქცევა ესე | და ბნელი ჩემთუის
ოდენ იქმნა. აწ, თუ ოდენ ჩემთუის არს ჰირი ესე, ღმერთო ნინო-
სო, განმინათლე ბნელი ესე ღამე და მიჩუენე საყოფელი ჩემი, და
აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა, და თაყუანის
A 85 ვსცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ 30
ნინოსა სჯულსა რომთასა“. ესე ყოველი რა წარმოთქუა, განთე-
ნა და გამობრწყინდა[3] მზე. და გარდაჴდა მეფე ცხენისაგან, დადგა
მასვე ადგილსა, განიპრყნა ჴელნი აღმოსავალით ცად მიმართ და
თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყო-
ველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომლისა ნინო იტყუის, და საქებე- 35

[1] და უმეტეს *A*, დაუმტკიცეს *B*,<M. [2] მუხნარისა *MB*. [3] გამობრწყინთა *A*.

ლად არს სახელი ყოვლისა დაბადებულისაგან ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მივსენ მე ჴირისაგან და განმინათლე ბნე-
M 253 ლი ჩემი. აჰა ესერა მიცნობი|ეს, რამეთუ გინდა ვსნა ჩემი, ლხინება და მიახლება ჩემი. უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი და ივსენებოდეს საქმე სასწაული უკუნისამდე". და დაისწავლა ადგილი იგი და წარმოემართა. იხილეს ნათელი და მოერთო ერი დაბნელებული[1].

«ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით დიდება ღმერთსა ნინოსსა[2], რამეთუ იგი არს საუკუნითგან[3] ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე". ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა, რამეთუ
A 86 ესმა პირველ წარწყმედა და მოსლვა მშუიდობით, და მიეგებო[დ]ეს ღართას და ქინძარას. ხოლო ნეტარი ნინო დადგომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყულოვანსა მას შინა, ჩუეულებისაებრ მისისა, თუისსა ჟამსა, და ჩუენ მის თანა ორმეოც და ათი სული. და ვითარცა მოვიდა მეფე, შეიძრა ქალაქი. და ჴმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: „სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა
ჰ 120 ჩემი და ღმერთი მისი | მჴსნელი ჩემი". და ვითარცა რქუეს, ვი-
M 254 თარმედ: „მაყულოვანსა არს და ილოცავს", მოვიდა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი. გარდაიჭრა მეფე ცხენისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარ მე სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა და მჴსნელისა ჩემისა". ხოლო წმიდა ნინო ასწავებდა და ეტყოდა მსწრაფლ თაყუანის-ცემად აღმოსავალით და აღსარებად ქრისტესა, ძესა ღმრთისასა. მაშინ იყო გრგუნვა და ტირილი ყოვლისა კაცისა, რაჟამს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოვანთა. და ხვალისა წარავლინა მოციქული საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კოსტანტინე ბერძენთ მეფისა, და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე. და აუწყა ესე ყოველი სასწაული ქრისტეს-მი-
A 87 ერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა | მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღდელნი ნათლის-ღებისათვის. ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას ზედა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა.

---

[1] დაბნელებული *A*, განბნეული *MB*. [2] ნინოსა *A*. [3] საუკუნითგ... *A* (ბოლო მოხეულია), საუკუნეთა *MB*. [4] და *MB*. დღე *A*. [5] მოდრკა *MB*.

თქმული მისვე აღშენებისათუის ეკლესიისა

M 255 «ოდეს წარემართა მეფე და ყოველი ერი ქრისტეანობასა | მოსწრაფებით, ვიდრე მღდელთა მოსულამდე, რჭუა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღმრთისასა, სადა აღეაშენო?“ რჭუა წმიდამან ნინო: „სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს“. რჭუა მეფემან: „მიყუარან მე მაყუალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ეგრეთ, არამედ ვრიდო[1] სამოთხესა მას სამეუფოსა, და ნაძუთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა[2] სურნელებასა. რამეთუ
ჰ 121 ჩუენება რომელი იხილე მფრინველთა ფრთითა უშუერითა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, და დასხდომა მათი ხეთა მათ ზედა სამოთხისათა, და ჴმობა მათი ჴმითა ტკბილითა, ჰეშ-
A 88 მარიტად | სამოთხე ესე ჯორციელი წარმწყმედელი შეგუეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსლვადმდე მღდელთა საბერძნეთით“. და მეყსეულად მოიღო ძელი და ასწრაფებდა[3] ხუროთა, და მოჰკუეთა ნაძუი იგი, და ნაძუისა მისგან შემზადნა შუიდნი სუეტნი ეკლესიისა-
M 256 ნი. და ვითარ | აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს შუიდნი[4] იგი სუეტნი თუის-თუისად, ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკუირველ იყო ხილვით, საშუალ ეკლესიასა შესაგდებელად განმზადეს, და ვერ შეუძლეს აღმართებად მისა. და აუწყეს მეფესა საკუირველი იგი ყოვლად ვერ[5] ძრვა ადგილ[ი]თაცა[6] სუეტისა მის. მაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა, და მოიხუნეს მრავალ-ღონენი მანჭანანი, სიმარჯუითა და ერისა სიმრავლითა ეცადნეს აღმართებად და ვერ შეუძლეს; და იყო დაკუირვებულ. და სიმრავლე ერისა იტყოდეს: „რამე არს ესე“. და ვითარ იქმნა მწუხრი, წარვიდა მეფე სახლად თუისა, შეწუხებული დიდად. ხოლო წმიდა ნინო და ათორ-
A 89 მეტ|ნი მოწაფენი მისნი და[7] დედანი დაადგრეს სუეტსა მას თანა. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა სუეტსა მას ზედა და ადინებდა ცრემლთა მისთა.

«ვითარცა შუა დღე[8] ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე. და მტკუარმან გამოხეთქა, წარმოაქუნდა ქალაქი; და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყეებისა და ტირილისანი. და ეგრეთვე არაგუი გარდამოჴდა ციხესა და იქმნე-
A 257 ბოდეს საზარ|ელნი გურგუინვანი. შეეშინა დედათა მათ და ივლ-

[1] ვრიდო *A*, არა ვჰრიდო *MB* [2] ყუაელთა *A*. [3] ასწავებდა *MB*. [4] ექუსნი *MB*. ვერ <*A*. [5] ადგილითცა *MB*. [7] და <*MB*. [8] ღამე *MB*.

ტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა
ჰ 112 სძინავს“. ხოლო ესე რომელ მთანი | დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღუეს ქალაქსა[1] შინა, და წყალნი რომელ[2] დაეყუენნეს, სისხლი იგი ყრმათა კერპთა მიმართ შეწირულისა[3] დაეყენოს. ხოლო ჴმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგინი[4] თავთა თუისთა, რომელ არიან
A 90 მეოტ ამით ადგილ|ით, ძალითა მაღლისათა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ“. და მეყსეულად დასცხრეს ჴმანი იგი, და არა დადგა[5]. განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ წმიდა ნინო და იტყოდა: „რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელ[6] წარმართებულ არს მეფე“.

«კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა, სამთავე კართა[7] ქალაქისათა დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან, დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა, და შეიქმნა ჴმა ზარის-საჴდელი, ზრინვა[8], და ყივილი და კლვა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, მახუილებითა, და სხუათა მათ შიშისაგან
M 258 დასდნებოდეს ჴორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს | ნათესავთა თუისთა, და მსწრაფლ ისმოდა, ჴმობდეს რა ძლიერად: „მეფე სპარსთა და მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარან[9] ბრძანებს: ყოველი ურია განარინეთ პირისაგან მახუილისა“. ესე რა მესმა, მოვეგე თავისა ცნობასა და შევორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახ-
A 91 ლებულ იყუნეს მახუილოსანნი და გარემოს ჩუენსა სცემდეს | და ჰკლვიდეს. ისმა ჴმა ძლიერი—„მირიან მეფე შეიპყრესო“. გარემოიხილა მჴნედ მოღუაწემან მან და თქუა: „ესე რომელ ყივის[10], ვიცი, რომელ აწ სამე დიდად სჭირს, და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი წარწყმედისა მათისა არს და ქართლისა ცხორებისა, ამის ად-
ჰ 123 გილისა დიდებისა[11]. და ნუგეშინის გუცემდა, ვითარცა | მოძღუარი ჴელოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.

«მიექცა ერსა მას მომავალსა[12]: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა. საბატანით[13] გუშინ წამოხუედით, მალე სამე მოხუედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ ძლიერი. რად[14] დალეწეთ ქალაქი ესე და მახუილი და-

[1] ქართლს *BM*. [2] რომელ <*A*. [3] შეწირვისა *B*, შეწირვის *M*. [4] ეგლოვენ იგი *A*, იგლოვენ იგი *M*, იგლოვენ იგინი *B*. [5] ჴმანი იგი, და იყო არა-რაჲ. და დადგა წმიდაჲ ნინო *B*. [6] რომელსა *MB*. [7] კერძთა *MB*. [8] ზრზინვა *MB*. [9] ხუარასან ხუარნა *M*, ხუარან-ხვასრა *B*. [10] ყვის *A*, ყ'ჳს *M*, ყივის *B*. [11] დიდებისა *A*, და ბისა *M*, დაბისა *B*. [12] მომსრველსა *MB*. [13] საბასტანით *MB*. [14] ძლიერად *A*, ძლიერი რად. *MB*.

ეცით, ქართა და ნიავთა წარვედით[1], ბნელად ჩრდილოთ კერძო,
მთათა და კედართა, აჰა, მოვიდა, რომელსა თქუენ ეელტით". და
M 259 განძრა[2] ჴელი ჯუარის სახედ, და მეყსეულად უჩინო | იქმნნეს ყო-
ველნი იგი, დაყუდება იქმნა დიდი, და დედანი იგი ნატრიდეს მას
და ადიდებდეს ღმერთსა.

«ხოლო, ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, მიერულა
A 92 ყოველთა მათ დედათა, ხოლო სიდონია მღუიძარე იყო[3], და იგი
დგა ჴელ-განპყრობით. აჰა ესერა, ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნე-
ტარსა მას, ყოვლად ნათლითა შებლარდნილი, შემკობილი ცეცხ-
ლის ზეწრითა, და რქუნა რამე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა
პირსა ზედა თუისსა, და ჭაბუკმან მან მიჰყო ჴელი სუეტსა მას და
აღმართა, წარიღო სიმაღლესა შინა; და განკუირვებით მიეახლე
მას და ვარქუ ესრეთ: „დედოფალო, რა არს ესე?" და მან მრქუა:
„მოიდრიკე თავი ქუეყანად". და ტირილად იწყო ზარისა მისგან.
მცირედისა ჟამისა აღდგა და აღმადგინა[4], და განვეშორენით მას
ადგილსა. ხოლო დედანი იგი ვითარ იყუნეს, იხილეს სუეტი იგი,
ცეცხლის სახედ ჩამოდიოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთ-
სა ზედა ძირსა ნაძუისასა. ვითარცა რიჟუ-რაჟუ ოდენ იყო, აღდგა
მეფე გულ-გდებული[5] ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა მას და დაწყე-
M 260 ბულსა ეკლესიასა, სადა იგი მტკიცე იყო გონება მისი, | იხილა
ნათელი იგი, ვითარცა ელვა აღწევნული ცამდე, სამოთხით მისით.
იწყო სრბად და მკუირცხლ მოვიდოდა, და ყოველი სიმრავლე სახ-
ლისა მისისა და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა.

A 93 «ვითარცა იხილეს საკუირველი იგი, ნათლითა
ბრწყინვალ[ე სუეტი] ჩამოვიდოდა ადგილად თუისად, რეცა
ვითარცა ზეცით დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაუმყარა ჴელითა
ჰ 124 შეუხებელად კაცთაგან, და ნეტარ იყო მათ ჟამთა შინა, რამეთუ რა
იგი იქმნებოდა, შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი,
და სდიოდეს მდინარენი ცრემლთანი, მეფეთა და მთავართა და ყო-
ველსა ერსა. და სულთ-ითქუნა სულითა სულთქმისათა და ადიდებ-
დეს ღმერთსა, და ნატრიდეს ნეტარსა ნინოს, და იქმნეს მას დღესა
შინა სასწაულნი დიდნი და მრავალნი.

«პირველად მოვიდა ურია, ბრმა შობითგან, მიეახლა სუეტ-
სა მას და იქმნა მხედველ მუნთქუესვე, და ადიდებდეს ღმერთსა.
მეორე სეფე-წული მოვიდა ყრმა, ამზასპანი, იდვა რვისა წლისა;
მოიღო დედამან მისმან სარწმუნოებით და დადვა ცხედრითა წინა-

[1] წარგუალეთ *MB*. [2] განიძრა *MB*. [3] ხოლო მე სიდონია მღვიძარე ვიყავ *MB*. [4] აღადგინა *A*. [5] გულგოდებული *MB*.

შე სუეტსა მას ნათლისასა, და ნანდუილვე ნათლისასა, ეუედრებო-
და ნინოს: „მოხედენ, დედოფალო, ძესა ამას ჩემსა, სიკუდილად
M 261 მიახლებულსა, რამეთუ ვიცი ღმერთთა ღმერთი იგი არს, რომელსა
A 94 შენ ჰმსახურებ და ჩუენ გუიქადაგებ“. მაშინ წმიდამან ნინო შეახო
ჴელი სუეტსა, და დასდგა ყრმასა მას და რქუა: „გრწმენინ
იესო ქრისტე, ძე ღრმთისა, ცხორებისათუის ყოველი-
სა სოფლისა(თუის) ჴორცითა მოსრული; განიკურნე ამიერითგან და
ადიდებდი მას, ვისმან ძალმან განგკურნა“. და მსწრაფლ აღდგა
ყრმა იგი, ვითარცა უტკივნელი, და დაეცა შიში დიდი მეფესა და
ყოველსა ერსა. და თუითოსახენი სნეულნი მოვიდოდეს და განი-
კურნებოდეს, ვიდრემდის მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გა-
რემო სუეტსა მას, და დაფარა ხედვისაგან, და ეგრეთვე შეეხებოდეს
ერნი სართულსა[1] და განიკურნებოდეს. მსწრაფლ იწყო მეფემან
და განასრულა ეკლესია სამოთხესა შინა.

‹და ვითარცა მივიდეს მოციქულნი მირიან მეფისანი კოსტან-
ტინე ბერძენთა მეფესა წინაშე და მიუთხრეს ყოველი, რაცა იქ-
მნა, მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი
ელენე დედოფალი: პირველად ამისთუის, რამეთუ მად-
ლი ღმრთისა მიეფინებოდა ყოველთა ადგილთა, და ჴელსა ქუეშე
მათსა ნათელს იღებდა ყოველი ქართლი; შემდგომად ამისთუის
ჰ 125 A 95 განმხიარულდეს, რამეთუ დაიდასტურეს მი|რიან მეფისაგან სრუ-
ლიედ მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყუარულისა მა-
M 262 თისა. ადიდებდეს და მადლობდეს ღმერთსა, და წარმოგზავნეს
მღდელი ჰეშმარიტი იოვანე ებისკოპოზად და მის თანა მღდელნი
ორნი და დიაკონი სამნი. და მოუწერა მირიანს კოსტანტინე მე-
ფემან წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ღმრთისა; და წარმოსცა
ჯუარი და ხატი მაცხოვრისა, და მის თანა ნიჭი დიდი; ელენე დე-
დოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის-ცემისა.

«მოიწია იოვანე ებისკოპოზი, და მის თანა მღდელნი და
დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად, აღივსნეს სიხარულითა მეფე
და დედოფალი და ყოველი ერი მათი. რამეთუ სურვიელ იყუნეს
ნათლის-ღებისათუის. მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მე-
ფემან ყოველთა თანა ერისთავთა, სპასალართა და ყოველთა პირ-
თა სამეფოსათა, მოწოდებად წინაშე მისსა: და მსწრაფლ მოიწივ-
ნეს ყოველნი ქალაქად.

---

[1] სართულსა < *MB*.

«მაშინ ნათელ იღო[1] მეფემან ჴელსა ქუეშე წმი-
დისა ნინოსა და შემდგომად დედოფალმან და შვილ-
A 96 მან მათმან ჴელსა ქუეშე მათ მღდელთა[2] | და დიაკონთასა.
შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი, და ებისკოპოზმან
შემზადა ადგილი ერთ[ი] მიწურვით ჯიდის კარსა მოგუეთისასა, სადა
M 263 ყოფილ იყო საჱლი ელიოზისი, და მუნ ნათელ სცემდა წარჩინებულ-
თა ერთა; და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლო[3]. ხოლო ქუე-
მოთ მისსა, მდინარისავ პირსა, ორგან[4] ორნი იგი მღდელნი და
დიაკონნი ნათელ-სცემდეს ერსა, მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას
მოსწრაფებით და ევედრებოდეს მღდელთა, რათა პირველად მას ვისმე
ნათელ-სცეს. ესრეთ სურვიელ იყუნეს ყოველნი იგი ნათლის-ღებისა-
თჳს, რამეთუ ესმინა ქადაგება ნინოსი, რომელსა იტყოდა: „ყოველ-
მან რომელმან არა ნათელ იღოს, არა პოვოს ნათელი საუკუნო“;
ამისთჳს მოსწრაფე იყუნეს ნათლის-ღებასა ყოველნი იგი, და ეს-
რეთ სახედ ნათელ იღეს ყოველმან ერმან, სიმრავლემან ქართლი-
სამან, თუინიერ ხოლო არა ნათელ იღეს მთიულთა კავ-
კასიანთა, არცა მოვიდეს[5] მოფენასა მას ნათლისასა, არა-
ჰ 127 მედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამსა ოდენმე. და ურიაჲთა მცხეთელ-
A 97 თა არავე ნათელ იღეს, გარ|ნა ბარბიანთა[6] ნათელ იღეს ორმეოც
და ათმან სულმან, და იქ[მნეს] ქრისტიანე ჰეშმარიტ. ამისთჳსცა
დიდ იქმნნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა დაბა, რომელსა
M 264 რქუიან ციხე-დიდი, არ|ამედ არა ნათელ იღო ფეროზ, სიძემან მე-
ფისამან, რომელსა ჰქონდა[7] რანი ბარდავამდინ მიცემულად მირი-
ანისგან, არცა ერმან მისმან[8] ნათელ იღო, არამედ პორციელად
მსახურებდა მირიან მეფესა. მაშინ წარავლინა მირიან მეფემან
ებისკოპოზი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოს-
ტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხორებისა, რომელი
მას ჟამსა ოდენ გამოჩინებულ იყო ღმრთის-მოყუარისა[9] დედოფლი-
სა ელენესად. და ითხოვნა მღდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს
ყოველთა ქალაქთა და ადგილთა, ნათელ-სცემდეს ერსა, რათა
მსწრაფლ ნათელ იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან; და ით-
ხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათჳს ეკლესიათა.

«ვითარ მიიწივნეს[10] წინაშე კოსტანტინე კეის-
რისა, სიხარულითა მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხორე-

---

[1] ნათელ იღეს *A*. [2] მღდელ... *A* (ბოლო ჩამოკრილია). [3] სანათლავი *MB*.
[4] ორგან < *MB*. [5] არცა მოვიდეს < *MB*. [6] ბარაბიანთა *B*, კაბარბიანთა *M*.
[7] ჰქონდა *MB*, რქუიან *A*. [8] მისმნა *A*. [9] მოყუარესა *A*. [10] მიწივნეს *A*.

A 98 ბისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერჳნი და[მსჳ]უალულ [1]
იყუნეს უფლისანი, და სამსჳუალნი ჴელთანი. და წარმოგზავნნა
მღდელნი [2] და დიაკონნი [3] ფრიად მრავალნი, რამეთუ კოსტანტინე
M 265 მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, | ტაძარი
ღმრთისა (ხუთასი[4]), და მოსცა განძი დიდძალი ებისკოპოზსა იო- 5
ვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა,
აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ჩემსა ზედა; და ნიჭნი ესე დაამკუიდ-
რენ საზღვართა ქართლისათა“. და წარმოვიდა ებისკოპოსი და
მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა
რჭუიან ერუშეთი, დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა, და დაუ- 10
ტევა განძი იგი და სამსჳუალნი უფლისანი და წარვიდა. და დაუ-
ტევნა წუნდას ხურონი იგი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკ-
ლესიასა, წარმოვიდა [5]. და მოვიდა მანგლის[ს], და იწყო ეკლესიასა
შენებაჲ [6]. და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი.

«მ ა შ ი ნ შ ე წ უ ხ ნ ა მ ი რ ი ა ნ მ ე ფ ე ა მ ი ს თ უ ი ს, რ ა მ ე- 15
ჰ 127 თ უ პ ი რ ე ლ ე ა რ ა ს ა მ ე უ ფ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა მ ო ვ ი|დეს, არამედ სხუა-
თა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს
A 99 ნაწილნი. ხოლო მოვიდა | წმიდა ნინო წინაშე მეფისა და რქუა:
„ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს: სადაცა მოვიდოდიან,
დასთესეიდენ სახლსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა 20
დიდებული სამოსელი უფლისა“. მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ
მღდელი და მის თანა ურიანი მრავალნი, და გამოიკითხა კუართისა
მისთუის მათგან. ხოლო მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემო წე-
M 266 რილ არს. აღიპყრნა ჴელნი | მირიან მეფემან და თქუა: „კურთხე-
ულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, 25
რამეთუ პირველითგანვე გინდა ჴსნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგი-
ლისა მისგან ბნელისა; ამისთუის სამოსელი იგი წმიდა შენი წარ-
მოეც წმიდით ქალაქით იერუსალიმით ებრაელთა მათ, ღმრთაებისა
შენისაგან უცხოჳმნილთა და ჩუენგან უცხოთა ნათესავთა“.

«წ ა რ ვ ი დ ა [7] მ ე ფ ე დ ა ყ ო ვ ე ლ ი ქ ა ლ ა ქ ი მ[ტ]კ ი ც ე დ 30
ქ რ ი ს ტ ე ა ნ ო ბ ა ს ა. ი წ ყ ე ს ხ უ რ ო თ ა ე კ ლ ე ს ი ა თ ა შ ე ნ ე ბ ა გ ა რ ე
უბანთა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსა, სადა
აწ არს ეკლესია [8] საებისკოპოზო. მაშინ თქუა წმიდამან ნინო: „კურ-
A 100 თხეულ არს უფალი | ღმერთი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუენისა

---

[1] „მსჳ“ ჩამოჭრილ ადგილასაა *A*-ში. [2] მდელნი *A*. [3] დიაკონნი *A*, ხურონი *MB*. [4] ხუთასი<*MB*. [5] და დაუტევნა—წარმოვიდა<*MB*. [6] შენება<*MB*. [7] წარე-მართა *MB*. [8] ეკლესი *A*.

იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა წმიდა ზეცითგან მაღალთათ, თუით ძლიერებისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი უვეჰველად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა, რომელი სათნო ეყო მას მიზეზითა, მიზეზი ცხორებისა ჩუენისა, რომელმან
M 267 ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა, რომელი იშვა ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა, და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ იღო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, აღვდა სიმაღლესა მამისა თანა და კუალად მოვალს, რომელსა შუენის ყოველივე დიდება თანა მამით და სულით წმიდით[1] ».

ჰ 128 **|ამაღლებისათუის პატიოსნისა ჯუარისა**

ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და დედოფალმან, და შვილთა მათთა, და ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა, კლდესა ზედა ბორცუსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შუე-
A 101 ნიერი ფრიად | და სურნელი. და ესე საკუირველება იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჰამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკუდილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის. დიდად სა-
M 268 კუირველ უჩნდის | წარმართთა მათ პირველთა, და აუწყეს ებისკოპოზსა იოვანეს ხისა მისთუის. ხოლო ებისკოპოზმან თქუა: „აჰა ესერა, ჭეშმარიტად პირველითგან დამარხულ არს ქუეყანა(დ) ესე მსახურად ღმრთისაგან, რამეთუ ღმრთისაგან აღმოსცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთუის, რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლს, და მის ხისაგან ჯერ არს შექმნა ჯუარისა პატიოსნისა, რომელსა თაყუანის-სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“, და წარვიდეს რევ, ძე მეფისა, და ებისკოპოსი და სიმრავლე ერისა, და მოჰკუეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოთურთ თუისით. და მოაქუნდა ათსა ათეულსა კაცსა, ზე-ზე რტოთა და ფურცლითა შემოაქუნდა ქალაქად და მოაქუნდა; შემოკრბა ერი მწუანის ფეროსა მას და ფურცლიანობასა[2], ჟამსა ზაფხულის პირისასა[3], ოდეს
A 102 სხუა ხე ჴმელი იყოს[4], ხოლო ესე ფურცელ-დაუცუივნებელი, სულ-ამო[5] და სახილველად შუენიერი. და ძირსა ზედა აღმართეს ხე იგი კარსა ზედა ეკლესიისასა სამხრით, სადა ბერვიდა ნელი
ჰ 129 ნიავი, დაშლიდა | ფურცელთა მისთა და ძრვიდა რტოთა მისთა.

[1] წმიდი *A*. [2] ფურცლიანობისა *A*. [3] ზაფხულისასა *M*, ზამთრისასა *B*. [4] იყო *MB*. [5] სულ ამაო *A*.

M 269 იყო ხილვა, მისი შუენიერი, ვისთარცა ხილვით[1] ვიცით[2] ხისა
მის ალვისა, ესე მოჰკუეთეს მარტსა ოცდახუთსა დღესა პარას-
კევსა.

დ ა დ ა ა დ გ რ ა ხ ე ი გ ი ე გ რ ე თ დ ღ ე ს ა ო ც დ ა ჩ უ ი დ-
მ ე ტ ს ა, დ ა ა რ ა შ ე ი ც ვ ა ლ ა ფ ე რ ი ფ უ რ ც ე ლ მ ან მ ი ს მ ა ნ, ვ ა თ ა რ- 5
ცა დგა ძირსავე ზედა მისსა, თავსა ზედა წყაროსასა, ვიდრემდის
ყოველნი ხენი მაღნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფის
გამომღებელნი შეიმოსნეს ყუავილითა. მაშინ თუესა მაისსა ერთსა
შექნეს ჯუარი ესე, და შუიდსა მის თუისასა აღემართნეს ჭელისა
დადებითა მეფეთაგან[3], სიხარულით და წადიერებით ყოვლისა ერისა 10
ქალაქისათა[4], და იყუნეს ეკლესიასა შინა. იხილა წმიდამან ერმან[5]
ქალაქისამან[6], ყოველთა მათ დღეთა: აჰა, ჩამოვიდის ჯუარი ცე-
A 103 ცხლისა ზეცით და მისა | გარემოს, მსგავსად გუირგუინისა ვარსკულავ-
თა, და დაადგრის ზედა ეკლესიათა ვიდრე განთიადმდე, და რი-
ჟუ-რაჟუ[7] ოდენ გამოვიდიან მისგან ორნი ვარსკულავნი, ერთი წარ- 15
ვიდის აღმოსავალით და[8] ერთი დასავალით[9], და იგი თავადი ეგ-
რეთ ბრწყინვალედ, ნელიად-ნელიად, განვიდის მიერ კერძო არა-
გუსა, და დადგის ბორცუსა მას ზედა კლდისასა, ზ ე მ ო კ ე რ ძ ო
M 270 ა ხ ლ ო ს წ ყ ა რ ო ს ა მ ა ს, რ ო მ ე ლ ი ა მოაცენეს ცრემლთა წმი-
დისათა, და მუნით აღიმაღლის ზეცად. და ასე მრავალგზის იხილა 20
ყოველმან ერმან მაცხოვარება ღმრთისა ჩუენისა. მაშინ იწყეს კი-
თხვად წმიდისა ნინოსა, თუ „რა არს, რომელ გამოვალს ბრწყინვა-
ლე ვარსკულავი, და ერთი წარვალს აღმოსავალით და ერთი დასავა-
ლით“. ხოლო მან თქუა: „განავლინენით კაცნი მთათა ზედა მა-
ღალთა, აღმოსავალით ვიდრე კახეთისა მთამდე, დასავალით ვიდრე 25
სანახებამდე ამის ქალაქისა; და, ოდეს გამობრწყინდენ მთიებნი
იგი, ნახონ თუ სადა დგენ, მუნცა აღემართნენ ჯუარნი ესე ქრის-
ტესნი“. მაშინ ყო მეფემან ეგრე, შეიცვნა თავნი მთათანი მიწყე-
A 104 ბით, ხოლო დღე ესე იყო პარასკეი და შაბათი გან|თენდებოდა.
ჰ 103 იყო იგივე სასწაული, და იქმნა ეგრეთვე, ვითარცა პირველ იქმნის. 30
ხვალისა დღე მოვიდეს დასავალისანი, რომელნი დგეს მთათა ზედა
ქუაბთა თავისათა, და მიუთხრეს მეფესა: „გამოვიდა ვარსკულავი
იგი, ამაღლდა და მიიწია მთისა ზედა თხოთისასა, გარდასავალსა
ზედა კასპისასა, დაადგრა ადგილსა ერთსა, და ყოველად უჩინო იქმნა“.

დ ა ე გ რ ე თ ვ ე მ ო ვ ი დ ე ს მ თ ი თ კ ა ხ ე თ ი ს ა თ ა დ ა 35

---

[1] სმენით *MB*. [2] ვიცით *MB*, ვითარცა *A*. [3] მეფეთა, თანა *MB*. [4] ქართლისათა *B*. [5] ერმან ერმან *A*. [6] ქართლისამან *B*. [7] რიჟურაჟ *B*, რიჟ'რაჟ *M*. [8] ერთი —და<*A*. [9] და ერთი დასავალით<*M*.

თქუეს: „ვიხილეთ ვარსკულავი აქათ მომავალი, და-
ადგრა დაბასა ბოდესა[1] კუხეთისასა“. მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო:
M 271 „წარი|ხუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთას, სადა
გამხილა ღმერთმან ძალი მისი და ერთი მიეც სალომეს, მჴევალსა
ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა. რამეთუ ბოდი[2] დაბა
არა წინა აღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე
არს მას შინა. ბოდის კუალ[3] დაბა თუით იხილოთ[4] ადგილი იგი
სათნო ღმრთისა“. და ყუეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა დედოფალმან.
ხოლო ესე სასწაულითა ზეცისათა ჯუარი პატიოსანი ჩუენებით
A 105 მცხეთას იპყრეს, ჴელითა[5] კაცობრივითა, და მივედით ბორცუსა
მას ქუეშე; წყაროსა მას ზედა ღამე ათიეს, ილოცეს ღმრთისა მი-
მართ, და ნეტარი ნინო ცრემლითა შეაზავებდა წყაროსა მას,
და იქმნებოდეს კურნებანი და სასწაულნი დიდნი.

ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა, და მივიდა ნე-
ტარი იგი ბორცუსა ზედა, დავარდა ქვათა მათ ზედა, ტიროდა
თუით იგი და მის თანა მეფენი და მთავარნი, და ყოველი სიმრავლე
ერისა, ვიდრემდის მთანი ჴმა-სცემდეს. დასდვა ჴელი ერთსა ქვასა
M 272 და რქუა ერთსა ებისკოპოზსა: „მოვედ, | შენდა ჯერ არს და დას-
წერე ჯუარი ქვასა ამას“. და მან ყო ეგრეთ, და მუნ აღემართა
ჯუარი იგი დიდებითა მეფეთაგან. მოდრკა ერი იგი სიმრავლე
ურიცხუი, და თაყუანის სცეს ჯუარსა და აღიარეს ჰეშმარიტად
B 131 ძედ ღმრთისა ცხოველისა. | ხოლო დიდნი იგი მთავარნი არა განე-
შორებოდეს ეკლესიასა წმიდასა[7] და სუეტსა[8] ნათლისასა, ჯუარ-
სა მას ცხოველსა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა,
კურნებათა მათ მიუთხრობელთა[9]. და დღესა აღვსე-
ბისა ზატიკსა ყო მირიან მეფემან და ყოველმან მცხეთამან, შეწი-
A 106 რეს შესაწირავი იგი,| დღე განაწესეს ჯუარისა მსახურებად აღვსე-
ბისა ზატიკი ყოველმან ქართლმან მოდღენდელად დღედმდე.

და იყო რაოდენისამე დღისა შემდგომად მარტუილისა უკა-
ნასა[10], იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა
ოთხშაბათსა: აჰა ესერა, სუეტი ნათლისა, სახედ ჯუარი-
სა, დგა ჯუარსა მას ზედა, და ათორმეტნი ვარსკულავნი სახედ
გუირგუინისა გარემოს მისსა. ხოლო ბორცუი იგი ჯუარისა კუმე-
ვად[11] სახედ სურნელად, მიჰხედვიდეს ყოველნი სასწაულსა ამას,

---

[1] ბუდის *M*, ბოდისასა *B*. [2] ბუდი *MB*. [3] ბუდისა კულა B, ბუდის კულა *M*.
[4] იხილოს *MB*. [5] ჴელითა *MB*, სახელითა *A*. [6] სიმრავლელე *A*. [7] წმიდისა *A*.
[8] სუეტისა *A*. [9] მიუთრობელთა *A*. [10] უკანისა *MB*. [11] კმეოდა *MB*.

M 273 და მრავალნი უღმრთოთაჲანნი მოიქცეს და ნათელ იღეს მას დღესა შინა. ხოლო ქრისტიანენი უფროს მორწმუნე იქმნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა, და მერმე კუალად იხილეს სხუა სასწაული ჯუარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მის[სა], შუიდ წილად მზისა უბრწყინვალესი, ზედა დაადგრა მას, ვითარცა საჯუმილისა ნაბერწყალნი აღვლენ, ეგრეთ სახედ აღვიდოდეს ანგელოზნი ღმრთისანი, გარდამოვიდოდეს მის ზედა. ხოლო ბორცუი იგი ჯუარისა იძრეოდა ძლიერად და, ვითარცა სასწაული იგი დასცხრებოდა, ეგრეცა ძრვა იგი დასცხრებოდა. ვითარცა იხილეს სასწა-
A 107 |ული იგი, დაუკუირდა ყოველთა უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა იქმნებოდეს წლითი წლად სასწაულნი იგი, ყოველი ერი ხედვიდეს შიშით და ძრწოლით, მოვიდოდეს თაყუანის-ცემად გულსმოდგინედ. მას ჟამსა რევს, ძესა მეფისასა, ესუა ყრმა-წული მცირე, და იყო სნეულ; მიწევნულ იყო სიკუდილსა; რამეთუ იგი ოდენ მხოლო ესუა მათ, მოიღო და
ჰ 132 დადვა იგი წინაშე ჯუარისა, და|ცრემლით ითხოვდა: „უკეთუ მომი-
M 274 ბოძო ყრმა ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო | საყოფლად[1] შენდა“. მუნთქუესვე განიკურნა ყრმა იგი, განკურნებული და განცოცხლებული წარიყვანეს. მერმე მოვიდა აღთქმისა აღმასრულებელად, და იყო[2] მადლისა მიცემა ღმრთისა დიდითა სიხარულითა, და გულსმოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან, და წლითი-წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუემი იგი მსხუერპლისა. და მიერითგან უფროს მოვიდოდეს ყოველნი უძლურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა.

იყო ვინმე მამაკაცი ჰაბუკი, და ორნივე თუ[ალ-
A 108 ნი დასდგომოდეს]. |ჯდა იგი წინაშე ჯუარსა ქრისტესსა; შემდგომად შუიდისა დღისა[3] აღეხილნეს თუალნი, ხედვიდა და ადიდებდა ღმერთსა. მერმე დედაკაცი ვინმე იყო გუემულ სულისაგან უკეთურისა ეგეოდენ, რომელ ძალი და გონება მისი მიეღო წელსა რვასა, და სამოსელსა მისსა დაიპებდა[4]. და ვითარ მოიყუანეს პატიოსანსა ჯუარსა და შეამთხუიეს, შემდგომად ათორმეტისა დღისა[5] განიკურნა და თუისითა ფერჴითა წარვიდა; და ადიდებდა ღმერთსა და თაყუანის-ცემდა პატიოსანსა ჯუარსა. და კუალად იყო ყრმა ვინმე
M 275 მცირე: მეყსეულად დაეცა და მოკუდა. | აღიღო დედამან მისმან და

---

[1] საყუდელად *B*, საუდელად *M*. [2] ყო *MB*. [3] წლისა *A*. [4] დაიპობდა *B*, და აპობდა *M*. [5] წლისა *A*.

დააგდო წინაშე ჯუარსა ყრმა იგი მომწყდარი[1], დილითგან მიმწუხრი. ხოლო დედა მისი ტირილით ილოცვიდა წინაშე ჯუარსა, და სხუანი ეტყოდეს: „წარვედ, დედაკაცო, და დამარხე; რამეთუ მომკუდარ არს და ნუღარა აწყინებ“. ხოლო მან არა წარიკუეთა სასოება, არამედ უფროს და უმეტეს საწყალობელად ტიროდა და ილოცვიდა. ხოლო მიმწუხრის ჟამსა სულიერ იქმნა და თუალნი აღეხილნეს, და შემდგომად შუიდისა დღისა განიკურნა და განცოცხლებული წარიყვანა დედამან მისმან, და ადიდებდა
A 109 ღმერთსა. იხილეს რა სასწაული და კურნება ყოველად წმიდისა ჯუარისა, მრავალნი უშვილონი მოვიდოდეს და ითხოვდეს შვილი-
133 ერებასა და შვილმრავალ იქმნებოდეს, შესაწირავთა და მადლთა შესწირვიდეს. არა თუ რომელნი[2] მოვიდოდეს, მათ ოდენ მიიღიან[3] კურნება, არამედ რომელნი შორით ილოცვიდიან წმიდასა ჯუარსა, მუნთქუესვე შეწევნითა მისითა მიიღიან მადლი, მძლე ექმნის მტერთა და მოსწრაფედ[4] მოვიდიან მადლისა შეწირვად. მრავალნი უკუე
M 276 ულმრთონი ჰირსა შთაცუივიან და, რაჟამს ხადოდიან | წმიდასა ჯუარსა, მუნთქუესვე განიკურნიან ჰირისაგან, და მოვიდოდიან შემთხუევად სიხარულით პატიოსნისა ჯუარისა, და მსწრაფლ ნათელ იღიან და ადიდებდიან პატიოსანსა ჯუარსა. და მრავალთა ნათელ იღეს სიხარულით, ადიდებდეს უფალსა, მრავალნი უკუე მრავალსა ჰირსა შთაცუივნილნი ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა განიკურნებოდეს პირად-პირადთაგან სატანჯველთა, მოივლტიედ ეძებრებად, მყის განიკურნებიედ დღენდელად დღედმდე, და ადიდებდეს
A 110 მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისა არს დიდება | მამისა.

წიგნი, რომელი მიუწერა პატრიაქმან რომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა მირიანს და ყოველსა ერსა ქართლისა

მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი რომით, წმიდისა პატრიაქისა ნინოს და მეფესა და ყოველსა ერსა ქართლისასა. და მოვიდა ბრანჯი დიაკონი შესხმად ქებისა და კურთხევისა მიცემად, ამის წმიდისა ნინოსაგან ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. აქუნდა
M 277 წიგნი ბრანჯთა მეფისა ნინოსცა თანა: რამეთუ მამისა მისისაგან ნათელ-ეღო ბრანჯეთს, და ესე ყოველი მსმენელ იყო იელუსალემით კოსტანტინეპოლით, ვითარმედ ქუეყანასა მას ქართლისასა
ბ 134 მიეფინა მზე სიმართლისა. ამისთუის[5] სანატრელი | წიგნი მოუწერა, რათამცა ეუწყნეს[6] აქანი იგი სასწაულნი სუეტისა მისთუის მა-

[1] მომკუდარი *MB*. [2] მრავალნი *A*. [3] მილიიან *A*. [4] მოსწრაფედ *AM*, მსწრაფლ *B*. [5] ამისთუის ამისთუის *A*. [6] ეწყუნეს *A*.

ულოვნისა, და ძალი იგი კურნებისა. ესე ყოველი იხილა და მოისმინა სასწაული იგი ბრანჯმან დიაკონმან, რომელი ქმნილ იყო მცხეთას, და განკუირვებული ადიდებდა ღმერთსა; წარიღო წიგნები და წარვიდა.

მაშინ რქუა მეფემან წმიდასა ნინოს და ებისკოპოზსა: „მნებავს ესრეთ, [რათა] იძულებით მახუილითა
A 111 მოვაქცინეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ, დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა“. მაშინ რქუეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახუილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჰეშმარიტი, მიმყვანებელი ცხორებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი[1] იგი გულთა მათთა“. და წარვიდა ნინო და ებისკოპოსი იოვანე, წარვიდა მეფე და[2] ერისთავი ერთი; მივიდეს და
M 278 დადგეს |წობენს[3], და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთ სახეთა მათ კაცთა, ჰართლელთა, ფხოველთა, წიაღ-ლაკასანელთა და[4] გუდამაყრელთა, და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჰეშმარიტი, მიმყვანებელი ცხორებად საუკუნოდ.

ხოლო მათ არა ინებეს ნათლის-ღება. მაშინ ერისთავმან ქართლისამან მც[ირედ] წარმართა მახუილი მათ ზედა, ძლევით შემუსრნეს კერპნი მათნი. გარდამოვიდეს მუნით, და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტეეს ქუეყანა მათი| და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა[5] მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს
A 112 არა ინებეს ნათლის-ღება. არამედ წარკრბეს იგინი და შესცთეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდე. ხოლო წმიდა ნინო, წარემართა წარსლვად რანს, მოქცევად ფეროზისსა. და ვითარცა მივიდა კახეთს“, დაბასა ბოდისასა[7], დაყუნა
M 279 მუნ დღენი რაოდენნიმე. მო|ვიდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა
ბ 135 მუნ; და ვითარცა ცნა რევ, ძემან მეფი|სამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხორებდეს უჯარმას, მოვიდეს ნინოსა, და აცნობეს შეფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიაელინეს ებისკოპოსი იოვანე წარმოყვანებად ნინოსსა. ხოლო წმიდა ნინო არა ერჩდა. მაშინ

---

[1] სიბნელი *A*. [2] და მათ წარატანა მეფემან *B*. [3] წორბნას *M*, წორბანსა *B*. [4] წიაღლა:. კასანელთა და *A*,<*MB*. [5] სხუანიცი *A*. [6] კუხეთს *MB*. [7] ბუდისასა *B*.

მივიდა თუით მეფე და სიმრავლე ერისა, და შეკრბა მის ზედა სიმრავლე ერთა ძლიერთა, რამეთუ ხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა
A 113 ნინოსსა, | ვითარცა პირსა ზეცისა ანგელოზისასა, და მოსწყუედდიან ფესუსა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთხუეოდეს სარწმუნოებით, და იძულებით ეევედრებოდეს ყოველნი მეფენი და დედოფალნი, გარემოს მსხდომნი, რომელთა გარდამოსდიოდეს ცრემლნი თუალთაგან მათთა განშორებისათუის მოძღურისა მათისა და მოღუაწისა, და სნეულთა მკურნალისა ჴელოვნისა.

და ეტყოდეს სალომე უჯარმელი და პეროჟავარი სივნელი[1] და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი, ჰკითხვიდეს: „ვინა და ანუ სადათ მოხუედ ამა ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენდა, ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფალო. მაუწყე ჩუენ აღზრდა შენი, რასა იტყუი ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო, რამეთუ
M 280 გუისწავიეს შენგან, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირველ ძისა ღმრთისა და შემდგომად მოციქულნი ათორმეტნი და სხუანი სამეოც და ათნი[2], და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ, და ვითარ იტყუი, ვითარმედ ტყუე ვარი მე, ანუ ვითარცა უცხო[3];

A 114 | მაშინ იწყო[4] სიტყუად წმიდამან ნინო და თქუა: „ასულნო სარწმუნოებისანო, მახარებელნო[5] ღმრთისანო[6], დედოფალნო ჩემნო, გხედავ თქუენ, ვითარცა პირველთა მათ დედათა, სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, და გნებავს[7] გზათა ჩემთა ცნობა, გლახაკისა მჴევლისა, და გაუწყოცა, რამეთუ ესერა მოს-
ჯ 136 რულ არს სუეტი ჩემი ჴორჴად ჩემდა, და მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ; მოიხუენით საწერელ[ნ]ი და აწერეთ[8] გლახაკი და უდები ცხორება ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოება თქუენი და შეწყნარება ჩემი, სასწაულნი ღმრთისანი, რომელნი გიხილვან“. მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროჟვარ სივნელ[ი]მან[9]; იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს. და წარმოუთხრა
M 281 ყოველი, რომელი | ზემო წერილ არს ცხორება მის წმიდისა[10]. და შეევედრა მეფესა მღდელი იაკობ, რათა შემდგომად იოვანესსა იგი

---

[1] პეროჟ ავრისუნელი *M*. [2] ათორმეტნი *MB*. [3] სიტყუას „უცხო“-ს მისდევს ახალი ხელით ნაწერი „მეფედ“, რის გაგრძელებაც ყოფილა შემდეგ სტრიქონში, რომელიც ეხლა მოჭრილია. [4] იწყო *A*. [5] მახლობელნო *MB*. [6] ღმრთისანო<*MB*. [7] გნებავს < *A*. [8] და აწ ესრეთ *A*, და დაწერეთ *MB*. [9] პეროჟ ავრისიენელმან *M*, პეროჟავრი სენელმან *B*. [10] მისი წმიდასა *A*.

იყოს ებისკოპოსი. მაშინ იოვანე ებისკოპოსმან წირა ჟამი და აზია-
A 115 რა ჭორცსა და სისხლსა ქრისტესსა წმიდა ნინო. | და შეევედრა სუ-
ლი თუისი მეუფესა ცათასა, ქართლსა მოსლვითგან მისით[1] მეა-
თოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდათურა-
მეტსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას[2] ოცდათურამეტსა. 5

მ ა შ ი ნ შ ე ი ძ რ ნ ე ს ო რ ნ ი ვე ე ს ე ქალაქნი: მცხეთა და უჯარ-
მა, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსსა. მუნ მოვიდეს და და-
მარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს[3], და-
ბასა ბოდისასა[4], რამეთუ მუნ ითხოვა თუით დაფლვა მეფისაგან
შეხედვითა ღმრთისათა; სიმდაბლისათუის ქმნა ესე წმიდამან, რა- 10
მეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო[5]. მწუხარე იყო მეფე და ყოველ-
ნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ ანდერძისა და
მცნებისა მისისა აღსრულებისათუის დაფლეს მუნ. და ვითარცა
აღასრულა[6] ესე ღმრთივ-განბრწყინვებილმან მირიან მეფემან, განამ-
M 282 ტკიცა ყოველი ქართლი და ერეთი | სარწმუნოებასა ზედა სამებისა 15
წმიდისასა, ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელისა
ყოვლისა, და განმტკიცდეს სრულსა სარწმუნოებასა.

მ ა შ ი ნ კ ე ი ს ა რ ს ა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს, რ ო მ ე ლ ი ყ ვ ა[7] ძე
A 116 |მ ი რ ი ა ნ ი ს ი, რ ო მ ე ლ ს ა[8] ერქუა ბაქარ, გამოგზავნა იგი მეფემან
კოსტანტინე ნიჭითა დიდითა, და მოუწერა ესრეთ: „მე კოსტანტინე 20
მეფე, თუითმპყრობელი, ახალი მონა მეფისა[9], პირველ ეშმაკისაგან
წარტყუენული და მერმე გამოჴსნილი დამბადებელისა მიერ, მოვ-
ჰ 137 სწერე[10] შენდა ღმრთივ-|განბრძნობილისა და ჩემთანავე ახალ-ნერ-
გისა მორწმუნისა მეფისა მირიანისსა. იყავენ შენ თანა მშუიდობა
და სიხარული, ვინაითგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი 25
დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა. არღარა მიჴმს მე შენგან მძე-
ვალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე, ძე
ღმრთისა, პირველ ჟამთა შობილი, რომელი განკაცნა ჴსნისათუის
ჩუენისა, და ჯუარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენ-
M 283 და წინამძღურად, გულითა მოსავთა მისთა და შუამდგომელ|ბითა 30
ღმრთისა დამბადებელისათა ვიყუნეთ[11]. ჩუენ სიყუარული ძმებრივ.
და შვილი შენი შენდავე მიმინიჭებიეს, იხილე და განიხარე, და
ღმრთისაგან მოელინებული ანგელოზი მშუიდობისა იყავენ შენ თანა.

---

[1] მოსლუითგან მისით *B*, მოსულითგან მისით *M*, მისითგან *A*. [2] რვას *A*. [3] კუხეთისა *M*, ჰერეთისა *B*. [4] ბუდისასა *MB*. [5] იყო<*A*. [6] აღესრულა *A*. [7]+ მძევალი *MB*. [8] მირიანისი რომელსა მირიანისი რომელსა *A*. [9] მონა ცათა მეუფისა *M*, <*B*. [10] მოვსწერი *M*, მოვსჴერ *B*. [11] ვიყუნე *A*.

A 117 განდევნენ ღ|მერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენითა".

მოვიდა ბაქარ, ძე მეფისა მირიანისი, და მოციქული კოსტანტინე მეფისა მცხეთას. აღივსნეს სიხარულითა მირიან მეფე და ნანა დედოფალი, მადლობდეს ღმერთსა ნიჭთა 5
სრულთა მომცემელსა. მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საებისკოპოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა[1] დიდებითა. და მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა და დაფლეს აკალდამასა[2], რო- 10
მელი თუით მასვე რევსა აღეშენა. და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომლითაცა[3] აღესრულა. და მოიყვანა ძე მისი ბაქარ[4] და უთხრა[5]: „აჰა ესერა, მე წარვალ ვინაცა მოვედ, და ვმადლობ მრავალ-მოწყალესა ღმერთსა, დამბადებელსა ცათა და
M 284 ქუეყანისასა, რომელმან წარტყუენული ეშმაკისაგან მიჴსნა მე პირი- 15
საგან ჯოჯოხეთისა და ღირს მყო მე მარჯუენითა მისითა: შენ, ნანა, უკ^ეთუ გეცესღა მოცალება ცხორებისა ჩემისა შემდგომად, განიყო[6] სამეფო განძი ჩუენი ორად: და მიიღე სამარხავსა[7] ნინოსა,
3 138 განმანათლებელსა ჩუენსა, ჟამთა შეცუალებისათუის, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი: რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, 20
არამედ მწირ არს. ეგრეთვე დავედრა ებისკოპოსნი, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა, რამეთუ ღირს არს[8] პატივ-ცემასა. ხოლო ძესა თუისსა რქუა: „შვილო ჩემო, შეცუალე[9] ბნელი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად, შენდა მომიცემია[10] გვირგვინი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან, (და) გა- 25
ნამტკიცენ[11] სრულსა სარწმუნოებასა ზედა. იწურთიდი ყოველადვე მცნებათა[12] ძისა ღმრთისათა, და დადგერ[13] სრულიად მათ ზედა, და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხორებად გიჩნდენ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო. და სადა პოვნე ვნებანი
M 285 იგი ცხოველისანი, კერპნი[14], ცეცხლითა დაწუენ[15] და ნაცარი 30
შეასუ, რომელნი მათ ესვიდენ, და ესე შვილთაცა შენთა ამცენ. რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კაკასთაცა შინაგე დაილევიან[16]. ხოლო შენ ამას შეუდეგ გულითა შენითა, და თავი შენი შეევედრე

---

[1] მრვალითა *A*. [2] აკლდამასავე *MB*. [3] რომელიცა *MB*. [4] ამის შემდეგ *A*-ს აკლია *M*-ის ორი გვერდის მასალა. [5] და უთხრა<*M*. [6] განჰყავ *B*. [7] მიიღეს მარხუასა *M*. [8] ღირსა არს *M*. [9] შეიცვალა *B*. [10] მამიცემია *M*. [11] განგამტკიცნეს შენ *B*. [12] მცნებასა *M*. [13] დაადგრა *MB*. [14] ცეცხლის-მსახურებისანი და კერპნი *B*. [15] დაწუნა *M*. [16] და აღთევიან *M*.

ძესა ღმრთისასა [1] და პირველ ჟამთა შობილსა, განკაცებულსა და ენებულსა ქსნისათუის ჩუენისა, და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულით მოსავთა შენთა. და პატივ სცემდი სუეტსა მას ცხოველსა ღმრთივ-აღმართებულსა, და იყავნ ყოველითურთ სასოება შენი მისა მიმართ, და იყავნ მისული შენი ძილად[2] საუკუნოდ, სარწმუნოებასა ზედა სამებისასა". და მოუყუანებიეს ჯუარი შენი[3] იგი წმიდისა ნინოსი[4], რომელი პირველითგან[5] აქუნდა, და ჩამოჰკიდა[6] გვირგვინი სამეუფო ჯუარსა მას; და მიიყუანა ძე თუისი ბაჰქარ და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა, და აღიღო გუირგვინი ჯუარისაგან, და დაM 286 დგა თავსა ზედა ძისა თუისისასა. და აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სვეტსა, სამხრით ჩრდილოთ კერძო[7], და[8] მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღმრთივ-აღმართებუბ 139 ლისა სუეტისა. და მეორესა წელსა მოკუდა | ნანა დედოფალი, და დაეფლა სუეტსა დასავალით, სადა მირიან დამარხულ იყო.

დაჯდა მეფედ ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე ვითარცა[9] მამა მისი. ამან მოაქციენა უმრავლეს[ნ]ი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექციენეს მამასა მისსა. და შთავარდა შორის მისA 118 სა მტერობა სომეხთა: რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმისწულის, რევის ძისა, თრდატისა, სომეხთ მეფის, ასულისა წულის მეფობასა ლამოდეს ქართლსა. ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა მისი ძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი (და) ბარდავამდის მიცემულად მირიანისგან, და მისცა მის წილ სამშუილდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავამდე აშოტისა[10]; მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან, და მოირთეს ძალი ხუასროსაგან[11], და ეწყუნეს M 287 სომეხთა ჯავახეთს[12], სძლეს და აოტეს სომეხნი. მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობითა ბერძენთ მეფისა და სპარსთ მეფისათა, დააწერინა ჴელით-წერილი ძმისწულსა მისსა და დედასა მისსა სალომეს ესრეთ, ვითარმედ „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა[13], მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა[14] ნათესავთა რევისთა".

---

[1] ღთისასა *M*. [2] ძლიერად *M*, ძილად *B*. [3] შენი <*B*. [4] წმიდასა ნინოს *M*. [5] პირველითაგან *M*. [6] ჩამოჰკიდე *M*. [7] სამხრით კერძო *B*. [8] აქედან კვლავ გრძელდება *A*-ში. [9] ვითარცა < *A*. [10] აბოცისა *B*, აბაოცისა *M*. [11] ხუროსაგან *A*, ხოსროთაგან *M*, ხვასროთაგან *B*. [12] ჯავხეთს *A*. [13] მებობისა *A*. [14] მებობა *A*.

მაშინღა მოიყვან[ნ]ა ძმისწულნი მისნი, და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად. ამან ბაქარ ყო-
A 119 ვ ელნი დღენი ცხორებისა მისი|სანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა
ჯ 140 შინა ქართლსა და რანსა (და) ეკლესიათა მსახურებად. | ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა, და მოკუდა და დაეფლა ძმასავე [1], თუისსა თანა.

და დაჯდა ძე მისი მირდატ [2] და მეფობდა სარწმუნოებასა შინა. და მან აღაშენა ეკლესია თუხარისისა ციხესა შინა; და [3] ჴევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯეთს, და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა [4]
M 288 და წუნდისა | ეკლესიათა. მაშინ ამის მირდატის [5] მეფობასა იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისაგან ნაწილისა გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ [6] დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა. და არა აყენებდა მირდატ [2] ნაწილისა გამოღებად, რამეთუ ებისკოპოსმან ჰეშმარიტმან იაკობ ეგრეთ ჯერ-იჩინა და თქუა: „მინიჭებულ არს უფლისაგან, ჯერ არს სუეტისა მის ღმრთივ-აღმართებულისა ქმნა სახედ ჯუარი-
A 120 სა“. და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნ|აწილი სუეტისა ცხოველისა.

მაშინ ამან მირდატ [2] მეფემან მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი ზომიერი, და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარეთ მოქნა ქვითკირითა და აღამაღლა ქვითკირი პირველ სუეტისა ოდნად, და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი. და ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი უშფოთველად აღასრულნა სარწმუნოებასა შინა დიდსა. და მის-ზე მოკუდა ებისკოპოსი იაკობ, და დაჯდა იოსებ [7] სომეხი,
ჯ 141 ნერსე კათალიკოზისა დიაკონი. და მო|კუდა მირდატ [2] მეფე | და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ [8], და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა, და ერთი ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულის წულისა. და უშვნა მირიანს [9] რევის ძისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები ერქუა მირდატ და თრდატ. ერთი უშვა ფეროზის ძის წულმან, რომელსა ერქუა ფარსმან.

ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად
A 121 სჯულისა სი|ძულილისა: რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი, და დიდსა

[1] მამასავე *B* (თეიმურაზისაში „ძმასა“). [2] მიდრატ *A*. [3] და *A*, რამეთუ *MB*. [4] ეშურეთისა *A*. [5] მიდრატის *A*. [6] რამეთი *A*. [7] იოს *MB*. [8] ვარაზ ბაქაქ. *A*. [9] მირიანს < MB.

B 146 სარწმუნოებასა შინა იყუნეს | აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა.
და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა
სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა,
და ყოვლითავე[1] იქცეოდა[2] უსჯულოდ.

ამის-ზე გამოგზავნა სპარსთ მეფემან ერისთავი, 5
სპითა დიდითა, სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა და-
დებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარზა-ბაქარს მოციქული და
რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და განა-
M 290 ხუნენ | კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და
წინააღუდგენ სპარსთა წარჩინებულნი. არა ისმინა სომეხთა, არცა 10
წარჩინებულთა; თუისნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა მტერთასა.
რამეთუ იყო იგი ჩუკენი, მოშიში, და უკუჯდა იგი ჴევსა კახეთისა-
სა, და აღაშენა ციხე ჯიდრს[3], და გაამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბ-
რძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი. და მოვიდეს სპარსნი
პირველად სომხითს და მოაოჯრეს სომხითი. შემოვიდეს ქართლსა. 15
A 122 და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხე
მცხეთისა[4]. მაშინ ვარზა-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა
შენდობა. ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა: „პირველად მომეც
რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგან არს, და
მათი არს, რომელნი სრულიად შვილნი არიან სპარსთა მეფეთანი 20
და სხენან საყდართა მამათა მათთასა; და თქუენდა კმა არს ქართ-
ლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა“.

მაშინ ვარზა-ბაქარ ვერა პასუხი მიუგო შიშისაგან
M 291 დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, | და გაუკეთა ხარკი, ხოლო ერის-
თავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა; და მიერითგან იქმნნეს 25
სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი. ამისსა შემდგომად
განდგეს კლარჯნი ვარზა-ბაქარისგან და მიერთნეს ბერძენთა, და-
იპყრეს ბერძენთა თუხარისი[5], ყოველი კლარჯეთი ზღუითგან არ-
სიანთამდე. დაჰრჩა ვარზა-ბაქარს ქართლი, თუინიერ კლარჯეთისა,
B 147 და ერეთი და ეგრისი. მანვე ერის|თავმან სპარსთამან წარიყვანნა 30
ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულის წულნი მირიანისნი, მორწმუ-
ნისა მეფისანი, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მისცა
A 123 ვარზა-ბაქარსავე და მო|კუდა ვარზა-ბაქარ და დარჩეს შვილნი მის-
ნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა.

---

[1] ყოვლითავე *A*, ყოვლითავე *M*, ყოვლითვე *B*. [2] იქცეოდ *A*. [3] ჯიდარს *M*, ხიდარს *B*. [4] ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისა *MB*. [5] თუხარასი *A*.

მაშინ წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა ყვეს და დასუეს სიმამრი ვარზა-ბაქარისი მეფედ, რევის ძე[1], ძის წული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თერდატ[2], და მისცნეს შვილნი ვარზა-ბაქარისნი საზრდოდ, ასულისა წულნი. მესამესა შვილსა მეორის ცოლისასა ზრდიდა ერისთავი სამშუილდისა, რომელსა სახელი ერქუა ფარსმან. ხოლო მეფობდა ესე თერდატ[2], მოხუცებული კეM 292 თილად, იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი. ამან სი|ბრძნითა თუისითა დაამშუიდნა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი და შეჰკაზმნა ეკლესიანი. და ამისსა შემდგომად[3], მოკუდა იაკობ [4] ებისკოპოზი, და დასუა მის წილ ელია, და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა. ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია, და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა[5]. და მეფობდა უშფოთველად. და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა.

დაჯდა მეფედ ძე ვარზა-ბაქარისი, ძის წული ფეA 124 როზისი, სახელით ფარსმან, რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმათა[6] ჯ 148 მისთა. | და მოკუდა ელია ებისკოპოსი, და დასუეს სუიმონ. ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მჭედარი და შემმართებელი. ხოლო ეზრახა მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შეწევნა. და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი, და განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველნი ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა. და მცირედ-ჟამ მეფობდა და მოკუდა.

დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატ[7], ასულის წული თრდატისი, ძე[8] ვარზა-ბაქარისი, მამულად ბაქარიანი და დედულად რევიანი; ორთავე მირიანის ძეთა ნათესავი იყო ესე მირდატ, კაცი M 293 ქუეული, მჭედარი, შემმართებელი, ურწმუნო, უშიში ღმრთისა, ლაღი და ამპარტავანი, მინდობილი მჭედრობისა მისისა. არა მსახურა ღმერთსა, არცა აღაშენა ეკლესია და არცარა მატა შენებულთა, და სილაღითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა: ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ სპარსთა მეფემან გაგზავნა A 125 ერისთავი, რომელსა ერქუა უფრობ[9], | სპითა ძლიერითა, მირდატს[10] ზედა. ხოლო სილაღითა მი[სითა] არა დარიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპით[ა მ]ეომება გარდაბანს და ეწყო: იოტეს

---

[1] რევის *A*, ძე რევისა *B*,<*M*. [2] თარდატ *MB*. [3] ამის ზე *MB*. [4] იობ *B*<*M*. [5] ეკლესია ნეკრესისა *A*, ნეკრესი *B*, ნეკრისი *M*. [6] ძმაათა *A*. [7] მრდატ A. [8] ძე<*A*. [9] უბრააბ *M*, უბარაბ *B* (v. l. აბრამ). [10] მიდრატს *A*, მირდატის *M*.

ჰ 149 და შეიპყრეს სპარსთა; მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქარ|თლი და განრყუნნეს ეკლეს[ია]ნი. ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ჴევსა კახეთისასა, [და ს]უიმონ ებისკოპოზი მათ თანვე. ხოლო მირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა.

[ჯუანშერი]

ცხოვრება[1] და მოძალადობა[2] ვახტანგ [გორგასლისა][3]

მშობელთა, და თუით მისის[4], დიდისა[5] და ღმრთის-მოყუ[ა]რისა[6]
M 294 მეფისა, რომელი უმეტეს | სახელგანთქმული გამოჩნდა ყოვ[ელთა მეფეთა ქართლისათა][7]

ვითარ[8] იგი შეიპყრეს ქართველთ მეფე მირდატ და წარიყვანეს ბაღდადს, მუნ მოკუდა. და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, გან[რ]ყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯუარები ქართველთა, და ყოველთ[ა შინა] ეკლესიათა სპარსთა ცეცხლის-მსახურთა აღაგზნეს ცეცხლი. ხოლო ნათესავნი ქართლის მეფეთანი დარჩეს ჴევსა კახეთისასა. და შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგა მტერი აღმოსავალით. მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მცხე[თას] მეფედ ძე თრდატის,
ჰ 150 ძმისწული[9] მირდატის, წარტყუ[ენ]ულისა, სახელით არჩილ. | ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ნათესავი ივბიმიანოს მეფისა, სახელით მ[არ]იამ. განაცხადა მტერობა სპარსთა, გამოაჩინ[ნ]ა
M 295 ჯუარნი [და] შეამკვნა ეკლესიანი, მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის-მსახურნი საზღვართაგან ქართლისათა, მოირთო [ძ]ალი საბერძნეთით და წინამძღურებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა. მაშინ ერისთავი სპარსთა მეფისა რო[მ]ელი ერისთაობდა რანს და მოვკანს ვიდრე არჩ[ი]ლის მეფობადმდე, მისვე განგებულ იყო ქართლი.

ამან ერისთავმან შეკრიბა სპა რანისა და მოვაკანისა და აღარბადაგანისა, და მომართა არჩილს. ხოლო[10] არჩილ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა მი[ე]გება საზღვართა ქართლისათა და რანისათა, ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერდუჯისასა, და ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა მოსრნა და ტყუე ყუნა, შევიდა რანს, მოტყუენა, და მოვიდა შინა განმარჯუებული. განავლინა ქადაგი ყოველსა შინა ქართლსა და რქუა ყოველთა: „არა

[1] ცხოვრება *M*, ამბავი *B*. [2] და მოქალაქობა <*MB*. [3] + მეფისა *M*. [4] მის *M*, მისი *B*. [5] დედისა *A*. [6] მოყუ[ა]რისა *A*, მსახურისა *MB*. [7] ქართველთასა *B*. [8] ვიითარ *A*. [9] თრდატის, ძმისწული <*B*. [10] არჩილს, ხოლო <*A*.

A 127 ძალითა ჩემითა, არცა სიმჴნითა, არცა | სიბერითა[1], არცა სიმრავლითა სპათათა[2] ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუარითა უფლისა ჩუენისათა იესო ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღურად და საჭურველად პატიოსანი ჯუარი. მისი. აწ, ყოველთა ქართველთა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამ- 5
M 296 ბადებელი ყოვლისა. და მტკიცეცა არს გული თქუენი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა".

და ყოველთა ქართველთა შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ, და განაახლნეს ეკლესიანი. მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა, მცხეთას, კართა ზედა 10
ჳ 151 არაგუისთა, სადა იყუნეს კოშკნი მტკიცენი | საბრძოლნი, რომელნი მას აღეშენნეს. ესუა[3] ძე არჩილს, და უწოდა სახელი მირდატ. აღიზარდა ესე მირდატ, და დადგა ასაკსა მამაკაცობისასა. იყო მორწმუნე და ღმრთის-მსახური ვითარცა[4] მამა მისი, და იყო იგი ქველი და შემმართებელი[5]. ამან უმეტესად უწყო ბრძოლად სპარსთა, 15
შესლვად და ტყუენვად რანსა და მოვკანსა: რამეთუ მას ჟამსა უცა-
A 128 ლო იყო მეფე სპარსთა, ბრძოდა იგი ინდოთა, | სინდთა და აბაშთა, და ვერ შემძლებელ იყო სპისა დიდისა გამოგზაენად. და სპათა რანისა და მოვაკანისათა და ადარბადაგანისათა ემძლავრებოდეს ქართველნი. წინამძღუარ ექმნის მირდატ სპათა მამისა მისისათა 20
და მარადის სტყუენვიდა რანსა და მოვაკანსა.

მას ჟამსა შინა იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ[6].
M 297 და ვერ წინააღუდგებოდა იგი, არა|მედ გაამაგრნის ციხე-ქალაქნი, და შესლვასა ქართველთასა რანს, სადაცა ეწყუნიან სპარსნი ნაწყუედთა ლაშქართა, მტყუენველთა ქართველთა, მარადის სპარსნი 25
იძლეოდიან. ხოლო ბარზაბოდს[7] ერისთავსა რანისასა ესუა ასული ქმნულ-კეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ[8]. უთხრეს მირდატს, ძესა არჩილისასა, სიშუენიერე მისი და სმენითა სიშუენიერითა მისითა ტრფიელ[9] იქმნა მირდატ მის ზედა. მოავსენა მამასა მისსა: „ვეყედრები მეფობასა შენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა 30
საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი[10] და შევქნეთ ჩუენ შორის მშუიდობა. დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩუენ ვართ მძლენი, არამედ
A 129 ვერა ავიხუამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუ უკუე იცალოს[11] მეფემან სპარსთამან და იძიოს ჩუენ ზედა შური და მოაოჴრნეს სა-

---

[1] სიბრძნითა *MB*. [2] სპალთათა *A*. [3] ესუ *A*. [4] ვითარცა <*A*. [5] შმართებელი *A*. [6] ბარბაროზად *AM*. [7] ბარზაბუდეს *M*, ბარზაბუდ *B*. [8] სადგუხტ *A*. [9] ტრფიალ *B*, ტრფიალითა *M*. [10] ბარზაბუდისი *M*. [11] იხილოს *A*, იცალოს *MB*.

ზღვარნი და ეკლესიანი ჩუენნი. და აწ ამით განქარდეს მტერობა
ჩუენ შორის, რამეთუ ჩუენთუის რაცა მოვაჴსენო მეფესა სპარსთა-
სა, უსმენს იგი; ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარ-
M 298 ნი ქართლისანი და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს, და
არღარა შეიქმნას იჭუი გულსა ქართველთასა და გმობა სჯულსა
ქრისტესსა მძლავრებისათუის სპარსთასა". ესე ყოველი სიყუარუ-
ლისათუის ქალისა მირდატ წარმოთქუა.

მაშინ არჩილ მეფემან აღუსრულა ნება მისი,
ჰ 152 წარგზავნა მოკიქული ბარზაბოდისსა[1], და ითხოვა ასული მისი
ცოლად ძისა მისისა. ხოლო ბარზაბოდ[2] განიხარა სიხარულითა დი-
დითა, რამეთუ მოოჯრებულ იყო ქუეყანა მისი. ითხოვა ფიცი და აღ-
თქმა მშუიდობისათუის[3], და მისცა ასული თუისი[4] ზითვითა დიდითა;
მოიყვანეს მცხეთას და ქმნეს ქორწილი, შუება და განცხრომა
დღეთა მრავალთა. და მისცა მეფემან სამშუილდე, საერისთოთა
A 130 მისითა, ძესა თუისსა, და მუნ დასხდეს[5] მირდატ და საგდუხტ[6]. ხო-
ლო საგდუხტ[6] დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი: რამე-
თუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი, და
უთარგმანეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. და ამხი-
ლეს, რამეთუ ჴემარიტი ღმერთი ქრისტე არს, რომელი განკაცნა
ჴსნისათუის ჩუენისა.

M 299 მაშინ საგდუხტ გულისჴმა ყო და იცნა | სჯული ჴეშ-
მარიტი, დაუტევა ცეცხლის-მსახურება, ნათელ იღო და იქმნა მორ-
წმუნე. და მან აღაშენა სიონი სამშუილდისა. ამა არჩილის-ზე გარ-
დაიცვალნეს სამნი ებისკოპოზნი: იონა, გრიგოლი, ბასილი. და ბა-
სილის შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ებისკოპოზად მობიდან.
ესე იყო ნათესავად სპარსი, აჩუენებდა მართლ-მადიდებლობასა. ხო-
ლო იყო ვინმე მოგუი უსჯულო, შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა
არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისა, არამედ
ჰგონებდეს მორწმუნედ[7]. და ვერ განაცხადებდა მაშინ ქადაგებასა
სჯულისასა შიშისაგან მეფისა და ერისა; არამედ ფარულად წერდა
A 131 წიგნებსა ყოველისა საკთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა[8]
ყოველი წერილი მისი ჴემარიტმან ებისკოპოსმან მიქაელ, რო-
მელი[9] განიკუეთა კადნიერებისთუის[10] ვახტანგ მე-
ფისა.

---

[1] ბარზაბუდისსა *MB*. [2] ბარზაბუდ *MB*. [3] მშუიდობასათუის *A*. [4] თუის *A*.
[5] დასახდეს *A*. [6] სადგუხტ *A*. [7] სარწმუნოდ *MB*. [8] დასუა *A*, დაწუა *M*, დაწვა *B*.
[9] როელი *A*. [10] კადრებისათუის *MB*.

ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხორებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა; და ყოველსა ქართლსა შინა განამრავლნა
M 300 მღდელნი და დიაკონნი, | მსახურნი ეკლესიათანი, და მოკუდა ცხრასა[1]. 5

ჰ 153 და დაჯდა მეფედ მის წილ ძე მისი მირდატ. |და მეფობდა იგი, ვითარცა მამა მისი, დიდსა სარწმუნოებასა შინა. მიუდგა დედოფალი საგდუხტ, შვა ასული და უწოდა სახელი მისი ხუარანძე[2]. კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, [რათა მისცეს ძე; და შემდგომად ოთხისა წლისა საგ- 10
დუხტ] მიუდგა და შვა ძე და უწოდა სახელი მისი სპარსულად[3] ვარან ხოსროთანგი[4], ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ. აღივსნეს მშობელნი მისნი სიხარულითა შობასა მას ყრმისასა ვახტანგისსა, და განავლინეს მახარობელი ყოველთა თანა ერისთავთა და გამოიღეს ხუასტაგი დიდძალი, ოქრო და ვეცხლი, განუყვეს გლახაკთა, 15
A 132 და შეწირეს მადლობა ღმრთისა მი|მართ ლოცვითა და ღამისთევითა დღეთა მრავალთა.

და შემდგომად ამისა მოხდა[5] მეფემან ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად. და დღეთა მრავალთა ყო[6]პურობა, განცხრომა, და ევედრებოდეს ღმერთსა ყოველნი აღზრდი- 20
სათუის ყრმისა ვახტანგისსა. მოითხოვა საზრდოდ საურმაგ სპას-
M 301 პეტმან დიდითა ვედრებითა, ხოლო | მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ: რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან. შემდგომად, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და 25
უწოდეს სახელი მისი მირანდუხტ[7]; და მოითხოვა იგი სპასალარმან კასპისამან[8] და მისცა იგი მეფემან, და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა; იზარდებოდა მუნ. შემდგომად ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მირდატ მეფე.

ჰ 154 დარჩა ვახტანგ შუიდის წლის ყრმა. | მაშინ საგ- 30
დუხტ დედოფალმან, შეწუხებულმან მამისა მისისა ბარზაბოდისგან[9] „ნუ უკუე შური იძიოს მამამან ჩემმან ნაქმრისათუის მამამთილისა და
A 133 ქმრისა ჩემისა, რომელ ეგე|ოდენნი ბოროტნი მოაწიენ მის ზედა, ნუ უკუე შური იგოს ჩემზედა დატეეებისათუის სჯულისა, და წარწყმიდოს

---

[1] ცხრასა < *MB*. [2] ხუარამზე *M*. [3] სრსულად *A* (შემდეგ სხვა ხელით შეესებულია „სპრსულად"). [4] ვარნახუასროთარგ *M*. [5] მოხედნა *AM*. [6] ყოო *A*. [7] მირიან საგდუხტ *M*, მიჰრანდუხტ *B*. [8] კასპისამან *MB*, კეისრისამან *A*. [9] ბარზაბუდისაგან *MB*, ბარზანობისგან *A*.

შვილი ჩემი, და განრყუნას ქართლი და სჯული ქრისტესი წარწყმიდოს“—ესე მოიგონა და შთავარდა მწუხარებასა შინა დიდსა. ევედრებოდა ღმერთსა და განიზრახა წარსლვა მამისა მისისა და შევრდომა მისი. მოიყვანნა ყოველნი ერისთავნი სპასპეტისა თანა, და
M 302 ცრემლითა სიმწარისათა შეევედრა ძე მისი სპასპეტმან|და ყოველთა ერისთავთა.

და წარვიდა ბარდავს მამისა თუისისა თანა; განიღო თავი, და უყარნა მუჴლნი და აღუპყრნა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა, და დადგა პირი მისი ფერჴთა მისთა, დაალტობდა ფერჴთა მამისა მისისათა ცრემლით. და ითხოვდა შეწყალებასა, არა ჴსენებასა ნაქმართა მამამთილისა და ქმრისა მისისათა, და შენდობასა დატევებასა სჯულისა. ევედრებოდა, რათა არა[1] აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი; და ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულისათუის[2], და მოურავ ექმნეს
A 134 სპარსსა მეფესა წი|ნაშე. მაშინ ბარზაბოდ[3], განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათუის, შეიწყალა ასული თუისი, არა აიძულა დატევება სჯულისა, აღასრულა ყოველი თხოვა მისი. სჯულისათვის ესრეთ რქუა: „იძულებით არავინ ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჯულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნნე ცეცხლის-მსახურნი ქალაქსა თქუენსა, და იყუნენ მუნა[4] ებისკოპოზნი მათ ზედა სჯულისა ჩუენისანი: და ვინცა ქართველი ნებსით თუისით აღირჩევდეს
M 303 სჯულსა ჩუენსა, |ნუ აყენებთ“. მაშინ საგდუხტ ერჩდა მამასა|თუისსა შიშისაგან დიდისა, და აღუთქუა მინდობითა ღმრთისათა, და წარმოვიდა ქართლად. მაშინ ბარზაბოდ[5] წარმოგზავნნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ებისკოპოზად შინჭარან[6], დასხდეს მოგუთას. და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა მამისა მისისათა. და მოკუდა ბარზაბოდ[7]. მის წილ სპართა მეფემან დაადგინა ძე მისი ვარზა-ბაქარ[8], ძმა საგდუხტ დედოფლისა. და მოკუდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი.

მაშინ დედოფალმან საგდუხტ დაადგინა სპას-
A 135 პეტი, რომელსა ერქუა ჯონბერ[9]. | ხოლო შინჭარან[10], ებისკოპოზი ცეცხლის-მსახურთა[11], ასწავებდა ქართველთა სჯულსა[12],

---

[1] არა < *A*. [2] მამულსა შინა თჳსსა (მისსა *M*) *MB*. [3] ვარზაბუდ *M*. [4] მონა *A*. [5] ბარზაბუდ *B*. ბოროტად *M*. [6] შინაჭარან *M*, ბინჭარ *B*. [7] ბარზაბუდ *B*. [8] ვარახ ბკურ *M*, ვარახ-ბაკურ *B*. [9] ჯუანბერ *M*, ჯუანშერ *B*. [10] შიჭრიან *M*, ბინჭარიან *B*. [11] ეპისკოპოსი მცხეთელთა, რომელი იყო სპარსი ცეცხლის-მსახური *MB*. [12] სჯულსა თუისსა *MB*.

არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, არამედ წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლის-მსახურებასა; და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლის-მსახურება; ამისთუის მწუხარე იყო საგდუხტ
M 304 დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერ იკადრებ|და. მაშინ მოიყვანა მღდელი ჰეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ებისკოპოზად [ზემოსა ეკლესიასა: რამეთუ მობიდან ებისკოპოსი][1] გარდაცვალებულ იყო. და ესე ებისკოპოზი მიქაელ წინააღუდგა შინჭარან[2] მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჰეშმარიტსა. ამან იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი, არამედ მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლის-მსახურებასა.

მაშინ, ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუანნამდე[3], და მოაოჴრნეს ველნი, არამედ
A 136 ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თუინიერ კასპისა; ხოლო|კასპი ქალაქი შემუსრეს, ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ[4] ვახტანგისი გურანდუხტ[5], სამის წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქართ-
ჰ 156 ლისანი, კახეთი,|კლარჯეთი და ეგრისი, წავლეს[6] რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა, და განვლეს კარი დარუბანდისა, რა-
M 305 მეთუ თუით გზა | სცეს დარბანდელთა[7], და შევიდეს ოვსეთს განმარჯვებულნი.

მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით[8], რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის-წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე გოჯადმდე[9]. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: „განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა[10]. სამაროლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, მიგუიღო[11] ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა [კლარჯეთი იგი][12]. ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად იპყართ

---

[1] ზემოსა—ეპისკოპოსი < *A* (კიდურმსგავსების შეცდომის გამო). [2] შინაქარსა *M*, ბინქარს *B*. [3] ხუნანამდე *MB*. [4] დაა *A*. [5] მირანდუხტ *M*, მიჰრანდუხტ *B*. [6] ჩავლეს *MB*. [7] დარბანდელთა *AM*, დარუბანდელთა *B*. [8] აფხაზეთად *A*. [9] გოჯდამდე *A*. [10] სჯული და წესი ქრისტეს სჯულისა *M*. [11] მიგველო *B*. [12] კლარჯეთი იგი <*A* (შევავსეთ *MB*-დან).

A 137 სჯული ქრისტესი. ესე არა მეფეთა ჩ|უენთა ცოდვისაგან იქმნა,
არამედ ერისა ცოდვათაგან. აწ მეფე ჩუენი ყრმა არს, არა გუიცის
წინამძღუარი, რომელიმცა სასოებითა ქრისტესითა და წინამძღუ-
რებითა ჯუარისათა წარგუიძღუა ჩუენ, და ვიძიეთ შური პირველ
M 306 ოესთა ზედა, და შემდგომად ვძებნეთ საზღვარი ბერძენთაგან". 5
ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყუნეს მწუხარებასა შინა
დიდსა.

და·ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ებისკო-
პოზისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისაცე დღეთა
შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისა- 10
თა. და მწუხარე იყო იგი მისთუის, რამეთუ შემორეოდა ქართლს
ცეცხლის-მსახურება ტყუეობისა და[1] საზღვართა მიხუმისაგან. და
უმეტეს იურვოდა სჯულისათუის გონებასა შინა, არამედ მძლავრე-
ბისაგან მძლავრთა სპარსთასა ვერ იკადრებდა გამოცხადებად.

მაშინ, ვითარ იქმნა ვახტანგ ხუთმეტისა[2] წლი- 15
სა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შე-
მოკრიბნა ყოველნი ქალაქად; განმზადა მეფემან სახლი[3] ერთი და
ჰ 157 დაჯდა საყდართა მაღალთა, ხოლო ჯონშერ[4] სპასპეტი[5] | და ორ-
A 138 ნიე ებისკოპოზნი | დასხდეს საყდართა[6], და სხუანი ყოველნი ერის-
თავნი დასხდეს სულ-ღებითა[7], და ასისთავნი და ყოველი ერი წარ- 20
მოდგეს ზე. მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან ბრძენმან და
M 307 ვითარცა აღზრდილმან ფილასოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ჴმითა
მაღლითა და თქუა: „მეფეთა და ერსა ზედა მოიწევის განსაცდე-
ლი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუ-
ნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა, გარდაჴდენ მცნებასა, მოაწევს 25
ჭირთა ესეეითართა[8] ზედა, რომელი აწ ესე მრიწია ჩუენ ზედა, ვი-
თარცა რა მამა კეთილი წუთის შვილსა კეთილად კეთილთა საქმე-
თა ზედა; და უკეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მა-
მისა თუისისასა, ჰგუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა[9], რათა
ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საქმარ-კეთილ. ეგრეთვე გუ- 30
წუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან.
ამისთუის გუიჴსნნა[10] ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მის-
თა". მაშინ ყოველთა მისცეს მადლი ღმერთსა.

კუალად იწყო მეფემან ვახტანგ ზრახვად და

---

[1] და <A. [2] ხუთმეტისა A, თხუთმეტისა B, თორმეტისა M. [3] სახალი A.
[4] ჯუნბარ M, ჯუანშერ (v. l. ჯუანბერ) B. [5] სპასპეტმან A, <M. [6] საყდრთა A.
[7] სულღებითა A, სელებითა MB. [8] ესე ვითარცა A. [9] წავლითა A. [10] გუიჴმს MB.

თქუა ყოველთა წარჩინებულთა: „ისმინეთ ჴმისა ჩემისა. და-
A 139 ღაცათუ ყრმა ვარ | და არა გინახაჳს ჩემგან კეთილი, მამათა კულა
ჩემთაგან გინახავნ დიდნი კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა
გეხილნენ თქუენ[1], დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ
M 308 უკეთუ გუაცოცხლებს ღმერთი, მოგუხუდენ კე|თილნი და დიდებანი,
რომელნი არა გეხილნენ მამათა ჩემთაგან. აწ რომელსა გეტყუი
თქუენ, დაღათუ ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწევნულ არს
განსაცდელი, ესრეთ იპყართ ვითარმცა არა მოწევნულ არს თქუენ
ზედა, არამედ ჩემ ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა,
თუ რომელ მოიწიონეს მათ ზედა განსაცდელნი, თუისისა შურის-გე-
ბისათუის ჰყოფენ ამას. არამედ ყოველი ჩემდა სამსახურებელად
დავითუალო, ყოვლისათუის კეთილი მოგაგო[2], არა დავითმინო
კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა,
B 158 სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, წარძღუანებითა | ჯუარისა
მისისა პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და
A 140 საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, და ვიძიოთ შუ|რი ოვსთა
ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა სპარსთ მეფეთაგან, ანუ ბერძენ-
თაგან, მო-მცა-ვითმინოთ. არამედ რა[3] მოწევნულ არს ჩუენ ზედა
ოვსთა კიცხთაგან, არა ჴამს მისი დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა
ჩუენთათუის“.

მაშინ აღდგა ჯომბერ[4] სპასპეტი[5] და თქუა:
M 309 „ცხონდი, მეფეო, უკუნი[სა]მდე და მტერთა | შენთა ზედა
ნება-აღსრულებითა. ჰეშმარიტი ბრძანე, ცოდვათა ჩუენთა მიერ
მოიწია განსაცდელი ესე ჩუენ ზედა, და სამართლად დაგუსაჯნა
ღმერთმან: რამეთუ განვამრავლეთ ცოდვა წინაშე[6] მისსა; და გუი-
ღირს მადლობა ღმრთისა, რამეთუ დიდსა[7] პატიჟსა[8] ღირს ვიყვე-
ნით, და [არა] ესე ოდენისა, რომელ მოიწია ჩუენ ზედა. არამედ მრა-
ვალ-მოწყალემან არა შეცოდებათა ჩუენთა ოდენი პატიჟი მოგუაგო,
და ამით კნინითა პატიჟითა გუწუართნა. ჩუენ, მკუიდრთა ქართლისა-
თა, დიდი მადლობა გუიღირს ღმრთისა მიმართ ამისთუის, რამეთუ
შენ უმჯობესი ყოველთა მათ მეფეთა ქართლისათა და მამათა
შენთა უფროს, ყოვლითავე სრული და მსგავსი ნებ-
A 141 როთ გმირისა, გამოგაჩინა. წინამძღურად ჩუენდა მოცემულ ხარ |

---

[1] არა გეხილნენ თქუენ < *MB*. [2] მოგუაგო *A*. [3] რა *M*, რაჲ *B*, არა *A*. [4] ჯუანებრ *M*, ჯუანშერ *B*. [5] სპასპეტე *A*. [6] წინაშე < *A*. [7] დიდსა *A* (მერმე შეუვსია „დიდისა“). [8] პატივსა *A* (მერმე „ვ“ გადაკეთებულია „ჯ“-დ), პატიჟსა *MB*; პა-ტიჯსა *B* (ხელნაწერები „პატიქსა“).

A 141 |ღმრთისა მიერ განმაქარვებელად ჰირთა ჩუენთა ძუელთა და ახალთა. და უკეთუ ცოდვანი ჩუენნი არა დასძლევენ, შენ მიერ მოეელით განქარვებასა ყოველთა ჰირთა ჩუენთასა, უმეტეს წარმატება-
310 სა საზღვართა ჩუენთასა,|რამეთუ არაეინ ყოფილა მამათა შენთაგან მსგავს შენდა; ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე, რათგან მოწევნულ არს ოვსთაგან ხუთსა ამას წელსა შინა, ყოფილ ვართ ჩუენ მწუხარებასა დიდსა, ამისთუის რამეთუ ყრმა იყავ და არა ძალ გედვა მჴედრობა და წყობათა წინამძღურობა, და არცა შენი განგება მეფობისა[1].
ბ 159 აწ, მეფეო, დაღათუ |სრულ ხარ სიბრძნითა, ძალითა, სიმჴნითა და ასაკითა, არამედ გაკლს სისრულე დღეთა მჴედრობისათუის. ხოლო ეხედავ სიბრძნესა შენსა: დაღაცათუ ყრმა ხარ, ძალ გიც განგება მეფობისა; არამედ მჴედრობისა და წყობათა წინააღმდგომისა[2] შენისა არა არს ჟამი. ესე არს განზრახვა ჩემი, რათა სიბრძნითა შენითა და კითხვითა დედისა შენისათა
A 142 ერთი ვინ გამოირჩიე ჩუენგანი წინამძღურად სპისა |ჩუენისა, და მიგუცენ ჩუენ ყოველნი მას, და ვიყუნეთ მორჩილ ვითარცა მამისა შენისანი; და ძალითა სამებისა, ღმრთისა ერთარსებისათა, წარვიდეთ და ვიძიოთ შური ჩუენი. ხოლო შენ იყავ შინა და განაგებდი
M 311 მეფობასა. უკეთუ |ცოდვათა ჩუენთაგან ვიძლივნეთ ოვსთაგან, მეფობა შენი დარჩეს უვნებელად; ხოლო უკეთუ თავითა შენითა იძლიო ცოდვათა ჩუენთაგან, სრულიად წარწყმდეს ქუეყანა ჩუენი, რამეთუ ნაცვალი შენი არა არს ქუეყანასა ზედა". ესე თქუა ჯონბერ[3] სპასპეტმან და დაემოწამნეს ყოველნი წარჩინებულნი ერისთავნი ზრახვასა მისსა.

მაშინ თქუა მეფემან: „ვითარ ხუდების სრულსა სიბრძნესა და ერთგულობასა[4] შენსა, ეგრეთ წარმოსთქუი ყოველი, ჯომბერ[5]. ხოლო მე არა ვარ მორჩილ ზრახვასა მაგას შენსა, რამეთუ, რათგან მოწევნულ არს განსაცდელი იგი ჩუენ ზედა, ყოველნი დღენი ცხორებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამიყოფიან, ვითარცა მყოფსა ბნელსა შინა. სიყუარული[6] დისა ჩემისა განლევს გულსა ჩემსა, ვითარცა მახუილი ცეცხლისა, და სიკუდილი მირჩევნია თა-
A 143 ვისა ჩემისა, |ვიდრეღა სირცხუილი[7]. არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღურებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, თავითა ჩე-

---

[1] შინა მყოფისა განგება *M*, შინა მეფობისა განგებაჲ *B*. [2] წინაგანწყობისა *MB*. [3] ჯუმბერ *M*, ჯვანშერ *B*. [4] ერთგულობა *A*. [5] ჯუმბერ *M*, ჯვანშერ *B*. [6] სიწყალული *B*, საწყალული *M*. [7] სირცხუილი *A*, სიცოცხლე *B*, სიცოცხლესა *M*.

312 მითა წარვალ, და ვესავ მრავალ-მოწყალებათა მისთა—არა გამწიროს და მომცეს ძლევა".

მაშინ ვითარ ვერღარა დაუშლიდეს, მიემოწმნეს ყოველნი იგი წარჩინებულნი და თქუეს: „ცხოვნდინ უკუნისამდე; იქმნეს | განზრახვა შენი, ღმერთმან დამბადებელმან მოაელინენ ანგელოზი ძლიერი[1] შენდა და დასცნეს ყოველნი მტერნი შენნი და ამტკიცენ მეფობა შენი". და [დაამტკიცეს] ლაშქრობა ოვსეთისა[2], განიყარნეს ყოველნი სოფლად თუისად კაზმად. ხოლო ვახტანგ მეფემან წარავლინა მოციქული წინაშე დედის ძმისა მისისა ვარაზ-ბაკურისა, რანისა ერისთვისა: ითხოვა მისგან შეწევნა. ხოლო მან სიხარულით აღუთქუა, რამეთუ ქუეყანა მისიცა ტყუე ქმნილ იყო ოვსთაგან. მაშინ ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა, შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხრანს[3] და ხერკს, ამიერ და იმიერ[4] არაგუსა. და იყო ასი ათასი მჴედარი და სამოცი ათასი ქუეითი. და გამოგზავნა ვარაზ-ბაკურ სპანი თუისნი, თორმეტი ათასი მჴედარი, და ვახტანგ მეფ[ე] | განვიდა ქალაქით მცხეთით და განასრულნა სპანი თუისნი და განასხნა: მოეწონნეს სიმრავლ|ითა, ცხენ-ქუეითობითა[5], მოკაზმულობითა, და იხილნა ყოველნი მხიარულად და აზარვით[6], რამეთუ სავსე იყუნეს შურითა ოვსთათა. აღივსო სიხარულითა და მადლობდა ღმერთსა, შემოვიდა ქალაქად და აღასრულა შუიდეული ერთი ლოცვითა, მარხვითა და ღამის-თევითა, და განუყო ხუასტაგი დიდძალი გლახაკთა, და დაუტევა განმგებელად სამეუფოსა თუისისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ[7] მისი ხუარანძე. დაწერა ანდერძი ესრეთ: „უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ[7] ჩემი ხუარანძე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისსა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა. მაშინ[8] შეირთოს დაჲ ჩემი და მან | ყოს მეფობა". და ესე დაწერილი დედასა მისცა, და სხუასა არავის აუწყა. და იგი მირიან, მამის ძმისწული მისი, დაუტევა მცხეთას. წარვიდა ვახტანგ და მიადგა თიანეთს. მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი, | ორმოცდაათი ათასი | მჴედარი; წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განელო კარი დარიალანისა. და შესლვასა[9] მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა.

მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი

---

[1] ძალად *B*,<*M*. [2] და ამტკიცეს მეფობა შენი და ლაშქრობა ოვსეთისა *A*, და დაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთისა *MB*. [3] მუხნარს *B*, მუნ არს *M*. [4] იმიერ და ამიერ *MB*. [5] ცხენ-ქვეითლობითა (-კეთილებითა *B*) *MB*. [6] აზრვითა *M*, აღძრვით *B*. [7] დაა *A*. [8] მან *MB*. [9] შესავალსა *M*.

მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განელის დარიალანსა[1] და ჩაელის ველსა ოვსეთისასა. და მასცა მდინარესა დარიაელო[2] რქუიან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე, ქართლისა [არაგუისა] და [ოვსეთისა] არაგუისა[3]. დაიბანაკეს ორთავე[4] ამიერ და იმიერ, რამეთუ მდინარისა მის პირსა ორგნითვე ქარაფნი იყუნეს კლდისანი, ჭალაკნი და ველოვანნი პირთა მდინარისათა, და განეკრძალნეს ერთმანერთსა, და დაცუივეს[5] გზანი ქარაფთანი, დადგეს ეგრეთ შუიდ დღე; ამა შუიდსა დღესა ბრძოლა იყო მუბერაზთა მდინარესა ზედა. მაშინ ოვსთა რომელ ჰყვეს ნიჯადანი[6] ხაზართანი, მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარჯან. გამოვიდა თარჯან ხაზარი და ჴმა ყო ჴმითა
M 315 მაღლითა და თქუა: „გეტყუი თქუენ ყოველთა სპათა ვახტანგისა-
A 146 თა, ვინცა არს თქუენ შო|რის უძლიერესი, გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა“.

ვახტანგ მეფესა რომელ ყვეს სპარსთანი[7], მას თანა ერთო კაცი ერთი, რომელსა ერქუა ფარზმან-ფარუხ: ამისდა ვერვის დაედგნეს ბრძოლასა შინა, მრავალი ლომი ჴელითა შეეპყრა. ესე განვიდა ბრძოლად თარჯანისად, აღიზახნეს ორთავე
K 162 და მიეტევნეს ურთიერთას. პირველსავე | შეკრებასა უხეთქნა ჴრმალი ფარზმან-ფარუხსა ჩაბალახსა ზედა, განაპო ზურგი[8] მისი ვიდრე ბეჭთამდე. მაშინ დაჭმუნდა ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ არა დარჩა მათ შორის მსგავსი ფარზმან-ფარუხისა. შეძრწუნდეს ყოველნი იგი სპანი და აღივსნეს მწუხარებითა, და მადლობდეს ღმერთსა[9]. ვახტანგ შეევიდა კარვად თუისად, დადგა ლოცვად, ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, და ვიდრე განთენებადმდე არა დაჯდა ქუე ლოცვისაგან; ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა, და მინდობითა ღმრთისათა ეგულებოდა თუით ბრძოლა თარჯანისი: რამეთუ უშიშ
M 316 იყო ვითარცა უჴორცო, და იმედი | ჰქონდა ღმრთისაგან და ძალისა თუისისაგან. ვითარ განთენა, შთამოვიდა თარჯან კიდესა მდინარი-
A 147 სასა, აყუედრებ|და და კუალად ითხოვდა მუქარასა. და არა იპოვა სპათა შორის ვახტანგისათა მბრძოლი მისი.

მაშინ ვახტან[გ] რქუა სპათა: „არა მინდობილ ვარ ძალისად ჩემისა[დ], და სიმჴნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთი-

---

[1] დარიალნსა *A*. [2] არაგვი *MB*. [3] და ოვსეთისა არაგვისა *B*, და ოვსეთისა *M*. [4] ორთავე სპათა *MB*. [5] დაიცვნეს *B*, დადგეს *M*. [6] ნიჯადნი *MB*. [7] სპარსთანი *A*, სპანი სპათანი ჯარნი *M*, სპანი სპარსთა ნიჯადნი *B*. [8] თავი *MB*. [9] და მადლობდეს ღმერთსა *A*, (და *B*) დაღამდა დღე იგი *MB*.

სათა, დაუსაბამოსა, სამებისა ერთარსებისა, ყოვლისა დამბადებელი-
სათა, განვალ თუით ბრძოლად თარჯანისა“. მაშინ განკუირდეს წარ-
ჩინებულნი იგი, აყენებდეს ვახტანგს, მრავალ-ღონედ ზრახვიდეს,
რათამცა დააყენეს ბრძოლისაგან, რამეთუ ყრმა იყო ვახტანგ და
არა იცოდეს გამოცდილობა მისი. არა ერჩდა ვახტანგ, არამედ
დაამტკიცა ბრძოლა მისი. გარდაჴდა ცხენისაგან და დავარდა ქუე-
ყანასა ზედა, თაყუანის-სცა ღმერთსა, აღიპყრნა ჴელნი და თქუა:
„Ჱ[1] უფალო, ყოვლისა დამბადებელო და შემმატებელო კეთილთაო,
აღმამაღლებელო მოსავთა შენთაო, შენ იყავ მწყე ჩემდა, მოავლინე
ანგელოზი შენი ძალად ჩემდა, და დაეც უსჯულო ესე, და არცხუი-
ნე მგმობართა შენთა, რამეთუ არა ძალისა ჩემისად მინდობილ
ვარ, აღრამედ მოწყალებისად შენისა“.

მოიქცა და აღჴდა ტაიჭსა მისსა და რქუა მის-
A 148 თა: | „ევედრებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით“. წარვიდა[2]
B 163 ვახტანგ | და დადგეს სპანი მისნი ზურგით მისსა, შეძრწუნებულნი და
სავსენი მწუხარებითა თუის-თუისსა სჯულსა ზედა ევედრებოდეს
ღმერთსა ცრემლითა. მაშინ ვახტანგ ჩაველო გუერდი და შთადგა
მდინარისა პირსა. აქუნდეს ჴელთა ოროლნი. მოხედნა თარჯან: „მე
გოლიათი[3] და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმაწუ-
რილთა; გარნა შენზედაცა დავიმდაბლო თავი ჩემი“. აღიზახნეს[4]
და მიეტევნეს ურთიერთას; და პირველსავე შეკრებასა სცნა ვახ-
ტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა, და ვერ უფარა სიმაგრემან სა-
ჭურველისამან, განვლო ზურგით და მოკლა.

ხოლო ქართველთა ნუგეშინისცემულთა და აღ-
სავსეთა სიხარულითა, აღიზახნეს ჴმითა საშინელითა და შეწირეს
მადლობა ღმრთისა მიმართ. ხოლო ვახტანგ მასვე ადგილსა გარ-
დაჴდა ცხენისაგან[5], და დავარდა პირსა ზედა, თაყუანის-სცა ღმერთ-
სა და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მოავ-
M 318 ლინე | ანგელოზი შენი ძლიერი ჩემდა[6] | და დაეც მტერი ჩემი. შენ ხარ
A 149 აღმამაღლებელი[7] მოსავთა შენთა; შენ ხარ, რომელმან აღადგინი
ქუეყანისაგან გლახაკი და სკორეთაგან აღადგინი[8] დავრდომილი“.
მოჰკუეთა თავი თარჯანს და მოვიდა ლაშქართა თუისთა თანა, და
ყოველთა სპათა მისთა ჴმითა აღწევნულითა შეასხეს ქება ვახტანგს
B 164 და მადლობდეს[9]. | მეორესა დღესა სხუა გამოვიდა მუმბარეზი ოვს-

---

[1] ჰე *M*,<*B*. [2] წარვიდა წარვიედა *A*. [3] გოლიათთთა *B*, გოლიოთთა *M*. [4] აღი-
ზრახნეს *M*. [5] ცეხენისაგან *A*. [6] ძლიერი ჩემდა < *MB*. [7] აღმმართებელი *B*, < *M*.
[8] აღამაღლი *M*, აღამაღლე *B*. [9] +ღმერთსა *MB*.

თაგან, რომელსა ერქუა ბაყათარ. იგი იყო გოლიათი, და რათგან
დაეწყო მჴედრობად, ვერვის დაედგნეს[1] მისთუის ბრძოლასა შინა,
და მოესრა ყოველი მბრძოლი მისი, რამეთუ იყო სიგრძე მშუილ-
დისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი—ექუსი მტკაველი.
მოდგა ესე ბაყათარ პირსა მინდორისასა[2], ჴმა ყო ჴმითა მაღლითა
და თქუა: „ვახტანგ მეფეო, ნუ განლაღნები შენ მოკლვისათუის თარ-
ჯანისა; არა ერთო გოლიათთა, ამისთუის მოიკლა ყმაწუ-
რილისა მიერ; აწ უკეთუ შენვე გამოხუიდე ბრძო-
M 319 ლად ჩემდა, მოგხუდენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი, რომელთა-
A 150 გან ვერ განერო, თუ რა სპათა შენთაგანი გამოვიდეს, მისთუის-
ცა მზა ვარ“. მაშინ პასუხ უგო ვახტანგ ბაყათარს და რქუა: „არა
ძალითა ჩემითა ვსძლე თარჯანს, არამედ ძალითა დამბადებელისა
ჩემისათა, და არა მეშინის[3] მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისა-
გან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა არს, და ჯუარი მისი პა-
ტიოსანი საპურველ ჩემდა არს“. განაწესნა სპანი და დაადგინნა
განწესებულად და განმზადებულად, და აღჯდა ტაიჭსა შეპურვილ-
სა ჯავშანითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა
ვერ ჰკუეთდა მახუილი, ჩავლო გუერდით და მიადგა მახლობელად
მდინარესა. ჴმა ყო ბაყათარ[ს] და რქუა: „არა გამოვალ მე მდი-
ნარესა, რამეთუ მეფე ვარ; არა მიეახლები მე სპასა ოვსეთისასა,
რამეთუ წარწყმედითა ჩემითა წარწყმდების[4] სპა ჩემი ყოველი;
ხოლო შენ, მონა ხარ, და წარწყმედითა შენითა არა ევნების სპათა
ოვსეთისათა; გამოვედ მდინარესა ჩემ კერძო“. მაშინ ბაყათარ ოვს-
ჳ 165 მან აღასრულა სიტყუა მისი და თქუა: „მე მკლველმან[5] შენმან
M 320 გამოვლო მდინარე, არამედ პირისაგან მდინარი[ს]ა უკუდეგ[6] სამ
უტევან“.

A 151 |მაშინ ვახტანგ უკუდგა. გამოვლო ბაყათარ მდი-
ნარე, და უწყო სროლა ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა
თუალთათა და სიმახუილითა გონებისათა და სიკაცკასითა ჭანგისა[7]
მისისათა რიდებდა ისარსა, რამეთუ შორსვე იხილის ისარი მომა-
ვალი, უხლებოდა და სიმარჯუითა მიეახლებოდა. ამიერ და იმი-
ერ სპათაგან ცემა იყო ბუკებითა და დაბდაბათა; იზახდეს ჴმითა
აღწევნულითა სპანი ორნივე, ქართველნი და ოვსნი, რომლითა იძ-
რვოდეს მთანი და ბორცუნი. და ვერა ჰკრა ისარი, ორის ისრისა-

---

[1] დააედგნეს *A*. [2] მდინარისასა *MB*. [3] მეშინს *A*. [4] წარწყმედების *A*. [5] მკლგე-
ლმან *A*. [6] უკუდედ *A* (შემდეგ „დ“ შესწორებულია). [7] სიკისკასითა ტაიჭისა *B*,<*M*.

გან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისასა, და ვერ ჰკუეთდა[1] ყოვლად. და კუალად ჰკრა ისარი ცხენსა ვახტანგისასა, და გააგდო შიგა, და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუჴდა და უხეთქნა ჴრმალი მჴარსა ბაყათარისსა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე.

მაშინღა დაეცა ცხენი ვახტანგისი, სწრაფით მიყო ჴელი და შეიპყრა ცხენი ბაყათარისი. პირველად დაეარდა ქუეყანასა ზედა, თაყუანის-სცა ღმერთსა და შეწირა მადლობა, | უმეტეს პირველისა. აღჯდა ცხენსა ბაყათარისსა, და მოდგა მახლობელად სპათა მისთა, და რქუა ჴმითა მაღლითა: „მჴნე იყუენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს“. ხოლო სპანი წარემართნეს განმზადებულნი, ცხენ-თორნეოსანნი[2], ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი და ქუეითთ[3] უკანა სიმრავლე მჴედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა. ხოლო ოვსნი წარმოდგეს ჭარაფსა ზედა და დაასხეს ისარი ვითარცა წუიმა მძაფრი[4].

მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით, რჩეულითა მჴედრითა, უძახებდა და განაძლიერებდა, ნუგეშინის-სცემდა სპათა მისთა. მაშინ წინა [ცხენ-]თორნეოსანნი[5] აღვიდეს გზასა ქარაფისასა, აღჴდეს ჴევსა, წაუდგეს უკანა ქუეითნი და შემდგომად სიმრავლე მჴედართა, და | იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგ უკეთუ მარჯუენით კერძო იბრძოდის, მარცხენით კერძო ძრწოდის; და უკეთუ მარცხენით კერძო იბრძოდის, მარჯუენით ძრწოდიან. და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ჴმა მისი, ვითარცა | ჴმა ლომისა, და თანა ჰყუებოდეს მას ორნი მჴედარნი, არტვაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა, და ბივრიტიან სეფე წული; და იგინიცა იბრძოდეს მჴნედ.

მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდეს; მოისრნეს დატყუე იქმნნეს, ხოლო უმეტესი მეოტი ოვსთა ცოცხალი შეიპყრეს უკუმოჴსნისათუის ტყუეთასა, რომელნი წარტყუენულ იყუნეს პირველ ოვსთაგან ქართველნი. ვითარ უკუმოიქცეს დევნისაგან, დაიბანაკესა ბანაკსავე თუისსა, სამ დღე განისუენეს და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ, და მერმე განიბნივნეს ტყუენვად ოვსეთისა. შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს

[1] უკუეთა *M*, ჰკვეთა *B*. [2] ცხენთოროსნნი *M*, ცხენთორნოსანნი *B*. [3] ქუეითით *A*. [4] მძლაფრი *B*. [5] ცხენ <*A*.

M 321
A 152
ჯ 166
M 322
A 153

ტყუე და ნატყუენავი ურიცხუი[1]. და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიგეთი მოსაზღვარედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ, და ჯიქეთი მუნ იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიგნი, [და] ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიგნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკუიდრნეს ბოლოსა
M 323 აფხაზ|ეთისასა. მოტყუენა ვახტანგ პაჭანიგეთი და ჯიქეთი, შემოიქცა და გამოდგა ოვსეთსავე. და მეფენი ოვსთანი შეველტოლვილ იყუნეს სიმაგრეთა კავკასიისათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი და
A 154 დააზავნეს. ითხოვეს ოვსთა ვახტანგისგან, ნაცულად დისა მისისა, ოცდაათი ათასი ტყუე ოვსეთისა, ყოველი უკეთესი, რომელი სახელდებით თქუეს ოვსთა. და მისცა ვახტანგ ოცდაათი ათასი ტყუე დისათუის და მოიყვანა დაჲ[2] მისი.

ჰ 167 |ხოლო ტყუენი ქართველნი რომელ ყვეს ოვსთა ექუს[ს]ა მას წელსა, იგი ყოველნი უკუმოიყვანნა თუითო თუითოსათუის, და აღიღო მძევალი ოვსთაგან და მძევლისათუის მისცა სხუა ტყუე ოცდაათი[3] ათასი. უკუმოიჴსნა ტყუე ქართლისა, რიცხუით სამას ორმოცდაათი ათასი[4], თუინიერ პაჭანიგთა და ჯიქთასა. ესე ყოველი აღესრულა ოთხ თუე, მაშინ მეფემან განუტევნა ნიჯდანი[5]
M 324 იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიაჲნთანი ნიჭითა დიდითა, წარმოგზავნა (და) დაჲ[2] მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა მას დარალანისსა, და თუით სპითა ქართლისათა წარვიდა გზასა აფხაზეთისასა, სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ[6] მეფე ბერძენთა დიდი ლეონ, უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს, და წარიოტნა სამ
A 155 | წელ ციხენი აფხაზეთისანი ყოველნი ვიდრე ციხე გოჯადმდე[6] და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას; გაეგება წინა დედა და დანი მისნი და სიმრავლე ქალაქისა, მამათა და დედათა მიუფენდეს საჴელთა და სამოსელთა ქუეშე ფერჴთა მისთა.

---

[1] აქ *B* უმატებს: «ხოლო დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჴელეწიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა, თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა». [2] დაა *A*. [3] ოცდათურამეტი *MB*. [4] აქ *A*-ს აკლია (ალბათ, ex homoioteleuto): «და რომელ დარჩა ტყუე ოვსი ამათ განტეობილთაგან კიდე, თვალვით (თუით *M*) ექუსას ორმოცდაათი ათასი (ექუსი ათას ორმოცდათურამეტი *M*)», რაც არის *MB*-ში. [5] ნიჯდანი *B*, ნიჯდინი *M*. [6] რამეთუ—ციხე-გოჯადმდე<*B*.

და აყრიდეს თავსა დრამასა და დრაჰკანსა, და აღწევნულითა ჯმითა შეასხმიდეს ქებასა; რამეთუ არა რომელსა ექმნა მეფესა ეგევითარი ძლიერი წყობა. მაშინ ვახტანგ მეფემან შეწირა მადლობა ღმრთისა მიმართ მრავლითა ლოცვითა და ღამისთევითა, გლახაკთა მიცემითა, და განსცა ნიჭი დიდი ერსა
M 325 მისსა ზედა, და წარჩინებულნი ქმნნა მჭედრად მსახურნი მჭნედ და გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსეთისასა[1]. და წარსცა ძღუენი ნატყუენავისა მისგან დედის ძმასა მას თანა ვარზა-ბაკურსა: მონა ათასი[2], ცხენი საჭედარი [ათასი, ჭდალი[3] ცხენი ათასი. და კუალად წარსცა წანაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი[4], ცხენი საჭედარი][5] ათი ათასი, ცხენი ჭდალი[6] ათი ათასი; ესე ყოველი მიუძღუანა სპარსთა მეფესამან ჭელითა ბუნჭარან[7] ებისკოპოზისათა, და ითხოვა სპარს[თა მეფისაგან] ასული ცოლად. ხოლო სპარსთა
ჯ 168 [მეფემან] მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა შალენ-
A 156 დუხტ[8]; მოსცა სომხითი | და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად. და მოუწერა მის თანა წიგნი, რომელსა პატრუცაგსა[9] წერილ იყო ესრეთ: „ურმისდისგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ ვარან-ხუასროთაგანისსა[10], ათთა მეფეთა მეფისა ახოვნისა“. და მოუწერა მან ბრძოლა კეისრისა, რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა.

მაშინ ვახტანგ აწუია[11] ყოველთა სპათა მისთა და ყოველთა მეფეთა კავკასიისათა. შემოკრბეს და დადგეს მტკუარსა იმიერ და ამიერ (და) სამასი ათასი[12], და მოერთო
M 326 ვარაზ-ბაკურ, დედის ძმა მისი, ერისთავი რანისა, ბრძანებითა სპარსთა მეფისათა, სპითა[13] არდაბადაგანისა და მოვაკანისათა, ვითარ სამი ათასითა[14] მჭედრითა. მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა, იყო უმაღლეს კაცთა [მის] ჟამისათა[15] და უშუენიერეს სხუა-

---

[1] და წარჩინებულ იქმნა მჭედარნი მსახურნი გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა *M*, და წარჩინებულ ქმნნა მჭნედ მსახურნი და გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა *B*. [2] რვა *M* (აღრეულია ჩ [8] და ჩ [1000]). [3] ჭდილი *M*, ჯრდალი *B*. [4] თურამეტი *M* (აღრეულია ⳑⳏ [ი'ⳑ=18] და ⳑⳉ [იჩ = 10.000]). [5] ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გამორჩენია *A*-ს ex homoioteleuto. [6] ჭდილი *M*, ჯრდალი *B*. [7] ბონაქარან *M*, ბუნჭარ *B*. [8] ბალენდუნტ *B*, ბანდოხტ *M*. [9] პატრუცაგსა<*M*. [10] ვარან ხოსრო თანგისი *M*, ვარან ხვასრო თანგისა *B*. [11] აუწყა *B*, აუწყო *M*. [12] ვითარ ორას ათასი *B*, ორას და რვა *M* (აღრეულია ⳉⳍ [სჩ=200.000) და ⳉⳍ [სⳑ=208]). [13] სპათა *A*. [14] ორას ათასითა *B*, სუეთა *M* (აღრეულია ⳋ'ⳍ-Ⳓⳋ [200.000-თა] და ⳋⳎⳒⳋ [ს'ⳑ-თა]. [15] ჟმისათა *A*.

თა, და ძლიერი ძალითა[1], რომელ ჴურვილი ქუეითი იერემსა მიე-
წიის და დაიჭირის, ცხენი ჴურვილი აღიღის მჴართა ზედა და მცხე-
თით აღვიდის ციხესა არმაზისსა. და მარტო იყო ძე მამისა თუი-
სისა, და ერთი დაჲ[2] მისი ხუარანძეცა იყო ძლიერი, შუენიერი;
A 157 და ნათესავისაგან მირიან მეფისა მორწმუნისა ვახტანგ და დანი 5
მისნი დარჩომილ იყუნეს: იგინი იყუნეს ბაქარ მირიანის ძისა.

ხოლო მირია[ნ] და გრიგოლ იყუნეს ნათესავისა-
განრევის, მირიანის ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი და ცხორებ-
დეს რუსთავს ციხე-ქალაქსა: რამეთუ შემცირებულ იყუნეს ურთიერთას
კლვით[ა]. მირიან მეფისითგან[3] ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდა- 10
ცვალებულ იყო ნეთესავი რვა და მეფენი ათნი[4], და წელიწადი ას-
M 327 ორმოცდა შუიდი[5]; ხოლო ებისკოპოსნი წესსა ზედა ჴეშმარიტსა
გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შ[ე]მშლელნი წესისანი.

ჳ 169 | წარემართა ვახტანგ მეფე საბერძნეთად. და მიიწივნეს სომ-
ხითად, და მოერთნეს[6] პეროჟა-კაფას[7], სადა იგი ციხე ეგო პირველ 15
ჴსნებულ(ი)სა ფიაროზ[ს][8], ერისთავნი სომხითისანი: სივნელ[ი]
არევ, ასპურაგნელი ჯონბერ, ტაროვნელი ამაზასპ[9], შენებულისა-
გან[10], თრდატ, ნათესავისაგან დიდისა თერდატისა. და მოადგეს
ციხესა, რომელსა რქუიან კარხაპოლა[11], ხოლო აწ ეწოდების კარ-
ნუ ქალაქი. და ბრძოდეს მას, ხოლო ვერ შეუძლეს დაპყრობა: რა- 20
A 158 მეთუ იყო იგი | ზღუდითა მაღლითა სამითა. დაუტევნეს ორნი ერის-
თავნი, მჴედრითა თორმეტი ათასითა, ბრძოლად ქალაქისად.

წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჴრნა გზას
სამნი ქალაქნი: ანძორეთი, ეკლეცი, სციერი[12]. და მოადგეს ლაშ-
ქარნი პონტოს, ქალაქსა დიდსა ზღუის კიდესა; და ბრძოდეს სამ თუე, 25
და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კოსტანტინისა[13]. ხოლო
M 328 სპარსნი რომელთა | ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა, ჰკლვიდეს; ხო-
ლო ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითისათა და ყოველთა
სპარსთა, რათა არავის ჰკლვიდენ მოწესეთაგანსა, და რქუა მათ:
„მამის-მამა ჩემი, მირიან, ოდეს შემოჰყვა სპარსთ მეფესა, ძმისწულ- 30

---

[1] აქ *B* უმატებს: «რამეთუ სიმაღლე იყო მისი ათორმეტი ბრჭალი კაცისა» და იყო საზარელ და გოლიათი, და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა». [2] დაა *A*. [3] მეფისათგან *A*. [4] ნათესავი ათი და მეფენი რვანი *B*. [5] ასორმოცდა ჩუიდმეტი (ათშვიდმეტი *B*) *MB*. [6] და მოერთნეს <*A*. [7] პეროჟკაფსა *M*, პეროჟ-კაფარს *B*. [8] ფეროზს *MB*. [9] ამაზასპ < *A*. [10] გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან *MB*. [11] კარახპოლო *M*, კარახპოლი *B*. [12] და სტერი *M*, დასტერი *B*. [13] კოსტანტინესა *M*, კოსტატისა *B*.

სა თუისსა, ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესევითარსა უყოფდეს მო-
წესეთა, ეკლესიისა მსახურთა, და იძლივნეს ძლევითა ბოროტითა
ურიცხუნი სპანი მცირითა ლაშქრითა; მიერითგან მიიღეს საზღვა-
რი ესე ბერძენთა ჩუენ ქართველთაგან აღმოსავალით ზღუისა ამის.
„ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო ანძიან- 5
A 159 ძორს, სადა უკუე|აწ არს საფლავი დიდისა გრი|გოლი მოძღუ-
ჳ 170 რისა; მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი. ხოლო ჩუენ ათის დღისა სავა-
ლი[1] ჩამოგუიველია, ჩრდილოთ მოქცეულ ვართ, და ჩუენცა ვართ სჯულ-
სა ზედა ბერძენთასა აღმასრულებელ ქრისტესსა, რომელ არს ღმერ-
თი ჭეშმარიტი ყოველთა. ანუ არა გასმიან[ა] სასწაულნი, რომელ ქმნნეს 10
M 329 კოსტანტინ|ელთა მეფეთა წარძღომითა ჯუარისათა, ანუ რომელნი
ქუეყანასა ბერძენთასა იქმნნეს სასწაულნი ივლიანეს-ზე, მეკერპესა
მეფესა—ვითარ იგი ისარმან ზეცისამან მოკლა, და შეკრბეს სპანი
ბერძენთანი და ივბიმიანოს აჩუენეს მეფედ, ხოლო მან არა თავს
იდვა, ვიდრემდის არა და(ი)მუსრნეს კერპნი და აღმართნეს ჯუარნი, 15
და მას ზედა დაარქუეს გუირგუინი. ხოლო ანგელოზმან უფლისამან
აღიღო გუირგუინი[2] და დაადგა თავსა ივბიმიანოსსა, ჭეშმარიტისა
მეფისა, და ჳმა იყო ზეცით, რომელი ეტყოდა სპარსსა მეფესა
ხუასროთანგის: „დაეცადენით ბრძოლისაგან ივბიმიანოსისა, ძალი-
თა ჯუარისათა, უძლეველითა არს“. მიერითგან იქმნეს მოყუა- 20
A 160 რე[3] მეფე და ხუასრო, ვიდრემდის ორნივე მი-
ცვალნეს. ანუ თქუენ მკუიდრთა მაგათ სომხითისათა არბაკონი-
ანთა[4], პატიახშთა[5] ბივრიტიანთა, ბაგრატონიანთა[6], არა გაჴსოვსთა
საქმენი გრიგოლ პართველისანი და წინააღმდგომსა მისსა თრდატ
M 330 მეფისა არბაკონიანისა[7], ვითარ დასცა ზუაობისაგან და იქმნა იგი 25
ეშუად? არამედ გრიგოლ მოაქცია იგი და მიერითგან [იქმნა] იგი მუშაკ
ეკლესიისა. და ეკლესია დიდი აღაშენა ზურგით თუისით, რამეთუ
გმირი იყო. ხოლო თქუენ, მკუიდრნო ქართლისანო, ნათესავნო მე-
ფეთა ქართლისათანო, რომელნი დღეს მთავრობასა ზედა დადგი-
ნებულ ხართ ჩუენ, მეფეთაგან, რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ 30
გმირისანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყა-
ნასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებ-
და, კანჯართა და ქურციკთა ჭუეითი იპყრობდა: რამეთუ ეზომ
განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნა-

[1] სავალი < *A*. [2] ხოლო—გუირგუინი < *A*. [3] მეგობარ *MB*. [4] არშაკუნი-
ანთა *B*. [5] ბატახშთა *M*, პატიახთა *A*. [6] ბაგრატონიანთა < *MB*. [7] არშაკუნი-
ანისა *B*.

ბ 171 A 161 თესავნი | ნოესნი, ვიდრემდის[1] შეუძლო ქალაქი ქმნად, რომელ ქმნა ქვა, არამედ შექმნა ქვა ოქროდ, და ხარისხად ვეცხლი, გარემოს მისსა მოიქმოდა აგურითა და კირითა, ხოლო ქუდნი კართანი და სარკმელთანი იაკინთისა და ზურმუხტისანი შექმნა: რამეთუ მათისა
M 331 სინათლისაგან ვერ შეუძლებდა დაბნელებად ღამე. და ქმნა მას შინა ტაძრები და კოშკები, რომელ ვერ შესაძლებელ არს გაგონებად[2] თქუენდა, ვერ შესაძლებელ არს თუითოეული სიბრძნე მისი, რომელი მიეცა მას, ვიდრემდის აღმართა სამისა დღისა სავალსა, რომელი ექმნა აღსლვად[3] ხარისხად ზღუდეთა ზედა. და ნებებევდა, რათა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი. ვითარცა განვლო საზღვარი აერისა და შევიდა საზღვარსა ვარსკულავთასა, ვერღარა უძლებდეს საქმედ მოქმედნი, რამეთუ მუნით[4] დადნებოდა[5] ოქრო და ვეცხლი; რამეთუ მუნითგამო ვინმე არს ჴელმწიფება ცეცხლისა ეთერისა მისა, რომელ ეგზები[ს] მძაფრიად[6] სამყაროსა ქცევისაგან. ესმა მუნით საზრახავი შუიდთა გუნდთა ზეცისათა, რომე-
A 162 ლისაგან შესლბეს ადამიანნი. | და იქმნა ყოველი კაცი თუითო ნათესავითურთ მეტყუელ თუითო ენასა, და არღარა ერჩდეს ურთიერთას პირსა მოყუასისა თუისისა, და წარვიდეს. ხოლო ნებროთს ენითა სპარსულითა რქუა: „მე ვარ მიჰაელ ანგელოზი, რომელი
M 332 დადგინებულ ვარ ღმთრისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალით. გაველ შენ ქალაქით მაგით[7], რამეთუ ღმერთი დაჰფარავს ქალაქსა მაგას, ვიდრე გამოჩინებადმდე სამოთხისა, რომელ ესერა დგას მახლობელად ნაშენებისა მაგის შენისა, რომელსა შორის მთა ესე არს, რომლისაგან აღმოვალს მზე და გამოვლენ მისგან ორნი მდინარენი: ნილოსი და გეონი. რამეთუ ნილოსსა გამოაქუს სამოთხით სულნელი. და თივა, რომელი შეეზავების მუშკსა[8].

„აწ წარვედ შენდა დაჯედ ორსავე მდინარესა შორის, ევფრატსა და ჯილასა, განუტევენ ნათესავნი ესე, ვითარცა
ბ 172 ვინ ინებოს, რამეთუ | წარუვლინებიან უფალსა. ხოლო მეფობა შენი
A 163 მეფობდეს ყოველთა ზედა მეფეთა, არამედ ჴამთა უკანასკნელთა მოვიდეს მეუფე ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვა მისი, ერსა შორის შეურაცხსა; შიშმან მისმან განაქარვნის გმირნი[9] სოფლისანი, მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა. მაშინ გიხილოს ჰირსა შინა და გიჴსნეს ღმერთმან. და დაუტევეს ყოველ-
M 333 თა ქალაქი იგი და წარვიდეს[10]: ინდოურად[11] მზრახველნი—ინდო-

[1] ვითარმედ *A*. [2] და გონებად *A*. [3] აღსულვად *M*, აღსავალად *B*. [4] მუნით <*MB*. [5] დადნებოდა<*A*. [6] მძლაფრიად B, მზაფრად *M*. [7] მგით *A*. [8] მუშაკსა *AM*. [9] გემონი *MB*. [10] წარვიდეს *A*, დაუტევნა *MB*. [11] ჰინდურად *B*, ჰნდოურნი *M*.

ეთს, სინდნი—სინდეთს, რომნი—რომს, ბერძენნი—საბერძნეთს, აგ და მაგოგ—მაგოგეთს, სპარსნი—სპარსეთს. ხოლო პირველი ენა ასურებრიეი იყო, და ესენი იყუნეს შუიდნი ენანი რომელ ნებროთისამდე ზრახვიდეს. ამისთუის მოგითხრა, რომელი მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე, ხოლო მე შურმან საღმრთომან მაიძულა თქმად ამისსა. ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩემმან, მირიან, სახარება ნინოსი.

„ანუ არა ქრისტეს მოსულამდე მიიღებდეს მამანი ჩუენნი ხარკსა და მუნითგან მოუძლურდით, და ესერა, ბერძენნი მიღმართ ბრძვანან. და მან იხილა ნებროთ ჯოჯოხეთსა შინა და იჴსნა: იგი
A 164 არს პირველი ყოველთა მეფეთა, და დანიელცა ეწამების[1], ვითარმედ მიქაელ დადგინებულ არს ძალად სპარსთა. და თქუენ, ყოველთა ქართველთა, იხილენით[2] სასწაულნი, რომელ ქმნნა ნინო. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ბერძენნი განწირნა ღმერთმან. არა უმეტესნი ქუეყანანი სპარსთანი მათ შემუსრნეს და[3] მათ შემოურთევან,
M 334 და დღეს მ|ეექუსე თუე არს, რათგან ისმა ჴმა ლაშქრობისა ჩემისა[4]; ქცეულ არს კეისარი, რამეთუ ასმიეს შემოსულა ჩუენი, მოახლებულ არს ბრძოლად ჩუენდა. აწ უკუე ყოველნი ნათესავნი უფალსა ღმერთსა მსახურებდით და დასცხერით ვნებათაგან ეკლესიისათა“.

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა, განავლინა ქადაგი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდენ სამალავთაგან, და ტყუენი განუტევნენ, და სადაცა ენებოს წარვიდენ. და გამოვიდა სიმრავლე
B 173 მღ|დელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ენკრატისთა, ქუაბებით და მთათაგან[5], და უმრავლესნი პონტოთ ქალაქით, რამეთუ შეიწრებულ იყო ოთხ თუე ოდენ ქალაქი იგი.

A 165 და მათ თანა იყუნეს | ორნი კაცნი: პეტრე მღდელი, მოწაფეთაგან გრიგოლი ღმრთის-მეტყუელისათა, რამეთუ საფლავსა მისსა ზედა მღდელობდა, და სამოელ მონაზონი. წარდგეს წინაშე ვახტანგისსა მადლისა მიცემად განტევებისათუის ტყუეთასა და განთავი-
M 335 სუფლებისათუის ეკლესიათასა [და] მღდელთასა. და ვითარცა წ|არმოთქუეს ლოცვა, სთნდა მეფესა, მოიხილნა იგინი და უბრძანა შემოსად ყოველთა ტყუეთა და მოწესეთა, განტევებულთა მისგან უძლურთა, რამეთუ ყოველნი უძლურნი ქალაქით გამოსრულ[6] იყუნეს; უძლურთა[7]

---

[1] ეწამების < *A*. [2] და თქუან ყოველმან ქართლმან იხილენით *M*, და თქვენ ქართველმან არა ვიხილენითა *B*. [3] მათ შემუსრნეს და<*MB*. [4] ჩუენისა *MB*. [5] ქუაბებთა და მთათაგან *M*, ქვაბებით და მთათაგან *B*, და <*A*. [6] შემოსრულ *M*. [7] რამეთუ—უძლურთა < *A* (ex homoioteleuto).

მისცა საჭედრები და ჭაბუკთა სამ-სამი დრაჰკანი, და განუტევნა. ხოლო პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი მის თანა დაიჭირნა. და ვითარ წარვიდეს სპანი იგი კარვად თუისად, მეფე შევიდა სერობად. რქუა მეფემან პეტრეს: „სთნდამცა ღმერთსა საქმე ჩემი ესე, რამეთუ დავიცვენ ეკლესიანი და განუტევენ ტყუენი“. რქუა პეტრე: „იტყოდეს მონა შენი კადნიერად წინაშე შენსა, ანუ მიგცემდე ქებასა სიცრუვისასა“. რქუა: „იტყოდე, რამეთუ არას ვეძიებ, გარნა მხილებასა, რათა განვერო სიცრუვისაგან“. რქუა პეტ-
A 166 რე: „ეკლესიანი ჴორცთანი[1] უფროს არიან | წინაშე ღმრთისა, ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესია ქვათა ოდესმე დაირღუის და აღაშენიან მითვე ქვითა, ხოლო ეკლესია ჴორცთა ოდეს დაირღუის, ვერვინ შემძლებელ[2] არს განკურნებად, ვერცა მკურ-
M 336 ნალი, ვერცა მეფე. აწ რა|ოდენნი გუამნი კაცთა მართალთანი დაგიცემიან, რომელსა იტყუის სისხლისათუის აბელისსა, რამეთუ ყოველი სისხლი ნოეს რღუ(ი)ნითგან განიწმიდა; და სისხლისათუის ზაქარიასსა, ძისა ბარუქისა, მიუგო შეურაცხება ურიათა, ვითარცა იტყუის ესაია, აღაღე და წარწყმიდე ყოველი წული მათი ტიტოს და სპასიანოს მიერ. ანუ არა აღმოგიკითხავსა წიგნთაგან მოსესთა, რაჟამს ისრაიტელმან ისიძვა უცხოსა თესლსა თანა, რაოდენი სუ-
ჰ 174 ლი | მოკუდა ერთისა მისთუის სიძვისა. აწ უკუე სპათა შენთაგან რაოდენნი ქალწულნი გახრწნილ არიან, ტაძარნი ღმრთისანი“. რქუა მეფემან: „არა უწყია, ვითარ იგი ივბიმიანოს დაცვისათუის ეკლესიათასა იყო ივლიანეს თანა უკეთურისა,
A 167 თუ დაბრკოლდეს კაცი უმჯობეს არს სრულიედ დაცემა“. რქუა პეტრე: „არა დაბრკოლებულსა დაგცემ, არამედ დაცემულსა აღგადგინებ, ვითარცა დავით საცთურისაგან ურიასსა. და არა მნებავს შენი, რათა არა იყო ვითარცა კაცი, რომელი მარჯუენით იქმ(ე)ნ
M 337 |და მარცხენით არღუევ(ე)ნ; და არცა ვითარცა რომელნი პირითა მათითა აკურთხევენ და გულითა მათითა სწყევენ და აგინებდენ, არამედ ვითარცა მეფენი იგი კეთილად ჴსენებულნი, რომელთა დაიპყრეს სოფელი ესე და სასუფეველსა არა განეშორნეს: დავით, სოლომონ და კოსტანტინე, ივბიმიანოს და ყოველნი მსგავსნი მათნი. ხოლო რა[3] არს მსგავსება შენი ივბიმიანოსისა და ვინ არს შენ ზედა უფალ, რომელმცა[4] ჴრმალი იყო მისი კისერსა შენსა ზედა, ვითარცა იგი ივბიმიანოსსა ივლიანესი. ანუ სადა გეენოს შენ ვითარცა ივბიმიანოს ივლიანესგან, ანუ ვის ხედავს ღმერთი, რო-

[1] ჴორცთა *A*. [2] შემძლებელ შემძლებელ *A*. [3] რა *AM*, არა *B*. [4] რომელმანცა *MB*.

მელი შენ ზედა უფალ ყო[1], და ჰქონდამცა პასუხი შენსა სიმართლესა წინაშე ღმრთისა. არა უკუე შენ უფალ ამათ ყოველთა ზედა, შენ
A 168 შეგიდგან | ყოველნი. ამიერ[ი]თგან ითხოვოს ღმერთმან ყოველი ჴელთაგან შენთა საქმე ბოროტისა; არა თუ შეინანო, შენ მიგაგ(ა)ოს.

რქუა მეფემან: „მენება განმართლება თავისა ჩემისა, ხოლო სიმართლით შენ დამსაჯე უმსჯავროებასა ჩემსა“.
M 338 რქუა პეტრე: „ვინათგან გზა ეც შეწამებად, | ცოდვასა განეშორა შენგან. ხოლო აწ გითხრა გულის-სიტყუა შენი: არა უმეცრებამან აღგძრა ბრძოლად ძეთა ზედა ღმრთისათა, არამედ შუელისათუის ნათესავისა შენისა სპარსთასა. და არა უწყია რამეთუ ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან აღთქმისა მისთუის, რაჟამს უწოდა მათ
ჰ 175 შვილად ღმრთი|სა, და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შემუსრა ჯოჯოხეთი?“

რქუა მას მეფემან: „აწ რა გნებავს შენ? რქუა პეტრე: „მნებავს, რათა შენ მიერ აღგზებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა“. მიუგო მეფემან: „ესე მნებავს, რათა მიჩუენოთ ლოცვითა თქუენითა ამას ღამესა მე და კეისარი შეკრე-
A 169 ბულნი, და რომელი ზრახვად არს ჩუენდა შორის სიყუარულ|ისა ყოფა, და ვცნა მე, ვითარმედ სთნავს ქრისტესა ზრახება ესე შენი ჩუენდა მომართ“. რქუა პეტრე: „დამძიმდა თხოვა შენი ჩემ ზედა, რამეთუ ესე არს კაცთა რჩეულთა, რომელ არიან ვითარცა ანგე-
M 339 ლოზნი სრულითა საქ|მითა, და არიან ამათ კლდეთა შინა და ესევითარი მათგან ეგების საქმედ, რომელსა შენ ითხოვ. მეც მე დრო, რათა წარვიდე, და ვეუედრო მათ, და უთხრა ბრძანება შენი, და ლოცვითა მათითა აღესრულოს განზრახვა შენი; არამედ შეურაცხ გუიჩნს თავი ჩუენი, რამეთუ კაცნი ვართ ცოდვილნი, ნუ უკუე სილაღედ იხილოს ღმერთმან“. შერისხნა მას სამოელ მონაზონმან და რქუა: „მღდელო, საქმესა ღმთრისასა ვითარცა კაცთასა ზრახავ. ანუ არა აღმოგიკითხავსა, ვითარ ეტყუის ღმერთი პასტინეს კარტოს[2]. უკეთუმცა არა დაბრკოლდებოდეს ანგელოზნი კაცთა სათნოებისათუის[3], ყოველთამცა ქალაქთა შინა ჯუარსა ვეცუი[4], რათა ყოველნი ვაცხოვნე. ანუ-მე უფროს არს აქაბ, მეფე ისრაელისა, მეფესა ქრის-
A 170 ტიანეთასა, რომელსა ეტყუის ესაია: | „ითხოვე[5] სასწაული სიმაღლედ, ანუ სიღრმედ, და მისთუის თქუა: მიუდგეს ქალ-

---

[1] იყო *M*, იყოს *B*. [2] პალეკარპოს *M*, პალეკარტოსს *B*. [3] სათნოებისა *A*. [4] ეცუი *A*. [5] ითხოვე ითხოვე *A*.

წული. ანუ ვინ რქუა ისრაიტელსა: რაცა ითხოვო სახელითა ჩემითა, მოგეცეს[1]. იესო რქუა სამყაროსა ცისასა: „მოიქეც“; და სამსა
M 340 ჴდესა მოიქცა | იგი. აწ სიტყუა სიმდაბლისა შენისა კეთილ არს, პეტრე, არამედ საბრკოლებელ არს მცირედ მორწმუნეთა კაცთა. ხოლო შენ, მეფეო, მწირედ[2] შეგუეწიე სარწმუნოებით, რამეთუ
ჰ 176 ლოცვამან ჰირველისა ამის ქალაქისამან ყოს ნება შენი“. | და წარვიდეს წმიდანი იგი სადგურად თუისად.

ხოლო მეფემან მყოვარ-ჟამ ილოცა და დაწვა; და მირულებასა შინა მისსა, აჰა, მოვიდა დედაკაცი იგი, რომელ იყო წმიდა ნინო, და რქუა: „აღდეგ, მეფეო, და განკრძალულად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა[3] და ქუეყანისანი მოვლენ შენდა“. რეცა მიხედნა და იხილა პირველ სახე ქალაქისა[4], ვითარმედ არს კოსტანტინესი, მიიწია იგი სწრაფით და იხილნა ორნი საყდარნი: ერთსა ზედა მჯდომარე ჰაბუკი, საჭურველითა, გუირგუინოსანი, და მეორეთა საყდართა იხილა მოხუცებული,
A 171 მჯდომარე ზეწრი|(ი)თა სპეტაკითა, და თავსა ზედა ედგა გუირგუინი არა ოქროსა, და ფერჴთა მისთა თანა ჯდა ნინო, და ჴელი ვახტანგისი მარჯუენა ეპყრა პეტრეს მღდელსა და მარცხენა სამოელს
M 341 მო|ნაზონსა. და რქუა სამოელ: „შეუვრდი პირველად დიდსა ამას მთავარსა ზეცისასა გრიგოლის“. მივიდა და თაყუანის-სცა და რქუა გრიგოლი: „რა ესე ჰყავ, კაცო, ბოროტი, რამეთუ მოაოჴრე ბაკი[5] ჩემი და მჴეცთა შეაჭამენ საცხოვარნი ჩემნი. უკეთუმცა ორნი ეგე არა, რომელნი გუერდით გიდგან, და[6] დედაკაცისა ამისთუის საფთნოსა, რომელი მარადის იღუწის მარიამის თანა თქუენთუის[7], შურ ვიგემცა შენგან, ვითარცა მამათა შენთაგან, რომელნი ესვიდეს ცეცხლსა შემწველსა, არა ბრწყინვალებასა განმანათლებელსა ყოველთასა“.

მისცა ჴელი და ამბორს უყო, რეცა და მიყო ჴელი გუირგუინისა ნათლისასა, და ეგევითარიე გუირგუინი მისცა ვახტანგს და რქუა: „არქუ[8] პეტრეს“. და აღიღო პეტრე მისვე გუირგუინისაგან
A 172 რეცა უდარესი, დარქუა სა|მოელს მონაზონსა; და რქუა ნინო ვახტანგს: „აწ უკუე მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი“. მივიდა მეფისა, და ამბორს უყვეს ურთიერთას, და ადგილ სცა საყდართა
M 342 თუისთა და დაისუა იგი თანა. და მისცა ბეჭედი ჴელ|ისა მისისაგან, რომელსა იყო თუალი ფრიად ნათელი, და რქუა კეისარმან: „უკე-

---

[1] მოგცეს *A*. [2] მცირედ *MB*. [3] ცეცისა *A*. [4] ჭალისა *B*. [5] ბანაკი *MB*. [6] და < *A*. [7] მარიამისთუის *M*, მამისა თანა თქვენთჳს *B*. [8] და არჭუ *M*, დაარქჳ *B*.

თუ ვნებავს, რათა მოგცე გუირგუინი, აღუთქუ[1]: ვინ[2] ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ძრძოლის მტერთა ჩუენთა, მიიღე მისგან გუირგუინი“.

მიეახლა[3] ვახტანგ და იხილა ჯუარი, რომელსა ფრთეთა ზედა მისთა აქუნდა გუირგუინი, და უმეტესად ხილვამან ჯუარისამან დასცა შეძრწუნებული, რამეთუ უსაშინელეს იყო ზარი მისი და დადუმნა. ხოლო | აღდგა ნინო, და მიხედნა პეტრეს კერძო და სამოელს, ერთითა პირითა თქუეს: „ჩუენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტესად ყოველთასა წარემართოს, ჯ ჯუარო უძლეველო“. და მიჰყო ჴელი კეისარმან, მოიღო გუირგუინი ჯუარისაგან, და დაარქუა გუირგუინი იგი ვახტანგს თავსა. და იწყეს გამოსლვად. ჴმა ყო ებისკოპოსმან სამგზის და თქუა: „ვახტანგ, ვახA 173 ტანგ! | უმეტეს მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავთა სპარსთასა; მეორედ, შენგან[4] აღეშენნენ ეკლესიანი, და განეწესნენ M 343 ებისკოპოზნი და ები|სკოპოზთ-მთავარნი; მესამედ, გუირგუინიცა წამებისა მიიღო“. გამოვიდა და მოუწოდა ძილსაე შინა პეტრეს და სამოელს; უთხრობდა ძილსაე შინა ჩუენებასა, და იგინი აღუჴსნიდეს: „რომელი იხილე საყდართა ზედა გუირგუინოსანი ნათლითა, იგი არს დიდი მღდელთ-მოძღუარი გრიგოლ, და მან რომელ მომცა[გუირგუინისა მისგან, მომცა][5] მე ებისკოპო-[სობა,] და მე რომელ მიეც გუირგუინისა ჩემისაგან მოყუასსა ჩემსა, ჩემ მიერ ყოფად არს ებისკოპოზად; და რომელ ნახე გუირგუინითა ოქროსათა ჭურვილი, იგი არს კეისარი; და რომელ მოგცა შენ ბეჭედი, მოგცეს შენ ასული ცოლად, და ყოველი საზღვარი ქართლისა მისგან უკუმოღებული მოგცეს; ხოლო გუირგუინი ჯუარისაგან რომელი[6] მოგცა, ვრცელნი ღუაწლნი გარდაიჴადნე შეწევნითა ჯუარისათა; ხოლო მოძღუარმან ჩემმან რომელ სამგზის გიჴმო, სამნი ნიშნი გითხოვნა ღმრთისაგან, რათა შენ მიერ პეშმარიტება დაA 174 ემტკიცოს ქარ|თლისა კათალიკოზთაგან [და] ებისკოპოზთა, და სძლევM 344 დე მ|ტერთა ვიდრე დღემდე აღსრულებისა შენისა. ხოლო აღსრულებასა შენსა გუირგუინი წამებისა მიიღო ბრძოლასა შინა, ჴელთა მტერისათა არ შევარდე[7]. ესე ყოველი აღესრულოს ვიდრე მოუძლურებად შენდა და სიბერედმდე“.

ვითარცა განიღუიძა მეფემან, მ|ადლობდა ღმერთსა, რომელმან ყოველივე[8] გამოუცხადა, და მოუწოდა მსწრაფლ პეტრეს და სამოელს და რქუა: „რა იხილეთ“? ხოლო მათ

[1] აღუთქუა *A*. [2] ვითარ *MB*. [3] მიიხილა *M*, მოიხილა *B*. [4] აშენგან *A*. [5] გუირგუინისა მისგან, მომცა < *A* (ex homoioteleuto). [6] რომელი < *A*. [7] შეჰვედრე *M*. [8] ყოველთავე *A*

Ჰ 178 რქუეს: „იტყოდე | მეფე! ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით
ვდეგით, რაჟამს საყდართა მსხდომარეთა წინაშე კეისრისა და
ღმრთივ-გამომეტყუელისა სდეგ, და კუალად იგივე დედოფალი
ჩუენი დაამშუიდებდა მოძღუარსა მას განძუინებულსა შენ ზედა, და
მიგცემდა შენ ჴელთა მისთა“. და რქუა მათ მეფემან: „დუმენით, წმი- 5
დანო, რამეთუ ყოველივე ჩემ თანა გიხილავს; აწ ვითარ გნებავს
თქუენ ქალაქისა ამის საქმე, რომელი შემუსრვად მიწევნულ არს,
A 175 ანუ რა ვყოთ ტყუეთა ამათთუის, რომელი უმეტეს არს ბევრი ათა-
M 345 სისა, რომელ არს ჴელთა ჩუენთა. აწ უკუე სწ|რაფით განვიდეს
ჩუენგან აქათ ქადაგი, ვითარმედ სპარსთა (ქადაგი) მეფე წარმომარ- 10
თებულ არს ქუეყანად ჯაზირეთად, და გამოვლეს ფილისტიმი
კუალსა მეფისა კეისრისასა, რამეთუ მოაოჴრა ქუეყანა სპარსთა, და
სპარსთა მეფემან ვერ უძლო ბრძოლად. და კეისარმან ვითარ-
ცა ცნა, ვითარმედ ჩუენ მოვედით ქუეყანასა მათსა,
მოისწრაფის ბრძოლად ჩუენდა [და ვხედავთ[1] რეცა სპარსთა მეფე 15
მოვალს ძალად ჩუენდა][2] და ვიცით, ვითარმედ სპანი სპარსთანი სომ-
ხითისა და[3] ქართლისა სპათა უმრავლეს არიან, არავინ არს ჩუენ
შორის ჴეშმარიტად მორწმუნე, რომელნი დანერგნა მამამან ჩუენმან
მირიან, გინა თრდატ, დედით ნათესავმან ჩუენმან; აჳა ამა ყოველთა
სარწმუნოება ვიცით, რამეთუ საკსე არს საცთურითა. ნუ უკუე გა- 20
მოცხადებითა საქმისა ჩემისათა განწყრეს დედის ძმა ჩემი, და ვეწ-
ყუნეთ ურთიერთსა და ვიქმნეთ საცინელ ყოველთა ზედა მტერთა
A 176 ჩუენთა; არამედ ესრეთ ვყო, რეცა მივიდენ სპანი ჩუენნი | და მაუწ-
M 346 ყონ ჩუენ მოსლვა კეისრისა და მას ზედა უკუვრიდოთ ჩუენ. | პირ-
ველვე ესე საქმე ვაუწყოთ ჩუენ: ოდეს მოვიდეს და მოგუეახლოს[4] 25
ჩუენ კეისარი, მაშინ ვითარცა იზრახოს სიწმიდემან თქუენმან, ეგრე
ვყო და არცა ერთი ტყუეთაგანი მისთა დააკლდეს“.

და წარვიდა პეტრე კეისრისა[5], ხოლო სამოელ
დადგა წინაშე მეფისა. ხოლო ხვალისა დღე მოვიდა რეცა
დიასპანი და უქადაგა მეფესა, ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემო- 30
Ჰ 179 ვიდეს კოსტანტინეპოლედ[6]. | მოუწოდა მეფემან დედის ძმასა თუისსა
და ყოველთა მეფეთა და რქუა: „რომელსა იტყუით, რამეთუ უწყით
სიმრავლე სპათა ბერძენთა და ვერაგობა წყობისა მათისა და სიმარ-
ჯუე ზღუათა შინა ნავებითა. ესერა შევიდეს იგინი სპარსეთის ქუე-
ყანასა გმირთა და გოლიათთასა, და მათ ვერ უძლეს წყობად.

---

[1] ვხედავთ < *M.* [2] < *A* (ex homoioteleuto). [3] და < *A.* [4] გუიხილოს *A*, მოგუახლოს *M*, დაგვეახლოს *B.* [5] კეისრისასა *A.* [6] კოსტანტი პოლედ *A.*

აწ მეშინის, ნუ უკუე სპანი ნაეებითა მოვიდენ, და შეიპყრან გზა ჩუენი, და მოგუწყუიდნენ ჩუენ ვითარცა ბაკსა შინა. აღვდგეთ აქათ და დავიბანაკოთ ზღუისა[1] სომხეთით[2]
A 177 კერძო, რათა გუაქ|უნდეს გზა ჰირსა და ლხინსა[3]. აღიყარა[4] ლაშ-
M 347 ქარი გარემოს ქალაქისა; და ვლეს ხუთისა დღ|ისა სავალი სომხე- 5
თით[5] კერძო, და დადგეს[6] სპერით კერძო, და განვიდეს მყოფნი ქალაქისანი, მიწევნულნი სიკუდილად, და მისცეს მადლი ვახტანგს, მიართუეს ძღუენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თავი სტავრა, და განვიდა ერი იგი მშუიდობით სავაჭროსაგან. ხოლო ვითარცა მივიდა პეტრე წინაშე კეისრისა[7] და უთხრა ყოველი იგი, განიხარა 10
კეისარმან ფრიად; ყოველი, რომელი ეხილვა ჩუენებასა შინა, მისცა მას ზედა ნება ვახტანგს, და წარმოავლინა პეტრე მღდელი, და მოუმცნო აღთქმითა და ფიცითა ძლიერითა, რომელი[8] სწორ იყო მეფობისა მისისა. არამედ ორთაეე სპათა დასცნენ სპარსნი, რომელნი იყუნეს ვახტანგის თანა, არა აღვიდენ საბრძანებელთა მათ- 15
თაგან, ოდეს შეკრბენ ვახტანგ და იგი; ხოლო ვიდრე პეტრე[9] და მოციქულნი მოვიდოდეს ვახტანგისსა, კეისარი შემოვიდა კოსტანტინეპოლედ[10] და წარმოავლინა ხუთასი დრომონი, რომელსა
M 348 შინა ისხდა ხუთას-ხუთასი კაცი, და უბრძანა, რათა მ|იეახლნენ ვა-
A 178 ხტან|[გ]ს და დადგენ თუინიერ ბრძოლისა. და წარმოემართა კეისარი 20
გზასა პონტოსასა რვაასი ათასითა.

და ვითარცა მოეახლნეს სპანი იგი ზღუით, უნდა წყობა მათი სპარსთა, ხოლო მეფე აყენებდა და არა მიუშუნა ბრძოლად. ხოლო ვითარცა შეართუეს ძღუენი მოციქულმან კეისრისამან და პეტრე, ჰქონდა სიტყუა საიდუმლო და კუალად ჰქონდა 25
სიტყუა საერო, და თქუა ცხადად, ვითარმედ: „ნუ ივლტი, დადეგ ვიდრე ჩემად მოსულამდე, რათა რომელნი ეგე შენ თანა არიან
} 180 სპარსნი, რომელ|ნი დაგუირჩეს შესლვასა ამას ჩუენსა სპარსეთად მოუწყუედელნი, მოვსწყუიდენით იგინიცა.

საიდუმლოდ მოართუეს მას ჯუარი და გუირგუინი შუამდგომელად, და შესამოსელი ტანისა მისისა, და თქუა: „რა შეკრბეთ ერთად[11], მიგცე ციხე თუხარისი[12] და საზღვარნი ქართლისანი“. ხოლო მისცა ვახტანგ მეფემან პასუხი საეროდ,

---

[1] ზღუასა *MB*. [2] სომხითით *B*, სამხრით *M*. [3] ღხინსა *A*. [4] აღიყარა *B*, აღყარა *M*, აღიპყრა *A*. [5] სომხითით *B*, სამხრით *M*. [6] დაგეს *A*. [7] კისრისა *A*. [8] რათა *MB*. [9] პეტრე < *A*. [10] კოსტანტინედ *MB*, კოსტანტიპოლედ *A*. [11] შეეკრბეთ *B*. შევკრბე *M*, შეკრბეთ ერთად *A*. [12] თუხარასი *A*, თუხარისისა *MB*.

ვითარმედ: „არა რომლისა მიზეზისათუის მოვედით აქა, გარნა წყო-
ბისათუის; აწ მოვედით აქა, თორა[1] ჩუენ მოვიდეთ კოსტანტინედ“[2].
M 349 და ფარულად ამცნო და რქუა: „რომელი არა შუენის შენსა ღმრთის-
A 179 მოყუა|რებასა, რომელი არა ჰყოთ, სხუასა ნუ[3] აწუევ, რამეთუ ღა-
დრობა[4] არა ჴელი არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ შენ მიგცნე
სპარსნი, არა უკუნისამდე[5] განცრუენეს სახელი ჩემი[6], და უმეტეს
ჩუენსა მრავალთა მათგანთა აქუს სიყუარული ქრისტესი, არამედ
შიშისაგან ვერ გამოაცხადებენ. აწ ბრძანე, რათა საქმე ესე ჩუენი
მშუიდობით ვყოთ, ვითარცა ივბიმიანოს და ყოველთა სპარსთა“.
ხოლო შემდგომად ამისსა, რაჟამს გაწყდეს საქმე ჩუენი, უმარჯუე-
სადრე შევყარნეთ იგინი ჴელსა შენსა, და ნუმცარა იქმნების საქმე
უშუერი, და ნუცა საქმე შფოთისა შენ მიერ, რათა არა დაეცნენ პირითა
მახუილისათა ერნი თქუენნი; რამეთუ ერნი თქუენნი გან-
ლაღებულ არიან ჯოგბნასა ზედა სპარსთასა. ხოლო სპარს-
ნი არაეე შეშინებულ არიან, არამედ შურითა თქუენითა წადიერ
არიან წყობასა: ანუმცა მოკუდეს, ანუმცა იძიეს შური სისხლთა
M 350 მათთა, ხოლო სპანი ესე შენნი მოღმა|რთ მბრძვანან[7], მემცა უბრა-
ლო ვარ“. და წარვიდა მის თანა მოციქულად ვარაზ-მირ, მამაცძუ-
A 180 ძისა მისისა ძმა, | და სამოელ მონაზონი. ხოლო კეისარი მოწევნულ
იყო პონტოდ ქალაქსა, და პონტოელნი გამოსრულ იყუნეს მიგებე-
ბად, და შეასხმიდეს მეფესა ქებასა და ვახტანგ მეფისა მადლო-
ბასა, რამეთუ უკურიდა[8] მათ და არა მისცნა იგინი სიკუდილად.
ვითარცა მიიწიენეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი ქალაქად, მი-
ართუეს[9] ძღუენი ათასი მუთაკალი[10] მუშკი, და ხუთასი ამბარი, და
ათასი ლიტრა ალვა. და განსრულ იყო გუნდი ვახტანგისი ალაფო-
ჯ 181 ბად[11]. და მიეტევნეს მათ | მკუირცხნი ბერძენთანი, და მათ თანა შეკ-
რებულთა ჴევთა და ქალაქთა მჴედარნი ვითარ სამასი ათასი.
ხოლო ვახტანგ მეფე აყენებდა მიძულებად სპათა[12]
მათ მეალაფეთასა[13], ვიდრე არა მოვიდა დედის ძმა მისი, ერისთავი
სპარსთა, და რისხვით რქუა ვახტანგს: „ჭი გუელო და ნაშობო ასპიტი-
M 351 საო, არა უწყია | ივბიმიანოსისა[14], და გძლო შენ ბუნებამან მამის(ა და)
დედისა შენისამან, და სიყუარული ჯუარცმულისა მის კაცის მომკუდა-
რისა გიპყრიეს, და გნებავს შეყენება ჩუენი ჴელსა ბერძენთასა“. მაშინ

---

[1] თორა *A*, თუ არა *MB*. [2] კოსტანტინეპოლედ *MB*. [3] ანუ *A*. [4] იადრობა *A* (აღრეულია ⅂ და Π). [5] უკუე *MB*. [6] ჩემსა *A*, შენი *M*. [7] ჰბრძოდენ *M*, ჰბრძოდიან *B*. [8] უკუირდა *AM*. [9] მართუეს *A*. [10] მოღაკლი *M*, მუტკალი *B*. [11] ლაფობად *A*. [12] სპარსთა *A*. [13] მეალაფეთა *MB*, მელაფეთასა *A*. [14] არა უწყია, რამეთუ დედა მამისა შენისა ბერძენი იყო, ნათესავი იბიმიანოზისა (ივბიმიანოზისი *B*) *MB*.

ვახტანგ რქუა: „აჰა, დღეს შენ და ბერძენნი, და იხილო ძალი მო-
A 181 მკუდრისა მის კაცისა | და ცეცხლისა მის სასოსა შენისა“. და სცეს საყურრსა და განვიდეს ყოველი სომხითი[1], სპარსნი და მეფე დარუბანდისა; ხოლო ვახტანგ განვიდა ხედვად და ქართველნი დადგეს, და აღჯდა მეფე პილოსა თეთრსა, და ეწყვნეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვიშისა[2]. მისულამდე სპარსთა ლაშქრისა მოეკლა ოცდაშუიდი ათასი ბერძენთა ერისა მისგან, და განძლიერდა ბრძოლა და მოკლეს დედის ძმა ვახტანგისი, ერისთავი რანისა[3]. მოკლეს იპაჯა[ჯ], (და) მეფე ლეკთა, და მრავალნი ერის-მთავარნი, და იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა. იყო ბერძენთა ზედა სპასალარი პალეკარტოს ლოღოთელი[4], დისწული მეფისა; და იყო იგი ძლიერი, და მას მოეკლნეს ძლიერად მბრძოლნი სპარსთანი, და ესეცა ერისთავი მანვე მოკლა. მაშინ გარდამოჯდა მეფე ვახტანგ ეტლთაგან და თქუა: „არა რომელი ჩუენ გუი-
M 352 ჩნდა[5], არამედ რომელ ღმერთსა სთნდა, რამეთუ ჩუენ ვიტყოდ|ით მშუიდობასა, არამედ სილაღემან სპარსთამან აგინა ღმერთსა, და
A 182 მოკლეს ერისთავი რანისა, რომლისა|თუის ყოველი სპარსეთი ვითარცა მოოჴრებასა სპარსეთისასა იგლოვს. აწ დამდაბლდა სილა-
ჯ 182 ღე სპარსთა, მოიყვანეთ ჯუარი და წარვიძღუანოთ, | რათა რომლითა გუძლევენ, მითვე იძლივნენ, და იქმნენით ძენათლისა და ნუვინ ბრძავთ[6] ურთიერთსა სხუისა მიერ; და ნუ ეძიებთ ძლევასა მტერთასა, არამედ იყუნენ ჴელნი თქუენნი ვითარცა ჴელნი ჩემნი, რათა არა ვიძლივნეთ სრულიად. არა ხოლო თუ აქათ ვიდევნენეთ[7], არამედ ვიდრე არდაბადგანამდე, ვითარცა იდევნ(ნ)იან ყორანნი მართუეთაგან თუისთა“. და მოიყვანა პეტრე მღდელმან ჯუარი, და რქუა მეფემან: „დადეგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, და არქუი ყოველთა: თაყუანის ეცით ჯუარსა, რათა ვსძლოთ“. და უბრძანა დემეტრეს, ერისთავსა თუისსა, და ჯონბერს[8], სპასპეტსა თუისსა, რათა მიყვენ[9] ჯუარსა თანა, (და რომელმან არა თაყუანის-სცეს, მოკალთ)[10] და ქადაგი ჴმობდა ძლიე-
M 353 რად: „რომ|ელმან არა თაყუანის-სცეს ჯუარსა, მოკუედინ“. და მივიდოდეს ყოველნი, თაყუანის-სცემდეს და დადგებოდეს წინაშე
A 183 ჯუარსა. ხოლო ბორ|ზო მოვაკანელმან მეფემან თქუა: „არა დაუტეობ ნათელსა შემწეელსა და არა თაყუანის-ვსცემ ძელსა ...[11] რომელნი

[1] სომხეთი *A*. [2] ხერთვისისა *B*, ხერთუისსა *M*. [3] სპარსთა *MB*. [4] პალეკარპოს ლეოღოთელი *M*. [5] გვინდა *MB*. [6] ბაძავთ *A*, ებრძავთ *B*. [7] ვიდევნენით *M*, ვდევნნეთ *B*. [8] ჯუნბერსა *M*, ჯუანშერს *B*. [9] მყვენ *A*. [10] ეს განმეორებაა ქადაგის ქვემომყვანილი სიტყვისა; ასევეა *M*-ში. [11] აქ *A*-ში ერთი სიტყვის ადგილია დატოვებული; *M*: მშმილსა, *B*: მაშმელსა.

განშუენებულ არიან ოქროთა და ანთრაკითა“. და სცა მას ლახუარი ჯონბერ[1] სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარავინ იკადრა გმობად ჯუარისა, და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს: „უკეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუარი, არღარა იყოს ჩუენდა სხუა ღმერთი გარნა ჯუარცმული“.

და გარდაჴდა მეფე, თაყუანის-სცა, და ყოველი იგი ერი მის თანა. და თქუა მეფემან: „აჩუენე ძალი შენი ერსა ამას შენსა ურწმუნოსა, რათა მოიყვანნე[2] სარწმუნოებად, უფალო ღმერთო; დაღაცათუ მოკუდენ მორწმუნენი შენნი, ცხოველ არიან; და ცხოველნი შენ ცხოველისა მიერ არიან[3] ძლიერ“. და სპანი იგი ბერძენთანი გამოვიდეს ველად. ხოლო პალეკარტოს[4] ვითარცა
M 354 მგელი აღმოსურილი სისხლითა და | ლომი განძუინებული მოიზახდა,
A 184 და შეურაცხ-ჰყოფდა სპათა. ხოლო მეფემან რქუა: „ვინ არს თქუენ შორის, რომელი ეწყოს იმას და სწორ იყოს მეფობისა ჩემისა“. წავლო ქადაგმან ორგზის და ვერვინ იკადრა ყოვლად სიტყუად.
ჯ 183 მაშინ[5] თქუა ვახტანგ: „არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან[6] მოსცეს ძალი. მე ვესავ ძალსა შენსა, და ვითარცა დავით განვლო[7] ნიშითა ჯუარისათა; მომეც ძალი ვითარცა დავითს გოლიათსა ზედა, რამეთუ ესეცა მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუჴდა ჯუარსა შენსა; რაჟამს იხილა ჯუარი შენი აღმართებული ძალად ჩუენდა, არა ივლტოდა მისგან, არამედ სასოებითა მისითა მოვალს“. და განემზადა ვახტანგ ბრძოლად და თქუა: „იხილი ღმერთო, ამპარტავანი და დაამდაბლი; ჴუალად იხილი ჰირვეული და ივსნი. ხოლო ისი შეურაცხ მიჩნს და არა მეშინის; ძალისა შენ მიერ მოცემულისა დიდ არს, რომლითა ვსძლო, არამედ მეშინიან მე შენგან, რამეთუ მდაბალთა ჴმანი ისმინნი, და შენ გხადი შემწედ ჩემდა“. აღმოიჴადა ჴრმალი, და შეამთხუია
M 355 ჯუარსა, და განვიდა შორის[8] განწყობი|ლთა თანა[9], და თქუა: „არა
A 185 ბრძავნ ლომი ჴარსა, რამეთუ მეფე ვარ და შენ მონა, არამედ დავდვა ჩემი თავი | ერისა ამისთუის სიმდაბლით, რათა რწმენეს ძალი ჯუარისა“. და მოეტევა პალეკარტოს, ვახტანგ მსმრიად და ნებასა მიახლებოდა[10], და აღიზახნეს ორთავე მათ განწყობილთა ჴმითა საშინელითა, და იყო ჴმა იგი ვითარცა ჴმა ქუხილისა, რომლითა

---

[1] ჯუანბერ *M*, ჯუანშერ *B*. [2] მოიყვანნეს *A*. [3] არიან *M*, არა *A*. [4] პალეკრატოს *M*. [5] მშინ *A*. [6] ღმერთმან < *A*. [7] განვალ *M*. [8] შორის *AM*, შორს *B*. [9] მათ *MB*. [10] ვახტანგ საომრად ნებასა მიეახლებოდა *B*, ვახტანგ ნეშუსა და მას საომრად მიეახლებოდა *M*.

იძრვოდა ქუეყანა. და დასცა ლახუარი პალეკარტოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განვლო ფარსა ვითარ წყართა ერთი.

რამეთუ[1] იყო სიმსხო ლახურისა, ვითარ მკლავი კაცისა. და მისცა მეფემან ფარი იგი ლახუარსა მ[ისა] და მიეტევა პირისპირ, და სცა ჯრმალი ჩაბალახსა ზედა, და
ჳ 184 განაპო თავი მისი ვიდრე | ბეჭთამდე. და მიჰყო ჴელი და უპყრა თავსა მისსა ნახევარი, და მოიღო წინაშე ჯუარისა და თქუა: „ყოველისა განმდგომისა შენისა ესე იყავნ ნაწილი“. და მიეტევნეს სპანი ვახტანგისნი სპასა ბერძენთასა, და აოტნეს იგინი, და აღიჭრნეს იგინი გუნდ-გუნდად, და მოსწყუიდნეს[2] იგინი ზღუის პირსა, და არავინ
M 356 განერა მათგანი, გარნა, რომელი შეესწრა | ზღუად, და ივლტოდა ნავითა. მას დღესა შინა მოსწყდა სპათაგან ვახტანგისთა ორმოცდა-
A 186 სამი | ათასი[3], და სპათაგან ბერძენთასა მოსწყდა ოთხას და ორი ათასი[4]; და შეიპყრეს ტყუედ მათგანი ას ოცდაათი ათასი[5]. და მოიქცეს სპანი იგი და მივიდეს გუამსა ვარაზ-ბაკურისსა, ვახტანგის დედის ძმისასა, იგლოვეს და შემურეს[6] იგი საბრითა[7] და მურითა, და წარიღეს ბარდავად. ხოლო ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, და უბრძანა მოყვანება ყოველთა ტყუეთა. და მოიყვანნეს დაუკლებლად: და აღირიცხუეს ერთ რიცხუად შუიდას ოთხმოცი ათასი; და წარსცა ყოველი იგი წინაშე კეისრისა, ჴელითა ნასრისითა[8] და ადარნასესითა, ერისთავთა მისთათა.

და მიწერა წიგნი, ვითარმედ: „სიბრძნე ღმრთისა მიუწდომელ არს, სიბრძნესა კაცთასა და ნებასა სძლევს ნება ღმრთისა. მე უწყი, რამეთუ არა არს ნება შენი საქმესა ამას, რომელი ესე იქმნა პალეკარტოსაგან[9], არცა თუ იყო ნება ჩემი, რომელი ესე ქმნა დედის ძმამან ჩემმან, და ორნივე ესე ძუირის-მოქმედნი ძუირმან მოინადირნა. ამისთუის ყო ესე ღმერთმან, რათა
M 357 ახალნერგი ესე მოიყვანნეს | სარწმუნოებად შიშსა მისსა, ვითარცა
A 187 იგი უძღებისა შვილისათუის ყო საქმე განსაცხრომელი. | ხოლო თქუენ პირმშონი შვილნი ხართ ღმრთისანი, და მარადის მისნი ხართ. აწ

---

[1] რომელი *MB*. [2] მიაწყუდივნეს *M*, მიაწყვდინეს *B*. [3] ორმოცდა თერთმეტი *M*, (აღრეულია ჵᲚh [43.000] და ჵᲚI [40,3,8=51]. [4] ოთხას და თორმეტი *M*, სამოცდა თორმეტი ათასი *B* (უკანასკნელი წარმომდგარია უ [400] და ო [70] ასოების აღრევისაგან). [5] ას ოცდახუთი ათასი *MB*. [6] შემუსრეს *AM*. [7] საბრითა *A*, ბარითა *M*, შარითა *B*. [8] ნასრესითა *M*, ნასარისითა *B*. [9] პალეკრაპოსისგან *M*.

მწუხარება ესე დედის ძმისა ჩემისა, დისწულისა თქუენისა, მიერ ნუგეშინის-ვეც, რაჟამს ვიძიე შური მკლველთა მისთა, ხოლო თქუენ ნუგეშინის-გეცით ერისა ამისთუისა, რომელი იჴსნა ღმერთმან შუიდას ოთხმოცი ათასი[1]. და უკეთუ ბრძანებდენ მიმთხუევად ჩემდა, გამოისწრაფე; და უკეთუ არა, მოციქულითა განაგე საქმე ჩუენი, რამეთუ დამძიმდა დგომა ქუეყანისა ამისთუის მოოჴრებულისა". ხოლო ვიდრე მისულამდე მოციქულთა
ბ 185 ფრიად მწუხარე[2] იყო | კეისარი, არამედ რაჟამს უთხრეს: „ტყუე[3] პირველ შეპყრობილი და ტყუე ერისაგან მეოტისა ყოველი დაუკლებლად განუტეობია", მაშინ განიხარა ფრიად და ყოველთა დაუტევეს მწუხარება. და შეჯდა მეფე ნავსა, სამასითა[4] დრომონითა, სუბუქად გამოვიდა ზღუის კიდესა, და მოუწოდა ვახტანგს, და ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი; განაგეს საქმე წინდობისა, და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა: ციხე თუხარისი[5] და კლარ-
A 188 M 358 ჯეთი | ყოველი, | ზღუითგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომელნი მოსდგმანან[6] ღადოთა. და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რჩუა ესრეთ: „ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა, ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელ აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუ[7] მოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა".

და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა[8] შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ბერძენთა ვახტანგ. და წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა, და სპანი მისნი განუტევნა გზასა სომხითისასა. და ვითარ მოიწია თუხარისად[9], შეხედნა და შეუყუარდა ციხე, და თქუა: „თუ ხარ შენ ციხე". და ვითარცა წარმოვიდა, იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი, და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა ერისთავად. და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა,
A 189 და უბრძანა, რათა გამონახოს ჴევსა მას შინა სამონასტრე და აღა-
M 359 შენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, | ვითარცა ეხილვნეს მონასტერნი საბერძნეთისანი. და რჩუა არტავაზს: „უკეთუ განძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს". ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერნი, სამნი ეკლესიანი

[1] შვიდას ორმეოცდა ათასი *M*. [2] მწუხარება *A*. [3] ტყუეე *A*. [4] სამათასითა *B*. [5] თუხარისისა *B*. [6] მოსდგმენ *M*, მოსდგანან *B*. [7] უკუე *A*. [8] კელისოს *M*. [9] თუხარასად *A*.

ბაბამერისა[1] და შინდობნისა[2] და აღიზისა[3], [და განაახლა ციხე აღიზისა][4], ქმნა იგი ქუაბად.

წარმოვიდა ვახტანგ და მოვიდა ქალაქად თუი-
ბ 186 სად მცხეთად, და იყო სიხარული დიდი და მადლისა მი-
ცემა ღმრთისა, რამეთუ მოვიდა იგი მშუიდობით, და მისცა ნიჭი
დიდი ერსა თუისსა. ხოლო მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, რა-
მეთუ მიიქცა ვახტანგ ბერძენთად, მოკუდა. და დაჯდა ძე მისი, და
ვიდრე მოიწიფებოდა, წარჴდა წელიწდისა სამისა[5]. ხოლო ვახტანგს
უშვნა ცოლმან ძე და ასული მარჩიბიად, და მოკუდა შობასა შინა
ბალენდუხტ[6] დედოფალი, ასული სპარსთა მეფისა. ხოლო ვახტანგ
უწოდა ძესა თუისსა სახელი სპარსულად დარჩილ და ქართულად
დაჩი. მაშინ ვახტანგ ვერ მოიცალა მოყუანებად ცოლი ბერძენთა
A 190 მეფისა ასული, და ვერცა კათალიკოზისა და | ებისკოპოზთა; რამეთუ
M 360 მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსულასა, | ამაგრებდა ციხეთა[7] და
კაზმიდა ქალაქთა და მჴედართა[8], და განამზადებდა ბრძოლად სპარს-
თა; მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქარან[9] მაცთური, ების-
კოპოზი ცეცხლის-მსახურთა, და მოსრნა ყოველნი მსახურნი ცე-
ცხლისანი საზღვართაგან ქართლისათა.

ხოლო სპარსთა მეფე, შემდგომად სამისა წლისა,
წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისა, და მოიწია ინდაბარიანთა[10], და
დაიბანაკეს. ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული ბერძენთა მეფი-
სა თანა და მიუმცნო, ვითარმედ: „აჰა დღე იგი, რომელ აღმით-
ქუამს, ვითარმედ სპარსნი შემოვაწყუდიენე ჴელსა შენსა; აჰა ესე-
რა, მომიყვანებიან იგინი შუეა საზღვართა ქართლისათა და ყოვე-
ლი კაცი მათ თანა, ვითარ სამასი ათასი (რამეთუ ჰგონებდა გან-
მრავლებასა სპათა მისთჳსა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთათა;
ხოლო მათ ვერ იკადრეს განრთვად მისა, რამეთუ რომელთამე მათ-
განთა აქუს სასოება ჯუარცმულისა, ხოლო რომელნი იძლივნეს ეშ-
A 191 მაკისაგან, განერთნეს მეფენი დარ|უბანდისანი); აწ აღმისრულებიეს
M 361 აღთქმა ჩემი, რომელი აღმითქუამს, სადაცა მიპოვნიეს | სახლი[11] ცე-
ცხლისა, დამიესია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი[12] მიმიცემიან სა-
ბ 187 ტანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინ|ქარან[13] მიეც საპყრობი-

---

[1] შაბასა მერისა *M*, დაბაჲ მერისა *B*. [2] ბიდონიასა *M*, შენდობისა *B*. [3] ახიზისა *MB*. [4] < *A* ex homoioteleuto. [5] წარჯდა (წარმოჯდა *B*) მას (ამის *B*) შინა სამი წელიწდი *MB*. [6] ბალენდუტ *A*, შალენდოხტ *M*. [7] ციხითა *A*. [8] და ჭალაქთა, და ჰკაზმიდა (ჰკაზმევდა *B*) მჴედართა *MB*. [9] ბინაქარან *M*, ბინჭარ *B*. [10] ინდაბრიანთა *B*, <*M*. [11] სახელი *AM*. [12] გზირნი *M*, გაზირნი *B*. [13] ბინაქრან *M*, ბინჭარიანი *B*.

ლესა, სიკუდილისაგან გარდაიხუეწა. მან უკუე მოიყვანნა სპარსნი ქართლად, და დავსუი ებისკოპოზად მიქაელ, კაცი სარწმუნო. ხოლო ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, მოკუდა. აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი, და მოვიცალო ყოველთა მტერთა შენთაგან, ხოლო თუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი, და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიმშატისსა[14]. ვიდრე მიიწეოდეს მოციქულნი ვახტანგისნი, წარსრულ იყო კეისარი ქუეყანით ხაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცალებ(ო)და მოსლვად ქართლად. ხოლო ვახტანგ განაძლიერნა ციხე-ქალაქნი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მჴედარი, და ასი ათასი ქუეითი იპყრა მის თანა, და დაუ-
A 192 ბანაკა მათ დიღ|მით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაი-
M 362 ბა|ნაკეს ვიდრე[2] ცხენის-ტერფითგან ჩალმართ. ხოლო ვახტანგ განაფართა ჴიდი მოგუეთისა ვითარ სამეოც მჴარ ქცევისათუის მას ზედა სპარსთა. ხოლო მეფე და ჯონბერ[3] სპასპეტი დადგეს მცხეთას.

ხოლო ნასარ[4] და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისათა[5], რომელნი დადგეს არმაზის კერძო; და რა[6] ბრძოდიან სპარსთა არმაზით კერძო, მცხეთით განვიდიან; და რა[6] განვიდეს ლაშქარი იგი მიერ კერძო მცხეთით, ეწყუნიან არაგუსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფონი მტკურისა, და შეიბნიან ფონსა ზედა
ჳ 188 ტფილისისასა, და რომელსამე დღესა მათ | სძლიან და რომელსამე დღესა მათ. ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნით მიმართის და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. ამიერითგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, არამედ დაისწავლეს იგი, რო-
A 193 მელსა | ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქუიან:
M 363 „დურ აზ[7] გურგასლან“[8], რომელ არს: „მირიდეთ[9] თავსა | მგელისასა“. და მის მიერ სახელ ედვა ვახტანგ მეფესა გურგასლან.

განძლიერდა მათ შორის ბრძოლა ოთხ თუე ოდენ. და მოვიდა მოციქული კეისრისაგან, და მოართო ძღუენი ვახტანგს, და მოგუარა სპათაგან ბერძენთასა ოთხმოცი ათასი

---

[1] შიბტისასა *M*. [2] ვიდრე < *MB*. [3] ჯუანბერ *M*, ჯუანშერ *B*. [4] ნასრა *M*, ნასრ *B*. [5]+და ქართლისათა *MB*. [6] არა *A*. [7] დროზ *M*. [8] გორგასალ *MB*. [9] მრიდეთ *A*, მიჰრიდეთ *MB*.

მჴედარი, და მოუწერა ვახტანგს, ვითარმედ: „შეექეც წყობასა ხაკანისსა, და მომივლენია შენდა ოთხმოცი ათასი მჴედარი, და მომიწერია ლეონისდა, უკეთუ გიჴმდეს ლაშქარნი, წინაშე შენსა არს მელეტითგან [1] ვიდრე ლამედმდე [2], და მოღმართ [3] ვიდრე კარნუ-ქალაქამდე, და მიბრძანებია ლეონისდა წინაშე შენსა [4] იყოს. და მოწევნულ იყო ლაშქარი ბერძენთა ჯავახეთს. ხოლო, ვითარცა ცნა სპარსთა მეფემან ბერძენთა მოსულა შუელად მათდა, იწყო ზრახვად ვახტანგისსა, მიამცნო მოციქულსა მისსა და რქუა: „რასათუის მოვსწყდებით ურთიერთას: ძმანი და კაცნი ვართ, შვილნი ნებროთისნი. უკე-
A 194 თუ ცხოველი [5] ღმერთი არს, შე-უკუე-იწიენ იგი; ხოლო | დავადგრეთ
M 364 სიყუარულსა მამათა ჩუენთასა; ხოლო თ|უითოეული ჩუენ-განი სათნოსა სულისა თუისისასა მსახურებდეს“. ვითარცა მოვიდა მოციქული, უთხრა, და სთნდა ვახტანგს და ყოველსა ერსა მისსა, და მისცა ნიჭი ვახტანგ და მიუვლინა მოციქული მისი და რქუა: „გიხილავს ძალი ჯუარისა, ყოველთა მეფეთა მოგაქუნდა [6] ხარკი ვიდრე გამოჩინებადმდე ჯუარცმულისა; რაჟამს გამოჩნდა იგი, მძლე გექმნა [7] იგი და ყოველნი [8] თაყუანისმცემელნი მისნი წინაშე მისსა, და მოხარკენი შენნი ბერძენნი მოღმართ გბრძვანან, და მოაოჴრნეს სამსახურებელნი ცეცხლისანი. აწ, უკეთუ გუბრძოდი ჩუენ დატეეებისათუის სჯულისა, მოვკუდეთ ჩუენ მისთუის, ვითარცა იგი მოკუდა ჩუენთუის, და მან აღმადგინნეს. ხო-
ჭ 189 ლო უკეთუ აღა|სრულო სიტყუა შენი და იყოს ცეცხლი შენდა [9], და იყოს ღმრთად ჩემდა ქრისტე, მამად და უფლად გხადო შენ. დაღაცათუ ჩუენ პირმშონი ვართ, არამედ თქუენ დასხდეთ საყდართა ზედა მამისა ჩუენისათა“.

და ვითარცა უთხრეს სიტყუა ვახტანგისი, შეი-
A 195 წყნარა და წარ[სცა გორგასალს] [10] ძღუენი ძლიერი და
M 365 მის თანა გუირგუინი ანთრაკოანი, და ჟამი დადგეს შეკრებისა. აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა [11]; რამეთუ ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოჴრებულ იყო მაშინ. ხოლო ვახტანგ დადგა ჯაჭუს, და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი, და მოიკითხეს ურთიერთას, და ყვეს აღთქმა თავის-თავისა სჯულსა ზედა გარდა-

[1] მელიტითგან *M*, მელიტენითგან *B*. [2] ლამდემდე *B*, ლამდემდეინ *M*. [3] მომღმართ *A*, აღმომართ *B*. [4] შენსა <*A*. [5] ცეცხლი *MB*. [6] მოგჴონდა *M*, მოგვაქუნდა *B*. [7] ექმნეს *M*, ექმნეს *B*. [8] და ყოველნი და ყოველნი *A*. [9] იყოს ცეცხლი ღ'თად შენდა *M*, არა იყოს ცეცხლი ღმერთად შენდა *B*. [10] არშია წაჴრილია, მოჩანს ზედა ნაწილი ასოებისა „რსს“. [11] კალისასა *B*, კლარჯეთისასა *M*.

უვალი. და მოიახლა[1] მას დღესა სპარსთა მეფე გორგასალმან[2] ლაშქრითურთ თუისით ტფილისად, და უძღუნა გორგასალმან[2] მჭეველი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა საკარმანგი ხუთასი, ბიზიონი რუზმა ხუთასი, ჭდალი[3] ცხენი ათი ათასი[4], ცხენი შარიგი[5] ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი, ცხუარი [ათი ათასი][6]. და დღესა მე- 5
სამესა მივიდა გორგასალი მის თანა და თანა წარიტანა ლეონ, ანთიპატრიკი კეისრისა, და ყვეს განზრახვა. და აზრახა ანთიპატრიკმან გორგასალსა, რათა ყოს მშუიდობა კეისრისა და ხუასროსა, რამეთუ ეშინოდა ბერძენთა—ნუ უკუე შევიდენ საბერძნეთად[7]
A 196 სპარსნი და მოაოჴრონ იგი, | რამეთუ სპანი საბერძნეთი- 10
სანი ყოველნი იყუნეს ხაზარეთს.

დარქუა ხუასრო [გ]ორგასალსა: „ითხოვე ჩემგან რა-
M 366 ცა გნებავს თ|ავისა შენისათუის, ანუ სხუისა ვისთუისმე გნებავს“. ხოლო გორგასალმან რქუა: „მნებავს, რათა იყოს მშუიდობა შენ შორის და კეისრისა“. რქუა ხუასრო: „დამიმძიმდა თხოვა შენი ჩემ 15
ზედა: რამეთუ ბერძენთა რაჟამს პოვიან ჟამი ჩუენ ზედა, არა ყვიან წყალობა; და მე ამით ვყავ სიყუარული შენ ზედა, რათა შევიდე საბერძნეთად და შური ვიძიო მათგან, და აჰა მოციქული ხაზართა მეფისა, და მეათე დღე არს რათგან მოსრულ არს, და შენ არა
უწყი მიზეზი მტერობისა ჩუენისა. ხოლო აწ მიგითხრა სილაღე მათი 20
ჰ 190 ჩუენ ზედა, და მე|ვყო ნება შენი, ვინათგან აღგითქუ ფიცითა ძლიერითა, ვითარმედ არა ვყო უნებელი[8] შენი“. და თქუა, ვითარმედ: „შენ უწყი, რამეთუ ზღუის მოღმართ ჩუენი არს[9] საზღვარი, განყოფილი ნოესითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა[10], [და მოოჴრებულ არიან ქალაქნი; ხოლო შამი][11] სამეუფო ჩუენი 25
არს, არამედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული[12] მამათა ჩუენთა,
A 197 შენი არს ხუედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა, | და მე ესერა შევი-
M 367 დოდე უკუმოღებად მისსა. აწ, რ|ომელი ნაწილი მამათა შენთა არს, შენ განუყავ, და შენ იცი [და] ბერძენ[თა], ხოლო სხუა ჯაზირისა მიმიცემია ბერძენთად და, რომელი ვითხოვე 30
შენგან, ყავ“.

ხოლო, ვითარცა ესმა ესე ანთიპატრიკსა, განიხარა ფრიად

---

[1] მოეახლა *A*, მოხედნა *M*, მოჰხადა *B*. [2] გორგოსალმან *A*. [3] ჭდილი *M*. [4] თურამეტი *M* (აღრეულია ϡh [10.000] და ϡh[18]). [5] ბარგისა *B*, < *M*. [6] *A*-ში ცარიელი ადგილია დატოვებული; ცხენი შარიგი—ათი ათასი < *M*. [7] საბერძნეთად < *A*. [8] უვნებელი *A*. [9] არა *A*. [10] და შამსა *B*, დაბმასა *A*, < *M*. [11] და მოოჴრებულ—შამი < *A* (ex homoioteleuto). [12] განწირებული არს *M*, განწვალებულ არს *B*.

და თაყუანის-სცა ორთავე მეფეთა და თქუა: „ხუთნი ქალაქნი ჯაზირისანი შენდავე იყუნენ, შენ-კერძნი, რამეთუ ნახევარი სიკილისა, რომელი მოგუეღო შენგან, უკუგცეთ, დღეთა ჩუენთა იყავნ მშუიდობა შორის შენსა და კეისრისა“. და თქუა: „ვინ უწყის, თუ დასჯერდეს ბერძენთა მეფე ქმნულსა ჩუენსა“. და თქუა ლეონ: „რაჟამს წარმომავლინა მე ძალად ამისსა მეფისა, რქუა მეფესა ჩუენსა მონაზონმან ეინმე ღმრთის-მოყუარემან, ვითარმედ სთნავს ღმერთსა მშუიდობა სამთავე ამათ მეფეთა; და იქმნაცა ეგრე. ხოლო კეისარმან უბრძანა მწიგნობარსა და დაწერა წიგნი ზავისა; და აჰა, აქა არს აღწერილი იგი“.

ვითარცა ესე თქუა, წარიკითხეს წიგნი იგი, დაწერილ იყო ფიცით: „თუინიერ მისსა, რომელი მოსცა სპარსA 198 თა მეფემან | ივბიმიანოსსა, არა ვძებნო თქუენ ზე|და“. და M 368 მოუწოდა სპარსთა მეფემან ხაზართა მეფისა მოციქულსა, და უთხრა მან აღზრზენა სპარსთა ბერძენთა ზედა. მაშინ მოიღო სპარსთ მეფემან ქარტა და დაწერა ჴელითა თუისითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა და ჩინება საზღვართა და სიკილისა[1] უკუცემისათუის, მისცა ფილისტიმი საზღურითა[2] იელუსალემისათა, და თქუა: „ქალაქი სჯულისა თქუენისა არს იელუსალიმი“. და მისცა გორგაჳ 191 სალს ნიჭი, ალვა ლიტრა სამი ათ|ასი, ამბარი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი. და წარმოვიდა ვახტანგ შინა; ხვალისა დღე მოუვლინა ვახტანგს ბარზაბანი საკუთარი და მობიდანი, და რქუა ესრეთ გორგასალს: „რომელი გინდა ჩემგან, მე ვქმნე აწ. აწ განაგე საბრძანებელი შენი, ვითარცა გნებავს: მიავლინენ დასტურნი და დაითუალენ ქალაქნი შენნი, რომელნი მიგცენ შენ და კეისარსა. ხოლო ბარზაბანისად მიA 199 ბრძანებიეს მისულა კეისრ|ისა და მითუალვა ქუეყანა|თა და ქალაქM 369 თა თქუენთა. ხოლო შენ უწყი, რამეთუ[3] საქმესა ჩემსა ზედა განრისხნენ სპარსნი მოხუცებულნი, რამეთუ მათ ეგონა ჩემთუის შემუსრვა საბერძნეთისა, ხოლო მე დღეს საზღვართა ჩემთაგან ორი სამეფო მივანიჭე. აწ ესე არს სათხოველი ჩემი, რათა დაჲ[4] შენი ცოლად მომცე, და შენ წარმოხუიდე ქუეყანასა მამულსა ჩუენსა, რათა ნახნე ნათესავნი შენნი და შემწუ მეყო თავითა შენითა მტერთა ზედა ჩემთა, აბაშთა და ელამთა[5], ინდოთა და სინდთა, რამეთუ

---

[1] სიკუდილისა *AM*, სიკილიისა *B*. [2] საზურითა *A*. [3] რამეთუ რამეთუ *A*. [4] დაა *A*. [5] და დაელამთა *A*.

უძუირესი ბოროტი და დამდაბლება მეფობისა ჩემისა მათ ყვეს. აწ ოდეს მოხუიდე ჩემ თანა, და ესრეთ ვარქუ მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა, რამეთუ სიყუარული ვყავ ჩემი და მოყუარეთა ჩემთა, რამეთუ ესრეთ ინება ძმამან ჩემმან ვახტანგ მეფემან. რომელნი ქუეყანანი მივსცენით, მათითავე შემწეობითა მოხარკე ვყვენით მტერნი ჩუენნი, და ამით დავაცხრვოთ გულის-წყრომა მათი ბერძენთა ზედა. ხოლო შენ თავითა შენითა ინებ ძალად ჩემდა, არა-
A 200 მედ სპანი შენნი | ადგილსავე იყუნენ". მაშინ ვახტანგ მოუწოდა თა-
M 370 ნამზრახველთა თუისთა | და ეზრახა ლეონ ათიპატი[1] ესრეთ: „დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა; რამეთუ შენ დასცევ ქალაქი პონტოსა შემუსრვისაგან, შენ მიანიჭე შუიდას ოთხმოცი ათასი სული, და დღეს შენ მიერ მიეცემის ჯაზირა და ფილისტიმი, რომელი მშუიდობით არა რომელსა მეფესა შეუპყრიეს; და მართალ არს ხუასრო,
B 192 უკეთუ არა | იყო მის თანა სათნოება, უჴმრად შერაცხოს იგი ერმან მისმან; დაღაცათუ თუმცა მან არა გითხრა, მიღმართ ვაძლიოთ, რამეთუ ესე არს სრული სიყუარული; მე მიგცე ლაშქრისა ჩემისაგან ათი ათასი ჰურვილი და მე წარვყევ[2] მოციქულთა შენთა თანა წინაშე კეისრისა, და მუნით გამოგერთო ჯაზირასა სპითა ძლიერითა".

ესე განაზრახა ლეონ ათიპატმან[3], და სთნდა მეფესა ვახტანგს და ყოველთა წარჩინებულთა მისთა განზრახვა მისი; და მისცა სპარსთა მეფესა დაჲ[4] მისი ვახტანგ მეფემან ცოლად, რომელსა ერქუა
A 201 მირანდუხტ[5], რომელი წარტყუენულ იყო ოვსთაგან და გამოეკვსნა
M 371 ვახტანგს. ხუარანძე ამისთუის არა მისცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პატიახშისა[6] და მოიყვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ, ხოლო ქართულად დაჩი; იყო ხუთისა წლისა, და დაადგა გუირგუინი და დაუტევა ქართლისა მეფედ; და დაუტევნა მის თანა შუიდნი წარჩინებულნი მისნი: პირველად ჯონბერ[7] სპასპეტი, მპყრობელი შიდა ქართლისა და მფლობელი ყოველთა ერისთავთა; და დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა; გრიგოლ, ერისთავი ერეთისა; და ნერსარან[8], ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამშუილდისა; (და ნერსარან)[9] და სამნაღირ[10],

---

[1] ანთუიპატი *M*, ანთიპატრიკსა *B* (ანთიპატი — თ ე ი მ უ რ.). [2] წავჰყუე *M*, წარვყვე B. [3] ანთიპატმან *BM*. [4] დაა *A*. [5] მიჰრანდუხტ *MB*. [6] პატრიახშისა *A*. [7] ჯუანბერ M, ჯვანშერ *B*. [8] ნესრან *M*, ნერსან *A*. [9] განმეორებაა *A*-ში. [10] სამანღირ *B*, სამნაილირ *M*.

ერისთაჲი შიდა-ეგრისა და სუანეთისა; და ბაკურ, ერისთაჲი მარგუისა და თაკურისა.

ამათ შევედრა ძე თუისი დარჩი[1], და უბრძანა აღშენება უჯარ[მისა] და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, (და) რამეთუ სიმარჯუედ გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათუის. და წარიტანნა თანა ოთხნი წარჩინებულნი მისნი: არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და ნარს, ერისთავი წუნდისა; ბივრიტიან, ერისთავი ოძრჯისა[2]; და საურმაგ, ეჯიბი დიდი, მათ თანა ათი ათასი მჴედარი
A 202 |ლაშქრისა მისისა რჩეული. და ლეონ ანთიპატრომან[3] დაუტევა
M 372 ლაშქრისა მისგან ათი ათასი ბერძენი, და თუით წარვიდა წინაშე
ჰ 193 |კეისრისა, და ვახტანგ მეფემან წაატანა თანა არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და წარსცა ყოველი ნიჭი წინაშე კეისრისა, რომელი მიენიჭა მეფესა ხუასროს; გარნა სტავრები და ტაიჭები, დაიჭირა თავისთუის, სხუა ყოველი წარსცა და უბრძანა არტავაზს, რათა ჯაზირსა მიერთოს ლეონ ანტიპატრისა[4] თანა. ხოლო ვახტანგს ევედრნეს დედა და დაჲ[5] მისი, რათა წარიყუანნეს თანა და იერუსალიმს.

წარიტანა და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა არდაბადაგანისასა, და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა დაჲ[5] მისი იერუსალიმს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას შინა. შევიდეს და იერუსალიმს წმიდასა აღდგომასა, და მოიერუსალიმნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს და მოვიდეს ანტიოქიად. ხოლო ლეონ, ანთიპატრო[6] კეისრისა, და არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა[7], მოვიდეს ოცი ათასითა მჴედრითა რჩეულითა, და მოართუეს ხუას-
A 203 როს | ძღუენი კეისრისაგან მიუწდომელი. და ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი, და მოემცნო კეისარსა მოციქულთა(დ) სიხარული [და] მადლისა
M 373 მი|ცემა ღმრთისა, და ვახტანგის ქება და მადლი მიუწდომელი. მოემცნო ვახტანგისად: „და მიბრძანებიეს ლეონისდა[8] ესრეთ, რათა იყოს შიშსა და ბრძანებასა ჩემსა“. და შეკრბა ვახტანგის საბრძანებელსა ქუეშე ბერძენნი, ქართველნი და სომეხნი ორმოცდაათი ათასი.

მაშინ უბრძანა სპარსთ მეფემან ვახტანგს: „დედა და დაჲ[5] შენი დამაშურალ არიან აქამდის, მოვიდენ იგინიცა სამეფოდ ჩემდა, რათა ერთობით აღვასრულოთ სიხარული ჩუენი; მერ-

---

[1] დაჩი *MB*. [2] ორძჯისა *A*. [3] ანთიპატროსმან *M*, ანთიპატრიკმან *B*. [4] ანთიპატრიკსა *B*. [5] დაა *A*. [6] ანტვიპატიოს *M*, ანთიპატრიკი *B*. [7] ერისთავი ვახტანგისი *MB*. [8] ლეონისად *A*.

მე თუ ინებონ წარსლვა ქართლს, წარვიდენ იგინი გზასა რანისა-
სა; ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდონ ურალასა[1] ქა-
ლაქსა შინა". და სთნდა უკუე ვახტანგს ბრძანება ხუასროსი, წარი-
ტანნეს თანა და წარემართნეს. სპარსთ მეფემან წარგზავნა მოცი-
ქული წინაშე ყოველთა წარჩინებულთა სპარსეთისათა, და მიუთხრეს
ესე ყოველი.

ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა,
რამეთუ ცეცხლებრ ეგზებოდე[ს] ბრძოლისათუის ინდოთა,
A 204 სინდელთა და აბაშთა ჯორჯანთათუის: | და მივიდეს ბაღდადს და
მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სპარსეთისანი სიხარულითა დი-
ჰ 194 დითა; | და აღასრულეს ქორწილი სამეუფო, ექუს თუე განცხრომი-
M 374 თა და სიხარულითა დ|იდითა, და აღასრულეს მიუწდომელითა. და
შემდგომად ქორწილისა მოსცა ნიჭი დედასა ვახტანგისსა. და წარ-
მოვიდეს ურაას[2], და პატივ-სცემდა ვახტანგს ყოველი ერი სპარსე-
თისა, ვითარცა ხუასრო[3] მეფესა მათსა, და მერე წარემართნეს მტერ-
თა ზედა. პირველად მივიდეს ჯორჯანეთს და წარმოტყუენეს ჯორ-
ჯანეთი, ყოვლად უმკუიდრო ყვეს, და დასხნეს ადგილსა მათსა ნათე-
საური სპარსთანი[4]. და მიერითგან [იქმნნეს] ჯორჯანნი მებეგრე და
გლეხ სპარსთა[5]. და მუნით შევიდეს ინდოეთად და მუნ იქმნნეს ბრძო-
ლანი ძლიერნი და თუითო-თუითო. იყო მუნ წესად: რომელმანცა
მათგანმან სძლის, ივლტინ მის წინაშე ბანაკი. ხოლო ვახტანგ მეფე-
მან მოკლა მუნბერაზი თოთხმეტი მუნ შინა, რომელთა დაეცნეს გო-
ლიათნი სპარსთანი. და დაყვეს ბრძოლასა შინა ინდოეთისასა სამი
ჰ 195 წელი; და წარმოტყუენეს უმრავლესნი ქუეყანანი ინდოეთისანი,
A 205 არამედ მტკიცენი ციხენი ვერ გატეხ|ნეს, რამეთუ ზღუასა შინა | იყუ-
M 375 ნეს, და წარმოიღეს ხარკი ინდოთ მეფისა: მუშკი ლიტრა ათასი,
ამბარი ეგზომივე, ალვა ნავი ათი, თუალი იაკინთი და ზურმუხტი
ნავი ერთი, და მის თანა საფირონი[6] თუითოსახე, ოქრო აქლემი
ასი, ვეცხლი აქლემი ხუთასი.

და მუნით შევიდეს სინდეთს. მაშინ სინდთ მეფე-
მან განყო ერი თუისი ციხეთა და ქალაქთა შინა;
და რომელსაცა კერძსა განვიდიან სპარსნი მტყუენავ[ე], გამოუჴდი-
ან ციხეთა და ქალაქთაგან სინდნი, და დასდევიან ენება დიდი სპარსთა
ზედა. და მოსწყდა ურიცხუი ერი სპარსთაგანი; ხოლო ძალითა ქრისტე-
სითა არა სადა იძლივნეს ვახტანგის სპათაგანნი, და ყოვლადვე მძლედ

[1] ურაჰას *B*, უძლეს *M*. [2] ურაჰას *B*, ჰრას *M*. [3] ხუასროს *MB*. [4] +და ელამნი *B*. [5] და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად (ქმნნეს ჯორჯალნი გითეხად *M*), რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი *MB*. [6] სიფირონი *A*, სტრიფონი *M*.

გამოჩნდეს მტერთა ზედა [1] ოთხნი წარჩინებულნი ვახტანგისნი და ლეონ
ბერძენი; რამეთუ მათ დასცნეს მრავალნი მჴნედ მბრძოლნი მუბერაზ-
ნი სინდთანი. ხოლო სინდთ მეფე იყო ქალაქსა შინა სინდას [2]. მაშინ
ყოვლითა ძალითა მათითა მივიდეს სინდეთს [3], და მუნ მოხუდეს
ბრძოლანი ძლიერნი, და დღეთა ყოველთა გამოვიდის თუით [4] სინდთ
A 206 მეფე, რამეთუ | იყო იგი მჴნე გოლიათი და შემმართებელი, და
M 376 გამოიტანნის მჴედარნი სინდეთისანი, და იყვის ბრძოლა მუბერაზთა:
რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე მათ. და სინდთ მე-
ფემან სძლო თავის-თავითა ყოველთა მუბერეზთა მბრძოლთა მის-
ჰ 196 თა დ ღ ე თ ა მ რ ა ვ ა ლ თ ა, დ ა ა რ ა მ ი ხ უ დ ე ს | ი გ ი [და ვახ-
ტანგ (მ)ბ რ ძ ო ლ ა ს ა შ ი ნ ა] [5] დღეთა მრავალთა. მაშინ სინდთ
მეფემან ველსა ზედა, კართა ქალაქისათა, ღამე უთხარა [6] მთხრებლი
დიდი დასამალავად შინაგან მჴედართა, და სიმარჯუით დაუტევნა
გზანი გამოსავალნი მჴედართანი, და ჩაადგინნა მუნ შინა მჴედარნი,
ათნი რჩეულნი. და დილას ადრე გამოგზავნა მუბერაზი ერთი; და
მას დღესა ხუედრი იყო ვახტანგისი კართა ცვისათუის, და მოდგა
მუბერაზი იგი და სთხოვდა ბრძოლასა თავის-თავ, რათმცა წარი-
ტყუევა, შეჴადა მათ მკუდართა ზედა. მაშინ საურმაგ, ეჯიბი ვახ-
ტანგისი, განვიდა და რქუა: „არა ხარ შენ კადნიერ ბრძოლად მე-
ფისა, არამედ მე გებრძოლო მონა მონასა“. ხოლო სინდელი
იგი გაიქცა და მისდევდა საურმაგ ჩუეულებისაებრ, რამეთუ მრავალ-
A 207 გზის ბრძოლილ იყო ველსა მას ზედა. და ვითარ წარვიდა დამალულ-
M 377 თა მათ მჴედართა (მათ), ზურგით გამოვიდეს მისსა, | და იგი მეოტი
შემოიქცა [7]. ხოლო საურმაგ სცნა ოროონი [8] წინასა მას და მოკლა.
ხოლო ათთა მათ მოკლეს იგი საურმაგ.

მ ა შ ი ნ მ ი ე ტ ე ვ ა თ უ ი თ ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე დ ა მ ი ს თ ა ნ ა
ს ა მ ნ ი ი გ ი წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი: არტვაზ, ბივრიტიანი და ნასარ,
მათ თანა ლეონ ბერძენი. ხოლო სინდელნი იქცეს, და მისდევ-
და ვახტანგ მოყუსითურთ ვიდრე კარადმდე ქალაქისა, და შეივლ-
ტოდეს [9] იგინი ქალაქად. მაშინ შემოიქცა ვახტანგ მწუხარებითა,
სავსე მწუხარებითა, და იგლოვდა გუამსა ზედა საურმაგისსა, ვი-
თარცა ძმისა საყუარელისასა, რამეთუ თანაზრდილ იყო მისი, ძმის-
წული მამამძუძისა მისისა, არტვაზის მამის ერთგული, მისანდობელი
და ქველი. მაშინ სინდთ მეფე გამოდგა კართა [10] ქალაქისათა, და ჴმა

---

[1] + და მჴნედ მბრძოლად გამოჩნდეს *B*. [2] სინდსა *M*, სინდიას *B*. [3] სინდეთს *A*, სინდს *M*, სინდიას *B*. [4] თუითო *A*. [5] და—შინა<*A*. [6] თხარა *MB*. [7] შემოექცა *A*. [8] ოროლნი *B*, ჰროლი *M*. [9] შეევლტოდეს *A*. [10] კართა<*A*.

უყო ჴმითა მაღლითა და რქუა: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ
ყუავისა მის უგუნურისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული და გა-
გლეჯილი არწივისაგან, რომელსა ვერ ეძლო ფრენა და მიახლებულ
A 208 იყო სიკუდილ|სა. და არა უყო ყუავმან ვითა წესია ყუავთა: რამე-
ჰ 197 თუ სხუამან ყუავმან ოდეს იხილის ქორი, იწყის ჴმა-|მაღლად ყივი- 5
M 378 ლი და ასმინის სხუათაცა, და დაესხის სიმრავლე ყუავთა, | რათამცა
განიოტეს საყოფელთაგან მისთა და უშიშადმცა დაყუნეს დღენი
მათნი: რამეთუ პირუტყუთაცა იციან სარგებელი თავისა. არა ჰმნა
ყუავმან ესევითარი, არამედ შეიწყალა ქორი იგი, ვითარცა კეთი-
ლის-მყოფელი მისი, დაუტევა ზრდა მართუეთა თუისთა, მარადის 10
უკრებნ მჯალსა და გუელსა, რამეთუ სხუისა შეპყრობა არა
ძალ-უც ყუავსა, და მით ზრდიდა ქორსა. [ვითა]რცა
მოეზარდნეს ქორსა მას ფრთენი, თქუა გონებასა თუისსა: „ესერა
დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ(თ) მჯალითა და გუელითა, და არა
მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთა, რამეთუ მჯალითა ვერ განვძლი- 15
ერდები; თუმცა ძალ-მედვა მიწევნა მფრინველთა და მით გამოზრდა
თავისა ჩემისა, არამედ შევიპყრა ყუავი ისი, მზრდელი ჩემი, შევჭა-
მო და განვისუენო ორ დღე, და მომეცეს ძალი და ვიწყო [1] წესი-
საებრ ნადირობად მამათა ჩუენთაებრ“. რომლისათუისცა აღასრუ-
A 209 ლა | ესე, შეიპყრა ყუავი იგი და შეჭამა; მიერითგან იწყო ნადირო- 20
ბად დიდთა და მალეთა მფრინველთა[2]. ხოლო არა მიეცა ყუავსა
მას ქება მოწყალებისა, არამედ უგუნურად და თავის მკლველ ით-
M 379 ქმის. [არცა მიეცა ქორ]ესა, მას ყუედრე|ბა უწყალოებისა და კეთი-
ლის უჴსენებელობისა: რამეთუ იგი არს გუარი და წესი ქორისა;
განილეოდა და მოკუდებოდა მჯალითა, და ქმნა წესისაებრ, და 25
განერა სიკუდილისაგან. ხოლო ყუავმან წესისა არა ქმნა და მითცა
მოკუდა [3].

აწ სპარსნი, რომელნი პირველითგან მოაქამომ-
დე და წალმართ მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარის-მსახურთანი,
ჟამსა შინა უღონოებით, ლიქნითა ყვიან [5] სიყუარული, და ოდეს ეცის 30
ჟამი, არა ყვიან წყალობა და კეთილის ჴსენება. ესე ბევრის-ბევრე-
ულჯერ ქმნილია, რომელი გამიგონია წიგნთაგან. და ოდეს იხილენ [6]
სპარსნი ჩემ მიერ შეკნინებულნი, არა ჰყავ [7] იგი, რომელი ჯერ იყო
შენდა საქმედ, სიხარული და მადლისა შეწირვა ღმრთისა შენისა,

---

[1] იწყო *A*. [2] მრინველთა *AM*. [3] ამ სიტყვების მაგიერ *A*-ში განმეორებულია უკანასკნელი წინადადების „არამედ უგუნურ“. [4] არა მოკუდა *A*. [5] ყეუავნი *A*. [6] იხილენ<*A*. [7] იუვ *A*.

და ზრახება[1] სხუათაცა ნათესავთა და მტერად[2] აღზრზენა სპარსთა
ზედა, და შეწევნა მტერთა სპარსეთისათა. არა ჰყავ ესევითარი,
A 210 | ა რ ა მ ე დ | დ ა გ ი ტ ე ო ბ ი ე ს ს ა ყ ო ფ ე ლ ი მ ა მ ა თ ა შ ე ნ თ ა,
ჰ 198 და წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ[3] ქ მ ნ ი ლ ხ ა რ ს პ ა ს ა დ ი დ ს ა ს ა ქ რ ი ს-
ტ ი ა ნ ო ს ა ს ა, და მოგივლია ორისა წლისა სავალი გზა, და მოს- 5
რულ ხარ ძალად სპარსთა, რათამცა განძლიერდეს და მოიწყუნეს
M 380 და წარგწყმიდეს | შენ და ქუეყანა შენი და იპყრან წარსაწყმედელად
ყოველთა ჯუარის-მსახურთა. ჰეშმარიტად ამას იმზადებ თავისა
შენისათუის და ყოველთა ჯუარის-მსახურთა. რად ვთქუი მე შენ-
თუის ყუავისა იგავი? რამეთუ მეფე ხარ თუითმპყრობელი და ახო- 10
ვანი, ნებითა შენითა მიგიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა;
და ვითარ არა უგუნურად ვთქუა თავი შენი?“

მაშინ ვახტანგ რქუა: „გეგონა შენ, ვითარმედ სიბრძნით გა-
მონახულად იზრახე, არამედ ცრუ არიან სიტყუანი ეგე შენნი. მე
გითხრა და გაუწყო ჰეშმარიტი: უგუნურო[4], მსგავს ხარ შენ თაგუისა 15
მის მთხუნველისა, რომელსა არა ასხენ თუალნი, და საყოფელი მისი
მიწასა ქუეშე არს, და არა უწყის ბრწყინვალება მზისა და შუენი-
ერება ველთა, და დაჯერებულ არს იგი ცხორებასა თუისსა, რამე-
A 211 თუ | ეგეოდენი ჰგონიეს მას ცხორება ყოველთა იძრვისთა, ვითარ-
სა ცხორებასა შინა თუით არს; და არა სურვიელ არს ხილვად ნა- 20
თელსა ცისა და ქუეყანისასა. ე გ რ ე თ ვ ე შ ე ნ ბ რ მ ა ხ ა რ გ ო ნ ე-
M 381 ბ ი თ ა დ ა თ უ ა ლ ი თ ა[5], და ყ | რ უ ხ ა რ გ ო ნ ე ბ ი ს ა ყ უ რ ი თ ა,
ა რ ც ა ხ ე დ ა ვ, ა რ ც ა გ ე ს მ ი ს დ ა ა რ ც ა უ წ ყ ი ც ხ ო რ ე ბ ა
სულიერი[6], და არა სურვიელ[7] ხარ მისულად ცხორებასა მას საუკუნესა,
ნათელსა მას დაუსრულებელსა, დიდებასა მას მოუგონებელსა[8] და მი- 25
უწდომელსა[9], არცა იცნობ შენ ღმერთსა შემოქმედსა ყოვლისასა,
რომლისა მიერ შეიქმნა ყოველივე. არა მიქმნია მე მოსულა ამა
ქუეყანასა დიდებისათუის ამა სოფლისა, არცა მსახურებისათუის
სპარსთ მეფისა, არამედ მსახურებისათუის ღმრთისა დაუსაბამოსა,
სამებით ერთარსებისა, დამბადებელისა ყოველთასა, დიდებისათუის 30
მერმისა საუკუნოსა დაუსრულებელისა. რამეთუ ჩემითა აქა მოსუ-
ლითა გამომიჴსნია იელუსალემი, წმიდა ქალაქი, სადა დადგეს
ფერჴნი[10] უფლისა ჩუენისა იესო[11] ქრისტესნი, და მუნ აღასრულა
A 212 ყოველივე[12], ცხორებისათუის[13] სულთა ჩუენთასა; | და შემდგომად ყო-

---

[1] ზრახებად *A*. [2] მტერთა *A*. [3] წამძღუარ *A*. [4] უგუნური *A*. [5] გონებისა თუალითა *MB*. [6] სრული *MB*. [7] სრულ *M*, სულიერ *A*. [8] დიდებასა მას მოუგონებელსა<*MB*. [9] და მიუწდომელსა<*B*. [10] საბრჴენი *M*. [11] იესოს *A*. [12] ყოველივე ყოველივე *A*. [13] ჴსნისათუის *MB*.

ჰ 199 ველი საქრისტიანო დამიჴსნა[1] მოჯრებისაგან, რამეთუ მისცემოდა
ჯამი სპარსთ მეფესა მოტყუენვად[2] ყოვლისა საქრისტიანოსა.
დაღათუმცა ქუეყანა ჩემი დაცულ იყო ძალითა ქრისტესითა და სიმ-
M 382 ჴნითა სპათა ჩემთათა, | არამედ უძალო[3] იყუნეს ბერძენნი და ვერ
წინააღუდგებოდეს. და ესრეთ ჯერ არს ჩუენ ქრისტეს მოსავთა-
გან, რათა ერთისა მოყუსისა ჩუენისათუის დავსდვათ სული ჩუენი.
ხოლო ბევრის-ბევრეულთა სული დაჴსნილ არს ჩემითა აქა მოსულითა,
და ამისთუის მიქმნია ესე, რათა ღმერთმან დამბადებელმან შეიწიროს
მსახურება ესე ჩემი, და აღმისუბუქნეს ცოდვანი ჩემნი. რომელ სთქუ,
თუ „მოიწყო[4] სპარსთა, მტერ ექმნებიან ქრისტიანეთა“, მე ძალითა
ჩემითა და შეწევნითა ქრისტესითა ჯამსა ამას დამიჴსნიან ჭირისა-
გან დიდისა ქრისტიანენი, და უკანა ღმერთმან დამბადებელმან
წყალობა[5] ყოს კუალად მოსავთა მისთა ზედა.

„დაღათუმცა არა იყო მიზეზი, ქრისტიანეთა
ჴსნისა დათუით ძალად სპარსთა მოსრულ ვიყავ. ჯერ
A 213 იყო ესეცა | პირველად ნათესაობისათუის და შემდგომად ამისსა,
დაღაცათუ არა ჰეშმარიტსა[6] სჯულსა ზედა არიან სპარსნი, არა-
მედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებელისანი, და რწამს ცხო-
რება სულიერი. ხოლო თქუენ სრულიად უმეცარნი ხართ ღმრთი-
M 383 სანი და უგულისჴმო, ვითარცა ცხენი და ჯორი. ვითარ | უკუე არა
მსახურებადმცა შეიწირა ღმერთმან დამბადებელმან ყოვლისამან და
საწუთროსაცა ამის საქმეთაგან საძაგელ არს გონება შენი, არცა[7]
ქორმან მან ღადარმან რომელმან შეჭამა ყუავი იგი მზრდელი თუი-
სი, აქებ ნაქმარსა მისსა. ხოლო ბუნება ჩუენი ესე არს, რათა კე-
თილის-მყოფელისა ჩუენისათუის დავდვათ სული ჩუენი, და მოვი-
გოთ მადლი ღმრთისაგან, და ვპოოთ ცხორება საუკუნო, და სო-
ფელსა ამას მოვიგოთ ნიჭი კაცთაგან. და სახელსა ზედა ღმრთისა-
სა მცნებათა მისთათუის თუ მოვკუდებით, უკუდავნივე ვართ და
სიკუდილისაგან ცხორებად მივიცვალებით“.

რქუა სინდთ მეფემან: „ცუდი არს სიგრძე ზრა-
ხვისა ჩუენ შორის, არამედ რომელ სთქუ შენ [თუ „სა-
A 214 ხელისათუის ღმრთის[ა ჩემისა] | მოვკუდე, სიკუდილისა-
გან ცხორებად მივიცვალებით“. მაშა, უკეთუ კაცმან უწყოდის მომა-
ჰ 200 ვალი მის ზედა დიდება და კეთილი, | ჯერ არს, რათა ისწრაფოს მიმ-
თხუევად სუფევისა მის. აწ (უწყი)[8] ჰეშმარიტისა მის სუფევისა მიმართ
ჰეშმარიტად უწყი მისლვა შენი. გამოვედ ბრძოლად ჩემდა, რათა ჩემ

[1] დამიჴსნია *B*, მიჴსნია *M*. [2] მოტყუენვად *A*. [3] უცალო *MB*. [4] მოიწყინო რა *M*, მოიწყონ-რაჲ *B*. [5] წყობა *A*. [6] ჰეშმარიტისა *A*. [7] რამეთუ *MB*. [8] უკუე *MB*.

M 384 მიერ მიიცვალო; | რამეთუ წარჩინებული ისი შენი წარმივლენია წინამორბედად შენდა, რათა გაგიმზადოს სადგური შენი".

რქუა ვახტანგ: „მე აწინდელი სიკუდილი არა მიჩნს სიხარულად, რამეთუ ცოდვილი ვარ, და არა სრულიად აღმისრულებიეს მცნება ღმრთისა, და არა აღმიჴოციან ცოდვანი ჩემნი სინანულითა, არამედ ძალითა ქრისტესითა, არა მეშინის შენგან სიკუდილისა; რამეთუ იგი არს მფარველი ჩემი, რომლისა მიერ დაცულ ვარ ყოვლადვე; და მრავალ-მოწყალემან ღმერთმან, მრავლითა ძალითა მის-მიერითა ჩემ მონისა მისგან მოკლას [1] მგმობარი მისი, და სული შენი წარვიდეს ბნელსა მას გარესკნელსა, ცეცხლსა უშრეტსა". მაშინ გამოვიდა სინდთ მეფე, [და ვახტანგ] რქუა მო-
A 215 უასთა თუისთა: „ღმერთსა ევედრ|ენით და ზურგით კერძი ჩემი განმიმაგრეთ". და განვიდა ვახტანგ. და ორთავე აქუნდა ოროლები. [მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნავარდსა, და ღონესა ეძიებდეს ორნივე, რათამცა შეჰყუეს წვერსა ოროლისასა] [2]. მაშინ დაიჭამა
M 385 სინდთ მეფემან შეყოლა ვახტანგისი ოროლის წუერისა | და შეუტევა, რათამცა სცნა ოროლნი.

ხოლო სიმჭნითა და სიკაცკასითა [3] ტანისა მისისათა მიუდრკა ოროლსა და წარიჭადნა და შემოუმრგლო ვითარცა გრიგალმან, და სცნა ოროლნი სინდთ მეფესა ბეჭსა მარცხენასა. ხოლო ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან და იწყლა წყლულებითა დიდითა, რამეთუ წინათ განავლო წყრთა ერთი. და ჩამოაგდო სინდთ მეფე, მივიდა ზედა ვახტანგ, ჩაყო ჴელი და უპყრა ფერჴი მისი [4], და თრევით მოიღო წინაშე სპარსთ მეფისა. მაშინ ყოველმან სპამან ჴმითა მაღლითა შეასხეს ქება ვახტანგს, და აღივსნეს სიხარულითა მეფე სპარსთა და ყოველი ბანაკი მათი. და მოვიდოდეს ყოველნი წარჩინებულნი წინაშე ვახტანგ მეფისა ძღუენითა და შესწირვიდეს ძღუენსა. ხოლო სპარსთ მეფემან მოიყვანა
Ǯ 201 მკურნალი | ჴელოვანი და დაადგინა ზე[და სინდთა] მეფესა, რათა
A 216 [განიკურნოს წყლულებისაგან და მის მიერ წარეღო, ყო]|ველი სინდეთი. ხოლო სინდთა დაიჭირეს, ნაცულად მეფისა, ძე მისი. მაშინ ვახტანგ მოაჴსენა სპარსთ მეფესა განტევება სინდთ მეფისა, აღება
M 385 ხარკისა და მძევალთა, რამეთუ ვერ წარ|იღებდეს სინდეთსა [5].

არამედ სთნდა სპარსთ მეფესა განზრახვა ვახტანგისი, და განუტევა სინდთ მეფე; აღიღო მისგან ხარკი ორი

---

[1] მოგკლას *MB*. [2] მაშინ—ოროლისასა < *A* (ex homoiotcleuto). [3] სიკისკასითა *MB*. [4] მიმისი *A*. [5] სინდეს *B*.

ეგზომი, რომელ აელო ინდოთაგან, და ორნი შვილნი მძევლად, და ესე ხარკი სინდთა მეფემან სპარსთამან ყოველი მიანიჭა მეფესა ვახტანგს. მაშინ მეფე იგი სინდთა დაემოყურა ვახტანგს სიყუარულითა დიდითა; პირველად ამისთუის, რომელ ოდესმე[1] შევარდა ჴელთა ვახტანგისათა, არა მოკლა და ცოცხლებით მიიყვანა წინაშე სპარსთ მეფისა, და შემდგომად ამისთუის, რამეთუ ვახტანგის მიერვე განთავისუფლდა ტყუეობისაგან, და უძღუნა ვახტანგს ძღუენი მიუწდომელი დიდძალი; და წარმოვიდეს სინდეთით წელსა მეოთხესა სინდეთს შესულისა, დამორჩილდეს[2] მოუოჯრებელად[3] ქალაქნი სინდეთისანი: სინდილა[4], თოფორ[ი, კიმრაი[5]. დ]ა მოვიდეს მუნით აბაშეთს. ხოლო აბაშნი მსხ[დომარე იყუნეს ქუეყანასა, რომელსა მოსდგმიდა წყალი] და ლე|რწმოვანი, რომე[6] ვერ იარებოდა ნავი, ვერცა ოთხფერჯი, არამედ საზღვარსა ზედა[7] სპარსეთისასა, და სულგრძელადა ბრძოდეს; რამეთუ წყალი იგი რომელ შესდიოდა, გარდამოუგდეს, ლერწმოანი იგი დაწუე|ს ცეცხლითა, წარმოტყუენეს აბაშეთი. ყოველი, და განყუნა მეფემან სპარსთამან აბაშნი ორად: ნახევარნი დაუტევნა ადგილსა ზედა, და ნახე|ვარნი წარმოიყვანნა, ვითარ სახლი ათასი და განყუნა იგინი ადგილითი-ადგილად. და ესე არიან ჭურდნი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყუენნა აბაშთაგან.

და წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა შესულით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიადმდე, და მოვიდა ურაად[8]. ხოლო სპარსთა მეფე აძლევდა თუისთაგან ცოლად; და ვახტანგ რქუა: „არა[9] ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მიეის მე ცოლი ასული კეისრისა“. დაუმძიმდა ესე მეფესა ხუასროს, არამედ ვერა რქუა. ხოლო ვახტანგ პოვნა დედა და დაჲ[10] მისი მშუიდობით და წარმოვიდეს ვიდრე განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა. და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშიტად[11]. ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული[12] წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრე კათალიკოზისა, და საქმოელ ებისკოპოზისა. წარმოვიდა ვახტანგ ქართლად; და მიეგება ძე მისი დაჩი და ყოველნი სპასალარნი, მათ თანა ებისკოპოსნი; და ვითარცა ცნა ებისკოპოზმან, ვითარმედ[13] წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოზისა და ებისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა.

---

[1] ოდეს *MB*. [2] დარჩომოდეს *MB*. [3] მოოჯრებულად *A*. [4] სინდას *M*, სინდაჲ *B*. [5] კირმა *B*. [6] რომელსა *MB*. [7] +არს *MB*. [8] ურაპად M, ურაჰად *B*. [9] არა არ *A*. [10] დაა *A*. [11] შიმბატ *M*, შიმშატად *B*. [12] მოციქული < *A*. [13] ვითარმე *A*.

და იწყო რეცა ამბორის ყოფად და მიზეზობად;
მიუვლინა მეფესა, ვითარმედ: „შენ დაგიტეობია ქრისტე და
ცეცხლსა ესავ“. ხოლო ვახტანგ მიუვლინა, ვითარმედ: „ძალითა
ქრისტესითა შევედ[1] და სიმრთელით გამოვედ, ძალითავე ქრისტე-
სითა უბრალო ვარ, ღმერთმან იცის, არამედ წარმივლენია მოყვა- 5
ნებად კათალიკოზისა და ებისკოპოზთა“. და ვითარცა ესმა ების-
კოპოსსა, დაიდასტურა; ჰგონებდა, რათა შფოთითა დააცადოს სა-
ქმე იგი და მოსულა მათი, კრულ ყო მეფე და ყოველნი სპანი მის-
ნი. ხოლო მეფემან რქუა: „დაღაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე
ჯერ არს ჩუენგან“. და მივიდა მეფე, გარდაჯდა საჯედარსა, რა- 10
თამცა შეემთხუია ფერჯთა ებისკოპოზისათა, და განხარა[2] ფერჯი
ჰ 203 ებისკოპოზმან და მიამთხუია პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუს-
რა კბილი მისი. ხოლო მეფემან თქუა: „სილაღე ესე ამპარტავანე-
A 219 ბისა[ა]რს საცთური ეშმაკისა; უკეთუ სიმრავლემან ცოდეათა ჩუენ-
თამან აღგძრა, არა გაჭუს ჭელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდო- 15
ბისა, ვითარცა იტყუის სახარებაჲ, ვითარმედ: „არ[ა] დაშრიტო პა-
M 389 ტრუკი მგზებარეჲ“, არცა განსტეხო ლერწამი დაჩეჩქუილი“. ხოლო
ჰგონებ ვითარმცა შენითა სიეერაგითა დაგუაცადნე სიყუარულსა
ქრისტესსა. მაშინ გამოჩნდა [ცხადად][4] რაჟამს გესმა უმთავ-
რესისა შენისა ქართლად მოსულა, აღეგზენ შურითა ბოროტითა, 20
ვითარცა იუდა პეტრესითა, რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო
ეკლესია ვითარცა პეტრე. ვეცხლის-მოყუარე ხარ შენ, და მე-
გუადრუცე ქრისტესი. აწ მიგავლინო შენ კოსტანტიპოლედ პატრი-
აქისა, და ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს“. და წარსცა იგი
დიაფასანთა[5] და მის თანა კბილი[6] მისი, და შეუთუალა, რათა კა- 25
თალიკოზი და მის თანა თორმეტნი ებისკოპოზნი სწრაფით წარ-
მოაელინენ. მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოზად, სამოელ ების-
კოპოზად, და სხუანი ვინცა სთნდენ. და ვითარცა მიაწიეს მიჭაელ
ებისკოპოზი, რქუა მას პატრიაქმან: „ვინათგან დაითხია სისხლი
A 220 შენ მიერ ქუეყანისა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ებისკოპოზად, 30
და კადრებისათუის[7] მეფისა თანა-გაც სიკუდილი, ვითარცა იტყუის:
„დაემორჩილენით მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჴრმალ აბიეს, რა-
მეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შო-
რის ცხოვართა“.

---

[1] სშეევედ *A*. [2] განხადა (vv. ll. განხარა, განიხარა) *B*, განძრა *M*. [3] გაბნდ-
ვინვარე (v. l. ბდვინვარე) *B*. [4] <*A* (რადგან წითლით უნდა დაეწერა და ვერ და-
ეტია). [5] დიასკაპანთა *M*, დესპანთა *B* (დიასპანთა თ ე ი მ). [6] კრებული *A*. [7] კად-
ნიერებისათუის *MB*.

M 390 და ექსორია ყვეს მიქაელ | მონასტერსა მღუიძარეთასა; და წა-
რავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას. და მი-
უწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა მეფემან და პატრიაქმან კოსტან-
ტიპოლელმან: „პირველად დასაბამსა ქართლისასა მოქცევასა დე-
ბ 204 დაკაცისასა რომაელისა ნინოს მი!ერ განავლინა აქათ ებისკოპოზი, 5
რამეთუ (შენ) შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით
ვერა მოაწიეს [1] საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა, რამეთუ ჩუენ უწ-
ყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმი-
დისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარე-
ბასა შინა, რომელ არს უწინარესობა“. და მიუწერეს ყოველი საქმე 10
დიდისა ვახტანგ მეფისა, ვითარმედ[2]: „ებისკოპოსი რომელ მათ მიერ
A 221 დადგინებულ იყო, უკუვადგინეთ, და ღღეს იცოდეთ ახალ-ნერგ|ად
ჰეშმარიტად ქართლი. აწ ორნი ესე თხოილნი მათნი აკურთხენ,
სხუანი ათორმეტნი [3], ვინცა ვინ შენ გენებოს, იგინი აკურთხენ, და
ჩუენდა წარმოვიდენ, რათა ჩუენ ნიჭითა და საჴმრითა ყოვლითა 15
M 391 განუტევნეთ“. და ანტიოქელმან პატრიაქმან [4] აკურთხნა თორმეტნი
ებისკოპოზნი და პეტრე კათალიკოზად.

და მოვიდეს კოსტანტიპოლედ, და მეფემან მისცა ნიჭი დიდ-
ძალი, და ა ს უ ლ ი თ უ ი ს ი მ ი ს ც ა მ ე ფ ე ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ ს, ს ა-
ხ ე ლ ი თ ე ლ ე ნ ე, და გ ა მ ო ა ვ ლ ი ნ ა ი გ ი სპითა დიდითა ვიდრე 20
საზღურამდე სომხითისა. და მუნ მიეგება ვახტანგ მეფე და შეიქ-
ცეს სპანი ბერძენთანი, და წარმოვიდა ვახტანგ მცხეთად. ხოლო
მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი-
ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა
იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ 25
ბ 205 შინა დასუეს პეტრე კათალიკოზად და | სამოელ ებისკოპოსი მცხე-
თასაე საებისკოპოზოსა, და სხუა [5] ერთი ებისკოპოზად კლარჯეთს
A 222 ეკლესიასა ახიზისა; ერთი არტანს, ერის!უეთს; ერთი ჯავახეთს,
წონდას; ერთი მანგლისსა; ერთი ბოლნის[ს]; ერთი რუსთავს; ერთი
ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი ვახტანგ აღაშენა; ერთი ჰე- 30
რემს [6], მისვე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორ-
თავე ეკლესიათა, რომელი იგი აღაშენა მანვე; ერთი ჩელთს [7] რო-
მელ [8] სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხუარნაბუჩს [9], და ერთი აგა-
M 392 რაკს, რომელ არს ხუნანის გაერთებით[10].

---

[1] მოაწიეს ვერა *A*. [2] ვითარ *MB*. [3] ათერთმეტნი *B*, თერთმეტნი *M*. [4] +ყო ეგრე, ვითარცა მიუმცნეს პატრიაქმან და კეისარმან *MB*. [5] დასუა *M*, და დასდვა *B*. [6] ჰერამს *B*. [7] ჩელთას *M*, ჩელეთს *B*. [8] რომელელ *A*. [9] ხორნაბუჯს *MB*. [10] გამართებით *MB*.

შემდგომად ამისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა, და დასუა ებისკოპოზი, სადა იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისა[სა]. ესე რაჟდენ იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფისა ასული, და მოიქცა იგი ქრისტიანედ, და იქმნა იგი დიდად მორწმუნე, და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ, და შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რათამცა უარყო ქრისტე. ხოლო წმიდამან მან აღირჩია წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთუის. და ესხნეს ვახტანგს ბერძნის
A 223 ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ. ხოლო ძესა მისსა, პირმშო|სა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერამისა[1] და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა[2], რომელ არს ხუარნაბუჩი[3], და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავალით; და თუით ვახტანგ დაჯდა უჯა[რმოსა], და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა, და დაჲ[4] მისი მისცა ხუარანძე ბაკურს ცოლად, პატიახშსა სომხითისასა.

M 393 Ჰ 206 |და ვითარცა წარვიდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, მოკუდა ხუასრო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მეფედ მის წილ ძე მისი ხუასრო. და განძლიერებულ იყუნეს სპარსნი, რამეთუ ყოველნი მტერნი მათნი დაემორჩილნეს შესლვითა ვახტანგისითა; და წარმოემართა იგი ბრძოლად ბერძენთა, და მოუვლინა გორგასალსა მოციქული და რქუა: „მოკუდა მამა ჩემი, და მეფე მყო ერმან ჩემმან საყდართა მამისა ჩემისათა, და ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა[5] ჩემთა, რათა მოვიდე წინაშე შენსა და ვერჩდე ბრძანებასა შენსა. და შენ წარმიძღუე, მეფეო, წინამძღურად ჩუენდა შესულასა ამას ჩუენსა საბერძნეთად, და მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილთა შენთაგანი“. და ვითარცა მოვიდა მოციქული ვახტანგ მეფისა[6], ვახტანგ მეფე აშენებნ ქალაქსა ტფილისისა, საფუძველი ოდენ დაედვა.

და ვითარცა უთხრა მოციქულ[მან] შეთუალულობა
A 224 ხუასრო მეფისა, თქუა მეფემან: „ამისთუის თქუიან: | მჭედელო, გამაM 394 ხუე მახუილი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა“. | დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამეოცისა წლისათა, და რქუა ესრეთ: „უთხართ მეფესა ხუასროს, პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა[7], და

---

[1] ჭერამისა *AB*, ჭერმისა *M*. [2] კამბეჩიანისა *M*, კამბეჩისა *B*. [3] ხორნაბუჯისა *M*, ხორნაბუჯი *B*. [4] დაა *A*. [5] მომოხუცებულთა *A*. [6] წინაშე ვახტანგ მეფისა *M*, ვახტანგ მეფისდა *B*. [7] ჩუენდ *A*, ჩემდა *B*.

ეგრე შეევედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი რომელნი იქმნნეს ყოველნი ძალითა ჯუარისათა იქმნნეს. აწ ცხორება ჩუენი იყავნ სასოებითა ჯუარცმულისათა". და წარაელინა ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არა ძლიერი[1] და შეიელტოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე[2] იყო და შეუევალი მტერისა მიერ. ხოლო დაჩი მეფე და[3] დისწული მისი გარდავიდეს[4] კახეთად, და შედგეს ჴევსა ლოხათისასა[5], ქუეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა. და იყუნეს მის სოფლის კაცნი ცეცხლისა და წყლის მსახურ, და სავსე იყო ჴევი იგი სიმრავლითა კაცთათა, ვიდრე ნოსამდე[6]. ხოლო გორგასლისა[7] ცოლი და შვილნი უჯარმის ჴევსა, და წინასა ციხესა ქუეშე[8] დგა, და მის თანა ადარნასე, ჯონბერი[9], და მცხეთას დემეტრე, და ნერსე, და[10] ბივრიტიანე[11] დაუტევნეს. წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა.

ჰ 207 M 395 |და მოვიდა ხუასრო მეფე, და შემუსრნა|ქალაქნი კამბეჩოანი[12], და ჰერამისა ციხე[13]. და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, A 225 დაიბანაკეს იორსა ზედა. ხოლო სპანი ვახტ|ანგისნი დადგეს ველსა ზედა გარემოს ციხე-ქალაქისა, სადა რჩუიან დარფაკა. და შეიბნეს იორსა ზედა, და სამ დღე იბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხუი. მაშინ ვახტანგ მოუწოდა პეტრე ქათალიკოზსა, და თქუა: „არცაღა ხარკისა მიცემისათუის გუბრძვანან, არამედ ქრისტეს დატეობისათუის. მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხორებასა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრისტესსა, რათა სასუფეველი გუაქუნდეს აღთქმულთა მისთა, რომელსა იტყუის: «რომელმან წარიწყმიდოს თავი თუისი ჩემთუის, მან პოოს იგი».

რქუა მას კათალიკოზმან: „გიხილვან საქმენი, რომელნი არავინ ნათესაეთა შენთაგანმან იხილნა, შეწევნანი ქრისტეს-მიერნი; რამეთუ უწყის სიბრძნემან შენმან, ვითარმედ მტერი იგი, გამომცდელი ჩუენი, აცილობს ღმერთსა ჩუენსა, ვითარცა იგი იობის- M 396 თუის; რამეთუ ღმერთი მიუშუებს მოძულებულთა მათ თუისთა|წარწყმედად, ხოლო შეყუარებულთა თუისთა განღმრთობად. იყავ შენ ვითარცა გაზრახოს შენ ღმერთმან, დაღაცათუ არა მოჰკუდეთ"[14]. და ამით სიტყუითა ამხილა, ვითარმედ წყობასა მას არა დარჩეს და ჰ 208 A 226 რქუა: | „არა ხოლო თუ ქართლი მიეცეს განსარყუნელად,| არამედ

---

[1] ძლიერი არა *A*. [2] ტყუე *A*, ტყუ᷄ე *M*. [3] და < *A*. [4] გარდავიდის *A*. [5] ლოპიტისასა M, ლოპატისასა B. [6] ნოსარამდე *M*, ნოსორადმდე *B*. [7] გორგასალი *MB*. [8] წინა ციხესა თუით შედგა *MB*. [9] ჯუნბერ *M*, ჯუანშერ *B*. [10] და<*A*. [11] ბივრიტიანი *B*, ბივრიტიან *M*. [12] კამბეჩისანი *M*. [13] + და მელის-ციხე *MB*. [14] მოჰკუდეთ მოეკუდეთ *M*, მოეკუდეთ, მოეკვდეთ *B*.

იელუსალემიცა, რომელ არს მშობელი შვილთა ნათლისათა“. და რქუა [მეფემან]: „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელ არს პალატსა[1] შინა უჯარმოსასა რომელი[2] აღმიშენებია, და ვეჰპუ[3], ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმოსა იძლივნენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენითო“. და ყო კათალიკოზმან ეგრე. ხოლო ებისკოპოზნი ყოველნი[4] წმიდანი მუნ შეკრბეს. და იყო ლაშქარი ვახტანგისი ორას ორმოცი ათასი[5], ხოლო სპარსთა—შუიდას ორმოცი ათასი[6]. და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად, და კლდით კერძო მიავლინა ქუეითი, და ერთ-კერძო მიავლინა პატიახშნი[7] და სპასპეტნი; და სადათ სპარსთ მეფე იყო, მუნ თუით მივიდა ვახტანგ, რამეთუ[8] ათასითა სპითა[9].

ღამესა ნისლოვანსა განცისკრებასა ოდენ დაესხა ვახტანგ სპარსთა ზედა და რქუა ყოველსა ერსა მისსა: „ყოველი კაცი,
M 397 რო|მელი დარჩეს სიკუდილისაგან, მტერთა ჩუენთაგანისა თავი ანუ ჴელი არა გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუედინ იგი“. და ცისკარი რა აღეღებოდა, დაესხა და შევლო ვიდრე პალატადმდე მეფისა; და შევიდა კარავსა შინა მეფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა, და
A 227 ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკუეთა თავი მისი. და მუნ | შინა სპარსთან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და[10] იყო ბრძოლა შუა დღედმდე; და სძლო ვახტანგ სპარსთა მათ, და მოკლა მათგანი ვითარ ას ოცდაათი ათასი; და სპათაგან ვახტანგისთა მოკუდა ვითარ ოცდარვა ათასი; და წარმოიღეს ნატყუენავი ცხენი ორი ათასი[11], და სრულიად ვერ იოტნეს სიმრავლისაგან. და აიყარა მუნით სპარსთ მეფე და ჩადგა რუსთაესა. ხოლო დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარვიდა უჯარმოს, და უბრძანა სპასალართა ქართლისათა, რათა ადგილსავე დგენ.

ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ, მოაოჯრეს ტფილისი ქალაქი და არმაზი ქართლი[12]. ხოლო მცხეთა ვერ
M 398 დაიპყრეს, გარნა რომელნი ზღუდესა გარ|ეგნით იყუნეს, მოაოჯრნეს,
ჰ 209 რომელნი იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო[13]. | ხოლო ბერძენთ მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკუდა, და დაჯდა ძე მისი. გამოვიდა სპერად, გამოსულად ქართლს, და ვითარცა ცნა სიმძიმე

[1] რომელ პალატსა *B*, რომელი რაბატასა *M*. [2] რომელი <*MB*. [3] ვევეჰპუ *A*. [4] ყოვლნი *A*. [5] ას ორმოცი ათასი *B*, ორას ორმოცდარვა *M* (აღრეულია **სშჰ** [240.000] და **სშჰ** [248]). [6] შვიდას ორმოცდა რჯა *M* (აღრეულია **ჩშჰ** [740.000] და **ჩშჰ** [748]). [7] პატიახშნი *MB*, პატიოსანი *A*. [8] რამეთუ *A*, ვითარ *MB*. [9] ასი ათასითა კაცითა *B*, < *M*. [10] სადა *A*. [11] ასი ათასი *B*, ს'ჩ *M*. [12] ტფილისი და არმაზი ჭალაჭი *MB*. [13] ხერთვისსა *B*, ხერთუისსა *M*.

ვახტანგისი [1], დაადგრა კარნუ-ქალაქსა, და მივიდა მუნ ხუასრო. [შეიბნეს ხუასრო] [2] და კეისარი კარნიფორას [3], და დაიჭოცა [4] ორთაგანვე სპათა, რომელი იქმნა სისხლის მდინარე, და მის მიერ ეწოდა ადგილსა მას კარნიფორა, რეცა სისხლის მუცელი [5]. და ვერ
A 228 სძლეს | ერთმანერთსა, რამეთუ სპანი ორთანივე დაიჭოცნეს, და შეექცა ხუასრო გზასა ქართლისასა. ხოლო ვახტანგ შეიტყო სიკუდილი თავისა თუისისა, და მოუწოდა კათალიკოზსა და ცოლსა თუისსა და ძეთა და ყოველთა წარჩინებულთა, და თქუა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა, და ვმადლობ (და) სახელსა მისსა, რომელმან არა დამაკლო წმიდათა მისთა. აწ გამცნებ თქუენ, რათა მტკიცედ სდგეთ სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ ქრისტესთუის სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.
M 399 და რქუა ყოველთა წარჩინებულთა: „თქუენ მკუ[ი]დრნო ქალაქისანო [6], მოიკსენენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო, და მე ჴორციელებრითა დიდებითა გადიდენ თქუენ, ნათესავთა და სახ(ე)ლსა ჩუენსა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, და სიყუარულსა ბრძანებათასა ნუ დაუტეობთ“. და რქუა ძესა თუისსა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, და შენდა მიმიცემია გუირგუინი მეფობისა ჩუენისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასის-კარითგან და წონდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა. რომელი [7] მოცემულ არს ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა, იგი
A 229 თუით ძმათა შენთა დედისა [8] არს, და იგი აქუნდეს მათ, და იყუ-
ჰ 210 ნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუე|შე ნათესავისა შენისასა“. და მოუწოდა ნასარ ერისთაესა წონდისისასა, და არტვაზ ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანსა, ერისთაესა ოძრჯისასა [9], და მათ მიათუალა ცოლი თუისი ელენე და შვილნი მისნი, რომელსა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეევედრა მათ სამთა ერისთავთა ცრემ-
M 400 ლი|თა და შეხედვითა [10] ღმრთისათა.

მაშინ დღე იყო სასჯელი[სა] წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა, და იტყებდეს ყოველნი და ისხმიდეს ნაცარსა თავთა ზედა მათთა, და ინატრიდეს სიკუდილსა თავისა თუისისასა და ჴმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა, და მორწმუნე [11] ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთუის მოიკლა ვახ-

---

[1] ვახტანგისი *A*, გორგასლისა *M*, გორგასალისა *B*. [2] < *A* ex homoioteleuto. [3] კარნიფორას *A*. [4] დაიყოცა *A*. [5] სისხლის მოცუალი *M*, სისხლსა. ცხენი მუცლით აპობდა სისხლსა *B*. [6] ქართლისანო *MB*. [7] რამეთუ *A*. [8] ძმათა შენთა და დედისა (+მათისა *B*) *MB*. [9] ორძჯისასა *A*. [10] შეხედვებითა *MB*. [11] მორმუნე *A*.

ტანგ. და დაეფლა მცხეთას საკათალიკოზოსა სუეტსა თანა, რომელ-
Ǯ 213 სა შინა არს ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისაგან | დაპყრობით.

და დაჯდა მეფედ ძე მისი დაჩი საყდარსა მამისა თუისისასა. ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა ერისთავთა, დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წონდას ქალაქსა, და ზაფხულის და ზამთრის იყუნიან ოძრჯეს [1], და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავრად, და იყუნენ მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა.

ამან დაჩი მეფემან იწყო (შენებად) შემდგომად
A 230 სიკუდილისა | ვახტანგისა შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჴრე-
ბულ იყუნეს ყოველნი ჴევნი ქართლისანი, თუინიერ კახეთისა და
M 401 კლარჯეთისა და ეგრისისა, და გ|ანასრულნა ზღუდენი ტფილისისანი; და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შე(ე)ქმნა სახლად სამეფოდ. და მოკუდა პეტრე კათალიკოზი და დაჯდა სამოელ. და მეფემან მიათუალა მას მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს. ამანვე მეფემან დაჩი დაპადიჟა [2] მთეულთა კახეთისათა, რათა აღიაროონ ქრისტე. ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი [3].

ხოლო ორთა მათგან(თა) ძეთა ვახტანგისთა, ნა-
შობთა ბერძნისა ცოლისათა, მოკუდა რომელსა ერქუა ლეონ, და დარჩა მირდატ [4]. ამას მირდატს [5] ევაჭრა ძმა მისი დაჩი, მეფემან გაუ-
Ǯ 214 ცვალა ქუეყანა [6], აღიღო მირდატისაგან ეგრის-წყალსა და კლი|სურასა შუა მირდატისა დედული, საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცულად ჯავახეთი ფარავანითგან მტკურამდე [7], ტასის-კარითგან ვიდრე სპერამდე; ერისთაობდა მუნ, და იყო მორჩილ ძმისა თუისისა, დაჩი მეფისა. ამან აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა. და მოკუდა დაჩი თორმეტისა წლისა [8]. დაჯდა ძე მისი ბაკურ, და მო-
A 231 კუდა ბაკურ ცამეტისა წლისა [9]. და დაჯდა ძე მისი მეფედ ფარსმან.
M 402 და მ|კუდა კათალიკოზი სამოელ, და დაჯდა კათალიკოზად თავფეჩაგ. და ვახტანგისითგან ესე მეფენი მშუიდობით იყუნეს, და შვილნი მირდატისნი მონებდეს შვილთა დაჩისთა.

ამისა ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, მოაოჴრეს ქართლი და რანი [10], ხოლო ფარსმან, მეფემან ქართველთამან, ითხოვა სპარსთ მეფისაგან, რათა არა მოაოჴრნეს ეკლესიანი, და იპყრას ქართლი სჯულსა ზედა ქრისტესსა. რამეთუ მას

[1] ორძჯეს *A*. [2] დაჰპატიჟა *M*, დაიპატიჯა *B*. [3] ნოლპატელნი *M*, ნოპაპატელნი *B*. [4] მიდრატ *A*. [5] მირდატ *A*. [6] ქუენა *A*. [7] +და დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან ფანავრითგან (ფარავნით *B*) და *MB*. [8] მოკვდა დაჩი მეფე *M*, იმეფა დაჩი თორმეტ წელ, და მოკუდა დაჩი მეფე *B*. [9] მოკუდა ბაკურ *M*, და იმეფა ათცამეტ წელ და მოკუდა ბაკურ *B*. [10] რანი <*B*.

ჟამსა ბერძენნი უცალო იყუნეს: დასავლით მტერნი აღდგომილ იყუნეს
ჰ 215 და ვერ შემძლებელ | იყუნეს შეწევნად ქართველთა და წინააღდგომად სპარსთა. მაშინ სპარსთ მეფემან ისმინა ვედრება მისი და დაიცვნა ეკლესიანი; ხოლო ფარსმან დაუწერა მორჩილება და მსახურება, და წარვიდა სპარსთ მეფე[1]. მიერითგან განიყუნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი: და დაჩისანი მორჩილობდეს სპარსთა, ხოლო შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ზედა ბერძენთასა.

მოკუდა ფარსმან თოთხმეტისა წლისა[2] და დაჯდა მეფედ ძმისწუM 403 ლი მისი, რომელსა ერქუა ფარსმანვე, და იყო იგი მორწმუნე ვით|არA 232 ცა[3] მამის | ძმა მისი, და მატა ყოველთა ეკლესიათა შემკობა. მოკუდა კათალიკოზი ჩერმაგ, და ამან ფარსმან მეფემან დასუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი. და მოკუდა კაჰ 216 თალიკოზი საბა, და მანვე მეფემან დასუა | ვალეთი[4].

მისვე ფარსმანის-ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ე კ ლ ე ს ი ა თ ა, რ ო მ ე ლ მ ა ნ ქ მ ნ ა ნიშები და სასწაულები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელმან განაკურვნის ყოველნი ქართველნი; დაიწერა ცხორება და სასწაულნი მათნი, დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა.

და მეფობითგან მირიან მეფისა, ვიდრე მეფობადმდე მეორისა ფარსმანისა, გარდაჴდა წელი ორასი, და მეფენი გარდაიცვალნეს თორმეტნი[5], და ვახტანგისითგან[6] კათალიკოზნი გარდაიცვალნეს რვანი, და მოკუდა ფარსმან.

დ ა ჯ დ ა მ ე ფ ე დ ძ ე მ ი ს ი ბ ა კ ურ. ესე იყო მორწმუნე და
M 404 მაშენებელი ეკლესიათა; ამან | განამრავლნა[7] ეკლესიანი და მღდელნი
A 233 სამეფოსა შინა მისსა და განწ|მიდა ქართლი ყოველისა უსჯულოებისაგან. და მოკუდა კათალიკოზი ელათი[8], და მან მეფემან დასუა
ჰ 229 |კათალიკოზი მაკარი. ამას ჟამსა მეფობდა სპარსეთს, რომელსა ერქუა ურმიზდ[9]. და მასვე ჟამსა იყო სომხითს კაცი ერთი, გული[10] მთაეართა, სახელით ვასქენ. და ესუა მას ცოლი, ასული მთავართა, რომელსა ერქუა შუშანიკ, შვილი ვარდანისი. ხოლო ამა ვასქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლის-მსახურებად, წარვიდა წინაშე სპარსთ მეფისა, დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლის-მსახურ. ხოლო სპარსთ მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა

[1] მფე *A*. [2] მოკვდა ფარსმან *M*, იმეფა ფარსმან თოთხმეტ წელ, და მოკუდა ფარსმან *B*. [3] ვითარცა <*Λ*. [4] ველათი *M*, ევლაიოზ (ევლავიოს) *B*. [5] თოთხმეტი *B*, ი´დ *M*. [6] ვახტანგისთგან *A*. [7] განმრავლნა *AM*. [8] ელათი *M*, ევლავიოზ *B*. [9] უმიზდ *A*. [10] შვილი *MB*.

დიდითა ერისთავად რანისა. ვითარ[1] მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქმრისა მისისაგნით დატეობა სჯულისა, არღარა ერჩდა ცოლებად[2], დაივიწყა სიყუარული ქმრისა თუისისა, ყოველითა გულითა შეუდგა ქრისტესა და აღასრულებდა მცნებათა მისთა.

მაშინ ვასქენ შეუდგა მრავალ-ღონედ, პირველად ლიქნითა და ვედრებითა და ნიჭის მიცემითა, და შემდგომად შე-
M 405 აგდო | სატანჯველთა შინა დიდთა, რო|მელ სიგრძისაგან ვერ დავ-
A 234 წერენ ღუაწლნი წმიდისა შუშანიკისნი, და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვასქენ, ერისთავმან რანისამან. მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვასქენს ზედა. ხოლო ვასქენ ველსა გარე დგა, კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მტკუარსა მდინარე ანაკერტისა, დაესხა და შეიპყრა ვასქენ. დაჭრეს წურილად და ასონი მისნი მიჰკიდნეს ხეთა; ხოლო[3] გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა, და დაფლეს ცორტავს. ამან ბაკურ მეფემან წარგზავნა მოციქული წინაშე სპარსთ მეფისა. აუწყა ესე ყოველი, და ითხოვა მისგან შენდობა. მაშინ მეფემან განიზრახა გონებასა თუისსა და თქუა: „უკეთუ შევრისხნე ქართველთა, განერთნენ ბერძენთა იგინი“. და შენდობა აღირჩია: გამოგზავნა მოციქული ბაკურისი პასუხითა კეთილითა, და ყოველი გმობა და ბრა-
ბ 230 ლობა ვასქენ მოკლულისა უბრძანა; ამართლა ბაკურ სიკუდილსა
M 406 მისსა, და წარ|გზავნა რანს და მოვაკანს სხ|უა ერი|სთავი, რომელსა
A 235 ერქუა დარელ[4]. და უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა ზედა.

და მოკუდა[5] კათალიკოზი მაკ[არი], და მანვე მეფემან დასუა სუიმონ კათალიკოზად. და მოკუდა ბაკურ და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, და ვერ იპყრობდეს მეფობასა. მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თუისსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარავეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ქართველთა ერისთავთა[6], აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა[7] მამული[8] ლიქნითა. და გააგდეს ერისთავთა[9] და თუის-თუისად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარავეზსა. და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთეულეთს კახეთისასა, და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთი-

[1] ვითარმედ *A*. [2] ცოლად *MB*. [3] ხოლო *A*. [4] დარელ *AM*, დარიელ *B*. [5] მოაკუდა *A*. [6] ერისთავთა ქართლისათა *MB*. [7] ერისთავთა *M*, საერისთაოთა მათთა *B*. [8] მამულები შვილითი შვილად (შვილამდე *M*) და ესრეთ წარიბირ--ნა *MB*. [9] განდგეს ერისთავნი *MB*.

სათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურანგი[1], დაიპყრეს სპარსთა და ბრძოდეს ბერძენთა.

შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნეს შფოთნი დიდნი სპარსთა შინა, რამეთუ შემოვიდა თურქთა მეM 407 ფე სპარსეთს[2] შინა; მოვიდეს ბერძენნი, და ეწყუნეს სპარსთა 5
A 236 შუამდინარეს, და შევიდეს სპარსეთს; იწყეს ტყუენვად სპარსეთისა. მაშინ ქასრე ამბარეზმან დაუტევა რანი, ქართლი, და წარვიდა შუელად მამისა თუისისა. ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რა- 10
თა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, რათა იყუნენ ერისთავად თუის-თუისად საერისთაოსა შეუცვალებელად. მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი.

და მოსცა ძმისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძენთა მეფისა ასული[3], რომელსა ერქუა გუარამ, რომელი 15
მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს.

ჯ 234 ამას გუარამს მოსცა კეისარმან | კულაპარატობა, და წარმოგზავნა მცხეთას.

მოკუდა კათალიკოზი სუიმონ და დაჯდა სამოელ.

და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის 20
ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. დაიპყრეს კახეთი და ერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარA 237 მოს, | და იყუნეს მორჩილებასა კულაპარატისსა. მაშინ წარმოსცა
M 408 კეისარმან განძი დიდი გუარამ კულაპარატისა თანა, და უბრძანა, რათა მით გამოიყვანნეს ჩრდილოთ ლაშქარნი და შეაერთნეს თანა 25
სპანი ქართველთანი, და შეგზავნნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო[4] ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს არდაბადაგანს, დაუწყეს ტყუენვადა. და ესევითარნი ჰირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა. 30

მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი. ესე ეწყო სპარსეთს თურქთა შემოსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხორებასა სპარსთასა, მოკლა თურქთ მეფე და აოტა ბანაკი მათი. ხოლო სპანი იგი ბერძენთანი, რომელნი შესრულ იყუნეს სპარსეთს, შეიქცეს და 35

---

[1] ასფურაგნი *M*, ასფურაგანი *B*. [2] სარსეთს *A*. [3] და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნისა ცოლისა *MB*. [4] იყო *A*.

წარვიდეს შინა, და ჩრდილონი[1] იგი, კულაპარატისა შეგზავნილნი,
იგინიცა წარმოვიდეს შინა; რამეთუ ვინათგან მოიცალეს სპარსთა
A 238 თურქთაგან, შეეშინდეს, და დაეცა შიში და ძრწოლა ქართველთა
სპარსთაგან[2]. და ამან გუარამ კულაპარატმან[3] იწყო ციხეთა და ქა-
ლაქთა მაგრებად. და კუალადცა წყალობა[4] ყო ღმერთმან ქრისტი- 5
M 409 ანეთა ზედა; და სხუა | შეული დაჰვარდა სპარსეთს: რამეთუ იგივე
ჰ 235 ბარამ ჩუბინი გაადგა სპარსთ მეფესა და დასწუნა თუალნი ურმიზ[დ]
მეფესა, ცოლის ძმათა მისთა[5], და იწყეს ბრძოლად ჩუბინმან და
ქასრე. იოტა ქასრე ჩუბინისაგან, და წარვიდა საბერძნეთს. და კეი-
სარმან მავრიკ მოსცა ასული თუისი ცოლად ქასრეს, და მოსცა სპა 10
მისი და წარმოგზავნა ჩუბინსა ზედა. იოტა ჩუბინი სპარსეთით, და
ქასრემან დაიპყრა[6] სპარსეთი.

მაშინ მავრიკ კეისარმან იურვა[7] ქართველთათუის
ქასრეს თანა და რქუა: „ვინათგან დაუტეობიათ[8] ქართველთა კერპთა
მსახურება, მუნითგან მორჩილნია ბერძენთანი[9]; რამეთუ ჟამსა შინა 15
მძლავრებისაგან თქუენისა იქმნნეს ქართლი განრყუნილ, თუ არა სა-
მართალი თქუენი არა არს ქართლსა ზედა. აწ ბრძანებითა ღმრთი-
A 239 სათა, ვინათგან სრულსა სიყუარულსა ზედა ვართ მე და | შენ, ქართ-
ლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ: მე ვარ მწე და მოურავი ქართ-
ველთა და ყოველთა ქრისტიანეთა“. 20

მაშინ ერჩდა სპარსთ მეფე კეისარსა, და განთა-
ვისუფლდეს ქართ[ველნი]; და ესე გუარამ კულაპარატი და-
დგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა. იყო კაცი მაშენებელი ეკლე-
სიათა და მორწმუნე. ამან იწყო ეკლესია ჯუარის პატიოსნისა, და
M 410 აქამომდე[10] ჯუარი ველსა ზედა იყო, და ქმნა ეკლესია წელთამდე 25
ოდენ. და მეფობდა კეთილად და უშფოთველად; არამედ ერისთავ-
ნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთოთაგან[11], რამეთუ სპარსთა
მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკუიდრობისა-
თუის საერისთოთა მათთა, არამედ იყუნეს მორჩილებასა გუარამ
კულაპარატისასა. 30

და მოკუდა კათალიკოზი სამოელ და დასუეს სამოელვე.

ამანვე გუარამ კულაპარატმან განაახლა საფუძველი ტფილი-
ჰ 236 სისა სიონისა, | რამეთუ ნათესავნი მირიან მორწმუნისა მეფისანი
ყოველთა ეკლესიათა მაშენებელნი იყუნეს.

[1] და ჩრდილულნი *M*, და დარჩომილნი *B*. [2] სპარსთგან *A*. [3] კულაპრტმან *A*.
[4] წყობა *A*. [5] ურმიზადს მეფის ცოლის ძმათა *M*, ურმიზდს მეფეჲა და ცოლის
ძმათა მისთა *B*. [6] ქასრე და დაიპყრა *A*, და ქასრემ ამბარვეზმან დაიპყრა *B*, <*M*.
[7] იუვრვა *A*. [8] დაუტეობ *AM*, დაუტეობიათ *B*. [9] ბერძენნი *A*. [10] აქამომდა *A*.
[11] საერისთომან *A*, საერისთაოთგან *M*, საერისთოთაგან *B*.

და მოკუდა გუარამ კულაპარატი, და დაჯდა ძე მისი სტეფა-
ჰ 237 A 240 ნოზ[1]; | მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისა-
გან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს. და მოკუდა სამოელ
კათალიკოზი, და ამან სტეფანოს დასუა ბართლომე კათალიკოზად [2]
ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში, არა მსახურა
ღმერთსა, არა მატა სჯულსა და ეკლესიათა.

და ამა-ზე იქმნა შფოთი საბერძნეთს, რამეთუ მავრიკ კეისარსა
M 411 განადგა ფუკას მჭედარი, და მოკლა მავრიკ კეისარი და შვილნი
მისნი, და დაიპყრა საბერძნეთი ფუკა მჭედარმან. მაშინ სიძეთან კეი-
სრისამან, სპარსთ მეფემან ქასრე, იწყო ძღუნად და [3] ძებნად სის-
ხლსა სიმამრის და ცოლის ძმათა მისთასა, შესულად და ტყუენვად
საბერძნეთისა. განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა
ფუკას კეისარი; ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა
სპარსთ მეფესა და განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა.

მას ჟამსა ამანვე მეფემან ქასრე წარმოტყუენა
იერუსალიმი და წარიყვანა ძელი ცხორებისა; და შემდგო-
მად ამისსა აღიღო ღმერთმან ჯელი წყალობისა ქასრესგან, და შე-
A 241 იპყრა ძემან თუისმან, და შესუა საპყრობილესა, და მოკუდა სენითა
ბოროტითა. ხოლო ამა სტეფანოზის-ზე მცხეთას მოაკლდებოდა და
ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოჭრდებოდა და კალა აშენ-
დებოდა [4]. ხოლო ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აშენებდა
ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა; რამეთუ სენიცა იყო მის თანა
ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა.
ჰ 238 M 412 და სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, დაჯდა იგი
ტფილისს [5], და მორჩილობდა იგი სპარსთა. ხოლო შემდგომად
ამისსა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა საბერძნეთს კაცი ერთი,
თუისი მავრიკ კეისრისა, სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფუკა კეი-
სარი და დაიპყრა საბერძნეთი, განძლიერდა იგი და მოიყვანნა და-
სავლეთით თურქნი, და შეიკრიბნა სპანი [6] ურიცხუნი, და წარემართა
სპარსეთად ძიებად ძელისა ცხოველისა. მოვიდა პირველად ქართლს.
და ამან სტეფანოზ განდგომა არა ინება სპარსთა, განამაგრნა ცი-
ხე-ქალაქნი და დადგა ტფილისს [7].

მოვიდა ერაკლე მეფე და მოდგა ტფილისსა. ხო-

---

[1] +ხოლო ამან სტეფანოზ *B*. [2] კათალიკოზად კათალიკოზად *A*. [3] ძღუნად და<*MB*. [4] მცხეთას მოაკლდებოდა და ⟨კულა აღშენდებოდა⟩ ტფილისი (და) განძლიერდებოდა, და არმაზი აღთხელდებოდა, კულა აღშენ[დ]ებოდა *M*, მცხეთას მოაკლ[დ]ებოდა და კალა აღშენდებოდა, ტფილისი განძლიერდებოდა და არმაზი აღთხელდებოდა *B*. [5] ტფილის *A*. [6] სპანი<*A*.

ლო სტეფანოზ იყო ქუელი მჴედარი და შემმართებელი, დღეთა
A 242 ყოველთა გამოვიდის[1] | ქართა ქალაქისათა, და ებრძოდის ბერ-
ძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა[2] შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ[3], და
მოკლეს; და დაიპყრა კეისარმა[ნ] ტფილისი. ხოლო ციხესა კალა-
სასა დარჩეს კაცნი, და არა მოერთნეს მეფესა; ციხით გამოღმართ
ციხისთავმან აგინა მეფესა და რქუა: „ვაცის წუერნი გასხენ, ვაც-
M 413 ბოტისა კისერი გათქს“. მაშინ ბრძანა მეფემან: „დაღაცათუ კაც-
ჰ 239 მან ამან ბას|რობით მრქუა მე ვაც-ბოტობა[4], არა არს ცუდ სიტ-
ყუა მისი“. და მოიღო წიგნი დანიელ, და პოვა მას შინა წერილი
ესრეთ: «გამოვიდეს ვაცი დასაცალით, და შემუსრნეს რქანი ვერ-
ძი[სა აღმოსავლი]სანი». მაშინ განიხარა კეისარმან და დაიდასტურა,
რამეთუ ყოველი განემარჯუებოდა. მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა
ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის
ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე,
და მისცა ტფილისი და მთავრობდა ქართლს[5], დაუტევა მის თანა
ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბღაჲ[6], და უბრძანა ბრძოლა კალისა.
ჰ 240 და თუით | წარემართა მეფე.

შემდგომად მცირედთა დღეთა წარიღეს კალა
A 243 |და შეიპყრეს ციხისთავი იგი. ამან ერისთავმან პირველად[7] პირი
დრაჰკნითა[8] აღუესო და რომელ სიტყუითა შენითა კეისარმან განი-
ხაროს[9]. და შემდგომად ამისსა ტყავი გაჰჴადა და კეისარსა უკანა
მისწია გარდაბანს: კადრებისათუის მეფისა უყო ესე. და ესეეითა-
რითა სიკუდილითა წარეგნეს სტეფანოზ და მსახურნი მისნი. ამის-
თუის უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს[10], რამეთუ[11]
M 414 არა მადლობითა[12] ღმრთისათა ცხოვნდებო|და: მორწმუნეთა ემტე-
რებოდა და ურწმუნოთა მოყუროდა.

ჰ 241 |მაშინ კუალად წარიღეს ბერძე[ნთა] საზღვარი ქარ-
თლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღუის პირი[13]. და შეილნი
სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, ხოლო ყოველი
ქართლი დაიპყრა ადარნასე[14], ბაკურის ძემან, მთავრობით, და მეფის
სახელი ვერცა მან იპყრა[15], და ერისთავი იგი თუის-თუისსა საერის-
თოსა ზედა შეუცვალებელად მორჩილობდეს ადარნასე მთავარსა.

---

[1] გამოვიდის გამოვიდის *A*. [2] წყობასა *MB*, წელიწადსა *A*. [3] სტეფანოზ *A*. [4] ვაც-ბოროტობა *AM*. [5] და მთავრობა ქართლისა *MB*. [6] ჯიბღაა *A*, ჯიბღა *MB*. [7] პირველად *A*. [8] დრაჰკნითა <*A*. [9] რომელ კეისარმან სიტყუითა მისითა განიხარა *M*, რომელ სიტყვითა მისითა კეისარმან განიხარა, რომელი თქუა სადიდებელი მეფისა ერაკლესი *B*. [10] სტეფანოზ *A*. [11] რამეთუ <*A*. [12] მინდობითა *MB*. [13] ბირი *A*. [14] ქარდთლირნასე *A*. [15] იკადრა *MB*.

П 242 |ხოლო ერაკლე შევიდა [1] სპარსეთად, და მოკლა ხუასრო მეფე, და წა-
რიღო ბაღდადი, და წარმოიყვანა ძელი ცხორებისა, უკუმოიარა გზა
А 244 ქართლისავე, მეშუიდესა წელსა რათგან ჩაევლო. | და ეკლესია ჯუარის
პატიოსნისა და სიონი ტფილისისა გაესრულნეს ადარნასე ქართლისა
П 243 მთავარსა. მაშინ ერაკლე | მეფემან წაასხნა მანგლისით და ერუშეთით
ფიცარნი და შამშუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რო-
მელნი მოცემულ იყუნეს კოსტანტინესგან მირიანისდა.

შეწუხნა ადარნასე [2], ქართველთ მთავარი, და
М 415 ეედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნეს ნიშნი იგი
ღმრთისა-მიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წა-
რიხუნა.

ხოლო ამის ადარნასეს-ზეე გარდაიცვალნეს სამნი კათალიკოზ-
ნი: იოვანე, ბაბილა და თაბორ. მოკუდა ადარნასე, დადგა [3] მის
წილ ძე მისი სტეფანოზ. ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა
ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწე[ბ]ედელი სჯუ-
ლისა, მაშენებელი ეკლესიათა, და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესია-
თა ჯუარისა პატიოსნისათა, და აღაშენნა დარბაზნი, და დაუწერა
კრება [4] ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრიბნა ყოველნი ებისკო-
პოზნი და მღდელნი მის ადგილისანი კათალიკოზის თანა, წინაშე
А 245 პატიოსნისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი [5]. ხოლო საკათალი-
П 244 |კოზოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათსა [6], და ადიდიან წმიდა
სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა ჭორცსა და სი-
სხლსა ქრისტესსა. ხოლო მცხეთას საებისკოპოზოსა არიან [7] ყოველ-
თა სამშაბათთა [8] კრება და ჴსენება პირველ-მოწამისა [9] სტეფანესი
და ყოველთა მოწამეთა, და დიდისა მის განძლიერებისა
სპარსთასა, რომელ წამებულ იყუნეს აბიბოს [ნ]ეკრესელ ების-
М 416 კოპოზი, რაჲთუ მოაქციჴნა უმრავლესნი მთეულნი არაგუისა აღმო-
სავალით. ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საების-
კოპოზოსა, სამარხავსა ებისკოპოზთასა. და დღესასწაულსა უფროს
ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და [ა]დიდებდიან ღმერთსა.

მათ ჟამთა გამოჩენილ იყო მომად [10], ნათესაჲი ისმაელისი, მო-
ძღუარი სარკინოზთა სჯულისა, და ყოველი არაბია და იამანეთი [11]
დაიპყრა, და მოკუდა იგი. დადგა მის წილ აბობიქარ, და შევიდა
სპარსეთს. რამეთუ ვინათგან შესრულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს

[1] შევიდა შევიდ *A*. [2] ადარნასა *A*. [3] დაადგა *A*, და დადგა *M*, და დაჯდა *B*.
[4] კრება <*A*. [5] + ვითარცა დიდი პარასკევი *MB*. [6] ხუთშაბათთა *MB*. [7] არნ *B*.
[8] შაბათთა *B*. [9] მირველ-მოწამისა *A*. [10] მო˙ამად *M*, მაჰმედ *B*. [11] იამანიათე *A*, იმანეთი *M*.

და განერყუნა სპარსეთი, არაეინ იყო წინააღმდგომ[1] სპარსეთს.
A 2 16 ამან აბიბაქარ აგარიან[მან] დაიპყრა | სპარსეთი, შევიდა ბაღდადს,
მძლავრობით დაუტეობია[2] უმრავლესთა სპარსთა ცეცხლის-მსახურება, და მოაქცივნა სარკინოზად. და მოკუდა იგი, და დადგა
ომარ, და განძლიერდა უმეტეს იგი. უთხრეს მეფესა ერაკლეს, ვითარ შემოვალნ[3] აგარიანნი შამად და ჯაზირეთად, რომელ არს შუამდინარე. და გამოვიდა ერაკლე ფილისტიმად, რათა ეწყოს მუნ.
ხოლო იყო მონაზონი, კაცი ღმრთისა, და მან რქუა მეფესა: „იელ-
3 2.15 M 417 ტოდე, რამეთუ | უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი[4] სარკინოზთა, რომელ არს სარას ძა[ღ]ლთა“[5]. და მონაზონისა მის
სიტყუითა[6] ესე უთხრეს ერაკლე მეფესა ვარსკულავთ-მრაცხველთა[7] და სრულთა მისანთა.

აღაშენა ერაკლე სუეტი და მას ზედა დაწერა: „მშუიდობა, შუამდინარეო დატფილისო[8], ვიდრემდის წარჴდენ შუიდნი შუიდეულნი“. შუიდეულისათუის ესრეთ პოვეს
ჟამი განსაზღურებული[9] ფილასოფოსთა რმისტორმან იჯინტონის[10] წიგნთა შინა[11], რომელ არს ორმოცდაათი[12] წელი. ხოლო მომადის გამოჩინებადმდე[13] გარდასრულ იყუნეს წელნი ცხრაას[14] ოცდაშუიდ-
A 2 17 ნი. მაშინ ყოველნი | ნათესავნი ბერძენთანი ჰფლვიდეს ქუეყანათა შინა განძსა, რათა რაჟამს გამოვიდენ, პოვნენ განძნი იგი და არღარა ნახონ ჴირი იგი წაღებასა და კუალად გამოღებასა.

და აღმოვლო ერაკლე კეისარმან გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად. და რქუა ნათესავსა სპარსთასა[15], რომელნი შემოლტოლეილ იყუნეს სარკინოზთაგან; უკეთუ: „უწყით, ვითარმედ დასრულდა მეფობა თქუენი, დაუტეეთ ჩრდილო და შემ[ოვედით ჩუენთანა]“. და მათ დაუტეევეს ქუეყა-
M 418 ნა ესე, და დაფლ|ეს განძნი მათნი; რომელნიმე წარჰყევეს, და რომელნიმე დადგეს, და შეიქმნეს[16] ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი. და რა გუჯარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თუისი, რათა, ოდეს გამოვიდეს ბერძენნი, მით გუჯრითა მოიძიონენ ნათესავნი მათნი და
თუითოეულად განუყონ ქუეყანა და განძი.

3 2.17 |ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი, არჩილ და მიჰრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა

[1] წინააღმდგომ *A*. [2] დაატეევებინა *M*, დაატეობინა *B*. [3] შემოვლეს *M*, შემოვლენ *B*. [4] სამხრითი *A*. [5] რომელ არს თარგმანი სარას ძალითა *M*, რომელ არს თარგმანი მისი სარას ძაღლი *B*. [6] სიტყუათა *A*. [7] ვარსკულავთა-მრიცხველთა *MB*. [8] ფლისტიმო *M*, ფილისტიმო *B*. [9] განსაზღურებული *A*. [10] ჰრომის ტროსამან (ტროსმან *B*) იჯინტონის *MB*. [11] + სარკინოზთათუის *M*, რომელ არს სარკინოზთათუის *B*. [12] ომოცდაათი. [13] +ალექსანდრეს წელთაგან *M*, ალექსანდრესითგან *B*. [14] ცხრაას<*A*. [15] სპართასა *A*. [16] შეიტანნეს *MB*.

ჰ 248 და ვეცხლისა, თუალთა | პატიოსანთა: და ნახევარი წარიღო ქუეკა-
ნასა ეგრისასა, და წარიყვანა მიჰრ [1], ძე თუისი პირმშო; და ნახევა-
A 248 რი საქონელისა თუისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თუისსა.
ხოლო არჩილ დაფლა საგანძური უფროსი ჴევსა კახეთისასა, ხო-
ლო სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი ჴევსა უჯარმოსასა, 5
და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომე-
ლი მანვე ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთუის, რომელნი
თანა ვერ წარქონდეს. სახელი გორისა [2] მის არს ტონითიო [3] და
თარგმანებით „მთა ოქროსა“. და დასუა მას ზედა ტილისმი, რა-
თა ვერვინ შეუძლოს გამოღებად. ხოლო საგანძურნი ყოველთა ქარ- 10
თლისა ეკლესიათანი დაფლნა [4] დიდისა სიონისა აჩრდილსა მცხე-
M 419 თას. და შემდგომად მცირედთა | ჟამთა შეიდა არჩილცა ეგრისადვე.
ჰ 249 რამეთუ მოიწია [ამი]რა აგარიანი ქართლად, რომელსა ერ-
ქუა ყრუ მურვან, ძე [5] მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშმის [6] აჲა-
მომლსა [7], ძესა აბდალ-მელიქისსა, ნათესავისაგან ამათისა. ამის- 15
თუის ეწოდა ყრუ, რომელ მეორედ [8] არა მიითუალვიდა სიტყუასა
განმზრახთასა.

და ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავ-
A 249 თანი ერისთავთა და წარჩინებულთანი, | შევიდოდეს კავ-
კასიად, და დაიმალნეს ტყეთა [9] და ღრეთა. და მოელო ყრუმან მურ- 20
ვან [10] ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა, დარუბანდისა,
და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრაველესნი ციხენი ყოველთა
ჰ 250 საზღვართა ქართლისათა. | და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლი-
სანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით
კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუს- 25
ჰ 251 რნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა. | და
ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე გოჯი, შემუსრა, და შეევლო
ზღუდე, საზღვარი კლისორისა [11]. და მოსლვასა მისსა კათალიკოსი
იყო თაბორა.

და ვითარცა შეევლო ყრუმან კლისორა [12], რომე- 30
M 420 ლი მას ჟამსა იყო საზღვარი | საბერძნეთისა და საქართვე-
ლოსა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშელეთისა [13] ცხუმი,
და მოადგა ციხესა ანაკოფისასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად
წმიდისა ღმრთის-მშობელისა, არა კაცობრივითა ჴელითა დაწერილი,
არამედ ზეგარდამო, რომლისა არავინ უწყის—ვინა იგი მოსრული 35

[1] მჰირ *A*. [2] სახელი ჭგორისა *A*. [3] ტნთიო *M*, ტონთიო *B*. [4] დაფლნა<*A*.
[5] დისწული *B*. [6] ებრმს *M*, ეშმს *B*. [7] +ბაღდადელსა *MB*. [8] ეწოდა მეორედ ყრუ
რომელ *A*. [9] კლდეთა *MB*. [10] ყრუ მურვან *A*, ყრუმან *MB*. [11] კილისურისა *M*,
კლისურისა *B*. [12] კლისოსისა *A*. [13] აფშჯლეთისა *B*, აფბილეთისა *M*.

A 250 იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, | რომელსა ზედა მოსდგამს სამ-
ხრით ზღუა და ჩრდილოთ ჭალაკი მწყურნები. მუნ შინა იყუნეს
მაშინ მეფენი ქართლისანი მირიან[1] და არჩილ; ხოლო მამა მათი
გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრისს შინა. და ერისთავი
კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისსა, რომელ არს
გარდასლვასა ოვსეთისასა, და ვერვინ შემძლებელ იყო წყობად ყრუ-
სა; რამეთუ იყუნეს სპანი მისნი უფროს და უმრავლეს ჭალაკთა
ჭ 252 ეგრისისათა. | მაშინ რქუა არჩილ მირიანს[2], ძმასა თუისსა: „მიწყუ-
დეულ არს ციხე-ქალაქ(ნ)ი ესე შემუსრვად; და უკეთუ შეიპყრნეს[3]
ჴელთა, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალევნი, რომელნი
იგი დავფლენით ქუეყანასა ჩუენსა, მონაგებნი მირიან ღმრთივ-გან-
ბრძნობილისანი, და კუალად ვახტანგ ღმრთივ-განბრძნობილისა
M 421 მეფისანი, და ყოველთა შვილთა მათთა, რომელთა გუშვნეს ჩუენ.
და იგიცა ითხოვოს ჴელთა ჩუენთაგან, რომელი და-
მალა ერაკლე მეფემან, რომლისა წერილი დავდევით (და) ორთა
A 251 მათ თანა გუირგუინთა ზურმუხტისა და იაგუნდისა | და ძოწეული-
სათა, რომელნი გამოიტანნა მამამან ჩუენმან, დიდმან მეფემან
ვახტანგ, ინდოეთით და სინდეთით, დავფლენით იგი უჯარმოს,
მახლობელ შორის ორთა მათ კოშკთა უმცეელოთა, და ყოველი
იგი აღწერილ არს გონებასა ჩემსა. და შენ წარიხუენ ორნი
ი[გი] გუირგუინნი მისვე ვახტანგისნი, რომელნი
მიუძღვანნა სპარს[თა] მეფემან, ერთი მირიანს და ერთი
ვახტანგს, ყოვლისათუის[4] ოქროსა და ვეცხლისა[5], რომელი აჰკიდა
სატუირთავსა ხუთასსა და მკუირცხსა[6] ორი ათასსა, და შენ და
მამამან ჩემმან დასდევით იგი ქუთათისს[7] და ციხე გოჯს. ხოლო მე
გუირგუინი ჩემი მარტოდ დავდევ. აწ, უკეთუ მოვსწყდეთ, განძი იგი
უცნაურად დარჩეს. და მოსულასა ბერძენთასა ძიება ყოს კეისარმან
ნათესავისა ჩუენისათუის, და მოსცეს მეფობა და განძი იგი, არა
M 422 ვიქმნეთ ჩუენ მიზეზ ოჴრებისათუის ქართლისა და საბერძ|ნეთისა,
არამედ შევიდეთ[8] და ვეწყუნეთ ზღუით კერძოსა მას გუერდსა
შინა. თუ ენებოს ღმერთსა, ერთითა იოტოს ათასი და ორითა
ბევრი“.

ჭ 253 | და | მივიდეს წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმიდისა
A 252 ღმრთის-მშობელისა, თაყუანის-სცეს შევრდომით და იტყოდეს: „გან-
ვალთ სასოებითა ძისა შენისათა და ღმრთისა ჩუენისათა, რომელი

---

[1] მირ *B*. [2] მირიან *A*, მიჰრს *B*. [3] შეგიპყრნეს *M*, შეგვიპყრნეს *B*. [4] ყოველსა თანა *MB*. [5] ვეცხლსა *MB*. [6] მკუირცხლსა *MB*. [7] ქუთათის *A*. [8] არა შევიდეთ *A*.

იშვა შენგან, და მისა შეწირე ოხა ჩუენთუის". და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა, ნათესავი ერისთავთა და პატიახშთა[1] ათასი, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი ორი ათასი. და ვიდრე განთენებადმდე მოაელინა უფალმან სარკინოზთა ზედა ხორშაკი ბღუარისა და გუემნა იგინი სატლითა სისხლისათა. და ეჩუენა მას ღამესა არჩილს ანგელოზი უფლისა, რომელმან რქუა მას: „წარვედით და ეწყვენით აგარიანთა; რამეთუ მიმიცემულნია მათ ზედა გუემა სასტიკი მომსრველი, კაცითგან მიპირუტყუთამდე. განრა-ხუიდეთ, გესმეს ჴმა ტირილისა და ვაებისა. ხოლო მჴნე იყვენით და განძლიერდით სასოებითა ღმრთისათა". და ვითარცა განთენდებოდა, ისმა ბანაკით მათით ჴმა ტირილისა და გოდებისა.

M 423 A 253 | მ ა შ ი ნ გ ა ნ ვ ი დ ე ს ს ა ს ო ე ბ ი თ ა ღ მ რ თ ი ს ა თ ა წყობად მათდა, ეწყუნეს; და უფალმან მოსცა ძლევა მტერთა[2] მცირედთა ერთა ქრისტიანეთა, და მოსწყუიდნა სატლითა სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახუილითა—სამი ათასი. და იწყლა მიჰრ მარზაკითა ფერდსა. ხოლო ქრისტიანეთაგან მას დღესა შინა B 254 მოკლეს კაცი სამოცი, | სარკინოზთა ცხენი დაეცა ვითარცა[3] ჭალაკი, და ჩააყრიდეს[4] ყოველსა მას ზღუასა[5].

მ ა შ ი ნ ი ხ ი ლ ა ა გ ა რ ი ა ნ მ ა ნ ვ ი ნმ ე ჩ უ ე ნ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ს ა ე ტ ყ ო დ ა რეცა მოციქული მათი: „მოუცემია ღმერთსა ძლევა მტერთა ჩუენდა ვიდრე აღსრულებადმდე ათთა მეფეთა, ვითარცა რქუა ღმერთმან აბრამს და აგარს. არამედ ეკლესიათა და წმიდათა კაცთა ეკრძალებოდეთ, ვითარცა იგი გამცენ კურანსა შინა ჩემსა". მსწრაფლ აღიყვანეს[6] და უკუნ იქცეს კუალსავე თუისსა, და აღიარეს ციხე გოჯი, და დაიბანაკეს წყალთა მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა[7]. და გარდამოჴდა წუიმა მძაფრი, აღდგენ მდინარენი სასტიკად; და მიმართა უფროსმან წყალმან აბაშთა, და M 424 წარიღო მათგანი მკუირცხლი სამი[8] ათასი, და მიმართა უმცროსმან წყალმან მჴედართა, რომელთა იგი ბანაკი იყო უჯალაკე, რო- A 254 მელნიმე ივლტოდეს ადგილითა, რომელნიმე ხეთა ზედა გაჴდეს; და წაიღო ცხენი ოცდახუთმეტი ათასი. მიერითგან სახელ ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა[9] ცხენისწყალი და ერთსა აბაშა. და აღიყარა[10] მუნით, და შემოვლო გზა[11] გურიისა, განვლეს სპერისა, და სიმრავლისაგან არა შეჩენილ იყო კლება. ხოლო უწინავე დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამეთუ თიჴისაგან ვერ იარებოდეს.

[1] პტიაღშთა *M*. [2] მტერთა < *MB*. [3] ვითარსა *A*. [4] ჩაჰყრიდეს *M*, ჩაყრიდის *B*. [5] ზღუდად *MB*. [6] აღიყარნეს *MB*. [7] მსგეფსსა ერთსა *B*, მსგეფსისასა ერთსა *M*. [8] ოცდასამი *MB*. [9] ერთსა ერთსა *A*. [10] დაიპყრა *A*. [11] გზა < *A*.

Ჰ 255 |ხოლო იქმნა მას ჟამსა შინა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა: რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები და არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოველად. და წარავლინეს მოციქული საბერძნეთს მეფესა წინაშე მიჰრ, და არჩილ, და ერისთავთან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ჴელითა მათითა. ხოლო მან წარმოსცა ორი გუჯარი და გუირგუინი მირიანისი[1] და არჩილისა, და მოუწერა მათ თანა, ვითარმედ: „თქუენი იყო მეფობა, სიმჴნე და სიბრძნე ქართლს შინა; დაღაცათუ აწ
A 255 იდევნებით ჩუენ | თანა | მსახურებისათუის ჯუარისა, მოქცევასა
M 425 ჩუენსა, ვითარცა ამითქუა ჩუენ ღმერთმან, ჩუენ თანა იდიდნეთ. არამედ დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარჴდენ წელნი მათნი სამასნი; რამეთუ ორას მეერგასესა[2] წელსა განიყოს[3] მეფობა მათი, და განსრულებასა მესამისა წლისასა მოე-
Ჰ 256 ცეს ძალი მეფობასა ჩუენსა. შე|მუსრნეთ აგარიანნი, და ყოველნი მათნი ამაღლებულნი დამდაბლდენ, და ჩუენ თანა მადიდებელნი ამაღლდენ“.

და მოუწერა ლეონს ესრეთ სახედ: „ყოვლადვე საზღუართა ქართლისათა ჩუენგან ქმნულ არს ვნება და მეფეთა მათთაგან ჩუენდა მომართ თანადადგომა. ესე მსახურება დადევს ჩუენ თანა საყდარსა ამას სამეუფოსა: პირველად ნათელი მოიღეს ჴელსა ჩუენსა ქუეშე; კუალად შემუსრვისაგან დაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსა, და შორის ჩუენსა და შორის სპარსთა ყვეს მშუიდობა. რამეთუ იგიეე ვახტანგ შუამდგომელ იქმნა, და ჴრმლითა
A 256 მისი|თა უკუმოიღო სამეფოსა ამის პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა. აწ თუმცა ღმერთსა არა მაგათ მიერ დაებრკოლა ბო-
M 426 რ|ოტი ეგე მტერი, მო-მცა-სრულ იყო ვიდრე კოსტანტიპოლედმდე. და შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ ყუნა ღმერთმან ეგენი, რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისჴმისმყოფელი და მბრძოლი, ვითარცა ესე მოგუითხრობს ჩუენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით. შენდა მიბრძანებიეს ერისთაობა აფხაზეთისა შენ და შვილთა და მომავალთა შენთა უკუნისამდე. არამედ კეთილად აპატიობდი[4] მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა.
Ჰ 257 ამი|ერითგან ნუღარამცა ჴელგეწიფების ვნებად მათდა, საზღუართა მათ ეგრისათა, ვითარმედ[5] იყუნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით. მიჰრ

[1] მიჰრსა *B*, მრისა *M*. [2] მეერგასესანი *A*. [3] განევლთოს *MB*. [4] ჰპატიობდი *M*, პატიობდი *B*. [5] ვიდრემდის *MB*.

დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თუისსა არჩილს: „მე ესერა წარვალ, ძმა-უფალო[1], მამათა ჩუენთა თანა; [არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათაველ ჩუენთა თანა][2], და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევთა სადა არს.
A 257 და არა მივის მე წული შვილი მკუიდრად, | [არამედ მისხენ შვიდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკუიდრი სახლისაგან][3] მეფობისა ჩუენისა, მირი-
M 427 ან მეფისა. | და შენ თუით უწყი, ვითარმედ ქალი შვილი ჩუენი არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მოვინმე-ვიდის ნათესავი სპარსთ მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული ცოლად. ხოლო ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო და ჩუენ ვართ უძეო.

აწ რათგან[4] მოიყვანიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთანი და [მისციან ასულნი თუისნი მა'თ, და ქუეყანანიცა ქართლისა მისციან მათ, და შენცა][5] ძისცენ[6] მათ ასულნი ჩემნი, განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი, ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მჭონდა, მიმიცემია შენდა, და გჭონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი და თაკუერი, არაგუეთი[7] და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყუნენ ჟამთა ამათ ბოროტთა. მამა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა, და ვერ
ჰ 258 წარვეცით მცხეთას, წარსცენ | ძუალნი მისნი და დაფლენ საყდარსა ქუთათისსა, რათა იყოს იგი საწამებელად სამკუიდროსა[8] ჩუენისა; და შენ დაადგერ აქა და ემოყურებოდე ბერძენთა, ვიდრემდის გან-
A 258 M 428 [ქარდეს ბნელი ესე". და მოკუდა მირ, და წარმოსცეს მცხეთას, და დაფლეს ზემოსა ეკლესიასა შესავალსა კარისასა.

არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მისცნა ძმისწულნი: ერთი მისცა მამის ძმასა, შვილსა[9] გურამ კულაპარატისსა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი; მეორე მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს[10]; მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი იყო იგი წარჩინებული ვახტანგ მეფისა; მეოთხე მისცა ადარნესეს[11] ადარნესიანსა, და ორთავე ამათ განუყო ზენა სოფელი, რომელ არს ქართლი; მეხუთე მისცა ვარზმანს და მისცა კოტმანითგან ქურდის-ჴევამდე. იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რო-

[1] ძმაო ჩემო *B*, ძმაო *M*. [2] არამედ — ჩუენთა თანა < *A* ex homoioteleuto. [3] არამედ — მკუიდრი სახლისაგან < *A* ex homoioteleuto. [4] რაგან *A*. [5] მისციან — შენცა < *AM* ex homoioteleuto. [6] მიეც *B*. [7] არაგვით *M*, არგვეთი *B*. [8] სამკუიდრესა *A*. [9] მამის ძმისწულის შვილსა *MB*. [10] აშოტს *A*. [11] ადენესეს *A*.

მელი იყო დედის ძმა ვახტანგ მეფისა; მეექუსე მისცა ჯონ-
ჰ 259 ბერს ჯო|ნბერიანსა [1], რომელი იყო იგი ნათესავი მირიან მეფისა
შვილთაგან რევის ძეთასა; და მისცა ჯუარი და ხერკი, და ყოველი
მთეულეთი, მანგლისის ჴევი და ტფილისი. ხოლო ნაწილი არჩილი-
A 259 სი იყო განზოგებით გამონაყოფი ყოველთა|ამათ ჴევთაგან. და ვი- 5
თარ (დაუმძიმდა) იხილეს, რამეთუ ჯონბერს [2] უმეტესი ნაწილი მის-
M 429 ცა, დაუმძიმდა რამე მცირედ სხუათ|ა მათ, და განუტევნა მთავარნი
ესე თუის-თუისად ადგილად. ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და
რქუა: „კურთხეულ იყავნ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად
იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცევნ ჩუენ ადგილთა შენთა მშუი- 10
დობით. გარნა აწ უწყიეს [3] შენებად ადგილთა ჩუენთა კლისურით-
გან აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე გეგუთს [4] და ქუთათისს [5].
აწ ითხოვე თავისა შენისა, რა გნებავს ჩემგან, ნაცულად მსახურე-
ბისა შენისა“. ხოლო ლეონ რქუა: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე
მკუიდრობით კეთილად სიმჴნითა მისითა, ხოლო მიერითგან არს 15
ესე მამულობით სამკუიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდი-
ნარედმდე [6] დიდად ხაზარეთისა, სადა წარწუდების [7] წუერი კავკასი-
ისა ამისი. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი ესე ღირს
ყუენ შეილად ღა ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ
ჩემიცა ესე შენივე იყოს“. 20
A 260 მაშინ მისცა ლეონ ძმისწული|მისი გურანდუხტ
და გუირგუინი, რომელი [8] ბერძენთა მეფესა წარმოეცა
მირისთუის [9]. ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა
იყოს მტერობა მათ შორის, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველ-
M 430 თა დღეთა მისთა. და წარმოვიდა არჩილ და დაემკუიდრა ეგრისსა 25
ვიდრე [10] შორაპანამდე. განაგნა ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე
საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა. და წარჴდა ამას შინა
ჰ 260 წე|ლიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქართლმან. ხოლო განრყუ-
ნილ იყო საყოფლად მცხეთა. გარდავიდა არჩილ ეგრისით და და-
ჯდა ნაციხვარსა თანა ჴიდრისსა. 30
მაშინ მოვიდა მთავარი ერთი მისა, რომელი [იყო]
ნათესავისაგან დავით წინასწარმეტყუელისა, სახელით ადარნასე,
ძისწული ადარნესე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახლებულ [11] იყო
ბაგრატიონთად [12], და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო ერისთავად

[1] ჯუანშერს ჯუანშერიანსა *B*, ჯუანბოძს ჯუანბორიანსა *M*. [2] ჯუანშერს *B*, ჯუანბერს *M*. [3] უწყიეს *AM*, უწყი ესე *B*. [4] ციხე გოჯს *MB*. [5] ქუთათის *A*. [6] მდინარედმდე *A*. [7] წარწდების *A*, დასწყდების *MB*. [8] რომელი რომელი *A*. [9] მირიანისათუისა *MB*. [10] ეგრისსავე *A*. [11] მზახებულ *MB*. [12] ბაგრატონიანთადვე *MB*.

არეთა სომხითისა, და ტყუეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გურამ კულაპარატისთა კლარჯეთს, მუნ დარჩომილ
261 იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო, | მყო მე ვითარცა მკუიდრი შენი, მომეც ქუეყანა“. და მისცა შულავერი[1] და არტანი. ამისსა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, [და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და][2] აზნაურ ყუნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი, ასული გურამ კულაპარატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძ-
431 ნის ცოლის ნაშობთა. დაჯდა | წუქეთს და აღაშენა კასრი, და ჴევსა ლაკუასტისსა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი რომელთადა[3] მიებოძა[4] ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთაობდა თუშთა და ხუნძთა[5] ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუ-ხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი.

აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნოპატას[6], ორთა წყალთა შუა. ხოლო ნოპოტელნი უწინარეს იყუნეს კაცნი წარმართნი და მჴეცის-ბუნებანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა[7] იგინი. განძლიერებულ იყუნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისსა. დაეპყრა გაზირი და სომხითი, და ბრძოდა მასლამა
261 ბერ|ძენთა. ხოლო ძმისწულნი ადარნესე ბრმისანი, რომელთა დასწუ-
262 ნეს მამის ძმასა თუალნი, | წარმოვიდეს ტარონით შაკიხად[8], სამნი ძმანი და დაემკუიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა. რამეთუ ყოველი პირი კავკასისა, რანით კერძი, უმკუიდრო ქმნილ[9] იყო. ხოლო ერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკუიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდე.

მასვე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარ-
432 ჯეთს, სხუად | წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ტაოსა, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ; ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუ-ხოსროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი. და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ[10], ჟამთა მათ, და ეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არა შემოვი-

---

[1] შოლავერი *B*. [2] და ყოველთა — კახეთი და<*A* ex homoioteleuto. [3] რომელთა რომელთადა *A*. [4] მიეშორა *A*. [5] ხუზთა *M*, ხუშთა *A*. [6] ნუხპატის *B*, ნუსპატს *M*. [7] იძულები მონალნა *A*. [8] ბაკიხად *M*, შაკისად *B*. [9] იქმნილ *A*. [10] კარითურთ *B*, <*M*.

დოდეს, არამედ მიიღებდეს [1] ხარკსა ერისთავთაგან. და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანბერ [2] და იოვანე; და ასულნი ოთხნი: გურანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშანა.

A 263 **ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხორება, ნინოჲს ქართლის მოქცევა ლეონტი მრუველმან აღწერა [3].**

[1] მიილებდეს *A*. [2] ჯუანშერ *B*, ჯუ˘მბერ *M*. [3] ლეონტი მრუველმან აღწერა *A*, ლეონტი მროველამან დედასა ასეთნი ეწერა *M*, ლეონტი მროელმან აღწერა, და ახლა იოანე დეკანოზმან აღწერა (თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ვ ა რ ი ა ნ ტ ი).

ჰ 262 წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი [1]

რომელი იყო მეფე ქართლისა

და ვითარცა გარდაჴდა წელიწადი ორმოცდაათი, კუალად მოვიდა ჰიჯნომ [2], ძე [3] მოჰმადისი, მოაოჴრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჴრა და ყოვლითურთ უმკუიდრო ყო. და იყო შიში დიდი მეფეთა
M 433 და | მთავართა და ყოველსა ერსა ზედა. და არა შემძლებელ იყუნეს წინააღმდგომად, რამეთუ რათგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშუიდობით, [არღარა მოგებულ იყო კუალსა თუისსა [4]] [5]. ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თუისსა, სიმჴნითა გონებისათა [6], რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მისგან მშუიდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა, არა დაპატიჟება დატეობისათუის სჯულისა [7]. მინდობითა ღმრთისათა აღირჩია თავისა თუისისა და სულისა დადება საჴსრად ქრისტიანეთა, და მივიდა ჰიჯანაომს [8] თანა, რომელსა ეწოდა ასიმ. მაშინ [9] ვითარცა ცნა მისულა მისი,
A 264 მიეგება სიხარულით და მოიკითხა დიდითა დი|დებითა. და დაყვეს დღე იგი ერთობით. აქო სიკეთე მისი, შეუყუარდა სისრულე ასაკისა მისისა, უმეტესად შუენიერება პირისა მისისა. შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო ლიქნით სიტყუად, აღუთქმიდა ნიჭთა და აწუევდა დატეობასა ქრისტეს სჯულისასა და მიქცევად სარკინოზად. ხოლო წმიდამან არჩილ არა თავს იდვა სიცბილი მისი და მტკიცითა გონებითა მიუგო და რქუა: „ნუ იყოფინ; თუმცა ვინმე
M 434 სიტყუათა შენთა ვისმინე, ანუმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი იგი არს ღმერთი ჰეშმარიტი, რომელმან ჴსნისა-
ჰ 263 თუის | ჩუენისა ჯორცითა სიკუდილი დაითმინა; და უკეთუ ვისმინო შენი, უწყოდე, რომე მოვკუდე სიკუდილითა, რომლითა ვიტანჯებოდე უკუნისამდე. გარნა უკეთუ შენ მომკლა, აღვდგე ვითარცა ღმერთი ჩემი და მის თანაცა ვიდიდო“.

ესმა რა ესე ყოველი უსჯულოსა მას და იხილა სიმტკიცე მისი უქცეველი, დაუკუირდა ფრიად და უბრ-

[1] არწილისი A. [2] ჰიჯუამ M, ჰიჯუმ B. [3] ნათესავი B. [4] თავისსა M. [5] არღარა—თუისსა< A. [6] გონებისათა A, გულისა მისისათა MB. [7] სჯლისა A. [8] ჰიჯუნუმის M, ჰიჯუმის B. [9] მან A.

ძანა შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა, რათა ღონისძიებით მოაქციოს; რამეთუ არა სთნდა[1] სიკუდილი მისი სიშუენიერი-
A 265 სათუის ხატისა მისისა და | სიმაღლისათუის ასაკისა მისისა; და ვითარ შეაყენეს[2] საპყრობილესა, აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა შეწევნასა მისგან[3], რათა მოწყალებითა მისითა ღირს ყოს მიმთხუეად და მკუიდრ-ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოველთა თანა წმიდათა, რომელთა ღმრთისათუის სიკუდილითა[4] უკუდავება მოვიგოთ[5].

მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა[6] მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომ-
ლისა მამის ძმა მოეკლა წანართა, და მკლველნი მისნი განერინნეს მშუიდობით პაპსა[7] არჩილისსა, ადარნესე მეფესა. ამისთუის
M 435 უკუე შური იგო გარდაბანელმან[8] და რქუა[9] ასიმს: | „არა უწყი[10] ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტეფანოზისი, ნათესავი დიდის მეფის ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიან მეფისა, ქასრეს ძისა. და ესე იყო მამისა თუისისა თანა, რაჟამს დაფლვიდეს საგანძურთა სამეფოთა ქართლისათა, და იგიცა იცის, რომელი ერაკლე მეფემან დაფლნა საგანძურნი თუისნი: რამეთუ ერაკლეცა უჩუენებდა[11] სადაცა დაჰფლვიდა“. ესმა რა ესე ყოველი ასიმს, კუა-
A 266 ლად მოუწოდა არ|ჩილს და რქუა: „თუალ გასხენ, განახუენ[12] ქმნილ-კეთილობისა შენისათუის, რამეთუ ფრიადცა ქმნულ-კეთილ ხარ. აწ მითხრეს შენთუის, ვითარმედ შვილ ხარ დიდთა მეფეთა ხუას-
ჰ 264 როანთა. არამედ აწ უფრო|ს განდიდნე[13] წინაშე ჩემსა, უკეთუ ისმინო ჩემი, იყოს სამეფო შენი შენდავე და საგანძურნიცა მამათა შენთანი მიგანიჭნე შენვე. პირველად მიჩუენენ საგანძურნი მეფეთა ბერძენთანი, მოიქეც სჯულსა ჩემსა, იქმენ სარკინოზ, და სპასალარ გყო შენ ქუეყანასა ქართლისასა, მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“. მაშინ მიუგო და რქუა წმიდამან არჩილ: „უწყოდე მტკიცედ, რამეთუ მცირე ვიყავ ასაკითა, ოდეს იგი განვლო ქუე-
M 436 ყანა ესე ერაკლე | მეფემან. ხოლო მამამან[14] და ძმამან ჩემმან დასხნეს იგინი ციხესა მას სადათ იგი შეიქცა ყრუ ამირა; და აწ აქუს იგი ბერძენთა. ხოლო მე არა დაუტეო უფალი ღმერთი ჩემი, არცა განვყიდო წარუვალი იგი დიდება მსწრაფლ წარმავალისა ამისთუის“. მიუგო და რქუა ასიმ: „შენ უკუე იყავ დაცემა-

---

[1] არა სთნდა *B*, სთნდა *A*, არა უნდა *M*. [2] შეიყუანეს *MB*. [3] მისგაგან *A*. [4] სიკუიდილი *A*. [5] მოიგეს *MB*. [6] ამისსა *A*, ასიმისა *MB*. [7] პაპასა *MB*. [8] გარდაბანელმან მა *A*. [9] რქუა <*A*. [10] აუწყა *A*. [11] უშუენებდა *A*. [12] თუალ გაბუენ *MB*, თუალ გასხენ, განახუენ *A*. [13] განდიდნეს *A*. [14] მამამან *B*, მამან *M*, მან *A*.

A 267 სა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა". რქუა წმიდამან | არჩილ: „მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან". ჰრქუა ასიმ: „რომელმან ღმერთმან დასცნა სარკინოზნი?"[1] მიუგო წმიდამან და რქუა მას: „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და რომელი იგი არს და[2] მოვიდა ზეცით ქუეყანად ჴსნისათჳს ნათესავისა კაცთასა, სიკუდილითა თჳისითა აღგუადგინნა, და უკუდავება მოგვანიჭა; მან უკუე დასცნა და დაამდაბლნა იგინი".

მაშინ რქუა ასიმ წმიდასა არჩილს: „რომელი[3] ღმერთი მოკუდავი არს და სასოება ცხორებისა მოკუდავისა მიმართ აქუს, ჯერ არს მისიცა სიკუდილი". და უბრძანა თავისა მოკუეთა, და აღსრულება წმიდისა არჩილისა. და არა ჰრიდა სიკეთესა მისსა, არცა შეირცხუნა დიდებისაგან წარჩინებულებისა მისისა, და განიყვანეს გარე და მოჰკუეთეს თავი თუესა მი-
M 137 ჯ 265 რკანისსა[4], რომელ არს მარტი. და შეეყრა სული | დამბადებელსა თუისსა, აღირჩია სიკუდილი უკუდავებისა მომატყუებელი, შესცვალა მცირედ ჟამისა ესე მეფობა საწუთროსა სიხარულად საუკუნოდ. ღირს იქმნენ[5] განწყობილთა თანა წმიდათა და ახოვანთა მოწამეთასა[6] წარდგომად წინაშე ღმრთისა, და მათ თანა გუირგუინოსანი
A 268 იხარებ[7] წინაშე წმიდისა სამებისა.

ვითარცა აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბიელნი[8] და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს[9] და შემურეს პატივითა დიდითა, დამარხეს ნოკტორას[10], მის მიერვე აღშენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ, რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა არჩილისი კახეთსა შინა, სამკუიდრებელად თუისად.

წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ვიდრე ვახტანგისამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯონბერ ჯუანბერიანმან[11], ძმისწულის ქმარმან
M 438 წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან[12]. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ-განბრძნობილსა.

---

[1] რქუა—სარკინოზნი<*A*. [2] არს და<*MB*. [3] რომლისა *MB*. [4] მარვანისსა *A*, მირკინისსა *M*. [5] იქმნა *MB*. [6] + და *A*. [7] იხარებს *MB*. [8] ტბელნი *MB*. [9] წარმოიღეს *A*. [10] ნოტკორას *MB*. [11] ჯუანბარ ჯუანბერიანმან *M*, ჯუანშერ ჯუანშერიანმან *B*. [12] ძმისამან *A*.

[მატიანე ქართლისაჲ]

შემდგომად ამისსა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არ-
A 269 ჩილ, დაშთეს შვი|ლნი მისნი იოვანე და ჯონბერ[1]. [წარვიდა იოვანე
ეგრისად, და წარიტანნა თანა დედა და ორნი დანი თუისნი; ხო-
ჰ 266 ლო | ჯონბერ][2] და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისა-
სა და კახეთისა. არამედ უმრწემესი დაჲ[3] მისი იყო სახითა შუენი-
ერ; და მიესმა (მას) მისი ხაზართა მეფესა ხაკანს, მოუგზავნა მოცი-
ქული და ითხოვა შუშან ცოლად; უქადა შუელად სარკინოზთა ზე-
და. და რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისი, მიუმცნო ჯონბერ[1] ძმა-
სა თუისსა და დედასა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ
M 439 უღონო[4] იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერ-
ძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი
ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა. შემ-
დგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკა|ნმან სპასალარი თუისი ბლუ-
ჩან, გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად, მოადგა ცი-
ხესა, რომელსა შინა იყუნეს ჯონბერ[1] და დაჲ[3] მისი შუშან[5], და
მცირედთა დღეთა წარიღო[6] და ტყუე ყუნა იგინი, შემუსრა ქალაქი
ტფილისი. წარტყუენა ქართლი და ყოველი ქუეყანა (დღესა
ერთსა)[7].

და ვითარ წარე|მართა გზ[ასა დარიელისასა], 20
A 270 დღესა ერთსა რქუა შუშან ძმასა თუისსა: „უმჯობეს აჰრს ჩემთუის
სიკუდილი, რათა ღირს მყოს უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვი-
დრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“. და ჰქონდა მას ბეჭედი,
აღმოაგდო თუალი და მოწოვა იგი; რამეთუ იყო თუალსა მას ქუე-
შე წამალი საკუდინელი, და მუნთქუესვე მოკუდა. წარვიდა ბლუჩან 25
ჰ 267 ხაკანისა, მიგუარა ჯუანბერ[8] და მიუთხრა სიკუდილი დი|სა მისისა
შუშანისი. ხოლო იგი განუწყრა არა მიტანებისათუის გუამისა მი-
სისა, რომელსა წადიერ იყო ხილვად. შეიპყრეს ბლუჩან, მოაბნეს
ყელსა[9] საბელნი, განზიდვად სცეს იმიერ და ამიერ ორთა ცხენოსან-

---

[1] ჯუანბერ *M*, ჯუანშერ *B*. [2] < *A* ex homoioteleuto; აღვადგინეთ *MB*-ს მი-
ხედვით. [3] დაა *A*. [4] უღონე *A*. [5] შუშენ *A*. [6] +ციხე იგი *B*. [7] „დღესა ერთსა“ შეც-
დომით განმეორებულია ქვემო 21 სტრიქონიდან. [8] ჯუმბერ *M*, ჯუანშერ *B*.
[9] ყელსა *MB*, ჴელსა *A*.

თა და მოსწყუიდეს თავი მისი ბოროტად. და ვითარ დაყო წელიწადი შუიდი ჯონბერ[1], განუტევა იგი ნიჭითა დიდითა[2] ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თუისად.

ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად[3] მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთა. პირველად უფლობა[4] სარკინოზთაგან განდიდნა, და მათგანცა მიეცა ყოველი ესე | ქუეყანა ჟამითი-ჟამად რბევასა და ოჯრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანა-|სა ქართლისასა[5], შეერია ბრძოლა, იქმნნეს მტერ ურთიერთას. და უკეთუ ვინმე გამოჩნდეს შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან: რამეთუ დაიპყრეს ტფილისი ქალაქი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფლად თუისად, მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა რქუიან ხარაჯა. ხოლო განგებითა ღმრთისათა, სიმრავლისათუის ცოდვათა ჩუენთასა, განდიდნა ნათესავი სარკინოზთა.

ხოლო ამან ჯო[ნბერ][6] შეირთო ცოლი ბაგრატონიანთა, ასული ბაგრატონიანისა ადარნასესი, სახელით ლატავრი[7], და აბრალა დედამან მისმან მოყუანება მისი ცოლად. არათურე კეთილად მეცნიერ იყო, რამეთუ[8] არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყუელისანი, რომელი იგი მამად ღმრთისად[9] იწოდა. და ვითარ იხილა ძის ცოლი თუისი, შეუყუარდა, აკურთხა და დალოცა. და ვი|თარ გარდაჴდეს ამას შინა წელიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთ|ავრობდა[10] სომხითს, ქართლსა და ერეთსა, სახელით ხუასრო, ოდეს ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოჯრებული ხაზართაგან.

ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გაადგა მათ ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ერისთვისა[11], რომლისად მიეცა სამკუიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, ვიდრე ლიხამდე, სახელით[12] მეფე აფხაზთა; რამეთუ მიცვალებულ იყო ივანე და დაბერებულ იყო ჯონბერ[13]. და შემდგომად ამისსა ჯონბერცა[14] მიიცვალა; არამედ სიცოცხლესავე ჯონბერისსა[15] იცვალა ადარნესე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა[16], ასისფორისა, არტანისა და ქუემო-

[1] ჯუანშერ *B*,<*M*. [2] დიდთა *A*. [3] შემირებად *A*. [4] უფლება *MB*. [5] ქრთლისასა *A*. [6] ჯო... *A* (ბოლო „ნბერ" ჩამოჭრილია). [7] ლატვრი *A*. [8] ვითარმედ *MB*. [9] ჯორციელად მამად ღუთისად *B*, მამად ღ˘თისად ჯორციელად *M*. [10] მავრობდა *A*. [11] ლეონ ერისთავისა *MB*. [12] და სახელ იდვა *B*, სახელ დვა *M*. [13] ჯუმბერ *M* ჯუანშერ *B*. [14] ჯუმბერცა *M*, ჯუანშერცა *B*. [15] ჯუმბერისასა *M*, ჯუანშერისასა *B*. [16] ნაგალისა *A*.

სა ტაოსა, და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილის შვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნესე კლარჯეთად, და მოკუდა მუნ.

შემდგომად სიკუდილისა ადარნესესისა, განადიდა უფალ-
ჰ 269 მან მეფობა[1] აშოტ კულაპარატისა, | რამეთუ ეუფლა ქართლს და სა-
A 273 ზღვართა მისთა. | რამეთუ მათ ჟამთა შესრულ იყო მასლამაჲ[2] საბერ- 5
ძნეთად და შეიქცა მოუძლურებული და გაწბილებული. მაშინ ბერძენთ მეფემან მოუბოძა კულაპარატობა აშოტს, და მოუძლურებულ იყუნეს სარკინოზნი, და გაადიდნა აშოტ კულაპარატი. ხოლო ტფილისს[3] არავინ-რა დარჩა სარკინოზთაგანი, თუინიერ იაჰი შუაბის
M.442 ძ|ისა[4], და გრიგოლ მთავრობდა კახეთს. 10

მეორესა წელსა, მას ჟამსა, გამოილაშქრა აშოტ კულაპარატმან[5] და უშუელა თეოდოს აფხაზთა[6] მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რომელი იგი სიძე იყო აშოტ კულაპარატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა, ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს კსანს[7] ზედა აშოტ და 15
გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და იპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან; და დაიპყრა აშოტ კლარჯე-
ჰ 270 თითგან ვიდრე კსნამდე. | შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ, იზიდის
ჰ 272 ძე, არაბიით, დაიპყრა სომხითი, ქართლი, ერეთი, | და მოკლეს აშოტ
კულაპარატი გარდაბანს[8] ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რომე- 20
A 274 ლი მაშინ დაითხია, აწცა იხი|ლვების[9] ვითარცა ახალი.

ჰ 273 | ვითარცა კუალადცა[10] ეუფლნეს სარკინოზნი ქართლს. და ვითარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად იაჰია[11] შუაბის ძე. მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორებისკოპოზად დაჩი ივანეს ძე, ქობულის ძისა. და შემდგომად ამისა განაჩინეს 25
ქორებისკო[პო]სად სამოელ დიონაონი[12]. კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბიით[13]. შეებნეს გარდაბანელნი გავაზს; გააქციენა[14] ხალილ და მოსწყუიდნა[15] სიმრავლე ფრიად. კუალად დაჯდა ამი-
M 443 რად ტფილისს | საჰაკ[16], ისმაელის ძე. ხოლო ხალილ მოვიდა მესა- 30
მედ, და მოკლეს ჯავახეთს, და ძე მისი მოჰმად მოვიდა ქართლს; და მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კულაპარატისა, და მისცა მას ქართლი.

ჰ 274 | გამოვიდა სააკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა, და

---

[1] განადიდა მეფობა უფალმან *A*. [2] მასლამაა *A*, მასლამა *MB*. [3] ტფილისი *A*. [4] იალი ბოაბის ძისა *A*, ალშუბის ძისასა *M*, ალი შუაბის ძისასა *B*. [5] კულაპარატი *A*. [6] აბაზთა *A*. [7] კასანს *A*, ქსანსა *MB*. [8] გარდაბან *A*. [9] იხლვების *A*. [10] კუალადცა ეუფლნეს ვითართა *A*, ხოლო ეუფლნეს *M*, ხოლო კვალადცა დაეუფლნეს *B*. [11] იაჰია *M*, ალი *B*. [12] დიონაური *M*, დონაური *B*. [13] არაბი *MB*. [14] გააქციეს *MB*. [15] მოსწყუიდა *M*, მოსწყდა *B*. [16] ტფილის საჰკ *A*.

დადგა რევსა; ხოლო მოჰმედ და ბაგრატ წარიღეს უფლის-ციხე; და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი[1] შეელად სააკისსა: და შეიბნეს რევს და იყო ბრძოლა მათ შორის. არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. და მოემად წარვიდა ბარდავს.

აქა ჟამნი გარდასრულ იყუნეს წელიწადნი მოამადის გამო- 5
A 275 ჩინებითგან[2], | რომელმან სარკინოზთა სჯული დაუდვა, ორასცხრამეტნი. მაშინ მოვიდა ბუღა[3] თურქი მონა, რომელი გამოეგზავნა ამირ-მუმს ბაღდადით, სპითა დიდითა, და შემუსრა ყოველი სომხეთი და ტყუე ყუნა ყოველნი მთავარნი მათნი. მოვიდა და მოადგა ტფილისის ქალაქსა, რამეთუ არა მორჩილობდა სააკ ამირა: მო- 10
ბ 275 კლა სააკ, შემუსრა ტფილისი, და|წუა ცეცხლითა და მოაოჯრნა ყოველნი არენი მისნი. და თეოდოსი, აფხაზთა მეფე, გამოვიდა წინააღმდგომად მისა, დადგა კუერცხობს. ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარმოავლინა ზირაქ, სპაისალარი თუისი, და ბაგრატ, ძე აშოტ
M 444 კულაპარატისა: | შეიბნეს, და გააქციენეს აფხაზნი, და მოსწყუიდნეს 15 სიმრავლე ურიცხუი. და თეოდოსი მეფე წარვიდა მეოტ გზასა დვალეთისსა.

კუალად უკუმოქცეულთა[4] დაუდგეს გარდაბანელნი ჯუარის გუერდსა, და ავნეს ლაშქარსა დიადი[5]. ვითარცა ცნა ბუღა, აღიყარა მუნით და მოვიდა ჰართალეთს, დადგა მუნ შინა, აიყვანნა 20 მთეულთაგან მძევალნი კაცი სამასი, და ლამოდა შესულასა ოვსეთად; შევიდა ცხავატამდის[6]. ხოლო აბულაბაზ[7], სომეხთ ერისთავმან,
A 276 და გურამ, აშოტის ძემან, მიუწერეს მთეულთა, რაჲთა არა შეუშონ. ხოლო მათ გაწირნეს მძევალნი მათნი; უშეულა ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეებნეს. მოსცა ღმერთმან ძლე- 25 ვა, და მოკუდა ურიცხუი ერი სარკინოზთა, და ცხენმან მათმან ძოვა იელი, და დაივოცა ფრიად. ხოლო სიმრავლისაგან ლაშქრისა არა (ა)ჩნდა, რამეთუ იყო სიმრავლე მისი, ვითარ ასოცი ათასი.

შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს. და შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო, და შემუსრა გარდაბანი. გა- 30 ნაღო კარი დარუბანდისა, და გამოიყვანნა ხაზარნი სახლი სამასი[8], და დასხნა შანქორს. დარიალამით[9] გამოიყვანნა ოვსნი, სახლი ასი[10], |დაM 445 სხნა იგინი დმანისს[11], და ენება ზაფხულის შესულა ოვსეთს. ამირ-მუმ-[მ]ან[12] ვითარცა ცნა, ვიდრემდის[13] ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს,

---

[1] გარბანელნი *A*. [2] გაჩინებითგან *A*. [3] ბუღა <*A*. [4] უკუე მოქცეულთა *MB*. [5] დიდად *MB*. [6] ცხავოტამდის *B*, ცხავცამდის *M*. [7] აბულბაზ *MB*. [8] სახლისა მისისა *A*, სახელისა მისისა *M*. [9] და რამით *M*, და დარიელით *B* (და დარიალამნიო თ ე ი მ.). [10] სამი ათასი *B*. [11] დმანის *A*. [12] ამირ-მუმლმან *MB*. [13] ვითარმედ *MB*.

ჰ 276 მოუვლინა ბუღას, რათა დაუტ[ეოს ქართლი მუმედს, ხალილის ძესა. და წარვიდა ბუღა, და ამირობდა მუმედ, ხალილის ძე. და გარდაადგინა ამირ-მუმმან მაუმედ, და დაადგინა ისე, შეიხის ძე[1], ნათესავი უმედისიენ.

და ქორებისკოზი გაბრიელ იყო დონაური, ძმა სამოელ ქორებისკოზ[ი]სა. და წარვიდა ისე, და მოვიდა სხუა ამირა, სახელით აბრაამ. და კუალ[2]ად მოვიდა ამირად ხალ[ილ]ისძე ჰუმედ, და უფროს ნებიერად დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა, სომხითი, ქართლი და რანი. და წარვიდა ხალილის[3] ძე, და დადგა ამირად კაცი საჰ[ა]კის მონათაგანი[4], სახელით გაბულოც[5]. ხოლო გუარამ, ძემან[6] აშოტ კურატპალატისამან, შეიპყრა გაბუ[ლო]ც და წარსცა საბერძნეთად: რამეთუ გადიდებულ იყო გაბულოც, და აემორჩილნეს გარ[და]ბანელნი. და ბრძოდა აშოტ მამის ძმისწულსა მისსა[7], ძმასა გუ[ა]რამისასა. ხოლო გუ[ა]რამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, და აბოცი, და არტანი, და ჰბრძოდა სარკინოზთა. ზოგჯერ სძლის გუარამ, და ზოგჯერ სარკინოზთა. ხოლო გუარამ გა-
M 446 ნუყუნა ქუეყანანი ძმათ[ა] თუისთა, | ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი(ს) განუყო ცოლის ძმასა თუისსა, სომეხთ მეფესა[8].

ჰ 277 | მას ჟამსა გამოვიდა გიორგი[9], აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დიმიტრისი[10], რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობ[ებ]ის ექსოფია-ქმნილობით. და ცოლმან მეფისამა[ნ] მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა, და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა[11], და შთა[ა]გდეს ბაგრატ ზღუას. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ. და მოგუარა მეფემან იოვანე ძესა თუისსა ადარნასეს ცოლი[12], ასული გუარამ აშოტისი[13]. და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე. და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდე-კართა; იპაღსონ ძემან დავით ბა-
ჰ 278 გრატისმან[14]. | ხოლო ნასრ ძე გუარამისი [და გურგენ][15] იყუნეს აფ-

[1] შიხის ძე *MB*. [2] აქ A-ში ამოხეულია და აკლია ერთი ფურცელი (164,7—165,9), ის, რაც მარიამისეულ ქართლის ცხოვრებაში მოთავსებულია გვ. 445 „და მოვიდა კუალად...“ ვიდრე გვ. 447 „და მათ თანა სარკინოზნი“. [3] ხალალის *M*. [4] მონათესავთაგანი *B*. [5] გაბლუც *B*. [6] ძემან გურამ *M*. [7] +ძესა სუმბატ სომეხთა მეფისასა *B*. [8] მეფისა *M*. [9] იგი *M*, გიორგი აღწერეული *B*. [10]+და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე *B*. [11] შავლიანსა *B*. [12] ცოლი ადარნასეს *M*. [13] აბოტისი *M*, აშოტის ძისა *B*. [14] იპატრონა დავით, ძე ბაგრატ კურატპალატისა *B*. [15] ხოლო ესე ნასრა, ბიძის ძე ამა დავით კურატპალატისა, და გურგენ *B*, ხოლო ნასრ,ძე გუარამისი, და გურგენ (თ ე ი ს.).

ხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა, და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა. მას ჟამსა მონაზონი იქმნა გუარამ.

და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი[1] გაბრიელ დონა-
M 447 ური[2], დაჯდა ქორეპისკოპოსად[3] ფადლაი არევმანელი, | კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი. მას ჟამსა შინა მოიტყუა[4] ნასრა, ძემან გუარამისმან, დავით, ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი. ხოლო ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ, და
ჰ 280 A 277 ქართველნი, და აშოტ[5] ძმა დავითისი, | და მათ თანა სა||რკინოზნი. და შეებნეს ნასარს, გააქციეს და მიიხუნეს ციხენი; და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთ მეფისა. და მოკუდა გუ[ა]რამ, ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა. ესე ბაგრატ, ძე დემეტრე აფხაზთა მეფისა, შესრულ იყო საბერძნეთად კოსტანტი[ნე]პოლეს, და მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი, და გამოგზავნა ზღუით ნავითა, შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნესე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი. და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუ[ა]რამისი; და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნა-
ჰ 281 სრა. ხოლო | შეიპყრნა ნასრა სამნი[6] ციხენი სამცხეს: ორძკე, და ჯუარის-ციხე, და ლომსიანთა, გუარამისივე აშენებული.

მოვიდა გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი;
M 448 უშუ|ელეს სომეხთა, და შეიბნეს მტკუარსა ზედა; და იძლინეს აფხაზნი, ხოლო მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვ-
ჰ 282 სი, და ერისთავი აფხაზთა. ხოლო | ფადლა[7] მთავარებისკოპოზი[8] განძლიერდა[9], და დაიმორჩილნა გარდაბანელნი. და შემდგომად მისა დაჯდა კუირიკე ქორებისკოპოზად[10]; და იპყრობდეს ქართლს აზნაურნი.

მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი[11], აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართ-
A 278 ლი; და ემტერა სომეხთა | მეფე, სუმბატ ტეძერაკალი[12], გამოილაშქრა სპითა დიდითა, მოადგა უფლის-ციხესა, მოიღეს პალანკურდანი[13], აღმოაგეს ზემოთ-კერძო, და წარიღეს ციხე ჴერჯითა[14]. ხოლო კუალად იმძახნეს სუმბატ და კოსტანტი[15], და უკუმოსცა უფლის-ციხე და ყოველი ქართლი.

---

[1] ქორაფის კოვზი *M*. [2] დაონაური *M*. [3] ქორაფისკოვსად *M*. [4] მის ვითარცა მოიტანა *M*, მას ჟამსა შინა მოიტყუა *B*. [5] აბოტ *M*. [6] სამნი ნასრა *A*. [7] ფადილა *A*. [8] ქორეპისკოპოსი *B*, ქორაფის კოვზი *M*. [9] განძლერდა *A*. [10] ქორებისად *A*. [11] კოსტანტინე *MB*. [12] ტეზერაკლი *MB*. [13] პალან-კურტანი *B*, ოლან კურდანი *M*. [14] ფერჯითა *AM*, ჴერჯითა *B*. [15] კოსტანტინე *MB*.

ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულ-კასიმ, ძე აბუსაჯისი, რომელი გამოეგზავნა[1] ამირ-მუმნსა სპითა დიდითა და ურიცხუითა; და არა იტევდა ქუეყანა. რამეთუ მოვიდა პირველად სომხითს, და მოსრა ყოველი სომხითი, სივნეთი, ვაეძორი და ასპურაგანი. და სუ[მ]ბატ, სომეხთ მეფემან, ვერ და-
M 449 იდგნა ზარისა მისისაგან და წარმოვიდა მუნით მეო|ტობით, და მიმართა მთათა აფხაზეთისათა, და მუნ იყოფებოდა.

მოვიდა აბუს[ა]ჯის ძე ტფილისს, და მას ჟამსა ამირა იყო ჯაფარ(ას), ძე იაისი[2]. მოვიდა და მოადგა უჯარმას, შიგა დგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა. და ვითარ იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, დაადგეს ღამე[3] და გარდაიხუეწნეს: რომელნიმე წარვიდეს, და რომელთამე ეწივნეს და დაჰოცნეს. ვითარცა ცნეს ბოჰორმელთა ციხეონთა წაღება უჯარმისა, დააგდეს ციხე
A 279 და გარდაიხუ|ეწნეს. რაჟამს მოვიდეს, პოვეს იგი უკაცური; აიღეს ბოჰორმა და დაიჭირეს ციხედვე; უჯარმის ზღუდენი დაარღუივნეს.

ხოლო კურიკე ქორებისკოპოზმან ვითარ იხილა, რომელ
ჰ 283 არა იყო ღონე მისი, მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა; | ჰკითხა მან: „ვინ გაუწყა აქა მოსულა?“ და რქუა: „მაუწყა დედამან ჩემმან“. ხოლო მან თქუა: „არა ვატკივნო გული ერთისა შემხედვარსა“. და შეუყუარდა სიკეთისა მისისათუის, განუტევა, ხოლო ბოჰორმა თუით დაიჭირა. შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად და მოაოჯრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღუივნა ზღუდენი[4] უფლის-
M 450 ციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ. შე|ვიდა მუნით სამცხეს, და მოაოჯრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგუისასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით და მოვიდა უველს, მოადგა გარე, და იწყო ბრძოლად.

იყო მუნ შინა ჰაბუკი ერთი, სახელით გუბრონ. [ებრძოდა შიგნით გამოლმართ, ყოველთა დღეთა, მოყუასთა თუისთა თანა. და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ][5]. აწამეს და წამება მისი ვრცელად აღწერა წმიდამან მამამან ჩემმან[6] სტეფანე მტბევარმან ებისკოპოზმან. აიყარა მუნით და წარვიდა დვინად[7] ქალაქად. მოვიდეს და უთხრეს, ვითარმედ სუმბატ მეფე შევი-
A 280 და | ციხესა კაპოეტისასა, მსწრაფლ აიყარა მუნით და მიუმცნო ლაშქარსა თუისსა, რათა ყოველი კაცი, რომელი პოვონ ცოცხალი, გამოიყვანონ მის წინაშე. მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოვეტისასა; და ციხოვანთა დედა-წული რომელი პოვა გარეგნით, დაიპყრა ჭელ-

[1] გამოგზავნა *A*. [2] ალისა *M*, ალისი *B*. [3] ამისთუის აღდგეს ღამით *B*, დააგდეს და ღამით *M*. [4] ზღუდენი< *A*. [5] ებრძოდა — გობრონ<*A* ex homoioteleuto. [6] ჩუენმან *MB*. [7] დივნად *A*.

თა. ამისთუის გამოსცეს ციხე, შეიპყრა სუმბატ და წარიყვანა დვინს[1], ჩამოჰკიდა ძელსა და მოკლა. შემდგომად ამისა, ვითარ გარდაჰვდეს წელნი რაოდენნიმე[2], მოეშენა ქუეყანა.

M 451 მ ა შ ი ნ უ ჴ მ ო კ უ ი რ ი კე ქ ო რ ე|ბ ი ს კ ო პ ო ს მ ა ნ[3] კოსტან-
პ 284 ტი[4] აფხაზთა მეფესა, |ჩავიდეს ერეთად, მოადგეს ციხე|სა ვეჟინსა. აფხაზთ მეფე დაუდგა ზედათ-კერძო და კუირიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნესე პატრიკი[5] მოვიდა, პარასკევსა ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზანი, ხოლო კუირიკეს ორჭობი; და ვითარ დაიზავნეს, შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი[4], აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდას გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-
A 281 სცა კუირიკე ქორებისკოპოსმან და წარ|ვიდა[6] ქუეყანად თუისად.

შ ე მ დ გ ო მ ა დ ა მ ი ს ს ა მცირედთა დღეთა მიიცვალა კოსტანტი[4], აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე. რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი[4] მეფესა: ერთი უხუცესი და მეორე უმცროსი, რომელი უშვა ცოლმან. უხუცესსა ერქუა გიორგი და უმრწემესსა ბაგრატ. და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თუითოეულად პოვო[7] ცხორებასა მათსა.

ხ ო ლ ო ე ს ე ბაგრატ იყო სიძე[8] გურგენ ერისთავთა ერისთავისა[9], უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა. ვიდრე არა მი-
M 452 იცვალა ბაგრატ, არა იყო მშუიდობა[10]. და შ|ემდგომად სიკუდილისა მისისა მიიღო[11] სრულებით მეფობა აფხაზეთისა გიორგი მეფემან. იყო იგი სრულებით ყოვლითავე სიკეთითა, სიმჴნითა და ახოვანებითა, ღმრთის-მოყუარე იყო და უმეტეს მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხუი, მდაბალი და ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული. ამან განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა,
A 285 შეჰქმნა საების|კოპოზოდ, და განაშუენა ნაწილთა სიმრავლითა წმი-
282 დათა მარტუილთათა.

მ ა ს ჟ ა მ ს ა მიიცვალა კუირიკე ქორებისკოპოსი[12], და დაჯდა ქორებისკოპოსად[13] ფადლა, ძე კუირიკესი. ამან აღაშენა ციხე ლოწობანთა.

ა მ ა ს ვ ე ჟ ა მ ს ა მოვიდეს სარკინოზ[ნ]ი, რომელთა უჴმობდეს ს[ა]ჯობით, და მოტყუენეს კახეთი, დაწუეს ჯუარი და მცხეთა, და

---

[1] დვანს *A*. [2] რაოდნნიმე *A*. [3] ქორეებისკოსმან *A*. [4] კოსტანტინე *MB*. [5] პატრიაკი *A*. [6] წარვიდ *A*. [7] პოვა *A*, ჰპოო *B*, ჰპო *M*. [8] სიძე<*A*. [9] ერისთავი *A*. [10] + შორის მათსა *B*. [11] მოიღო *A*. [12] ქორებისკოვსი *A*. [13] ქორებისკოვსად *A*.

შეიქცეს; წარვიდეს და წაიტანეს თანა ჯუარი[1] დაჭრილი. და შეე-
დვა სნება მუცლისა, და გულისჴმა ყვეს, რომე ჯუარისაგან ევნე-
ბოდა. შეიკრიბნეს[2] ნაწილნი და წარმოსცნეს ჯუარსა[3]; ჩაკრიბნეს
ბუდესა შინა, და აღმართნეს ადგილსავე თუისსა.

და ერეთს ვიდრე[4] მეფობადმდე იშხანიკისსა[5] პირველნი 5
M 453 ყოველნი იყუნეს[6] მწყალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო | გურ-
გენ ერისთავთა ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლ-
მადიდებელად, დინარ დედოფალმან. და სალართა დაეპყრა ბარ-
დავი და ადარაბადგანი, ხოლო გიორგი[7], აფხაზთა მეფემან, მისცა
ჰ 291 ქართლი ძესა თუისსა უხუცესსა კოსტანტის[8]. | და ვითარ დაყო 10
სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თუისისა და ძებნად მე-
ფობისა. და ვითარ გამოაცხადა საქმე მისი, შედგა იგი უფლის-
ჰ 292 ციხეს და | შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნა-
A 283 ურნი.

ხოლო გიორგი[9] მეფემან, ვითარ დაიდასტურა განდგომა 15
ძისა თუისისა, გამოილაშქრა ყოველითა ძალითა თუისითა, და მო-
იყვანნა ყოველნი[10] მეფენი და ფადლა ქორებისკოპოსი[11]. მოადგეს
უფლის-ციხესა, და ბრძოდეს დღეთა მრავალთა, და ვერას ავნებდეს
ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით. და ზოგსა დღესა შეებმიან
შიგნითით ცხენითა, და ზოგსა დღესა ქუეითად. 20

მაშინ გიორგი მეფემან აბირნა აზნაურნი საზუერელნი ეს-
რეთ სახედ, ვითარმედ: „გამოედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად,
შენ დაჯედ მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგან“. ხოლო მან დაი-
ჯერა და მიენდო. გარნა აზნაურნი იგი, რომელნი უდგეს თანა,
M 454 უშლიდეს საქმესა | ამას, და მან არა ისმინა მათი; გამოვიდა ღამე 25
ტივითა მტკუარსა, და ვითარ განეწურა პირსა წყლისასა, ვერღარა
დაითმინეს, მიეტევნეს შეპყრობად. და ვითარ იგრძნა ზაკულება მა-
თი, შეაქცივნა ტივნი[12] გარე, რათამცა შევიდა ციხესავე. ვერ-
ღარა დაიმორჩილნეს ტივნი და ჩაჯდეს ადგილსა[13], სადაცა ტივ-
A 284 ნი გადგებოდეს. შეიქმნა ჴმა, გამოვი|და მეფე და ყოველი ლაშქა- 30
რი; დაცვეს ციხე გარეშემო და, რაჟამს განთენა, იწყეს ძებნად.
ხოლო იგი გამოსრულ იყო [წყლით და შესრულ იყო][14] ნაპრალსა

---

[1] წაიტანეს ჯუარი თანა *A*. [2] შეკრიბნეს *MB*. [3] ჯუარსა *AM*, ქართლსავე *B*.
[4] და ჰერეთს *M*, და ჰერეთსავე *B*, დართეს ვიდრე *A*. [5] იშხანაკისსა *A*, იშხნი-
სასა *M*. [6] იყუნეს < *A*. [7] გიორგი *B*, იგი *AM* (—გ´ი). [8] კოსტანტინეს *MB*. [9] გი-
ორგი *B*, გ´ი *M*, იგი *A*. [10] ყოველნი *A*, ტაოელნი *MB*. [11] ქორებისკოვსი *A*,
ქორაფისკოვზი *M*. [12] ტივნი ტივნი *A*. [13] ადგილსა<*A*. [14] <*A* ex homoioteleuto.

კლდისასა, და მუნ დამალულ იყო. და პოვა იგი კაცმან ვინძე უნდომა[ნ], შეიპყრეს და მოჰგუარეს იგი მეფესა, და მეფემან გაპატიჟა ბოროტად: პირველად თუალნი[1] დასწუნეს და მერე გამოყუეჩრეს, და მოკუდა. ხოლო აზნაურნი, რომელნი დგეს ციხესა შინა, მინდობით გამოიყვანნა, და ტბელნი განუტევნა, მშუიდობით გაგზავნნა; და იგინი წარვიდეს ასპურაგანს[2].

პ 293 |მიიცვალა ფადლა ქორებისკოპოსი[3]; დაჯდა კუირიკე ქორებისკოპოსად[4]. ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან[5], ჩავიდა კახეთად. [და მოსწვა და[6] ასწყუიდა, და წარვიდა თუისადეე
M 455 ქუეყანად. კუალად დადგა | ატენს. და ძე მისი ლეონ იყო[7] ერისთავად ქართლისა; და აწვია ყოველი ლაშქარი კუალად შთასლვად კახეთად][8]. ვითარ ცნა კუირიკე—ვერ დაუდგებოდა, ადგა და მოვიდა მათ წინაშე. და კუალად ენება გაპარვა ზაკვით, შეიპყრა ჴელთა და წარვიდა კახეთად, რათამცა დედა-წული მისი აკრიბა ჴელთა. გარდეხუეწნეს, რამეთუ აცნობეს აზნაურთა ქართველთა.

მოერთო შტორა[9], ძმა კუირიკე ქორებისკოპოსისა[10], გიორგი
A 285 მეფესა, და მოუტანა | თანა ციხე მისი უჯარმა, და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თუინიერ სამთა ციხეთა: ნახჭოვნისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა.

ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არსის[11] ძესა; და გამაგრდა შიგან, გაწირა პატრონი. და აუგეს შურის-ციხე და დააყენნეს შიგა ლაშქარნი. და ციხე მარანასა[12] ჰქონდა ხანხუასა[13], არსის ძესავე, ძმასა ივანესსა[14]; ლამოდა მსგავსად ძმისა თუისისა მკლავითა დაპერასა. მიევიდა მეფე და უბრძანა შებმა ლაშქართა. ხოლო მათ წარიღეს ჴერჴითა და ხანხუა[15] მოიყვანეს შეპყრობილი წინაშე მეფისა; და მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს.

ციხე ნახრჩევანისა ჰქონდა ფადლასა, ძესა კუირიკესსა. იგიცა
M 456 გამაგრდა შიგნით; ვითარ იხილა კუირიკე | ქორებისკოპოსმან[16], რა-
პ 294 მეთუ არა იყო ღონე მისი, ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა. ხოლო ლეონ, ძე მეფისა, არა ლამოდა განტევებასა კუირიკესსა, რამეთუ არცა პირველ შეპყრობასა იყო ნება მისი, გარნა არა უსმინა მამამან მისმან, და კუირი-

[1] თულნი *A*. [2] ასპურაგენს *A*, ასფორანჳს *M*. [3] ქორებისკოვსი *A*. [4] ქორებისკოვსად *A*. [5] მეფე *A*. [6] მოსწვა და *B*, მოუწოდა *M*. [7] ძე მისი ლეონ იყო *B*, ძმა იყო *M*. [8] და მოსწვა — კახეთად < *A* ex homoioteleuto. [9] შურტა *B*, ბურტა *M*. [10] ქორებისკოვსისა *A*. [11] არისის *M*, არშის *B*. [12] მარანისა *B*, მირანსა *M*. [13] ხახუას *B*, ტანტუასა *A*. [14] ჰქონდა მაშინ ხუასრის ძესა ივანესსა *M*. [15] ხახუა *B*. [16] ქორებისკოვსმან *A*.

A 286 კე ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არა აიღონ ციხე | ბოჰორმა, და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს, ნება სცეს. ამისთუის აიღეს ციხე ნახრჭევანისა, და შვილი ერთი უმრწემესი, დავით, მძევლად; განუტევეს დღესა ლამპრობასა.

წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შევიდა კუირიკე ბოჰორმას, ეკაზმებოდა და ლამოდა შემდგომად [1] აღვსებისა წარსლვასა. მაშინ შეეზახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი, მაგდეური [2], მამა ყანჩელი, დაჩი კორინთელი, დაჩი [3] და ივანე სხუილოსელნი, სარ და გრიგოლ, ძმანი ფხუნელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მოერთნეს კუირიკეს. დაუწყეს ბრძოლა ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი, დაარღუივნეს შურის-ციხენი [4] და ლოწობანი; და კუალადცა ეუფლა კუირიკე მამულსა თუისსა.

მოვიდეს [5] და უთხრეს გიორგი მეფესა წაღება კახეთისა.
M 457 დ|აუმძიმდა დიდად [6], და აბრალა ყოველთა ვინცა ვინ აწუია გაშუება კუირიკე ქორებისკოპოსისა [7]. და ვითარ ამას შინა გარდაჴდეს ჟამნი იგი, კუალად გაგზავნა ლაშქარი თუისი და ძე მისი ლეონ უჩინა
A 287 წინამძღურად. და მოწუა კახეთი, და მასვე ლ|აშქრობასა შინა მოართუეს ამბავი: მიცვალება დიდისა და ღმრთის-მოყუარისა გიორგი მეფისა. მოუწოდა ლეონ ქორებისკოპოსსა [8] კუირიკეს; და შეკრბეს ბაზალეთს, ტბის პირსა, თუითოთა ცხენოსნითა, და იუბნეს დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თუისისა, და აჰკიდა სიყუარული და უქადა ძისა მისისა სიძობა. და ვითარცა ესმა ესე კუირიკეს, გარდაჴდა ცხენისაგან და თაყუანისცემითა მისცა
ჰ 295 მადლი, და განიხარა ზავი და სიყუარული, და უფროს პი|რი მძახობისა.

შეიქცა ლეონ, და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თუისსა, რამეთუ მაშინვე შევიდა აფხაზეთად; და განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი; მსგავსად მამისა თუისისა იყო იგიცა ღმრთის-მოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესიჲ მოქუისა და შექმნა საებისკოპოზოდ, აკურთხა და განასრულა ყოველითა განგებითა და ვითარ ეუფლა მამულსა თუისსა, აღუსრულა [9] აღთქმა
M 458 თუისი კუირიკე ქორებისკოპოსსა [10], და მისცა ასული თუისი ცოლად ძესა კუირიკესსა [11]. კუალად იწყო მტერობად კუირიკესა და ძებნად

[1] შედგომად *A*. [2] მგდეური *M*, მგდეორი *B*. [3] დაჩი<*A*. [4] შურის-ციხე *MB*. [5] მოვდეს *A*. [6] დიად *A*. [7] ქორებისკოვსისა *A*. [8] ქორებიკოვსსა *A*. [9] აღუსრულა *M*, აღასრულა *AB*. [10] ქორებისკოსი *A*. [11] + და შემდგომად მცირედისა მოკუდა ასული ლეონისი *MB*.

A 288 კახეთისა, გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგუის პირსა, | ასწყუიდა ხერკი, მუხრანი და ბაზალეთი; და მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა.

დაჯდა მეფედ დემეტრე, ძმა ლეონისი, ეუფლა ქართლს; და ვითარ მოიწყო სამეფო თუისი, გარდაჴდეს ამას შინა ჟამნი. იყო ძმა მისი თევდოს საბერძნეთს. უჴმეს ვიეთმე კაცთა ამის ქუეყანისათა, რათა გამოვიდეს ძმასა თუისსა ზედა, რამეთუ სიცოცხლესავე დიდისა გიორგი აფხაზთა მეფისასა გაეგზავნნეს საბერძნეთს ორნი შვილნი, თეოდოს და ბაგრატ, რათა მუნ იზარდებოდენ, ამისთუის რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს[1] მათ შორის ბრძოლა და ჴდომა.

გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს, დაადგა მარგის მერეს[2], უჴმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქარსა და ლამოდა მკლავითა თუისითა აღებასა მამულისა თუისისასა. ხოლო დემეტრე მეფემან წარავლინა ლაშქარი თუისი, დაესხნეს უგრძნაუ-
M 459 ლად, გაიქცეს[3] | თეოდოსი, წარვიდეს ქართლს და მიმართეს ადარნესეს მთავარსა[4]; შეიყვანეს იგი ძამის[5] ციხესა, და მუნით გამოღ-
ბ 296 მართ | ეძიებდა საქმესა თუისსა.

მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თუისი,
A 289 მოადგეს | ციხესა ძამისასა, და ბრძოდეს სამ თუე ოდენ. და ციხით გამოღმართ ევნებოდეს ფრიად, და მოსჩირდა[6] ციხოვანთა; ითხოვეს ფიცი და სიმტკიცე, რათა განუტეონ თეოდოსი, და წარვიდენ მშუიდობით. და მათ მიინდვეს იგი, და გაგზავნეს მშუიდობით. წარვიდა წინაშე დავითისა კულაპარატისა, და მუნ დაყო წელიწადი ერთი. წარმოვიდა[7] და მოვიდა კახეთად.

მაშინ მოგზავნა მეფემან მოციქული თეოდოსისა და კუირიკე ქორებისკოპოსისა[8] და რქუა: „რადგან მოვიდა ძმა ჩემი საბერძნეთით, არა დაილევის ჩუენ შორის ბრძოლა, სიტყუითა კაცთათა; აწ შუამდგომელობითა შენითა მომანდვე ძმა ჩემი, და ვიყუნეთ ორნივე სწორად უფალ მამულსა ჩუენსა, ვითარცა ვიყუენით უწინარეს მე და ლეონ; აღიღე ჩემგან სიმტკიცე და შუამდგომელნი,
M 460 და შენგან დიდად დავიმადლო საქმე ესე“. ვითა|რ ცნა კუირიკე ქორებისკოპოსმან[9] სიტყუა დემეტრე მეფისა, მოიყვანა თეოდოსი და აწუია მინდობა მისი, და ეტყოდა: „მე ვიყო მეძიებელ სისხლსა შენსა“. თეოდოსი მიანდო ძმასა თუისსა და გაგზავნა.

[1] იყო *AM*. [2] მარგს მერეს *M*, მარგის და *B*. [3] გააქციეს *MB*. [4] ადარნასეს ძმელსა (ძელესა *B*) მთავარსა *MB*. [5] ძმის *A*, ძმისასა *M*. [6] მოსჩრიდა *A*. [7] +ტაოთ *MB*. [8] ქორებისკოვსისა *A*, ქათალიკოზი *M*. [9] ქორებისკოვსმან *A*, ქორაფისკოვზმან *M*.

მაშინ წარიყვანეს[1] ფიცითა და სიმტკიცითა, რომლითა
A 290 ეფუცნეს წინაშე სუეტსა-ცხოველსა კათალიკოზი, მღდელთ-მოძღუ-
არნი და დიდებულნი ყოველნი; და ვითა მივიდა თეოდოსი წინაშე
ჰ 297 ძმისა თუისისა, დაყუნა დღენი მცირედნი. ხოლო | დემეტრე დაივიწ-
ყა შუამდგომელობა ღმრთისა და შემართა ფიცთა[2], შეიპყრა თეო- 5
დოსი. და დასწუნა თუალნი და ვითარ იხილეს ესე მყოფთა მამულისა
მისისათა, ძიება ყვეს ძმისა მათისა, რომელსა ერქუა ჩალა-მეფე, და
ვერ[3] შეუძლეს ამისი ქმნა, რამეთუ დემეტრე მეფე იყო მჭნე და
ახოვანი. და რაჟამს აღესრულა დემეტრე მეფე, იხილეს ყოველთა
მკუიდრთა ქუეყანისათა, რომელ არღარა დარჩა მკუიდრი აფხაზეთისა 10
და ქართლისა, გამოიყვანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ.

მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლის-ციხესა. და იყო[4]
მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის[5] ძე, კაცი ძლიერი
M 461 | და ერ-მრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კუ-
ლაპარატისა; აწუია, რათა გამოილაშქროს და ძალითა მისითა აი- 15
ღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თუით, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა
გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისა, რომელ|სა
A 291 მართებდა დედოფლად[6] აფხაზეთი და ქართლი.

ესევე ივანე მარუშის[7] ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ; და
ვითარცა მოისმინა დავით კულაპარატმან სიტყუა მარუშის ძისა, 20
წარმოემართა ძალითა მისითა, მოვიდა ქართლად. და რაჟამს ცნეს
მოსულა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტეევეს ქარ-
თლი.

მოვიდა დავით კულაპარატი, ჩამოდგა[8] ქუა-ჯურელთა,
მიეგება წინა ივანე ქართლის ერისთავი, აღიღო მისგან უფლის-ცი- 25
ჰ 298 ხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს. რამეთუ | არა
ესუა შვილი (გურგენს) დავით კულაპარატსა, და ბაგრატ, ძე გურ-
გენისი, გაეზარდა შვილად თუისად. ესე[9] დავით კულაპარატი უმე-
ჰ 299 ტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა. | რამეთუ იყო პირველად
ღმრთის-მოყუარე, გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი და მშუიდი, ძუირ- 30
უკსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხუი, კაცთ-მოყუა-
M 462 რე, ფიჩოსანთა მოყუარე, ყოველთათუის კეთილის მყოფელი და
სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა საყდარი ღმრთისა, წმიდა
ეკლესია ხახულისა. და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფ-

---

[1] + იგი *M*, თეოდოსი *B*. [2] შემართა ფიცითა *M*, შემართა ფიცთა გატე-
ხასა *B*. [3] ვითარ (← ვ'რ) *A*. [4] იყო < *A*. [5] მარუბის *AM*. [6] რომელსა ეყოდა
დედულად *MB*. [7] მარუბის *A*. [8] ჩაუდგა *M*, ჩამოაგდო *A*. [9] ესე ესე *A*.

A 292 ჰ 300 ლის-ციხელნი[1] გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ასაკითა თუისითა უსრულ; ამისთუის თანაგანმგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ. შემოკრიბნა[2] ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკუიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“. და დაყუნა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს.

ვითარ წარჰდეს მას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქართლისა აზნაურთა, შეეუბნეს ნაქორდეველთა[3] და საბოტარელთა, მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით, და გასცეს უფლის-ციხე, და შეიპყრნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუხრანდუხტ, წარიყვანეს კახეთად.

რაჟამს ცნა ესე დავით კულაპარატმან, დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს, შთასლვად კახეთად. და რაჟამს ცნეს კახთა, გამოგზავნეს მოციქული, M 463 და მოუპყრეს პირი ზავისა. და განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, შეუქციეს ქართლი და უფლის-ციხე, ხოA 293 ჰ 301 ლო წირქუალს[4] ციხე და გურა[5] თუით დაიმჭირეს.

მათ ჟამთა ეპყრა უფლის-ციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა. ესე გუარანდუხტ დედოფალი იყო ასული გიორგი აფხაზთა მეფისა, დედა ბაგრატისი. და ვითარ გარდაჰქმნა ამას შინა წელიწადი სამი და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე, განირყუნა ქუეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული. იხილეს რა წარჩინებულთა მის ქუეყანისათა, იყუნეს ერთობით მწუხარებასა შინა დიდსა. ამანვე ივანე მარუშის[6] ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა, და მის თანა ყოველთა დიდებულთა და ერისთავთა, აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კულაპარატისაგან. ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი; ვითარცა ვთქუ[7] პირველად, უშვილო იყო[8] დავით კულაპარატი და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად[9] ორისავე კერძოსა ტაოსა, გარნა რაჟამს უმკუიდრო ქმნულ იყო ქუეყანა აფხაზეთისა, მოსცა მათ M 464 სიმტკიცითა და მძევლითა.

---

[1] უფლის ციხესა *B*, უფლის ციხეს *M*. [2] შემოგრიბნა *A*. [3] ნაჭურდეველთა *MB*. [4] წირქუალის *MB*. [5] აგრუა *M*, გრუი *B*. [6] მირუშის *A*. [7] ეთქუა *A*, ვთქუ *M*, ვსთქუ *B*. [8] ყო *A*. [9] მპყრობელად *< A*.

A 294 შთაიყვანეს აფხაზეთს და დალოცეს | მეფედ, და
დამორჩილდეს ყოველნი ბრძანებასა მისსა: რამეთუ განსრულ იყო
ასაკითა. და ვითარ გარდაჴდა წელიწადი ორი, იწყო განგებად და
საურავად და გამართებად ყოველსა საქმესა, მსგავსად პაპისა მისი-
სა, დიდისა მეფისა გიორგისა, გინა თუ ემეტესადრე ვთქუა[1]. რა- 5
მეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისა თუისისა,
დიდისა დავით კულაპარატისა, და იხილვებოდა მის თანა ყოველი
სახე [2] კეთილისა. გამოგზავნა თეოდოსი მეფე, დედის ძმა მისი, ტა-
ოს, წინაშე კულაპარატისა, რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად,
რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, 10
ჰ 302 გინა შიში უწესოებისათუის მისა მიმართ აქუნდეს. | შემდგომად ამისა
გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქარ-
თლისანი. მოვიდა და დადგა თიღუას[3]. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა
ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ
თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყუნეს 15
მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა.

M 465 იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, | მოეგებნეს ბრძო-
ლად, დაუდგეს თავსა ზედა მუღრისასა[4]. იხილა რა ბაგრატ აფ-
A 295 ხაზთ | მეფემან, აღუზახნა სპათა თუისთა, მივიდეს, შეებნეს და იოტ-
ნეს ქართველნი, რომელნიმე დაჴოცნეს და რომელნიმე დაიპყრნეს, 20
და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს[5]. ხოლო
მოვიდა უფლის-ციხეს, აიღო ციხე დედისაგან თუისისა, დაყუნა
დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედა
თუისი და წარვიდა ქუეყანად აფხაზეთისა. და ვითარცა ჴელოვან-
მან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა; რამეთუ 25
მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკუე პოვის[6] ურჩი, და მის ადგი-
ლისა განადიდის ერთგული და მისანდობელი თუისი. და ამას შინა
გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე. და იყო მათ ჟამთა ერისთა-
ვად კლდე-ქართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლი-
საგან მტკუარისა სამხრით კერძო ყოველივე: თრიალეთი, მანგლის- 30
ჴევი და საკურეთი[7]; არა მორჩილობდა კეთილად მეფესა ბაგრატს.

შეკრიბა[8] [უცნაურად] სპა თუისი ყოველი, და გამოვიდა
ქართლად. და ენება მოდგომა და შერევა რატ ერისთავისა[9]. მაშინ
M 466 უკუე აუწყეს[10] მსწრაფლ[11] კულაპარატსა[12], და უთხრეს ესრე: | „არა

[1] ვთქუ *A*. [2] საქმე *MB*. [3] თიღუას *AB*, მთიულეთს *M*. [4] მოღრისასა *M*, მოღრისისა *B*. [5] დაიფანტნეს *MB*. [6] პოვოს *A*. [7] სკორეთი *M*, სკჯრეთი *B*. [8] შეკრბა *A*, შეიკრიბა *MB*. [9] რატი ერისთავთა ერისთუისა *M*, რატი ერისთავთ ერისთავს *B*. [10] აუწყეს<*A*. [11] მსწრაფლ<*MB*. [12] დავით კურატპალატსა *MB*.

სადა წარვალს სხუაგან, არამედ[1] განმზადებულ არს სიკუდილად
A 296 შენდა". და შეკაზმულ იყო მამა|ბაგრატისი მოსლვად შვილისა თა-
ნა თუისისა. დავით კულაპარატი(სა) წარმოვიდა მსწრაფლ და მო-
ჰ 303 უწოდა|ლაშქარსა თუისსა, და უჴმო ყოველთა მეფეთა ჴომხითისა-
თა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალი იყო პაპა[2] ბაგრატისი, ბაგრატ, ქარ-
თველთა მეფე[3]; იგიცა მოვიდა დავით კულაპარატსა წინაშე; რამე-
თუ ეშინოდა ძისა თუისისა გურგენისგან წაღებასა მეფობისასა. მო-
ვიდეს და დადგეს დლივს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რი-
ცხუი, და გაგზავნნა ლაშქარნი გურგენს ზედა. მიეგებნეს გურგენს
წინა, გარდათხრილთა[4] თაესა შავშეთისასა, გააქციეს გურგენ და
შთაიხუეწა მეტი[5], და შევიდა ციხესა წერბეთისასა[6].

მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს, და დადგა კარუშეთს[7]. გაგზავნა მოციქული, განახნა[8] ლაშ-
ქარნი და იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა
დავით კულაპარატისა. მაშინ დაუტევნა სპანი თუისნი ადგილ-
სა ზედა, და თუით მარტო მივიდა წინაშე მისსა და ითხოვა შენ-
M 467 დობა, და აუწყა, ვითარმედ: „სხუისა რომლისა არასათუის|მოვედ,
გარნა არამორჩილებისათუის რატისა". ხოლო მან გაგზავნა და
უბრძანა ესრეთ: „მითხრეს, რომელ ჩემდა სიკუდილად გამოსრულ
A 297 იყავ; გარნა აწ ვსცან|დასტური, რომელ უბრალო ხარ, არამედ
მითავისუფლებიხართ[9] რატის ზე[10]; დაიმორჩილე ვითაც
სახედ გწადიან".

მაშინ წარმოვიდა[11] სიხარულითა სავსე, და წარვიდა მას ჟამ-
სა აფხაზეთადვე, რათა ვერა უგრძნას რატი და უგრძნეულად მივი-
დეს, [ოდეს] არა გონებდეს, ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა. მოვიდა
ძალითა თუისითა ყოვლითა, მოადგა კლდე-კართა. იხილა რა რატი,
გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი ლიპარიტ თანა, შეევედრა
ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თუისი ბაგრატს, და
ჰ 304 თუით დაჯდა მამულსა თუისსა არგვეთს[12]. | კუალად, ვითარ წარვი-
დეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და ვითარ ვთქუ პირველვე, მოიწ-
ყუნა და განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი, ურჩნი თუისნი შე-
ცუალნა დიდებისაგან, ადგილთა მათთა დაადგინნა[13] ერთგულნი და
მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა; და წარემატა ყოველთა
მეფეთა ყოვლითა განგებითა. და გაამრაველა ლაშქარი თუისი უმე-

[1] არამედ *A*, თუინიერ *MB*. [2] პაპი *A*. [3] ბაგრატ ქართველთა მეფე *AM*. (და თ ე ი მ.), ბაგრატ რეგვენი *B*. [4] გარდათრილთა *A*. [5] მეოდი *A*. [6] წეფთისასა *MB*. [7] კარუბეთს *M*. [8] განიცადა *MB*. [9] მითავისუფლებიხარ *MB*. [10] ზედა *MB*. [11] ამის შემდეგ, ვიდრე გვ. 176,20 («მიიცვალა») *A*-ს აკლია. [12] არაგვითს *M*. [13] დაადიდნა *M*.

M 468 ტეს ყოვლისა ჟამისა. გა|მოილაშქრა ყოვლითა სპითა თუისითა, გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს. მას ჟამსა იყო ქორეპისკოპოზი[1] დავით. ხოლო მან არა ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ჰომი. ხოლო მე წინა მოგეგებო კსანსა[2] ზედა“. განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართუელთა მეფე; და კურატპალატი იყო მას ჟამსა დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და
ჰ 305 ქართლისათა, რომელ მაშინ | თუითვე ეპყრა ტაო, მიცვალებასა ზედა მამისა მათისა, გურგენ მეფეთ-მეფისა. წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწუია სპათა აფხაზეთისათა და ქართლისათა, და თუით წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა, და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თრიალეთს[3] და იწყო შემუსრა კახეთისა, და ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხეი; იწყო ბრძოლად ციხეთა და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ, და წარმოვიდა შინა.

M 469 და მათვე ჟამთა, რაჟამს წარმოვიდა | ბაგრატ აფხაზთა მეფე, კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი[4], და მიერთნეს დავითს. აიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ჟამ[ი]სა მიიცვალა.
A 297 | კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა მისითა ბაგრატ, აიღო მეორედ ერეთი. დაიმჭირა დიანარ[5] დედოფალი თუისად, იწყო ძებნად კახეთისა და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარუხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია კუირიკე ბოჭორმას, დაუყენნა ციხეს გარეშამო მცველნი წელიწდამდი[6], და წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად კახეთი, წარმოიყუანა კუირიკე[7] და დაიჭირა კარსა ზედა თუისსა.

მას ჟამსა განდიდნა[8] ფადლუნ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად. ხოლო იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერება მისი, აღივსო შურითა და დიად შეუძნდა კადნიერება მისი, განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გურგაკ[9] შანშა, სომეხთა მეფისა, აწუია, რათა შური იძიონ ფადლონისგან. ხოლო მან განიხა-
ჰ 306 რა სიხარულითა დიდითა; | და მოუწოდა მსწრაფლ ყოველთა[10] სპათა

[1] ქორაფის კოვზი *M*. [2] კანასა *M*. [3] თიანეთს *B*. [4] ჰრეთისანი *M*. [5] დინარ *MB*. [6] წლითი წლამდის *B*, წლითი წლამდისი *M*. [7] წარმოიყუანა კუირიკე<*A*. [8] განადიდნა *A*, გადიდნა *MB*. [9] გაგიკ *MB*. [10] ყველთა *A*.

M 470 A 298 თუისთა, წარმოემართა და მოვი|და წინაშე ბაგრა|ტ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე ძორაკერტს[1], მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულესა ქრისტიანეთასა[2], რომელი ყოველითურთ ეძიებდა წარწყმედად ყოველთა ჯუარის მსახურთა. და ვითარ იხილა ძალი მათი უძლეველი, შეუშინდა, წარვიდა და მიმართა სიმაგრეთა შესლვად. ამან დიდმან და ყოველითურთ ძლევა-შემოსილმან[3] მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა[4] ფილაკაჲანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნა ზღუდენი შანქორისნი. და ხვალისა დღე ეგულებოდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მის. მას ღამესა მოუვლინა მოციქული ფადლუმან, ითხოვა შენდობა და აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯი[5], დაუწერა თავისუფლება და თავის-თავითა[6] ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა. მაშინ უბრძანა და შემოკრიბნა წინაშე მისსა ყოველნი დიდებულნი; უბრძანა პირველად, რათა დაიჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა. იხილეს, გაიცადეს და მოახსენეს, რომელ ვერვის დაედვა[7], და უფროსად ხM 471 ლო ამისთუის, რომელ სხუათა ყოველთა|სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდეს.

A 299 კუალად|უბრძანა და განიზრახა დაზავება ფადლონისი. და მათ ყოველთა, სიბრძნითა მათითა, გამოარჩიეს უმჯობესად და აწუიეს ზავი. უბრძანა და გაგზავნა მოციქული და მისგან აუწყა ზავი დასტური. მაშინ ფადლუმან განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრულა ყოველი იგი სიტყუითა აღთქმული საქმით: უძღუნა ძღუენი დიდი და მიუწდომელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწდომელითა და წარმოვიდა შინა განმარჯუებული.

ჰ 307 ამანვე|დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საებისკოპოზოდ, მოცვალა მუნ გუდაყუისა საებისკოპოზო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჴევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, და შეაჰკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია[8], აკურთხა და დასუა ებისკოპოზი.

უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისჴმის ყოფად სიმაღლისათუის და დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს საჰკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისჴმა ყოს და ცნას, რომელ არავინ ყოფილ არს მსგავსი მისი სხუა მეფე ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისა. ამანვე აკურთხა ეკლესია ქუ-

[1] ზორაკერტს *MB*. [2] ქრისტიანეთესა *A*. [3] ძელევა-შემოსილმან *A*. [4] აუდგნა *A*, ადგნაა *M*, დაუდგნა *B*. [5] ხარაჯა *MB*. [6] თავის თავითა *AB*, თავის ფიცითა *M*. [7] ძლევდა *M*, ძალ ედვა *B*. [8] ეკლესი *A*.

A 300 M 472 თა|თისი[1] გა[ნ]გებითა დიდითა | და მიუწდომელითა: რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი, კათალიკოზნი, მღდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქომონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და[2] სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთანი.

ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე, წარემატა ყოველთა მეფეთა ყოვლითა განგებითა, ამისდა შემპოვნედ[3] და ამისა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი, მახლობელნი და მოთუალულნი[4] მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თუისნი დიდებულნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მშუიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა. და უკეთუ ვინმე ინებოს თუითეულად წარმოთქუმად ყოველთა განგებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან[5] მცირედ წარმოვთქუი ჟამთა სიგრძესა არა დავიწყებისათუის.

ჰ 308 | და ვთქუ ესეცა, რომელ[6] შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი, დიA 301 M 473 დებითა და | ძალითა, ყოვლითა გონებითა, ეკლესიათა მ|აშენებელი, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათუის.

მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი | მჴცითა შუენიერითა, ქრონიკონსა ორას ოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შუიდსა, დღესა პარასკევსა.

ჰ 310

და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს, და წარმოიღო გუამი მისი ზუიადმან ერისთავთა ერისთავმან, და დამარხა ბედიას[7]. შემდგომად ამისა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა სავსე ყოვლითა სიკეთითა. ესე ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თუისსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა[8]. ხოლო მეშუიდესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა მისითა და უცხოთესლითა ურიცხუითა.

ხოლო გიორგი[9] მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღ-
ჰ 311 მდგომად მისა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე, და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიA 302 ორგი მეფემან, მოვიდა, დაწუა ქალაქი ოლ|თისნი, და მუნით იგი

[1] ჭუთათისა *MB.* [2] და<*A.* [3] შემოპოვნედ *A.* [4] მოთაულნი *MB.* [5] რათგან *A.* [6] ვთქუ რომელ ესეცა *A.* [7] დაამარხა ბდას *A.* [8] ათექუსმეტისა *M*, იტ *B.* [9] გიორგი *B*, გ´ი *M*, იგი *A.*

მოვიდა [კოლასა და გამოუდგა][1] კუალსა, და მოუდგა უკანა ბასი-
M 474 ანთა[2] მეფე ბერძენთა. | და შეკრბეს უკანა მავალნი გიორგისნი, და
დევნნა მავალნი ბასილისნი, და იქმნა ბრძოლა დიდი; და სოფელსა
რქუიან ბირიმნი[3]. და მოისრნეს მრავლად ორკერძოვე, მ ო კ ლ ნ ე ს[4]
ერისთავნი დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ხურსი. და
გუიანადა ეწია ჴმა მეფესა, ვითარმედ ომი[5] არს უკანა მავალთა
ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თუისთა, და აღიჴრნეს[6] მსწრაფლ. და
განვიდა თუით იგი მეფე; ხოლო ახოვანი იყო და უშიში ყოველი-
თურთ, ვითარცა უჴორცო, და მის თანა სიმრავლე სპისა მისისა.
და მოვიდა მუნით ბასილი მეფე (და) ყოვლითა სპითა მისითა. შე-
კრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოსრნეს ბერძენ-
ნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი; ეზომ[7] გაგრძელდა მათ შორის
ბრძოლა, რომელ სიელტოლად განემხადა ბასილი მეფე.

ხ ო ლ ო ვ ი თ ა რ ს უ ლ მოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და
წარმოვიდეს. და წარმოუდგეს უკანა ბერძენნი, დაჴოცნეს ურიცხუნი
პირითა მახუილისათა. მოუწია ლაშქარმან, დაატყოეს არტანი და
ჭ 312 მოაოჴრეს, გიორგი მეფე თრიალეთს მოადგა უკანა, | ასწყუიდა | ქუე-
A 303 ყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა მიეახლნეს
M 475 ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი
კახეთისა და ერეთისა, გარნა დაუშალეს მაშინ შებმა მეორედ.

შ ე ი ქ ც ა ბ ა ს ი ლ ი მ ე ფ ე თ რ ი ა ლ ე თ ი თ, უ კ უ მ ო ი ა რ ა
ჯავახეთი და არტანი[8], კუალად უბოროტესად შურის-გებითა მო-
აოჴრნა ქუეყანანი იგი, წარვიდა, დაიზამთრა ქუეყანასა ხალდისასა[9],
მახლობელად ქალაქსა ტრაპეზონთასა. და ვიდოდეს მათ შორის
მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათუის.

მ ა ს ჟ ა მ ს ა იქმნა დიდი განდგომილება საბერძნეთით; შეიერ-
თნეს სპასპეტი და წარვიზი[10], და მოვლო[11] ქუეყანა აღმოსავლეთი-
სა, და დიდად შეძრწუნდა მისთუის ბასილი. გარნა პატივ-სცა
ღმერთმან მასვე, და მოკლა წარვიზი ქსიფე [და გადგეს რომელნი
მირთულ იყუნეს. ხოლო ქსიფეს][12] მიუგო ცრუობა წარვიზისა;
რამეთუ შეიტყუევეს ციხესა დალასანოსთა[13] სისხლისათუის ფუკასი-
ჭ 313 სა[14] ძისა, შეიპყრეს | და მოგუარეს ბასილი მეფესა, და მან ექსო-
რია ყო კუნძულსა რომელსამე და მისთანათა მრავალთა მოჰკუეთა

[1] კოლასა და გამოუდგა<*AM* ex homoioteleuto. [2] ბასილი *MB*. [3] შირიმნი *M*, შირიმთა *B*. [4] მოვლნეს *A*. [5] რომი *A*, ომ *B*. [6] აღიჴურნეს *MB*. [7] ეზომი *A*. [8] არტანით *M*, პატარანი *A*. [9] ტალდისასა *A*, ხლდიისასა M, ხალდასა *B*. (v. l. ხალადსა). [10] +ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფენ *B*. [11] წარიდგინეს *M*, მიიდგნეს *B*, მოვლო *A*. [12] <*A* ex homoioteleuto. [13] სალასანიოსათა *M*. [14] ბუკასისა *A*, ფოკასის *B*, ფოკასის *M*.

თავი მახუილითა, რომელთა თანა იყო ფერის[1], ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოველი, და სხუანი იყუნეს ბერძენნი.

A 304 კუალად შემოიქცა ბასილი მეფე, მოვი|და ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა, აღუთქმიდა ზავსა და მშუიდობასა.
M 476 ცნა რა გიორგი [2] მეფემან, წარავლინ|ა ზუიადი ერისთავი სპითა მისითა, და უბრძანა, რათა ზავისა მიპყრობითა მცირედ ხან დაიმჭირვა ადგილსა; და თუით წარვიდა წარდგომად უკანა სპითა ძლიერითა. და განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ [3] ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთუისცა". ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშუიდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლა. და მივიდეს ბასილი მეფისა [4] დაბანაკებულსა ზედა, რომელსა უწოდიან სუინააქსად[5]. იწყეს ბრძოლად, და აოტეს ზოგი ლაშქრისა მისისა. განუწყრა ბასილი მეფე და უბრძანა მოღებად
ჰ 314 ძელი ცხორებისა | და მანდილი [6] წმიდა დადვა ქუეყანასა ზედა და თქუა: „უკეთუ მიმცე ჴელსა მტერთასა, არღარა ვიყო თაყუანისმცემელ თქუენ თანა [7] უკუნისამდე". და ვითარ გაგრძელდა ბრძოლა მათ შორის, კუალადცა მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი[8], და წარმოვიდეს მეოტად. მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახუილისათა; და რომელნიმე ტყუე იქმნნეს, წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სა-
A 305 მეფო, რომელი ჰქონდა | თანა.

და წარმოუდგა ბასილი მეფე უკანა. ხოლო კუალადცა იწყეს ზავად, ვითარცა პირველ; რამეთუ შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით | განდგომისა. და ყუეს მშუიდობა და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თუისი ბაგრატ, წელიწადისა სამისა, და ციხენი რომელ [9] პირველ [გაეცნეს აზნაურთა დაულოცნა, სხუანიცა ციხენი პირველ] [10] მიცემულნი, და უკანას იადნი[11], და ქუეყანა, რომელი ჰქონდა კულაპარატსა ტაოსთა და არტანთა და ჯავახეთს [12]. ხოლო
ჰ 315 რომელნი|მე ამა ქუეყანათაგან იძლივნეს, და [13] კუალად დაულოცნა ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი გიორგი მეფესა, ხოლო თუით წარვიდა, და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად, ძე გიორგი მეფისა ჩუენისა.

აღუთქუა ფიცით აღთქმა ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი". და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტან-

[1] ფერიზ *B*, ფეზისი *M*. [2] გიორგი *B*, გ'ი *M*, იგი *A*. [3] უკეთუ<*A*. [4] მეფესა *MB*. [5] სვინდაქსარ *M*, სვინდაქსად *B*. [6] მადლი *A*. [7] თქუენდა *MB*. [8] საქართველოსანი *MB*. [9] რომელნიმე *MB*. [10] გაეცნეს—პირველ<*A* ex homoioteleuto, აღვადგინეთ *MB*-დან. [11] უკანის თხუთმეტნი *M*, უკანის ვითარ თოთხმეტნი *B*, უკანას იადნი *A* (—ი'დნი =14-ნი). [12] ტაოს კოლატანს და ჯავახეთს *M*, ტაოს, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს *B*. [13] იძლივნეს და<*MB*.

ტიპოლეს. და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა. რაჟამს მოიწია მამულსა და სამეფოსა თუისსა, მოყუა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე სამზღურამდე მამულისა მისისა, და ვითარ შეიქცა გარე, მოეწია სწრაფით[1] მანდატური[2] და მო[ა]რთო კატაბანსა (და მოართო) წიგნი კოსტანტი[3] მეფისა, რომელსა წე- 5
A 306 რილ იყო ესრეთ სახედ, ვითარმედ: „განგებითა ღმრთისათა | მი-
M 478 იცვალა სანატრელი მეფე ბასილი, ჩემი ძმა, და ნ|აცულად მისა ვიქმენ მე მეფედ ყოველსა ზედა საბერძნეთსა. აწ უკუე, სადაცა მიწევნულ იყოს[4] განსაგებელსა შენსა[5] ბაგრატ, ძე გიორგი მეფისა, აფხაზთა ჴელმწიფისა, შეაქციე სწრაფითა დიდითა, რათა მოვიდეს 10
ჩუენ თანა". ხოლო მან, ვითარცა წარიკითხა ბრძანება მეფისა, ენება, რათამცა შეაქცია გარე ბრძანებისაებრ მისისა. შემოიქცა სწრაფით, დევნა უყო უკანა. რაჟამს მოეახლა, იხილა, რომელ სიმრავლე[6] დიდძალი მიგებებულ იყო: დიდებულნი წინა, ერისთავთა ერისთავნი და[7] ერისთავნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი, რომელთა არა 15
იყო რიცხუი. შეიქცა გარე და უთხრა მანდატურსა, რომელი მოწეულ იყო დასტირითა[8]: „უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე აღარა ეგების". ჳ, დიდი საკუირველი და მოწყალება ღმრთისა: ვითარ მყის განერა მართალი ჴელთაგან მათთა, რომელთა ენება ზაკვით შექცევა მისი. და თუ ვისმე გენებოს განცდად ესევითართა 20
ჳ 316 შეწევნათა ღმრთისა მიმართ, იხილნეთ და განიცადნეთ ურიცხუნი
— ჴელის აპყრობანი ღმრთისა-მიერნი ამას დიდსა ბაგრატს აფხაზთა
A 307 ზედა მეფესა, რომელნი არაჟის ზედა მოწევნულ იყუნენ სხუისა მე-
M 479 ფისა. რომელთათუის (გაუწყრა) ჟამსა და ჟამსა გაუწყოს წინამდებარემან სიტყუამან ესე[9]. უკუე მოიწია მამისა წინაშე თუისისა, 25
გიორგი მეფისა, სახლად მათდა ქუთათისს[10]. იხილეს მშობელთა მისთა შვილი მათი და მსგავსი მათი განუცდელისა და მიუთხრობელისა სიკეთისა მათისა, ყოვლითურთ შუენიერი, რომლისა სიკეთისა მათისა შეუძლებელ არს კაცთაგან მითხრობა. იხილეს რა, განიხარეს სიხარულითა მიუთხრობელითა და შეწირეს მადლობა 30
ღმრთისა მიმართ. იყო ქრონიკონი მას ჟამსა ორას ორმოცდახუთი[11].

შემდგომად ორის წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოველითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყმისასა, რომელ არაჟინ

[1] მსწრაფლ *M*, მოსწრაფებით *B*. [2] მანდატური < *A*. [3] კოსტანტინე *MB* [4] იყო *A*. [5] ჩემსა *M*, ჩუენსა *B*. [6] სიმრავლე<*A*. [7] ერისთავთა ერისთავნი და<*MB* [8] დასტიდარითა (დასტადარითა) *B*, < *M*. [9]+ ვითარ *M*, ხოლო ვითარ *B*. [10] ქუთათის *A*. [11] ორმოცდახუთ *A*.

ჰ 317 გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა|შორის მისთა ახოვანობითა,
ჰაბუკობითა, სიქველითა, ტანითა, სახითა და ცნობითა, ყოვლითურთ
სავსე ყოველითა განგებითა საკელმწიფოთა, ქ[ა]ს[ა] [ო რ]ა[ს][1] ო რ-
მ ო ც დ ა შ უ ი დ ს, თუესა აგუისტოსსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრი-
ალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი. 5
A 308 დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკუიდრთა მამულისა|და
M 480 სამეფოსა მ|ისისათა. იგლოვდეს[2] ყოველნი სიკეთესა და სიჰაბუ-
კესა მისსა. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა. ესხნეს
შვილნი: ორნი[3] ძენი, ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურან-
დუხტ, კატა; და მეხუთე შვილი მათი, მართა, მიცვალებულ იყო. 10
ხოლო შემდგომად მიცვალებისა დიდისა მეფისა, მასვე ჟამსა მეფე
იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა, ზემო-
სა და ქუემოსა, წელიწდისა ცხრისასა.

მ ა ს ვ ე ჟ ა მ ს ა წარვიდეს აზნაურნი ტაოველნი საბერძნეთს:
ვაჩე კარიჭისძე, და ბანელი ებისკ[პო]სი იოვანე, და მათ თანა სიმ- 15
ჰ 318 რავლე აზნაურთა|ტაოელთა. ხოლო კოსტანტი[4] მეფემან, მოქცევასა
ოდენ წელიწდისასა, გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხუითა,
მოვიდა, ჩამოდგა და აოჳრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მე-
ფესა მოეოჳრნეს. მოვიდა თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე-კართასა;
მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთა ერისთავსა[5]. შემოიკრიბნა 20
სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძთა[6] და შეებნეს ციხესა ქუეშე.
M 481 რაჟამსა იხილა[7] პარკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებ|დეს, შეიქცა
გარე. მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი[8] ფალელი საბერძნეთს, მისცა
ციხე[9] და მ[ი]ერთო ბერძენთა. და არჯევან ლოლოლას[10] ძემან
A 309 მისცა ციხე წერბეთისა[11] ბ|ერძენთა[7]. რაჟამს იხილა საბა, მტბევარ- 25
მან ებისკოპოზმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო
ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიმჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა
დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთ მეფისათუის. პატივ-სცა ღმერთ-
ჰ 319 მან და ვერ წაუღეს ქუეყანა მტერთა. | რამეთუ მას ჟამსა გაგზავნა
პარკიმანოზმან და პროედროსმან[12,13] იოვანე ბანელი[14] ხარტულარი[15], 35
წარიყვანა თანა ელიანბი[16] ლაშქრითა დიდითა, და მისცა თანა

---

[1] ას *A*. [2] ეგლოვდეს *A*. [3] შვილნი ოთხნი *MB*. [4] კოსტანტინე *MB*. [5] ერისთავსა< *A*. [6] განძათა *B*. [7] რაჟამს იხილა — ბერძენთა *A*-ში განმეორებულია. [8] ჩანჩუხი *B*, ჩანჩხი *M*, ჩანჩახი || ჩანჩეხი *A*. [9]+გარყლობისა *B*, გაყრილობისა *M*. [10] ჰოჰოლას *M*, ჭლოლის *B*, ლოლოლას || ლოლას *A*. [11] წერეფისა *M*, წეფთისა *B*. [12] პორედორისმან *A*, პროიდროსმან *M*, პროედროზი (პარკიმანოზ პროეოდროზი) *B*. [13]+ერისთავმან *MB*. [14] შინაელი *A*. [15] ხალტულარი *B*, ხალტურლარი *M*, ტრატურალი *A*. [16] ვალანგი *M*, ვითანგი *B*.

დემეტრე კლარჯი[1], ძე სუმბატისი, რეცა შესატყუენელად ქუეყანისა კაცთათუის, და მით მიზეზითა მიიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან. შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა[2] არჩელი[3], და სხუანი აზნაურნი, გამოჩნდეს ერთგულად, შედგეს ციხესა და გაამაგრეს ფრიად.

A 310 M 482 ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანე ერისთავსა აბუსერსა, და მათ ჟამთა ქუეყანათა ამათ შინა | იქმნნეს ბრძოლანი და შუღლნი და მი-და-მონი მრავალნი. და ვითარ იღლვებოდა ქუეყანა, კუალადცა პატივ-სცა[4] ღმერთმან ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია სენი სასიკუდინო კოსტანტი[5] მეფესა. მოწერა პარკიმანოზსა[6] პროედროსსა[7], უჴმო შელმართ. ხოლო იგი წარემართა მსწრაფლ, და ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კოსტანტი[8] მეფე. [და რაჟამს მიიცვლებოდა, დასუა სხუა მეფე][9], რომანოზ; შე(ი)რთო ასული თუისი ზოია.

შემდგომად ამისსა წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად, ძიებად მშუიდობისა და ერთობისა, კუალად ძიებად პატივისა კულაპარატობისასა ძისათუის თუისისა, ვითარცა არს ჩუეულება სახლისა მათისა, და მოყუანებისათუის ძის ცოლისა. | და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთ მეფისა, აღუსრულა ბერძენთა მეფემან ყოველი სათხოველი სიხარულით, და მოსცნა ფიცნი[10] და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათუის, დაუწერნა ოქრობეჭედნი, მოსცა პატივი კულაპარატობისა, მოსცა ბაგრატისთუის ცოლად ელენე დედოფალი.

A 311 M 483 მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თუისისა, ქუეყანასა ტაოს, მოართუა პატივი, აღასრულ|ა ქორწილი. უკურთხნეს გუირგუინნი ბაგრატს[11]. და მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათის, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა[12] დედოფალი, ოვსთ მეფის ასული, დაჲ[13] დორღოლელისა[14]. და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფისა · ანაკოფიას შინა, ოვსთ მეფისა ასულისა, მეორის ცოლისა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო სახელით ბაგრატ[15]. ვერცა გაამეფეს[16], თუცა ვის გულსა ედვა, და

---

[1] კლარ *A*. [2] ეზარ *A*. [3] ანჩელი *M*. [4] პატივსა *A*. [5] კოსტანტინე *M*,<*B*. [6] პარკიმანოზმან *A*. [7] პროდეროსსა *A*. [8] კოსტანტინე *MB*. [9] და—მეფე<*A* ex homoioteleuto. [10] ფიცარნი *A*. [11] ბანას *M*, ბაგრატს *AB*. [12] შორანა *A*. [13] დაა *A*. [14] დურღულელისი *B*, დურღულელის *M*. [15] დემეტრე *MB*. [16] აამეფეს *A*.

ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცაღა დიდებულთა თავადთა ამის სამეფოსათა, და ვერღარა დაიდგნა, წარვიდა სამეფოსა მისგან, მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია. მიერითგან წარუჴდა ანაკოფია აფხაზთა მეფეთა მოაქჳამადმდე.

ჰ 322 |და შემდგომად ამისა მოირჭუნა[1] და ეუფლა ზემოსა და
ჰ 323 ქუემოსა თავის მამულსა ზედა ბაგრატ. |და დიდი ფადლონ[2] ავად იქცეოდა[3], მოთუალულთა[4] ამის სამეფოსათა, და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირიანეს[5] ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე[6], მოვიდა დიდი კუირიკე, რანთა და კახთა
A 312 M 484 მეფე, და დავით, |სომეხთ მეფე, ჯაფარა, ამირა ტფილისისა. რამეთუ ესე ყოველნი შეკრებულ იყუნეს[7] ეკლეცს ფადლონს ზედა, გააქციეს ფადლონ და აუწყუიდეს ლაშქარი, აღიღეს ავარი და განძი ურიცხუი, ამიერითგან ვიდრე სიკუდილადმდე შევიდა[8] ფადლონ.

და სიმცირესაცე შინა[9] ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათ გუერდსა (და) გამოიტყუიეს ტფილელი ამირა ჯაფარ, შეიტყუეს და ჭელთა შეიპყრეს, დიდი ხანი დაყვეს[10] პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთუისი. შეიწყალა აფხაზთა მეფემან და გაუტეუა ტფილისს[11] [ზედა ამირად, და მიერითგან დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ წაღება ტფილისისა][12]. მოადგეს ტფილისსა მტკუარსა იმიერით კერძო და ქუემოთ აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და წყალსა იმიერით[13], ისინით[14] მოადგეს ლაშქარნი კახნი და ერნი[15]. მას ჟამსა მოკლულ იყო დიდი მეფე კახთა, კუირიკე, ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კუირიკე მეფესა. [ამისთუის მოიკლა კუირიკე მეფე][16] ნადიროზასა შინა[17].

M 485 მას ჟამსა იყო მეფე კახეთს გაგიკ, ძე დავით სომეხთ მეფე სამშუილდარისა და ზოლოკერტელისა[18], დისწული კუი-
A 313 რიკესი, და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა. და მ|ას ჟამსა იყო

[1] მოიჭურნა *M*. [2] ფლადონ *A*. [3] +და სწუნობდა (სწონობდა *M*) ყოველთა *MB*. [4] მოთაულთა *MB*. [5] იბირნეს *B* (იპირნეს თ ე ი მ.), იპყრნეს *M*. [6] აბას ძე *A*. [7] შეკრებულ იყუნეს<*A*. [8] შეჰკვდა *B*, შჰვა *M*. [9] მაშინ *A*, შინა *MB*. [10] დააყენეს *B*. [11] ტფილისი *A*. [12] ზედა — ტფილისისა<*A* ex homoioteleuto. [13] იმიერით *M*, იმერით *B*,<*A*. [14] ისანით კერძო *B*, ჰსინით კერძო *M*, ისინი *A*. [15] აერნი *A*, ჰერნი *M*, Ⴢერნი *B*. [16] ამისთუის—მეფე <*AM* ex homoioteleuto. [17] + ფიდრაზის (ფიდარზის *B*) გორთა ოვსისა მონისა მიერ *MB*. [18] ზოლოკერტელისე *A*, ზოლაკერტისა *M*, ზორაკერტელისა *B*.

ჰ 324 ამირად ჯაფარა, ძე აისი[1]. | და ესრე შეაჰირვეს ტფილელთა, რომელ ლიტრა ვირის ჯორცი ხუთას დრამად ასყიდიეს, და ვერღარა დაუდგმიდეს შიმშილ(ი)თა და ბრძოლათა ძლიერთა. ტფილელთა განიზრახეს მოცემა ტფილისისა, და ამა ქალაქისა ბრძოლასა შიგან წაუხუნეს[2] ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთ მეფისა ლაშქართა, და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შეამზადა ტივები და ნავები ღამით წასავალად განძას ლაშქარსა[3] თანა ფადლონის[4] (თანა) შვილისა.

და რომელთამე დიდებულთა აფხაზთა მეფისათა ფარულად[5] აზრახეს მეფესა არა განძება ამირისა, და ფარულად ლიპარიტისაგან აჰკიდეს ზავი ამირას, გამოაცხადეს და დაამკუიდრეს[6] ამირა ტფილისსავე ზედა. და აბირნა[7] აფხაზთ მეფემან კახნი[8], აშოტ მთავარი მარილელი, დისი ძე[9] კურირიკე მეფისა, და ხახუილა[10] გურთა ჯუარის-ციხითა. და მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა, და ემტერა კახთა, და მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის
M 486 პატრონისაგან. გაილაშქრა აფხაზთა მეფე[მან] კახეთს, შეება და შე-
A 314 უკდა მთასა ზედა მიქაელ-გაბრიელთასა, და წყობასა შინა შეიპყრნა სტეფანოზ[11] ვარჯანის ძე, პანკისისა ერისთავი, და ვაჯე[12], სიძე[13] გურგენი ბერისა, ხუარნაბუჩის[14] ერისთავი, და ჯედი[15], დისწული გოდერძისა[16], ტურის[17] ერისთავი და მჭელისა[18]. გარდაადგა თიანეთს, და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდის კურირიკე მეფისაგან აგებული. და ესე ერისთავნი[19] ქნებით აძლევდეს ციხეთა მათთა, და ვერღარა ჩავიდეს[20] კახეთად, და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იყო[21] საურავთა გარდაქცეულთა[22]. და შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძე ბაგრატისი, ბერძენთ ლაშქრითა[23], და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსა და მოწუეს არე-არე ქართლი.

და იყუნეს ლიპარიტის თანა კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხის უფალნი კაცნი მტკიცე იყუნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თუინიერ ფარსმან თმოგუელი-
ჰ 325 სა და ბეშქენ ჯაყელისა, | თუხარისისა[24] ერისთავისა. გავიდეს ჯავა-

---

[1] ალისი *B*, ალესი *M*. [2] წარტყუენეს *MB*. [3] ლაშქარიას *A*. [4] ფადლონიას *A*. [5] ლიპარიტისაგან ფარულად *MB*. [6] დამკუიდრეს *A*. [7] დაიბირნა *B*, და იბირნა *M*. [8] კაცნი *A*. [9] და სიძე *MB*. [10] ხახულა *B*, ხულა *M*. [11] სტენოზ *A*. [12] ვაჩე *MB*. [13] ძე *MB*, სძე *A*. [14] ბერის სახუარი-სანაბუჩის *A*. [15] დაჯე *B*, და ჯე *M*. [16] გოდოერძისა *A*. [17] ტვირის *M*, შტორის *B*. [18] მაჭელისა *B*. [19] ერისთავი *A*. [20] ჩაიდა *A*. [21] იწყო *MB*. [22] გუერდ ქცეულთა *MB*. [23] ლაშქრისა *A*. [24] თუხარისა *A*.

A 315 ხეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას | ჟამსა
M 487 უზღუდე იყო. არე ზამთრისა მოწევნულ იყო; ბერძენთა ენება | შეღ-
მართ წასულა; დაეზავა ლიპარიტ[1], უბოძა ქართლის ერისთაობა.
წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად, და წარიტანეს დემეტრე თანა.
კუალად განძლიერდა და მოიჭურნა[2] ბაგრატ მეფემან თავის მამულსა
ზედა, და დააგდო[3] სუემან ბაგრატისმან ჟამი ვისტი[4] ცხრითა ცი-
ხითა ანისისათა, თუინიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი
ბაგრატს[5], რამეთუ მამულად ეყოვდეს[6] სომეხნი, სენექე(რე)რემ სო-
მეხთ მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა. იყო
ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო, და მოადგა ანაკო-
ფიას, მისწურა ასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რა-
მეთუ მის ჟამისა პირველ მომკუდარ იყო ტფილელი ამირა ჯაფარ.
უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრაფოდ. დააგდო და მოაყენა ანა-
კოფიას გარე ქობულ უთაო სამ ჰაჰა ძე[7] აფხაზეთისა ლაშქრითა.
ამოიარა და მოვიდა ქუთათის და ქუთათისისა ლაშქარი[8], და გუ-
რიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოაყენნა ხუფათსა[9]; დაუდგნეს
A 316 ფილაკავანნი და ბრძოდეს. ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს
M 488 და მოვიდეს სხუანი მჴპრობელნი ბერნი ტფილელნი. წარემართა
ტფილისად, და მოეგებნეს ქალაქისა ბერნი ტფილელნი[10], დარბაზი-
სა ყმანი, ცხენოსანნი, დიღმის ველსა, და ყოველი[11] ქუეითი დაკაზ-
მული, და დედათა[12] სიმრავლე იყო მაიდანს[13].

და იყო ჴმა ბუკთა და დუმბულთა[14] ორკერძოვე საშინელი,
რომლისა ჴმითა იძრვოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე
გასაკუირვებელი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა
და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი. შეიყვანეს სა-
ამიროსა[15] დარბაზსა, დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აიხუნა კოშკ-
ნი წყალყინისანი[16] და კოშკნი კართანი, და აიღო ციხე ქალაქისა
დარიჯელელი და მთაბორი[17], და დაადგინნა შიგან ერისთავნი
ჳ 326 თუისნი. ხოლო ისნელთა ჩააგდეს ჴიდი და | არა მოსცეს ისნი[18],
დაუდგეს ფილაკავანნი და ბრძოდეს ისნთა. და ისნის ველსა მო-
ვიდეს კახთ მეფე გაგიკ, და ერისთავი გოდერძი[19], და ყოველნი

[1] +აფხაზთა მეფესა *MB*. [2] მოირჭვნა *B*, მოიჭურნა *AM*. [3] და დააგო *A*, და იგდო *M*. [4] მოერთო ვესტი *MB*. [5] ბაგრატის დედასა *MB*. [6] ეყოვდეს *A*, ეყოდეს *B*, ეყ´ოდ´ეს *M*. [7] ჭუაბულელ ჰაჰას ძე უთაღო (ჰაჰანძე ოთაღო *B*) *MB*. [8] და მოაყენა ქუთათისსა სამოქალაქოსა ლაშქარი *MB*. [9] ხუფათის *M*, ხოფათის *B*. [10] ტფილელნი < *MB*. [11]+ერი *MB*. [12]+და მამათა *MB*. [13] მოედანს *MB*. [14] და დუმბულთა *B*, დადუმებულთა *A*, დაუდუმებელთა *M*. [15] სამიროსა *A*. [16] წყალ ყაინისანი *M*. [17] თაბორი *MB*. [18] ისანი *B*. [19] ერისთავთ ერისთავი გოდერძი *B*, იოვანე ერისთავი გოდერძი *A*, ერისთავი გოდერძი *M*.

დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატისა. მაშინ განვიდა
A 317 ბაგრატ ველსა ისნისსა [1], მოიყუანნა კახნი და ითაყუანნა, | მისცა მშუიდობა და განუტევნა. იყო სიხარული და მშუიდობა და საურავი დღითი-დღე შემატებისა.

M 489 და ვითარ ამას შინა | გარდაჴდეს დღენი ზაფხულისანი, და კუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა, და გაიყვანა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის ჯურისა [2], და იოვანე ერისთავი, ივანე დადიანი [3], და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა. და დააგდო ტფილისი მეფემან, და გავიდა ჯავახეთს. ამისსა შემდგომად გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი განძითა ბაგრატისითა შუელად მეფისა [4], და მეფე დგა ღრტილას [5]. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფუკათა [6]; გამოექცა [7] მაწყუერელი მეფესა, და შეეზრახა ლიპარიტს. ცნა ესე მეფემან, ზამთრის ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი, ჩავიდა ქართლს. და ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მეფისა; ბერძენთ მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუ-
A 318 დგინნა დამეტრეს [8], და რომელნიმე დარჩეს ბაგრ|ატის ერთგულობასა შინა; და ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად დარჩა ბაგრატის ჴელთა შინა, და ითხოვა იგი ბაგრატისაგან, ნაცულად გაუშუა აბუსერი
M 490 თავის |ციხითა მშუიდობით.

და იყუნეს თანამდგომ ლიპარიტის კახნი ძალითა მათითა, და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა: განძლიერდეს იგინი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა, და იყო ში-და-მო საუბარი ჴელოვნებისა [9]. და მოვიდეს ვარგნი [10] სამი ათასი კაცი [და დააყენა შუას [11] გარე და მოიტანა [12] თანა შვიდასი კაცი] [13]. მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ვე-
ჯ 327 ღარა მოილოდინნეს. მი|ვიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდას ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა; და ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა (ბრძოლად); მისცნა ლიპარიტ პაშტნი [14], და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს, და ეგრეთ ლიხი [15] გარდავლეს.

---

[1] ისინისსა *A*, ისინისასა *M*, ისანისასა *B*. [2] + და აწყუერის(ა *B*) ციხის(ა *B*) პატრონი *MB*. [3] + და გვარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი *B*. [4] ბაგრატისთუის შუელად მეფისა *M*, ბაგრატისათჳს შველად *B*. [5] ღრტილას *A*, ღირტილას *M*, ხრტილასა *B*. [6] ფოკათა *MB*, ფუკთა *A*. [7] გამოიქცა *A*. [8] დემეტრეს<*A*. [9] საურავი ჴელოვნად *MB*. [10] ვარანგნი *MB*. [11] ბაშს *B*. [12] გარდმოიტანა *B*. [13] და დააყენა—კაცი <*A* ex homoioteleuto. [14] პაშტი *A*. [15] ლხინი *B*, ლიხი *AM*.

და ამისა[1] პირველ[2] მომკუდარ იყო ძმა ბაგრატისი დემეტრე. და შემდგომად გაქცევისა შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისისა გახეთქილობასა, და უქმნა მუდარა ლიპარიტს, და ცხენოსნით მცირედითა მივიდა ლიპარიტს თა-
A 319 ნა ხოლესა[3]. და რა ცნა[4] ლიპარიტ მი|სულა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით, შეიქცა[5] და წარვიდა აფხაზეთს. და შემდგომად ამისა მცირედისა ჟამისა სულა ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერის-
M 491 თავმან არტ|ანუჯისამან შეირთუეს[6] სიტყუა, და შეიწუივნეს[7] სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უკმეს მეფესა ბაგრატს. და წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო [გზა] რკინის-ჯუარისა და შეკრბეს არყის-ციხეს. ცნა ესე ლიპარიტ, და შეკრიბა თავის ლაშქარი, და მოირთნა კახნი, სომეხნი, და ბერძენნი თანავე ჰყევეს, და მიუკდა უგრძნაულად არყის-ციხეს, და შეიბნეს. და სძლო ლიპარიტ, და გააქცია მეფე. შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელისა გასუმითა სთხოვა კალმახი, და არა მისცა. ამასვე ომსა შინა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისა, სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა. მოირჭუნა ლიპარიტ, აიხუნა ზემონი ციხენი, და მიიერთნა[8] თავადნი კაცნი. გარეს-გარე წარვიდეს ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთ მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყანად.

შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი
A 320
B 328 სურტანისნი ბარაიმ ილმიანი[9] ქუეყანასა[10] არტანისსა[11]. გა|მოვიდა ბერძენთ მეფისა ლაშქარი, და უკმეს ლიპარიტს. და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა ამის ზედაჲს[12]
M 492 ქერძისათა. შეიბნეს[13], და გაიქციეს ყოველი სპა საბერძნეთისა და ლიპარიტისა თურქთა. და იქმნა მოსრვა დიდი, და შეიპყრეს ლიპარიტ, და წარიყვანეს ხუარასანს სურტანსა თანა. დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშობა, გამოიყვანეს მეფე მეფედ. კუალად მოირჭუნა და შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისნი[14]; აიღო უფლის-ციხე და გამოუშო ივანე.

დადგომილ იყუნეს განძას ქუეყანასა თურქნი, წასაღებელად მიეწურა განძა. გამოგზავნა თავის ნაცულად ბერძენთ მეფემან

---

[1] ამისი *A*. [2] პირველად *A*. [3] ხოვლესი *A*. [4] და რიანიცა *A*, და არა ცნა *M*. [5] + ბაგრატ *B*. [6] შეაერთეს *MB*. [7] შეიწყნარეს *M*, შეიწყუნეს *B*. [8] მიართუნა *A*, მიჲრთნა *M*, მიირთნა *B*. [9] ბარა იმილმიანი *A*, ბარალიმ ილმიანი *M*, ბაჰრამ ლამიანი *B*. [10] ქუეყანისა *A*. [11] ბასიანისასა *MB*. [12] ზედაას *A*, ზაას *M*, ზემოსა *B*. [13] + ორდროსა და უკუმიასა ქუემოთ *MB*. [14] ლიპარიტსნი *A*.

ლიხტური ლაშქრითა დიდითა, და აწუიევეს ბაგრატს[1] ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და წაყვა თანა, და მიმართეს თურქთა; და მივიდა[2] განძას კარსა ზედა, და მირიდეს თურქთა, დაირჩინეს[3] განძისა ქუეყანა, და შემოიქცეს მშუიდობით. და ამისა შემდგომად კუალად უკმეს ტფილელთა და მოსცა[4] ტფილისი ბაგრატს, და შეიყვანეს ბაგრატ, და იყო სიხარული და მშუიდობა დიდი.

A 321 ამისსა შემდგომად | დაეკნა[5] ლიპარიტ[6] თურქთა, და შემოვიდა ანის, დააგდო ბაგრატ[7] ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვ-
M 493 ლო ქართლი, მივიდა ჯავახეთს. განძლიე|რდა ლიპარიტ, რამეთუ მსახურებისა მისისათუის ტყუე-ქმნილ იყო, წარვიდა საბერძნეთს, ნახა ბერძენთ მეფე, მოიღო ბერძენთ მეფისაგან ძალი. და ვერღარა დაუდგა[8] ბაგრატ. ამისსა პირველ სუმოდა[9] ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათის მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა, წარვიდა საბერძნეთს. მას ჟამსა იყო ბერძენთ მეფე მიხაელ[10] მონომახი[11], და ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა; და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა, და პატივსა (შეძინასა) შინა[12].

ჰ 329 |ვიდრეღა[13] იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ და მხედ. მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისა და აკურთხეს მეფედ; მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ, და პატრონად დაჲ[14] მისი გურანდუხტ დედოფალი, კაცი სრუ-
ჰ 330 ლი | და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხუთა, ღმრთის-მსახურე-
A 322 ბი|თა და ყოველითა სიკეთითა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა ითხოვა გურანდუხტ ბაგრატ[15] მეფისაგან, და გაგზავნა ბერძენთ
M 494 მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა | მიუწდომელითა. და მისულასა მისსა მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა და ზღუის პირისა ხუფათს[16]. და იყო სიხარული და ღმრთისა მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდა სახლად თუისად ქუთათის. და ლიპარიტ მოირჩუნა ზემოს კერძო დაუკლებელად, და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სურტანი და საბერძნეთს ბერძენთ მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო ბაგრატს ჰქონდა ლიხსა ქომოთ კერძი მიწყობით.

---

[1] ბაგრატ *A*. [2] მივიდეს *M*, მოვიდეს *B*. [3] დაარჩინეს *A*. [4] მოსცეს *MB*. [5] ევსნა *M*, დაესხნა *B*. [6] ლიპარით *A*. [7] ბააგრატ *A*. [8] დაუდგნა *A*. [9] სუმოდ *A*. [10] კოსტანტინე *B*, (v. l. მიხაილ) მიიახლა *M*. [11] მონა მოტი *A*, მონა მეოტი *M*. [12] დიდსა დიდებასა და პატივსა შინა ბერძენთასა *B*, დაბასა ბერძენთასა და პატივსა შინაე *M*. [13] ვიდრე *B*, ვე *M*, ვერღა *A*. [14] და *A*. [15] + ბერძენთა *MB*. [16] აფხაზეთისა ზღვის პირსა, ხუფთას (ხუფათისა *M*) *MB*.

და მცირ[ე]დისა ჟამისა შემდგომად ამისა სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა[1] კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაეხუეწა[2], და მიმართა კლდე-კართა. და არა შეუშუეს მამისა მისისა ციხოვანთა[3], და წარვიდა ანის[4]. და ლიპარიტ და ივანე პყრობილნი სულა წა-
A 323 რიყვანნა კალმახს. გაგზავნა სულა მეფისა|წინაშე სულთა ზედა მჭმობელნი[5]. ხოლო გურანდუხტ და ძე ბაგრატისი გიორგი დგეს ღრტილას, და ცნეს რა[6] შეპყრობა[7] ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალ-ქალაქ-
M 495 სა, მუნ მოილოდინეს ბაგრატ (და ამისა) სულ|თა ზედა. მოვიდა ბაგრატ, და ამისსა მსახურებისა ნაცულად მეფემან უბოძა[8] მამულობით ციხის-ჯუარი და ოძრჯე[9] ბოდო-კლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღდელთმოძღუარნი[10], და რაც უნდა. მოვიდა მეფეს წინაშე სულა ჯავახეთს, და მოგუარნა ლიპარიტ და ივანე პყრობილნი, და მოაჴსენნა: ჴელთა აღიხუნა ლიპარიტთაგან[11] ციხენი არტანუჯი და ყველი[12], არტან[13] უფლის-ციხე და ბირთუისი. ხოლო კლდე-კარნი მტკიცედ იყუნეს ციხეონთა, რამეთუ მუნ შინა დგა ანამორი, მწიგნობართა უხუცესი ლიპარიტისა. მიიყვანეს თრიალეთს,
ჳ 331 |ამოთა[14] თხოვითა არა მოსცეს კლდე-კარნი და აღმართნეს ძელნი და გაასხნეს მას ზედა ლიპარიტ და ივანე, და გაწირნეს სიკუდილად. და შემდგომად დღეთა რაოდენთამე დაამტკიცეს[15] მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი (ხოლო) ციხიონთა ლიპარიტისათა მშუიდობით გაშუებისათუის ლაპარიტისა, | და ივანესა[16] მოსცნეს კლდე-
A 324 კარნი, გამოიღო თჳისი ხუასტაგი, და ჩაიცუნა ჩოჴანი ლიპარიტ, შეევედრა ძე თუისი მეფესა ივანე, დარჩა არაგუეთის მამული ივა-
M 496 ნეს. ეფუცა ლიპარიტ მეფესა შეუცოდლობისა|თუის, გაუშუეს და წარვიდა სამეფოსა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს, დაყუნა მუნ წელნი რაოდენნიმე. და ნიანია მოკუდა ანის ბერძენთა ყმობასა შინა, და ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა.

და თუით ბაგრატ გამოიზიდნა და გამოიყვანა ამა სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და მონებდა ერთგულობით, და იყო თავადთა თანა ამის სამე-

---

[1] საულ *A*. [2] გარდაეხუწა *A*, გარდაიხვეწა *B*. [3] ცხენოანთა *A*. [4]+ბერძენთა თანა *MB*. [5] მჭმობელი *A*. [6] არა ცნეს *B*. [7] შაყრობა *A*. [8] უბრძანა *A*. [9] ორძჯე *A*. [10] სამღუდელთ-მოძღურონი *B*, სამღურდელთ მოძღურენი *M*. [11] ლიპარიტეთგან *B*, ლიპარიტისაგან *M*. [12] ყოველი *A*. [13] არტან<*MB*. [14] ამაოთა *A*, ჰმათა *M*, ამოთა *B*. [15] მოიმტკიცნეს *B*, მოიმტკიცეს *M*. [16] ივანესთუის *M*, იოანესთჳს *B*.

ფოსათა[1]. ხოლო[2] ლიპარიტ მიიცვალა საბერძნეთს, სამეფოსა ქალაქსა კოსტანტიპოლეს, და წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხოსა მამათა მათთასა. მოირჩუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა: და ამან წარიხუნა ყოველნი ციხენი ერეთისა და კახეთისანი, თუინიერ კუეტარისა და ნახჭე-
A 325 ვანისა. და შემდგო|მად ამისსა იქმნნეს საქმენი დიდნი: ამის მეფობასა შიგან გამოვიდა სურტანი არფასარან, მეფე სპარსეთისა, დას-
M 497 ხმის გუარად; უკრძნაულად | მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი; დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყველის ყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს, ვიდრე ფანასკერტამდე.

და მასვე დღესა ჩამოიწია თორს[3] და ღუივისჴევს, და თუით დადგა თრიალეთს სამ დღე. რამეთუ მას ჟამსა მომავალ იყო მეფე ტაოთ, და თანა ჰყვანდეს დედა, და დაჲ[4], და ძე მისი გიორგი დადგომილ იყუნეს ხეკრებულთა; და აყრისა მისისა ჟამსა მოუჴდა ლაშქარი სურტანისა, წამოვიდეს და წარმოდგეს ქედსა ზედა, ხოლო იგინი ჩამოესწრნეს ქართლს. წავიდა ჯავახეთს, და მოად-
ჭ 332 გა | ახალქალაქსა: რამეთუ მესხნი აზნაურნი ზემოს კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქსა და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა გასრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდ-
A 326 გმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, | და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოისრნეს[5] პირითა მახუილისათა. და შევიდეს თურქნი და ტყუე ყუნეს სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს ტყუე და განძი ძლიერი, და შეიღება წყალი ახალ-
M 498 ქალაქისა სისხ|ლითა.

და მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სურტანმან ბაგრატ მეფესა, აჰკიდა მზახობა, სთხოვა ასული მისის დისა; და მიიქცა სურტანი ანისად[6], შეუსრა და წარმოიღო[7] ანისი, მოსრნა და ტყუე ყუნა ურიცხუნი[8] სულნი, და წარვიდა ქუეყანად თუისად სპარსეთად. და ანისი წარუღო ბერძენთა, და მისცა მანუჩას[9], ძესა აბულასვარისსა. ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სურტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კუირიკესი. სთხოვა ბაგრატ, და არა მოსცა სომეხთა მეფემან. მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარზა-ბაკურ გამრეკელი. იბირნა[10] კაცნი სომეხთ მეფისანი, და სამშუილდეს შემომავალი სომეხთ მე-

[1] + და სპასალარ სიკეთითა მისითა *MB*. [2] ხლო *A*. [3] თროს *A*. [4] დაა *A*. [5] მოსრნეს *B*, მოსრეს *M*. [6] ასინად *A*. [7] წაუღო *B*, წაიღო *M*. [8] ურიცუნი *A*. [9] მანუჩარს *B*, მანუიას *M*. [10] აბირნა *MB*.

ფე კუირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრნეს ქუეშის ჭალას და აც-
ნობეს ბაგრატს, და წარვიდა ქუეა-ჯუერელთათ მსწრაფლ, მოგუარნეს
A 327 პყრობილნი კლდე-კართა ქუეშე. | სთხოვა სამშუილდე და არა მოს-
ცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშუილდეს.
M 499 ხოლო მიიყვანეს სამშ|უილდეს, და ამართეს ძელი, და გაასუეს სო- 5
მეხთ მეფე კუირიკე სამ დღე; ითხოვეს მშუიდობა და მოსცეს სამ-
შუილდე. ხოლო მოსრულ იყუნეს ორნი ერისთავნი სომეხთ მეფი-
სანი: ლოკის[1] ერისთავი და კაქჳაქარისა[2], აძლევდეს და მოსცემდეს
სამთა ციხეთა სუმბატ[3], ძმა კუირიკესი[4].

ხოლო შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა, მისცნა და 10
უთავისუფლნა ყოველნი ციხენი, თუინიერ სამშუილდისა, არცა სხუანი
ციხეთ-უფალნი კაცნი დიდებულნი შემოუშუნეს, არამედ სამშუილ-
დე ოდენ იურვა სახლად თუისად[5], და ეგრეთ მონებდეს სომეხნი.
ჰ 333 |ბაგრატ გაათხოვა ასული თუისი მართა და შერთო ბერძენთა
ჰ 334 მეფესა. | შემდგომად ამისა გაათხოვა დისწული და შერთო სპარსთ 15
მეფესა სურტანსა. და შემდგომად სამისა წლისა მოვიდა სურტანი,
შემოვლო რანი[6], და უგრძნაულად შევიდა ერეთად; და ამის
ქუეყანისა დიდებულნი იყუნეს მორთულ და ერთგულ ბაგრატისსა.
A 328 მას ჟამსა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა ახსართან,
ძე გურგაკისი[7]. და ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი, და იქლტო- 20
დეს კავკასიად. და იყო ბაგრატ გალაშქრებული აღებად კახეთისა,
M 500 და ლაშქარი მისი | წინა გაგზავნილ იყო ვეჟინის ერისთავსთან
წირქუალელს(ა)თან, შემოაქციეს[8] მშუიდობით, და უამბეს შემოსულა
სურტანისა და დაყრა ციხეთა. შემოიქცა სწრაფით, და მოვიდა
ქუეყანად თუისად ქართლად. 25

ხოლო ახსართან მიერთო[9] სურტანს. მიუძღუანა ძღუენი დი-
დი, დაუტევა სჯული, და დაიცუითა წინა, აღუთქუა ხარა-
ჯა, და მისცნა ციხენი დაყრილნი სურთანმან მასვე:
და რომელნი აფხაზთ მეფისა კაცთა დაეყარნეს, და რომელნი
თუით ახსართანს, მისცნა ყოველნი. და შემდგომად სამის კუირისა[10] 30
წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა, მიერთნეს სომეხთ მეფე კუი-
რიკე, და ტფილელი ამირა, და ახსართან; შემოვიდეს ქართლს თა-
ჰ 335 ნა ჯაჭუით. გაუშუეს მარბიელი ცისკრად, და სამწუხროდ[11] აღიქსო
ქართლი, თუესა დეკენბერსა ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრო-
ნიკონი იყო ორას ოთხმოც და რვა. 35

[1] ლუკის *M*, ლუკიის *B*. [2] კაჭვაჭრის *M*, კაკვა-ჭარისა *B*. [3] სუნბატ *B*. [4] + ოფრეთს და კობას (კოშკსა *B*) და ვარზაჭარს *MB*. [5] თუისა *A*. [6] რანისა *A*. [7] გაგიკისი *M*, გაგიკისა *B*. [8] შემოიქცეს *MB*. [9] მიართო *A*. [10] კუირიისა *A*. [11] სამწუროდ *A*.

A 329 დაიყო ქართლს შინა პური და ღუინო | დიდი, და
დაყო ექუსი კუირა, იწყო ოკრებად და ჴოცად კაცისა, და გარდა-
ვიდა მარბიელი მისი არაგუეთს. მიუწიეს და დაარბიევეს ვიდრე
სუერის ციხემდე, და მოისრა ურიცხუი სული ქრისტიანეთა, ტყუე
M 501 იქმნა. და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილველ კაცთა: 5
მოოკრდეს ყოველნი ეკლესიანი, და სიმრავლითა მძორისათა[1] არ-
ღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი, და ცოდვათა ჩუენთა მო-
საგებელსა რისხუასა ღმრთისასა ზეცით ცაჲ[2] წამებდა, და სისხლის
მწუიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა, და
იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი 10
საშინელი, და არე-არე სისხლის წუიმა[3] ეხილვა კაცთა. და იქმნა
ზამთარი სასტიკი, რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა, მოს-
წყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა, ხოლო ყოველსა ქართლსა
შინა იყო და დადგა ლაშქარი, და თუით თავადი სურტანი დადგა
კარბს, და მერმე ჩამოვიდა შერთულთა, და აჰირა სიძნელემან ზამ- 15
თრისამან, ბუქთა ძლიერთა, და მიგზავნა მოციქული ივანე, ძე ლი-
A 330 პარიტისი. მეფემან ბაგრატ | ძიებად მშუიდობისა. ხოლო სურტანმან
შეაქცია იგი აფხაზეთს, ბაგრატსა[4] სთხოვა ხარაჯა და უქადა
მშუიდობა. ხოლო სიფიცხლისაგან ზამთრისა მოილოდინა[5], და წა-
ვიდა ქართლს. და ჩამავალმან წაუღო რუსთავი და ტფილისი, და 20
M 502 მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა. არა თუ მეფეთა ჩუენთა
მტერობისათუის ამოსწყუიდა ტფილისი და რუსთავი[6] ამა სამეფოსა,
და არცა ამისთუის, უკეთუმცა იგი ამირანი ორგულად დადგრო-
მილ იყუნეს კარსა მისსა ზედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა
ნაცულად ბოროტსა უყოფდიან ყოველსა კაცსა: 25
რამეთუ მინდობილ იყუნეს ძალსა უღთოებისა მათისასა, და
იყუნეს იგინი ყოვლითურთ მცბიერ; და ამის ქართლის ოკრებასა შინა
ჳ 336 ლაშქრისა მისისა იყო[7] სიმრავლე ხუთასი ათასი. | წარვიდა სურ-
ტანი ქუეყანად თუისად, და მოიწია არე გაზაფხულისა; შეიქნა სიმ-
დიდრე წყალთა ძლიერი, და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა 30
თუისსა, მოეფინა ველთა და წარიღო მრავალი სული, რომელი
დარჩომილ იყო სურტანის[8].

დაამისსა შემდგომად იწყო ფადლონ ამპარტავანებასა[9]
A 331 და ურჯულებასა[10] და სიახლესა ტფილისისასა[11], და სადამე გამო-

[1] მოძღურისათა *A*. [2] ცაა *A*. [3] სისხლი წუემული *M*, სისხლი წვიმული *B*. [4] ბაგრატისა *A*. [5] მიდიოდიან *A*, ვერღარა მოილოდინა *MB*. [6] ერისთავი *A*. [7] იყო<*A*. [8] სულტანსა *M*, სულტანისაგან *B*. [9] ამპარტავანებისა *A*. [10] უსჯულოებასა *B*, როჯველობასა *M*. [11] ტლისისასა *A*.

ყვანებასა ჴელოსანთასა. და ვითარცა იქმნა ზაფხული, გარდამოვიდა მეფე ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგური[1] არს[2] იგი ადგილი. ხოლო ფადლონ არად შერაცხა[3] იგი დიდგორთა დგომა, წარმოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა, მოვიდა ტფილისად, დაიბანაკა
M 503 ჴელსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და ამოველო[4] მუხრანისა.

არბინა ქართლისა ნაპირნი. ხოლო ცნა ტფილისით გალმართ[5] მეფემან ქართლისა ვნება, წარმოსულა ფადლონისა, გამოუგზავნა ხილვად ივანე, ძე ლიპარიტისი, იოვანე ერისთავი, და ნიანია, ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყველისა, და თანა სხუანიცა აზნაურნი მცირედითა რჩეულითა მჴედრითა. ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხრანს წინა, წილკნის გორთა[6] თანა. უკანასა კერძსა შეიბნეს და პირველსავე ჯრმლის მოკიდებასა გააქცივნა ფადლონ, და მიედგა[7] ფადლონის ლაშქარი გაქცეული საშინელსა[8] ხრამსა[9], მიჰჴოცდეს და იპყრობდეს აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და აღმოიგო ხრამი იგი
A 332 ცხენითა და კაცითა.

და ზედა ლაშქარმან მეოტად განსლვად დაიწყო შობასა ტყით[10], და ყოველთა ტყეთაგან და ძეძუნართა ვითა ჭუისა[11] მართუესა გამოკრებს, ეგრეთ[12] ლაშქარსა გამოჰკრებდეს დამალულსა ფადლონისსა ბაგრატის ლაშქარნი. და შემოუსწრეს
ბ 337 წინა იწროსა ღართისსა, და მცირედნი | ვინმე გაესწრნეს. და სდევნა ლაშქარმან ბაგრატისმან ვიდრე მთამდე ხერკისა. მოსრეს და ტყუე ყვეს ლაშქარი ფადლონისი. ხოლო ფადლონ თხუთმეტითა
M 504 ოდენ ცხენოსნითა ვლო გზა წილკნისა, | და მიეახლა[13] პირსა არაგუისასა, და გაჴდა ნარღუევთა გზით ერწოთ, და თქუა თავი თუისი მოციქულად, ვითარმედ: „ფადლონის მოციქული ვარ, მახარობლად მიეალ ახსართანს თანა; აფხაზთა მეფისა ლაშქარი გავაქციეთ“. დახუდა კაცი ვინმე მეცნიერი, რომელი იცნობდა ფადლონს, და რქუა: „არა ხარ შენ მოციქული, არამედ ხარ ამირათამირა ფადლონ“. და რქუა კაცსა მას ფადლონ: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვეცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, ნუ შემიწამებ და გარდამიყვანე მინდორად და წამომყევ თანა“. რქუა

[1] სადგომი *MB*. [2] არს<*A*. [3] შერაცხეს *A*. [4] +ღამე ყოველ *MB*. [5] +აფხაზთა *MB*. [6] გუერდსა *M*. [7] მოადგა *MB*. [8] საშინელსა<*MB*. [9] +ნარეკუავისასა *MB*. [10] შობოს ტყით *B*, ბობოსტით *M*. [11] ჰიჰვის *B*. [12] გამოკრებს ეგრეთ < *MB*. [13] მიეხვია *MB*.

მას კაცმან მან: „ვერ ვიქმ[1] საქმესა მაგას, რამეთუ
A 333 მკუიდრი ვარ ამის ქუეყანისა[2]. აწ ისმინე ჩემი და მო|მყევ თანა, და მე მიგიყვანო ახსართანს თანა, და გამოგზავნოს ქუეყანასა[3] შენსა“. ნებსით არა უნდა[4] ესე ფადლონს, არამედ ერწოთ ვერღარა შემძლებელ იყუნეს წასულად. წარუძღუა კაცი იგი, და მიგუარა ჟალეთს ისაკ თოლობელისა[5] ძესა, აზნაურსა მესხსა. ხოლო მან რა ცნა ფადლონისი კარად მისულა, გაძარცუა ერი ფადლონისი, გარდაყარნა ცხენსა, დაიჭირნა ჴელთა და გასო[6] ჯორსა ფადლონ; და[7] იჴსენა ისაკ მკუიდრობა აფხაზთა მეფისა, რომელმცა[8] აფხაზთა მეფისაგან[9] გაქცეული ფადლონი შეიპყრა[10], და შეგუარა ბოჰორმას ბაგრატისად. არამედ [მსწრაფლ წარიყვანა და მიგუარა
M 505 ახსართანს თელავს. ხოლო ახსართან][11] მსწრ|აფლ წარიყვანა ხუარნაბუჩს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომა. მიუპყრეს ხუარნაბუჩს ფადლონი, და მოსცეს ხუარნაბუჩი. წარიყვანა არადეთად, მოსცა არადეთი ახსართანსვე.

ხოლო ბაგრატ შეშინდა გაშუებასა ფადლონისა[12], მისცა ბოჰორ[მა] და უჯარმა კახთა, და წამოიყვანა
ჰ 338 ფადლონი, გაასუა[13] ძელსა, მიუპყრეს[14] ტფი|ლისსა[15], აიღეს ჰირველულად[16]: რამეთუ მუნ შინა მდგომი კაცი თუით გაამირებასა[17] ლამოდა, და არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი[18], არამედ დმანის[ს] დატეობილი და მათ ამირათა ძებნა დმანის, და იგი
A 334 |შემოიყვანა მემამულედ, სახელით სილილარაბა[19], და მისცა მას ტფილისი[20]. ხოლო თაეისად აიხუნა ციხენი რუსთაეისანი[21], ფარცხისი, აგარანი[22], გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი[23], და ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი, და მძევალად ძმისწული მისი[24], ძე მანუჩასი და სამთა თაეადთა განძისათა. და [მოუგზავნა სულტანმან სარანგი[25] ალხაზი, და][26] მისითა შუამდგომელობითა და სიტყუითა სურტანისათა გაუშუა[27]
M 506 და დაეზავა ბაგრატ და გაგზავნა საჴელმწიფოსა თუისსა გა|ნძას, და წარყუა სარანგი თანა.

---

[1] იქმ *A*. [2] სოფლისა *MB*. [3] ქუეჴყანასა *A*. [4] უჩნდა *A*. [5] ისაკს ტოლობელის ძესა *B*, ისკალტბალისა ძესა *M*. [6] შესუა *MB*. [7] + არა *MB*. [8] რომელმანცა *M*. [9] მეფისა, რომელმცა აფხაზთა < *A* ex homoioteleuto. [10] შეეპყრა *AM*. [11] მსწრაფლ — ახსართან < *A* ex homoioteleuto. [12] ფადნონისა *A*. [13] გასუეს *MB*. [14] მიუპყრეს მიუპ *A*. [15] ტფილისი *MB*. [16] + ტფილისი *MB*. [17] გამოლუიძებასა *A*, გამირებასა *M*. [18] ტფილისი < *B*. [19] სითილარბი *M*, სითლარაბა *B*. [20] არამედ დმანისს და ტეეებული სითლარაბა ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი *B*. [21] რუსთავი *MB*. [22] აგარნი *M*. [23] ჭავახნი *M*, ქავახნი *B*. [24] მისი < *A*. [25] სარაპანგი *M*. [26] მოუგზავნა—და < *A*. [27] გაუტეა (განუტევა *B*) ფადლონ *MB*.

და მოართუეს გაგიკეთი[1], და აიღო აფხაზთა მეფემან
გაგი. და შემდგომად ამისსა ფადლონმან გატეხნა ფიცნი და შუა-
მდგომელობანი დიდისა სურტანისანი, და მოიპარა ქავაზინი. და შემ-
დგომად ამისსა მეფე აფხაზეთს იყო. მოვიდა ფადლონ და მოად-
გა აგარათა; და გაუშუნა ციხისთავმან აგარანი. და მსწრაფლ აღ- 5
მოვიდა მეფე, მივიდა და მოადგა აგარათა. და წარუხუნა აგარანი
და გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთ მეფე, ორმოცი ათასითა კაცი-
თა ოვსითა, და წარუძღუანა ძე მისი გიორგი კულაპარატი, მოაოჴრა
განძა, და აიღო ტყუე და ნატყუენა[ვი] ურიცხუი, და გაგზავნა თა-
A 335 ვის სამეფოდ. და ამისსა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთ 10
მეფემან დორღოლელმან[2] დისი ძისა[3] მათისა ბაგრატისა სევასტოსი-
სათუის, და ითხოვა დარბაზობა. ხოლო ბაგრატ ნება სცა, და მხია-
რულად წარმოემართა ოვსთ მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა,
და ამოვლო გზა აფხაზეთისა და მივიდა ქუთათის. და ნახა[4] მარიამ[5]
დედოფალი დაჲ[6] მათი, დედა გიორგი კულაპარატისი; და გიორგი 15
კულაპარატი გებულ იყო უწინა, და მოიყვან[ეს] ქართლს[7],
ჯიდის-ჭალასა[8] ნადარბაზევთა, და გამოეგება წინა დიდითა ზიამეითა[9]
და პატიჟითა. შეკრბეს კესუთა[10] ზედა, და იყო სიხარული და ჴმა
M 507 ბუკთა და დუმბულთა[11] საშინელი და | მიუწდომელი. | და დაყვეს
ჱ 339 ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა, 20
სიხარულითა. და მიზეზითა ზამთრისათა განისწრაფეს, და მისცეს
ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა აფხაზეთისა-
სა[12]. გაგზავნა და წარვიდა სიხარულითა.

და შემდგომად ამისსა ატარებდა[13] სურტანი მო-
ციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა[14] ენი- 25
A 336 თა სთხოვდა ხარაჯასა; ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფე|მან ხა-
რაჯჲ; არამედ ავლენდა ესეცა[15] მოციქულთა, და უკრებდა იგიცა
ძღუენსა სურტანსა. და იყო მათ შუა სიტყუით სიყუარული.

და შემდგომად მცირედთა წელიწადთა[16] სამშუილ-
დის ტბათა[17] მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა, 30
და ჩადგა მარაბდათა[18], და გაუძნელდა სალმობა; ტახტითა წარმოი-
ყვანეს, და თანა იყო გიორგი კულაპარატი და ყოველნი დიდებულ-

---

[1] გაგიკეთ *A*. [2] დურღულელმან *MB*. [3] დის სიძისა *B*. [4] და ნახა < *A*.
[5] მარიამ <*MB*. [6] დაა *A*. [7] + და მეფე დგა (იდგა *B*) *MB*. [8] ტინისჯიდს (ტინის-
ჯიდის *B*) ჭალასა *MB*. [9] სიამითა *MB*. [10] კეზუთა *MB*. [11] დადუმებულთა *A*, და
უმბულთა *M*. [12] ოვსეთისასა *MB*. [13] არონიებდა *M*, არონინებდა *B*. [14] ამაოთა *A*.
[15] იგიცა *MB*. [16] წელიწადა *A*. [17] ბართა *B*; ტბათა *AM* (და თ ე ი მ.) [18] მარა-
ბადათა *A*, მარაბადთა *M*.

ნი მისნი. [ხოლო გიორგი კულაპარატი გაგებულ იყო წინა, და მოიყუანეს ქართლს მეფე, და ყოველნი დიდებულნი მისნი][1]; მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა[2], და ასული მისი მარიამ. შემდგომად მცირედთა დღეთა მიუთუალა ძე მათი გიორგი კულაპარატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ყოველნი შეევედრნა მას, და რქუა დედასა თუისსა: „დედაო, M 508 მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგუიქციენ წინა და ეგრეთლა[3] შენ მოჰკუდები“. და შემდგომად ამისსა მიიცვალა თუესა ნოენბერსა ოცდაოთხსა, ქრონიკონსა ორას ოთხმოცდათორმეტსა.

და (შემდგომად) ამის(ა) ბაგრატისა სიკუდილისა ჟამსა შინა ჭ 340 მოიკლა სურ|ტანი კაცისა ვისგანმე, ბერისა თურქისა, თავის[4] ლაშA 337 ქართა ხარგასა შინა. გაევლო ჯეონი[5] | შუიდასი ათასითა კაცითა, გაელაშქრა თურქთა მეფესა ზედა, სამარკანდისა მოახლესა[6] ზედა ციხესა რომელსამე მოადგა; მოიკლა მის თურქისაგან ციხის პატრონისა, და ვერღარა შეესწრა თურქი იგი ციხესა, და დაჭრეს უწყალოდ მახუილითა, და ვერღარა ცნეს ბაგრატ და სურტანმან ერთმანერთისა სიკუდილი[7]. შემდგომად ამისა დაჯდა ძე ბაგრატისი, გიორგი კულაპარატი, მეფედ. და არა აფრინდა ყოველსა მამულსა მისსა შიგან ერთიცა ქათამი. და წარიყვანეს ბაგრატ დიდითა დიდებითა და პატივითა, და დამარხეს ჭყონდიდს[8].

ესე ბაგრატ წელიწდისა ცხრისა[9] იქმნა მეფე, და აღესრულა წლისა ორმოცდაა[თექუსმეტისა]. ესე ბაგრატ პირველ[10] იყო კულაპარატი, და შემდგომად ნოველიმოსი(სა), და მერმე იქმნა სევასტოს. იყო კაცი სახითა უშუენიერეს ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილასოფოსი ენითა, სუიანი ბედითა, უმდიდრეს ყოველM 509 თა მეფეთა | აფხაზეთისათა, მოწყალე შეცოდებულთა, უხუი ალაგთა[11] ზედა. ხოლო ჟამთა მისთა[12] დაწყნარება ქუეყანასა არა ჰქონდა: ეკლესიანი, და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ყოვლად[13] იკითხვებოდეს.

A 338 ხოლო გიორგი[14] მეფე იყო მოწყალე | და განმკითხველი გლაჭ 341 ხაკთა, კაცი საშიში და უხუი ყოველთა მეფეთა | აფხაზეთისათა, პურად[15] უკეთესი ყოველთა კაცთასა, ცხენოსან-მშუილდოსანი რჩეული. და შემდგომად მამისა მისისა დაყო მშუიდობით ზამთარი ერთი და[16] ზაფხული ნახევარი.

[1] ხოლო—დიდებულნი მისნი<*A* ex homoioteleuto. [2] შორენა *M*, შორანა *A*. [3] ეგრეთლა *A*. [4] თავი *A*. [5] ჯელონი *A*, ჯეევონი *M*. [6] მოეახლეს *M*, სიახლესა *B*. [7] სიკუდილი<*A*. [8] ჭყონდის *A*. [9] ცხრამეტისა *M*. [10] პირველი *M*,<*A*. [11] გლახაკთა *B*, (v. l. ალაგთა). [12] ზმისთა *A*. [13] ეკლესიანი, გლახაკნი აზნაურნი ვერ *MB*. [14] გ'ი *M*, იგი *A*. [15] პურ. *A*. [16] და<*A*.

შემდგომად ამისსა თავადთა ამის სამეფოსათა, ნიანია ქუაბულის[1] ძემან, და ივანე ლიპარიტის ძემან, ვარდან სუანთა ერისთავმან, იკლეს სიყრმითგან გიორგი მეფე და აშალეს ქუეყანა: ივანე მოირთნა კახნი, დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წაუღო ქუთათისისა საპურჭლე და შედგა ქუთათის შინა; და ვარდან გაადგინნა სუანნი აგის მოხარულნი, დაარბიეს და ამოსწყუიდეს საეგრო[2]. ხოლო გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძვირ-უჴსენებელ იქმნა, უბოძა ივანეს სამშვილდე, და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლო-
M 510 წობანი[3] ნაცულად რუსთავისა, რომელი მიეცა კა|ხთა, და ნიანიას თმოგვი და სხუანი საქონელნი რჩეულნი, ვარდანს უბოძა ასკლანა[4] და უთაღუბო[5] ჰასყლთა[6] ივანეს სიტყუით უბოძა; ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წუალობითა, და დაიწყნარა მეფობა თუისი გიორგი მეფემან.

კუალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნა გიორგი მეფემან. ქუთათისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი, გარდამოიარა და მივიდა სამშვილდის კარსა. მუნ მოიყუანა კახთა მეფე აღსართან. ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა[7]. და მას ვერ-წყობილობასა შინა წაიხუნა ლოწობანნი[8] ლიპარიტისაგან აღსართან, მოეყარა სამშვილდესა, გარდადგა ჯავახეთს, და მოიყუანა მეფეთ-მეფემან გიორგი მათ წინაშე, და დაიფიცნეს ეკრანთას, დაიმტკიცა ივანე კლდე-კართა და სამშვილდეს ზედა.

კუალადცა გადგა ივანე, გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა, და მოვიდა სულტანი მალიქ-შა[9] მტერად ყოველთა ქრისტიანეთა. მიაგება ივა-
ჰ 342 ნე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულ|ტანსა, და დაყო მის თანა მცირედი ხანი, გამოეპარა. და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა, და წაუღო სამშვილდე, და ტყუე იქმნა ივანე, თავი-
M 511 თა, ცოლითა, და შვილის-შვილითა, და|ყოველთა აზნაურთა დედა-წულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან. და მუნ დგომასა მოარბია ქართლი, წაიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი, და შეიქცა გარე. და აიღო განძა[10], და დააგდო სარანგი[11] თავადად განძას[12] და ბრძოლად ქუეყანისა ყოვლისა, კაცისა მ-ი[13], შედგა ფადლონ ციხეთა მაგართა, და ვერ დაუდგნა, გამოიყუანეს და დააპატიმრეს იგიცა.

---

[1] ქუბულის *A*. [2] ამის შემდეგ, ძეგლის ბოლომდე (გვ. 199, 17), აკლია *A*-ს. [3] ლუწუბანი *M*. [4] ასკალანა *B*. [5] უთაღუაობა *B*. [6] ჯაყელთა *B*. [7] სომხითისათა *B*, [8] ლუწუბანნი *M*. [9] მით ქაშს *M*. [10] განძი *M*. [11] სარნაგი *M*. [12] და განძას *M*. [13] ორმოცდარვა ათასითა კაცითა *B*.

შემდგომად მცირედისა ხანისა[1] შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და განძისათა[2], დვინისა და დმანისისა ამირათა თანა დგომითა[3], და მომართა გიორგი მეფესა. შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყუანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, დაჰმართეს ერთმანერთსა. განაძლიერა ღმერთმან გიორგი მეფე წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა[4]. მიუვლდა ზედა ფარცხს ქუემოთ, და იოტა ბანაკი სარანგისი[5]: გააქცია და ასწყუიდა. იყო ჟამი მწუხრისა, და სიღამემან დაარჩინა[6] ნეშტი სარანგის(ი) ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებლად[7] მშვიდობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა.

და შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი: წაუხვნა[8] ბერძენთა ანაკოფია, თა-
M 512 ვადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შაეშეთისა, ჯავახეთისა და არტ'ანისა. და შემდგომად ამისსა ესეცა მომადლა ღმერთმან, აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარმიფორ-ასიანი, და იოტნა თურქნი[9] მის ქუეყანისანი.

---

[1] ხანსა *M*. [2] განძასათა *M*. [3] დგომითა *M*. [4] ეუარისათა *M*. [5] სარალანგისი *M*. [6] სიღამემა დაარჩინნა *M*. [7] უკულებლად *M*. [8] წაუხვნა < *M*. [9] თურქუნი *M*.

ჰ 343 [ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი]

ამისსა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშუილდეს და წარიღო, ივანე, ძე ლიპარიტისი, ტყუე ყო, მოაოჭრა სომხითი და წარვიდა. ხოლო მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა, ჩამოდგა სამშუილდეს [1]; და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, შეიბნეს ფარცხის, სძლეს სპათა გიორგისთა და აოტნეს [2] სპარსნი, რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის.

და წარვიდა გიორგი მეფე მამულსა თუისსა ტაოს, მი-
A 339 ვიდა ბანას; ხოლო მუნ მოვიდა წი|ნაშე მათსა ზორვარი [3] აღმოსავალისა, გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი; დიდად გაიხარეს და განისუენეს; და მოსცა გიორგი მეფესა კარის [4] ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შაშნი, და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქ-
M 513 თასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი, | ციხენი და ქალაქნი მათნი [5], რომელ აღმოსავლეთს ქონდეს, და წარვიდეს; რომელნიცა აიხუნეს თურქთა [6], დაემკუიდრნეს მას შინა. ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღუართა ჩუენთა, განმრაელდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა: რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად და ტყუენვად, მო-
ჰ 344 ოვრებად, და წვად და სრვად ქრისტიანეთა. რამეთუ მათ ჟამთა შინა გიორგი [7] მეფესა დაჰესხნეს, ყველს გარემდგომსა უგრძნაულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო ამად [8], ამირა ძლიერი და მაგრად მოისარი, რომელსა მას [9] ჟამსა ოდენ აელო კარი, მოვიდეს ესენი შინა განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხუი.

A 340 |ხოლო საჰურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი [10]

---

[1] სამშვილდის ბარსა *MB.* [2] იოტნეს *MB.* [3] ზოძავარი (— ზორავარი) *M.* [4] კარის *MB.* [5] ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი *MB.* [6] + და *MB.* [7] გიორგის *A.* [8] აჰმად *B.* [9] მას < *A.* [10] + და *MB.*

სასმურნი[1], და საწმედონი[2] პატიოსანნი, კარაენი სამეფონი და[3]
ყოველთა დიდებულთანი[4] აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო
გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჳარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშ-
A 350 ქართა[5], | ესევითარითა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემ-
თხუევნეს ამირანი დიდნი, იასი ვინმე და ბუღუღუშ[6], მათ თანა სიმ- 5
რავლე ურიცხუი თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა, რომელთა იხი-
ლეს რა ესეოდენი სიმრავლე ოქროსა[7] და სიმდიდრისა, რომელი
ქონდა, და ცნეს მეოტება გიორგისი, და ესმა მათგან, ვითარმედ:
M 514 „რად | წარხუალთ[8] საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკა-
ცური და სავსე ესევითარითა[9] სიმდიდრითა“. ხოლო მათ მყის 10
მოაქციენეს გზანი მათნი და მოეხუიენეს[10] პირსა ყოვლისა ქუეყანი-
სასა, ვითარცა მკალნი.

დ ღ ე ს ა ი ვ ა ნ ო ბ ი ს ა ს ა ა ს ი ს ფ ო რ ნ ი[11] დ ს ა კ ლ ა რ ჯ ე თ ი
ზღუის პირამდინ, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი,
სამოქალაქო[12] და ჰყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე 15
იქმნა ამათ ქუეყანათა მკუიდრი ყოველი. და მასუე ერთსა დღესა და-
წუეს ქუთათისი, არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი; დაყუევეს
ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსულადმდე თოვლისა, მო-
ჰამეს ქუეყანა და მოსწყუიდეს, თუ სადღა[13] ვინ დარჩომილ იყო
ჰ 345 |ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა. ესე იყო პირ- 20
A 351 ველი და დიდი თურქობა, რამეთუ ქრონიკონი იყო სამ|სასი. თუ
ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე[14] ვინ დაშთა კაცი, ზამთრი-
სა[15] სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.

დ ა გ ა ნ გ რ ძ ე ლ დ ა ესევითარი ჰირი ქრისტიანეთა ზედა,
რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი, და მათვე 25
პირველთა საქმეთა იქმოდიან, ზამთრის წარვიდიან; და არა იყო
მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოჴრდა ქუეყანა და ტყედ[16] გარდაიქ-
ცა, და ნაცულად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკუიდრნეს
მას შინა. და იყო ჰირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკუიდრთა ქუეყა-
M 515 ნისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა 30
გარდასრულთა ოჴრებათასა, რ ა მ ე თ უ წ მ ი დ ა ნ ი ე კ ლ ე ს ი ა ნ ი
შექმნნეს სახლად ონეთა[17] თუისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთი-

---

[1] გარატეულნი და სიასამურნი *M*. [2] სამწდეონი *B*, სამწდეონნი *M*. [3] და < *M*. [4] დიდებულთა *A*. [5] ამ ადგილიდან ვიდრე გვ. 351-მდე *A*-ში არეულია; გასწორებულია ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შენიშვნის მიხედვით. [6] ბუღღუშ M, ბუღღობ *B*. [7] ქორსა *A*. [8] წარხუალ *A*. [9] ვითარითა *A*. [10] მოეფინნეს *MB*. [11] ასისფორი *M*, კარნისფორნი || კასისფორნი *B*-ს vv. ll. [12] სამოქალაქა *A*. [13] სადმე *M*, სადამე *B*. [14] სადაღა *MB*. [15] სამთრისა *A*. [16] ტყუედ *MB*. [17] ჰონეთა *M*, ჰუნეთა *B*.

სანი ადგილად არაწმიდებისა მათისა, და მღდელნი რომელნიმე[1] თუით შეწირვასა შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახუილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი არინეს თუისნი[2] მეუფისათა[3] თანა, და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა შინა მიცემულ იქმნეს. მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინე-
A 342 ბულ, ჰაბუკნი დაკუეთებულ[4] | მიმოტაცებული, ცეცხლი[5] უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებულნი[6] ყოველნი, მდინარენი სისხლისანი ნაცულად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი.

და რათა თუით მათ იერემიასთა ვიტყოდით: რამეთუ მან ოდესმე კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: „ძენი სიონისანი, პატიოსანნი და ბოროტის მოქმედნი გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყუეობისათა მოგზაურობენ. ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არა ყოფისათუის მათ ზედა მედღესასწაულეთათა, და ჴელნი[7] დედათა მოწყალეთანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელსა თუისსა ჰყოფენ
A 343 თუით მათ საყუარელთათუის[8]“. | და ესენი ესრეთ და ფრიადცა უძუირეს.

ჰ 346 ამათ რა საქმეთა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი, და რა|მე-
M 516 თუ არა | სადათ იყო ღონე შეწევნისა და ჴსნისა, არცა-რა მჴსნელი ამათ ძუირთა რომელ მოეცვა პირი ყოველისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი ამათ ჴონდეს აღმოსავლეთს ზღუის გარეთ, ყოველსა[9] თურქსა დაეპყრა, ყო განზრახვა დიდებულთა თანა. დაამტკიცეს წარსლვა მაღალსა სულტანსა მალიქ-შას წინაშე.

და ესრეთ დადვა სული თუისი და სისხლნი ქრისტიანეთათუის, და მინდობითა ღმრთისათა და წარძღუანებითა ძელისა ცხორებისათა წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და შეწყნარებულ იქმნა მისგან, ვითარცა შვილი საყუარელი. და რამეთუ იყოცა[10] მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შესწორებულ[11], ეგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა[12] აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიც-

---

[1] რომელნი *A*. [2] მათნი *B*. [3] მეუფისა *B*, მეფისა *M*. [4] + ხოლო ჩჳილნი (ჩჩჳლნი *B*) *MB*. [5] ცოცხალი *A*. [6] შენებული *A*. [7] და ჴელნი < *A*. [8] თუით თუისთა მათ საყუარელთა *MB*, თუით მათსა ყოველსა რომელთათუის (← თუით მათ საყ´არ´ლთათუის) *A*. [9] ყოველსა *A*. [10] იყო კაცი იგი *MB*. [11] შეუსწორებელ *B*. [12] სახარებითა *A*.

ხუნი საცნაურებანი[1], მართლმსაჯულობანი[2,3], ქრისტია-
A 344 ნეთა[4] | სიყუარულნი, და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოველად
უბოროტო რამე გონება ყოელით კერძო აქუნდა. ამისთუისცა ყო-
ველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა სასოები-
სა. და სამეფო მისი განათავისუფლა ზედა მარბეველთაგან[5], და მო- 5
სცა კახეთი და ერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა,
M 517 რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა. და ესრე გალდიდებითა დი-
დითა გამოგზავნა თუისად სამეფოდ, და წარმოაყოლნა სპანი დიდ-
ნი, რათა [წარვლონ გზა მშუიდობისა და რათა][6] აართონ კახე-
თი. და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა 10
ვეჟინისასა[7], და ვიდრე ბრძოდესღა მოვიდა თოელი. ხოლო მეფესა
გიორგის მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა, აღარას ზრუნვიდა სხუა-
სა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა[8] და კახეთისა, არამედ ლაშ-
ქართა თურქთა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ქუეყანა
იორის პირი, კუხეთი, რომელი მოეკრდა[9] მუნ დღენდელად დღედმ- 15
დე[10], ხოლო თუით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად.

მათ ჟამთა აბსართანცა, კახთა მეფე, წარვიდა მა-
ლიქ-შასა წინაშე, დაუტევა ქრისტეანობა და შეეძინა სარკინოზთა
A 345 სჯულსა; და ამით ღონითა აიღო სულტანისაგ|ან კახეთი. ამათ ესე-
ბ 347 ვითართა ჟამთა | არავე დაამშუიდნა ქუეყანა, არცარა იქმნა ლხინე- 20
ბა კაცთა უკეთურებისათუის მკუიდრთა მისთასა: რამეთუ ყოველმან
ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოელითურთ შესცოდეს ღმერთსა,
და მიიქცეს[11] გზათაგან წრფელთა ყოელისა მიმართ უკეთურებისა.
და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარის-
ხეს, ვიდრემდის თუით მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული 25
უსჯულოთათუის ესაიას მიმართ მეტყუელისა ესრეთ: „ვაჲ[12] ნათე-
M 518 სავსა ცოდვილსა, ერი, რომელ სავსე არს უსჯულოებითა, კუალით-
გან ფერჴთათ ვიდრე თავადმდე, არა არს შუა[13] მას შინა სიცოცხლე,
არცა ბრძუილ, არცა შესახუეველ“, და შემდგომნი: „ამისთუის ქუე-
ყანა თქუენი ოჯერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენ- 30
თა უცხოთესლნი მოსჭამდენ, და მოოჯრებულ და დაქცეულ არს
ერისაგან უცხო ტომთასა“.

---

[1] საბარებანი *A*. [2] მრავალ მსაჯულებანი *M*. [3]+ მოწყალებანი *MB*. [4] ქრისტიანეთანი *A*. [5] მარბიელთაგან *M*. [6] < *A* ex homoioteleuto. [7] ვეჟნისასა *MB*. [8] ვეჟნისასა *M*, ვეჟანისა *B*. [9] მოუჯდა *A*. [10] დღედმდე<*A*. [11] მიაქციეს *A*. [12] ვ'აა *A*. [13] შუა < *MB*.

ესე ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ
და ფრიად უფროსი ამათ(ი) წარმოთქმულთასა: (და) რამეთუ, ვი-
თარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუენთა მოი-
A 346 წია ჰირი, ამას ყოველსა ზედა არავე | დასცხრა გულის-წყრომა უფ-
ლისა ჩუენ ზედა. რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისჴმა ვყავთ,
არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა; ამისთუის-
ცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზე-
გარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს
ქუეყანასა ჩუენსა ზედა, რათა არა თქუან [1] მცოდველთა, ვითარმედ:
„ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათუის იქმნნეს,
არცა ღმრთისა მიერ [2] მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რათამე
ჟამთათა და დამთხუევითა [3] საქმეთათა“.

ამისთუისცა დღესა აღსებასა, თუით მას აღდგომასა
უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა [4], რომელსა შინა სიხარული და
განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუე-
ყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სასტიკებითა, ვიდრემდის მთანი
M 519 მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მ|ტუერისა დაიგალნეს, ქალაქ-
ნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს და სახლნი და-
ინთქნეს, და დაზულეს [5], და იქმნნეს საფლავ მას შინა მკუიდრთა [6], რო-
ჳ 348 |მელთა თანა თმოგუიცა დაიქცა, დაიპყრნა ქუეშე კახაბერის ძე
ნიანია [7] ცოლითურთ. და განგრძელდა ესევითარი ძრვა [8] ქუეყანისა
A 347 |ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხუი.

მაშინ რისხვასა შინა მოიჴსენა წყალობა მან, რომელი სწავ-
ლის [9] ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვ-
ნებს, რომელი მზა არს წყალობად, უფროს მამისა მოწყალისა,
რამეთუ წერილისაებრ: «არათუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი,
ვითარცა სოდომნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსე-
ნით». რამეთუ ამიერითგანიწყეს ნიავთა მობერვად, ღრუ-
ბელთა მაცხოვარებისათა აღმოჩუინრობად. ვინათგან ათორმეტ წელ
ამათ თუითო-სახეთა ჰირთა და განგრძობილსა ჰირსა, ბნელსა უკუნსა
შინა იწყო აღმოცისკრობად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან
სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა
მამამან და თუით სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავი-
თისამან, დავით.

---

[1] თქუენ *M*, თქუეან *A*. [2] მიერ < *A*. [3] + აღძრვისა *B*, აღზრვისა. [4] აღ-
დგომასა მეუფისასა *MB*. [5] დახელეს *B* (v. l. დახულეს), დაირღუნეს *M*. [6] მკუ-
დართა *A*. [7] კახაბერი, ძე ნიანიასი (ნანასი *M*) *MB*. [8] რყევა *MB*. [9] სცვლის *A*.

მას ჟამსა იყო[1] ქრონიკონი სამას და ცხრა[2]. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თუით მამამან დაადგა გუირგუინი მეფო-
M 520 ბისა, და, უპეშმარიტესი ვთქუათა, თუით მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თუისი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას, რამეთუ
A 348 ჴელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან წმიდამან მისმან განაძლიერა იგი, წყალობა და ჴეშმარიტება შეემოსებოდა მას, უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, ვიდრემდის დავხდვა ზღუასა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენა მისი; გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა, მრავალთა დღეთა შემდგომად იქმნა ესე, ვითარცა წინამძებარემან სიტყუამან ცხად ყოს.

რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოჴრებულ [იყო ქართლი][3], და თუინიერ ციხეთასა სადამე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა. და მათ ჟამთა შინა ქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ლიპარიტს[4], და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად. ეგრეთვე ნიანია
ჰ 349 კახაბერის ძე(სა)ცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებთაეცა[5] იწყეს შთამოსლვად და დასხდომად. მაშინ იყო საზღვარი სამეფოსა[6] მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წაღულის-თავი. და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა[7], ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოველად აღსავსე
M 521 იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან[8], ეგრეთღა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა.
A 349

ხოლო ამა ვითარობასა შინა გარდაჴდა წელიწადი ოთხი. მოკუდა სულტანი მალიქ-შა, და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულის-პაპთა[9] კუალთა სლვა: რამეთუ ზაკვიდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა, დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულებით და სიძულილით პატრონთაგან მოაქუნდა გონებითა, ვინათგან გულისჴმის ყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არა კეთილსა; და მას ესე ვითარებასა[10] ხედვიდა დავით, ინება გაწურთა მისი: და პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონებერისა ვისმე. და ესრეთ მომტკიცებული[11] მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგუ-

---

[1] + ჰასაკით(ა *B*) ი"ვ წლისა, ხოლო *MB*. [2] სამოცდაცხრა *A*, ტ"თ *MB*. [3] იყო ქართლი < *A* (სინგურით ჩაწერილში). [4] ლიპარიტის *A*. [5] სოფლებდთაცა *M*, სოფლებთაცა *B*. [6] სამეფოსა < *A*. [7] ჭალაკთა *MB*. [8] მოინახიან *M*, მონახიან *B*. [9] მამულ-პაპურთა *MB*. [10] ესევითარსა *B*, <*M*. [11] მამტკიცებელი *B*.

ლობისათუის[1] ღმრთისა შუამდგომელად მომცემი განუტევა იგი, და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა. რამეთუ კეთილმან არა თუ მართლისა[2], არამედ არცაღა თუ ბოროტისა[3] ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლილ არს, არცა მეჭეულ[4] იყო.

ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა,
A 350 და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწუირისასა: განაცხადა
A 340 მტერობა | და[5] უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თუისსა.
M 522 იხილა რა მშუიდმან და | ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით,
კუალად[6] კუდი ძაღლისა არა გაემარტების[7], არცა კირჩხიბი მართ-
ლად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ
ყო[8] და საბერძნეთს გაგზავნა, და მუნ განეკო[9] ცხორებასა.

კუალად ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იელუსა-
B 350 ლემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართ-
ლისა, განძლიერდა დავით, განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა
სურტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს:
რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევნასა ფალანგებითა მათი-
თა ჩამოდგიან ავჭალას[10], დიღომს[11], და ჩაღმართ მტკურისა და
იორის პირსა, რამეთუ მათი იყო სადგური[12].

კახეთს მეფობდა კუირიკე, კაცი მეფობისაებე თანა
A 341 |ქმნული[13] ვნებათა[14] ზედა, და ჰეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი
ღმერთმან მეფესა დავითს, და წაუღო კუირიკეს ციხე ზედაზადენი.
ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი[15]. და წარემატებოდა დიდებითა
და გამარჯუებულობითა[16], რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რა-
ტი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდუილვე ნაშობი იქედ-
ნეთა. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღუიევაშთა[17], სახლი განმამწარე-
ბელთა: რამეთუ სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცო-
დვილთა ქუეყანისათა. და არღარაჲნ დაშთა საყოფელთა მათთა
M 523 მკუიდრი, რამეთუ აიკსნა უსჯულოება მამათა | მათთა წინაშე უფ-
ლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან. და შემდგომად წელიწა-
დისა ერთისა მიიცვალა მეფე კუირიკე. და დასუეს კახთა მეფედ
ძმისწული კუირიკესი აღსართან, რომელსა არა რა ქონდეს ნიშანნი[18]

---

[1] ერთობისათუის *MB.* [2] მართალსა *MB.* [3] ბოროტსა *MB.* [4] მეჭეულ *A.* [5] და <*A.* [6] რამეთუ *MB*, კუალად (←კ'დ — ვ'დ, ვითარმედ?) *A.* [7] განემართებების *MB.* [8] იყო *A.* [9] განეკუა *M*, განეხვა *B.* [10] ჰავჭალას *MB.* [11] დიღუამს *M.* [12] სადგომი *MB.* [13] მეფე ქმნული *MB.* [14] ვნებითა *AM.* [15] ტკა (321) *B*, < *M.* [16] გამარჯუებლობითა *A.* [17] ბაღვივაშთა *B*,<*M.* [18] ნიშანი *A.*

მეფობისანი; რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და ყოვლად უმეცრად უსამართლო[1].

მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა, კეთილად გულისჴმა ყო საქმე[2], რომლითა მოიმადლებდა ღმერთსა, A 342 და სარგებელი იქმნებო|და; რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ-ავაზაკთა ქმნილნი, უღირსთა[3] და უწესოთა მა- ჯ 351 მულობით დაეპყრნეს საებისკოპოზო(სა)ნი, | ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორებისკოპოზნი დაედგინნეს, რომელნი[4] ნაცულად სჯულ(ი)თა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთი- A 351 დეს მათ ქუეშეთა ყოველთა, და თუით | სახელითა უფლისათა. და A 352 მღდელთაგან გამოვიდო|და ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა, და[5] განრისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქუით.

და (ვითარ) რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელოებისა[6] და მჴედრისა, არცა ერისა და მღდელთ-მთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყსოსა, ვითარცა წერილ არს: «მონამან, რომელ- M 524 მან იცოდის ნება უფლისა თუისისა და არა განემზადოს[7] ნებისაებრ მისა[8], იგუემოს ფრიად». ამათ უკუე ესევითართა[9] და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი; სამეფოსა თუისისა კათალიკოზნი, მღდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი — შემოკრიბნა ყოველნი წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს, ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს[10] და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დაღათუ[11] ძნელღა[12] იყო ესე, რამეთუ იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შეილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები, და მათ A 353 წილ ჴეშმარიტნი და სათნონი ღმრთისანი მწყემსნი დაადგინნეს, და ძეგლი ჴეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჭითა[13] სამეფოთა წარგზავნნეს თუითოეული სახედ[14] თუისად. და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით, რომლისა სანაცულოდ იხილეთ თუ რა განაგო ღმერთმან გულთ-მეცნიერმან, მცველმან ისრაელისამან.

---

[1] + და ყოვლად წინა-უკმო (წინა-უკუმიუა *M*) მამის ძმისა მისისა *MB*. [2] საქმე<*A*. [3] უაღრესთა *A*. [4] რომელმან *A*. [5] და ყოველთა *A*. [6] მღუდელისა *MB*. [7] განეკრძალოს *MB*. [8] ნებისაებრ მისა<*MB*. [9] ვითართა *A*. [10] განკუეთნეს<*MB*. [11] და რამეთუ *A*. [12] არა ადვილ *MB*. [13] ნიჭთა *A*. [14] სახლად *M*, სახიდ *B*.

რამეთუ ესე ახსართან კახთ მეფედ ჴსენებულ
იყო, შეიპყრეს ჰერთა[1] დიდებულთა, არიშიანთან და ბარამ, და დე-
დის ძმამან მისმან ქაეთარ ბარაამის ძემან, მოსცეს მეფესა; და აი-
ჰ 352 M 525 ხუნა მეფემან ერეთი და კახეთი, და ერწუხს[2] ქმნა | წყობ|ანი დიდნი,
და ჴმა-გასმენილი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და
განწირულითა ერითა დაჴოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი,
და ათაბაგი განძისა, უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი[3],
მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა. ესეოდენ და ადვილად
ჴელთ უსხნა ღმერთმან საკუირველმან, რომელ[4] ერთი ათასთა არა
თუ სდევდა, არამედ ჴელითა იპყრობდა, ორთა არა თუ ბევრნი
წარექცივნეს, არამედ სანთლითა თუით მათვე[5] ტყუეთა და მთხრებლ-
A 354 თათა ტ|ყუედ მოიყვანდეს ყოველნი ქრისტიანენი. ხოლო თუით
მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა მის-
თა, ანუ შორით უზახებდა[6], ვითარცა ერთი მთავართაგანი[7] ვინმე,
არამედ უპირატეს ყოველთასა თუით წინა უვიდოდა, და ვითა ლო-
მი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცე-
ოდა, და თუით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა ძლიერითა
დაამჴობდა[8] ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინადამთხუეულთა
ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუე-
ლისა დავითისა ელიაზარის ჴმლისა[9] ვადასა ოდენ დაეწება, არამედ
ჴმლით მისით უკუმომდინარითა სისხლითა წელნი[10] აღსავსე ესხნეს[11],
რაჟამს შემდგომად (ერისა) ომისა გარდაჴდისა[12] და სარტყლისა
განჴსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად რა დაითხია დამტკნარებული
M 526 სისხლი და რამეთუ ჩუენთუის მისგან გამოდენასა ვაყენებდით. და
მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს, და მეოთხესა ზედა სრულ ყო
მის დღისა ომი. და ესე მრავლისაგან მცირედი წარმოვთქუით.

ესე რა თუით-მპყრობელობით დაიპყრა ერე-
A 355 თი | და კახეთი, ნებიერად აიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზე-
ებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკუიდრთა ქუეყანისათა. ვი-
ნათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა, და წარუ-
მართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლე-
ეათა საკუირველთა, და უძღოდა ძალითი-ძალად, არცა იგი უდე-
ბებდა[13] განმრავლებად საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა,

---

[1] ერთა *A*, ჰრეთა *M*, Ჳრთა *B*. [2] ერტოხს *M*. [3] ერი < *A*. [4] რომელი *A*. [5] მათივე *A*. [6] უზრახებდა *MB*. [7] მრავალთაგანი *MB*. [8] და ჴმობდა *MB*. [9] ჴლმისა *A*. [10] წიალნი *M*. [11] აღსავსედ ეტვირთნეს *MB*. [12] რაჟამს, შემდგომად ომისა, გარდაჴდის *B*, რომელი შემდგომად მუცლისა *M*. [13] უდებად *A*, უდებ- და *M*, უდებებდა *B*.

Ჰ 353 არამედ სრულითა| გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელ-
ნი მას სათნო ეყოფვოდიან, ვითარცა აწ ითქუმის.

რამეთუ მოიგონა აღშენება[1] მონასტრისა და დჯ-
ამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა
ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა 5
ვითარცა მეორე ცაჲ[2] გარდააკარვა[3] ტაძარი ყოვლად წმიდისა და
უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატე-
M 527 |ბული[4] წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა მატს შუენიერებითა
ყოვლითა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა, სიმრავლითა და მოქ-
მნულობითა შესწორებულობითა, რომელსა აწ თანა მოწმობით ხე- 10
A 356 დვენ თუალნი ყოველთანი. და აღავსო სიწმი|დეთა მიერ პატიოსან-
თა ნაწილთა წმიდათათა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა
სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად
საპოვნებელთა.

ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა 15
ტახტნი, საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი[5] ფერად-ფერადნი
იაჳარად მოხმულნი თუისნი, და კუალად გუირგუინნი[6] და მანიაკნი,
ფიალნი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა,
რაჟამს თუით იგინიცა ტყუედ მოიყუანნა, მასვე ტაძარსა შინა შე-
წირნა ღმრთისა საჴსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკუირ- 20
ველისა. მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემ-
კულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თუისთა ოდენ სამეფოთა პოვ-
ნილნი, არამედ ქუეყანის კიდეთათ სადაცა ესმის ვიეთიმე სიწმიდე,
სიკეთე, სისრულე, სულიერითჳა და ჴორციელითა სათნოებითა[7] აღ-
სავსეობა, იძინა და კუალად გამოიძინა, მოიყუანნა და დაამკუიდრ- 25
M 528 ნა მას შინა. და მამული ლიპარიტეთი[8] უმკუიდროდ დარჩომილ
იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამარდლიანთა უსარჩელე(ი)-
A 357 მიუხუეჭელთა სოფლებთა თანა|მისცნა დედასა ღმრთისასა,
სამსახურებელნი წინაშე მდგომელთა მისთათუის, და უზრუნ-
ველი ტრაპეზი განუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლი- 30
სა აღმოსავალისა მეორედ იერუსა]ლიმად, სასწაულად ყოვლისა
Ჰ 354 კეთილისად, მოძღურად სწავლულობისად, სიტყუად[9] ათი|ნად,
ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა, წესთა დიაკონად ყოვლი-
სა საეკლესიოსა[10] შუენიერებისად.

---

[1] აღშება *A*. [2] ცაა *A*. [3] გარდააართხა *B*, გარდავართხა *M*. [4] აღმატებულ *A*.
[5] საკიდელნი *MB*. [6] გუირგუინი *A*. [7] სათნოებითა<*A*. [8] პიპარიტეთი *A*. [9] სხუად *M*,
სახლად *B*. [10] საეკლესიაოსა *A*.

და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა[1], კაცთ-მოყუარებისა თუისისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა[2] ძმანი, თუითო-სახითა სენითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საჭმარი მათი, უნაკლულოდ, უხუებით, და გა- 5
ნუჩინა შესავალი და საღუაწი მათნი ყოვლადვე. თუით მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის, თუითოეულსა მამებრ სწყალობდის და ნატრიდის, განამჭნობდის მოთმინებისა მიმართ, მოწახის თუისითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი,
A 358 პინაკი და ყოველი საჭმარი მათი, მოსცის თუი|თოეულსა ოქრო 10
M 529 საყოფინი[3] და გა|ნკრძალულნი[4] ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად და შუენიერად ღმრთის-მსახურებით.

ხოლო ვიდრე ამა ჟამადმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი, ყოველი სამშუილდე, აგარანი თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჴყონდი- 15
დელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა, რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერით[5]; შეკრბეს გიორგი ჴყონდიდლის წინაშე და მწიგნობართა უხუცესსა[6] თევდორე, აბულეთ და ივანე ორბელი, და სიმარჯუით მოიპარეს სამშუილდე. 20

მაშინ იქმნა დიდი სიბარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოთა. ცნეს რა თურქთა აღება სამშუილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნენს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი. რამეთუ ვიდრე მოაქამომდე[7] სთუელთამდის ჩამოიარიან თურქთა სომხითი ყოველი- 25
A 359 თა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პ|ირსა მტკურისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა ყოველთა მათ საზამთროთა შუენიერთა ადგილთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყა-
55 ლი უხუებით, |და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თუითო-ფერი და საშუე- 30
ბელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა.
530 ცხენისა, ჯორისა, ცხურისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხუი; აქუნდა ცხორება სანატრელი, ინადირობდიან, განისუენებდიან, იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თუისთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან, ტყუითა და ალა- 35

---

[1] სახიერისა *B*. [2] შეკრბიან *A*. [3] კმა-საყოფნი *B*, კმა *M*. [4] განკრძალნის *M*, განაკრძალნის *B*. [5] იმერითს *MB*. [6] + წინაშე *MB*. [7] მაჭამომდე *A*.

ფითა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა; ეგრეთვე ზაფხულისაცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ყუავილოვანთა ადგილთა ყოფილთა[1]. და ესეოდენ დიდი იყო ძალი და სიმრავლე მათი, რომელ სთქუამცა[2]: „თუ ყოველი თურქობა ყოკლისა ქუეყანისა უმისოდ“[3]. არა ვისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა A 360 ანუ ვნება, არცა თუ თუით სულტანისაგან.

ოდეს სამშუილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი[4]. მაშინ მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნაულად სიმარჯუითა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა[5]. ცნა რა მიმწუხრი მოსულა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი[6] დახუდეს მას წინაშე[7]. ცისკარს მოვიდეს თურქნი, და იქმნა ბრძოლა ფიცხელი, და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სიელტოლად ესეოდენ ზარგანჳდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მათთა მიხედნეს ყოვლად, M 531 არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერჴთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივნეს თუისთა ქუეყანათა.

ხოლო ესევითარსა ქუეყანასა[8] საკურველსა მათსა თუით მეფე და სპანი მისნი ესეოდენ ურწმუნო იყუნეს, ვითარმედ არავინ სდევნა ყოველად, რამეთუ ხვალისა ოვი ეგონა. და წაიღო გიორგი ჭყონდიდელმან[9] რუსთაჳიცა, მეფისა მუხრანს ყოფასა, A 361 იყო ქრონიკონი სამას ოცდათხუთმეტი. რომლისათჳს შეწყენა B 356 შეექმნა თურქთა, და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსახურნა[10] მეფემან რომელთა მოსრვა ეგებვოდის, და უგრძნაულად დაესხის, მოსწყუიდნის; და ესე არა ერთგზის, ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა ერთი ითქუმის[11].

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა[12], რამეთუ ზამთრისა სიფიცხესა[13] და მთათა სიმაგრესა მაენდვნეს. ხოლო მეფემან მოიკელოვნა ესრეთ, რამეთუ[14] სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა, და თუით ქუთათის[ს] წარვიდა, რომლითა უეპუელ ყუნა იგინი. და თუესა ფებერვალსა აცნობა ქართველთა და

---

[1] ყოფილთა < *MB*. [2] რომელსა თუმცა *A*. [3] უმისოდ *A*. იქი არსო *M*, აქა (v. l. იგი) არსო *B*. [4] ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი < *M*. [5] ტაძრეულითა *A*. [6] ესეოდენნი *A*. [7] შინაშე *A*. [8] ქუეყანასა *A*, სივლტოლასა *MB*. [9] ჭყონდიდელი *A*. [10] მოიმსახურნის *M*, მოიმსტვარნის *B*. [11] ვითარცა აწ ერთი ითქუას *MB*. [12] სარგაებითა *A*. [13] სიფიცხითა *A*. [14] რამეთა *A*.

მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თუით შუიდითა[1] სპითა ხუფთითა ჰოროხის პირი წავლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნაულად დაესხა მათ ზედა, უშიშად გულ-დებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარმიფორისად[2]: რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათექ[უსმეტი].

მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხუი, აღიღეს [დედა-წულ]ი მა-
A 362 თი[3] ცხენებითა[4], ცხოვარი, აქლემი და ყოველ[ლი ნაქონ]ები მათი,
M 532 რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთი[ლითა.

და მასვე წელსა ასული თუისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად, რამეთუ პირველ ამისსა[5] პირმშო ასული თამარ გაგზავნა შარვანისა დედოფლად[6], რათა ვითარცა ორნი მნათობნი—ერთი აღმოსავალს, ხოლო მეორე დასავალს—ცისკროვან ყოფდენ სფეროსა[7] მამისაგან მიმღებელნი[8] მზეებრთა შარავანდედთანი.

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასა[9] და შოთა, და აიღო ციხე გიში. გაგზავნა ძე თუისი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად[10]. ხოლო მუნ ქმნნა ომნი საკუირველნი,
ჯ 357 რომლითა განაკუირვნა მხილველნი და მსმენელნი, აიღო ციხე | ქალაძორი, და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თუისისა, სავსე ალაფითა და ტყუითა ურიცხუითა მოვიდა მამისა თუისისა.

ხოლო მეორესა წელსა (დაიპყრნა) წარმოემართა[11] ბზობად ღანუკით წარსლვად რახსის პირსა, [და ზატიკი] გარდაიჯ-და ნაჯიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბ[ეშქენ ჯაყე]ლისა ჯავახეთს
A 363 თურქთაგან მოკლვისა; ამისთუის უშლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად. და არა მოისმინა ყოვლად, არამედ დაესხა თურქთა, რახსის[12] პირსა მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი ურიცხუი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი.

ამასვე წელსა აიღო ციხე ლორე. მაშინ ივლისსა აიხუნა აგარანი[13], მეორესა დღესა, ცისკარს. რამეთუ პირველცა ესე ციხე
M 533 აღო ბაგრატს, პაპასა მისსა, გარნა | სამ თუე ბრძოლითა. ამასვე აგუისტოსსა მოკუდა სულტანი მალიქი, მალიქ-შას ძე, და ალექსი[14] ბერძენთ მეფე. და ვერ ცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი. ქრონიკონი იყო სამას ოცდათურამეტი.

---

[1] შიდითა *B*. [2] კარმიფორისა *MB*. [3] აღიღეს დედა-წული მათი < *M*. [4] ცხენები *MB*. [5]. ამირასა *A*. [6] გაგზავნა შარვანისა დედოფლად თამარ *A*. [7] საფეროსა *AM*. [8] მიმღებელთა *A*. [9] ასამ *B*, -ათა *M*. [10] -ლაშქრითა *A*. [11] + მეფე *MB*. [12] რასხის *A*, რავსის *MB*. [13] აგარნი *A*. [14] + კომნინოს *B* (მხოლოდ ბროსეს ხელნაწერში).

ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიმართ წყალობათა, ძლევათა და გამარჯუებათა თუისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ჭეუყანათა, ქალაქთა, და ციხეთა, რამეთუ არა ეგრე იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომი დამჭირველად, და კუალად თუით მის თანა მყოფად, და მოლაშქრედცა კმა ეყუნეს დაუცხრომელად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ [1].

A 364 ქამისთუისცა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, და მიმოაელო თუალი გონებისა თუისისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყუნეს სამეფოსა მისისანი თა-

ჯ 358 ნა | მიყოლად კრთომითა წადიერებითა სულისა მისისათა.

და მსგავსად ალექსანდრესსა ქმნა და ამანცა სულთ-ითქუნა. რამეთუ ითქუმისცა ფილასოფოსმან ვინმე რქუა მას: „არიან მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელნი არცა თუ სახელი ასმიეს შენი“ [2]. და მან სულთ-ითქუნა და თქუა: „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი“. ამისთუისცა ამან მეორემან

M 534 ალექსანდრე განიზრახა სივრცითა [3] გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავთა [4] სიმრავლე [5], და წყობათა შინა სიმჭნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასაჭირვლობა [6] და ყოველითურთ მომზაებლობა ნებისა თუისისა. ამათ თანა და უადვილეს იყუნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა, რამეთუ მრავალ-

A 365 თა წელთა მიერ | მოეყვანა კუალად სანატრელად და განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა თრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თუისად, დედოფლად ყოველისა საქართველოსა. ამისთუისცა წარავლინნა კაცნი ყოველისა საქართველოსა სარწმუნონი. და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თუისსა.

ხოლო მათ [7] სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს [8] გზა მშუიდობისა ოვსთაგან. ამისთუისცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს. და სიტყუასავე თანა წარემართა და თანა წარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ უხუცესი თუისი, კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულისა და ჭორცთასა, საესე სიბრძნითა და გონიერები-

[1] ზაფხულ *A*. [2] რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ *MB*. [3] სვრცითა *A*. [4] ნათესაად A, ნათესავისა *MB*. [5] სიმრავლესა *A*. [6] დასამჭირვლობა *M*, დასამჭირველობა *B*. [7] მათ <*A*. [8] განითხოვეს *A*, გარნა ითხოვეს *MB*.

თა, განმზრახი, სუიანი და ფრთხილი, თანა-აღზრდილი [1] აღმზრდელი პატრონისა, და თანა-განკაფული ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა.

შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს ოვსეთის მეფენი და მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა, და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა. ესრეთ ადვილად შეაერთნეს ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუიდობა ვითარცა ძმათა. და აიხუნა ციხენი დარიელისნი და ყოველთა კართა [2] ოვსეთისა და კავკასისა მთისანი [3]. შექმნა გზა მშუიდობისა და სიმამრი და ცოლის ძმანი თუისნი არა ცუდად დაშურეს [4]; არცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი, | არამედ მათით ჴელითა მოსრნა სრულიად სპარსეთსა ძალნი, დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანადგომითა [5] ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი [6], ვითარცა ითქუას წაღმართ.

A 366
M 535
B 359

ხოლო მაშინ ოვსეთს ყოფასა მიიცვალა [7] ჰყონდიდელი და თავადგა [8] სიყრმითგანთა პატიოსნისა [9] მსახურებათათუის, და პატივითა დიდითა წარმოგზავნნა მონასტერსა ახალსა, და მუნ დაემარხა; რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თუით მეფემან, ვითა მამა [10], შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის ცშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჴსნა გლოვა.

ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათთა მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთასი [11] კაცი. ყოველი ქრისტიანედ ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა. და თუით ყივჩაყნიცა უმრავლესნი, ქრისტიანე ქმნილნი [12], დღითი დღე შეეძინებოდა სიმრავლე ქრისტესა; ესენი რა | ესრეთ შემოკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად [13] და დაუდგინ[ნ]ა სპასალარნი მმართებელნი, და ეგრეთვე თუისისა სამეფოსანი სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშექცეულნი [14], და საშუალ მათსა თუით იგი უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი, მიმსგავ-

A 367
M 536

[1] თანა აღმზრდელ აღზრდილი *M*, თანა-აღზრდილი *B*. [2] კაცთა A. [3] მათისანი *A*. [4] შექმნა გზა მშუიდობისა ყივჩაყთათუის, და გამოიყუანა სიმრავლე ფრიად დიდი, სიმამრი და ცოლის ძმანი თუისნი, და არცა ცუდად დაშურა *MB*. [5] თანაყოლითა *MB*. [6] დაურწმუნებულნი *M*, დაურწმუნოებულნი *A*. [7]+გიორგი *B*, გ'ი *M*. [8] თავადგან *M*. [9] პატრონის *M*, პატრონი *B*. [10] + უმეტესცა მამისა *M*. [11] ხუთი (ხუთ *M*) ათასი *MB*. [12] იქმნებოდეს *MB*. [13] გუარად გუარად *MB*, გუარად *A*. [14] პირშეუქცეველნი *B*.

სებული ძუელისა ქაიხოსროსთუის[1] მოთხრობილთა, წინა უძღოდა; და იწყო რბევად სპარსეთისა, შარავანისა და სომხითისა დიდისა.

რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად ალაშქრებდა მათ. მართებდა, და განაგებდა მსგავსად მისსა, დიდისა გონიერებისა, და ვინღამცა იყო წინამდგომი მისი, და ანუ მიმმართი ომისა. რამეთუ დაღათუ ფრთოვანსა
ბ 360 ვეფხსა მიამსგავსა წერილმან | მაკედონელი იგი სიფიცხისა[2] მი[მ]მართველობისათუის, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანასა შინა, და პრელად მრავალ-ფერობისათუის ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გუირგუინოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამით შემდგომი, არამედ[3] არა საქმითა, არა განზრა-
A 368 ხვითა, არცა | სიმჴნითა უმცირედ[4]. თუით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქუმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ[5] მრავლითა უმაღლეს მგონიეს[6] ესე; და რაოდენთა საწუთროთა[7] და ჴორციელთა იგი შინა მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგეოდენ საღმრთოთა და ქრის-
M 537 ტეს მცნებათა შინა ჴორციელთაე | თანა მისთა პირველთა ყოველთა მატდა, რამეთუ არცა ძილი თუალთა, არცა რული წამთა, არცა განსუენება ჴორცთა თუისთა, არაიმიდრკა[8] გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ჴორცთასა, არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთიითა[9] არარა ჴორციელთა შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა[10].

ხოლო აქუნდის ჩუეულება ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთად, და ჩამოიტანნის[11] თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა; რამეთუ მათნიცა მსახურნი[12] ზედა ადგიან მეფესა, და ეძებდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს, და მიერ ხუფათს[13], და ამით გულპყრობილ ყუნა
A 369 იგინი. ქრონი[კონი] | იყო სამას ორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბორტიას[14], დიდნი ფრიად, დაიზამთრეს. არა რულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა ფებერვალსა ათოთხმეტსა, უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა[15] და გარდაიხუეწა[16]. აღიღეს ტყუე, ალაფი ურიცხუი. და მოვიდა ღანუჯს. მასვე შუიდეულსა პირმარხვასა აიღო შარავანს ქა-

[1] ქეიხოსროსთუის *A*. [2] სიფიცხითა *MB*. [3] არამედ < *A*. [4] უმცირე *M*. [5] არამედ *A*. [6] მგონე *A*. [7] საწუთოთა *MB*. [8] არამედ მიდრკა არა *A*. [9] არათურთ *M*, რაჲთურთ *B*. [10] + დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა. და განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის მცირედი მეგულების თქუმად *MB*. [11] ჩამოიტყუენის *B*, ჩამოიტყუენის *M*. [12] მსტოვარნი *B*. [13] ხუფთას *BM*. [14] ბოტორიას *M*, ბოტორას *B*. [15] ციხესა *A*, ცხენზედა *B*. [16] გარდაიხვეწნეს *B*.

ლაჭი ყაბა[1], და აღივსო სამეფო ოქროთა და ვეცხლითა, ყოველითა სიმდიდრითა. წამოვიდა ქართლს, და მსწრაფლ შეკრიბა სპა და
ჯ 361 შევიდა შარვანს მაისსა შუიდსა არბიალით-ჟაით[2] ვიდრე ქურდევა-
M 538 ნამდი და ხიშ|ტალანთამდე[3], სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლად. მასვე დღესა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს ფრი- 5
დონ[4], ამოსწყუიდნეს შარვანელნი.

თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას[5], დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-ყუნა, წარმოიღო ურიცხუი. ჩამოვლო მგზავრად, დაესხა სიეგელამეჯს[6] თურქმანთა, და არა
დაუტეუა მეოტი ძალი[7] კარავთა მათთა; ესე ერთისა წლისა[8]. და 10
მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭუინტამდე, და განაგნა საქ-
A 370 მენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემკო|დენი დაიპყრნა, წუართნა[9]; რამეთუ იყო ზამთარი და თოვლი ფრიად. ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირთა მტკურისათა[10], გარნა ლომსა[11] არა ჰრცხუენო- 15
და[12], არცა რულოდა ომისათუის, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა. წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, და გარდაათხრევინა მთა ლიხისა, რამეთუ[13] გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა მჭარი სამი. და დახუდა მზად სპა მისი, და პირველ ამბავისა[14] ცნობამდე დაესხა ხუანას[15] და აღივსო ლაშქ- 20
რითა მათითა მტკურამდე და გაგთიათ[16] ბერდუჯამდე[17]. მოსრეს პირითა მახუილისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი, თუე მარტი.

ხოლო ვითარცა მოიწია გაზაფხული, და განდიდნა მტკუარი ფრიად, რამეთუ[18] ნადინები მისი ვერღარა იტევდა. და მისითა 25
მინდობითა ჩადგეს თურქნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახუნა[19]
M 539 მეფემან იგინიცა, და[20] მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა, და|უაზრავსა ამას წყალსა. მოსრნა თურქნი, არაბია, ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. თუე იყო ივნისი.
A 371 მათ ესევითართა ჭირ|თაგან შეიწრებულნი თურქმანნი და | კუალად 30
ჯ 362 ვაჭარნი, განძელ-ტფილელ-დმანელნი, წარეიდეს სულტანს წინაშე,

---

[1] ყაბალა *B*, კაბალა *M*. [2] არბია ლიჟათათ *M*, არაბია-ლიჟათათ (v. l. არბიალაჲთ ჟაჲთ) *B*. [3] შიშტლანთამდე *MB*, ხიშტალანთამდე (ბარათაშვილის ვარ.). [4] აფრიდონ *MB*. [5] აბორნიას *M*, აშორნას *B*. [6] სევგელამეჯს *B*, სიეგელმეჯს *M*. [7] მეოტი ძალი *A*, მოტირალი *MB*. [8] წილისა *A*, წლისად *B*. [9] წუართნი *A*. [10] მტკუირისათა *A*. [11] ლომსა *AB*, მომჭელოვანებულსა *M*. [12] სცონოდა *M*. [13] რამეთუ *A*, სადა *MB*. [14] + ქართლისა *MB*. [15] ხუნანს *M*, სულტანს *B*. [16] გაგთათ *MB*. [17] ბერდაუჯამდე *A*. [18] რომელ *MB*. [19] მონახნა *MB*. [20] + ალონსა *MB*.

და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი და რომელთამე ჴელები სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ჰირნი. მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა [1] აღძრნეს წყალობად თუისა[2].

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყის ძესა, და მოსცა ძე თუისი მალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუღისი, კაცი [3] დამანი, მრავალ-ღონე, და უბრძანა ფურქჱნობასა სადღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მჴედრობად [4] შემძლებელსა. ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქუიშა ზღუისა, რომლითა აღიესო ქუეყანა, და აგუისტოსსა თურამეტსა მოვიდა თრიალეთს, მანგლისს [5] და დიდგორთა, რო[ე](ი) თუით ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოლად უძრავმან გულითა, და თუ ვითარ | წინა განაწყო [6] სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წუნარად, | უშფოთველად და გამოცდილობით, ყოველად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თუისნი სპანი დაიცვნა უვნებელად. ამათ ყოველთათუის ეგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ვერ შემძლებელ არს მითხრობად [7] ზედამიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჴელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თუისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა. და [ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი და] [8] ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯუით განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლისთა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორითა [9].

და სპანი ჩუენნი და ყოველი სამეფო აღიესო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, | კარ-

---

[1] რომელთა *B*. [2]+და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა *MB*. [3] კაცნი *AB*. [4] მჴედრობდა *A*. [5] მანგლის *A*. [6] განეწყო *M*. [7] მითხრობით *A* (←მითხრობათ—მითხრობად). [8] < *A* ex homoioteleuto. [9] და თჳ ვითარ — ღელენი მძორითა (სტრ. 18—30) *M*-ში სხვაგვარად არის დალაგებული.

ევებითა, სარა-ფარდაგებითა[1], სხუითა უცხოთა ჰურჰლებითა საბრძოლელთა თუითო-სახეთათა, ჭოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა[2], საბანელთა და სამზარეულოთათა, რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! დარამეთუ გლეხთა იხილემცა ოდეს არაბთა[3] მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ, და სხუათა გოლიათთათუის რადღა რამცა გუინდოდა თქმად.

ხოლო ამად რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყუი უკუე უმიროზს, არისტოველის[4] ელინთა, ხოლო იოსიპოს[5] ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა[6]-აქილ[ე]ველთანი შეამკვნა
M 5-1 თხრობანი, თუ ვითარ აღამენოს[7] და | პარაჟამონ[8] უაქიველი[9] და ეკტონ[10], მერმეცა უდისეოს და ფირესტე[11], ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნეს; და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმჯნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ⟨ნე⟩ტიტოს-მიერნი[12] მეტომეთა თუისთა ზედანი[13] ჰირნი მისცნა აღწერასა, და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთუისცა მის ჭელოვნებისა რიტორობისათა
A 374 განავრცელნეს, ვითარცა იტყუის თუით სად[ამ]ე ალექსანდრიელი: „არა დიდი იყავ აქიველი, არამედ დიდთა მიემთხუია მაქებელსა უმიროს“. რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა[14]. ხოლო მეფისა დავითისი ესოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა ომსა შეუძლეს წინადადგომად. ქონებოდესმცა ამა ბერძენთა[15] ნივთთა საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა მსგავსად, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყუნეს ჯეროვანსა ქებასა. და ესენი ესეოდენ.

ჰ 364 | ხოლო მეორესა წელსა აიღო[16] მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა. დაუმკუიდრა შვილთა თუისთა საჭურჭლედ და სახლად თუისად საუკუნოდ. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი[17].

[1] სარა ფარდებითა *M*, სრა-ფარდაგებითა *B*. [2] საადიმოთათა *A*, სანდიმოთათა *M*. [3] არანთა *B*. [4] არისტოტელის *B*, არისტოტელისა *M*. [5] ელისიპოს იოსიპოს *A*. [6] ტრ.აოდელთა *A*. [7] ვითარცა მენონ *A*, ვითარ აღმემნოს *M*. [8] პარჟამო *B*, პუამოს *M*. [9] უაქიველი *A*, აქალევი *M*. [10] ეკეტორ *M*. [11] ორესტი *M*. [12] ტიტოს მიერნი *M*, ვესპასიანე ტიტოას-მიერნი *B* (ხელნაწერები „ნეტიტოას [= ნეტიტოჲს] მიერნი). [13] ზანი *A*, ზარნი *B*, ზედანი *M*. [14] ვერა რა ღირსი ქებისა იქმნა *MB*, ვერა რა ღირს იქმნების ქებისი ქება *A*. [15] ბრძენთა *MB*. [16] აიიღო *A*. [17] ქრონიკონი იყო სამას ორმოცდა ორი < *M*.

და მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვა-შა, აიღო შამახია, და მოგზავნა მოციქული მეფის წინაშე, და მოუწერა წიგნი
M 542 და რქუა, ვითარ|მედ: „შენ ტყეთა მეფე ხარ, და ვერა ოდეს გამოხუალ ველთა; მე ესერა შარვა-შა შევიპყარ ჴელთა და ხარაჯასა ვი-
A 375 თხოვ; შენ თუ გენებოს ძღუენი ჯეროვანი გამო|გზავნო[1], და თუ გინდა სამალაეთათ გამოედ და მნახე“. ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ ჴმა უყო ყოველთა სპათა მისთა. და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა[4] და ყიჩაყნი ოდენ აღთუალულ იყუნეს მაშინ. და იყო[2] შემბმელი[3] ორმოცდაათი ათასი. ეუწყა რა[4] სულტანსა ზედა-მისულა, ძალი და სიმრავლე სპათა მისთა, და განკრთა, აიყარა ველთათ, მსწრაფლ შევიდა ქალაქად, და გარემოიზღუდა ერთ-კერძო ხანდაკებითა[5], და სხუით-კერძო ზღუდითა[6] ქალაქისა შამახიისათ. ხოლო ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედამისულა მლტოლვარისა[7], არამედ დავარდა მიწასა ზედა, და მადლობა შეწირა ღმრთისა-სახიერისა და კაცთ-მოყუარისა, და ადგილობანსა დადგა.

მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა[8], ძღუენთა და მუდარებითთა შეთულილობათა, ვითარცა მონამან ჰირველულმან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით, და არა (და არა) სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე.

მასვე დღესა სურტანსა წინაშე მიღმავალი[9] ათაბაგი რანისა
A 376 აღსუნღული ძალითა მრავლ|ითა[10] მოსრეს მონათა | მეფისათა, ვითარ
M 543 ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა, და სასადუნით[11] მეოტი სხუით გზით წარვიდა სოფლად თუისად. და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა
ჯ 365 მეფე. | და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს[12].

და მეოთხესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს. აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა[13] მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი, წარმოვიდა ქართლად. ხოლო

---

[1] გამოვგზავნე *M*, გამოგზავნე *B*. [2] და იყო *B*, და იპოვა *M*. [3] შემბმელი < *M*. [4] სულტანსა ზედა — ეუწყა რა < *A* ex homoioteleuto. [5] + სხრკითა და *M*. სხრტითა და *B*. [6] ზღუდისა *A*. [7] მტოლვარისა *A*. [8] ვედრებითა *A*. [9] მიმავალი *MB*. [10] მრავლითა *A*. [11] სასუდნით *MB* (სასუდნით ბარათ.). [12] ამათ ენასა *M* (ამ თვეს ბარათ.), ამა თუესა ჯავახ. [13] ციხეთა *M*, სიცხეთა *AB*.

სთუელთა გარდავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი, და მარტსა გარდავიდა ქართლად: აღიღო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყუიდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი, და აღიხუნეს ციხენი ღასანნი[1] და ხოზაონდი[2] და მიმდგომი მათი ქუეყანა.

და მყის აღამსრბოლა[3], ვითარცა არწივმან, და მაისსა
A 377 აიხუნეს ციხენი სომხითისანი, გაგნი, ტერონაკალი[4], ქავაზინნი[5], ნორბედი[6], მანასგომონი[7] და ტალინჯქარი[8]. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფოლა[9], ბასიანნი სპერამდინ, და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო, ჩამოვლო
M 544 ბუიათა-ყური[10], და დაწუნა ოლთისინი, მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა, და მცირედნი დღენი შუა გამოჯდეს, და განიყარა ლაშქარი თუის-თუისად. და აგუისტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი[11] ანელთა თავადთანი და მოაჯსენეს[12] მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანასა, წყაროთა ზედა მდგომსა[13], და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა. მესამესა დღესა სამეოცი ათასი მჭედარი წინაშე უდგა.

წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისნი, და წარმოიყვანნა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა, მჭეველთა და სძალთა. და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი. წარმოვიდა ქართ-
ჭ 366 ლად. და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა მისთა, და მერე წა-
A 378 რემართა შარვანს, და აიღო ქალაქი შამახია და ციხე|ბირიტი[14], სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი[15] და კახნი; გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თუისი სუიმონ ჭყონდიდელი, მთავარებისკოპოზი, მაშინ ბედიელ[16]-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი, დედის ძმისა თუისისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი.

და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვიდა

---

[1] ღასოსნი *M*. [2] ხოზორდი *M*. [3] აღმოისრბოლა *M*, აღისრბოლა *B*, ამსრბოლა თეიმ. [4] გაგინი ხერუნაკლი *M*. [5] ჭავახნი *M*. [6] ნორიბედი *B*. [7] მანასგომნი *B*, მონას გომნი *M*. [8] ტალინჯაქარი *B*, ხალინჯაქარი *M*. [9] კარნი ფორა *M*. [10] ბუღთაყური *M*. [11] მეწიგნენი *M*. [12] მოიჯსენეს *A*. [13] მდგომასა *A*. [14] ბიგრიტი *B*, ბიკირტი *M*. [15] აერნი (—ჲერნი?) *A*, Ცერნი *B*, ჰერნი *M*. [16] ბედაია *A*.

ქართლად. და ყივჩაყთა თუისთა უჩინა საზამთროდ სადგური და სა-
M 545 ზრდელი, კაცნი ზედამდგომნი | მათნი, და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისა, და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა, უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ წინააღუდგა მას; რამეთუ თუით სულტანი მუნ სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თუით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თუისად ქონებად, არამედ თუისად [1] რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცნებოდა მძინარესა შიში და მღუიძარესა სიკუდილი.

A 379 ამისთუისცა ზედა-ზედა წარ[მოავლე]ნდის | მოციქულთა ძღუენითა დამშუიდებად პირსა მისსა; რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი, უცხონი და ძუირად საპოვნელნი, ეძიებენ [2] მშუიდობასა და სიყუარულსა, და ყივჩაყთაგან არა რბევასა. ამისთუისცა არარას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენცა მუნ თუით სადა იყვის, იპოვის მშუიდობა და სიცოცხლე თავისა თუისისა, და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათაგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი, მრავალ-წილად უკუმოიზღუნა ამან მჭნემან, დაამშუიდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ოჯერ-ქმნილი, და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშუიდობითა [3] და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცულად
ჰ 367 გარდასრულთა ოჯრებათასა. ესევითარნი უკუე არიან მეფობრივთა და მიმოსლვათა მისთა, წყობათა, ღუაწლთა, ძლევათა და წარმართებულებათა, და პყრობათა და ახმათა დიდთა მათ, და მრავალთა
M 546 სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა, რომელნი ჩუენ მცირედითა და ყოვლად კნი-
A 380 ნითა სიტყუითა წარმოგუიჩენიან, | დიდთა მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან, და ბრჭალთაგან ლომსა და ფესუსა მცირისა ყუავილისასა ქსოვილისა ვითარებასა [4] საცნაურ ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცსა, რომელნი ესე შეუძლებელ არიან ყოფად.

ხოლო ჯორციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისაგან უკეთუ ვიეთმე ჰგონონ, ვითარმედ რადღამცა მოეცალა საღმრთოთა და [5] სულიერთა სათნოებათა მიერ მიხედვად და მოგონებად, არა თუ

---

[1] თუისად < *MB*. [2] ეძიებენ *B*, ეძიებენ-*AM*. [3] მშვიდობისათა *M*, < *A*. [4] ბრჭალთაგან ლომისა და ფესუსა მცირისა ყოველსა ქსოვილსა ვარდებსა *M*, ბრჭალთაგან ლომსა და ფესვისა მცირისა ყოველისა ქსოვილისა ვითარებსა *B*. [5] და < *A*.

ქმნად, ვინათგან ფრიადცა კმა არიან ესენი ერთისა ჯორცთა შინა მყოფისა კაცისა ქმნად და წარმართებად, და თუ სადათ პოვა[1] სამეფო თუისი სიმდაბლედ შთასრული; და თუ სადა სიმაღლედ აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი, და ძლეულნი ვითა მძლედ გამოაჩინნა, ამათნი მგონებელნი ნუ უკუე არა იბრალენ, არამედ ეუწყენ მათ, ვითარმედ უკეთუ ამათ პირთათუის ვინ გამოიძიოს და ზედამიწევნით ვინ ცნობა ინებოს, კნინლა და ესე ჯორციელნი საქმენი წარმოთქმულნი ფრიად უნდოდ[2] და არა-რად[3] პოვნეს, ვითარცა მცირედ[ი] და სასაწუთონი და დგრომათა[4] მათ თანა მტკიცედ
A 381 [და] | საუკუნოდ ღმერთ-მყოფელთა მისთა საქმეთა, რომელთა იგი უმეტეს ამათსა მათ მოქმედებდა და უსასწრაფოვეს აქუნდა, რომელთაგან[ნ]ი მცირედნი[5] მრავლისაგან, ვითარცა სასმელი
M 547 ერთი მტკურისაგან[6], ჩუენც[ა მივსცნეთ] თ|ხრობასა. იტყუის სოლომონ: «დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნეო». ხოლო დავით, მამა ღმრთისა: «დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისა». ესე შიში უფლისა[7] მოიგო სიყრმითგან თუისით დავით და ასაკსა მისსა თანა აღორძნდა[8]. ჟამსა თუისსა ესევითარნი ნაყოფნი გამოიხუნა,
ჰ 368 რომლითა ორკერძო ცხორება თუისი | განაშუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თუისნი, რომლითა განაგნა ჯორციელნი და წარმართნა სულიერნი.

ხოლო თუ ვითარ ისმენდი გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისად[9] შიშისად ღმრთისად საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიტკბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართულსა[10] სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა
A 382 სხუამან პტოლემეოს[11], ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნი|ლმან[12] და ესეოდენ შეიპყრნა[13] და შეითუისნა, რომელ სთქუამცა თუ[14] მათ შინა იძრვის და მათ შინა ცხოველ არს, იგინი იყუნეს მისსა საზრდელ. ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და საწადელი. იგინი შუებად, განცხრომა საწურთელ და სარგებელ, დღე და ღამე მიმოსლვათა შინა, მიმდემთა[15] ლაშქრობათა, მოუწყენელთა შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტუირთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; სად არ გარდაჴდეს[16] ონესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა, და არა დააცადის კითხვა ვიდრე არა დაშურის.

---

[1] ჰპოვო *A*. [2] უნდოდა *A*. [3] არა *A*, არა-რად *MB*. [4] დგრომადთა *B*, დგომათა *M*. [5] მცირედთაგანი *A*. [6] მტკუირისაგან *A*. [7] ესე შიში უფლისა<*B*. [8] აღაორძინა *B*. [9] უფლისა *MB*. [10] ქართლისასა *M*, ქართუ|ლთასა *B*. [11] პატილემოს *M*. [12] ჭნილი *A*, < *M*. [13] შეიყუარნა *MB*. [14] სთქმა *A*, საქმეთაცა *M*, ჰსთქუამცა თუ *B*. [15] მიმდეთა *B*, მამა დედათა *M*. [16] და სადა გარდაჰჴდის *MB*.

ხოლო შემდგომად სერობისა ნაცულად ძილისა[1] ანუ[2] სხუისა რასმე საქმისა კუალად კითხვა წიგნთა. და რაჟამს თუალნი დაშურიან, სმენილნი ანაცვალნის გარეწარად, არამედ
M 548 ფრიადცა ფრთხილად ისმენენ[3] წინაშე თუისსა მკითხველისასა, გამოეძიებენ[4], ჰკითხავენ[5], უფროსღა თუით განმარტებენ[6] ძალსა და სიღრმესა მათსა, და უსაკუირველეს არს[7]: უწყით ყოველთა, თუ სასწრაფო ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედ-
A 383 გომილსა თუისსა და წარტყუენულ ჰყოფს. ნადირობ|ასა შინა არა რასა შინა სხუასა, გარნა ხილვასა[8] და დევნასა ნადირისასა[9], თუ ვითარ ჴელთ იგდოს, მიმხედეელ ჰყოფს. გარნა მისი გულს-მოდგინება ამასცა სძლევდა, რამეთუ თუით ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჴელთა, და რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა. და ესრეთღა დევნა უყვის; და ნუ უკუე ჰგონო, ვითარმედ ჴელითა
ჰ 369 ცალიერითა მოიქცის, ანუ[10] ცუდად დაშურის[11], რამეთუ | ვინ იხილა ესეოდენი განმარჯუებული ნადირობასა შინა, ანუ ვინ ჰგაენ ჯორციელი. მოსამახოს[12] ვინმე ითქმის ებრაელი მოისრ[ობისა][13] და კეთილ-მმართებლობისათუის[14] ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი კენტავროსაგან განსწაელულად მოისრობისა ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური[15] სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკუირველთა, გარნა ჴეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეუსწორებდა ამას, ვითარცა გუიხილავს.

და ვთქუ[16] სხუაცა საქმე, საცნაურ მყოფელი წიგნთა სიყუარულისა, რომელსა შინა არარა იყო[17] ტყუ-
A 384 ვილი, ვინათგან წარსწყმედს | უფალი ყოველნი რომელნი იტყუიან სიცრუესა. წინა დაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად; რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო | მო-
M 549 ქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა ავთუალეთ, ოცდაოთხჯერ წარეკითხა. არიან უკუე სხუანიცა მრავალნი საცნაურებანი ამის პირისანი, გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათთა. ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ერთჯერ არა სრულიად შემოყვანებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ; არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: ოდესვე ყვიან ღაღავი და თუინიერ მიზეზისაცა[18] მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო

[1] ძალისა *A*, რომლისა *M*. [2] ანუ<*A*. [3] ისმენენ *AM*. [4] გამოეძიებენ *A*, გამოეძიებდენ *M*. [5] კლიტვან *A* (←კჰიხვან←ჰკითხავენ), ჰკითხვენ *M*. [6] განმარტებენ *A*, განამარტებენ *M*. [7] +ესე *M*. [8] გარნა ხილვასა *M*, განხილვასა *A*, გარნა განხილვასა *B*. (←გ̃ნ ხილვასა). [9] დევნა ნადირისა *A*. [10] ნუ *A*. [11] დაშურის *AB*, ირბინის *M*. [12] მოსომახოსო *M*, მოასამაჴოს *A*. [13] მოისრბის *M*. [14] კეთილ მმართელობისათუის *A*. [15] შაჰრმჯორი *M*. [16] ვთქუი *A*, ვთქუ *M*, ვთქვა *B*. [17] იყოს *B*. [18] მიზეზიცა *A*.

ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა განსცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი და ტყუეობად სიკუდილსა მისცნიან; და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ. რომელი ესე ფრიად ეძუნებოდა სულსა დავითისსა, შემოვიდა ოდესმე ქარავა-
A 385 ნი | დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მე- 5
ფემან, გაგზავნნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჳინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდენ დეენად, და მოსწყუიდნეს ამით ღონითა. ხოლო თუით სამასითა ოდენ კაცითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა, და არავის მიენდო მხედველსა სხუასა, არამედ თუით მარტო 10
წარვიდა ყოველად უსაჭურველო, ჴრმლითა ოდენ, და თანა წარიტანა წიგნი ღმრთის-მეტყუელი, და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვ-
M 550 ლადვე მისლვადმდე მი|სა მათ თანა.

ხოლო მონათა ყუეს ბრძანებული მათდა და წარ-
ჰ 370 მოიღეს ნახირი. მოეწიენეს თურქნი, ვითარ ასი კაცი. | და შემ- 15
დგომად დიდისა ომისა ჩამოყარნეს მონანი, დაჴოცნეს ცხენნი, გარნა ქუეითცა იბრძოლეს [1] ფიცხლად. ხოლო მეფე ცხენსა რა გარდაჴდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსულასა, შეექცა კითხვასა. და ესეოდენ წარიტყუენა გონებითა, რომელ სრულად დააივწყდა [2] წინა-
A 386 მდებარე | საქმე, ვიდრემდის ჴმა რამე კლვისა შემოისმა ყურთა. 20
მყის დაუტევა წიგნი მუნვე, და ამჴედრებული მიყვანდა [3] მას ჴმასა. და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თუისთა, ესევითარსა ღუაწლსა შინა მყოფთა, და აშორვიდა თუისთა სპათა, და უკეთუმცა მათდა ცნობად წარსულ იყო, მონათა დაუჴოცდეს, მსწრაფლ შთაბრიელდა [4] ვითარცა არწივი, და დააბნინა ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფლ 25
ესოდენნი მოსწყუიდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყუნეს [5] მონათა მათ.

და ამჴედრებულთა ესოდენნი მოსრნეს, რომელ მცირედ [6] შეესწრნეს ქალაქსა [7]. ხოლო გზანი სავსენი იყუნეს მძორითა მათითა, და ფრიადისა ცემისაგან ჴრმალმანცა დაღულარჩნილმან 30
უარ ყო ჭარჭაში თუისი [8]. მოვიდა სპათა თუისთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას, განიცადეღა ჩემად, ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოს წიგნივ აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ. და ესეოდენი.

---

[1] ქვეითნიცა იბრძოდეს *B*; ქუეითი ეგრეცა იბრძოდეს *M*. [2] დავიწყდა *A*. მიჰყუა *MB*. [4] შთაბრიალდა *B*, შთაბიალად *M*. [5] იყუნეს *A*. [6] მცირედნი *B*. მცირედღა *M*. [7] შეივლტოდეს ჭალაჭად *M*. [8] თუის *A*.

A 387 ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ, უკეთუმცა არა წე-
რილთა მეცნიერებანი[1] და გარდასრულთა საქმეთა შემცნებანი[2], პირ-
M 551 ველ მეფეთა ყოფილთა კეთილთა ძღუანებულთა, ანუ ვერას წარ-
მართებულთადა[3] შემთხუეულნი წინა განსაკრძალებლად სახედ არა
შემოეხუნეს და არა მოეჴმარნეს, ვითარცა იტყუის სოლომონ, ვითარ- 5
მედ[4]: «იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აჳსნანი იგაეთანი და გარდა-
სულთა შეამსგავსნის მომავალნი». არათუმცა ესენი ესრეთ, კუერ-
თხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ძნელი და ნანდუილვე დი-
დი განსაგებელი, (რათა[5]) იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ[6] ვერვინ
სხუამან, რამეთუ განაბრძნა უფროს გაბრიელისსა[7], და უმეტეს ეთამ 10
ჰ 371 ისრაიტელისა, წერილისაებრ, და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენ-
ნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი[8] და გან-
საგებანი[9], კიდეთა პყრობანი, ნაპირთა მჭირვანი, განხე-
თქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობისა ღონენი, ლაშ-
ქრობასა[10] მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მჴედართა 15
A 388 განწესებანი, საერონი[11] ში|შნი, საჴელოთა და საბჭოთა სჯანი, სა-
ჭურჭლეთა შემოსავალნი[12], მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი,
მეძღუნეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურ-
თანი, მსახურებულთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალნი გა-
მოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყუისნი მოკითხვანი, სპათა დაწყო- 20
ბანი და ღონიერნი მიმართებანი. და რაოდენნი[13] ვინ აღმოწყუნეს
სიტყუითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელსა შინა
ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი
წამებენ მზისა შარავანდედთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელ-
ნი სიბრძნითა თუისითა ქმნნა. 25

რამეთუ[14] სულტანი დასუა მოხარკედ თუისა, ხო-
M 552 ლო მეფე ბერძენთა ვითა|რცა სახელეული თუისი[15]. დასცნა წარ-
მართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო
მონად ჴელმწიფენი, მეოტად წარიქციენა[16] არაბნი, იავარად ისმაი-
ტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად[17] მთავარნი მათნი. 30
A 389 და რათა | მოკლედ ვთქუა, პირველ ყოფილნი მეფენი[18], გოლიათნი,
გმირნი კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი, მჴნენი და ძლიერნი,

---

[1] მეცნიერებამან *A*. [2] შემეცნებანი *B*. [3] წარმართებულთა *MB*. [4] ვითარცა *A*. [5] რათა *AM* (და თ ე მ.), რომელ *B*. [6] და ვითარ *MB*, რათა *A*. [7] გაბასაელისა *B*, ბესელისასა *M*. [8] მართებნი *A*. [9] განსაგებელნი *MB*. [10] ლაშქრობათა *MB*. [11] საეროთა *B*. [12] შემოსლვანი *MB*. [13] რაოდენი *A*. [14] რამეთუ *AM*, ხოლო *B*. [15] თუის *A*. [16] წარაქციენა *B*, წარიქციენს *M*. [17] გლეხნი *A*. [18] + მსაჯულნი *MB*.

15. ანასეული ქართლის ცხოვრება.

და რათაცა[1] საქმეთა ზედა სახელოვანნი, ყოველნივე ესრეთ დასხნა, ვითარცა პირუტყუნი ყოველსა შინა საქმესა.

ხოლო კუალად საღმრთოთა სათნოებათა და სულიერთა[2] საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს, ანუ მოუგონებელსა[3] ვისმან[4] ენამან შეუძლოს თხრობად. რამეთუ ვითარცა ღმერთი მართლ სჯიდა სამეფოთა[5] თუისთა თუალ-უხუავითა[6] მით ბჭობითა თუისითა და არა სადათ მიდრკებოდა წამი მისისა სასწორისა, ვითარცა სოლომონისთუის გუესმის, საბჭოთა შინა, და
ჭ 372 თუით მოსეს-მიერნი გუაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი. ხოლო თავი სათნოებათა სიწმიდე ესეოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი; ნუ მეტყუი მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელი არცა ღმერთმან მოიჯსენნეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათის წლისა ჟამთა, სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედი-
A 390 ლითა გონებითა, უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა, თანა-მოწაფებითა სუინდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, და რომლი- სა მოწაფე არს სარწმუნო ცათა შინა. კუალად ლოცვისა და მარ-
M 553 ხვისათუის რადღა საჭმ|არ არს თქმა, რომლისა იგი საქმარ ოდენ იყო, და კუალად მონასტერნი, საებისკოპოზონი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა[7] განგებისასა დარბასის ჯარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა.

ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა განმარისხებელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის. კუალად წყალობა გლახაკთა ესეოდენი აქუნდა, ვიდრემდის აღავსო ზღუა და ჴმელი ქველის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და[8] მონასტერნი არა თუისთა[9] ოდენ სამეფოთა[10],
A 391 არამედ საბერძნეთისნიცა,| მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავის[11] მთისა პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი და მყოფელნი იელუსალემისანი[12] თუითო-ფერთა მიერ შე-

---

[1] რათაცა *MA*, ყოველთა *B*. [2] საღმრთოთა და სათნოებათა სულიერთა *A*. [3] მოგონებულსა *MB*. [4] ვისმე *A*. [5] სამწყსოთა *M*. [6] თუალ-უხავითა *M*, თვალ-უხვამითა *B*, უხუავითა *A*. [7] საეკლესიაოსა *A*. [8] და<*A*. [9] თუისითა *A*. [10] თუისისა ოდენ სამეფოსანი *M*. [11] შავშისა *A*. [12] ისრაელისანი *M*.

საწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ-ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსიონნი, და წიგნები საეკლესიაონნი [1] სრულობით, სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა [2] რჩეულისა.

და კუალად დღითი-დღე წარსაგებელთა რო-
M 554 მელთა თუისითა ქელითა მისცემდა ფარულად, ვინ [3] აღრაცხოს [4]
ბ 373 თუინიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე: აღავსის დრაკნით რა დღე სარწმუნოთა თუისითა ქელითა, და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა: ოდესმე ნახევარი წარაგის (ნახევარი) მისი, და ოდესმე არავინ პოვნის, და ეგრე საესე მისცის დამარხვად ხვა-
A 392 ლ|ისა, და სულთ-ითქუის [5]: „დღეს ვერ მიეც [6] ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა“. და ამას არა თუ ქელოსანთაგან მორთულისა [7] იქმოდის, ანუ თუ საბურჭლით [8], არამედ ქელთა თუისთა ნადირებულითა, რომელთაგანი თუისსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა. და ესეცა მცირედი მრავალისაგან თქმად შეუძლებელ. ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა [9] მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა [10] შინა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო [11] მსახურება მიუპყრან [12].

ხოლო ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ჯიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყენა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად შეაწყნარნა
A 393 ქრისტესა და დაიქვა მისთუის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლი-
M 555 თა მიიღო|მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კოსტანტინე. სხუათავე კეთილთა თანა აქუნდა ესეცა, რამეთუ სლვათა შინა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჰი-

---

[1] საეკლესიო. *MB.* [2] ოქროთა *A.* [3] ვინ < *A.* [4] აღირაცხოს *A.* [5] სულთქმით თქვის (ჰრქვის *M*) *MB.* [6] მისცე *A.* [7] მორთმულისა *B*, მორთმეულისაგან *M.* [8] საჰსურჭლით *A.* [9] მოსაკგრვეთა *A.* [10] სამეოსა *A.* [11] საღმრთო *AB*, სულთა *M.* [12] + ღმერთსა *MB.*

რებულნი, მიმძლავრებულნი, განალა ვიეთგანმე რომელთ ა საჭიროდ უჴმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი.

ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე, უკეთუ ოდენ ეპოვის ესევითარი რამე, და მუნით საცნაურ ყვის ჰრტინვა თუისი, ამისთუის დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა. მრავალგზის გუიხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა
Ǯ 374 თუისთა | ცრემლითა [1] ხილვასა ზედა თუითო-სახეთა სენთა მიერ გან-
A 394 საცდელთასა [2], და ხილვად სა|ცნაურთა [3], რომელნი შეემთხუევიან მიუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ჯორცთა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს ქუეყანა ქუთათისა. ვინ აღრიცხუნეს ტყუენი [4], რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნიმე უკუმოიჴსნნა თუისთა ყივჩაყთაგან ფასითა. ვინ ჯეროვნად წარმოთქუნეს პატივის პყრობანი მონაზონთანი, სიყუარულით შეწყნარებანი მათნი, თითოეულისა ნიშნი და საქმარნი, რომლითა [5] უზრუნველ ყვნის ყოველთა საჭიროთაგან.

ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქM 556 მედ ესეცა, რომელთა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და საქმე ყოველად საკუირველი. არა-რა შორიელი, არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი, სიტყუა თქმული, არა-რა დაეფარვოდა ყოველადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის, ანუ თუ ეთქუის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდA 395 რემდის გ|ულის-სიტყუანიცა, მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომლითა [6] ზარგანჴდილ ყუნის, და მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნულნი ღუაწლნი და სათნოებანი უწყოდნის [7] ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისათუის აქებდის და ნატრიდის. ნუ ამას ეძიებ მკითხველო, თუ ვითარ [8] იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდა, თუ [8] რა სარგებელი პოვის ამით, რამეთუ არა თუ ცუდად რადმე და გასაკითხავად საგინებელთა [9] საქმეთად [10], ანუ საკიცხელთად ვიეთთუისმე იქმოდის, ნუ იყოფინ ესე, წარვედ.

[1] წრემლითა *A*. [2] განცდილთასა *MB*. [3] საძნაურთა *MB*. [4] ტყენი *A*. [5] რომელთა *B*. [6] რომელთა ზარ-განჴდილ ყვის B, რომლითა ზარი განჴდის მათ *M*. [7] უწოდნის *A*. [8] ვითარ თუ <*A* ex homoiteleuto. [9] საგრნებელთა *A*, საგიობელთა *MB*. [10] საქმეთა და *A*.

არამედ დიდნ[ი] საქმენი დაფრიად სასწრაფონი წარმართნა; ამით და მრავლითა კეთილითა მიზეზ ექმნა ესე პირველად ორგულებასა,- ზაკვასა და ღალატსა, რასაცა ვერვინ დიდთა, ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად
